

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

სამართლის, სოციალურ მეცნიერებათა და დიპლომატიის სკოლა

სამართლის სადოქტორო პროგრამა



ნინო ბოგვერაძე

სუროგაცია/დონაციის სამართლებრივი რეგულირების
პრობლემები საქართველოს და ეროვნულ დონეზე

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

მარინა კვაჭაძე

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თბილისი, 0175, საქართველო

2017

ინდივიდუალური პიროვნებების ან უნივერსიტეტის მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს უნივერსიტეტს.

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა ის მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიკურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებისას, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

© ნინო ბოგვერაძე, 2017

რეზიუმე

მიუხედავად იმისა, რომ უკვე რამდენიმე ათეული წელია მედიცინა აქტიურად იყენებს დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებს და, ზოგიერთ შემთხვევაში, მათ კომპლექსურ მეთოდს - კოლაბორაციულ რეპროდუქციას - სუროგაციასა და სუროგაციის პროცესში დონაციას, არ არსებობს ერთი უნიფიცირებული მიდგომა ამ სამედიცინო ტექნოლოგიის მიმართ. უფრო მეტიც, რადიკალურია დამოკიდებულებები სუროგაციასთან დაკავშირებით: ზოგიერთი გამართლებულად მიიჩნევს მის სრულ აკრძალვას, ზოგიერთი მომხრეა მისი ნაწილობრივი დაშვებისა და მკაცრად რეგულირების, ზოგიერთის აზრით კი, უშვილობის პრობლემის გადაჭრის ეს მეთოდი, სახელმწიფოს მიერ სათანადო მონესრიგების პირობებში, ხელმისაწვდომი უნდა იყოს იმ პირთათვის, რომელთათვისაც იგი მათი უშვილობის მოგვარების უკანასკნელი შანსია. სწორედ ამ თვალსაზრისით განიხილება სადისერტაციო ნაშრომში სუროგაციის არსი, სახეები, მისი არსებობისა და განხორციელების მნიშვნელობა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივ-ეთიკური პრობლემები. სუროგაციის მომწესრიგებელი სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის საქართველოს, ადგილობრივი კანონმდებლობების, დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებთან კავშირში მყოფი საერთაშორისო აქტების, საერთაშორისო და ადგილობრივი სასამართლოების სასამართლო პრაქტიკის ანალიზისა და, რაც მთავარია, ადამიანის ფუნდამენტური უფლების - რეპროდუქციული უფლების არსისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით ავტორი გამართლებულად მიიჩნევს, კანონმდებლობით დადგენილი პირობების არსებობის შემთხვევაში, სუროგაციის განსაზღვრული ფორმებით სარგებლობას. ამასთან, ავტორი, წარმოაჩენს იმ სამართლებრივ ხარვეზებს, რომელთაც შეიცავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა ზოგადად დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიებისა და კონკრეტულად სუროგაციის მარეგულირებელ ნორმებში და დასკვნის სახით იძლევა სარეკომენდაციო წინადადებებს ამ სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დახვეწის თვალსაზრისითა და, თუნდაც, ამ მნიშვნელოვან საკითხებზე ეფექტური დისკუსიის ინიცირებისათვის.

ABSTRACT

It has been several decades since the medicine actively uses assisted reproductive technologies and in some cases - their complex method – collaborative reproduction - surrogacy and donation in surrogacy process. However, there is no unified approach on surrogacy. Moreover, the opinions about surrogacy are controversial. Some opinions consider its complete prohibition justified, under some views it should be partially allowed and strictly regulated, according to others this method of solving the infertility problem should be available for individuals suffering from infertility for whom it is the last resort of their problem settlement. These are the main points within which the dissertation addresses the context and types of surrogacy, the importance of its existence and of its implementation as well as ethical-legal issues related to it. Thesis reviews the national laws of various countries including Georgia governing the issues of surrogacy as well as international acts with respect to some aspects of assisted reproductive technologies, analyzes the case law of international and national courts and, most importantly, the essence and importance of the reproductive right as a fundamental human right and considers it justified for individuals to have an access to specific types of surrogacy in cases determined by law. In addition, the author reveals the legal gaps of current Georgian legislation in the legal norms governing assisted reproductive technologies generally and surrogacy particularly and in the form of final opinion provides the recommendations for the improvement of laws in this sphere and even for the initiation of effective discussion on these important issues.

შინაარსი

შესავალი.....	11
I თავი. დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიები: არსი და მნიშვნელობა.....	17
1. დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების არსი და სახეები.....	20
1.1. საშვილოსნოსშიდა ინსემინაცია	22
1.2. ინ ვიტრო განაყოფიერება და მასთან დაკავშირებული პროცედურები	22
1.2.1. ინ ვიტრო განაყოფიერების განმარტება	22
1.2.2. ემბრიონის კრიოპრეზერვაცია და დონაცია	24
1.2.3. ინ ვიტრო განაყოფიერების მეთოდები	27
ა. ინ ვიტრო განაყოფიერება გამეტის დონორის ჩართულობით.....	29
ბ. ინ ვიტრო განაყოფიერება სუროგატი დედის ჩართულობით: სუროგაცია ანუ „დონორი საშვილოსნოს“ გამოყენება	30
2. სუროგაცია - კოლაბორაციული რეპროდუქციის ყველაზე საკამათო მეთოდი ...	33
2.1. სუროგაციის ცნება და სახეები - ტრადიციული და გესტაციური სუროგაცია	33
2.1.1. “Baby M” - აშშ-ის ტრადიციული სუროგაციის ისტორიაში პიონერად მიჩნეული სასამართლოს გადაწყვეტილება	36
2.1.2. “Baby M”-ის შემდგომ სუროგაციის მიმართ დამოკიდებულების მკვეთრი ცვლილება.....	38
2.1.3. სუროგაციის ფორმები - ალტრუისტული და კომერციული სუროგაცია	39
2.2. ძირითადი ასპექტები სუროგაციაზე ეთიკური დებატების შესახებ.....	40
3. დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების მნიშვნელობა და გამონწვევები....	56
ა. ზოგადი ანალიზი.....	56
ბ. ენდრიუსი ქელთზის წინააღმდეგ (<i>Andrews v Keltz</i>):.....	61
გ. პარეტა ადამიანის რეპროდუქციის სამედიცინო დაწესებულებების წინააღმდეგ (<i>Paretta v Medical Offices for human Reproduction</i>):	63
დ. რობერტი სიუზანის წინააღმდეგ (<i>Robert v. Susan</i>)	64
4. შუალედური დასკვნა.....	65
II თავი. რეპროდუქციული უფლება და მისი რეალიზება დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების გამოყენებით.....	70
1. რეპროდუქციული უფლების საერთაშორისო რეგულაცია.....	70
2. დოქტრინალურ მოსაზრებათა ჭიდილი რეპროდუქციული უფლებების მოცულობის თაობაზე	76

3. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკა დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების გამოყენებით რეპროდუქციული უფლებების რეალიზაციასთან დაკავშირებულ დავებზე.....	82
3.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციით დადგენილი პრაქტიკა	82
3.1.1. დონორისა და სუროგატი დედის ჩართვის გარეშე ხელოვნური განაყოფიერების საშუალებებზე წვდომის უფლება - დიკსონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (<i>Dickson v. United Kingdom</i>)	86
3.1.2. სპერმის ან კვერცხუჯრედის დონორის ჩართულობით ინ ვიტრო განაყოფიერებაზე წვდომის უფლება - S.H. და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ.....	88
3.1.3. სუროგაციაზე წვდომის უფლება, სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის ინტერესების პრიორიტეტი	97
ა. მენესონი საფრანგეთის წინააღმდეგ (<i>Mennesson v. France</i>) და ლაბესი საფრანგეთის წინააღმდეგ (<i>Labassee v. France</i>).....	99
ბ. პარადისო და კამპანელი იტალიის წინააღმდეგ (<i>Paradiso and Campanelli v. Italy</i>).....	103
3.2. ადამიანის უფლებათა შიდაამერიკული სასამართლოს პრაქტიკა.....	111
4. კონკურენცია მშობლად გახდომის უფლებასა და მშობლად გახდომაზე უარის თქმის უფლებას შორის - სასამართლოების განსხვავებული პოზიციები გაყინულ ემბრიონებთან დაკავშირებულ დავებზე	119
ა. ნაჩმანი ნაჩმანის წინააღმდეგ (<i>Nachmani v. Nachmani</i>)	120
ბ. ევანსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (<i>Evans v. United Kingdom</i>).....	121
გ. ა.ზ. ბ.ზ-ს წინააღმდეგ (<i>A.Z. v. B.Z</i>).....	123
დ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება.....	124
5. რეპროდუქციული უფლებების ნორმატიული საფუძვლები საქართველოს კანონმდებლობაში.....	127
5.1. რეპროდუქციული უფლებების ცალკეული უფლებრივი კომპონენტების ნორმატიული მონესრიგება	127
5.2. რეპროდუქციული უფლების დამოუკიდებელ უფლებად განსაზღვრის მნიშვნელობა და საფუძვლები საქართველოს კონსტიტუციაში	130
5.2.1. რეპროდუქციული უფლების მნიშვნელობა	130
5.2.2. კონსტიტუციის 39-ე მუხლი და ძირითადი პრინციპები, როგორც რეპროდუქციული უფლების ნორმატიული საფუძველი ძირითად კანონში	137
ა. კონსტიტუციის 39-ე მუხლის გამოყენების წინაპირობები.....	137

ა.ა. რეპროდუქციული უფლება, როგორც საყოველთაოდ აღიარებული უფლება	139
ა.ბ. რეპროდუქციული უფლება, როგორც კონსტიტუციის ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე უფლება	140
ბ. 39-ე მუხლის ადგილის ცვლილების შედეგები	150
6. შუალედური დასკვნა	153
III თავი. საზღვარგარეთის ქვეყნების სუროგაციის ადგილობრივი რეგულაციები შედარებითსამართლებრივ კონტექსტში	159
1. ამერიკის შეერთებული შტატები (ზოგადი ანალიზი)	162
2. სუროგაციის მონინაალმდევე ქვეყნები	169
2.1. სუროგაციის ხელშეკრულება, როგორც ბათილი და აღუსრულებადი გარიგება	170
2.2. პასუხისმგებლობა სუროგაციის განხორციელებისათვის	172
2.3. სუროგაციის აკრძალვის ძირითადი არგუმენტები	175
2.4. სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის იურიდიული მშობლების განსაზღვრა	181
2.5. აშშ-ის შტატები, სადაც სუროგაცია იკრძალება სანქციების დანერგვის გარეშე	185
3. სუროგაციის მიმართ შედარებით ნეიტრალური დამოკიდებულების მქონე ქვეყნები	187
3.1. ქვეყნები, სადაც სუროგაცია რეგულირებულია, თუმცა დაშვებულია მხოლოდ ალტრუისტული სუროგაცია	188
3.1.1. ქვეყნები, სადაც სავალდებულოა სასამართლოს წინასწარი თანხმობა ალტრუისტული სუროგაციის განსახორციელებლად	189
3.1.1.1. საბერძნეთი და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა	190
ა. საბერძნეთი	190
ბ. სამხრეთ აფრიკა	193
გ. საბერძნეთისა და სამხრეთ აფრიკის სუროგაციის მომწესრიგებელი კანონმდებლობის ძირითადი ასპექტები	194
დ. სუროგაციის ხელშეკრულება და სუროგაციის განხორციელების ძირითადი პირობები	199
ე. მოთხოვნები პოტენციური მშობლების მიმართ	199
ვ. მოთხოვნები სუროგატი დედის მიმართ	201
ზ. მოთხოვნები მხარეების საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით	202
თ. სუროგაციის დასაშვები სახეობა	203

ი. პოტენციურ მშობელს/მშობლებსა და ბავშვს შორის გენეტიკური კავშირის არსებობა	204
კ. ალტრუისტული სუროგაციის დასაშვები სახეობა	205
ლ. სუროგაციის ხელშეკრულების შეწყვეტა - „მოფიქრების პერიოდი“	208
3.1.1.2. აშშ-ის ვირჯინიის შტატი	210
ა. ძირითადი მოთხოვნები სუროგაციის ხელშეკრულების ფორმისა და შინაარსის მიმართ	210
ბ. მოთხოვნები მხარეების მიმართ	211
გ. სუროგაციის დასაშვები სახეობა და ფორმა	212
დ. მშობლის სტატუსის დადგენისათვის მოთხოვნილი სამართლებრივი პროცედურა	213
3.1.2. ქვეყნები, სადაც ალტრუისტული სუროგაციის განსახორციელებლად სასამართლოს წინასწარი თანხმობა არ მოითხოვება	215
3.1.2.1. გაერთიანებული სამეფო და ავსტრალია	216
ა. შედარებითი ანალიზი	216
ბ. სუროგაციის ალტრუისტული ხასიათი	220
გ. ძირითადი მოთხოვნები პოტენციურ მშობლებთან მიმართებით	223
გ.ა. პოტენციური მშობლების ასაკი	223
გ.ბ. ოჯახური მდგომარეობა	224
გ.გ. საცხოვრებელი ადგილი	225
დ. ძირითადი მოთხოვნები სუროგატი დედის მიმართ	227
ე. დასაშვები სუროგაციისა და მისი განხორციელების ფორმა	228
ვ. მშობლის ორდერის შესახებ განაცხადის სასამართლოში წარდგენის ვადა	229
ზ. სუროგატი დედისა და მისი მეუღლის თანხმობა მშობლის იურიდიული სტატუსის გადასაცემად	229
თ. ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი	232
ი. დამატებითი მოთხოვნები ავსტრალიის ორ იურისდიქციაში	232
3.2. ქვეყნები, სუროგაცია არ არის რეგულირებული - არც აკრძალულია და არც დაშვებული კანონმდებლობით	233
3.3. ისრაელის მოდელი, როგორც სუროგაციის უნიკალური სამართლებრივი რეგულაცია	238
3.3.1. სუროგაციის კანონის ძირითადი მოთხოვნები სუროგაციის განხორციელებაზე	241
ა. ზოგადი ანალიზი	241

ბ. კანონის ძირითადი მოთხოვნები	244
ბ.ა. პოტენციური მშობლების მიმართ მოთხოვნები.....	244
ბ.ბ. სუროგატი დედის მიმართ მოთხოვნები	246
ბ.გ. სუროგაციის განხორციელების დასაშვები სახეობა.....	248
ბ.დ. დასაშვები სუროგაციის „ალტრუისტული“ ხასიათი	249
ბ.ე. სუროგაციის განსახორციელებად სხვა არსებითი ხასიათის მოთხოვნები	251
გ. სუროგაციის პროცესის ადმინისტრაციული ზედამხედველობა	253
გ.ა. ადმინისტრაციული ზედამხედველობა ბავშვის დაბადებამდე.....	253
გ.ბ. ადმინისტრაციული ზედამხედველობა ბავშვის დაბადების შემდგომ	253
4. სუროგაციის მეგობარი ქვეყნები.....	255
4.1. ამერიკის შეერთებული შტატების „სუროგაციის მეგობარი შტატები“	257
4.1.1. შტატები, სადაც კომერციული სუროგაცია დაიშვება სასამართლო პრეცედენტის საფუძველზე	257
ა. მხარეთა განზრახვა, როგორც მშობლის იურიდიული სტატუსის განსაზღვრის კრიტერიუმი	257
ა.ა. ჯონსონი კალვერტის წინააღმდეგ (<i>Johnson v. Calvert</i>).....	258
ა.ბ. ბუზანკა ბუზანკას წინააღმდეგ (<i>Buzzanca v. Buzzanca</i>).....	260
ბ. გენეტიკური კავშირი და ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი, როგორც მშობლის იურიდიული სტატუსის განსაზღვრის კრიტერიუმი..	262
ბ.ა. ქულიტონი ბეთ ისრაელ დიკონეს სამედიცინო ცენტრის წინააღმდეგ (<i>Culliton v. Beth israel Deaconess Medical Center</i>)	262
ბ.ბ. ჰოდასი მორინის წინააღმდეგ (<i>Hodas v Morin</i>)	263
ბ.გ. ჯეი ეფ დი ბის წინააღმდეგ (<i>JF v DB</i>).....	264
4.1.2. შტატები, სადაც კომერციული სუროგაცია დასაშვებია კანონმდებლობით....	266
ა. კალიფორნია	269
ა.ა. მოთხოვნები სუროგაციის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის	270
ა.ბ. მშობლის იურიდიული სტატუსის დადგენა	273
ბ. კოლუმბიის ოლქი	274
ბ.ა. მოთხოვნები მხარეების მიმართ	275
ბ.ბ. ნამდვილი და აღსრულებადი სუროგაციის ხელშეკრულება.....	276
ბ.გ. სუროგაციის დასაშვები სახეობა და ფორმა	278
ბ.დ. მშობლის იურიდიული სტატუსის დადგენა	280
გ. ტეხასი და იუტა.....	282

გ.ა. ძირითადი მოთხოვნები გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულების ფორმისა და შინაარსის მიმართ	282
გ.ბ. მოთხოვნები მხარეების მიმართ	284
გ.გ. სუროგაციის დასაშვები სახეობა და ფორმა	286
გ.დ. სუროგაციის ხელშეკრულების ნამდვილობის აღიარება	288
დ. ილინოსისი	290
დ.ა. კანონით დასაშვები სუროგაცია	290
დ.ბ. მოთხოვნები მხარეების მიმართ	291
დ.გ. მოთხოვნები გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულების მიმართ	295
დ.დ. პოტენციური მშობლების, როგორც ბავშვის იურიდიული მშობლების, სტატუსის დადგენა	297
დ.ე. „ილინოსისის კანონის“ სხვა მნიშვნელოვანი დებულებები	299
4.2. „სუროგაციის მეგობარი ქვეყნები“ - რუსეთი და უკრაინა	302
4.2.1. მოთხოვნები მხარეების მიმართ	303
4.2.2. დასაშვები სუროგაციის ფორმა	305
4.2.3. მშობლის იურიდიული სტატუსის განსაზღვრა	307
5. შუალედური დასკვნა	309
IV თავი. სუმობაცია საქართველოში	316
1. სუროგაციის სამართლებრივი რეგულირება საქართველოში	316
1.1. რეგულაციური სისტემის ზოგადი მიმოხილვა	316
1.2. ტერმინთა განმარტებების არარსებობა და გამოყენებული ტერმინების ხარვეზები საქართველოს კანონმდებლობაში	318
1.3. საქართველოს კანონმდებლობით დასაშვები დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიები	325
1.3.1. ინ ვიტრო განაყოფიერება წყვილის ან დონორის სასქესო უჯრედების ან ემბრიონის გამოყენებით	325
ა. ინ ვიტრო განაყოფიერება წყვილის სასქესო უჯრედების ან ემბრიონის გამოყენებით	325
ბ. ინ ვიტრო განაყოფიერება კვერცხუჯრედის ან სპერმის დონორის გამოყენებით	326
გ. ინ ვიტრო განაყოფიერება კვერცხუჯრედის დონორისა და სპერმის დონორის გამოყენებით	327
1.3.2. „განაყოფიერება დონორის სპერმით“	327
1.3.3. ინ ვიტრო განაყოფიერება სუროგაციის გზით	329

ა. დასაშვები სუროგაციის ფორმა	329
ბ. მოთხოვნები სუროგაციასთან დაკავშირებული პროცედურების მწარმოებელი სამედიცინო დაწესებულების მიმართ	333
გ. მოთხოვნები მხარეების მიმართ	336
დ. სუროგაციის ხელშეკრულება	337
ე. პოტენციური მშობლების, როგორც ბავშვის იურიდიული მშობლების, სტატუსის განსაზღვრა	342
1.3.4. გაყინული გამეტების ან ემბრიონის გამოყენება ინ ვიტრო განაყოფიერების პროცესში	343
2. სუროგაციის დროს ანონიმური დონორის გამოყენების შეუძლებლობა: სუროგაციის პროცესში მონაწილე პირთა უფლებების დაცვა თუ ხელყოფა?	344
2.1. დონორის ანონიმურობის მნიშვნელობა სუროგაციისას	344
2.2. დონორთან ხელშეკრულების ნოტარიულად დამოწმების მოთხოვნით გამომწვეული პრობლემატიკა	347
3. სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის იურიდიულ მშობლებად პოტენციური მშობლების რეგისტრაციაზე „სააგენტოს“ უარი: სამართლებრივი საშუალებები მშობლის იურიდიული სტატუსის მოსაპოვებლად	355
4. შუალედური დასკვნა	362
V თავი. საერთაშორისო სუროგაცია: გამოწვევები, ბავშვის ინტერესებისათვის საფრთხის შემქმნელი და საზიანო რეალობა	365
1. ზოგადი ტენდენცია	365
2. „სუროგაციის მეგობარ ქვეყანაში“ სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის მოქალაქეობის განსაზღვრა	368
2.1. საერთაშორისო სუროგაციისას ბავშვის მოქალაქეობის განსაზღვრასთან დაკავშირებული პრობლემატიკა	368
2.2. საერთაშორისო სუროგაციისას ბავშვის მოქალაქეობის განსაზღვრა და ბავშვის საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის უფლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად	371
3. მშობლის იურიდიული სტატუსის განსაზღვრა პოტენციური მშობლების მოქალაქეობის ქვეყნის მიერ	378
4. საერთაშორისო სუროგაციასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების ძიება წარმოებული კვლევების საფუძველზე	382
5. შუალედური დასკვნა	386
შემაჯამებელი დასკვნა	388
ბიბლიოგრაფია	427

შესავალი

„არის რაღაც ღრმად ჰუმანური ამ პოლიტიკაში, იდეა იმის შესახებ, რომ ადამიანებს აქვთ მშობლად ყოფნის უფლება... ეს არის ის, რაც ახასიათებს სიცოცხლეს: სიცოცხლეზე დაფუძნებული ღირებულება“¹ - ამგვარად ატყობს დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების მეთოდის - ინ ვიტრო განაყოფიერების მნიშვნელობას უშვილო პაციენტი, რომელსაც ამ პროცედურამ ნანატრი შვილი „აჩუქა“.

რამდენიმე ათეული წელია მედიცინის რევოლუციურმა მიღწევებმა შესაძლებელი გადახედეს ადამიანის ხელოვნურად ჩასახვა ისეთი სამედიცინო ტექნოლოგიების გამოყენებით, რომელთა შედეგებმაც, ერთი მხრივ, უზრუნველყვეს უშვილობის პრობლემების გადაჭრა და უშვილო ადამიანებს მისცეს შესაძლებლობა, გამხდარიყვნენ მშობლები, მეორე მხრივ კი, ფაქტობრივად გადატრიალება მოახდინეს საოჯახო სამართალში და რადიკალურად შეცვალეს სამართლის ამ დარგში დამკვიდრებული პრინციპები ბავშვის იურიდიული მშობლების განსაზღვრის თვალსაზრით. აღნიშნულ შედეგებს, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების ყველაზე სადავო და კომპლექსური მეთოდი - სუროგაცია².

რევოლუციური სამედიცინო მიღწევების პრაქტიკაში განხორციელების პარალელურად აუცილებელია მათი მართებული სამართლებრივი რეგულაციების არსებობა. გააზრებულ სამართლებრივ მონესრიგებას განსაკუთრებით საჭიროებს სუროგაცია და სუროგაციისას განხორციელებული დონაცია³, ვინაიდან ეს ტექნოლოგიები სრულიად რადიკალურად ცვლის თუნდაც სამართალში ტრადიციულად დამკვიდრებულ მშობლის - დედისა და მამის სამართლებრივ სტატუსს და სამართლებრივი პრობლემების სხვადასხვა საფუძვლით წარმოშობასთან

¹ “There is something deeply humane about this policy, the idea that people have the right to be parents... It’s something that characterizes life here: the value placed on life”. იხ. Breen-Portnoy E. C., Frozen Embryo Disposition in Cases of Separation and Divorce: How Nahmani v. Nahmani and Davis v. Davis Form the Foundation for a Workable Expansion of Current International Family Planning, Maryland Journal of International Law, Vol. 28, 2013, 275. მითითებულია: Kraft D., Where Families are Prized, Help is Free, N.Y. TIMES, July 17, 2011, at A5.

² სუროგაციის განმარტებასთან და მის სახეებთან დაკავშირებით დეტალურად იხ. წინამდებარე ნაშრომის I თავი.

³ სპერმის ან კვერცხუჯრედის ან ემბრიონის დონაცია. დეტალურად იხ. წინამდებარე ნაშრომის I თავი.

შეიძლება იყოს დაკავშირებული. ეს სამართლებრივი რისკები კი არსებით გავლენას ახდენს არამართო სამედიცინო პროცედურაში მონაწილე პირების, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ამ პროცედურის განხორციელების შედეგად დაბადებული ბავშვის ინტერესებზე, რომლებიც უპირატესად დასაცავი და გასათვალისწინებელია.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში სუროგაცია აქტიურად გამოიყენება, არ წყდება სამეცნიერო დავა სუროგაციის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის, რომლებიც მათი დამოკიდებულებების გამამართლებელ, რიგ შემთხვევებში, გასათვალისწინებელ არგუმენტებს იშველიებენ. სუროგაციის მიმართ ერთიანი უნიფიცირებული მიდგომისა და ამ საკითხის მომწესრიგებელი სავალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო ხელშეკრულების არარსებობის პირობებში, არაერთგვაროვანია ამ მეთოდის მიმართ დამოკიდებულება სხვადასხვა ქვეყანაში. არაერთგვაროვნება ნათლად ვლინდება იმაში, რომ სუროგაცია, ზოგიერთ შემთხვევაში, რადიკალურად განსხვავებულად რეგულირდება სხვადასხვა ქვეყნის ადგილობრივი კანონმდებლობით. სუროგაციასთან დაკავშირებული საკითხების მომწესრიგებელი ნორმები, რიგ შემთხვევებში, არსებითად განსხვავდება იმ ქვეყნებშიც, რომელთაც გადანაცვით სუროგაციის საკანონმდებლო რეგულირება, მათ შორის იმ იურისდიქციებშიც, სადაც სუროგაცია ლეგალურია კანონით განსაზღვრული პირობების არსებობისას.

იმის გამო, რომ სუროგაცია საკმაოდ კომპლექსური თემაა, იგი არ შეიძლება იქნას განხილული მხოლოდ სამართლებრივ სივრცეში და იურიდიული საკითხების გარდა, ასევე, უკავშირდება სამედიცინო, ეთიკურ საკითხებსა და რელიგიურ თუ კულტურულ შეხედულებებს. ამ საკითხებს ეხება სხვადასხვა ქვეყანაში მოღვაწე განსხვავებული პროფესიის მქონე ავტორთა მიერ გამოცემული არაერთი სამეცნიერო ნაშრომი, სტატია თუ მონოგრაფია. განსხვავდება არგუმენტები დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების, მათი ამა თუ იმ სახეობის დაშვების, აკრძალვისა და რეგულირების თაობაზე. ხშირ შემთხვევაში, ამრთა სხვადასხვაობა უკავშირდება დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების არა ზოგადად, არამედ მისი კონკრეტული მეთოდის, განსაკუთრებით კი სუროგაციის, გამოყენების აკრძალვის, დაშვებისა თუ შეზღუდვებით დაშვების საკითხს იმ სამართლებრივი, ეთიკური და სოციალური რისკების გათვალისწინებით, რომლებიც ამ კონკრეტულ ტექნოლოგიას ახლავს თან. იბადება კითხვები:

მოიცავს თუ არა ინდივიდის მიერ მისი რეპროდუქციული უფლებების რეალიზაციას დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებთან, მათ შორის სუროგაციასთან, წვდომა და მათი გამოყენება? და, თუ ასეა, დაუშვებელი უნდა იყოს თუ არა ამ უფლებით სარგებლობის აკრძალვა? რელიგიური, კულტურული, ეთიკური მოსაზრებებისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, თუნდაც სამართლებრივი რისკების გათვალისწინებით არის თუ არა საერთოდ მისაღები ამ უნიკალური სამედიცინო მიღწევის პრაქტიკაში გამოყენების დაშვება? სუროგაციის გამოყენებასთან დაკავშირებით საჯარო წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია სახელმწიფოს მიერ შესაბამისი ეფექტური კონტროლის მექანიზმების დანერგვა?

თემა განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოში, სადაც დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების, კონკრეტულად კი სუროგაციის, მომწესრიგებელი ნორმატიული აქტები არასრული და ხარვეზიანია. პრობლემატურია არამარტო ის, რომ მწირედ რეგულირდება დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების მხოლოდ ცალკეული სახეობა და არსებული რეგულაციებიც მნიშვნელოვან ხარვეზებს შეიცავს, არამედ ისიც, რომ რეგულაციის მიღმა რჩება პრაქტიკაში აქტიურად გამოყენებული სამედიცინო მეთოდები და სრული ვაკუუმი იმ კონკრეტულ საკანონმდებლო აქტებში, რომლებიც უნდა არეგულირებდნენ ამ ტექნოლოგიების გამოყენებასა და გამოყენების შედეგებთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული პრობლემატიკა ჩვენს ქვეყანაში ამ ტექნოლოგიების, განსაკუთრებით კი სუროგაციისა და დონაციის, აქტიური გამოყენების პირობებში, არამარტო ეთიკურ, არამედ სამართლებრივ პრობლემებსაც ქმნის. კვლევის წარმართვის საჭიროებას, ასევე, განაპირობებს სუროგაციასთან დაკავშირებით საქართველოში სამეცნიერო კვლევების, ქართულ ენაზე სამეცნიერო ლიტერატურისა და სასამართლო პრაქტიკის სიმწირე. ვინაიდან, სუროგაციის თემატიკა სპეციფიკური ცოდნის საკითხია, რომელიც ნებისმიერი იურისტისათვის მოითხოვს წმინდა სამართლებრივი საკითხების გარდა სპეციალური, მათ შორის სამედიცინო ხასიათის, ინფორმაციის ფლობას, ამ ინფორმაციის გარეშე შეუძლებელია, ზოგადად, დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიებისა და კონკრეტულად სუროგაციის მართებული სამართლებრივი ანალიზი.

ნაშრომი მიზნად ისახავს, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს კანონმდებლობაში სუროგაციის მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმებში არსებული ხარვეზების წარმოჩენას, სამართლებრივი პრობლემების

იდენტიფიცირებას, მათი გადაჭრის გზების ძიებასა და გადანაცვებისათვის ზოგადი რეკომენდაციების შემუშავებას. კვლევის მიზანს არ წარმოადგენს დონაციასთან დაკავშირებული საკითხების დეტალური ანალიზი, ვინაიდან ეს თემა, მისი მოცულობიდან გამომდინარე, დამოუკიდებელი კვლევის საგანია. წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში, დონაცია ძირითადად განხილული იქნება სუროგაციის ასპექტში, როდესაც ეს ორი მეთოდი ერთდროულად გამოიყენება. ნაშრომის სათაურიც - „სუროგაცია/დონაციის სამართლებრივი რეგულირების პრობლემატიკა საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე“ სწორედ ამ მიზანს ემსახურება. ამ თვალსაზრისით ხორციელდება სუროგაციასთან დაკავშირებული განსხვავებული მოსაზრებების, სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობებისა და საერთაშორისო და ადგილობრივი სასამართლოების გადანაცვებების ანალიზი. აღნიშნული მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, პრობლემების იდენტიფიცირების, ხოლო, მეორე მხრივ, მათი მოგვარების მიზნით რეკომენდაციების შემუშავებისა და არსებულ სამართლებრივ რეგულაციებში ხარვეზების გამოსწორების მიზნით თუნდაც ეფექტური სამართლებრივი დისკუსიების დასაწყებად.

ნაშრომში გამოყენებულია აღწერითი, ტიპობრივი, სისტემური, ლოგიკური ანალიზის, ისტორიულ-შედარებითი, შეპირისპირებითი და ნორმატიულ-დოგმატური მეთოდები. მითითებული მეთოდების გამოყენებით განხორციელდა არსებული სამართლებრივი ნორმების განმარტება და ანალიზი, რითაც შესაძლებელი გახდა შესაბამისი დასკვნების ჩამოყალიბება და ზოგადი რეკომენდაციების მომზადება საკვლევ თემატიკასთან დაკავშირებით.

ნაშრომი შედგება ხუთი თავისაგან. პირველი თავი განსაზღვრავს დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების, მათ შორის სუროგაციის, არსსა და სახეებს და აანალიზებს მათ მნიშვნელობასა და გამოწვევებს, მათ შორის, სუროგაციის შესახებ ეთიკური დებატების ფარგლებში გამოთქმულ მოსაზრებებს. დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების თემა საკმაოდ ფართოა და ერთი ნაშრომის ფარგლებში შეუძლებელია მისი დეტალური ანალიზი. შესაბამისად, I თავის ძირითად მიზანს წარმოადგენს ამ სამედიცინო მეთოდების არსის (ტერმინოლოგია, პროცედურა) განსაზღვრა, მათი იმ სახეების განხილვა და წარმოჩენა, რომლებიც ყველაზე ხშირადაა დებატების საგანი და, ბოლოს, ამ ტექნოლოგიების ზოგად მნიშვნელობასა და ძირითადი გამოწვევების ხაზგასმა, მათ შორის, უმეტესწილად ამერიკის

შეერთებული შტატების (შემდგომში „აშშ“) სასამართლო პრაქტიკაში არსებული სასამართლოს გადანყვეტილების ანალიზის შედეგად ამ ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ სამართლებრივ პრობლემებზე აპელირებით.

მეორე თავი ეხება რეპროდუქციული უფლების, როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლების შინაარსის, განმარტების, მოცულობისა და მნიშვნელობის კვლევას. ამ თვალსაზრისით განხილულია ამ უფლების მიმართ არამართო იურიდიულ დოქტრინაში არსებული განსხვავებული მოსაზრებები, არამედ უფლების განმარტების ცალკეული ასპექტის თაობაზე საერთაშორისო და ადგილობრივი სასამართლოების პრაქტიკაც. რეპროდუქციული უფლების კვლევის ძირითადი მიზანი იმის დადგენაა, მოიცავს თუ არა იგი ხელმისაწვდომობას ზოგადად დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებსა და, კონკრეტულად, სუროგაციაზე, როგორც უფლების ეფექტურად განხორციელების ერთ-ერთ საშუალებაზე. მსჯელობის ფარგლებში, ასევე, განისაზღვრება, რეპროდუქციული უფლების ადგილი ადამიანის უფლებათა დამდგენ საერთაშორისო აქტებსა და საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის ძირითად უფლებათა სისტემაში.

მესამე თავი მიმოიხილავს საზღვარგარეთის ქვეყნების სუროგაციის მომწესრიგებელ კანონმდებლობას შედარებითსამართლებრივ კონტექსტში. ამ თვალსაზრისით, კომპარატივისტული მეთოდის ეფექტურად გამოყენების მიზნით, სუროგაციის მიმართ ქვეყნების სამართლებრივი მიდგომების მიხედვით განხორციელებულია მათი ჯგუფებად და ქვეჯგუფებად სისტემატიზაცია და შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციებისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი.

მეოთხე თავი აანალიზებს საქართველოში დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების, მათ შორის, სუროგაციის მარეგულირებელ საკანონმდებლო ნორმებს და ანალიზის შედეგად დეტალურად ახდენს მათი ხარვეზების წარმოჩენას. ხარვეზები მიმოიხილულია არამართო თეორიულ დონეზე, არამედ განხილულია ის კონკრეტული პრაქტიკული პრობლემები, რომლებიც არასრული ან არასათანადო რეგულაციების შედეგია.

მეხუთე თავი საერთაშორისო სუროგაციის მნიშვნელობასა და გამონწვევებს ეხება, რომლის წინაშეც დღესდღეობით დგას არა მხოლოდ ის სახელმწიფოები, სადაც სუროგაცია კანონიერია, არამედ ის ქვეყნებიც,

რომლებიც დაუშვებლად მიიჩნევენ საკუთარ ტერიტორიაზე დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების ამ მეთოდის განხორციელებას.

ნაშრომში განხილული საკითხების ანალიზის შეჯამების შედეგად საბოლოო დასკვნის სახით შემუშავებულია ის ძირითადი რეკომენდაციები, რომლებიც შეიძლება გათვალისწინებული იქნას დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების გარკვეული ნაწილის, უმეტესწილად - სუროგაციის, სამართლებრივი მონესრიგების დროს.

I თავი. დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიები: არსი და მნიშვნელობა

რეპროდუქციული მედიცინის, შეიძლება თამამად ითქვას, რევოლუციური მიღწევების შედეგად შემუშავდა ისეთი სამედიცინო ტექნოლოგიები და მეთოდები, რომლითაც შესაძლებელი გახდა სქესობრივი კავშირის გარეშე ადამიანის ხელოვნურად ჩასახვა და თუნდაც მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში შედეგის მომტანი ტრადიციული მკურნალობისათვის⁴ განწირული უშვილობის⁵ პრობლემების გადაჭრა. ეს მეთოდები ცნობილია „დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების“⁶ სახელწოდებით.

დღესდღეობით საერთაშორისო საზოგადოებაში არ არსებობს ერთიანი უნიფიცირებული დამოკიდებულება დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით⁷, ასევე, არ არსებობს ცალსახა არგუმენტირებული პასუხი კითხვაზე, უნდა იქნას თუ არა კანონმდებლობით დაშვებული ამ ტექნოლოგიების გზით ხელოვნურად ადამიანის ჩასახვა, უნდა დააწესოს თუ არა სახელმწიფომ გარკვეული შეზღუდვები ამ სამედიცინო პროცედურებთან ან მის ზოგიერთ სახეობასთან მიმართებით. სწორედ ამ ერთიანი ჩამოყალიბებული პოზიციის არარსებობა მიზეზია იმისა, რომ საერთაშორისო ნორმატიულ სივრცეში არ მოგვეპოვება სავალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც დაავალდებულებდა ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებს, ადგილობრივ კანონმდებლობაში ხელშეკრულებით მონესრიგებული ნორმების

⁴ უშვილობის (უნაყოფობის) მკურნალობის ტრადიციულ მეთოდებში იგულისხმება მედიკამენტოზური და ქირურგიული მკურნალობა იმ მიზნით, რომ საბოლოო ჯამში მკურნალობის შედეგად მიღწეული იქნას ქალის ორსულობა სქესობრივი კავშირის გზით ან როდესაც სამედიცინო ჩვენების შესაბამისად არსებობს ამ გზით ორსულობის მიღების შესაძლებლობა.

⁵ უნაყოფობის კლინიკური დეფინიცია განისაზღვრება როგორც „რეპროდუქციული სისტემის დაავადება, რომელიც დგინდება მინიმუმ 12 თვის განმავლობაში რეგულარული, დაუცველი სექსუალური კავშირის შემდგომ კლინიკური ორსულობის მიღწევის შეუძლებლობით. იხ. Zegers-Hochschild F., Adamson G. D., Mouzon J. de., Ishihara O., Mansour R., Nygren K., Sullivan E., Vanderpoel S., The International Committee for Monitoring Assisted Reproductive Technology (ICMART) and the World Health Organization (WHO) Revised Glossary on ART Terminology, Fertility & Sterility, Vol. 92, No. 5, 2009, 1521, 1522.

⁶ სამედიცინო ინგლისურენოვან იურიდიულ ლიტერატურაში ტერმინი „დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიები“ (ინგლისურად - Assisted Reproductive Technologies) ხშირ შემთხვევაში გამოიყენება შემოკლებული დასახელებით „ART“, რუსულენოვან ლიტერატურაში დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების („Вспомогательные Репродуктивные Технологии“) აღსანიშნავად იყენებენ შემოკლებულ დასახელებას „BPT“.

⁷ განსაკუთრებული წინააღმდეგობა არსებობს დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებს შორის ყველაზე კომპლექსური მეთოდის - სუროგაციის აკრძალვისა თუ დაშვების თაობაზე.

შესაბამისად ამომწურავად აესახათ დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული საკითხები.

ერთადერთი სავალდებულო საერთაშორისო ხასიათის დოკუმენტი, რომელიც ნაწილობრივ ეხება დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების გამოყენების მხოლოდ მცირეოდენ ცალკეულ ასპექტს, არის 1997 წელს მიღებული კონვენცია „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“ (შემდგომში „ოვიდოს კონვენცია“)⁸, რომლის ძირითადი მიზანი ბიოლოგიისა და მედიცინის სფეროში ადამიანის ღირსებისა და იდენტობის დაცვა და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე თითოეული პირის ხელშეუხებლობის, სხვა უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის უზრუნველყოფაა. „ოვიდოს კონვენციის“ მე-13 მუხლის შესაბამისად „ადამიანის გენომის ცვლილების განსახორციელებლად ჩარევა დაიშვება მხოლოდ პროთეილაქტიკური, თერაპიული ან დიაგნოსტიკური მიზნით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი მიზანი არ არის შთამომავლობის გენომის ნებისმიერი სახით შეცვლა“, მე-14 მუხლის თანახმად „დაუშვებელია მომავალი ბავშვის სქესის შერჩევის მიზნით დამხმარე სამედიცინო ტექნოლოგიების გამოყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აუცილებელია სქესთან დაკავშირებული მძიმე მემკვიდრეობითი დაავადების თავიდან აცილება“, მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი კრძალავს კვლევის ჩატარების მიზნით ადამიანის ემბრიონის შექმნას, იმავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად კი, თუ კანონმდებლობით დაშვებულია ემბრიონზე ინ ვიტრო კვლევის ჩატარება, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ემბრიონის ადეკვატური დაცვა⁹.

არასავალდებულო ხასიათის ერთადერთი საერთაშორისო დოკუმენტი კი, რომელიც ზოგად რეგულაციებს გვთავაზობს ადამიანის ხელოვნურად ჩასახვასთან დაკავშირებით, რეპროდუქციული ტექნოლოგიების

⁸ კონვენცია „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“, მიღებულია 1997 წლის 4 აპრილს, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2000 წლის 27 სექტემბერს, საქართველოსთვის ძალაშია 2001 წლის 1 მარტიდან. აქვე აღსანიშნავია, რომ იმავე კონვენციის დამატებითი ოქმი „ადამიანის ორგანოებისა და ქსოვილების გადანერგვის შესახებ“ პირდაპირ გამორიცხავს ოქმის მოქმედებას რეპროდუქციულ ორგანოებზე, ქსოვილებსა და ემბრიონზე. იხ. „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“ კონვენციის დამატებითი ოქმი „ადამიანის ორგანოებისა და ქსოვილების გადანერგვის შესახებ“, მიღებულია 2002 წლის 24 იანვარს, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2002 წლის 27 სექტემბერს, საქართველოსათვის ძალაშია 2006 წლის 01 მაისიდან. იგივენაირად „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“ კონვენციის დამატებითი ოქმი „ბიოსამედიცინო კვლევის შესახებ“ ადგენს, რომ ოქმი არ ეხება „ემბრიონზე *in vitro* [ორგანიზმის გარეთ] ჩატარებულ კვლევას, ის ეხება კვლევას ნაყოფზე და *in vivo* [ორგანიზმის შიგნით] კვლევას ემბრიონზე“. იხ. „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“ კონვენციის დამატებითი ოქმი „ბიოსამედიცინო კვლევის შესახებ“, მიღებულია 2004 წლის 30 ივნისს, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2009 წლის 20 ოქტომბერს, საქართველოსათვის ძალაშია 2010 წლის 01 აგვისტოდან.

⁹ იხ. კონვენცია „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“.

აღმოცენების დასაწყის პერიოდში - 1989 წელს მიღებული ადამიანის ხელოვნურად ჩასახვის შესახებ ევროსაბჭოს მოქმედი კომიტეტის ანგარიშში ასახული პრინციპებია (შემდგომში „ევროსაბჭოს პრინციპები“), რომლებიც სარეკომენდაციო ხასიათისაა ევროსაბჭოს წევრი ქვეყნებისათვის, და რომლებიც გარკვეულ შეზღუდვებსა და აკრძალვებს ადგენენ ადამიანის ხელოვნურად ჩასახვის ტექნოლოგიების გამოყენებასთან მიმართებით. ზოგადი პრინციპის შესაბამისად, ამ ტექნოლოგიების გამოყენება, იმ შეზღუდვებისა და აკრძალვების გათვალისწინებით, რომლებიც იმავე ანგარიშშია ასახული, დასაშვებია „ჰეტეროსექსუალი წყვილების სასარგებლოდ, თუ არსებობს მომავალი ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფი სათანადო პირობები და მხოლოდ მაშინ, როდესაც (ა) უნაყოფობის მკურნალობის სხვა მეთოდები უშედეგოა ან მოცემულ შემთხვევაში არასათანადოა ან არ იძლევა წარმატების პერსპექტივას; ან არსებობს ბავშვზე მძიმე მემკვიდრული დაავადების გადაცემის სერიოზული რისკი; ან არსებობს სერიოზული რისკი იმისა, რომ ბავშვი დაავადდება სხვა ისეთი დაავადებით, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს მისი ადრეული სიკვდილი ან მძიმე უნარშემოღებლობა; და (ბ) არსებობს წარმატების გონივრული შანსი და არ აღინიშნება დედის ან ბავშვის ჯანმრთელობისათვის უარყოფითი ზემოქმედების მნიშვნელოვანი რისკი“¹⁰.

დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების რეგულირებაზე სახელმწიფოთა კონსენსუსის არარსებობის¹¹ და, შესაბამისად, ამ საკითხის მომწესრიგებელი უნიფიცირებული ე.წ. “hard law”, მავალდებულებელი საერთაშორისო დოკუმენტის არარსებობის პირობებში თითოეული სახელმწიფო ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრავს და არეგულირებს ამ ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ საკითხებს. არსებობს სახელმწიფოთა რადიკალურად განსხვავებული ხედვები ადამიანის ხელოვნურად ჩასახვის ამ მეთოდებთან მიმართებით, რომლებიც მათ ადგილობრივ კანონმდებლობაშია ასახული. შესაბამისად, განსხვავებულია სასამართლო პრაქტიკაც დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიის ამა თუ იმ სახეობის გამოყენებასა და გამოყენების შედეგებთან დაკავშირებულ საქმეებზე, რადგან ასეთი საქმეების განხილვა და გადაწყვეტა ძირითადად წარმოებს საქმის განხილველი სასამართლოს ქვეყნის შესაბამისი მარეგულირებელი ნორმების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, ვერ ხერხდება და სამართლებრივად არასწორიცაა ერთი კონკრეტული სახელმწიფოს სასამართლოს მიერ სხვა ისეთი სახელმწიფოს

¹⁰ ob. Report on Human Artificial Procreation Principles-Set out in the Report of the Ad Hoc Committee of Experts on Progress in The Biomedical Sciences, 1989. <<https://rm.coe.int/16803113e4>>[12.11.2017].

¹¹ კონსენსუსის არარსებობა განსაკუთრებულად ვლინდება სუროგაციასთან, კონკრეტულად კი მის დაშვებასა თუ აკრძალვასთან დაკავშირებულ საკითხზე.

სასამართლო პრაქტიკის სრულად გაზიარება, რომლის დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების მომწესრიგებელი კანონმდებლობა რადიკალურად განსხვავდება მოცემული სასამართლოს ქვეყნის ადგილობრივი კანონმდებლობისაგან.

თუმცა, დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების ცალკეულ მეთოდზე სახელმწიფოების განსხვავებული ხედვებისა და სამართლებრივი მონესრიგების ანალიზის, ისევე, როგორც ზოგიერთ, ამ ტექნოლოგიის გამოყენებასთან დაკავშირებულ, დავებზე სასამართლოების გადანყვეტილებების მიმოხილვის¹² მიზნით აუცილებელია, თავდაპირველად განხორციელდეს რეპროდუქციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული იმ საბაზისო საკითხების განმარტება, რომლებიც ეხება ტექნოლოგიების სამედიცინო ასპექტებსა და ძირითად ეთიკურ არგუმენტებს მათი ყველაზე საკამათო მეთოდის - სუროგაციის განხორციელების მიზანშეწონილობაზე. შესაბამისად, წინამდებარე თავის მიზანიც სწორედ ტექნოლოგიების სამედიცინო ასპექტებთან, მათი განმახორციელებელი სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობასა და ყველაზე კომპლექსური ტექნოლოგიის - სუროგაციის ძირითად ეთიკურ არგუმენტებთან დაკავშირებული საკითხების ზოგადი მიმოხილვაა.

1. დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების არსი და სახეები

დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიები „ქოლგა ტერმინია“¹³, რომელიც აღნიშნავს და მოიცავს უნაყოფობის მკურნალობის რამდენიმე განსხვავებულ მეთოდს და რომელთაც გააჩნიათ ერთი საერთო მახასიათებელი: რეპროდუქციის მიზნებისათვის წარმოებს ემბრიონზე¹⁴

¹² სხვადასხვა სახელმწიფოს ადგილობრივი კანონმდებლობის შედარებით კვლევას, საერთაშორისო და ადგილობრივი სასამართლოების გადანყვეტილებების მიმოხილვასა და ანალიზს, ძირითადად დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების ყველაზე საკამათო მეთოდსა და წინამდებარე ნაშრომის საკვლევ თემასთან - სუროგაციასთან მიმართებით, დეტალურად ეხება ნაშრომის II, III და IV თავები.

¹³ Kokiasmenos M., Mihalich L., Assisted Reproductive Technology, The Georgetown Journal of Gender and the Law, Vol. V, Number 1, 2004, 620.

¹⁴ ემბრიონი - განაყოფიერების 8 კვირის შემდგომ ზიგოტის დაყოფის შედეგი ემბრიონის სტადიის ბოლომდე [ნაყოფის ჩამოყალიბებამდე]. განაყოფიერება კი განისაზღვრება, როგორც სპერმატოზოიდის შეღწევალობა კვერცხუჯრედში და მათი გენეტიკური მასალის კომბინაცია, რაც იწვევს ზიგოტის წარმოქმნას. იხ. Zegers-Hochschild F., Adamson G. D., Mouzon J. de., Ishihara O., Mansour R., Nygren K., Sullivan E., Vanderpoel S., The International Committee for Monitoring Assisted Reproductive Technology (ICMART) and the World Health Organization (WHO) Revised Glossary on ART Terminology, Fertility & Sterility, Vol. 92, No. 5, 2009, 1522.

ან/და გამეტებზე¹⁵ ლაბორატორიული ან კლინიკური ტექნოლოგიების გამოყენება (საკვერცხეების ან სპერმის მანიპულაცია ორგანიზმის გარეთ)¹⁶.

„ბიოტექნოლოგიური მანიპულაციების ჩართულობის ხარისხის ან პროცესში მონაწილე პირების რაოდენობის თვალსაზრისით“¹⁷ განასხვავებენ დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების შემდეგ მეთოდებს: (1) საშვილოსნოსშიდა ინსემინაცია (IUI)¹⁸; (2) ინ ვიტრო განაყოფიერება (IVF)¹⁹; (3) ინ ვიტრო განაყოფიერებასთან დაკავშირებული პროცედურები, მათ შორის, გამეტის (სპერმის და კვერცხუჯრედის) ამოღება-ასპირაცია, გამეტებისა და ემბრიონების კრიოპრეზერვაცია, ემბრიონის გადატანა, პრე-ემპლანტაციური გენეტიკური დიაგნოსტიკა (PGD)²⁰ და ემბრიონების კვლევის შემდგომი ტექნიკები;²¹ და (4) „კოლაბორაციული რეპროდუქცია“²², რაც, ზოგიერთ შემთხვევაში, მოიხსენიება, როგორც „დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგია მესამე პირთა ჩართულობით“²³ (გამეტის დონაცია და სუროგაცია).

¹⁵ გამეტა-ადამიანის სასქესო, რეპროდუქციული უჯრედი: კვერცხუჯრედი ან სპერმატოზოიდი. Mosby's Medical Dictionary, 9th Edition, 2012. <<https://medical-dictionary.thefreedictionary.com/Gametes>>[12.11.2017].

¹⁶ აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიები განიმარტება უფრო ვიწროდ, ამ მეთოდებში არ შედის ქალის პარტნიორის ან დონორის სპერმის გამოყენებით ხელოვნური ინსემინაცია (მათ შორის საშვილოსნოსშიდა ინსემინაცია) და მოიცავს მხოლოდ ყველა იმ მკურნალობას ან პროცედურას, რომლის დროსაც ხორციელდება ორსულობის დადგენის მიზნით ადამიანის კვერცხუჯრედის, სპერმის ან ემბრიონის *in vitro* [ორგანიზმის გარეთ] დამუშავება (მათ შორისაა ინ ვიტრო განაყოფიერება, ემბრიონის გადატანა, გამეტისა და ემბრიონის კრიოპრეზერვაცია, კვერცხუჯრედისა და ემბრიონის დონაცია, გესტაციური სუროგაცია). ყველა იმ პროცედურისა და მეთოდების, მათ შორის დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების, საკვერცხეების კონტროლირებული სტიმულაციისა და საშვილოსნოსშიდა ინსემინაციის, აღსანიშნავად კი, როდესაც რეპროდუქცია წარმოებს სამედიცინო ჩარევით, იყენებენ ტერმინს „სამედიცინო დახმარებით რეპროდუქცია“ (Medically Assisted Reproduction (MAR)). იხ. Zegers-Hochschild F., Adamson G. D., Mouzon J. de., Ishihara O., Mansour R., Nygren K., Sullivan E., Vanderpoel S., The International Committee for Monitoring Assisted Reproductive Technology (ICMART) and the World Health Organization (WHO) Revised Glossary on ART Terminology, Fertility & Sterility, Vol. 92, No. 5, 2009, 1521, 1523. წინამდებარე ნაშრომში საშვილოსნოსშიდა ინსემინაცია განხილულია, როგორც დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიის მეთოდი.

¹⁷ Steiner E., Rosu. A. M., Medically Assisted Human Reproductive Technologies (ART) and Human Rights – The European Perspective, *Frontiers of Law in China*, Vol. 11, No. 2, 2016, 341.

¹⁸ Intrauterine insemination.

¹⁹ In vitro fertilization.

²⁰ Pre-implantation genetic diagnosis.

²¹ Steiner E., Rosu A. M., Medically Assisted Human Reproductive Technologies (ART) and Human Rights – The European Perspective, *Frontiers of Law in China*, Vol. 11, No. 2, 2016, 341.

²² collaborative reproduction.

²³ third-party ART.

1.1. საშვილოსნოსშიდა ინსემინაცია

საშვილოსნოსშიდა ინსემინაცია²⁴ ისეთი მეთოდია, რომლის დროსაც წარმოებს ქალის ოვულაციის პერიოდში მის საშვილოსნოში კონცენტრირებული სპერმის შეყვანა სექსუალური კავშირის გარეშე ორსულობის მიღების მიზნით. იშვიათად, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, ეს პროცედურა მოიხსენიება, ასევე, როგორც *in vivo* („ორგანიზმში“) განაყოფიერება. აღნიშნული პროცედურა შეიძლება განხორციელდეს საკვერცხეების სტიმულაციასთან ერთად.²⁵

1.2. ინ ვიტრო განაყოფიერება და მასთან დაკავშირებული პროცედურები

1.2.1. ინ ვიტრო განაყოფიერების განმარტება

„ინ ვიტრო განაყოფიერება დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების პროცედურებში ყველაზე მეტად ცნობილი და წარმატებული მკურნალობაა უნაყოფობის შემთხვევების უმრავლესობისათვის“²⁶. დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიის ამ მეთოდმა, რომელიც „დაიბადა“ 1970-იანი წლების ბოლოს ინგლისის კლინიკაში, წლების განმავლობაში მოიპოვა

²⁴ ზოგიერთ შემთხვევაში მიიჩნევენ, რომ ხელოვნური ინსემინაცია სპერმის გამოყენებით არ მიეკუთვნება დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებს და იგი სამედიცინო დახმარებით რეპროდუქციის (Medically Assisted Reproduction) მეთოდია. იხ. Zegers-Hochschild F., Adamson G. D., Mouzon J. de., Ishihara O., Mansour R., Nygren K., Sullivan E., Vanderpoel S., The International Committee for Monitoring Assisted Reproductive Technology (ICMART) and the World Health Organization (WHO) Revised Glossary on ART Terminology, Fertility & Sterility, Vol. 92, No. 5, 2009, 1521.

²⁵ საკვერცხეების სტიმულირებისას გამოიყენება ქალის მედიკამენტოზური მკურნალობა კვერცხუჯრედების მიღების მიზნით შესაბამისი სამედიცინო ჩვენებით განსაზღვრული საჭიროებისას. დამატებით იხ. Bychkov Green S., Interstate Intercourse: How Modern Assisted Reproductive Technologies Challenge the traditional Realm of Conflicts of Law, Wisconsin Journal of Law, Gender and Society, Vol. 24, Issue 1, 2009, 29-30. დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიის გამოყენებისას, საკვერცხეების სტიმულაცია მოიხსენიება, ასევე, როგორც საკვერცხეების კონტროლირებული სტიმულაცია, რაც განისაზღვრება, როგორც ფარმაკოლოგიური მკურნალობა, რომლის დროსაც ხდება ქალების სტიმულაცია საკვერცხეების მრავლობითი ფოლიკულების განვითარების სტიმულაციისათვის მრავლობითი კვერცხუჯრედის ამოსაღებად ფოლიკულების ასპირაციის დროს. იხ. Zegers-Hochschild F., Adamson G. D., Mouzon J. de., Ishihara O., Mansour R., Nygren K., Sullivan E., Vanderpoel S., The International Committee for Monitoring Assisted Reproductive Technology (ICMART) and the World Health Organization (WHO) Revised Glossary on ART Terminology, Fertility & Sterility, Vol. 92, No. 5, 2009, 1521.

²⁶ Bychkov Green S., Interstate Intercourse: How Modern Assisted Reproductive Technologies Challenge the traditional Realm of Conflicts of Law, Wisconsin Journal of Law, Gender and Society, Vol. 24, Issue 1, 2009, 30.

პოპულარობა და აღიარება²⁷. ინ ვიტრო განაყოფიერება გულისხმობს ისეთ სამედიცინო პროცედურას, რომლის დროსაც წარმოებს სპეციალური სამედიცინო ჩარევის გზით მიღებული ქალისა და მამაკაცის გამეტების (კვერცხუჯრედის და სპერმის) შერწყმა ლაბორატორიულ პირობებში ემბრიონის მისაღებად²⁸.

ინ ვიტრო განაყოფიერების პირველ ეტაპზე ხორციელდება ქალის საკვერცხეების მედიკამენტოზური სტიმულაცია, რის შედეგადაც ხელოვნურად, სამედიცინო ჩარევის გზით წარმოებს ქალის საკვერცხეებიდან ფოლიკულების ამოღება²⁹ და მისი სპეციალურ ჭურჭელში (სინჯარაში) მოთავსების შემდგომ კვერცხუჯრედის განაყოფიერება მამაკაცის სპერმით³⁰. განაყოფიერების შედეგად მიიღება ემბრიონი, რომელიც შემდგომში გადააქვთ ქალის საშვილოსნოში იმ მიზნით, რომ ემბრიონი

²⁷ იქვე.

²⁸ ადამიანის ხელოვნურად ჩასახვის შესახებ ევროსაბჭოს ექსპერტთა კომიტეტის ანგარიშში ასახული პრინციპების მიხედვით *in vitro* განაყოფიერება არის ინსტრუმენტული გზით ამოღებული ადამიანის კვერცხუჯრედისა და სპერმატოზოიდის შერწყმა ხელოვნურად შექმნილ ჭურჭელში. იხ. Report on Human Artificial Procreation Principles-Set out in the Report of the Ad Hoc Committee of Experts on Progress in The Biomedical Sciences, 1989. <<https://rm.coe.int/16803113e4>> [12.11.2017]. საქართველოს კანონმდებლობა ტერმინ „ინ ვიტრო განაყოფიერება“-ს ნაცვლად იყენებს ტერმინს „ექსტრაკორპორული განაყოფიერება“. ეს ორი ტერმინი ერთი და იმავე სამედიცინო პროცედურის აღმნიშვნელია, თუმცა, „ექსტრაკორპორული განაყოფიერება“ გამოიყენება მხოლოდ რუსულენოვან ლიტერატურასა და სამედიცინო ტერმინოლოგიაში, ზოგადად კი ფართოდ მიღებულია მის აღსანიშნავად ტერმინი „ინ ვიტრო (*in vitro*) განაყოფიერება.“ იხ. წინამდებარე ნაშრომის IV თავი.

²⁹ ფოლიკულის/ფოლიკულების ამოღების პროცედურა ცნობილია როგორც „ფოლიკულების ასპირაცია“ (follicular aspiration). იხ. Zegers-Hochschild F., Adamson G. D., Mouzon J. de., Ishihara O., Mansour R., Nygren K., Sullivan E., Vanderpoel S., The International Committee for Monitoring Assisted Reproductive Technology (ICMART) and the World Health Organization (WHO) Revised Glossary on ART Terminology, Fertility & Sterility, Vol. 92, No. 5, 2009, 1522.

³⁰ იმის გამო, რომ ინ ვიტრო განაყოფიერების მეთოდით განაყოფიერება წარმოებს სინჯარაში, ზოგიერთი ავტორი ამ გზით დაბადებულ ბავშვებს „სინჯარის ბავშვების“ (“test tube babies”) სახელით მოიხსენიებს. მაგ, Steeves Sh. M., Artificial Human Reproduction: Legal Problems Presented by the Test Tube Baby, Emory Law Journal, Vol. 28, Issue 4, 1979, 1045-1080; Sheldon J. C., Test Tube Babies Meet Stone Age Statutes, Maine Bar Journal, Vol. 27, Issue 3, 2012, 140-149; Sedillo L. A., Test Tube Babies, Surrogate Mothers, Frozen Embryos: Searching for Solutions, New Mexico Law Review, Vol. 20, Issue 3, 1990, 701-712. ბავშვების ამგვარი მოხსენიება, რა გზითაც არ უნდა იყვნენ ისინი დაბადებულნი, არ არის მისაღები, მითუმეტეს, არ უნდა მოხდეს ამ ტერმინის დამკვიდრება, რადგან თავად ეს ტერმინი არამართო ხაზს უსვამს ასეთი ბავშვების ჩასახვის პროცესის განსხვავებულობაზე (ბუნებრივი გზით ჩასახული ბავშვებისგან), არამედ შესაძლოა უარყოფითად აისახოს მათ ღირსებაზეც.

მიემაგროს საშვილოსნოს კედელს³¹.

1.2.2. ემბრიონის კრიოპრეზერვაცია და დონაცია

ხშირ შემთხვევაში, ინ ვიტრო განაყოფიერების შედეგად მიიღება საშვილოსნოში გადატანისათვის მიზანშეწონილ რაოდენობაზე მეტი ემბრიონი. ამ შემთხვევებისათვის თანამედროვე მედიცინა წყვილის სურვილის შემთხვევაში იძლევა ემბრიონის გაყინვის, იგივე კრიოპრეზერვაციის, შესაძლებლობას საშვილოსნოში შემდგომი გადატანის პროცედურის განსახორციელებლად. კრიოპრეზერვაცია გულისხმობს ემბრიონის „მოთავსებას ნიტროგების ხსნარში და მის მიხედვით 196 გრადუსზე გაყინვას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, გაღობასა და ქალის ორგანიზმში იმპლანტაციას“.³² „თუ დასაწყისშივე პროცედურა არ არის წარმატებული, ინ ვიტრო განაყოფიერება შეიძლება განმეორდეს გაყინული ემბრიონების გამოყენებით“.³³ შესაბამისად, თუ წყვილი არ გამოთქვამს თანხმობას ემბრიონის ან ემბრიონების გაყინვაზე, იგი ექვემდებარება განადგურებას. თუმცა, ემბრიონის სტატუსის თაობაზე დღემდე არსებული აზრთა სხვადასხვაობის გამო, არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი მიდგომა ემბრიონის კრიოპრეზერვაციასა და მის განადგურებასთან დაკავშირებით.

ევროსაბჭოს ბიოეთიკის კომიტეტის ანგარიშის მიხედვით ემბრიონის „ბუნებასა“ და სტატუსთან მიმართებით არსებობს ოთხი ძირითადი პოზიცია: პირველი პოზიციის მიხედვით, განაყოფიერებული კვერცხუჯრედი ან ემბრიონი განიხილება როგორც ადამიანი და აქვს სიცოცხლის უფლება. დაუშვებელია ისეთი ქმედების განხორციელება, რომელიც შეუძლებელს გახდის, გაართულებს ან ხელს შეუშლის ემბრიონის შემდგომ განვითარებას. „დაუშვებელია თითოეულ განაყოფიერებულ კვერცხუჯრედებსა ან ემბრიონებს შორის სელექციის ნებისმიერი ფორმით განხორციელება, ემბრიონზე კვლევის ჩატარება, რასაც შედეგად მოსდევს ემბრიონის გადადგურება“³⁴. ამ პოზიციის მომხრეები, ასევე, დაუშვებლად მიიჩნევენ

³¹ სხვა სიტყვებით რომ ითქვას, განხორციელდეს ემბრიონის იმპლანტაცია საშვილოსნოს კედელზე.

³² გელაშვილი ი., ჩანასახის სამოქალაქო-სამართლებრივი მდგომარეობა, თბილისი, 2012, 63. მითითებულია: Arado Th., Frozen Embryos and Divorce: Technological Marcel Meets The Human Condition, Northern Illinois University Law Review, Vol. 21, 2001, 244.

³³ Bychkov Green S., Interstate Intercourse: How Modern Assisted Reproductive Technologies Challenge the traditional Realm of Conflicts of Law, Wisconsin Journal of Law, Gender and Society, Vol. 24, Issue 1, 2009, 30.

³⁴ იხ. Council of Europe, Steering Committee on Bioethics (CDBI), The Protection of the Human Embryo *in vitro*, Report by the Working Party on the Protection of the Human Embryo and Fetus (CDBI-CO-GT3), Strasbourg, 19 June 2003. <http://www.coe.int/t/dg3/healthbioethic/Activities/04_Human_embryo_and_foetus_en/CDBI-

ორსულობის შეწყვეტას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ორსულობის გაგრძელება დედის სიცოცხლეს აშკარა საფრთხეს უქმნის. პარიზის უნივერსიტეტის უჯრედოვანი გენეტიკის ცნობილი ფრანგი პროფესორი ლეჟენი (Jerome Lejeune) აღნიშნავდა, რომ „ისევე როგორც ყველა ის მეცნიერი, რომელიც მიუკერძოებლად აკვირდება ბიოლოგიურ მოვლენებს, მე ვფიქრობ, რომ ადამიანური არსება თავის სიცოცხლეს იწყებს განაყოფიერების მომენტიდან“³⁵.

პირველი პოზიციის, რომელსაც „აბსოლუტურ პოზიციად“ ასახელებენ³⁶, არგუმენტებს რადიკალურად უპირისპირდება მეორე პოზიციის, ე.წ. ლიბერალური პოზიციის, მომხრეთა ხედვები. კერძოდ, მიიჩნევა, რომ ემბრიონს საერთოდ არ გააჩნია მორალური ღირებულება ან მცირეოდენი მორალური ღირებულების მატარებელია. აქედან გამომდინარე, მას არ აქვს სიცოცხლის უფლება და არ საჭიროებს რაიმე განსაკუთრებულ დაცვას. ამ მოსაზრების მხარდამჭერები დასაშვებად მიიჩნევენ ემბრიონზე კვლევის ჩატარებას, რასაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს მისი განადგურება³⁷.

მესამე - „გრადუალისტური“ პოზიცია მიიჩნევს, რომ „განაყოფიერებული კვერცხუჯრედი თანდათანობით ვითარდება ადამიანურ არსებად“ და, რომ „ემბრიონს გააჩნია მნიშვნელოვანი, თუმცა არა აბსოლუტური ღირებულება“³⁸. აღსანიშნავია, რომ ამ პოზიციის მომხრეთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა იმასთან დაკავშირებით, თუ რა მომენტიდან წარმოემგება ემბრიონს „უფლებამოსილება უფლებებზე“³⁹ და, თუ რა მომენტიდან უნდა მიენიჭოს მას მაქსიმალური დაცვა. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, განვითარების რომელ ეტაპზე მიიჩნევა ემბრიონი სიცოცხლის უფლების მატარებლად. არსებობს მოსაზრება, რომ „რადგან განვითარება განგრძობადი პროცესია, უფლებებსა და დაცვაზე უფლებამოსილება პროგრესულად იზრდება განვითარების განმავლობაში, სრული დაცვა და

CO-GT3(2003)13E.pdf> [12.11.2017].

³⁵ იხ. Перевозчикова Е. В., Конституционное право на жизнь и репродуктивные права человека, диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Казань, 2006, 19.

³⁶ იხ. იქვე, 18.

³⁷ იხ. Council of Europe, Steering Committee on Bioethics (CDBI), The Protection of the Human Embryo *in vitro*, Report by the Working Party on the Protection of the Human Embryo and Fetus (CDBI-CO-GT3), Strasbourg, 19 June 2003; <[http://www.coe.int/t/dg3/healthbioethic/Activities/04_Human_embryo_and_foetus_en/CDBI-CO-GT3\(2003\)13E.pdf](http://www.coe.int/t/dg3/healthbioethic/Activities/04_Human_embryo_and_foetus_en/CDBI-CO-GT3(2003)13E.pdf)> [12.11.2017].

³⁸ იხ. იქვე.

³⁹ entitlement to rights.

უფლებები კი [ემბრიონს] ენიჭება სიცოცხლისუნარიანობის მომენტში⁴⁰. ზოგიერთს მიაჩნია, რომ „სრული უფლებების“ წარმოშობა ხდება მხოლოდ დაბადებისას⁴¹. არსებობს მოსაზრება, რომ „*in vitro* ვიტრო ემბრიონს ნაკლები მორალური სტატუსი აქვს, ვიდრე *in vivo*-ს, ვინაიდან განაყოფიერებული კვერცხუჯრედი, სანამ არ მიემაგრება საშვილოსნოს კედელს, არ არის ემბრიონი და იმპლანტაციის გარეშე იგი ვერასოდეს გახდება ადამიანი“⁴².

ინ ვიტრო განაყოფიერების შედეგად შექმნილი ემბრიონების გამოყენების საკითხს, ასევე, უკავშირდება ემბრიონების დონაცია, რომლის დროსაც წარმოებს ემბრიონის დონაცია-დათმობა იმ პირების მიერ, რომელთა გამეტებითაც შეიქმნა ეს ემბრიონი. ემბრიონის დონაცია ხდება იმ პირების ან პირის სასარგებლოდ, რომელსაც/რომელთაც გენეტიკური კავშირი არ აქვთ ემბრიონთან. დონაცია ასევე შეიძლება განხორციელდეს სამეცნიერო კვლევის მიზნებისთვისაც. როგორც იურიდიულ დოქტრინაში, ასევე, სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში არ არსებობს ერთიანი პოზიცია ემბრიონის დონაციის დაშვებასთან მიმართებით. აზრთა სხვადასხვაობის ძირითადი მიზეზი გამონვეულია ემბრიონის ზუსტი სამართლებრივი სტატუსის თაობაზე ერთიანი კონსესუსალური მიდგომის არარსებობით⁴³.

⁴⁰ იხ. Council of Europe, Steering Committee on Bioethics (CDBI), The Protection of the Human Embryo *in vitro*, Report by the Working Party on the Protection of the Human Embryo and Fetus (CDBI-CO-GT3), Strasbourg, 19 June 2003. <[http://www.coe.int/t/dg3/healthbioethic/Activities/04_Human_embryo_and_foetus_en/CDBI-CO-GT3\(2003\)13E.pdf](http://www.coe.int/t/dg3/healthbioethic/Activities/04_Human_embryo_and_foetus_en/CDBI-CO-GT3(2003)13E.pdf)> [12.11.2017].

⁴¹ იხ. იქვე.

⁴² იხ. გელაშვილი ი., ჩანასახის სამოქალაქო-სამართლებრივი მდგომარეობა, თბილისი, 2012, 53. მითითებულია: Katz K., Wells Conference On Adoption Law, The Legal Status Of The Ex Utero Embryo: Implications For Adoption Law, Capital University Law School Review, Vol. 35, 2006, 318.

⁴³ ადამიანის ხელოვნურად ჩასახვის შესახებ ევროსაბჭოს მოქმედი კომიტეტის ანგარიშის მე-11(2) მუხლის შესაბამისად „ხელოვნური განაყოფიერების მიზნით სხვა წყვილისათვის წყვილის მიერ გამოუყენებელი ემბრიონების დონაცია შეიძლება დაშვებული იყოს წევრი სახელმწიფოების მიერ განსაკუთრებულ შემთხვევებში“. იხ. Report on Human Artificial Procreation Principles-Set out in the Report of the Ad Hoc Committee of Experts on Progress in The Biomedical Sciences, 1989. <<https://rm.coe.int/16803113e4>> [12.11.2017]; ემბრიონის დონაციასა და მასთან დაკავშირებულ პრობლემატიკაზე დამატებით იხ. Lambert J. L., Developing a Legal Framework for resolving Disputes Between “Adoptive Parents” of frozen Embryos: A Comparison to Resolutions of Divorce Disputes Between Progenitors, Boston College Law Review, Vol 49, Issue 2, 2008, 529-570; Kindregan C. P. Jr. and McBrien M., Embryo Donation: Unresolved Legal Issues in the Transfer of Surplus Cryopreserved Embryos, Villanova Law Review, Vol. 49, Issue 1, 2004, 169-206; გელაშვილი ი., ჩანასახის სამოქალაქო-სამართლებრივი მდგომარეობა, თბილისი, 2012, 117-132.

1.2.3. ინ ვიტრო განაყოფიერების მეთოდები

თავდაპირველად ინ ვიტრო განაყოფიერების პრაქტიკაში გამოყენების დასაწყის ეტაპზე პროცედურაში ხდებოდა მხოლოდ ორი პირის ჩართვა (განაყოფიერება ჰომოლოგიური ტექნიკით⁴⁴): გამოიყენებოდა პოტენციური მშობლების⁴⁵ ბიოლოგიური მასალა ხელოვნური გზით პოტენციური დედისა და მამის კუთვნილი გამეტების შერწყმის შედეგად მიღებული ემბრიონის პოტენციური, ბიოლოგიური დედისვე საშვილოსნოში გადასატანად. ასეთი, ე.წ. ტრადიციული ინ ვიტრო განაყოფიერების მეთოდით დაბადებული ბავშვი წარმოადგენს პოტენციური დედისა და მამის გენეტიკურ შვილს და ბავშვის გამჩენი ქალი იმავდროულად ბავშვის გენეტიკური დედაა.

თუმცა, სამედიცინო ტექნოლოგიები იმდენად განვითარდა, რომ უშიშროების მკურნალობის ხელოვნური განაყოფიერების მეთოდებში წარმოებს არამართო პოტენციური მშობლების გამეტების გამოყენება, არამედ ამ პროცესში შესაძლებელია ჩაერთოს გამეტის დონორიც და სუროგატი დედაც, თუ პოტენციურ მშობელს არ აქვს გამეტის წარმოქმნის უნარი ან თუ მისი გამეტა უვარგისია განაყოფიერების მიზნებისათვის, ან თუ სამედიცინო ჩვენების საფუძველზე პოტენციურ დედას არ შეუძლია დაორსულება, ორსულობის შენარჩუნება ან თუ ორსულობა მისი ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების რისკის შემცველია⁴⁶. ამ პროცედურებს ზოგიერთ შემთხვევაში მოიხსენიებენ როგორც კოლაბორაციულ რეპროდუქციას ან დამხმარე რეპროდუქციულ

⁴⁴ წყვილის (პოტენციური მშობლების) გამეტებით განაყოფიერება.

⁴⁵ წინამდებარე ნაშრომის მიზნებისათვის ნაშრომში გამოყენებული ტერმინი „პოტენციური მშობლები“ ან „პოტენციური მშობელი“ ან „პოტენციური დედა“ ან „პოტენციური მამა“ გულისხმობს პირებს ან პირს, რომელთა სასარგებლოდაც სრულდება დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიის ესა თუ ის მეთოდი და, რომლებსაც განზრახული აქვთ ამ ტექნოლოგიის შედეგად დაბადებული ბავშვის მიმართ მშობლის უფლებებისა და მოვალეობების განხორციელება და მისი აღზრდა. პოტენციური მშობელი ყოველთვის არ არის ბავშვის გენეტიკური მშობელი (კვერცხუჯრედის ან სპერმის დონაციისას). „პოტენციური დედა“ შეიძლება არ იყოს ბავშვის გამჩენი ქალი (სუროგაციისას).

⁴⁶ პროცესს, რომლის განმავლობაშიც ინ ვიტრო განაყოფიერებისას ხდება პოტენციური მშობლების გარდა სხვა პირების - დონორის, დონორების ან/და სუროგატის ჩართვა, ზოგიერთ შემთხვევაში მოიხსენიებენ როგორც „ინ ვიტრო განაყოფიერებასთან დაკავშირებულ პროცედურებს“ (იხ. Bychkov Green S., Interstate Intercourse: How Modern Assisted Reproductive Technologies Challenge the traditional Realm of Conflicts of Law, Wisconsin Journal of Law, Gender and Society, Vol. 24, Issue 1, 2009, 30.) ან როგორც „კოლაბორაციულ რეპროდუქციას“ (იხ. Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 13.) ან როგორც „დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიას მესამე პირთა ჩართულობით“ (იხ. Steiner E., Rosu. A. M., Medically Assisted Human Reproductive Technologies (ART) and Human Rights – The European Perspective, Frontiers of Law in China, Vol. 11, No. 2, 2016, 341).

ტექნოლოგიას მესამე პირთა ჩართულობით. კოლაბორაციული რეპროდუქცია განისაზღვრება, როგორც რეპროდუქცია, რომლის დროსაც გამოიყენება რეპროდუქციული სხეულის მასალა ან/და უფლებამოსილება პირისგან ან პირებისგან, რომელთაც არ გააჩნიათ ბავშვის აღზრდის განზრახვა ბავშვის აღზრდის მსურველ პირებთან - პოტენციურ მშობლებთან ერთად⁴⁷. მსგავსი მეთოდების გამოყენებით ინ ვიტრო განაყოფიერების პროცესში მონაწილე პირების რაოდენობა შეიძლება სამს აღამეტებოდეს ან მოიცავდეს „სხვა ტექნიკების ჩართვასაც“. მაგალითად, დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების განხორციელების პროცესში შეიძლება გამოყენებული იქნას ისეთი ტექნიკები, რომლებიც მიმართულია ჯანმრთელობის პრობლემების თავიდან ასაცილებლად. მათ შორისაა ემბრიონების სკრინინგი ან პრე-იმპლანტაციური დიაგნოსტიკა (PGD), რომელიც გამოიყენება ემბრიონის დიაგნოსტიკის მიზნით სპეციფიური, გენეტიკურად გადადები დაავადებების ნაყოფისათვის გადადების რისკის პრევენციისათვის. ამ ტექნიკით ტარდება ემბრიონის ქრომოსომული ანომალიების განსაზღვრა სამშობლოსნობში მის გადატანამდე. „ემბრიონებზე კვლევის ტექნოლოგიები, როგორცაა “PGD”, ისტორიულად განვითარდა ძირითადი გენეტიკური დარღვევებისა და დაავადებების სამისამართოდ, თუმცა გამოიყენება ასევე სხვა მიზნებისათვის, რომლებიც შეიძლება მიღწეული იქნას ნაყოფის გენეტიკური სელექციის მეშვეობით. ასეთი მიზნები მოიცავს მომავალი ბავშვის სქესის შერჩევას პირადი პრეფერენციების ან სოციალურად განსაზღვრული არჩევანის ან სურვილის მიხედვით, „შეიქმნას“ ბავშვი, რომლის გენეტიკური ქსოვილის კომპოზიცია შეთავსებადია არსებული დაავადებული ბავშვის ქსოვილთან, რომელსაც ესაჭიროება უჯრედის/ქსოვილის დონაცია“⁴⁸.

⁴⁷ კოლაბორაციული რეპროდუქცია მოიცავს ტექნოლოგიის ისეთ მეთოდებს, როგორცაა ინსემინაცია დონორის სპერმის გამოყენებით, დონორი კვერცხუჯრედის გამოყენება და სურგაცია. იხ. Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 13. ტერმინი „კოლაბორაციული რეპროდუქცია“ გამოყენებულია ამერიკის შეერთებული შტატების კოლუმბიის ოლქის 2016 წლის „კოლაბორაციული რეპროდუქციის ცვლილების კანონით.“ იხ. წინამდებარე ნაშრომის III თავი.

⁴⁸ ასევე ცნობილია როგორც “tissue-matching sibling” ან “saviour sibling”). Steiner E., Rosu. A. M., Medically Assisted Human Reproductive Technologies (ART) and Human Rights – The European Perspective, *Frontiers of Law in China*, Vol. 11, No. 2, June 2016, 342. „ოვიდოს კონვენცია“, ისევე, როგორც ბევრი ქვეყნის კანონმდებლობა კრძალავს დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების გამოყენებას მომავალი ბავშვის სქესის შერჩევის მიზნით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აუცილებელია სქესთან დაკავშირებული მძიმე მედიკალინური დაავადების თავიდან აცილება იხ. კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ, მიღებულია 1997 წლის 4 აპრილს, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2000 წლის 27 სექტემბერს, საქართველოსთვის ძალაშია 2001 წლის 1 მარტიდან. ბოლო პერიოდში დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიები

ინ ვიტრო განაყოფიერების ტექნოლოგიის თვალსაჩინოებისათვის მიზანშეწონილია, განხილული იქნას ამ მეთოდის განხორციელების შესაბამისი ვარიანტები⁴⁹:

ა. ინ ვიტრო განაყოფიერება გამეტის დონორის ჩართულობით⁵⁰

(i) ინ ვიტრო განაყოფიერება დონორის კვერცხუჯრედის გამოყენებით - ინ ვიტრო განაყოფიერების პროცესში მონაწილეობს სამი პირი: პოტენციური მშობლები და კვერცხუჯრედის დონორი. კვერცხუჯრედის ასპირაცია წარმოებს ქალი დონორის ორგანიზმიდან, რომელიც შემდგომში განაყოფიერდება პოტენციური მამის სპერმით. განაყოფიერების შედეგად მიღებულ ემბრიონს გადაიტანენ პოტენციური დედის საშვილოსნოში. აღნიშნული პროცედურის შედეგად დაბადებული ბავშვი გენეტიკურად პოტენციური მამის შვილია და გენეტიკური კავშირი არ აქვს პოტენციურ დედასთან, რომელმაც იგი შვა;

(ii) ინ ვიტრო განაყოფიერება დონორის სპერმის გამოყენებით - ინ ვიტრო განაყოფიერების პროცესში მონაწილეობს სამი პირი: პოტენციური მშობლები და სპერმის დონორი. კვერცხუჯრედის ასპირაცია წარმოებს პოტენციური დედის ორგანიზმიდან, რომელიც შემდგომში განაყოფიერდება დონორი მამაკაცის სპერმით. განაყოფიერების შედეგად მიღებულ ემბრიონს გადაიტანენ პოტენციური დედის საშვილოსნოში. აღნიშნული პროცედურის შედეგად დაბადებულ ბავშვს არ გააჩნია გენეტიკური კავშირი პოტენციურ მამასთან, თუმცა პოტენციური და იმავდროულად მისი გამჩენი ქალის

იმდენად განვითარდა, რომ შესაძლებელი ხდება ემბრიონის შექმნა სამი სხვადასხვა ადამიანის გენეტიკური მასალით, რაც შედეგად იწვევს მემკვიდრეობით გადამდები დაავადებების მოდიფიკაციებს. ეს მეთოდები ცნობილია რამდენიმე ტერმინით, მათ შორის, "mitochondrial manipulation", "oocyte modification", "three-parent babies", "nuclear genome transfer". იხ. Steiner E., Rosu. A. M., Medically Assisted Human Reproductive Technologies (ART) and Human Rights – The European Perspective, *Frontiers of Law in China*, Vol. 11, No. 2, 2016, 342.

⁴⁹ ინ ვიტრო განაყოფიერებასთან დაკავშირებული პროცედურების მოყვანილი ვარიანტების პრაქტიკულად განხორციელება დამოკიდებულია შესაბამის ადგილობრივ საკანონმდებლო რეგულაციებზე. თითოეული ეს პროცედურა განხორციელებადია, თუ კანონი მას დასაშვებად მიიჩნევს. ვარიანტები წარმოდგენილია მხოლოდ სამედიცინო ტექნოლოგიების თვალსაზრისით მათი პრაქტიკულად განხორციელების შესაძლებლობის გათვალისწინებით.

⁵⁰ კვერცხუჯრედის ან სპერმის დონორის გამოყენება ხშირად ხორციელდება ინ ვიტრო განაყოფიერების პროცესში, როდესაც წყვილიდან ერთ-ერთს - ქალს ან მამაკაცს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ესაჭიროებათ ინ ვიტრო განაყოფიერების გამოყენებით მკურნალობისათვის დონორის გამეტების გამოყენება.

გენეტიკური შვილია. საქართველოს კანონმდებლობით დონორის სპერმის გამოყენებით ხელოვნური განაყოფიერებით სარგებლობის შესაძლებლობა გააჩნია როგორც წყვილს, ასევე მარტოხელა ქალსაც მამაკაცი პარტნიორის - ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში ბავშვის მამად ჩასაწერი პირის გარეშე⁵¹;

(iii) სამედიცინო თვალსაზრისით ინ ვიტრო განყოფიერების დროს შესაძლებელია ერთდროულად გამოყენებული იყოს როგორც კვერცხუჯრედის, ასევე, სპერმის დონორიც.⁵² ბუნებრივია, ასეთ დროს სახეზე გვაქვს პროცესში ოთხი პირის მონაწილეობა: პოტენციური დედის, პოტენციური მამის, კვერცხუჯრედის დონორისა და სპერმის დონორის. კვერცხუჯრედის ასპირაცია წარმოებს კვერცხუჯრედის დონორის ორგანიზმიდან, რომელიც შემდგომში განაყოფიერდება დონორი მამაკაცის სპერმით. განაყოფიერების შედეგად მიღებულ ემბრიონს გადაიტანენ პოტენციური დედის საშვილოსნოში. აღნიშნული პროცედურის შედეგად დაბადებულ ბავშვს არ გააჩნია გენეტიკური კავშირი არცერთ პოტენციური მშობელთან, თუმცა, მის გესტაციასა და დაბადებას ახდენს პოტენციური დედა.

ბ. ინ ვიტრო განაყოფიერება სუროგატი დედის ჩართულობით: სუროგაცია ანუ „დონორი საშვილოსნოს“⁵³ გამოყენება⁵⁴

ინ ვიტრო განაყოფიერება იძლევა რამდენიმე სახის სუროგაციის წარმოების შესაძლებლობას. „წარსულში გავრცელებული იყო ტრადიციული სუროგაციის“ ორი სახეობა, როდესაც სუროგატი იმავდროულად ბიოლოგიური დედაა და სპერმა ეკუთვნის პოტენციური მამას ან დონორს⁵⁵. სხვა შემთხვევაში ხორციელდება „გესტაციური სუროგაცია“, როდესაც გესტაციურ მატარებელს [სუროგატ დედას] გენეტიკური კავშირი არ აქვს ბავშვთან და, როდესაც კვერცხუჯრედი

⁵¹ საქართველოს კანონმდებლობის დეტალური ანალიზი იხ. წინამდებარე ნაშრომის IV თავში.

⁵² ასეთი პროცედურა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კანონი მას არ კრძალავს.

⁵³ სუროგაციასთან მიმართებით ტერმინი „დონორი საშვილოსნო“ - “Donor Uterus” გამოყენებულია: Bychkov Green S., Interstate Intercourse: How Modern Assisted Reproductive Technologies Challenge the traditional Realm of Conflicts of Law, Wisconsin Journal of Law, Gender and Society, Vol. 24, Issue 1, 2009, 34.

⁵⁴ სუროგაციის არსთან და სახეობებთან დაკავშირებით დეტალურად იხილეთ წინამდებარე თავის მე-2 ქვეთავი.

⁵⁵ Steiner E., Rosu M. A., Medically Assisted Human Reproductive Technologies (ART) and Human Rights – The European Perspective, Frontiers of Law in China, Vol. 11, No. 2, 2016, 342.

პოტენციურ დედას ან დონორს ეკუთვნის ან პროცედურაში გამოყენებულია პოტენციურ მამის ან დონორის სპერმა⁵⁶.

(i) გესტაციური სუროგაცია ჰომოლოგიური ტექნიკით (სრული გესტაციური სუროგაცია): პროცესში მონაწილეობას იღებს სამი პირი: პოტენციური მშობლები და სუროგატი დედა. კვერცხუჯრედის ასპირაცია წარმოებს პოტენციური დედის ორგანიზმიდან, რომელიც შემდგომში განაყოფიერდება პოტენციური მამის სპერმით. განაყოფიერების შედეგად მიღებულ ემბრიონს გადაიტანენ სუროგატი დედის საშვილოსნოში. აღნიშნული პროცედურის შედეგად დაბადებული ბავშვი პოტენციური დედისა და მამის გენეტიკური შვილია და გენეტიკური კავშირი არ აქვს სუროგატ დედასთან, რომელმაც იგი შვა. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, სუროგატი დედა ახდენს ნაყოფის გესტაციას და საშვილოსნოს „დონორის“ ფუნქციას ატარებს.

(ii) გესტაციური სუროგაცია ჰეტეროლოგიური ტექნიკით - დონორის კვერცხუჯრედის გამოყენებით (ნაწილობრივი გესტაციური სუროგაცია): პროცესში მონაწილეობას იღებს ოთხი პირი: პოტენციური მშობლები, კვერცხუჯრედის დონორი და სუროგატი დედა. კვერცხუჯრედის ასპირაცია წარმოებს კვერცხუჯრედის დონორის ორგანიზმიდან, რომელიც შემდგომში განაყოფიერდება პოტენციური მამის, სპერმით. განაყოფიერების შედეგად მიღებულ ემბრიონს გადაიტანენ სუროგატი დედის საშვილოსნოში. აღნიშნული პროცედურის შედეგად დაბადებული ბავშვი პოტენციური მამის გენეტიკური შვილია და გენეტიკური კავშირი არ გააჩნია პოტენციურ დედასთან. გენეტიკური კავშირი ბავშვს არ აქვს არც სუროგატ დედასთან, რომელმაც იგი შვა.

(iii) გესტაციური სუროგაცია ჰეტეროლოგიური ტექნიკით - დონორის სპერმის გამოყენებით (ნაწილობრივი გესტაციური სუროგაცია): პროცესში მონაწილეობას იღებს ოთხი პირი: პოტენციური მშობლები, სპერმის დონორი და სუროგატი დედა. კვერცხუჯრედის ასპირაცია წარმოებს პოტენციური და დედის ორგანიზმიდან, რომელიც შემდგომში განაყოფიერდება დონორი მამაკაცის სპერმით. განაყოფიერების შედეგად მიღებულ ემბრიონს გადაიტანენ სუროგატი დედის საშვილოსნოში. აღნიშნული პროცედურის შედეგად დაბადებული ბავშვი პოტენციური დედის გენეტიკური შვილია და გენეტიკური კავშირი არ გააჩნია პოტენციურ მამასთან. გენეტიკური კავშირი ბავშვს არ აქვს არც სუროგატ დედასთან, რომელმაც იგი შვა.

⁵⁶ იქვე.

(iv) გესტაციური სუროგაცია ჰეტეროლოგიური ტექნიკით (დონორის სპერმისა და დონორის კვერცხუჯრედის გამოყენებით): პროცესში მონაწილეობას იღებს ხუთი პირი: პოტენციური მშობლები, სპერმის დონორი, კვერცხუჯრედის დონორი და სუროგატი დედა. კვერცხუჯრედის ასპირაცია წარმოებს კვერცხუჯრედის დონორის ორგანიზმიდან, რომელიც შემდგომში განაყოფიერდება დონორი მამაკაცის სპერმით. განაყოფიერების შედეგად მიღებულ ემბრიონს გადაიტანენ სუროგატი დედის საშვილოსნოში. აღნიშნული პროცედურის შედეგად დაბადებულ ბავშვს გენეტიკური კავშირი არ გააჩნია არცერთ პოტენციურ მშობელთან. გენეტიკური კავშირი ბავშვს არ აქვს არც სუროგატ დედასთან, რომელმაც იგი შვა.

(v) ტრადიციული სუროგაცია: პროცესში მონაწილეობას იღებს სამი პირი: პოტენციური მშობლები და სუროგატი დედა. ამ შემთხვევაში სუროგატი ასრულებს არამარტო „დონორი საშვილოსნოს“ ფუნქციას, არამედ კვერცხუჯრედის დონორადაც გვევლინება. კვერცხუჯრედის ასპირაცია წარმოებს სუროგატის, როგორც კვერცხუჯრედის დონორის, ორგანიზმიდან, რომელიც შემდგომში განაყოფიერდება პოტენციური მამის სპერმით. განაყოფიერების შედეგად მიღებულ ემბრიონს გადაიტანენ სუროგატი დედის საშვილოსნოში. აღნიშნული პროცედურის შედეგად დაბადებულ ბავშვს გენეტიკური კავშირი არ გააჩნია პოტენციურ დედასთან. გენეტიკური კავშირი ბავშვს აქვს პოტენციურ, მამასა და სუროგატ დედასთან, რომელმაც იგი შვა.⁵⁷

(vi) ტრადიციული სუროგაცია დონორის სპერმის გამოყენებით: სამედიცინო ტექნოლოგიები იმის შესაძლებლობასაც კი იძლევიან, რომ თეორიულად განხორციელდებოდა ტრადიციული სუროგაციის დროს სპერმის დონორის გამოყენება. შესაბამისად, ამ პროცესში მონაწილეობას მიიღებს 4 პირი: პოტენციური მშობლები, სპერმის დონორი და სუროგატი დედა. კვერცხუჯრედის ასპირაცია წარმოებს სუროგატის, როგორც კვერცხუჯრედის დონორის, ორგანიზმიდან, რომელიც შემდგომში განაყოფიერდება დონორი მამაკაცის სპერმით. განაყოფიერების შედეგად მიღებულ ემბრიონს გადაიტანენ სუროგატი დედის საშვილოსნოში. აღნიშნული პროცედურის შედეგად დაბადებულ ბავშვს გენეტიკური კავშირი არ გააჩნია არცერთ პოტენციურ მშობელთან. გენეტიკური კავშირი ბავშვს აქვს სუროგატ დედასთან, რომელმაც იგი შვა.

⁵⁷ ტრადიციული სუროგაცია, მცირეოდენი გამონაკლისით, როგორც წესი, აკრძალულია იმ ქვეყნებშიც, მათ შორის საქართველოში, სადაც სუროგაცია ნებადართულია და აქტიურად ხორციელდება. დეტალურად იხილეთ წინამდებარე ნაშრომის III თავი და IV თავი.

2. სუროგაცია - კოლაბორაციული რეპროდუქციის ყველაზე საკამათო მეთოდი

2.1. სუროგაციის ცნება და სახეები - ტრადიციული და გესტაციური სუროგაცია

დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებს შორის სუროგაცია ყველაზე კომპლექსურ მეთოდად მიიჩნევა, რადგან იგი დაკავშირებულია მთელ რიგ სამართლებრივ და ეთიკურ საკითხებთან. „ის, რაც განასხვავებს სუროგაციას სხვა დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიებისაგან, არ არის თავად ტექნოლოგია, არამედ მისი გამოყენების შედეგები - შეთანხმება იმის თაობაზე, რომ ერთი ქალი მუცლად ატარებს ბავშვს სხვისთვის იმ მიზნით, რომ ბავშვი დაბადებისთანავე გადასცეს მას“.⁵⁸

ქართულ ენაში სიტყვა სუროგატი, რომელიც ლათინური წარმოშობისაა (surrogatus - სხვის ნაცვლად მოთავსებული), განისაზღვრება როგორც „რისამე შემცვლელი, რომელსაც ნამდვილი საგნის, პროდუქტის მხოლოდ ზოგიერთი თვისება აქვს“⁵⁹. ტერმინი „სუროგატი“-ის ლათინური წარმოშობის არსიდან გამომდინარე „სუროგატი დედა“ უნდა აღნიშნავდეს „შემცვლელ დედას“⁶⁰.

ისევე, როგორც არ არსებობს ერთიანი უნიფიცირებული მიდგომა სუროგაციის რეგულირებასთან დაკავშირებით⁶¹, ასევე, არ არსებობს ერთი საყოველთაოდ შეთანხმებული სუროგაციის დეფინიცია. ადამიანის ხელოვნურად ჩასახვის შესახებ ევროსაბჭოს ექსპერტთა კომიტეტის

⁵⁸ Meinke S. A., Surrogate Motherhood: Ethical and Legal Issues, Scope Note 6, Bioethics Research Library, Georgetown University, 1988, 1.

⁵⁹ უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შემდგენელი ჭაბაშვილი მ., მე-3 შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 1989. <<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=38922>> [13.11.2017].

⁶⁰ ზოგიერთ შემთხვევაში, სუროგატ დედას მოიხსენიებენ, როგორც სუროგატულ დედას, გესტაციური სუროგაციისას - გესტაციურ დედას ან გესტაციურ მატარებელს.

⁶¹ ერთადერთი საერთაშორისო ხასიათის დოკუმენტი, რომელიც ზოგად რეგულაციებს გვთავაზობს სუროგაციის რეგულირებასთან დაკავშირებით, ადამიანის ხელოვნურად ჩასახვის შესახებ ევროსაბჭოს მოქმედი კომიტეტის ანგარიშში ასახული პრინციპებია, რომლებიც სარეკომენდაციო ხასიათისაა ევროსაბჭოს წევრი ქვეყნებისათვის, და რომლის მიხედვითაც „არც ერთ ექიმსა თუ დანესებულებას არ აქვს უფლება, გამოიყენოს ხელოვნურად ჩასახვის ტექნოლოგია სუროგატული დედის განაყოფიერებისათვის“. თუმცა, „ევროსაბჭოს პრინციპების“ მიხედვით, სახელმწიფოებს ეძლევათ უფლება, დაუშვან სუროგაცია იმ პირობით, რომ „სუროგატულ დედასა და წყვილს შორის შეთანხმება არ იქნება ძალდატანებითი, სუროგატული დედა არ მიიღებს მოგებას ამ პროცედურის შედეგად და მას ექნება არჩევანის უფლება, დაბადების შემდეგ ბავშვი თავისთან დაიტოვოს“. იხ. Report on Human Artificial Procreation Principles-Set out in the Report of the Ad Hoc Committee of Experts on Progress in The Biomedical Sciences, 1989. <<https://rm.coe.int/16803113e4>> [12.11.2017].

ანგარიშში ასახული პრინციპების მიხედვით „სუროგატი დედა არის ქალი, რომელიც მუცლად ატარებს ნაყოფს სხვა პირისათვის და ორსულობამდე განაცხადა თანხმობა ამ პირისათვის ბავშვის გადაცემაზე მშობიარობის შემდეგ“⁶². მარტივად რომ ითქვას, დღევანდელი როგორც სამედიცინო, ასევე, იურიდიული თვალსაზრისით სუროგაცია (ზოგჯერ მოიხსენიება, როგორც სუროგატული დედობა) არის პროცესი, რომლის შედეგადაც ქალი წინასწარი განზრახვითა და თანხმობის გაცხადებით ხელოვნური განაყოფიერების გზით (ინ ვიტრო განაყოფიერების შედეგად მიღებული ემბრიონის მის საშვილოსნოში გადატანის შედეგად ან იშვიათად სპერმით ინსემინაციის მეშვეობით⁶³) ორსულდება ბავშვის შემდგომში პოტენციური მშობლებისთვის გადასაცემად. ამდენად, იმისათვის, რომ ბავშვის გამჩენი ქალი მიჩნეული იქნას სუროგატ დედად, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, სუროგატი დედის თანხმობის არსებობა, რომელიც გაცხადებული უნდა იქნას მის ორსულობამდე.

მას შემდგომ, რაც პრაქტიკაში დაინერგა დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიები, ხელოვნური განაყოფიერების გზით სუროგაციის პირველი შემთხვევა დათვალა 1970-იანი წლების შუა პერიოდში კალიფორნიის შტატში, ხოლო ინ ვიტრო განაყოფიერების გზით სუროგაციის პირველ შემთხვევას ადგილი ჰქონდა 1986 წელს.⁶⁴ თუმცა, სუროგაცია კაცობრიობის ისტორიაში არ არის მხოლოდ „მეოცე საუკუნის ფენომენი“⁶⁵ და სუროგატული დედობა, ანუ ბავშვის გამჩენი ქალის მიერ წინასწარ დათანხმება იმაზე, რომ უარი ეთქვა მის მიერ გაჩენილი ბავშვის დედობაზე და გადაეცა იგი სხვა პირის ან პირებისათვის, ოდითგანვე არსებობდა

⁶² Report on Human Artificial Procreation Principles, Principles set out in the report of the Ad Hoc Committee of Experts on Progress in the Biomedical Sciences (CAHBI), 1989, Scope and Definitions, I (e). <<https://rm.coe.int/16803113e4>> [12.11.2017].

⁶³ სამართლებრივი თვალსაზრისით სპერმით ინსემინაციის გზით სუროგაცია, როგორც წესი, არ ხორციელდება. თუმცა, ამ მეთოდის გამოყენება სამედიცინო თვალსაზრისით შესაძლებელია.

⁶⁴ სუროგაციის წარმოშობასა და ისტორიასთან დაკავშირებით იხ. Behm L. L., Legal, Moral & International Perspectives on Surrogate Motherhood: The Call for a Uniform Regulatory Scheme in the United States; DePaul Journal of Health Care Law, Vol. 2, Issue 3, 1999, 560-563; დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების წარმოშობასა და განვითარებასთან დაკავშირებით დამატებით იხ. Omblet W., Robays V. J., Artificial Insemination History: Hurdles and Milestones, Facts, Views & Vision in obGyn, Vol. 7, Issue 2, 2015, 137-143.

⁶⁵ Spivack C., The Law of Surrogate Motherhood in the United States, American Journal of Comparative Law, Vol. 58, Issue – Supplement, 2010, 97. შენიშვნა: ავტორს გამოყენებული აქვს ტერმინი „გვიანდელი მეოცე საუკუნის ფენომენი ამერიკის ისტორიაში“ (“late twentieth century phenomenon in American History”). ვინაიდან მსჯელობა ეხება არამარტო აშშ-ის ისტორიაში სუროგაციის წარმოშობასა და ევოლუციას, ტერმინი განვრცობილი იქნა ზოგადად კაცობრიობის ისტორიაზეც.

დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების მედიცინაში მათ შემუშავებასა და პრაქტიკაში დანერგვამდეც. ამგვარი შეთანხმებები სუროგატ დედასა და პოტენციურ მშობლებს ან პოტენციურ მშობელს შორის არ არის უცხო არც ქართული საზოგადოებისათვის. იმ პირობებში, როდესაც არ არსებობდა შვილად აყვანის რეგულირების მკაცრად კონტროლირებადი მექანიზმი, საქართველოში, თუნდაც საბჭოთა პერიოდის ეპოქაშიც, არსებობდა შემთხვევები, როდესაც, მაგალითად, ქალი თანხმდებოდა, მისი უშვილო ნათესავი წყვილის ან პირისათვის, გაეჩინა და აღსაზრდელად გადაეცა ბავშვი. ზოგიერთ შემთხვევაში, დაბადებულ ბავშვს შეიძლებოდა გენეტიკური კავშირი ჰქონოდა პოტენციურ მამასთან: ქალის რეპროდუქციული შეუძლებლობის გამო, გაეჩინა ბავშვი, წყვილი უთანხმდებოდა „სხვა ქალს“, მამაკაცთან სექსუალური კავშირის დამყარებით დაორსულებულიყო და ბავშვი წყვილისათვის გადაეცა. ბუნებრივია, რომ დღესდღეობით სუროგაციის ასეთი ფორმები ვერ იარსებებს სუროგაციის სამართლებრივი რეგულირების თარგლებში, რადგან (i) სუროგაცია დაშვებულია მხოლოდ იმ ვიტრო განაყოფიერების პროცედურის განხორციელებისას კანონმდებლობით დადგენილი პირობების არსებობის შემთხვევაში; (ii) ამგვარი ქმედება შეიძლება განხილული იქნას როგორც „უკანონო გარიგება“ და შესაბამისად, შეიძლება სისხლისსამართლებრივ დანაშაულადაც იქნას მიჩნეული; და (iii) იმ ქალისათვის მშობლის უფლების მინიჭება, რომელიც არ წარმოადგენს ბავშვის გამჩენ ქალს, შესაძლებელია მხოლოდ შვილად აყვანის პროცედურების განხორციელების შედეგად, თუ არ არის დაცული კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები სუროგაციასთან დაკავშირებით.

სუროგაციის ორ სახეობას, ტრადიციულსა და გესტაციურ სუროგაციას შორის განსხვავება ნათელი ხდება სუროგატი დედის ჩართულობით სამედიცინო პროცესის განხილვისას⁶⁶. როგორც აღინიშნა, ტრადიციული სუროგაციის დროს სუროგატი დედა ორსულდება პოტენციური მამის სპერმით (ჩვეულებრივ იმ ვიტრო განაყოფიერების გზით, იშვიათ შემთხვევაში ინსემინაციის ან სექსუალური კავშირის გზით) და სუროგატ დედას გენეტიკური კავშირი აქვს ამ პროცესის შედეგად დაბადებულ ბავშვთან. რაც შეეხება გესტაციურ სუროგაციას, ამ დროს სუროგატულ დედასა და ბავშვს შორის არ არსებობს გენეტიკური კავშირი. თავის მხრივ, განასხვავებენ სრულ გესტაციურ სუროგაციასა (როდესაც პოტენციური მამის გამეტით ანაყოფიერებენ პოტენციური დედის გამეტას და ემბრიონს ათავსებენ სუროგატი დედის საშვილოსნოში) და ნაწილობრივ გესტაციურ

⁶⁶ იხ. წინამდებარე თავის ქვეთავი 1.

სუროგაციას (როდესაც პოტენციური მამის გამეტით ანაყოფიერებენ დონორი ქალის გამეტას და ემბრიონს ათავსებენ სუროგატი დედის საშვილოსნოში ან დონორი მამაკაცის გამეტით ანაყოფიერებენ პოტენციური დედის გამეტას და ემბრიონს ათავსებენ სუროგატი დედის საშვილოსნოში).

ტრადიციულ და გესტაციურ სუროგაციას შორის განსხვავება წარმოშობს მნიშვნელოვან სამართლებრივ და მორალურ-ეთიკურ საკითხებს. „ყველაზე მნიშვნელოვანი კი არის კითხვა, უნდა არსებობდეს თუ არა განსხვავებული მიდგომა ტრადიციულ და გესტაციურ სუროგაციას შორის იმ გენეტიკური კავშირის მხედველობაში მიღებით, რომელიც არსებობს სუროგატ დედასა და ბავშვს შორის“⁶⁷. სწორედ იმის გამო, რომ ტრადიციული სუროგაციის შემთხვევაში სუროგატ დედას არამართო გესტაციური, არამედ გენეტიკური კავშირი აქვს ბავშვთან, ბევრი ქვეყანა კრძალავს ტრადიციულ სუროგაციას, იმ ქვეყნებში კი, სადაც სუროგაციის ეს ფორმა დაშვებულია, როგორც წესი, ბავშვის დაბადების შემდგომ სუროგატ დედას ეძლევა „მოთქმების ვადა“, რომლის განმავლობაშიც მას აქვს უფლება, გადაწყვიტოს ბავშვის დატოვება⁶⁸.

2.1.1. *“Baby M”*⁶⁹- აშშ-ის ტრადიციული სუროგაციის ისტორიაში პიონერად მიჩნეული სასამართლოს გადაწყვეტილება

ტრადიციული სუროგაციის პირველ გახმაურებულ შემთხვევას უკავშირდება *“Baby M”*-ის სახელით ცნობილი გადაწყვეტილება, რომელიც 1980-იან წლებში მიღებული იქნა აშშ-ის შტატ ნიუ ჯერსის სასამართლოს მიერ სუროგაციის შესახებ სამართლებრივი რეგულაციებისა და ამ საკითხზე სასამართლო პრაქტიკის არსებობამდე.

სუროგაციის ხელშეკრულება გაფორმდა პოტენციურ მშობლებს, სტერნებსა (Sterns) და სუროგატ დედას უაიტჰედს (Whitehead) შორის. სუროგატი დედა დათანხმდა ტრადიციული სუროგაციის განხორციელებას, სტერნის - პოტენციური მამის - სპერმით განაყოფიერებას, განაყოფიერების შედეგად ნაყოფის მუცლად ტარებას და ბავშვის დაბადების შემდგომ მის გადაცემას სტერნების წყვილისათვის, შესაბამისად, ბავშვის მიმართ მშობლის უფლებებზე უარის თქმას სუროგაციისათვის თანხის მიღების

⁶⁷ Field M., Reproductive Technologies and Surrogacy: Legal Issues, Creighton Law Review, Vol. 25, Issue 5, 1992, 1592.

⁶⁸ მაგალითისათვის იხ. სამხრეთ აფრიკის კანონმდებლობის ანალიზი, წინამდებარე ნაშრომის III თავში.

⁶⁹ *“Baby M”*-ის სახელით ცნობილი აშშ-ის ნიუ ჯერსის შტატის სასამართლოს 1988 წლის გადაწყვეტილება [109 NJ 396, 537 A2d 1227 (NJ 1988)].

სანაცვლოდ. ამ პროცედურის შედეგად დაიბადა ბავშვი, რომელსაც გენეტიკური კავშირი ჰქონდა სუროგატი დედასა და პოტენციური მამას - სტერნს შორის.

დაბადების შემდგომ ბავშვი შეთანხმებისამებრ გადაეცათ სტერნებს, თუმცა, სუროგატმა დედამ ხელშეკრულების პირობების დარღვევით გადანყვიტა, ბავშვი დაეტოვებინა, განაცხადა, რომ არ შეეძლო ბავშვის გარეშე ცხოვრება და ბავშვი სტერნებისგან წაიყვანა. სტერნებმა მიმართეს სასამართლოს სუროგაციის ხელშეკრულების აღსრულებისა და ბავშვის მათთვის დაბრუნების მოთხოვნით. სტერნების მოთხოვნის საფუძველზე სასამართლომ გასცა შესაბამისი ბრძანება და დაახლოებით სამი თვის ძიების შემდგომ აღმასრულებლებმა ბავშვი გადასცეს თავდაპირველად შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს, ხოლო შემდგომ სტერნებს.

ბავშვთან მიმართებით უფლებების დადგენის მიზნით გაიმართა სასამართლო პროცესი, რომლის დასრულების შემდგომაც სასამართლომ დაადგინა სუროგაციის ხელშეკრულების ნამდვილობა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ბავშვის მშობლებმა გაათვორმეს ხელშეკრულება თავისუფალი ნების გამოხატვის საფუძველზე, რომლის პირობებიც იურიდიულად აღსრულებადი იყო. სახელმწიფოს არ შეეძლო აეკრძალა ან უარი ეთქვა რეპროდუქციასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების აღსრულებაზე, რადგან ეს დაარღვევდა უშვილო წყვილების კონსტიტუციით დაცულ პერსონალურ თავისუფლებას, მოეძებნათ საშუალებები ოჯახის შექმნისათვის. სუროგატ დედას, თავის მხრივ, ჰქონდა კონსტიტუციური უფლება, ნებაყოფლობით განეხორციელებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება. სასამართლომ მიიჩნია, რომ თუ სპერმის დონორი უფლებამოსილი იყო, გაეყიდა საკუთარი სპერმა, სუროგატ დედასაც ჰქონდა უფლება, მოეხდინა თავისი რეპროდუქციული მომსახურების შეთავაზება კანონით თანაბარი დაცვის პრინციპიდან გამომდინარე. ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით (გათვალისწინებული იყო სტერნების ოჯახური მდგომარეობა, საცხოვრებელი პირობები) სასამართლომ გააუქმა სუროგატი დედის მშობლის უფლებები ბავშვის მიმართ და მეურვეობა მიანიჭა ბავშვის მამას.

ზემოაღნიშნული გადანყვეტილების გასაჩივრების შედეგად განსხვავებული გადანყვეტილება მიიღო ნიუ ჯერსის უზენაესმა სასამართლომ. იგი არ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილებას სუროგაციის ხელშეკრულების ნამდვილობის

დადგენასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ეს ხელშეკრულება ეწინააღმდეგებოდა კანონს და საჯარო წესრიგს, რადგან სუროგატი დედისათვის თანხის გადახდა „არაკანონიერი, შესაძლოა, დანაშაულებრივი და პოტენციურად ქალისათვის დამამცირებელი იყო. ძალაში დარჩა სტერნისათვის ბავშვის მეურვეობის შესახებ გადაწყვეტილება, თუმცა, სუროგატი დედა აღიარებული იქნა როგორც ბავშვის დედა, რომელსაც მიენიჭა ბავშვის ნახვის უფლება“⁷⁰.

2.1.2. “Baby M”-ის შემდგომ სუროგაციის მიმართ დამოკიდებულების მკვეთრი ცვლილება

“Baby M”-ის გადაწყვეტილების შემდგომ თავად აშშ-ის რამდენიმე შტატი და სახელმწიფოთა ნაწილი დღესაც ემხრობა ამ გადაწყვეტილებაში ასახულ სუროგაციის მიმართ პოზიციას, რომ ეს ტექნოლოგია წინააღმდეგობრივია საჯარო წესრიგთან და, ზოგიერთ შემთხვევაში, სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობასაც კი უნდა იწვევდეს, შტატების და სახელმწიფოების გარკვეულმა ნაწილმა კი შეცვალა ან ჩამოაყალიბა პოზიტიური დამოკიდებულება სუროგაციის მიმართ, რის შედეგადაც ამ შტატებსა თუ ქვეყნებში სუროგაციის ხელშეკრულებები აღსრულებადი გახდა სამართლებრივი მონესრიგების პირობებში ან სასამართლო პრეცედენტის საფუძველზე⁷¹.

დღესდღეობით „წინააღმდეგობების არსებობის მიუხედავად, სუროგაცია რეპროდუქციული ტექნოლოგიის მზარდი პოპულარული მეთოდი“⁷² და „ფართოდ გავრცელებული ფენომენია. ბოლოდროინდელი ანგარიშები ადასტურებენ სუროგაციის პრაქტიკის ზრდას, რაც მოიცავს საერთაშორისო სუროგაციის ზრდასაც“⁷³. „ოცი, ოცდაათი და ორმოცი წლის ასაკში მყოფ წყვილებს აქვთ სურვილი, შექმნან ტრადიციული ოჯახი. თუმცა, ბევრ

⁷⁰ იხ. Shavel C., Birth Power, The Case for Surrogacy, Yale University Press, New Haven & London, 1989, 1-3; Mazer D. S., Born Breach: The Challenge of Remedies in Surrogacy Contracts, Yale Journal of Law and Feminism, Vol. 28, Issue 1, 2016, 220; Behm L. L., Legal, Moral and International Perspectives on Surrogate Motherhood: The Call for a Uniform Regulatory Scheme in the United States, Depaul Journal of Health Care Law, Vol. 2, Issue 3, 1999, 568-557.

⁷¹ სახელმწიფოების განსხვავებულ პოზიციებთან დაკავშირებით იხ. წინამდებარე ნაშრომის III თავი.

⁷² Brill L. A., When Will the Law Catch Up with Technology? Jaycee B v Superior Court of Orange County: An Urgent Cry for Legislation on Gestational Surrogacy, Catholic Lawyer, Vol. 39, Issue 2-3, 1999-2000, 241.

⁷³ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 9.

მათგანს სხვადასხვა მიზეზის გამო არ გააჩნია საკუთარი შვილის ყოლის შესაძლებლობა. ბოლო წლების განმავლობაში ბევრმა ოჯახმა მიმართა სუროგაციას იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი ეხმარება მათ ოჯახის ფორმირებაში, „როდესაც სურვილსა და განზრახვას ხელს უშლის ბუნება“⁷⁴. სუროგაციის მიმართ მოთხოვნის ზრდა ბევრი ფაქტორითაა განპირობებული, მათ შორისაა შვილად ასაყვანი ბავშვების რაოდენობის შემცირება, რეპროდუქციულ უნარს მოკლებული ქალებისა და მამაკაცების რაოდენობის, ისევე, როგორც ნაყოფის გესტაციის უნარის არმქონე ქალთა რაოდენობის ზრდა და პირთა სურვილი, ჰქონდეთ საკუთარ შვილებთან გენეტიკური კავშირი. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც ბევრი ადამიანისათვის რეპროდუქცია ბუნებრივი გზით შეუძლებელია, „რეპროდუქციული ტექნოლოგიის პოპულარული მეთოდი - სუროგაცია ხდება მსოფლიო მასშტაბის ფენომენი“⁷⁵.

2.1.3. სუროგაციის ფორმები - ალტრუისტული და კომერციული სუროგაცია

არაერთგვაროვანია დამოკიდებულება კომერციული და არაკომერციული, იგივე ალტრუისტული სუროგაციის მიმართ, რომელთა შორის არსებითი განსხვავება სუროგატი დედისათვის სუროგაციული მომსახურების სანაცვლოდ ანაზღაურების გადახდის საკითხშია. ალტრუისტული სუროგაციის დროს დაუშვებელია პოტენციურ მშობლებსა და სუროგატ დედას შორის შეთანხმება სუროგაციისათვის მომსახურების საფასურის გადახდის თაობაზე, დასაშვებია შეიძლება იყოს მხოლოდ სუროგაციასთან დაკავშირებული ხარჯების (სუროგატი დედის ორსულობასთან, მშობიარობასა და ლოგინობის პერიოდთან დაკავშირებული გონივრული ხარჯები) გადახდაზე შეთანხმება. ამასთან, იურისდიქციების მიხედვით განსხვავებულად განისაზღვრება ალტრუისტული სუროგაციის შემთხვევები, ანუ სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა განსხვავებულ რეგულაციებს გვთავაზობს, თუ რა სახის გადასახდელებისა თუ ხარჯების გადახდაა დაშვებული სუროგატი დედისათვის⁷⁶. კომერციული სუროგაციისას კი სუროგატი დედა თანხმდება სუროგაციაზე მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული საფასურის გადახდის სანაცვლოდ.

⁷⁴ Kirshner S. N., Selling a Miracle? Surrogacy Through International Borders: Exploration of Ukrainian Surrogacy, Journal of International Business and Law, Vol. 14, Issue 4, 2015, 77.

⁷⁵ იქვე, 78.

⁷⁶ დეტალურად იხ. წინამდებარე ნაშრომის III თავი.

სუროგაცია იწვევს ისეთი ფუნდამენტური საკითხების წარმოშობას, როგორცაა პიროვნულობის ხასიათი და ადამიანის ღირსების თვისებები, ინდივიდუალური ავტონომია, არჩევანის პარამეტრები და კომერციალიზაციის ფარგლები⁷⁷. სუროგაციის კომერციალიზაცია, მისი ეთიკური და მორალური ასპექტები ერთ-ერთი ის საკამათო საკითხია, რაზედაც დღესდღეობით რადიკალური მოსაზრებები არსებობს სხვადასხვა პროფესიის მქონე პირებს შორის. ამ თემის მიმართ განსხვავდება არა მხოლოდ იურიდიულ დოქტრინაში ასახული დამოკიდებულები, არამედ სახელმწიფოების მიდგომებიც⁷⁸.

2.2. ძირითადი ასპექტები სუროგაციაზე ეთიკური დებატების შესახებ

ეთიკური თვალსაზრისით განსხვავდება დამოკიდებულებები და მოსაზრებები ზოგადად სუროგაციის, კონკრეტულად კომერციული სუროგაციისა და სუროგაციის განხორციელების ფორმების - ტრადიციულისა და გესტაციურის მიმართ.

სუროგაციის საწინააღმდეგო ძირითადი ეთიკური არგუმენტები ეფუძნება შეხედულებას, რომ იგი ამორალურია, არღვევს ადამიანის ღირსებას და ახდენს არამართო სუროგატი დედის ექსპლუატაციას, არამედ სუროგატი დედისა და სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვების კომოდიფიკაციას⁷⁹. „რელიგიური ორგანიზაციების უმრავლესობა სუროგაციის, განსაკუთრებით მისი კომერციული ასპექტის, წინააღმდეგია, ვინაიდან ისინი სუროგაციას აღიქვამენ როგორც ამორალურს, ქორწინების ერთიანობისა და გამრავლების, ღირსების საწინააღმდეგოს და, შესაბამისად, ითხოვენ კანონით მის აკრძალვას“⁸⁰. სუროგაციას, როგორც არაეთიკურ და ამორალურ გარიგებად, განიხილავს ზოგიერთი სახელმწიფო და ბიოეთიკისა და იურისპრუდენციის სფეროში მოღვაწე პირებისა და მეცნიერების ნაწილიც.

სუროგატი დედებისა და ბავშვების კომოდიფიკაციასა და ვაჭრობასთან

⁷⁷ Ergas Y., Babies Without Borders: Human Rights, Human Dignity, and the Regulation of International Commercial Surrogacy, *Emory International Law Review*, Vol. 27, Issue 1, 2013, 176.

⁷⁸ სუროგაციის მიმართ სახელმწიფოების განსხვავებულ მიდგომებსა და მიზნებთან დაკავშირებით იხ. წინამდებარე ნაშრომის III თავი.

⁷⁹ კომოდიფიკაცია - “commodification”: „საქონლად ქცევა“, ვაჭრობის ობიექტად ქცევა.

⁸⁰ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 23.

სუროგაციული შეთანხმებების გაიგივების არგუმენტები სუროგაციის აღმოცენების პერიოდშივე წარმოიშვა. მაგალითად, 1981 წლის სტატიაში ვინსლეიდი მიუთითებდა ამერიკის შეერთებულ შტატებში მიღებულ სასამართლოს გადაწყვეტილებებზე, რომლითაც სუროგაციული შეთანხმება განისაზღვრა, როგორც ბავშვებით უკანონო ვაჭრობა და სისხლის სამართლის დანაშაულის ტოლფასი ქმედება⁸¹.

კომერციული სუროგაციის მონინალმდეგეთა ძირითადი არგუმენტები ქალთა ექსპლუატაციისა და ბავშვების კომოდიფიკაციაზე ემყარება მოსაზრებას, რომ კომერციული სუროგაცია ახდენს ქალთა ექსპლუატაციასა და ბავშვების კომოდიფიკაციას, ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში სუროგატ დედას ეძლევა კომპენსაცია იმის სანაცვლოდ, რომ უარი თქვას დედობაზე ბავშვის მიმართ, რომელიც მან მუცლად ატარა.⁸² შესაბამისად, მიაჩნიათ, რომ სუროგაციით ირღვევა ბავშვისა და სუროგატი დედის ადამიანური ღირსება, ვინაიდან ამ პროცესში ისინი აღიქმებიან როგორც კომერციული შეთანხმების ობიექტები.⁸³ კერძო ხელშეკრულების საგანი კი არ შეიძლება გახდეს არც ადამიანის სხეული - სუროგაციისას სუროგატი დედისა და ახალშობილი ბავშვის სხეული და არც პირთა სამოქალაქო სტატუსი.⁸⁴

სუროგაციის მიმართ რადიკალურად განწყობილი ზოგიერთი ავტორი არ კმაყოფილდება „კომოდიფიკაციის არგუმენტით“, სუროგაციას განიხილავს

⁸¹ *ib.* Winslade W. J., Surrogate Mothers: Private Right or Public Wrong?, *Journal of Medical Ethics*, Vol. 7, Issue 3, 1981, 153.

⁸² Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 23. მსგავს არგუმენტებს შეიცავს სუროგაციის მონინალმდეგე ქვეყნებში განხორციელებული ანგარიშები და სასამართლოს გადაწყვეტილებები. მაგ., პალასიოს ანგარიში, *ib.* Report of the Special Commission Studying In Vitro Fecundation and Artificial Insemination: [approved by Congress of Deputies in Plenary session on the 10th of April 1986]. General Courts. Congress. Special Commission Studying In Vitro Fecundation and Artificial Insemination, Marcelo Palacios. Congress of Deputies, General Secretary 1987. დეტალურად *ib.* წინამდებარე ნაშრომის III თავი (სუროგაციის მონინალმდეგე ქვეყნები).

⁸³ *ib.* Gossel S. L., Germany, in: *International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level*, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 132. მითითებულია: Eser A. and Koch H-G., *Rechtsprobleme biomedizinischer Fortschritte in vergleichender Perspektive in Professors of Criminal Law Tübingen and Ministry of Justice Baden-Württemberg* (eds), *Gedachtnisschrift für Rolf Keller*, Tübingen, Mohr Siebeck, 2003, 15, 24; Kettner M., *Neue Formen gespaltener Elternschaft*, B 27 *Aus Politik und Weltgeschichte* 2001, 34, 38; Koch H-G., *Fortpflanzungsmedizin im europaischen Rechtsvergleich*, B 27 *Aus Politik und Weltgeschichte*, 2001, 44, 57.

⁸⁴ *ib.* Perreau-Saussine L. and Sauvage N., France, in: *International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level*, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 120.

პროსტიტუციის ან მონობის ფორმად და მის შედარებას ახდენს ორგანოს ტრანსპლანტაციის ბაზართან. მაგალითად, ანდერსონს მიაჩნია, რომ სუროგაცია იძულებითი შრომის ექსტრემალური ფორმაა, რომელიც უფრო მეტად სექსიზმის რეპროდუქცია და მოგების მიღებაა, ვიდრე სიცოცხლის წარმოქმნა⁸⁵. სუროგაციასა და მონობას შორის ახდენს პარალელის გავლებას ქიმბრელი, აცხადებს რა, რომ „სუროგაციის პრაქტიკა წარმოადგენს ქალების მონობის ახალ და უნიკალურ ფორმას. როდესაც ქალები გადასახადის სანაცვლოდ ხელს აწერენ ხელშეკრულებას მასზედ, რომ წარმოქმნან ბავშვები კლიენტებისათვის, ისინი ხდებიან ფიზიკურად ექსპლუატირებულნი“⁸⁶.

კომერციული სუროგაციის მონინალმდეგეები, რომლებიც დაუშვებლად მიიჩნევენ სუროგატი დედისათვის ხარჯების ანაზღაურების გარდა სხვა სახის კომპენსაციის გადახდას, „ოვიდოს კონვენციის“ 21-ე მუხლით განსაზღვრულ ფინანსური სარგებლობის აკრძალვას ავრცელებენ სუროგაციაზე⁸⁷, მიუხედავად იმისა, რომ არც კონვენცია და არც მისი განმარტებითი მემორანდუმი⁸⁸ (შემდგომში „განმარტებითი მემორანდუმი“ ან „მემორანდუმი“) სუროგაციაზე პირდაპირ მითითებას არ შეიცავს. კონვენციის 21-ე მუხლი ზოგადი ფორმულირებისაა და ადგენს, რომ „ადამიანის ორგანიზმი ან მისი ნაწილები არ შეიძლება გახდეს ფინანსური მოგების წყარო“⁸⁹. „ოვიდოს კონვენციით“ განმტკიცებული, „ფინანსური

⁸⁵ იხ. Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 24. მითითებულია: Anderson, E., Values in Ethics and Economics, Cambridge, Massachusetts, Harvard University Press, 1993.

⁸⁶ Kimbrell A., The Case Against the Commercialization of Childbearing, Willamette Law Review, Vol. 24, Issue 4, 1988, 1036.

⁸⁷ იხ. ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს რეკომენდაცია ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად მიღებული ემბრიონის სხვა ქალის („სუროგატული დედის“) საშვილოსნოში გადატანისა და გამოზრდის საკანონმდებლო რეგულაციის შესახებ, 10 თებერვალი, 2014 წელი, 2. <http://www.gsd.ge/hrh/pictures/dfltcontent/gallery/73_5.pdf> [12.11.2017].

⁸⁸ Council of Europe, Explanatory Report to the Convention for the Protection of Human Rights and Dignity of the human Being with regard to the Application of Biology and Medicine: Convention on Human Rights and Biomedicine, 1996.

⁸⁹ კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ, მიღებულია 1997 წლის 4 აპრილს, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2000 წლის 27 სექტემბერს, საქართველოსთვის ძალაშია 2001 წლის 1 მარტიდან, მუხლი 12. აღსანიშნავია, რომ 2004 წლის „ქსოვილებისა და უჯრედების ღირექტივის“ (Directive 2004/23/EC of the European Parliament and of the Council of 31 March 2004 on setting standards of quality and safety for the donation, procurement, testing, processing, preservation, storage and distribution of human tissues and cells) მიღების შემდგომ ევროპულმა კომიტეტმა გასცა რეკომენდაცია სახელმწიფოების მიერ „ნებაყოფლობითი და არაანაზღაურებადი დონაციის პრინციპის“ მიღებაზე,

მოგების აკრძალვის“ ამ ზოგადი ბიოეთიკური პრინციპიდან გამომდინარე, ზოგიერთს მიაჩნია, რომ კომერციული სუროგაცია წარმოშობს არამართო ადამიანის უფლებებისა და სუროგატი დედების ღირსების დარღვევის მნიშვნელოვან საფრთხეს, არამედ, საბოლოო ჯამში, ქმნის ღარიბი ქალების ექსპლუატაციისა და განვითარებადი ქვეყნებიდან მდიდარი ოჯახებისათვის „ბავშვების მიყიდვის“ ფართოდ გავრცელების რისკებს⁹⁰.

კონვენციის 21-ე მუხლით განსაზღვრულ ფინანსური სარგებლის აკრძალვასთან დაკავშირებით სხვადასხვა ინტერპრეტაცია არსებობს, რომლებიც კონვენციის სტატუსის თაობაზე განსხვავებული ხედვების შედეგია. ზოგიერთი ავტორი კონვენციას განიხილავს, როგორც „კონსენსუსის ილუზიას“⁹¹, „პოლიტიკური გარიგების შედეგს, რომელიც უნდა იქნას განხილული უფრო მეტად როგორც კომპრომისი და არა როგორც კონსენსუსი“⁹² ვინაიდან, მათი აზრით, ევროპაში სხვადასხვა კულტურული განსხვავებების შედეგად არსებული ბიოეთიკური შეხედულებების მრავალფეროვნების გამო „შეუძლებელია საერთო მორალური

რომლითაც შესაძლებელი იქნება კომპენსაცია „ხარჯებისა და უხერხულობისათვის“. იხ. Formet M., Should Women Be Paid to Provide Eggs for Research or Reproduction?, *Legal Issues Journal*, Vol. 4, Issue 2, 2016, 29. მითითებულია: European Commission, Report on the Regulation of Reproductive Cell Donation in the European Union (European Commission, 2006). ქალებისათვის კვერცხუჯრედის დონაციამდე კომპენსაციის საკითხთან დაკავშირებით იხ. Formet M., Should Women Be Paid to Provide Eggs for Research or Reproduction?, *Legal Issues Journal*, Vol. 4, Issue 2, 2016. ავტორი მიმოიხილავს სხვადასხვა ქვეყანაში, ძირითადად ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, კვერცხუჯრედის დონაციისათვის კომპენსაციის გადახდის საკითხებს, რომელთა მიმართაც სახელმწიფოებს შეფასების ფართო ფარგლები გააჩნიათ (მაგ., ესპანეთში კვერცხუჯრედის დონაციისათვის კომპენსაცია 900 ევროა, დიდ საფრანგეთში იგი ალტრუისტულია, ხოლო ავსტრიასა და გერმანიაში იკრძალება ინ ვიტრო განაყოფიერების პროცედურისათვის. იხ. იქვე, 29.) და ასკვნის, რომ გადასახადი უკავშირდება კვერცხუჯრედების დონაციას, როგორც სერვისს და არა როგორც საქონლის გაყიდვას. კვერცხუჯრედის დონორებისათვის კომპენსაციის გადახდა აღიარებს ქალების ავტონომიას მათ სხეულთან დაკავშირებული გადანაცვეტილებების მიღებისას და არ არღვევს ადამიანის ღირსებასა და ადამიანის სხეულის პატივისცემას. იხ. იქვე, 38-39.

⁹⁰ Cascao, R., The Challenges of International Commercial Surrogacy: From Paternalism Towards Realism?, *Medicine and Law*, Vol. 35, 2016, 154. შენიშვნა: გამოთქმული მოსაზრება არ ასახავს ავტორის აზრს.

⁹¹ Buzas P., The Convention on Human Rights and Biomedicine: European Consensus or Lowest Common Denominator?, *Law Review of Kyiv university of Law*, Vol. 2015, Issue 1, 2015, 328.

⁹² იხ. Buzas P., The Convention on Human Rights and Biomedicine: European Consensus or Lowest Common Denominator?, *Law Review of Kyiv university of Law*, Vol. 2015, Issue 1, 2015, 328. მითითებულია: Bayertz K., *Struggling for Consensus and Living Without It: The Construction of a Common European Bioethics in: Engelhardt. H. T. Jr., Global Bioethics – The Collapse of Consensus*, M & M Scrivener Press, 2006, 219-220.

იდენტიფიკაციის შექმნა⁹³ და „საერთო ევროპული ბიოეთიკის ფორმირება, რომელიც დაეფუძნება ადამიანის ღირსების, როგორც ერთადერთი ცენტრალური ღირებულების, პატივისცემას“⁹⁴.

ზოგიერთ ავტორს მიაჩნია, რომ „ოვიდოს კონვენცია“ „ევროპული ბიოეთიკის საერთო გამოხატვა, მორალური კონსენსუსის სახეობაა“.⁹⁵ ზოგიერთის აზრით, იმის მიუხედავად, რომ ადამიანის ღირსების პატივისცემა, რომელიც ადამიანის უფლებების რეგულირების საფუძველია და, რომელიც საფუძვლად უდევს კონვენციის 21-ე მუხლით განსაზღვრულ აკრძალვასაც, წარმოადგენს ძირითად ღირებულებას ბიოეთიკისთვისაც, „თანამედროვე ევროპულ ბიოეთიკაში უფრო მეტად დომინირებს ადამიანის ღირსების კოლექტიური აღქმა, რომელიც ითვალისწინებს როგორც ინდივიდუალურ, ასევე საზოგადოებრივ ინტერესებს“.⁹⁶ ამ თვალსაზრისით ადამიანის ღირსება განიხილება, როგორც შეზღუდვა⁹⁷, რაც გულისხმობს იმას, რომ, ზოგიერთ შემთხვევაში, ინდივიდუალური ღირსება შეიძლება დაირღვეს საზოგადოების პრიორიტეტების შესაბამისად. ამ „ზოგიერთი შემთხვევის“ ერთ-ერთ გამოვლინებად კი მიაჩნიათ „ოვიდოს კონვენციის“ 21-ე მუხლი. მიუხედავად იმისა, რომ ამ მუხლით განსაზღვრული აკრძალვა ადამიანის ღირსების პრინციპს ეფუძნება, გარკვეულ შემთხვევებში, ინდივიდს, რომელიც მოქმედებს პირადი ავტონომიის ფარგლებში, შეუძლია ფინანსური სარგებლის მიღება საკუთარ სხეულთან ან მის ნაწილთან დაკავშირებით, რაც თავისთავად არ ნიშნავს საზოგადოების ინტერესის დარღვევას⁹⁸. ამ მოსაზრების მხარდამჭერები უთითებენ „ავტონომიური

⁹³ Buzas P., The Convention on Human Rights and Biomedicine: European Consensus or Lowest Common Denominator?, Law Review of Kyiv university of Law, Vol. 2015, Issue 1, 2015, 328.

⁹⁴ იქვე.

⁹⁵ იქვე. ავტორი მიუთითებს განსხვავებულ მოსაზრებებზე.

⁹⁶ Buzas P., The Convention on Human Rights and Biomedicine: European Consensus or Lowest Common Denominator?, Law Review of Kyiv university of Law, Vol. 2015, Issue 1, 2015, 328. მითითებულია: Beylveld D., Brownsword R., Human Dignity in Bioethics and Biolaw, Oxford University Press, Oxford, 2001, 41.

⁹⁷ Buzas P., The Convention on Human Rights and Biomedicine: European Consensus or Lowest Common Denominator?, Law Review of Kyiv university of Law, Vol. 2015, Issue 1, 2015, 328. მითითებულია: Beylveld D., Brownsword R., Human Dignity in Bioethics and Biolaw, Oxford University Press, Oxford, 2001, 41. ასევე იხ. Gilbar R., Between Unconditional Acceptance and Responsibility: Should Family Ethics Limit the Scope of Reproductive Autonomy?, Child and Family Law Quarterly, Vol. 21, Issue 3, 2009, 310. მითითებულია: Brownsword R., Bioethics today, Bioethics tomorrow: Stem Cell Research and the Dignitarian Alliance, Notre Dame Journal of Law Ethics & Public Policy, Vol. 17 2003, 15.

⁹⁸ Buzas P., The Convention on Human Rights and Biomedicine: European Consensus or Lowest Common Denominator?, Law Review of Kyiv university of Law, Vol. 2015, Issue 1, 2015, 328. მითითებულია: Beylveld D., Brownsword R., Human Dignity in Bioethics and Biolaw, Oxford University Press, Oxford, 2001, 41-42.

მორალური არჩევანის შესაძლებლობაზე და აკავშირებენ მას უნართან, აღიქმებოდეს მისთვის ზიანის მიყენების შესაძლებლობა იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს ადამიანის ღირსების საფუძველი⁹⁹. ადამიანის ღირსების ამ კონცეფციით კონვენციას განიხილავენ, როგორც „ახალი, საერთო ევროპული მორალის განსახიერებას“¹⁰⁰.

არსებობს მოსაზრება, რომ ადამიანის ღირსებასთან კავშირში უნდა იქნას განხილული ადამიანის შესაძლებლობები, რომლებიც განისაზღვრება როგორც ყველაფერი „ის, რაც ადამიანებს შეუძლიათ გააკეთონ ან იყვნენ“¹⁰¹ და ამ თვალსაზრისით იცხოვრონ ცხოვრებით, რომელიც ადამიანური ღირსების შესაბამისია. ამდენად, მიიჩნევენ, რომ ამ ძირითად ადამიანურ შესაძლებლობათა განხორციელებისა და განვითარებისათვის შესაბამისი შესაძლებლობების არარსებობას შეიძლება შედეგად მოჰყვეს ადამიანურ ღირსებასთან შეუსაბამო სიცოცხლე¹⁰².

ნებისმიერ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, თუ როგორ მოვახდენთ „ოვიდოს კონვენციის“ სტატუსის ანალიზს და ადამიანის ღირსების ზუსტი კონცეფციის ჩამოყალიბებას, თაქტია, რომ ბიოეთიკაში დამკვიდრებული და „ოვიდოს კონვენციით“ განმტკიცებული პრინციპი, რომ ადამიანის სხეული ან მისი ნაწილი არ შეიძლება თვით ამ ადამიანის ან მესამე პირის მხრიდან იქცეს ფინანსური მოგების წყაროდ, ემსახურება ზოგადად ადამიანისა და ადამიანის სხეულის ნაწილების ვაჭრობად ქცევისა და ამ საქმიანობით ბიზნესის წარმოების საზიანო პრაქტიკების პრევენციას და იმსახურებს გათვალისწინებას ნებისმიერი სახელმწიფოს მიერ ამ რისკების შემცველი ამა თუ იმ სამართლებრივი ნორმების ჩამოყალიბებისას, მათ შორის სუროგაციის მონესრიგების პროცესშიც. თუმცა, რისკების გათვალისწინება თავისთავად არ ნიშნავს რისკების შემცველი პრაქტიკის აკრძალვას, ვინაიდან სუროგაციის აღქმა არ უნდა განხორციელდეს ცალმხრივად, მხოლოდ ქალების ექსპლუატაციის, ქალებისა და ბავშვების ვაჭრობის

⁹⁹ Chapman, A. R., Human Dignity, Bioethics and Human Rights, Amsterdam Law Forum, Vol. 3, Issue 1, 2011, 9. მითითებულია: Beylveid D., Brownsword R., Human Dignity in Bioethics and Biolaw, Oxford University Press, Oxford, 2001, 41-42.

¹⁰⁰ Buzas P., The Convention on Human Rights and Biomedicine: European Consensus or Lowest Common Denominator?, Law Review of Kyiv university of Law, Vol. 2015, Issue 1, 2015, 328. მითითებულია: Beylveid D., Brownsword R., Human Dignity in Bioethics and Biolaw, Oxford University Press, Oxford, 2001, 41-42.

¹⁰¹ Chapman, A. R., Human Dignity, Bioethics and Human Rights, Amsterdam Law Forum, Vol. 3, Issue 1, 2011, 11.

¹⁰² Chapman, A. R., Human Dignity, Bioethics and Human Rights, Amsterdam Law Forum, Vol. 3, Issue 1, 2011, 11. მითითებულია: Nussbaum M. C., Human Dignity and political Entitlements in: Human Dignity and Bioethics: Essays Commissioned by the President's Council on Bioethics, Washington D.C.: Government Printer, 2008, 359.

საფრთხის შემცველ პროცესად. ბუნებრივია, ეს რისკები არსებობს არა მხოლოდ სუროგაციის, არამედ დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების სხვა მეთოდების განხორციელების, შვილად აყვანისა და სხვა სახის ურთიერთობებშიც, თუმცა, თუ ამ რისკის შემცველი პროცესი, კონკრეტულ შემთხვევაში, სუროგაცია, თავისი მნიშვნელობით უშვილო ადამიანებისათვის იძლევა „მათი ღირსების შესაბამისი ცხოვრებით ცხოვრების შესაძლებლობას“ და, ამ მხრივ, მისი ღირებულება უდავოა, რადიკალური მიდგომა სუროგაციასთან მიმართებით გაუმართლებლად უნდა იქნას მიჩნეული. მეორე მხრივ, კომოდიფიკაციისა და ექსპლუატაციის რისკების თავიდან აცილების სწორად გაანალიზებული მექანიზმების შემუშავებაა საჭირო, მათ შორის, სუროგატი დედისათვის კომპენსაციის გადახდის თვალსაზრისით. თუ დაშვებულად მიიჩნევა სუროგაციის პროცესთან დაკავშირებული მატერიალური ხარჯების ანაზღაურება, რაც შეიძლება მოიცავდეს სამედიცინო და იურიდიული მომსახურების, მგზავრობის, ორსულობისა და მშობიარობის ხარჯებს, რატომ არ უნდა იყოს დასაშვები სუროგატი დედისათვის კომპენსაცია, რომელიც უკავშირდება მის სულიერ განცდებს, დისკომფორტსა და მორალურ ხარჯს ორსულობისა და მშობიარობისას¹⁰³, ისევე, როგორც ამ პერიოდში მის მიერ მიუღებელ შემოსავალს, რომელიც თავისთავად არ გულისხმობს ადამიანის სხეულის გამოყენებას ფინანსური მოგების წყაროდ და, საბოლოო ჯამში, არ ქმნის ადამიანის ვაჭრობად ქცევის საფუძველს? თუ სუროგატი დედისათვის კომპენსაციის გადახდის საკითხს ამ თვალსაზრისით შევხედავთ, ამგვარი კომპენსაციის დასაშვებობას გარკვეულწილად თავად „ოვიდოს კონვენციის“ „განმარტებითი მემორანდუმის“ იძლევა, რომლის მიხედვითაც ფინანსური მოგების აკრძალვის დამდგენი „ოვიდოს კონვენციის“ 21-ე მუხლი „არ უკრძალავს პირს, რომლისგანაც ორგანო ან ქსოვილი იქნა აღებული, მიიღოს კომპენსაცია, რომელიც არ წარმოადგენს ანაზღაურებას, თუმცა სამართლიანად უნაზღაურებს პირს განეულ ხარჯებს ან მიუღებელ შემოსავალს“¹⁰⁴. მიუხედავად იმისა, რომ მემორანდუმის ამგვარი განმარტება კონვენციის 21-ე მუხლზე შეიძლება განზოგადდეს და ითვალისწინებდეს სუროგატი დედისათვის ან გამეტის დონორისათვის არამართო მატერიალური ხარჯის ან მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების უფლებას, არამედ კომპენსირებას მორალური ხარჯისთვისაც, კომპენსაციის გადახდის საკითხის განსაზღვრა ამ მემორანდუმზე დაყრდნობით არ იქნება

¹⁰³ მაგალითად, ისრაელში დასაშვებია სუროგატი დედისათვის კომპენსაციის გადახდა „ტკივილისა და ტანჯვისათვის“. იხ. წინამდებარე ნაშრომის III თავი.

¹⁰⁴ იხ. Council of Europe, Explanatory Report to the Convention for the Protection of Human Rights and Dignity of the human Being with regard to the Application of Biology and Medicine: Convention on Human Rights and Biomedicine, 1996, 20.

მიზანშეწონილი. განმარტებითი მემორანდუმი დაახლოებით 20 წლის წინ გამოქვეყნებული დოკუმენტია, რომელსაც სავალდებულო ძალა არ აქვს¹⁰⁵ და კომპენსაციის გადახდის საკითხს საკმაოდ ვიწროდ განსაზღვრავს. იგივე შეიძლება ითქვას 1989 წელს მიღებულ „ვეროსაბჭოს პრინციპებზეც“, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოებისთვის სუროგაციის დაშვება რეკომენდებულია, თუ „სუროგატული დედა არ მიიღებს მოგებას ამ პროცედურის შედეგად“¹⁰⁶. ამ დოკუმენტების მიღების შემდგომ კოლაბორაციული რეპროდუქციის ფართოდ გავრცელების პირობებში პრაქტიკამ აჩვენა, რომ რადიკალური აკრძალვები და მხოლოდ ალტრუიზმის მოტივაციით გამეტების დონაციისა და სუროგაციის დაშვება ამ სფეროში იწვევს ჩრდილოვანი ბაზრის ჩამოყალიბებას, რომლის კონტროლი უფრო მეტ სირთულეებთანაა დაკავშირებული¹⁰⁷. წლების განმავლობაში სუროგაციის პრაქტიკამ, ასევე, აჩვენა, რომ იგი მაინც არსებობს აკრძალვებისა და ზოგიერთ ქვეყანაში მის მიმართ ნეგატიური განწყობების მიუხედავად. დასავლეთში სუროგაციის აკრძალვას მივყავართ ამ პრაქტიკების უცხოური ბაზრის გაფართოებისკენ¹⁰⁸, ვინაიდან „სურვილით, უკვდავყოფილ იქნას მათი გენები, უშვილო წყვილები გადალახავენ საზღვრებს იმ გზების ძიებაში, რომლებიც საშუალებას მისცემს მათ ამ სურვილების განხორციელებაში“¹⁰⁹. სწორედ ამიტომ მიაჩნიათ, რომ განსაკუთრებით გესტაციური სუროგაციის აკრძალვა, სახელმწიფოს მიერ

¹⁰⁵ იხ. იქვე, 1.

¹⁰⁶ იხ. პრინციპი 15, Report on Human Artificial Procreation Principles-Set out in the Report of the Ad Hoc Committee of Experts on Progress in The Biomedical Sciences, 1989. <<https://rm.coe.int/16803113e4>> [12.11.2017].

¹⁰⁷ იხ. წინამდებარე ნაშრომის III თავი, სუროგაციის მონინალმდევე ქვეყნებისა და სუროგაციის მიმართ ნეიტრალური ქვეყნების სუროგაციის მომწესრიგებელი ადგილობრივი რეგულაციების ანალიზი. იხ. ასევე Cascao, R., The Challenges of International Commercial Surrogacy: From Paternalism Towards Realism?, *Medicine and Law*, Vol. 35, Issue 2, 2016, 154. ავტორი მიუთითებს, რომ კომერციული სუროგაციის აკრძალვა აძლიერებს არარეგულირებადი და გაუმჭვირვალე ფარული რეპროდუქციული ბაზრის აღმოცენებას, რომლის დროსაც არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდოს სუროგატი დედების ექსპლუატაციისა და ადამიანით ვაჭრობის შემთხვევები.

¹⁰⁸ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 35. მითითებულია: Crozier, G., Protecting Cross-Border Providers of Ova and Surrogacy Services?, *Global Social Policy*, Vol. 10, Issue 3, 2010, 299-303.

¹⁰⁹ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 35. მითითებულია: Theis L., Gamble N. and Ghevaert L., Re X and Y (Foreign Surrogacy): A Trek Through a Thorn Forest, *Family Law Journal*, Vol. 39, 2009, 239.

ფაქტობრივად ახდენს იმ საკითხის გააქტიურებას, რომლის თავიდან აცილებასაც იგი სუროგაციის აკრძალვით ცდილობს - „შავ ბაზარზე ბავშვების მიმართ მოთხოვნის ზრდა“¹¹⁰. საუკეთესო გამოსავალი, გარკვეული ბალანსის დაცვაა კერძო ავტონომიურ ინტერესებსა და საჯარო ინტერესებს შორის, რომ, ერთი მხრივ, სუროგატი დედისათვის დასაშვებია იყოს კომპენსაციის გადახდა, მეორე მხრივ, კი კომპენსაციის ფარგლები გარკვეული შეზღუდვების დანერგვით განისაზღვროს. მოცემულ შემთხვევაში ხომ ამოსავალი წერტილი სუროგაციის მიზანი და შედეგია - უშვილო აღამიანებისათვის მათი, ხშირ შემთხვევაში, ცხოვრებისეული ღირებულების - მშობლად გახდომის მიზანი, რომლის მიღწევა მხოლოდ სუროგატი დედის დახმარებით და, შესაბამისად, სუროგაციის პროცესის განხორციელებითაა შესაძლებელი.

შესაბამისად, „კომოდიფიკაციისა“ და „ვაჭრობად ქცევის“ არგუმენტის საწინააღმდეგო ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი სუროგაციული შეთანხმებების მიზანს უკავშირდება, ვინაიდან პოტენციური მშობლებისთვის ამ შეთანხმებაში შესვლის ერთადერთი მიზანი მშობლებად ყოფნის განზრახვაა, და არა ფულის გადახდა ბავშვის ექსპლუატაციისა თუ გადაყიდვიდან მოგების მიღების მიზნით¹¹¹. სუროგაციის შემთხვევაში ადგილი არ აქვს ბავშვის გადაცემას ფულის გადახდის სანაცვლოდ უცხო პირისათვის, რომელიც შემდგომ მოახდენს ბავშვის ვაჭრობის საგნად ქცევას. ფულის გადახდა ხორციელდება იმ მიზნით, რომ შესაძლებლობა მიეცეს წყვილს, იყოლიოს წყვილიდან ერთ-ერთის ან ორივე მათგანის ბიოლოგიური შვილი¹¹². ბავშვების „საქონლად“ და სავაჭრო ობიექტად განხილვა დაუშვებელია, ვინაიდან „ბავშვები არავის საკუთრებას არ წარმოადგენენ და ვერ განხორციელდება მათი ყიდვა ან გაყიდვა. იგივენაირად, შეუძლებელია მშობლად ყოფნის ან მეურვეობის უფლებების ყიდვა-გაყიდვა“¹¹³, მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი არაპირდაპირ შეიძლება დადგეს მომსახურებასთან დაკავშირებული გარიგებების აღსრულების პროცესში. მაგალითად, საქორწინო საშუამავლო სააგენტოსთვის თანხის გადახდა საშუამავლო მომსახურებისათვის,

¹¹⁰ Holland E. M., Forbidding Gestational Surrogacy: Impeding the Fundamental Right to Procreate, UC Davis Journal of Juvenile Law and Policy, Vol. 17, Issue 2, 2013, 18.

¹¹¹ იხ. Damelio J. and Sorensen K., Enhancing Autonomy in Paid Surrogacy, Bioethics, Vol. 22, Issue 5, 2010, 271.

¹¹² Andrews B. L., Surrogate Motherhood: The Challenge for Feminists, Law, Medicine & Health Care, Vol. 16, Issue 1-2, 1988, 73.

¹¹³ McLauchlan H. V., Swales J.K., Commercial Surrogate Motherhood and the Alleged Commodification of Children: A Defence of Legally Enforceable Contracts, Law and Contemporary Problems, Vol. 72, Issue 3, 2009, 97.

რომლითაც ხორციელდება ქორწინების მსურველი პირებისათვის მათი ერთმანეთთან დაკავშირებისა და ოჯახის შექმნაში დახმარება, არ გულისხმობს მეუღლის ან „ქორწინების ყიდვას“. იგივენაირად, კომერციული სუროგაციისას საშუამავლო სააგენტოსათვის საშუამავლო მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება სუროგაციის შეთანხმების ხელშესაწყობად, რაც, არ ნიშნავს სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის, ან ამ ბავშვზე მშობლის უფლების ყიდვას¹¹⁴.

სუროგაციის მონინაალმდეგეთა ზემოაღნიშნული, „ბავშვით ვაჭრობის“ არგუმენტები უფრო მეტად აქტუალური იყო სუროგაციის აღმოცენების დასაწყის ეტაპზე და ძირითადად ეხებოდა ტრადიციულ სუროგაციას. აღნიშნული პოზიცია შედარებით „შერბილდა 1990-იანი წლებიდან ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად, რომელმაც შესაძლებელი გახადა გესტაციური სუროგაცია. სუროგატ დედასა და ბავშვს შორის გენეტიკური კავშირის არარსებობამ, სუროგაციის, როგორც მომსახურებაზე, აქცენტის გაკეთებამ უფრო მეტად მისაღები გახადა ის საზოგადოებისათვის“.¹¹⁵

ამასთან, სუროგაციის პრაქტიკის აკრძალვის არასაკმარის არგუმენტად უნდა ჩაითვალოს გარკვეულ პირთა შეხედულების არსებობა, რომ კომერციული სუროგაცია არღვევს ადამიანის ღირსებას. ბევრისათვის შეიძლება არ იყოს კომფორტული აბორტთან დაკავშირებული უფლება, თუმცა „ჩვენი პლურალისტული საზოგადოება აღიარებს, რომ ეს არის გადანყვეტილება, რომელიც მიღებული უნდა იქნას ინდივიდების მიერ... იმ პირობებში, როდესაც მორალურ საკითხებთან დაკავშირებით გონივრული უთანხმოებები არსებობს, თუ ადამიანების გარკვეულ ჯგუფს მიაჩნია ესა თუ ის ქმედება ადამიანური ღირსების შემლახველად, ეს არ არის საკმარისი მიზეზი ადამიანების სხვა ჯგუფისათვის ამ ქმედების განხორციელების აკრძალვისთვის“¹¹⁶.

სუროგაციის მიმართ ლიბერალური პოზიციის მხარდამჭერებს მიუღებელად მიაჩნიათ, ასევე, ექსპლუატაციის არგუმენტები, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ სუროგაციულ შეთანხმებაში შესვლის დასაწყის ეტაპზე პოტენციურ მშობლებს, მართალია, გააჩნიათ გარკვეული უპირატესობა იმით, რომ სუროგატი დედის შერჩევას თავად ახდენენ, თუმცა

¹¹⁴ იქვე.

¹¹⁵ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 24.

¹¹⁶ Mazer D. S., Born Breach: The Challenge of Remedies in Surrogacy Contracts, Yale Journal of Law and Feminism, Vol. 28, Issue 1, 2016, 224.

სუროგაციის ხელშეკრულების აღსრულების მომენტში სწორედ სუროგატი დედა მყოფება უკეთეს პოზიციასა და პრივილეგიებულ მდგომარეობაში, ვინაიდან მუცლად ატარებს პოტენციური მშობლების შვილს¹¹⁷. ბუნებრივია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ექსპლუატაციის არგუმენტები სუროგაციისას გასათვალისწინებელი არ არის, მოცემულ შემთხვევაში, საუბარია იმაზე, რომ ისინი არ უნდა დაედოს საფუძვლად სუროგაციის აკრძალვას¹¹⁸.

ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ქალების შესაძლებლობა, გახდნენ სუროგატი დედები და მიიღონ სათანადო ანაზღაურება მათი მომსახურებისთვის, ზრდის სუროგატი დედის მიერ საკუთარი თავისადმი ღირსების გრძნობას და, იმავედროულად ამაღლებს ამ პროცესის სტატუსს, როგორც დასაფასებელ და პატივსაცემ პროცესს¹¹⁹. ზოგიერთი სუროგატისათვის იყოს „განსაკუთრებული“ მისი სუროგატ დედად ყოფნის სურვილის გამო ახალისებს მათ, მიხედონ საკუთარ ჯანმრთელობას და იფიქრონ საკუთარ საჭიროებებზე.¹²⁰

გამოკითხვები აჩვენებს, რომ სუროგატი დედების მოტივაცია, სუროგაციის განხორციელებაზე, არ არის ერთგვაროვანი. ერთი ნელსონი მიუთითებს რა რამდენიმე კვლევაზე, აცხადებს, რომ „ქალები, რომლებიც მოქმედებენ როგორც სუროგატი დედები, ზოგადად პოზიტიურად არიან განწყობილნი საკუთარი სუროგაციული გამოცდილების მიმართ. გამოკითხული სუროგატი დედების განცხადებით მათი გადაწყვეტილება, განხორციელებინათ სუროგაციული მომსახურება უმთავრესად ალტრუისტულ მოტივებს არ ეფუძნებოდა, თუმცა მათი სურვილი უშვილო წყვილების დახმარება იყო და არ მომხდარა მათი იძულება, შესულიყვნენ სუროგაციულ გარიგებაში¹²¹. სხვა მოტივები შეიძლება უკავშირდებოდეს ორსულობით სიამოვნების მიღებას,

¹¹⁷ მაგალითად, საქმეში *Johnson v. Calvert* (851 P.2d 776 (Cal. 1993)) სუროგატმა დედამ პოტენციურ მშობლებს მოსთხოვა თანხის გადახდა შეთანხმებულ ვადამდე და დაემუქრა მათ, რომ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ბავშვს არ გადასცემდა. აღნიშნული საქმის დეტალური ანალიზი იხ. წინამდებარე ნაშრომის III თავში (კალიფორნია).

¹¹⁸ იხ. Mazer D. S., *Born Breach: The Challenge of Remedies in Surrogacy Contracts*, *Yale Journal of Law and Feminism*, Vol. 28, Issue 1, 2016, 223-224.

¹¹⁹ Brugger k., *International Law in the Gestational Surrogacy Debate*, *Fordham International Law Journal*, Vol. 35, Issue 3, 2012, 677. მითითებულია: Sera J. M., *Surrogacy and Prostitution: A Comparative Analysis*, *Journal of Gender & the Law*, Vol. 5:315, 1997, 332-333.

¹²⁰ იქვე.

¹²¹ ნელსონი ძირითადად მიუთითებს კანადაში, გაერთიანებულ სამეფოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში განხორციელებულ სუროგაციაზე. იხ. Nelson E., *Global Trade and Assisted Reproductive Technologies: Regulatory Challenges in International Surrogacy*, *Journal of Law, Medicine & Ethics*, Vol. 41, Issue 1, 2013, 247.

მიზნის მიღწევის შეგრძნებასა და ფინანსურ სარგებელსაც¹²².

მიუღებლად უნდა ჩაითვალოს სუროგაციისა და შვილად აყვანის პროცესის გაიგივება და მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, „ვინაიდან შვილად აყვანის შემთხვევაში ბავშვის გაშვილებაზე თანხმობისათვის კომპენსაცია არაკანონიერია, სუროგაციაც არაკანონიერად უნდა იქნას მიჩნეული. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ამ პროცესს - სუროგაციასა და შვილად აყვანას გააჩნიათ პოტენციალი, მისცენ შესაძლებლობა უშვილო წყვილებს, შექმნან ოჯახი“¹²³, სუროგაცია შვილად აყვანისგან არსებითად განსხვავდება იმით, რომ სუროგაცია წარმოიშვება სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე, რომლითაც იწყება რეპროდუქციის პროცესი, შვილად აყვანა კი იწყება ქალის ორსულობის შემდგომ. სუროგაციის შემთხვევაში პოტენციურ მშობელს შეიძლება გენეტიკური კავშირი ჰქონდეს ბავშვთან, რასაც ადგილი არ აქვს შვილად აყვანისას¹²⁴ და, რაც მთავარია, სუროგატი დედისათვის კომპენსაციის გადახდა წარმოებს მისი მომსახურებისათვის, დისკომფორტისა და განცდებისათვის და არა იმ მიზნით, რომ მან უარი თქვას მის მშობლის სტატუსზე.

არ უნდა იქნას გაზიარებული, ასევე, მოსაზრება, რომ გესტაციური სუროგაციის შემთხვევაში სუროგატი დედა უარს ამბობს მშობლის უფლებაზე ბავშვის მიმართ, რომელიც დაიბადება სუროგაციის შედეგად. მიუხედავად იმისა, რომ სუროგაციის პროცესის ასეთი აღქმა, ერთი შეხედვით, შეიძლება ასახავდეს სუროგაციის გარკვეულ ასპექტს, იგი არ არის მისაღები, ვინაიდან სუროგაციული შეთანხმების ამგვარი ფორმულირება თავისთავად ნიშნავს იმას, რომ სუროგატ დედას გააჩნია მშობლის უფლება ბავშვის მიმართ, რომელიც სუროგაციის შედეგად დაიბადება და, სუროგაციულ შეთანხმებაში შესვლით ამ უფლებაზე უარს აცხადებს. გესტაციური სუროგაციისას სუროგატ დედას დაბადებული ბავშვის მიმართ არ უნდა ჰქონდეს მშობლის უფლება, ვინაიდან მისი ხელოვნური გზით დაორსულება და მის მიერ ბავშვის ამქვეყნად მოვლინება ხორციელდება არა მისი მშობლად ყოფნის მიზნით, არამედ წინასწარგანზრახულად, სხვა პირებისათვის შესაძლებლობის მიცემით, გახდნენ ბავშვის მშობლები. განსხვავებულად შეიძლება გადანყდეს

¹²² Ciccarelli J.C., Beckman L. J., Navigating Rough Waters: An Overview of Psychological Aspects of Surrogacy Contracts, *Journal of Social Issues*, Vol. 61, Issue 1, 2005, 30.

¹²³ Gordon E. A., The Aftermath of Johnson v. Calvert: Surrogacy law Reflects a more Liberal View of Reproductive Technology, *ST. Thomas Law Review*, Vol. 6, Issue 1, 1993, 198.

¹²⁴ Mohapatra S., Adopting An International Convention on Surrogacy – A Lesson from Intercountry Adoption, *Loyola University Chicago International Law Review*, Volume 13, Issue 1, 2016, 39. მითითებულია: Storrow R. F., Rescuing Children from the Marriage Movement: The Case Against Marital Status Discrimination in Adoption and Assisted Reproduction, *U.C. Davis Law Review*. Vol. 39, Number 2, 2006, 333.

საკითხი ტრადიციული სუროგაციისას, როდესაც სუროგატი დედა არამართო გესტაციურად, არამედ გენეტიკურადაა დაკავშირებული ბავშვთან. ასეთი სუროგაციის სახელმწიფოს მიერ დაშვების პირობებში გამართლებულად უნდა ჩაითვალოს ბავშვის დაბადების შემდგომ სუროგატი დედისათვის „მოფიქრების პერიოდის“ განსაზღვრა, რომლის დროსაც მას აქვს უფლება, არ თქვას უარი ბავშვის დედობაზე¹²⁵. ამ თვალსაზრისით „ევროსაბჭოს პრინციპებით“ განსაზღვრული სუროგაციის დაშვების ერთ-ერთი პირობა, რომ სუროგატ დედას უნდა ჰქონდეს „არჩევანის უფლება, დაბადების შემდეგ ბავშვი თავისთან დაიტოვოს“¹²⁶ გასათვალისწინებელი არგუმენტია ტრადიციული სუროგატი დედის შემთხვევაში, რომელსაც ბავშვთან გენეტიკური და გესტაციური კავშირი გააჩნია. აღნიშნული ის საგამონაკლისო შემთხვევაა, რომელიც მხარეთა განზრახვებზე, ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპსა და მხარეთა მიერ გამოვლენილ ნებაზე უპირატესად უნდა ჩაითვალოს. ამიტომ, სუროგაციის მომხრეთა არგუმენტი, რომ მშობლის სტატუსის დადგენა უნდა მოხდეს მხარეთა განზრახვების და არა ბიოლოგიისა თუ გენეტიკის საფუძველზე და მხოლოდ პოტენციური მშობლები უნდა განისაზღვრონ ბავშვის მშობლებად, „ვინაიდან სუროგატ დედას ბავშვის ხელოვნურად ჩასახვის მომენტში არ გააჩნია დედად გახდომის განზრახვა“¹²⁷, სრულად გასათვალისწინებელია გესტაციური სუროგაციის შემთხვევაში.

„ლიბერალური მიდგომის შესაბამისად, სუროგაციაში ჩართული მხარეები არიან საუკეთესო მოსამართლეები საკუთარი კეთილდღეობისათვის, ხელშეკრულება კი, რომელიც ახდენს ყველა მხარის ინტერესების გათვალისწინებას, უნდა აღსრულდეს და არ უნდა იქნას აკრძალული კანონით“¹²⁸. ამ თვალსაზრისით, მიაჩნიათ, რომ კომერციული სუროგაციის აკრძალვა, სუროგაციის მხარეთა თვითგამორკვევის უფლებისა და სახელშეკრულებო თავისუფლების არაპროპორციული და არაგონივრული შეზღუდვით, არღვევს სუროგაციის მხარეთა პერსონალურ თავისუფლებას. თუ ქმედუნარიანი ქალი, სუროგაციის ხელშეკრულებას დებს თავისუფალი ნების გამოვლენის ფარგლებში, იძულების, მოტყუების ან მასზე ზეგავლენის

¹²⁵ იხ. მაგ., სამხრეთ აფრიკის სამართლებრივი რეგულაციები ტრადიციულ სუროგაციასთან დაკავშირებით წინამდებარე ნაშრომის III თავში.

¹²⁶ იხ. პრინციპი 15, Report on Human Artificial Procreation Principles-Set out in the Report of the Ad Hoc Committee of Experts on Progress in The Biomedical Sciences, 1989. <<https://rm.coe.int/16803113e4>> [12.11.2017].

¹²⁷ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 23.

¹²⁸ იქვე.

გარეშე, მისი ჯანმრთელობისათვის შესაძლო რისკების, ისევე, როგორც ხელშეკრულების სამართლებრივი შედეგების შესახებ სრული და ამომწურავი ინფორმაციის მიღების შედეგად, ამგვარი ხელშეკრულების აკრძალვის სამართლებრივი საფუძველი სახელმწიფოს არ უნდა ჰქონდეს. სახელშეკრულებო ბალანსის დაცვითა და კეთილსინდისიერების პრინციპით შედგენილი სუროგაციის ხელშეკრულება ფინანსური სარგებლის მომტანია სუროგატი დედისთვის, ხოლო პოტენციური მშობლებისათვის მათი რეპროდუქციული მოლოდინების განხორციელებას ემსახურება¹²⁹. ამ თვალსაზრისით მიაჩნიათ, რომ არ არის გონივრული „პატერნალიზმის ან მორალის ერთადერთი საფუძველით ისეთი ქცევის აკრძალვა, რომელიც პოტენციურად ზრდის სოციალურ კეთილდღეობას“¹³⁰.

ამდენად, სუროგაციის პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი სუროგატი დედის ინფორმირებული თანხმობაა სუროგაციის განხორციელებაზე. ამ თვალსაზრისით სუროგაციის მონინალმდეგეები მიიჩნევენ, რომ სუროგატ დედას არ შეუძლია ინფორმირებული თანხმობის გაცხადება სუროგაციაზე, ვინაიდან იგი სრულად ვერ აცნობიერებს იმ პირად ფსიქოლოგიურ შედეგებს, რომელიც მას დაუდგება ბავშვის გაჩენის შემდგომ ბავშვის პოტენციური მშობლებისათვის გადაცემის მომენტში. შესაბამისად, ასკვნიან, რომ სუროგატი დედის მიერ „ბავშვის დაბადებამდე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება არაინფორმირებულია“¹³¹. აღნიშნული არგუმენტი არათუ არ ამართლებს სუროგაციის დაუშვებლობას, არამედ თავისთავად ეწინააღმდეგება ინფორმირებული თანხმობის კონცეფციას, რომლის არსიც მდგომარეობს პირის მიერ თანხმობის გაცხადებაში თანხმობასთან დაკავშირებულ საკითხზე სრული და ამომწურავი ინფორმაციის მიღების შედეგად. „ინფორმირებული თანხმობის იურიდიული დოქტრინა ვარაუდობს, რომ ადამიანები წინასწარ განჭვრეტენ გამოცდილებას, იქნება თუ არა კონკრეტული პროცესი მათთვის სასარგებლო“¹³². მაგალითად, ნებისმიერი სამედიცინო პროცედურის, მათ შორის აბორტისა და სტერილიზაციის, ჩატარებამდე პაციენტის მიერ გაცემული ინფორმირებული თანხმობა ნიშნავს იმას, რომ პაციენტი სრულადაა ინფორმირებული ამ კონკრეტულ სამედიცინო პროცედურასა და მის შედეგებთან დაკავშირებით და ინფორმირებული თანხმობის არსებობა

¹²⁹ Cascao, R., The Challenges of International Commercial Surrogacy: From Paternalism Towards Realism?, *Medicine and Law*, Vol. 35, Issue 2, 2016, 155-157.

¹³⁰ იქვე.

¹³¹ “Baby M”-ის სახელით ცნობილი აშშ-ის ნიუ ჯერსის შტატის სასამართლოს 1988 წლის გადაწყვეტილება [109 NJ 396, 537 A2d 1227 (NJ 1988)].

¹³² Andrews B. L., Surrogate Motherhood: The Challenge for Feminists, *Law, Medicine & Health Care*, Vol. 16, Issue 1-2, 1988, 75.

სახეზეა იმ შემთხვევაშიც, თუ პაციენტს გამოცდილება არ აქვს იმ ფსიქოლოგიურ თუ სხვა სახის შედეგებზე, რომლებიც თან ახლავს პროცედურების განხორციელებას¹³³. იგივე დაშვებაა სუროგაციის შემთხვევაშიც სუროგატი დედის მიერ გაცემულ ინფორმირებულ თანხმობასთან მიმართებით. არავინ დაობს იმაზე, რომ ინფორმირებული თანხმობა სუროგაციული შეთანხმების ნამდვილობის აუცილებელი კომპონენტი და მისი განხორციელების სავალდებულო წინაპირობაა. თუ სუროგატი დედა სრულადაა ინფორმირებული იმ სამედიცინო და სამართლებრივი ხასიათის შედეგებზე, რომლებიც თან ახლავს სუროგაციის განხორციელებას, მისი წინასწარი თანხმობა, გაცემული ამ ინფორმაციის მიღების შედეგად, ინფორმირებულ თანხმობად მიიჩნევა, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას სუროგაციის გამოცდილება თანხმობის გაცხადების მომენტში. სწორედ ამ საკითხს შეეხო სუროგატი დედა, დონა რეგანი (Donna Regan) ჯერ კიდევ სუროგაციის აღმოცენების დასაწყის პერიოდში, 1987 წელს, როდესაც ნიუ იორკის შტატის პალატის, სენატისა და იურიდიული კომიტეტების წინაშე სუროგაციასთან დაკავშირებულ საჯარო განხილვაზე განაცხადა, რომ მას, ისევე როგორც ნებისმიერ ადამიანს, უნევს რთული გადაწყვეტილებების მიღება და აღნიშნა: „ჩემთვის პირადად ძალზედ შეურაცხმყოფელია, როდესაც ამბობენ, რომ, როგორც ქალს, არ შემოძლია ჩემს ორსულობასთან დაკავშირებით ინფორმირებული არჩევანის გაკეთება“¹³⁴.

ნებისმიერ შემთხვევაში, სუროგაციის დაშვების მომხრეების ძირითადი არგუმენტი მის მხარდასაჭერად ეფუძნება ავტონომიას ქალის რეპროდუქციულ ფუნქციასთან დაკავშირებით - „რეპროდუქციულ ავტონომიას“¹³⁵. არსებობს მოსაზრება, რომ „დედობის იდეოლოგია ეხება როგორც დედობას, ასევე ორსულობა-მშობიარობას. პირველი, როგორც ბიოლოგიური ფენომენი, ხელს უშლის ქალებს იცხოვრონ სრული ავტონომიური ცხოვრებით, მეორე კი განსაზღვრავს დედად ყოფნის

¹³³ იქვე.

¹³⁴ Andrews B. L., Surrogate Motherhood: The Challenge for Feminists, Law, Medicine & Health Care, Vol. 16, Issue 1-2, 1988, 75. მითითებულია: Surrogate Parenthood and New Reproductive Technologies, A Joint Public Hearing, before the N.Y. State Assembly, N.Y. State Senate, Judiciary Committees, October 16, 1986, Donna Regan, N.Y. Testimony, May 8, 1987, 157.

¹³⁵ რეპროდუქციული ავტონომია გულისხმობს რეპროდუქციის შესახებ ინდივიდუალური გადაწყვეტილებების პატივისცემას. მხარდაჭერილია სუროგაციის მიმართ ლიბერალური მიდგომის მქონე ავტორთა მიერ. იხ. Gilbar R., Between Unconditional Acceptance and Responsibility: Should Family Ethics Limit the Scope of Reproductive Autonomy?, Child and Family Law Quarterly, vol. 21, Issue 3, 2009, 310. მითითებულია: Dworkin R., Life's Dominion, Vintage Books, 1994, 166; Robertson J., Children of Choice: Freedom and the Law, Princeton University Press, 1994, 30.

სოციალურ ასპექტს. რეალური არჩევანი უნდა გულისხმობდეს იმას, რომ მათ შეუძლიათ გადალახონ როგორც სოციალური, ასევე ფიზიკური დაბრკოლებები და აირჩიონ, გახდნენ დედები¹³⁶. „არჩევანი შეიძლება დანახული იქნას როგორც დინამიური ნავიგაცია სოციალური, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორების მეშვეობით. ამ გზით ზოგიერთი ქალი იღებს გადაწყვეტილებას აბორტზე, უშვილოდ დარჩენაზე ან ნაყოფის მუცლად ტარებაზე შემდგომში ბავშვზე უარის თქმით, რაც შეიძლება განხორციელდეს როგორც ბავშვის გაშვილებით, ასევე იმით, რომ იმოქმედებენ როგორც სუროგატი დედები“¹³⁷.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფემინისტების ნაწილი სუროგაციის გამართლებას რეპროდუქციის არსითა და რეპროდუქციული არჩევანის შესაძლებლობით ახდენს, ვინაიდან, მიაჩნიათ, რომ რეპროდუქცია ადამიანის სხეულის პირობაა, რომელზედაც კონტროლის უფლება მხოლოდ მას და სხვას არავის გააჩნია, რეპროდუქციული არჩევანი კი მოიცავს ქალის უფლებას აკონტროლებდეს საკუთარ სხეულს, ისევე, როგორც უფლებას ჩასახვაზე, აბორტზე ან დაორსულობაზე და „ამ უფლებების უგულვებელყოფა არ უნდა მოხდეს პოტენციური ბავშვების მიმართ შესაძლო სიმბოლური ზიანის ან სპეკულაციური რისკების არსებობის არგუმენტებით“¹³⁸.

თუმცა, რეპროდუქციულ ავტონომიასა და რეპროდუქციულ არჩევანთან დაკავშირებული არგუმენტაციის დეტალურად განხილვა ეთიკურ არგუმენტებს სცდება და საჭიროებს რეპროდუქციული უფლებების არსისა და მისი მნიშვნელობის კვლევას. ეს უკანასკნელი კი იძლევა შესაძლებლობას არამართო ეთიკურ, არამედ ადამიანის ფუნდამენტური უფლების - რეპროდუქციული უფლების რეალიზაციის კონტექსტში იქნას დანახული დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებზე, მათ შორის სუროგაციაზე, წვდომის უფლების არსებობის აუცილებლობა¹³⁹.

¹³⁶ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 25. მითითებულია: Marshall J., Giving Birth but Refusing Motherhood: Inauthentic Choice or Self-Determining Identity?. International Journal of Law in Context, Vol. 4, Issue 2, 2008, 169-185.

¹³⁷ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 25.

¹³⁸ Andrews B. L., Surrogate Motherhood: The Challenge for Feminists, Law, Medicine & Health Care, Vol. 16, Issue 1-2, 1988, 72.

¹³⁹ რეპროდუქციული უფლებებთან დაკავშირებით დეტალურად იხ. წინამდებარე ნაშრომის II თავი.

3. დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების მნიშვნელობა და გამონვევები

ა. ზოგადი ანალიზი

დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების, მათ შორის კოლაბორაციული რეპროდუქციის ყველაზე კომპლექსური მეთოდის - სუროგაციის, არსისა და სახეების შესახებ, მცირედი ინფორმაციულობაც კი შესაძლებლობას გვაძლევს, არამარტო აღვიქვათ ამ პროცედურების უნიკალურობა უშვილო წყვილების ან უშვილო ადამიანისათვის, გადაჭრან მათი, ხშირ შემთხვევაში, ცხოვრებისეული პრობლემა - უნაყოფობა, არამედ დავინახოთ ის საფრთხეები და გამონვევებიც, რომლებიც ამ სამედიცინო ტექნოლოგიებს შეიძლება თან ახლდეს.

დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების გამონვევებსა და მათ მნიშვნელობაზე ახდენს ხაზგასმას ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის მიერ 2008 წელს შემუშავებული დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების შესახებ მოდელური აქტი:

„1978 წელს პირველად ინ ვიტრო განაყოფიერების შედეგად ბავშვის დაბადების შემდგომ, რეპროდუქციულ მედიცინაში ექსტრაორდინალურმა მიღწევებმა უშვილო პირებს ბიოლოგიურ მშობლებად ყოფნის შესაძლებლობა მისცა, შესაძლებელი გახდა გარკვეული სხვა სამედიცინო პირობები ინდივიდებისთვის, რომელთაც გააჩნიათ მემკვიდრული დაავადებების ან გენეტიკური ანომალიების გადაცემის რისკი, ან იმ ინდივიდებისთვის, რომლებიც ფაქტიურად უშვილოები არიან უფრო მეტად სოციალური, ვიდრე სამედიცინო მიზეზების გამო. ეს მიღწევები, ასევე, იქნა გამოყენებული რეპროდუქციული პოტენციალის გაზრდისათვის პოსტ-მენოპაუზის დროს ქალების მკურნალობით. მიღწევები იყენებენ ტექნოლოგიას იმისათვის, რომ მისცენ შესაძლებლობა პირებს, იყოლიონ შვილები მაშინ, როდესაც პირადი მიზეზების გამო მათ არ აქვთ ამის უნარი სექსუალური კავშირის საშუალებით ან ირჩევენ, რომ არ მიმართონ ამ კავშირს. მიღწევები, ასევე, გამოიყენება გარდაცვლილი ან უნარნართმეული პირებისაგან გამეტების ამოღებისათვის, ან დიფერენცირებული უჯრედების¹⁴⁰ მანიპულაციისათვის იმ მიზნით, რომ მიღებული იქნას ადამიანის ემბრიონის ექვივალენტი და დაახლოებითი ექვივალენტი, რომელსაც გააჩნია საშვილოსნოში იმპლანტაციისა და გესტაციის შესაძლებლობა მშობიარობამდე“¹⁴¹.

¹⁴⁰ დიფერენცირებული უჯრედები - “differentiated cells”. უჯრედების დიფერენცირება - უჯრედების სპეციალიზირებული ფენოტიპის ფორმირების გენეტიკურად განსაზღვრული პროგრამის რეალიზაციის პროცესი. დიფერენცირება ცვლის უჯრედის ფუნქციას, მის ზომას, ფორმასა და მეტაბოლურ აქტივობას.

¹⁴¹ American Bar Association Model Act Governing Assisted Reproductive Technology, Prefatory Note, February 2008, ხელმისაწვდომია ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის

ამგვარად, სამედიცინო ტექნოლოგიების ამ ინოვაციური და უნიკალური მეთოდების შემუშავებით შესაძლებლობა მიეცათ უშვილო ჰეტეროსექსუალ წყვილებს ხელოვნური ჩარევით მიეღოთ ორსულობა ისეთ პირობებში, როდესაც ტრადიციული სამედიცინო მკურნალობის შედეგად ბუნებრივი გზით ორსულობის მიღება ფაქტობრივად შეუძლებელია. ამ ტექნოლოგიებმა შესაძლებელი გახადა სამედიცინო მკურნალობის ისეთი მეთოდები, რომელთა არათუ პრაქტიკულად განხორციელება, არამედ არსებობაც კი წარმოუდგენელი შეიძლებოდა ყოფილიყო წლების წინ. მათ „ასევე, მოახდინეს რეპროდუქციული არჩევანის გაფართოება იმ პირებისათვის, რომელთაც არ აქვთ უნაყოფობის პრობლემა“¹⁴². დონორის სპერმით ინსემინაციით შესაძლებლობა მიეცათ მარტოხელა ქალებს, იყლიონ საკუთარი ბიოლოგიური შვილი მამაკაცი პარტნიორის გარეშე. კვერცხუჯრედების დონაციით რეპროდუქციის შესაძლებლობა აქვთ ქალებს არამარტო მენოპაუზის შემდგომ, არამედ ადრეულ ასაკშიც საკვერცხეების ნაადრევი განლევის სინდრომის არსებობისას და ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მათი ორგანიზმი განაყოფიერებისათვის ვარგისი კვერცხუჯრედების წარმოქმნის უნარის არმქონეა. „გამეტებისა და ემბრიონების გაყინვის შესაძლებლობა კი ნიშნავს იმას, რომ თუნდაც სიკვდილი აუცილებლად არ აღნიშნავს ადამიანის რეპროდუქციული სიცოცხლის დასრულებას“¹⁴³.

დამხმარე რეპროდუქციულმა ტექნოლოგიებმა უშვილო წყვილებსა თუ პირებს არამარტო მიანიჭა მათი ბიოლოგიური შვილის ყოლის შესაძლებლობა, არამედ, ასევე, მნიშვნელოვანი ალტერნატივა მისცა მათ, გვერდი აეღოთ შვილად აყვანის გართულებული პროცედურებისათვის. მეთოდები, ასევე, განიხილება როგორც „დემოგრაფიული პრობლემების მოგვარების კომპონენტი“¹⁴⁴.

თუმცა, იმ მნიშვნელოვანი სიკეთის გარდა, რომლის მომტანიცაა დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების გამოყენებით უშვილობის პრობლემების გადაჭრა და უშვილო ადამიანისათვის, ხშირ შემთხვევაში, მისთვის უმნიშვნელოვანესი სიკეთის - მშობლად ყოფნის შესაძლებლობის მიცემა, ამ ტექნოლოგიებმა მათი პრაქტიკაში გამოყენების დაწყებიდან

ოფიციალურ ვებ-გვერდზე: <<http://apps.americanbar.org/family/committees/artmodelact.pdf>> [01.11.2017].

¹⁴² Coleman C. H., Assisted Reproductive Technologies and the Constitution, Fordham Urban Law Journal, Vol. 30, Issue 1, 2002, 57.

¹⁴³ იქვე.

¹⁴⁴ Самаилова В. В., Семейно-Правовые Аспекты Реализации Репродуктивных Прав При Применении Вспомогательных Репродуктивных Технологий, Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Москва, 2011, 4.

წარმოშვა სამართლებრივი პრობლემები და ბიძგი მისცა სხვადასხვა საფუძვლით სასამართლო დავების აღმოცენებას. „რეპროდუქციული ტექნოლოგიების სფეროში მედიცინის თანამედროვე განვითარებამ წარმოშვა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობები, განსხვავებული სამართლებრივი კონსტრუქციები და პრეზუმუციები, რაც, თავის მხრივ, გამოვლინდა ამ სფეროში სამართლის განვითარების აუცილებლობით მონაწილე პირების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების უფრო მეტად სრულად დაცვისათვის“¹⁴⁵. დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებს წლების განმავლობაში მედიცინის „ველურ დასავლეთადაც“¹⁴⁶ კი მოიხსენიებდნენ სწორედ იმის გამო, რომ იგი უნიკალური გზებით ახდენს სამედიცინო პროცედურების განახლებას და ბევრი სხვადასხვა ინოვაციური და ახალი ტექნოლოგიის გამოყენებას¹⁴⁷. უდავოა, რომ რეპროდუქციულ მედიცინაში უნიკალურმა მიღწევებმა მოახდინეს „რევოლუცია ოჯახის ინსტიტუტში“¹⁴⁸ იმ თვალსაზრისით, რომ უშვილობის გადაჭრასთან ერთად, შესაძლებელი გახდა ისეთი ოჯახური სტრუქტურების ფორმირება, რომლებიც ბუნებრივად არ იარსებებდნენ¹⁴⁹.

მიუხედავად იმისა, რომ დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებს ძირითადად იყენებენ ჰეტეროსექსუალი წყვილები, ამ მეთოდებმა სამედიცინო თვალსაზრისით შესაძლებლობა მისცა არატრადიციული ორიენტაციის მქონე წყვილებსა და პირებს ჩასახვის ბუნებრივი გზის გარეშე იყოლიონ საკუთარი ბიოლოგიური შვილი¹⁵⁰. თუმცა, ამისათვის მათ „უნდა

¹⁴⁵ Пестрикова А. А., Обязательства Суррогатного Материнства, Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Самара, 2007, 4.

¹⁴⁶ “It is not surprising then that the fertility field is considered by many to be the “Wild West” of medicine, with fertility doctors as its cowboys” – „არ არის გასაკვირი, რომ უნაყოფობის სფერო ბევრის მიერ მიჩნეულია მედიცინის „ველურ დასავლეთად“, სადაც ექიმები მისი „კოვბოები“ არიან“. იხ. Rosato L. J., The Children of ART (Assisted Reproductive Technology): Should the Law Protect Them from Harm?, UTAH Law Review, Vol. 2004, Issue 1, 73. მედიცინის „ველურ დასავლეთად“ მოხსენიებისას ავტორი მითითებას ახდენს: Andrews B. L., The Clone Age., 1999, 210; Hecht N. A., The Wild Wild West: Inadequate Regulation of Assisted Reproductive Technology, Houston Journal of Health Law & Policy, Vol. 1, 2001, 227, 228, 261.

¹⁴⁷ Bychkov Green S., Interstate Intercourse: How Modern Assisted Reproductive Technologies Challenge the traditional Realm of Conflicts of Law, Wisconsin Journal of Law, Gender and Society, Vol. 24, Issue 1, 2009, 36. მითითებულია: Andrews L. B., The Clone Age: Adventures in the New World of Reproductive Technology, 1999, 219-220.

¹⁴⁸ Sabatello M., Are the Kids All Right?: A Child-Centered Approach to Assisted Reproductive Technologies, Netherlands Quarterly of Human Rights, Vol. 31, Issue 1, 2013, 82.

¹⁴⁹ Steiner E., Rosu. A. M., Medically Assisted Human Reproductive Technologies (ART) and Human Rights – The European Perspective, Frontiers of Law in China, Vol. 11, No. 2, 2016, 341.

¹⁵⁰ ამ მხრივ აღსანიშნავია კალიფორნიის სასამართლოს 2008 წლის გადაწყვეტილება საქმეზე *North Coast Women’s Care Medical Group, Inc. v. San Diego County Superior Court*, 44 Cal. 4th 1145, 189 P.3d 959, 81 Cal. Rptr. 3d 708). კალიფორნიის უმაღლესმა სასამართლომ

გადალახონ ის სამართლებრივი ბარიერები, დანესებული მათ წინაშე სამართლებრივი სისტემის მიერ, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, ძალზე ვიწროდ განსაზღვრავს მშობლის უფლებებს¹⁵¹.

სამწუხაროა, თუმცა, ფაქტია, რომ ხშირ შემთხვევაში კანონმდებელი ვერ ეწევა სამედიცინო ტექნოლოგიების სწრაფ და მზარდ განვითარებას. სამედიცინო მეთოდები, მოცემულ შემთხვევაში კი, დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიები, რომლებიც სრულიად რადიკალურად ცვლის თუნდაც სამართალში ტრადიციულად დამკვიდრებულ მშობლის - დედისა და მამის სამართლებრივ სტატუსს, ბუნებრივია, რომ გადაუდებლად საჭიროებს შესაბამისი მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის შემუშავებას, რომლითაც, ამ ტექნოლოგიების სახელმწიფოში დაშვების პირობებში, ნათლად და მკაფიოდ განისაზღვრება სამედიცინო პროცედურაში მონაწილე ყველა პირის სამართლებრივი სტატუსი, მათი უფლებები და მოვალეობები. საკანონმდებლო რეგულაციების არარსებობა ან არსებულ რეგულაციებში ხარვეზები კი, ბუნებრივია, იწვევს წარმოშობილ სამართლებრივ დავებზე სასამართლოების ერთიანი პრაქტიკის არარსებობას და, თუნდაც კონფლიქტურ გადაწყვეტილებებს.

დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების არსისა და მათი პრაქტიკაში გამოყენების შედეგებიდან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, მათ განხორციელებასთან დაკავშირებით სხვადასხვა საფუძვლით წარმოშობილი სასამართლო დავების არსებობა, რომლებიც უკავშირდება, სხვათა შორის, კოლაბორაციული რეპროდუქციის შედეგად დაბადებული ბავშვის მიმართ მშობლის უფლებების დადგენასა¹⁵² და გაყინული

დაადგინა, რომ აღმსარებლობის თავისუფლება არ გამორიცხავდა სამედიცინო დანესებულების ექიმების ვალდებულებას, დაეცვათ კალიფორნიის კანონმდებლობა, (California Unruh Civil Rights Act), რომელიც კრძალავდა დისკრიმინაციას პირის სექსუალური ორიენტაციის გამო. საქმე ეხებოდა მოსარჩელე ქალბატონ ბენიტესისათვის (Benitez) დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიით, კერძოდ კი სპერმით, საშვილოსნოსშიდა ინსემინაციის ჩატარებაზე რელიგიური მრწამსის მოტივით ექიმის უარს იმის გამო, რომ პაციენტი/მოსარჩელე არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე იყო. ამგვარად, ამ გადაწყვეტილებით კალიფორნიის სასამართლომ დაადგინა, რომ დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებთან (ინსემინაციის მეთოდით) წვდომის უფლება არ შეიძლება შეეზღუდოს პაციენტს მისი სექსუალური ორიენტაციის გამო.

¹⁵¹ Kokiasmenos M., Mihalich L., Assisted Reproductive Technology, The Georgetown Journal of Gender and the Law, Volume V, Number 1, 2004, 622.

¹⁵² მშობლის უფლებებთან დაკავშირებულ დავებს შორის არსებობს საქმეები, რომლებიც ეხება სპერმის დონორის უფლებებს დაბადებულ ბავშვთან მიმართებით. მაგალითად, საქმეში: *McIntyre v. Crouch* (780 P.2d 239 (1989) 98 Or.App. 462 Kevin N. McIntyre, Appellant, v. Linden CROUCH, Respondent. No. 2109-F; CA A44574. Court of Appeals of Oregon. Argued and Submitted May 18, 1988. Decided September 13, 1989) ორეგონის შტატის კანონმდებლობის საფუძველზე სასამართლომ დაადგინა, რომ სპერმის დონორს არ გააჩნდა ხელოვნური განაყოფიერების გზით დაბადებული ბავშვის მიმართ რაიმე უფლება-მოვალეობა. გამონაკლისი იქნებოდა სპერმის დონორსა და დედას შორის მამობასთან

ემბრიონების განკარგვას¹⁵³. თუმცა, ეს დავები ძირითადად ეხება ტექნოლოგიების სამართლებრივი შედეგების ასპექტებს, ტექნოლოგიების სამედიცინო პროცედურების ჩატარების პროცესში კი, ასევე, შედეგების თვალსაზრისით, არანაკლები მნიშვნელობა აქვს ტექნოლოგიების უშუალოდ განმახორციელებელი სამედიცინო დაწესებულების, სამედიცინო პერსონალის, მათ შორის ექიმებისა და ემბრიოლოგების, პროფესიულ და ეთიკურ სტანდარტებს, კვალიფიკაციას და კეთილსინდისიერ ქცევებს. ამ კუთხით ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო პრაქტიკაში არაერთი სასამართლო დავაა, რომელთა ინიცირება განხორციელდა სამედიცინო დაწესებულებების წინააღმდეგ პროფესიული დაუდევრობის, მცდარი გენეტიკური დიაგნოზის ან არაეთიკური ქცევის გამო აღძრული სარჩელებით. მაგალითად, 1993 წელს სარჩელი აღძრული იქნა ექიმი იაკობსონის (Jacobson) წინააღმდეგ იმ საფუძვლით, რომ ექიმის მიერ პაციენტების კუთვნილი კვერცხუჯრედების განაყოფიერება ხდებოდა მისი საკუთარი სპერმით.¹⁵⁴ აშშ-ს სასამართლო პრაქტიკა მოიცავს ასევე შემთხვევებს, როდესაც სამედიცინო პერსონალის დაუდევრობის გამო კვერცხუჯრედის განაყოფიერება განხორციელდა დონორის სპერმით, რომლის შერჩევაც პოტენციური მშობლების მიერ არ მომხდარა¹⁵⁵.

დაკავშირებული პასუხისმგებლობისა და უფლებების თაობაზე ხელშეკრულების არსებობა, რომელსაც სპერმის დონორი დაეყრდნობოდა მისი სპერმის დონაციისას. განსხვავებულად გადაწყვიტა საქმე კალიფორნიის სააპელაციო სასამართლომ საქმეში: *Jhordan C. v. Mary K.*, (179 Cal.App.3d 386 (1986)), სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ სპერმის დონორი იყო ბავშვის მამა და მას უნდა მიანიჭებოდა ბავშვის მონახულების უფლებები. სასამართლომ გადაწყვეტილება დააფუძნა იმ არგუმენტაციას, რომ ბავშვის დედამ თავად მოახდინა სახლში მოსარჩელე დონორის სპერმით ინსემინაცია, კალიფორნიის კანონმდებლობის შესაბამისად კი სპერმის დონორი არ განიხილებოდა ბავშვის მამად მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სპერმის დონაცია განხორციელებული იყო ხელოვნური განაყოფიერების მიზნებისათვის ლიცენზირებულ ექიმთან. მშობლის უფლებებთან დაკავშირებული დავების თაობაზე დამატებით იხ. *Lainaritata v. Lucas*, 823 So. 2d 316, 319 (Fla. Dist. Ct. App. 2002); *Alexandria S. v. Pac. Fertility Med. Ctr. Inc.*, 64 Cal. Rptr. 2d 23 (Cal. Ct. App. 1997); *People v. Sorenson*, 437 P.2d 495, 499 (Cal.1968). სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის მიმართ მშობლის უფლებების დადგენას ეხება არაერთი დავა, მათ შორისაა წინამდებარე ნაშრომში განხილული “Baby M”-ის სახელით ცნობილი აშშ-ის ნიუ ჯერსის შტატის სასამართლოს 1988 წლის გადაწყვეტილება [109 NJ 396, 537 A2d 1227 (NJ 1988)] იხ. I თავი; *Johnson v. Calvert*, 851 P.2d 776 (Cal. 1993), იხ. III თავი, *Buzzanca v. Buzzanca*, 61 Cal.App.4th 1410, 72 Cal.Rptr.2d 280 (Ct. App. 1998), იხ. III თავი.

¹⁵³ მაგ., წინამდებარე ნაშრომის II თავში განხილული *Evans v. United Kingdom*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება, განაცხადი #36339/05; ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე #2/1852-14; *Nachmani v. Nachmani*, 50(4) P.D. 661 (Isr.); *A.Z. v. B.Z.*, 725 N.E.2d 1051 (Mass. 2000).

¹⁵⁴ *St. Paul Fire & Marine Ins. Co. v. Jacobson*, 826 F. Supp. 155, 157 (E.D. Va. 1993), *aff'd*, 48 F.3d 778 (4th Cir. 1995); ასევე, იხ. *James v. Jacobson*, 6 F.3d 233 (4th Cir. 1993).

¹⁵⁵ *Harnicher v. Univ. of Utah Med. Ctr.*, 962 P. 2d 67, 68 (Utah 1998) Supreme Court of Utah.

სამედიცინო დაწესებულების წინააღმდეგ წარმოებულ დავებს შორის აღნიშვნის ღირსია ე.წ. ენდრიუსების (Andrews) საქმე, რომელიც ეხებოდა ინ ვიტრო განაყოფიერების დროს პოტენციური მამის სპერმის მაგივრად სხვა პირის სპერმის გამოყენებას.

ბ. ენდრიუსი ქელტის წინააღმდეგ (*Andrews v Keltz*)¹⁵⁶:

ნიუ იორკის უმაღლესმა სასამართლომ განიხილა მოსარჩელების, ქორწინებაში მყოფი წყვილის, ნენსი ენდრიუსისა (Nancy Andrews) და თომას ენდრიუსის (Thomas Andrews), ასევე, ინ ვიტრო განაყოფიერების გზით დაბადებული მათი ქალიშვილის, ჯესიკას (Jessica) სარჩელი სამედიცინო დაწესებულების, სამედიცინო დაწესებულების მესაკუთრისა და მმართველის, ექიმისა და ემბრიოლოგის წინააღმდეგ. მოსარჩელები ნენსი ენდრიუსი და თომას ენდრიუსი აცხადებდნენ, რომ ინ ვიტრო განაყოფიერების პროცედურა უნდა ჩატარებულიყო ქალბატონი ენდრიუსის კვერცხუჯრედებისა და ბატონი ენდრიუსის სპერმის განაყოფიერებით იმ მიზნით, რომ მათ ჰყოლოდათ საკუთარი ბიოლოგიური შვილი, თუმცა, მოპასუხეებმა დაუდევრობის შედეგად კვერცხუჯრედის განაყოფიერებისათვის ბატონი ენდრიუსის გენეტიკური მასალის ნაცვლად გამოიყენეს სხვა პირის სპერმა. მოსარჩელების განცხადებით ჯესიკას დაბადების, 2004 წლის ოქტომბრის, შემდგომ მათ მალევე აღმოაჩინეს, რომ ბავშვს გააჩნდა ტიპურად აფრიკული ან აფრო-ამერიკული წარმოშობის მახასიათებლები მაშინ, როდესაც ქალბატონი ენდრიუსი დაბადებული იყო დომინიკის რესპუბლიკაში და ჰქონდა ამ რეგიონისათვის დამახასიათებელი კანის ფერი, ბატონი ენდრიუსი კი იყო კავკასიელი. ამ „ანომალიის“ შესახებ მათ აცნობეს ექიმ ქელტს (Keltz), რომელმაც მათ განუცხადა, რომ ინ ვიტრო პროცედურა სათანადოდ ჩატარდა და რომ ჯესიკა დროთა განმავლობაში „გალიავდებოდა“¹⁵⁷.

2004 წლის დეკემბერში მოსარჩელებმა ჩაატარეს გენეტიკური ანალიზი, რომელმაც დაადგინა, რომ ბატონი ენდრიუსისა და ჯესიკას შორის გენეტიკური კავშირი არ არსებობდა. მომდევნო ორმა გენეტიკურმა კვლევამ ეს შედეგი დაადასტურა. სასამართლოში წარდგენილი სარჩელით სამივე მოსარჩელე ითხოვდა ზიანის ანაზღაურებას მძიმე ემოციური სტრესის გამო. ამასთან, ნენსი ენდრიუსმა დააყენა საკითხი იმის თაობაზე, რომ სამედიცინო

¹⁵⁶ *Andrews v Keltz*, 2007 NY Slip Op 27139 [15 Misc 3d 940] March 7, 2007, Supreme Court, New York County Published by New York State Law Reporting Bureau pursuant to Judiciary Law § 431. As corrected through Wednesday, June 27, 2007.

¹⁵⁷ “get lighter over time”.

დანესებულების მხრიდან აღგილი ჰქონდა ქმედების განხორციელებას ინფორმირებული თანხმობის არარსებობის პირობებში, კონტრაქტის დარღვევას, ექიმი კელტზის მხრიდან თაღლითობასა და ყველა მოპასუხის მიერ მოსარჩელებისათვის შეურაცხყოფასა და ზიანის მიყენებას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელების მიერ მითითებული ზიანი უმრავლეს შემთხვევაში არ ექვემდებარებოდა კომპენსაციას არსებული პრეცედენტული სამართლით დადგენილი პრინციპების გათვალისწინებით. სასამართლომ მიუთითა სხვადასხვა გადაწყვეტილებაზე და არ დააკმაყოფილა მოსარჩელების მოთხოვნა ემოციური სტრესით გამონვეული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, რომელიც მათ განიცადეს მაშინ, როდესაც წაერთვათ შანსი, ჰყოლოდათ საკუთარი ბიოლოგიური შვილი, დაადგინა რა, რომ „ნიუ იორკის სამართლით ჯანმრთელი ბავშვის დაბადება არ მიიჩნევა აღიარებულ ზიანად“. სასამართლომ მიუთითა, რომ ნიუ იორკის სასამართლოების მიერ გაცხადებული პრინციპების ლოგიკური განვრცობით არასასურველი, თუმცა, სხვაგვარად ჯანმრთელი და ნორმალური ბავშვის დაბადება არ წარმოადგენდა მისი მშობლებისათვის მიყენებულ ზიანს და, რომ თუნდაც სერიოზული დაავადების მქონე ბავშვის მშობლებს არ შეეძლოთ, მიეღოთ ანაზღაურება ემოციური ზიანისათვის ბავშვის დაბადების გამო. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელები ვერ მიიღებდნენ ანაზღაურებას იმ მორალური ზიანისათვის, რაც გამონვეული იყო ჯესიკას დაბადებით, რომელიც არ წარმოადგენდა ბატონი ენდრიუსის ბიოლოგიურ შვილს. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მოსარჩელები ვერ მიიღებდნენ ზიანის ანაზღაურებას იმ საფუძველით, რომ მათ წაერთვათ შესაძლებლობა, ჰყოლოდათ მათი ბიოლოგიური შვილი. თუმცა, სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელების განცხადებით, არსებობდა მუდმივი გაურკვეველობა და უნდობლობა იმასთან დაკავშირებით, მოხდა თუ არა თითოეული ან ორივე მათგანის გენეტიკური მასალის არასათანადოდ გამოყენება სხვა პირების სასარგებლოდ და, რომ ამ უკანასკნელთ შესაძლოა, ჰყოლოდათ მათი ბიოლოგიური შვილი. მოსარჩელები ასევე აპელირებდნენ იმ შესაძლო საფრთხეზე, რაც დაკავშირებული იყო ჯესიკას გენეტიკური მამის მიერ მის ბიოლოგიურ შვილთან - ჯესიკასთან მიმართებით მშობლის უფლებების გაცხადებასთან. სასამართლომ დაადგინა, რომ ამ საფუძველთან მიმართებით არსებობდა მოთხოვნილი მორალური ზიანის „უტყუარობის გარანტია“¹⁵⁸, რომ მოსარჩელებს შეეძლოთ მიეღოთ ანაზღაურება მორალური ზიანისათვის. სასამართლომ

¹⁵⁸ “guarantee of genuineness”.

დააკმაყოფილა მოსარჩელების მოთხოვნა ემბრიოლოგის წინააღმდეგ¹⁵⁹ *res ipsa loquitur*¹⁶⁰ პრინციპის საფუძველზე, რადგან მათ მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებდნენ ემბრიოლოგის დაუდევრობას, არ იყო უარყოფილი ემბრიოლოგის მიერ.

ექიმებისა და სამედიცინო დაწესებულებების წინააღმდეგ დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების წარმოებასთან დაკავშირებით სასამართლოებში სარჩელები აღძრული იქნა, ასევე, არასწორი გენეტიკური დიაგნოზის გამო. დავის ამ კატეგორიას მიეკუთვნება ე.წ. პარეტების (*Paretta*) საქმე, რომელზედაც გადანყვეტილება ნიუ იორკის უმაღლესმა სასამართლომ მიიღო.

გ. პარეტა ადამიანის რეპროდუქციის სამედიცინო დაწესებულებების წინააღმდეგ (*Paretta v Medical Offices for human Reproduction*)¹⁶¹:

სარჩელი წარდგენილი იქნა ცისტოზური ფიბროზით¹⁶² დაბადებული ბავშვის მშობლების - პარეტების მიერ სამედიცინო დაწესებულებისა და ექიმების წინააღმდეგ. ბავშვი დაიბადა მოპასუხე კლინიკაში წარმოებული ინ ვიტრო განაყოფიერების შედეგად, რომლის დროსაც გამოყენებული იყო დონორის კვერცხუჯრედი და მეუღლის სპერმა. ბავშვი დაიბადა დაავადებით, რომელიც მემკვიდრულად გადადის ბავშვზე ორივე მშობლისაგან და რომლის გამოც ბავშვს მთელი სიცოცხლის განმავლობაში ესაჭიროებოდა ქირურგიული ოპერაციები და სათანადო მკურნალობა. მოსარჩელები ამტკიცებდნენ, რომ მოპასუხეებს არ გაუფრთხილებიათ ისინი, იყო თუ არა დონორი ამ დაავადების მატარებელი და არც მამის შესაბამისი გენეტიკური კვლევა ჩატარებიათ. მოსარჩელების ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენდა მორალური ზიანისა და ბავშვის მოვლისა და მკურნალობისათვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება. სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელების მოთხოვნა მორალური ზიანის

¹⁵⁹ მიღებული იქნა გამარტივებული წესით სასამართლოს გადანყვეტილება “summary judgment”, ვინაიდან მოპასუხე ემბრიოლოგის მიერ არ იქნა წარდგენილი წერილობითი ახსნა-განმარტება - “Affidavit”.

¹⁶⁰ *res ipsa loquitur* - „საქმე თავად ღაღადებს, ანუ საგანი თავის თავზე ლაპარაკობს: ფორმულა, რომელიც ასახულებს პირის პასუხისმგებლობას იმ ზიანზე, რომელიც მიყენებული იქნა იმ საგნის გამო, რომელიც პირის კონტროლის ქვეშაა“. იხ. კაპანაძე ნ., კვაჭაძე მ., ლათინურ-ქართული სამართლებრივი ლექსიკონი, თბილისი, 2008.

¹⁶¹ *Paretta v Medical Offices for human Reproduction*, 195 Misc.2d 568 (2003) 760 N.Y.S.2d 639 JOSEPHINE PARETTA et al., Plaintiffs, v. MEDICAL OFFICES FOR HUMAN REPRODUCTION et al., Defendants. Supreme Court, New York County, March 31, 2003.

¹⁶² “cystic fibrosis”.

ანაზღაურების ნაწილში, თუმცა, დაადგინა, რომ მოსარჩელეებს შეეძლოთ მოეთხოვათ ბავშვის მოვლისათვის განწეული ხარჯების ანაზღაურება, მათ შორის მეუღლე ქალბატონის მიუღებელი შემოსავალი დაკარგული ხელფასის სახით, რადგან იგი იძულებული იყო მისი ავადმყოფი შვილის მოვლისათვის სამსახური დაეტოვებინა¹⁶³.

აღსანიშნავია, ასევე, კალიფორნიის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეში რობერტი სიუზანის წინააღმდეგ (*Robert v. Susan*), რომელიც, მართალია, ეხებოდა ინ ვიტრო განაყოფიერების პროცედურის შედეგად დაბადებულ ბავშვზე მშობლებად აღიარებას, თუმცა, საქმის ფაქტობრივი გარემოებები ახდენს ხაზგასმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სამედიცინო დანესებულებაში დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების წარმოებისას სამედიცინო პერსონალის მიერ პროცედურის განსაკუთრებული დაკვირვებულობით და პროფესიონალურად წარმართვა:

დ. რობერტი სიუზანის წინააღმდეგ (*Robert v. Susan*)¹⁶⁴

საქმე ეხებოდა დაქორწინებული მეუღლეების რობერტისა (Robert) და დენისის (Denise) მშობლის უფლებების დადგენას ორი წლის დენიელთან (Daniel) დაკავშირებით, რომელიც დაიბადა ინ ვიტრო განაყოფიერების პროცედურის შედეგად და, რომელიც გააჩინა მარტოხელა ქალბატონმა სიუზანმა (Susan). 2000 წლის მაისში რობერტმა და დენისმა მიმართეს სამედიცინო დანესებულებას, სადაც ჩატარდა ინ ვიტრო განაყოფიერების პროცედურა: გამოყენებული იქნა კვერცხუჯრედის დონორი, რომელიც განაყოფიერდა რობერტის სპერმით. იმავე პერიოდში კლინიკას მიმართა სიუზანმა, რომელსაც სურდა ინ ვიტრო განაყოფიერება ანონიმური სპერმის დონორისა და კვერცხუჯრედის დონორის გამოყენებით. კლინიკაში შეცდომით განხორციელდა წყვილის - რობერტისა და დენისის კუთვნილი ემბრიონის გადატანა სიუზანის საშვილოსნოში. საქმის განხილვისას სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა, რომ დენისის დედა იყო სიუზანი, ხოლო მამა - რობერტი. დენისის მოთხოვნაზე, მომხდარიყო მისი დენიელის მშობლად - დედად აღიარება, სასამართლომ დაადგინა, რომ დენისს არ გააჩნდა საპროცესო უფლებაუნარიანობა იმის

¹⁶³ დამატებით იხ. მასაჩუსეტის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Doolan v. IVF America*, 12 Mass.L.Rptr. 482 (Mass.Super. 2000).

¹⁶⁴ *ROBERT B., Plaintiff and Respondent, Denise B., Plaintiff and Appellant, v. SUSAN B., Defendant and Appellant*. No. H024926, Court of Appeal, Sixth District, California. Decided: June 13, 2003.

გამო, რომ ბავშვთან არც გესტაციური და არც გენეტიკური კავშირი არ ჰქონდა.

4. შუალედური დასკვნა

დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული თემათიკის ზოგადი ანალიზით ცალსახად იკვეთება ამ ტექნოლოგიების უმთავრესი მიღწევა - უნაყოფობის მკურნალობის უნიკალური მეთოდების შემუშავება, რომლებიც ამ მეთოდების განხორციელების გარეშე უშვილობისათვის განწირული ადამიანისათვის ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს უმნიშვნელოვანესი ცხოვრებისეული ღირებულების - მისი შთამომავლობის გაგრძელების შესაძლებლობის მიცემას, საკუთარი შვილის ყოლა კი უზრუნველყოფს ადამიანისათვის პიროვნული დანიშნულებისა და სოციალური თვითყოფადობის რეალიზაციას.

ფაქტია, ასევე, ის, რომ ამ რეფოლუციური სამედიცინო მეღწევების პრაქტიკაში განხორციელების პარალელურად აუცილებელია მათი მართებული სამართლებრივი რეგულაციების არსებობა. დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიები, რომლებიც სრულიად რადიკალურად ცვლის თუნდაც სამართალში ტრადიციულად დამკვიდრებულ მშობლის - დედისა და მამის სამართლებრივ სტატუსს, სხვადასხვა საფუძვლით სამართლებრივი პრობლემების აღმოცენასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ადგილი აქვს ტექნოლოგიების გამოყენებისას არამართო პოტენციური მშობლების მონაწილეობას, არამედ დონორის, დონორების ან სუროგატი დედის ჩართვას. ეს სამართლებრივი რისკები კი არსებით გავლენას ახდენს სამედიცინო პროცედურაში მონაწილე პირებისა და, უპირველეს ყოვლისა, ბავშვის ინტერესებზე, რომლებიც უპირატესად დასაცავი და გასათვალისწინებელია.

წინამდებარე თავში განხილული, სასამართლოს რამდენიმე გადანყვეტილება, რომელიც დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე აღმოცენებულ დავებს ეხება და უკავშირდება სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციას, ეთიკურ და პროფესიონალურ სტანდარტებს, ახდენს ხაზგასმას იმ სამართლებრივ პრობლემებზე, რომლებიც შეიძლება თან ახლდეს ამ ტექნოლოგიების გამოყენებას და ადასტურებს მათი შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციების არსებობის აუცილებლობას ტექნოლოგიების სახელმწიფოში დაშვების პირობებში. თუნდაც რამდენიმე გადანყვეტილების ანალიზის შედეგად, ბუნებრივია, რომ იბადება კითხვები, რომლებზედაც პასუხებს გარკვეულწილად უნდა სცემდეს კანონმდებლობა, მათ შორის, რა კვალიფიკაცია უნდა ჰქონდეს

ემბრიოლოგს, რომელიც „ქმნის ემბრიონს“ ინ ვიტრო განაყოფიერების პროცესში ან/და ექიმს, რომელსაც გადააქვს ემბრიონი საშვილოსნოში და რა პრინციპებით უნდა იხელმძღვანელოს სამედიცინო პერსონალმა დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების წარმართვისას; უნდა ჰქონდეს თუ არა ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებას, თუნდაც რეპროდუქციული მიმართულებით, უფლება, განახორციელოს ინ ვიტრო განაყოფიერება და მასთან დაკავშირებული პროცედურები; რა ფორმით უნდა განხორციელდეს ექიმის მიერ პროცედურაში მონაწილე ყველა პირისგან, როგორც პაციენტებისაგან, ინფორმირებული თანხმობების მიღება; რა სამართლებრივი სტატუსი აქვს და რა უფლება-მოვალეობები გააჩნია დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებში მონაწილე ყველა პირს. აღნიშნული კითხვები წარმოშობს იმის აუცილებლობას, რომ არსებობდეს სათანადო სამართლებრივი რეგულირების გარკვეული ჩარჩოები იმისათვის, რომ შეძლებისდაგვარად განხორციელდეს პოტენციური რისკების მინიმალიზაცია ან თუნდაც, სამართლებრივი დავების წარმოშობისას, შესაბამისი ქვეყნის სასამართლოებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, ჩამოაყალიბონ ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა.

ცხადია, რომ დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების სირთულიდან გამომდინარე მათ განმახორციელებელ სამედიცინო პერსონალს უნდა ჰქონდეს არამარტო შესაბამისი პროფესიული განათლება, არამედ საკმარისი კვალიფიკაცია და მაღალი ეთიკური სტანდარტები, უნდა არსებობდეს სათანადო რეგულაციები, რომლებიც გამორიცხავენ პროცედურების ჩატარებისას დაუდევრობას ან შეცდომას. ამ თვალსაზრისით ადამიანის რეპროდუქციისა და ემბრიოლოგიის ევროპულ საზოგადოებას (ESHRE – European Society of Human Reproduction and Embryology) შემუშავებული აქვს დეტალური სახელმძღვანელო პრინციპები ინ ვიტრო განაყოფიერების ლაბორატორიის ფუნქციონირებისათვის¹⁶⁵, რომლებიც უზრუნველყოფს ინ ვიტრო განაყოფიერების პროცესში მონაწილე პერსონალის პასუხისმგებლობების განსაზღვრას, მათ კვალიფიკაციასა და კომპეტენციას, ბიოლოგიური მასალის ზუსტად აღრიცხვას, შენახვასა და გამოყენების პირობებს. მაგალითად, კლინიკებისათვის, რომლებიც ახორციელებენ წელიწადში კვერცხუჯრედების ამოღების ანდა კრიოპრეზერვაციის 150-მდე

¹⁶⁵ ESHRE Guideline Group on Good Practice in IVF Labs, Revised Guidelines for Good Practice in IVF Laboratories, December 2015. <[https://www.eshre.eu/Guidelines-and-Legal/Guidelines/Revised-guidelines-for-good-practice-in-IVF-laboratories-\(2015\).aspx](https://www.eshre.eu/Guidelines-and-Legal/Guidelines/Revised-guidelines-for-good-practice-in-IVF-laboratories-(2015).aspx)>

[15.11.2017]. ასევე, იხ. Practice Committee of the American Society for Reproductive Medicine, Practice Committee of the Society for Assisted Reproductive Technology and Practice Committee of the Society of Reproductive Biology and Technology, Revised Minimum Standards for Practices Offering Assisted Reproductive Technologies: A Committee Opinion, Journal of Fertility and Sterility, Vol. 102, No. 3, 2014, 682-686.

პროცედურას, რეკომენდებულია, სათანადო გამოცდილების მქონე არანაკლებ 2 კლინიკური ემბრიოლოგი¹⁶⁶. მკაცრად განისაზღვრება, ასევე, ბიოლოგიური მასალის იდენტიფიკაციის, შენახვისა და გამოყენების წესი. მაგ., დგინდება, რომ სხვადასხვა პაციენტის ბიოლოგიური მასალა არ უნდა იქნას აღებული ერთი და იმავე დროს ერთი და იგივე სამუშაო ადგილას¹⁶⁷. ბიოლოგიური მასალის გადაადგილებისას (ერთი კონტეინერიდან მეორეში ან ემბრიონის გადატანის პროცედურისას) რეკომენდირებულია მეორე პირის მიერ გადამოწმება ან ელექტრონული იდენტიფიკაციის სისტემის გამოყენება¹⁶⁸. მსგავსი სახელმძღვანელო წესების დაცვა ახდენს იმ რისკების მინიმალიზაციას, რაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს მარტივ შეცდომას სამედიცინო პროცედურების განხორციელებისას და, რამაც, საბოლოო ჯამში, შეიძლება მნიშვნელოვანი პრობლემა წარმოშვას ამ პროცედურების შედეგად დაბადებული ბავშვების გენეტიკური წარმომავლობის თვალსაზრისით.

თუმცა, როდესაც საუბარია დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებულ რისკებზე, ამ რისკების არსებობის გამო, ბუნებრივია, ისმის საკითხი, მათი სრულად ან ნაწილობრივ აკძალვის ან შეზღუდვებით დაშვების შესახებ. რისკების თავიდან აცილების მიზნით ყველაზე მარტივი გამოსავალი, ამ ტექნოლოგიებს შორის კომპლექსური და სადავო ისეთი მეთოდების აკრძალვა იქნებოდა, რომლებიც მეტადაა დაკავშირებული რისკებთან და რომლის დროსაც ზოგიერთ შემთხვევაში დაბადებულ ბავშვზე უფლებებს შეიძლება რამდენიმე პირიც კი აცხადებდეს. მხედველობაშია დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების ისეთი მეთოდები, როგორცაა ინ ვიტრო განაყოფიერება და მასთან დაკავშირებული პროცედურები: სუროგაცია და დონაცია, ისევე, როგორც სპერმის, კვერცხუჯრედისა და ინ ვიტრო განაყოფიერების დროს შექმნილი ემბრიონების კრიოპრეზერვაცია. თუმცა, კოლაბორაციული რეპროდუქციის ყველაზე კომპლექსური მეთოდის - სუროგაციის საწინააღმდეგო ეთიკური არგუმენტები ვერ ახდენენ სრულყოფილ დასაბუთებას ამ მეთოდის აკრძალვისათვის და იმ საბოლოო მიზნის გადანონვას, რომლის გამოც ხორციელდება გესტაციური სუროგაცია - უშვილო ქალის უკანასკნელი შანსი, იყოლიოს საკუთარი ან მისი პარტნიორი მამაკაცის გენეტიკური შვილი. იგივე მიზანს ემსახურება კვერცხუჯრედის ან სპერმის დონორის ჩართულობა დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიის პროცედურაში, რომელიც შეიძლება განხორციელდეს როგორც სამვილოსნოსშიდა ინსემინაციის, ასევე ინ ვიტრო განაყოფიერებისა და სუროგაციის დროსაც კი.

¹⁶⁶ იქვე, 3.

¹⁶⁷ იქვე, 10.

¹⁶⁸ იქვე.

ემბრიონების კრიოპრეზერვაცია კი გაყინული ემბრიონების გალღობის შედეგად ამ ემბრიონების საშვილოსნოში გადატანას შესაძლებელს ხდის კრიოპრეზერვაციიდან წლების შემდგომაც.

დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების მიმართ ეთიკური და მორალური შეხედულებების რადიკალური განსხვავებების მიუხედავად, „სახელმწიფო და კანონი უნდა დარჩეს ნეიტრალური კონკურენტული მორალური სტანდარტების მიმართ“¹⁶⁹ იმ პრინციპზე დაყრდნობით, რომ კანონით მხოლოდ საზიანო პრაქტიკები უნდა აიკრძალოს. სუროგაციასთან მიმართებით „სამართლებრივმა რეგულაციებმა უნდა გაართვას თავი, ერთი მხრივ, განსხვავებულ მორალურ შეხედულებებს და, მეორე მხრივ, იმ ეთიკურ საკითხებს, რომლებსაც მოიცავს სუროგაციის იდეა და პროცედურები, რომლებიც თავის მხრივ, ასევე ეხება ოჯახის ტრექტურას, ბავშვების კეთილდღეობას, დედობის ბუნებას და პოლიტიკოსების, ფემინისტებისა და სიცოცხლის მომხრე¹⁷⁰ აქტივისტების საწინააღმდეგო შეხედულებებს“¹⁷¹.

ნებისმიერ შემთხვევაში, დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინებით, ადექვატური პასუხი უნდა იყოს კანონმდებლის მხრიდან მართებული სამართლებრივი რეგულირების ბაზის შემუშავება, რომელიც შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად უზრუნველყოფს დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებში მონაწილე ყველა პირის უფლებებისა და ინტერესების დაცვას, მათი სამართლებრივი სტატუსისა და მოვალეობების მკაფიოდ განსაზღვრას. ასეთი რეგულაციები, ასევე, საფუძველს ჩაუყრის წარმოშობილ სამართლებრივ დავებზე ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

თუმცა, იმისათვის, რომ არგუმენტირებული პასუხი გაეცეს საკითხს, თუ როგორ უნდა მოწესრიგდეს კანონმდებლობით დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების, განსაკუთრებით კი მათი კომპლექსური მეთოდის - სუროგაციის, დაშვება და პრაქტიკაში განხორციელება, აუცილებელია, განხორციელდეს არამართო სხვადასხვა ქვეყნის სუროგაციის მომწესრიგებელი ადგილობრივი რეგულაციების შედარებითი ანალიზი,

¹⁶⁹ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 23.

¹⁷⁰ pro-life - აბორტის, ევთანაზიის მოწინააღმდეგე აქტივისტები. ევთანაზიის გამოყენების საწინააღმდეგო არგუმენტებზე დაწვრილებით იხ. წერეთელი თ., ევთანაზია როგორც ზნეობრივი და სამართლებრივი პრობლემა, წიგნში: ქართული სამართლის კლასიკა, წიგნი I, 8. კორძაძისა და თ. ნემსწვერიძის რედაქტორობით, თბილისი, 2017, 248-264.

¹⁷¹ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 23.

სასამართლო პრაქტიკის განხილვა, არამედ რეპროდუქციული უფლებების დეტალური კვლევა, რაც წარმოადგენს ზოგადად დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიებისა და, კონკრეტულად, წინამდებარე ნაშრომის საკვლევი საკითხის - სუროგაციის, შემუშავებისა და განხორციელების ბაზისს.

II ტავი. რეპროდუქციული უფლება და მისი რეალიზება დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების გამოყენებით

უდავოა, რომ დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების სხვადასხვა მეთოდის მედიცინაში შემუშავებისა და მათი პრაქტიკაში განხორციელების უმთავრეს მიზანსა და პრინციპს უშვილობის ამ მეთოდების ან მეთოდის გამოყენებით მკურნალობა წარმოადგენს. თავად უშვილობის მკურნალობის მიზანი კი პირდაპირ უკავშირდება ადამიანის რეპროდუქციული უფლების რეალიზაციას. შესაბამისად, როდესაც განიხილება ზოგადად დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების, კონკრეტულად კი მისი ერთ-ერთი ყველაზე საკამათო მეთოდის - სუროგაციის გამოყენების ავკარგიანობა, აუცილებელია, განისაზღვროს რეპროდუქციული უფლების კატეგორია და მისი შინაარსი.

სიტყვა „რეპროდუქცია“ წარმოშობილია ლათინური სიტყვიდან „reproductio“ (ლათინურად re კვლავ, productio წარმოება), რაც ინდივიდების გამრავლების პროცესს აღნიშნავს¹⁷² და, ამდენად, პირდაპირი მნიშვნელობით ბუნებითი და ბიოლოგიური პროცესების ამსახველი ტერმინია. თუმცა, რეპროდუქცია არ არის მხოლოდ ბუნებითი მოვლენა და ბიოლოგიური პროცესი, არამედ ამასთანავე უკავშირდება ადამიანის სულიერ და სოციალურ მდგომარეობას, რაც, ხშირ შემთხვევაში, მნიშვნელოვნად განაპირობებს ამ პროცესის განხორციელებას. შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ ადამიანის რეპროდუქციასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ დიდი ინტერესი არსებობს მეცნიერების სხვადასხვა დარგში, მათ შორის აქტუალობას არ კარგავს სამეცნიერო იურიდიულ ლიტერატურაში ამ მოვლენის სამართლებრივი რეგულირების შინაარსისა და ფარგლების დადგენა, განსაკუთრებით კი მას შემდგომ, რაც ტერმინი „რეპროდუქციული უფლება“ ან ზოგიერთ შემთხვევაში მოხსენიებული როგორც „რეპროდუქციული უფლებები“ თავდაპირველად „გამოჩნდა“ საერთაშორისო ხასიათის აქტებში, ხოლო შემდგომში აისახა და გაფართოება ჰპოვა ადგილობრივ რეგულაციებში.

1. რეპროდუქციული უფლების საერთაშორისო რეგულაცია

ადამიანის რეპროდუქციული ჯანმრთელობის სამართლებრივი

¹⁷² სამედიცინო ტერმინოლოგიის ქართულ-ინგლისურ-რუსულ-ლათინური განმარტებითი ლექსიკონი. <<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=13&t=11279>> [10.09.2017].

რეგულირებისა და ადამიანის რეპროდუქციული უფლებების შესახებ საკითხი საერთაშორისო დონეზე ფართომასშტაბურ კონტექსტში პირველად განიხილეს 1994 წელს კაიროში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობისა და განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე¹⁷³, რამაც, საბოლოო ჯამში, ასახვა ჰპოვა კონფერენციაში მონაწილე 179 სახელმწიფოს მიერ მიღებულ სამოქმედო პროგრამაში¹⁷⁴ (შემდგომში „სამოქმედო პროგრამა“). მიუხედავად იმისა, რომ „სამოქმედო პროგრამა“ მისი ხელმოწერი ქვეყნებისათვის შესასრულებლად სავალდებულო ხასიათის საერთაშორისო ინსტრუმენტს არ წარმოადგენს, რეპროდუქციულ უფლებებთან დაკავშირებით იგი მიჩნეულია როგორც რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების სახელმძღვანელო პრინციპების დამდგენი დოკუმენტი - ამ სფეროში სახელმწიფოების სამოქმედო პროგრამა, რომლის ცალკეული პრინციპისა და დებულებების ასახვაც ადგილობრივ კანონმდებლობებში

¹⁷³ აღსანიშნავია, რომ კაიროს კონფერენცია არ იყო პირველი საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც რეპროდუქციულ უფლებებს შეეხო. იგი პირველად მიიჩნევა ამ უფლებების ფართოდ ინტერპრეტაციის თვალსაზრისით. პირველი საერთაშორისო ხასიათის დოკუმენტი, რომელმაც ვინაოდ, თუმცა, გარკვეულწილად საფუძველი ჩაუყარა რეპროდუქციული უფლებებს, 1968 წლის ადამიანის უფლებათა შესახებ თეირანის კონფერენციის საბოლოო აქტია (ნაწილი 16: „მშობლებს გააჩნიათ ძირითადი ადამიანის უფლება თავისუფლად და პასუხისმგებლობით განსაზღვრონ შვილების რაოდენობა, მათი დაბადების დრო და ინტერვალი და ამასთან დაკავშირებით ჰქონდეთ განათლებისა და ინფორმაციის მიღების უფლება“). აქვე ხაზგასასმელია, რომ აღნიშნულ კონფერენციაზე მონაწილეობა მიიღო ოთხმოცდაოთხმა სახელმწიფომ, მათ შორის საბჭოთა კავშირმაც. მსგავსი ფორმულირება იქნა შეტანილი მექსიკის 1975 წლის დეკლარაციაში ქალების თანასწორობასა და განვითარებასა და მშვიდობაში მათი კონტრიბუციის შესახებ (პრინციპი 12: „ნებისმიერ წყვილს და ინდივიდს გააჩნიათ ძირითადი ადამიანის უფლება თავისუფლად და პასუხისმგებლობით განსაზღვრონ, იყოლიონ თუ არა შვილები, ისევე როგორც განსაზღვრონ შვილების რაოდენობა, მათი დაბადების დრო და ინტერვალი და აღნიშნულის განსახორციელებლად ჰქონდეთ ინფორმაცია, განათლება და საშუალებები“). ადამიანის უფლებათა მსოფლიო კონფერენციის 1993 წლის ვენის დეკლარაცია და სამოქმედო პროგრამა, ასევე შეეხო სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობას. მისი სამოქმედო პროგრამის მესამე ნაწილი განსაზღვრავს ქალთა უფლებას სათანადო და ხელმისაწვდომ ჯანმრთელობის დაცვასა და ოჯახის დაგეგმვის სერვისებზე, ისევე, როგორც განათლების, მათ შორის სექსუალური განათლების, თანაბარ ხელმისაწვდომობაზე. იხ. დამატებითი ინფორმაციისათვის რეპროდუქციულ უფლებებთან დაკავშირებით ისტორიული მიმოხილვის შესახებ: Reproductive Rights Are Human Rights, Center for Reproductive Rights, a Handbook for National Human Rights Institutions, The Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, 2014, 24.

¹⁷⁴ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობისა და განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, სამოქმედო პროგრამა. იხ. <http://www.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/programme_of_action_Web%20ENGLISH.pdf> [11.10.2017].

განხორციელდა¹⁷⁵.

„სამოქმედო პროგრამა“ რეპროდუქციულ უფლებებს განიხილავს როგორც უფლებებს, რომლებიც მოიცავს ადგილობრივი კანონებით, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დოკუმენტებითა და სხვა შეთანხმებებით აღიარებულ, განსაზღვრულ ადამიანის უფლებებს. „სამოქმედო პროგრამის“ მიხედვით რეპროდუქციული უფლებები განიმარტება არა მხოლოდ როგორც ყველა წყვილისა და ინდივიდის უფლება, დისკრიმინაციის, ძალდატანების და ძალადობის გარეშე მიიღოს გადანყვეტილება რეპროდუქციასთან დაკავშირებით - „თავისუფლად და პასუხისმგებლობით განსაზღვროს შვილების რაოდენობა, მათი დაბადების დრო და ინტერვალი“, არამედ მათ უფლებას, ამ გადანყვეტილების მიღებისას ჰქონდეთ შესაბამის ინფორმაციასთან, საშუალებებთან და სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უმაღლეს სტანდარტთან ხელმისაწვდომობა¹⁷⁶.

რეპროდუქციული ჯანმრთელობა არ ნიშნავს მხოლოდ დაავადების არარსებობას, არამედ ეს არის „რეპროდუქციული სისტემის, მის ფუნქციებთან და პროცესებთან დაკავშირებულ ყველა საკითხში სრული ფიზიკური, გონებრივი და სოციალური სიტანსაღე“¹⁷⁷. აქედან გამომდინარეობს სწორედ რეპროდუქციული უფლებების შინაარსიც: „ადამიანების უფლება გამრავლდნენ და მათი თავისუფლება, გადანყვეტონ, თუ როდის და რა სიხშირით განახორციელონ ეს“¹⁷⁸.

¹⁷⁵ კაიროს საერთაშორისო კონფერენციიდან 1 წლის შემდგომ 1995 წლის 4-15 სექტემბრამდე პერიოდში ბეიჯინგში ჩატარდა მეოთხე მსოფლიო კონფერენცია ქალთა შესახებ, რომლის შედეგადაც მიღებული იქნა ეგრეთწოდებული ბეიჯინგის სამოქმედო პლატფორმა. ბეიჯინგის სამოქმედო პლატფორმის დებულებების დიდი ნაწილი რეპროდუქციულ უფლებების თაობაზე ფაქტობრივად იმეორებს კაიროს სამოქმედო პროგრამის დებულებებს იმავე საკითხებთან დაკავშირებით.

¹⁷⁶ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობისა და განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, სამოქმედო პროგრამა, პარაგრაფი 7.3. იხ. <http://www.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/programme_of_action_Web%20ENGLISH.pdf> [11.10.2017].

¹⁷⁷ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობისა და განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, სამოქმედო პროგრამა, პარაგრაფი 7.2. იხ. <http://www.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/programme_of_action_Web%20ENGLISH.pdf> [11.10.2017].

¹⁷⁸ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობისა და განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, სამოქმედო პროგრამა, პარაგრაფი 7.2. იხ. <http://www.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/programme_of_action_Web%20ENGLISH.pdf> [11.10.2017].

„რეპროდუქციული უფლების სუბიექტს წარმოადგენს ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელსაც გააჩნია შთამომავლობის გაგრძელების უნარი, ობიექტი - ბავშვთა შობადობაა, როგორც უმაღლესი სიკეთე და ადამიანის ღირებულება“.¹⁷⁹

ამდენად, რეპროდუქციული უფლებების შემადგენელი ძირითადი უფლება არის რეპროდუქციული არჩევანის უფლება - ადამიანის - ქალისა და მამაკაცის უფლება, გადანყვიტოს მის რეპროდუქციასთან დაკავშირებული საკითხი: უფლება, გამრავლდეს - გახდეს მშობელი ან უფლება, უარი თქვას გამრავლებაზე. ნათელია, რომ ტერმინი „რეპროდუქციის“ ეტიმოლოგიური განსაზღვრება შეესაბამება რეპროდუქციული უფლების სამართლებრივი შინაარსის მხოლოდ ერთ ნაწილს - უფლებას რეპროდუქციაზე - გამრავლებაზე.

თუმცა, რეპროდუქციული უფლება არ შემოიფარგლება მხოლოდ რეპროდუქციასთან დაკავშირებით გადანყვიტების მიღების თაობაზე ადამიანის უფლების აღიარებით. ეს უფლება და მისი რეალიზაცია უკავშირდება არამართო ინდივიდების მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების უფლებას „ოჯახის დაგეგმვის უსაფრთხო, ეფექტურ, ხელმისაწვდომ და მათთვის მისაღებ მეთოდებზე“ და სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობას, „რაც უზრუნველყოფს ქალისათვის უსაფრთხო ორსულობასა და მშობიარობას, ხოლო წყვილთათვის ჯანმრთელი ბავშვის დაბადების საუკეთესო შესაძლებლობას“¹⁸⁰, არამედ უფლებას, ჰქონდეთ

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიხედვით სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა მოიცავს ხუთ არსებით კომპონენტს, სახელდობრ: 1. კონტრაცეპტივის არჩევანისა და უსაფრთხოების, ასევე უშიშრობასთან დაკავშირებული მომსახურებების უზრუნველყოფა; 2. დედებისა და ახალშობილების ჯანმრთელობის გაუმჯობესება; 3. სექსუალურად გადადები დაავადებების, მათ შორის აივ-ინფექციის, და სხვა რეპროდუქციული დაავადებების შემცირება; 4. სახიფათო აბორტის მოსპობა და აბორტის შემდგომი მზრუნველობის უზრუნველყოფა; და 5. ჯანმრთელი სექსუალიზმის, მათ შორის მოზარდების ჯანმრთელობის, პრომოტირება/წახალისება და საზიანო პრაქტიკის შემცირება. იხ. Reproductive Rights Are Human Rights, Center for Reproductive Rights, a Handbook for National Human Rights Institutions, The Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, 2014, 24. მითითებულია: UNFPA. Sexual and Reproductive Health for All. 2010.

¹⁷⁹ Перевозчикова Е. В., Конституционное право на жизнь и репродуктивные права человека, диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Казань, 2006, 54.

¹⁸⁰ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობისა და განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, სამოქმედო პროგრამა; პარაგრაფი 7.2. იხ. <http://www.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/programme_of_action_Web%20ENGLISH.pdf> [11.10.2017].

ხელმისაწვდომი „მათი არჩევანის მიხედვით შობადობის რეგულირებასთან დაკავშირებული სხვა ისეთი მეთოდები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება კანონს“¹⁸¹. წინამდებარე კვლევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი სწორედ იმ კითხვაზე პასუხის მოძიებაა, მოიცავს თუ არა „შობადობის რეგულირებასთან დაკავშირებული სხვა ისეთი მეთოდები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება კანონს“, დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიებს? სხვა სიტყვებით რომ ითქვას, არის თუ არა რეპროდუქციული უფლების შემადგენელი ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი ამ უფლების რეალიზაცია უშიშროების მკურნალობის სფეროში მედიცინის თანამედროვე მიღწევების - დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების სხვადასხვა მეთოდის საშუალებით? არის თუ არა შესაძლებელი კანონმდებელმა აკრძალოს ამ ტექნოლოგიების ესა თუ ის მეთოდი ან შეზღუდვები დააწესოს ამ მეთოდის ან მეთოდების გამოყენებაზე? აღნიშნულ კითხვებზე პასუხის განსასაზღვრად საჭიროა, ერთობლიობაში იქნას განხილული რეპროდუქციული უფლების საერთაშორისო რეგულაციები, იურიდიულ დოქტრინაში გამოთქმული განსხვავებული ხედვები და ამ საკითხის მონესრიგება საქართველოს კონსტიტუციისა და ადგილობრივი კანონმდებლობის ჭრილში.

სამწუხაროა, თუმცა ფაქტია, რომ არ არსებობს სავალდებულო ძალის მქონე ადამიანის უფლებათა შემცველი საერთაშორისო ხასიათის დოკუმენტი, რომელიც მხოლოდ რეპროდუქციულ უფლებას ეძღვნება და მისი შინაარსისა და რეალიზაციის სხვადასხვა საკითხს შეიძლება განსაზღვრავდეს. მოქმედი საერთაშორისო, სახელმწიფოთათვის მბოჭველი ადამიანის უფლებათა აქტები რეპროდუქციული უფლების მხოლოდ ამა თუ იმ კომპონენტს ეხება¹⁸². მიუხედავად იმისა, რომ

¹⁸¹ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობისა და განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, სამოქმედო პროგრამა; პარაგრაფი 7.2. იხ. <http://www.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/programme_of_action_Web%20ENGLISH.pdf> [11.10.2017].

¹⁸² მაგალითად, რეპროდუქციულ უფლებებზე გარკვეულ აპელირებას ახდენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის (მომზადებულია 2006 წლის ოქტომბერში; ძალაში შესვლის თარიღი: 2008 წლის 3 მაისი; საქართველოსთვის ძალაში შესვლის თარიღი: 12/04/2014) 23.1. მუხლი („მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ვეფექტურ და შესაბამის ზომებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, ქორწინებასთან, ოჯახთან, მშობლის ფუნქციებთან და პირად ურთიერთობებთან დაკავშირებულ ყველა საკითხთან მიმართებაში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს: ბ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლება, მიიღონ თავისუფალი და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილება შვილების რაოდენობასა და მათ დაბადებას შორის ინტერვალზე, ასევე მათი ასაკისათვის შესაფერისი ინფორმაცია და განათლება რეპროდუქციულ, ოჯახის დაგეგმვის საკითხებზე. მონაწილე სახელმწიფოები

„სამოქმედო პროგრამამ“ ფართოდ განსაზღვრა ამ უფლებების შინაარსი, იურიდიულ ლიტერატურასა და საერთაშორისო საზოგადოებაში ჯერ კიდევ არ არსებობს შეთანხმებული პოზიცია, თუ რას მოიცავს რეპროდუქციული უფლება¹⁸³, არის თუ არა იგი „ცალკე მდგომი“ ადამიანის ფუნდამენტური, საყოველთაოდ აღიარებული უფლება და შეიძლება თუ არა იგი განვიხილოთ ადამიანის კონსტიტუციურ უფლებათა რანგში. ამასთან, რეპროდუქციული უფლების მასშტაბის განსაზღვრის შესახებ სამართლებრივი ძალის მქონე ნორმებისა და, შესაბამისად, ამ საკითხზე ერთიანი ხედვის არარსებობის პირობებში, სასურველია, რეპროდუქციული უფლებები ერთიანი ქუდის - რეპროდუქციული უფლების - სათაურის ქვეშ გაერთიანდეს, რაც განვითარების კვალდაკვალ მათი ეფექტურად დაცვის

შესაბამის დამხარებას უწევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ამ უფლებათა რეალიზებაში“) და ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის (მიღებულია 1979 წლის 18 დეკემბერს; ძალაში შესვლის თარიღი: 1981 წლის 3 სექტემბერი; საქართველოსთვის ძალაში შესვლის თარიღი: 1994 წლის 22 სექტემბერი) 16.1. „ე“ მუხლი (მუხლი 16.1. „მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ზომას ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის ყველა საკითხში, რომლებიც ეხება ქორწინებასა და ოჯახურ ურთიერთობას, და, კერძოდ მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყოფენ: ე) თანაბარ უფლებას და მოვალეობას, რომ თავისუფლად და პასუხისმგებლობით წყვეტდნენ შვილების რაოდენობის და მათ დაბადებას შორის დროის შუალედების საკითხს და რომ ჰქონდეთ ინფორმაციის, განათლების მიღების, აგრეთვე იმ საშუალებებით სარგებლობის შესაძლებლობა, რომლებიც ხელს უწყობს მათ ამ უფლების განხორციელებაში“). ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტებზე თითოეული ადამიანის უფლებას აღიარებს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი (მიღებულია გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 1966 წლის 16 დეკემბერს; ძალაშია 1976 წლის 3 იანვრიდან; საქართველოსათვის ძალაშია 03.08.1994 წლიდან), მუხლი 12: „1. წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტებზე“. პაქტით განსაზღვრული ეს უფლება ჯანმრთელობაზე ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის მიერ გამოცემული მე-14 ზოგადი კომენტარის შესაბამისად მოიცავს რეპროდუქციულ თავისუფლებასაც. ზოგადი კომენტარი #14, უფლება ჯანმრთელობის დაცვის უმაღლეს მიღწევად სტანდარტზე (ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლი), ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის იმპლემენტაციისას წამოჭრილი არსებითი საკითხები, მიღებულია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის მიერ, 24-ე სესიაზე, 2000 წლის 11 აგვისტოს (შეიცავს დოკუმენტი E/C.12/2000/4) General Comment No. 14 (2000), პარაგრაფი 8. The right to the highest attainable standard of health (article 12 of the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights), Substantive Issues arising in the implementation of the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights, Committee on Economic, Social and Cultural Rights, Twenty-second session, Geneva, 11 August, 2000 (contained in Document E/C. 12/2000/4)).

¹⁸³ „სამოქმედო პროგრამა“ ე.წ. „soft law“ - „რბილი კანონია“, რომელსაც მავალდებულებელი ხასიათი არ გააჩნია.

საშუალებას მოგვცემს.

2. დოქტრინალურ მოსაზრებათა ჭიდილი რეპროდუქციული უფლებების მოცულობის თაობაზე

მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ რეპროდუქციული უფლება არ არის დამოუკიდებლად არსებული ადამიანის ფუნდამენტური უფლება და იგი მხოლოდ ადამიანის ძირითადი პირადი უფლებების შემცველი კატეგორიაა. ამ მიდგომის მხარდამჭერების აზრით, ტერმინი „რეპროდუქციული უფლება“ ატარებს გარკვეულ პირობით ხასიათს: იგი არ არის დამოუკიდებელი სუბიექტური უფლება და არ წარმოადგენს ადამიანის ძირითად უფლებას. ნამდვილად შესაძლებელია მითითება ისეთ კატეგორიებზე, როგორცაა „რეპროდუქციული ჯანმრთელობა“, „რეპროდუქციული შესაძლებლობები“, როგორც სახელმწიფოს მხრიდან „რეპროდუქციული საქმიანობის რეგულირების“ ობიექტები. ამასთან, რეპროდუქციული პროცესების რეგულირება ზეგავლენას ახდენს მოქალაქეთა პირად უფლებებზე, მათ შორის მეტად „მგრძობიარე“ სფეროში. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, აუცილებელია ადამიანის კონკრეტული უფლების გამოვლინება (ეს იქნება სიცოცხლის უფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, ჯანმრთელობის დაცვის უფლება თუ პირადი ხელშეუხებლობის უფლება). ამგვარად ვლინდება ამა თუ იმ „რეპროდუქციული უფლების“ რელიქტური ბუნება, რომელიც ხდება ინსტიტუციონალური ორგანოების შეფასების საგანი. ეს ძიება რთულია, თუმცა, აუცილებელი. შესაბამისად, არ შეიძლება რეპროდუქციულ უფლებებზე, როგორც სუბიექტურ უფლებებს მიკუთვნებულ სრულად ფორმირებულ მეცნიერულ კატეგორიაზე საუბარი¹⁸⁴.

ე.წ. „ვინრო პოზიციის“ მხარდამჭერები მიიჩნევენ, რომ რეპროდუქციული უფლებები არ შეიძლება ფართოდ იქნას განხილული, ამ უფლებებში მოიაზრება რეპროდუქციული არჩევანის აღიარება და მათი განმარტება შეზღუდულია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე-16.1 („ე“) მუხლით განსაზღვრული უფლებებით - ყველა წყვილისა და ინდივიდის ძირითადი უფლება „თავისუფლად და

¹⁸⁴ Самаилова В. В., Семейно-Правовые Аспекты Реализации Репродуктивных Прав При Применении Вспомогательных Репродуктивных Технологий, Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Москва, 2011, 21. მითითებულია: Романовский Г.Б., Понятие и содержание репродуктивных прав в России и странах СНГ, Реформы и право, N4, 2010, 3-18.

პასუხისმგებლობით წყვეტდნენ შვილების რაოდენობის და მათ დაბადებას შორის დროის შუალედების საკითხს და რომ ჰქონდეთ ინფორმაციის, განათლების მიღების, აგრეთვე იმ საშუალებებით სარგებლობის შესაძლებლობა, რომლებიც ხელს უწყობს მათ ამ უფლების განხორციელებაში“. შესაბამისად, ამ პოზიციის მხადამჭერთა აზრით, რომელთა ხედვა რეპროდუქციული უფლებების შინაარსის განმარტებაზე ემყარება აღნიშნული კონვენციის 16.1 („ე“) მუხლს და რომლის ფორმულირების ცალკეული კომპონენტი, ასევე გვხვდება ადამიანის უფლებათა დამდგენ სხვა კონვენციებში¹⁸⁵, რეპროდუქციული უფლებების შემადგენელი არსებითი ელემენტებია: „ოჯახის შექმნის უფლება; ადამიანის უფლება, თავისუფლად და პასუხისმგებლობით მიიღოს გადაწყვეტილება მისი შვილების რაოდენობისა და მათ დაბადებას შორის დროის შუალედების საკითხზე და ხელმისაწვდომობის უფლება ოჯახის დაგეგმვის ინფორმაციასა და განათლებაზე, ისევე როგორც ოჯახის დაგეგმვის მეთოდებსა და სერვისებზე“¹⁸⁶.

გემოაღნიშნულის მიუხედავად, რეპროდუქციული უფლებების განმარტების „ვინრო პოზიცია“ არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ „რეპროდუქციულ არჩევანსა და თავისუფლებასთან ადამიანის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ ძირითად უფლებებსაც ჰქონდეთ კავშირი იმდენად, რამდენადაც ამ უფლებების დარღვევამ შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს რეპროდუქციაზეც. თუმცა, ამ თვალსაზრისით ადამიანის ეს ძირითადი უფლებები თავისი არსით არ არის რეპროდუქციული უფლებების არსებითი შემადგენელი ნაწილი“¹⁸⁷.

არსებობს მეორე, ე.წ. „ფართო პოზიცია“, რომელიც მისი პირობითი სათაურიდან გამომდინარე, ნათელია, რომ არ ეთანხმება რეპროდუქციული უფლებების ვინრო ინტერპრეტაციას და რეპროდუქციული უფლებების

¹⁸⁵ მაგალითად, ოჯახის შექმნის უფლება (ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მიღებულია გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 1966 წლის 16 დეკემბერს, ძალაშია 1976 წლის 3 იანვრიდან, საქართველოსათვის ძალაშია 03.08.1994 წლიდან, მუხლი 23; სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მიღებულია გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 1966 წლის 16 დეკემბერს, ძალაშია 1976 წლის 23 მარტიდან, საქართველოსათვის ძალაშია 03.08.1994 წლიდან, მუხლი 10).

¹⁸⁶ Packer C., *Defining and Delineating the Rights of Reproductive Choice*: Nordic Journal of International Law, Volume 67, Issue 1, 1998, 86.

¹⁸⁷ Gebhard J., Trimino D., *Reproductive Rights, International Regulation*, Max Plank Institute for Comparative Public Law and International Law, 2012, 1. <<http://www.corteidh.or.cr/tablas/r16912.pdf>> [21.11.2017].

შემოფარგვლას მხოლოდ ოჯახის შექმნის, შვილების რაოდენობისა და მათ დაბადებას შორის დროის შუალედების საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისა და ოჯახის დაგეგმვის მეთოდებსა და განათლებაზე ხელმისაწვდომობის უფლებებით. ეს პოზიცია ემყარება „სამოქმედო პროგრამის“ ხედვას რეპროდუქციული უფლებების შინაარსის განმარტებაზე, რომლის მიხედვითაც ესენია უფლებები, რომლებიც მოიცავს „ადგილობრივი კანონებით, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დოკუმენტებითა და სხვა შეთანხმებებით უკვე აღიარებულ გარკვეულ ადამიანის უფლებებს“¹⁸⁸ და, რომლებიც ასევე ეფუძნება ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე-16.1. („ე“) მუხლით განსაზღვრულ რეპროდუქციული არჩევანის უფლებას. ამ პოზიციის მხარდამჭერები ასხადებენ, რომ რეპროდუქციული უფლებები ეფუძნება ადამიანის ფუნდამენტური უფლებების გარანტიების ერთობლიობას და „მიეკუთვნება სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების ნაირსახეობას, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ინდივიდებისა და წყვილების სექსუალურ და რეპროდუქციულ ცხოვრებაზე“¹⁸⁹ და, რომლებიც აღიარებულია ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო ინსტრუმენტებით. მათ შორის გამოყოფენ შემდეგ ძირითად უფლებებს: „სიცოცხლის უფლება; ადამიანის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება; ჯანმრთელობის, მათ შორის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის, დაცვის უფლება; ადამიანის უფლება, მიიღოს გადაწყვეტილება მისი შვილების რაოდენობისა და მათ დაბადებას შორის დროის შუალედების საკითხზე; ქორწინებაზე თანხმობისა და ქორწინებაში თანასწორობის უფლება; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება; თანასწორუფლებიანობისა და დისკრიმინაციის გარეშე მოპყრობის უფლება; ქალებისათვის ზიანის მომტანი პრაქტიკისაგან თავისუფლების უფლება და მეცნიერული პროგრესით სარგებლობის უფლება“¹⁹⁰. ამასთან, რეპროდუქციული უფლებების სამართლებრივი

¹⁸⁸ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობისა და განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, სამოქმედო პროგრამა; პარაგრაფი 7.3. <http://www.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/programme_of_action_Web%20ENGLISH.pdf> [11.10.2017].

¹⁸⁹ Reproductive Rights Are Human Rights, Center for Reproductive Rights, a Handbook for National Human Rights Institutions, The Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, 2014, 21.

¹⁹⁰ იქვე. „ფართო პოზიციას“ მცირეოდენი განსხვავებით ემხრობიან ავტორები „რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკანონმდებლო მიმოხილვა“-ში მიიჩნევენ რა, რომ „რეპროდუქციული უფლებები საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებული ათი

საფუძვლები ეფუძნება და მათი სტანდარტები და პრინციპები გამომდინარეობენ ადამიანის უფლებათა შემდეგი პრინციპებიდან: დისკრიმინაციის აკრძალვა და კანონის წინაშე თანასწორობა, სიცოცხლის უფლება, პიროვნული ხელშეუხებლობის უფლება, ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლება, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, ინფორმაციის მიღებისა და განათლების მიღების უფლება, ჯანმრთელობის დაცვის უმაღლეს სტანდარტთან ხელმისაწვდომობის უფლება და მეცნიერული პროგრესით სარგებლობის უფლება¹⁹¹.

ზოგიერთი ავტორის აზრით, არსებობს ადამიანის უფლება უშვილობის მკურნალობის უსაფრთხო და ეფექტურ საშუალებებზე¹⁹², ზოგიერთს კი მიაჩნია, რომ უშვილობის მკურნალობაზე უფლება გამომდინარეობს მეცნიერული პროგრესით სარგებლობის უფლებიდან ან ოჯახის შექმნის უფლებიდან¹⁹³. ზოგიერთი ავტორი მიუთითებს, რომ „გამრავლების ბუნებრივ უფლებაში“ მოიაზრება რეპროდუქციულ ტექნოლოგიებთან წვდომის აუცილებლობაც - „გამრავლების უფლება გაიგება როგორც ბუნებრივი უფლება... ტექნოლოგიური რეპროდუქცია ბოლო დროს პრომოტირებული იქნა როგორც ადამიანის გამრავლების ბუნებრივი უფლების საშუალება.. რომ გამოყენებული იქნას ნებისმიერი საშუალება... და შესაბამისად... ამისათვის საჭირო ნებისმიერი პირი“.¹⁹⁴

კორინ ჰაკერი, რომელიც „ვინრო პოზიციის“ მხარდამჭერია, საინტერესო მსჯელობას ავითარებს იმასთან დაკავშირებით, რომ თუნდაც ადამიანის

მნიშვნელოვანი რეპროდუქციული უფლებაა: სიცოცხლის, თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება; ჯანმრთელობის უმაღლეს სტანდარტებზე ხელმისაწვდომობის უფლება; განათლებისა და ინფორმაციის მიღების უფლება; პირადი ხელშეუხებლობის უფლება; პერსონალური დამოუკიდებლობისა და კანონის წინაშე აღიარების უფლება; დისკრიმინაციისაგან დაცვის უფლება; ნებაყოფლობითი/თანასწორუფლებიანი ქორწინების უფლება; ქალებისა და გოგონების მავნე წეს-ჩვეულებებისაგან დაცვის უფლება და სქესობრივი ძალადობისაგან დაცვის უფლება”, იხ. ნულეისკირი ნ., ჯობავა მ., რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკანონმდებლო მიმოხილვა, ასოციაცია „ჰერა XXI“, თბილისი, 2014, 5.

¹⁹¹ ამ პრინციპებთან დაკავშირებით დეტალურად იხ. Reproductive Rights Are Human Rights, Center for Reproductive Rights, a Handbook for National Human Rights Institutions, The Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, 2014, 89.

¹⁹² Petchesky R. P., Weiner J. A., Global Feminist Perspectives on Reproductive Rights and Reproductive Health, Hunter College, Women’s Studies Program, City University New York, 1990, 2.

¹⁹³ Cook R. J., Women’s Health and Human Rights, WHO, Geneva, 1994, 30.

¹⁹⁴ Graymond J., Women as Wombs: Reproductive Technologies and the Battle over Women’s Freedom, San Francisco, 1993, 189.

უფლებათა ლიბერალური ინტერპრეტაციის გზით¹⁹⁵ ვერ ხერხდება ჯანმრთელობის უფლების ან ოჯახის შექმნის უფლებიდან გამომდინარე უშვილობის მკურნალობის უფლებაზე მითითების დასაბუთება. მისი აზრით, „ოჯახის შექმნის უფლების შემთხვევაში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 23(2)¹⁹⁶ მუხლის ჩვეულებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ნათელია, რომ იგი ვრცელდება მხოლოდ გამრავლების ნაგულისხმევ შესაძლებლობაზე და არცერთ შემთხვევაში არ აკისრებს სახელმწიფოს ვალდებულებას, ხელი შეუწყოს ამ შესაძლებლობის შექმნას. ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომიტეტი ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-12 მუხლთან (ქორწინებასა და ოჯახის შექმნის უფლებასთან) დაკავშირებით მივიდა იგივე დასკვნამდე, რომ ეს უფლება არ უნდა ყოფილიყო ინტერპრეტირებული როგორც „უფლება გამრავლებაზე, აუცილებლობის შემთხვევაში, ბუნებრივი შესაძლებლობის არარსებობისას ხელოვნური განაყოფიერების მეშვეობით. ამ თვალსაზრისით ჯანმრთელობის დაცვის უფლებაც შეზღუდულია ორი მიზეზის გამო. პირველი, რომ რეპროდუქციის შეუძლებლობა არ წარმოადგენს ავადმყოფობას. მეორე, სახელმწიფოებს არ უნდა მოეთხოვოთ საკმაოდ ძვირადღირებულ დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების საშუალებებთან თითოეული ინდივიდის წვდომა“¹⁹⁷.

რაშიდხანოვას აზრით, რეპროდუქციული უფლებების რეალიზაციის გამოვლინებაა როგორც კონტრარეპროდუქციული ტექნოლოგიები (აბორტი, სტერილიზაცია, კონტრაცეფცია), ასევე, დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიები. ამ უკანასკნელის გამოყენების საკითხი კი „უნდა იქნას შესწავლილი ადამიანის რეპროდუქციული უფლებების რეალიზაციის ასპექტში, როგორც მის პირად ცხოვრებაში არჩევანის

¹⁹⁵ პაკერი უფლებების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით ახდენს ნოვაკის ციტირებას: „ზოგადად ადამიანის უფლებათა ტექსტების ინტერპრეტაციის აღიარებული წესები ითხოვენ უფლებების ლიბერალურ ინტერპრეტაციას (*in dubio pro libertate*) და შეზღუდვათა ვიწრო ინტერპრეტაციას“. იხ. Packer C., Defining and Delineating the Rights of Reproductive Choice: Nordic Journal of International Law, Volume 67, Issue 1, 1998, 81. მითითებულია: Nowak M., U.N. Covenant on Civil and political Rights: CCPR Commentary, N.P. Engel Publisher, Kehl, 1993, xxiv.

¹⁹⁶ საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მიღებულია 16.12.1966, საქართველოსათვის ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან, მუხლი 23.2: „მამაკაცებსა და ქალებს, რომლებმაც მიიღწიეს ქორწინების ასაკს, აქვთ უფლება შექმნან ოჯახი“.

¹⁹⁷ Packer C., Defining and Delineating the Rights of Reproductive Choice: Nordic Journal of International Law, Volume 67, Issue 1, 1998, 82.

თავისუფლების უზრუნველყოფა¹⁹⁸. ავტორი რეპროდუქციულ არჩევანზე უფლებამოსილებას განიხილავს ადამიანის პირადი უფლებების კონტექსტში და უკავშირებს მას პიროვნების ხელშეუხებლობის უფლებას: „პიროვნების ხელშეუხებლობის უფლება, როგორც პირადი თავისუფლება, მდგომარეობს იმაში, რომ არავინ არ არის უფლებამოსილი, შეზღუდოს ადამიანის თავისუფლება, თვითონ განკარგოს თავისი ქმედებები კანონის ფარგლებში. მას გააჩნია აბსოლუტური ხასიათი. მოცემულ შემთხვევაში რეპროდუქციულ უფლებებთან დაკავშირებით, ეს მოიცავს ქალის თანხმობას ორსულობის შეწყვეტის, ემბრიონის იმპლანტაციის, ნაყოფის გამომზადისა და შობის შესახებ, რომლებიც წარმოადგენენ საკუთარი სხეულის გამოყენებასა და განკარგვასთან დაკავშირებულ საკითხებზე ავტონომიურ გადაწყვეტილებებს და თავის თავში გულისხმობენ თავისუფალ რეპროდუქციულ არჩევანზე უფლებამოსილებას¹⁹⁹.

ზოგიერთი ავტორი სუროგაციის ხელშეკრულებებს მიიჩნევს აშშ-ის კონსტიტუციის V შესწორებით დაცული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებისა და XIV შესწორებით დაცული თანაბარი მოპყრობის უფლების შემადგენლად. ამ არგუმენტების მომხრეები აცხადებენ, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, რომელიც, მოიცავს რეპროდუქციული არჩევანის უფლებას, ბავშვების აღზრდის უფლებას, ასევე მოიაზრებს სუროგაციაზე წვდომის უფლებასაც. მაგალითად, ლოურენს გოსტინი (Lawrence Gostin) ამტკიცებს, რომ „სუროგაციის შეთანხმებები იმსახურებენ კონსტიტუციურ დაცვას მათი კერძო ხასიათის, გამრავლებასთან დაკავშირებული მხარეთა მიზნების, ქალის მიერ თავისი სხეულის კონტროლისა და გენეტიკური მშობლების უფლების გამო, ასოცირებულნი იყვნენ საკუთარ შვილთან²⁰⁰. იგივენაირად, სუროგატ დედას აქვს უფლება, ჩაიტაროს ხელოვნური განაყოფიერება იმის მიუხედავად, თუ ვინ იქნება ბავშვის იურიდიული მშობელი²⁰¹. შტატების კონსტიტუციის XIV შესწორების არგუმენტად კი დისკრიმინაციული დაუშვებლობის პრინციპი

¹⁹⁸ Рахиджанова Д. К., Проблемы правового регулирования отношений при производстве медицинского вмешательства в репродуктивные процессы человека, диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Махачкала, 2005, 19.

¹⁹⁹ იქვე.

²⁰⁰ *ib. Spivack C., The Law of Surrogate Motherhood in the United States, American Journal of Comparative Law, Vol. 58, Issue – Supplement, 2010, 109.* მითითებულია: Gostin L., Surrogacy From the Perspectives of Economic and Civil Liberties, *Journal of Contemporary Health Law and Policy*, Vol. 17, Issue 2, 2001, 434.

²⁰¹ Spivack C., *The Law of Surrogate Motherhood in the United States, American Journal of Comparative Law, Vol. 58, Issue – Supplement, 2010, 109.*

მიაჩნიათ. კერძოდ, იმ პირობებში, როდესაც, როგორც წესი, შტატების კანონებით აკრძალული არ არის ხელოვნური განაყოფიერება, თუ მამაკაცი სტერილურია, სუროგაციის, როგორც საშუალების, აკრძალვა, როდესაც ქალი სტერილურია ან სხვაგვარად არ შეუძლია ბავშვის გესტაცია, ახდენს დისკრიმინაციას სქესის ნიშნით²⁰².

რეპროდუქციული უფლებების განმარტების სხვადასხვა პოზიციისა და დამოკიდებულების არსებობის მიუხედავად არავინ უარყოფს იმას, რომ ადამიანს უფლება აქვს გახდეს ან არ გახდეს მშობელი. მიიჩნევენ, რომ ადამიანის უფლებათა სისტემაში რეპროდუქციული უფლებების ადგილთან დაკავშირებული საკითხი მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენს, „ვინაიდან რეპროდუქციული უფლებები თავისი უნიკალურობის ძალით მოვლენაა, რომელიც არ ექვემდებარება ტრადიციულ კლასიფიკაციას“²⁰³. საკამათოა, ასევე, ამ უფლების რეალიზაციის ფარგლები, განსაკუთრებით კი ამ უფლებით სარგებლობა დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების სხვადასხვა მეთოდის საშუალებით.

3. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკა დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების გამოყენებით რეპროდუქციული უფლებების რეალიზაციასთან დაკავშირებულ დავებზე

3.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციით დადგენილი პრაქტიკა

იმ პირობებში, როდესაც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია²⁰⁴ (შემდგომში „ევროპული კონვენცია“) პირდაპირ არ განსაზღვრავს რეპროდუქციულ უფლებებს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (შემდგომში „ევროპული სასამართლო“) ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით²⁰⁵ განსაზღვრული

²⁰² იქვე, 110.

²⁰³ Перевозчикова Е. В., Конституционное право на жизнь и репродуктивные права человека, диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Казань, 2006, 56.

²⁰⁴ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მიღებულია 1950 წლის 4 ნოემბერს, საქართველოსათვის ძალაშია 20.05.1999 წლიდან.

²⁰⁵ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 8: **პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება** 1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმონერას. 2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და

პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების შესაძლო დარღვევის ფარგლებში განიხილავს ძირითადად რეპროდუქციულ უფლებებთან დაკავშირებულ დავებს, მათ შორის დავებს, რომლებიც ეხება კანონიერ აბორტთან წვდომას²⁰⁶, სტერილიზაციას²⁰⁷, ემბრიონების დონაციასა და მეცნიერულ კვლევას²⁰⁸, დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებსა²⁰⁹ და სუროგაციას²¹⁰.

დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებთან, მათ შორის ამ ტექნოლოგიების შედეგად შექმნილი ემბრიონების დონაციასთან, ინ ვიტრო განაყოფიერებისას დონორის გამეტის გამოყენებასა და დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების ყველაზე საკამათო მეთოდის - სუროგაციასთან, დაკავშირებულ დავებზე გადანყვეტილების მიღებისას ევროპული სასამართლო თავს არიდებს ამ საქმეებზე ისეთი ფუნდამენტური საკითხების განსაზღვრას, რომლებიც არსებითია იმ საკამათო კითხვებზე პასუხის გასაცემად, როგორცაა, სხვათა შორის, უნდა იქნას თუ არა დაშვებული სუროგაცია, ემბრიონების დონაცია, დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებთან, მის რომელიმე კონკრეტულ მეთოდთან სახელმწიფოს მიერ წვდომის უზრუნველყოფა ან რა შემლუდვები შეიძლება არსებობდეს ამ ტექნოლოგიებთან წვდომაზე და ამ დავებზე გადანყვეტილებების უმრავლესობაში განსაზღვრავს, რომ ეს საკითხები ევროპის საბჭოს წევრი

აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უნესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალისა თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

²⁰⁶ იხ. *Tysiack v. Poland*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 20 მარტის გადანყვეტილება, განაცხადი #5410/03.

²⁰⁷ იხ. *G.B. and R.B. v. the Republic of Moldova*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 18 დეკემბრის გადანყვეტილება, განაცხადი #16761/09.

²⁰⁸ იხ. *Parrillo v. Italy*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 27 აგვისტოს გადანყვეტილება, განაცხადი #4670/11.

²⁰⁹ იხ. *Evans v. United Kingdom*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 10 აპრილის გადანყვეტილება, განაცხადი #36339/05; *Dickson v. the United Kingdom*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 4 დეკემბრის გადანყვეტილება, განაცხადი #44362/04; *S.H. and others v. Austria*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 3 ნოემბრის გადანყვეტილება, განაცხადი #57813/00.

²¹⁰ იხ. *Mennesson and Others v. France*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 26 ივნისის გადანყვეტილება, განაცხადი #65192/11; *Labassee v. France*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 26 ივნისის გადანყვეტილება, განაცხადი #65941/11; *Foulon and Bouvet v. France*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 21 ივლისის გადანყვეტილება, განაცხადი #9063/14; *Paradiso and Campanelli v. Italy*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 24 იანვრის გადანყვეტილება, განაცხადი #25358/12.

სახელმწიფოს ადგილობრივი კანონმდებლობით მოწესრიგების საგანს წარმოადგენს და, რომ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ამ სფეროში გააჩნიათ თავისუფალი შეფასების ფართო ფარგლები²¹¹. სახელმწიფოებისათვის თავისუფალი შეფასების ფარგლების ფართოდ განსაზღვრის შესაძლებლობის მინიჭება ძირითადად განპირობებულია წევრ სახელმწიფოებს შორის რეპროდუქციის, განსაკუთრებით კი დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებულ, სფეროში, ერთიანი კონსენსუსის არარსებობით და იმ ერთ-ერთი არგუმენტით, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა სახელმწიფოში ერთმანეთისაგან განსხვავებულია საჯარო ინტერესების, მორალური და ეთიკური მოსაზრებებისა და საზოგადოებრივი მიმდებლობის ხედვები.

ევროპული სასამართლოს განმარტებით კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებში „პირადი ცხოვრება“ ფართოა და მათ შორის მოიცავს სხვა ადამიანებთან ურთიერთობების დამყარებისა და განვითარების უფლებას, პირადი განვითარების უფლებას და ისეთ ელემენტებს, როგორცაა გენდერული იდენტიფიკაცია, სექსუალური ორიენტაცია, სექსუალური ცხოვრება და უფლებას გადანყვეტილებების პატივისცემაზე „გყავდეს ან არ გყავდეს შვილი“²¹². რეპროდუქციული არჩევანის უფლებასთან დაკავშირებით საქმეში *ევანსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Evans v. United Kingdom)*²¹³ ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პირადი ცხოვრების უფლება მოიცავს როგორც მშობლად გახდომის, ასევე მშობლად გახდომაზე უარის თქმის შესახებ გადანყვეტილებების პატივისცემის უფლებას: „მხარეთა შორის დავას არ წარმოადგენს, რომ გამოსაყენებელია მე-8 მუხლი და, რომ საქმე შეეხება განმცხადებლის უფლებას მისი პირადი ცხოვრების პატივისცემაზე... „პირადი ცხოვრება“, რომელიც ფართო ტერმინია, რაც აერთიანებს, სხვათა შორის, ინდივიდის ფიზიკური და სოციალური იდენტობის ასპექტებს, მათ შორის პირადი ავტონომიის უფლებას, პირადი განვითარების უფლებასა და სხვა ადამიანებსა და გარე სამყაროსთან ურთიერთობების დამყარებისა და განვითარების უფლებას...“

²¹¹ “wide margin of appreciation”.

²¹² *S.H. and others v. Austria*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 3 ნოემბრის გადანყვეტილება, განაცხადი # 57813/00, პარაგრაფი 80.

²¹³ *Evans v. United Kingdom*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 10 აპრილის გადანყვეტილება, განაცხადი #36339/05.

მოიცავს როგორც მშობლად გახდომის, ასევე მშობლად გახდომაზე უარის თქმის შესახებ გადანწყვეტილების პატივისცემის უფლებას²¹⁴.

წყვილის გადანწყვეტილებას, „გახდეს მშობელი“ დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების გამოყენებით ევროპული სასამართლო, ასევე მიიჩნევს კონვენციის მე-8 მუხლით დაცული პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების გამოხატვას, აღნიშნავს რა, რომ „წყვილის უფლება, ჩასახონ ბავშვი“ და ამ მიზნით ისარგებლონ განაყოფიერების დამხმარე სამედიცინო მეთოდებით, ასევე დაცულია ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით, „ვინაიდან ასეთი არჩევანი წარმოადგენს პირადი და ოჯახური ცხოვრების გამოხატვას“²¹⁵. საქმეში *P. და S. პოლონეთის წინააღმდეგ (P. and S. v. Poland)*²¹⁶ მაშინ, როდესაც ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-8 მუხლი არ შეიძლება ინტერპრეტირებული ყოფილიყო როგორც აბორტზე უფლების მინიჭება, ამასთანავე აღნიშნა, რომ „აბორტის აკრძალვა ჯანმრთელობის ან/და კეთილდღეობის მიზნებისათვის ექცევა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების და, შესაბამისად, მე-8 მუხლის ფარგლებში“²¹⁷.

²¹⁴ *Evans v. United Kingdom*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 10 აპრილის გადანწყვეტილება, განაცხადი #36339/05; პარაგრაფი 71: “It is not disputed between the parties that Article 8 is applicable and that the case concerns the applicant's right to respect for her private life...“private life”, which is a broad term encompassing, *inter alia*, aspects of an individual's physical and social identity including the right to personal autonomy, personal development and to establish and develop relationships with other human beings and the outside world..., incorporates the right to respect for both the decisions to become and not to become a parent”.

²¹⁵ *S.H. and others v. Austria*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 3 ნოემბრის გადანწყვეტილება, განაცხადი # 57813/00, პარაგრაფი, 82: “the right of a couple to conceive a child and to make use of medically assisted procreation for that purpose is also protected by Article 8, as such a choice is an expression of private and family life.”

²¹⁶ *P. and S. v. Poland*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 30 ოქტომბრის გადანწყვეტილება, განაცხადი # 57375/08.

²¹⁷ იქვე, პარაგრაფი 96. “While the Court has held that Article 8 cannot be interpreted as conferring a right to abortion, it has found that the prohibition of abortion when sought for reasons of health and/or well-being falls within the scope of the right to respect for one's private life and accordingly of Article 8.”

3.1.1. დონორისა და სუროგატი დედის ჩართვის გარეშე ხელოვნური განაყოფიერების საშუალებებზე წვდომის უფლება - დიკსონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Dickson v. United Kingdom*)²¹⁸

ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა საკითხზე, უნდა ჰქონოდა თუ არა 2001 წლიდან ქორწინებაში მყოფ წყვილს ხელმისაწვდომობის უფლება ხელოვნური განაყოფიერების მეთოდებზე და, შესაბამისად, შესაძლებლობა, მათი გამეტების გამოყენებით ესარგებლათ ამ მეთოდებით, იმ პირობებში, როდესაც ქმარი, რომელსაც არ ჰყავდა საკუთარი შვილი, 1994 წლიდან სასჯელს იხდიდა მკვლელობისათვის. უფრო კონკრეტულად, განმცხადებლებმა ერთმანეთი გაიციეს სასჯელის მოხდის პერიოდში ციხის მიმონერის ქსელის მეშვეობით. ცოლმა, რომელიც დაბადებული იყო 1958 წელს და, რომელსაც სხვა ურთიერთობებიდან ჰყავდა სამი შვილი, მოიხადა სასჯელი, ქმრის გათავისუფლება კი ვერ მოხდებოდა 2009 წლამდე. 2002 წელს განმცხადებლებმა უარი მიიღეს მათ მოთხოვნაზე, ჰქონოდათ ხელმისაწვდომობა ხელოვნური განაყოფიერების საშუალებებზე, რათა შეძლებოდათ ერთობლივი შვილის ყოლა, ამტკიცებდნენ რა, რომ სხვაგვარად ეს შეუძლებელი იყო ქმრის შესაძლო გათავისუფლების უახლოესი თარიღისა და ცოლის ასაკის გათვალისწინებით. მათი ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლებს ძირითადად წარმოადგენდა ის, რომ განმცხადებლების ურთიერთობა არასდროს გამოცდილა ყოველდღიური ცხოვრების ნორმალურ გარემოში, არასაკმარისი რესურსი არსებობდა შესაძლო ჩასახული ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად და ბავშვის მამა ვერ მიიღებდა მონაწილეობას ბავშვის ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილში. ასევე, მიჩნეული იყო, რომ იარსებებდა საზოგადო შიში იმის თაობაზე, რომ პატიმრობაში მყოფი პირისათვის ხელოვნური განაყოფიერების გზით ბავშვის მამობის შესაძლებლობის მიცემით მოხდებოდა მის მიმართ სასჯელის სადამსჯელო და შემზღუდავი ელემენტებისთვის გვერდის ავლა.

საქმეში არსებული გარემოებების გათვალისწინებით და მიუხედავად იმისა, რომ საქმე ეხებოდა სფეროს, სადაც სასამართლოს არსებული პრაქტიკის შესაბამისად ხელშემკვრელ სახელმწიფოს გააჩნდა თავისუფალი შეფასების ფართო ფარგლები, სასამართლომ დაადგინა მე-8 მუხლის

²¹⁸ *Dickson v. United Kingdom*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება, განაცხადი #44362/04.

დარღვევა და თავისი გადანაცვეტილება დაათუქნა შემდეგ ძირითად არგუმენტებს: სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ საქმეზე ვრცელდებოდა მე-8 მუხლის მოქმედება, „ვინაიდან ხელოვნური განაყოფიერების საშუალებების ხელმისაწვდომობაზე უარი ეხება განმცხადებლების პირად და ოჯახურ ცხოვრებას, რომლის ცნება მოიცავს პატივისცემის უფლებას მათ გადანაცვეტილებაზე, გახდნენ გენეტიკური მშობლები“²¹⁹. სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები მოქმედებდა თავისუფლების აღკვეთისასაც, შესაბამისად, ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ყოფილიყო გამართლებული. გადამწყვეტი კი, მოცემულ შემთხვევაში, იმის დადგენა იყო, არსებობდა თუ არა სამართლიანი ბალანსი კონკურენტულ საჯარო და კერძო ინტერესებს შორის. სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ ხელოვნური განაყოფიერება წარმოადგენდა წყვილის ერთადერთ რეალურ იმედს, ჰყოლოდათ ერთობლივი შვილი ცოლის ასაკისა და ქმრის გათავისუფლების თარიღის გათვალისწინებით. სახელმწიფოს არგუმენტებთან დაკავშირებით კი, რომ ბავშვის ყოლის შესაძლებლობის დაკარგვა თავისუფლების აღკვეთის განუყოფელი და აუცილებელი შედეგი იყო და, რომ სასჯელალსრულების სისტემისადმი საზოგადოებრივი ნდობა მნიშვნელოვნად შეიზღუდებოდა, თუ მძიმე კატეგორიის დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პატიმრებს ბავშვის ჩასახვის შესაძლებლობა მიეცემოდათ და მშობლის ხანგრძლივად არყოფნა უარყოფითად აისახებოდა როგორც ბავშვზე, ისე საზოგადოებაზე, აღნიშნა შემდეგი: თუ ბავშვის ჩასახვის შეუძლებლობა თავისუფლების აღკვეთის შედეგს წარმოადგენდა, ეს არ იყო განუყოფელი შედეგი, რადგანაც არ არსებობდა არგუმენტები იმის თაობაზე, რომ ხელოვნური განაყოფიერების შესაძლებლობის შექმნა სახელმწიფოსთვის გამოიწვევდა უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პრობლემებს ან მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ ან ფინანსურ საჭიროებებს. რაც შეეხება სასჯელალსრულების სისტემისადმი საზოგადოების ნდობას, აღიარა რა, რომ დასჯა ისევ წარმოადგენდა სასჯელის ერთ-ერთ მიზანს, სასამართლომ ხაზი გაუსვა ევროპული სასჯელალსრულებითი პოლიტიკის განვითარებას თავისუფლების აღკვეთის რეაბილიტაციის მიზნის მნიშვნელობის საგრძნობი ზრდის კუთხით, კერძოდ კი გრძელვადიანად თავისუფლების აღკვეთის დასრულებასთან მიმართებით, და ბოლოს, სასამართლომ აღნიშნა, რომ

²¹⁹ იქვე, პარაგრაფი 66.

სახელმწიფოს ვალდებულების მიუხედავად, უზრუნველყოს ბავშვების ეფექტური დაცვა, აღნიშნული ვალდებულება არ უნდა გავრცელდებულყო მშობლებისათვის ბავშვის ჩასახვის მცდელობაზე შეზღუდვის დაწესებაზე არსებულ გარემოებებში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ცოლი თავისუფლებაზე იმყოფებოდა და შეეძლო ეზრუნა შვილზე, რომელიც ქმრის გათავისუფლებამდე ჩაისახებოდა²²⁰.

3.1.2. სპერმის ან კვერცხუჯრედის დონორის ჩართულობით ინ ვიტრო განაყოფიერებაზე წვდომის უფლება - *S.H. და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ*²²¹

განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღო ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ საქმეში *S.H. და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ (S.H. and others v. Austria)*, როდესაც განიხილა საკითხი კონვენციის მე-8 მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე ავსტრიის ადგილობრივი კანონმდებლობით ინ ვიტრო განაყოფიერებისათვის დონორის კვერცხუჯრედისა და დონორის სპერმის გამოყენების აკრძალვაზე და ცამეტი ხმით ოთხის წინააღმდეგ დადგინა სადავო მუხლის დარღვევის არარსებობა.

საქმეში განმცხადებელი იყო ორი, ქორწინებაში მყოფი წყვილი, რომელთაგანაც პირველი წყვილის შემთხვევაში მამაკაცს არ შეეძლო განაყოფიერებისათვის ვარგისი სპერმის წარმოქმნა, ქალს კი დაუდგინდა უშვილობა იმ მიზეზით, რომ ფალოპის მილების ბლოკირების გამო, კვერცხუჯრედის გადასვლა საშვილოსნოში, და, შესაბამისად, ბუნებრივი ჩასახვა, არ იყო განხორციელებადი. პირველი წყვილისგან განსხვავებით, მეორე წყვილის შემთხვევაში მამაკაცის სპერმა ვარგისად მიიჩნეოდა განაყოფიერებისათვის, ქალი კი უშვილო იყო იმ თვალსაზრისით, რომ მის ორგანიზმს საერთოდ არ შეეძლო კვერცხუჯრედის წარმოება, თუმცა სრულად განვითარებული საშვილოსნო ჰქონდა. შესაბამისად, პირველი წყვილის შემთხვევაში საჭირო იყო ინ ვიტრო განაყოფიერება დონორის

²²⁰ *Dickson v. United Kingdom*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება, განაცხადი #44362/04, ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს

სამდივნოს მიერ მომზადებული მოკლე შეჯამება, თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით. იხ. <www.coe.int/humanrightstrustfund> [11.11.2017].

²²¹ *S.H. and others v. Austria*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება, განაცხადი # 57813/00.

სპერმის გამოყენებით, მეორე წყვილის შემთხვევაში კი - ინ ვიტრო განაყოფიერება კვერცხუჯრედის დონორის გამოყენებით. ორივე ამ მეთოდით ინ ვიტრო განაყოფიერების პროცედურის შედეგად დაბადებული ბავშვის გენეტიკური მშობელი წყვილთაგან მხოლოდ ერთ-ერთი იქნებოდა. თუმცა, ინ ვიტრო განაყოფიერების ეს მეთოდები არ იყო დაშვებული ავსტრიის ადგილობრივი კანონმდებლობით. კანონი დასაშვებად მიიჩნევა ინ ვიტრო განაყოფიერებას მხოლოდ დაქორწინებული ან დაუქორწინებელი, თუმცა, თანაცხოვრებაში მყოფი, წყვილის კვერცხუჯრედისა და სპერმის გამოყენებით და, გამონაკლის შემთხვევებში, საშვილოსნოსშიდა ინსემინაციას დონორის სპერმით.

განმცხადებლებმა მიმართეს ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელმაც დაადგინა, რომ წყვილების გადაწყვეტილება, ჰყოლოდათ ბავშვი დამხმარე სამედიცინო ტექნოლოგიების გამოყენებით, ექცეოდა კონვენციის მე-8 მუხლის დაცვის ფარგლებში და აკრძალვა წარმოადგენდა მათი მე-8 მუხლით დაცული პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემაში ჩარევას, თუმცა, ამგვარი ჩარევა ამავდროულად გამართლებულად უნდა მიჩნეულიყო, ვინაიდან, საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, ავსტრიაში ხელოვნური განაყოფიერების კანონის მიღებისას კანონმდებელი ეცადა, ეპოვა გადაწყვეტა ადამიანის ღირსების, განაყოფიერებაზე უფლებისა და ბავშვის ინტერესების კონფლიქტური ინტერესების დაბალანსებით და დაუშვა ისეთი მეთოდები, რომლებიც არ შეიცავდა განსაკუთრებულად რთულ ტექნიკას და დიდად არ იყო დაშორებული ჩასახვის ბუნებრივ საშუალებებთან. აკრძალვა მიზნად ისახავდა როგორც უჩვეულო ოჯახური ურთიერთობის ჩამოყალიბების, ისე ქალთა ექსპლუატაციის თავიდან აცილებას. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ „ბუნებრივი ჩასახვისგან განსხვავებით ინ ვიტრო განაყოფიერების გამოყენება წარმოშობდა სერიოზულ საკითხებს ამ გზით ჩასახული ბავშვების კეთილდღეობასთან, მათ ჯანმრთელობასთან და უფლებებთან დაკავშირებით, ისევე როგორც, ეხებოდა საზოგადოების ეთიკურ და მორალურ ღირებულებებს და უკავშირდებოდა კომერციალიზაციისა და სელექციური რეპროდუქციის რისკს“²²². თუმცა, ასეთი რისკების არსებობის მიუხედავად არ შეიძლებოდა დამხმარე სამედიცინო ტექნოლოგიებზე სრული აკრძალვის დანერგვა კონვენციის 8.2. მუხლის შესაბამისად პროპორციულობის პრინციპის გამოყენებით, ვინაიდან ამ საკითხებზე

²²² იქვე, პარაგრაფი 20.

საჯარო ინტერესების გათვალისწინების ფარგლები დამოკიდებული იყო იმაზე, გამოიყენებოდა ჰომოლოგიური ტექნიკა (წყვილის გამეტებით განაყოფიერება), თუ ჰეტეროლოგიური ტექნიკა (სხვა პირთა გამეტების გამოყენება)²²³. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ „კანონმდებელს არ გადაუღაბავს წვერი სახელმწიფოებისათვის მინიჭებული თავისუფალი შეფასების ფარგლებსათვის, როდესაც მან დაადგინა მხოლოდ ჰომოლოგიური მეთოდებისა და გამონაკლისის სახით დონორის სპერმით ინსემინაციის დასაშვებობა. კანონმდებლის არჩევანი ასახავდა სამედიცინო მედიცინის იმდროინდელ მდგომარეობას და საზოგადოებაში არსებულ კონსენსუსს. თუმცა, ეს არ ნიშნავდა იმას, რომ ეს კრიტერიუმები არ უნდა დაქვემდებარებოდა შემდგომ განვითარებებს, რომლებიც კანონმდებლობას უნდა გაეთვალისწინებინა“²²⁴.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატამ 2010 წლის 01 აპრილის გადაწყვეტილებით დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის²²⁵ დარღვევა მე-8 მუხლთან ერთობლიობაში და აღნიშნა, რომ წყვილის უფლება, ჩასახონ ბავშვი და ამ მიზნისთვის მიმართონ ხელოვნურ განაყოფიერებას, დაცულია მე-8 მუხლით, რადგანაც ეს არჩევანი პირადი და ოჯახური ცხოვრების გამოხატვას წარმოადგენს. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ პალატის გადაწყვეტილება მიუთითებს, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით სარგებლობენ თავისუფალი შეფასების ფართო ფარგლებით (იმის გათვალისწინებით, რომ ამ სფეროში ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის არ არსებობს ერთიანი მიდგომა და ეს სფერო უკავშირდება სენსიტიურ მორალურ და ეთიკურ საკითხებს) აღნიშნა, რომ ხელოვნური განაყოფიერების კონკრეტული მეთოდის სრული აკრძალვა მორალური შეხედულებების ან იმის გათვალისწინებით, რამდენად მისაღები იქნებოდა საზოგადოებისათვის, არ წარმოადგენდა საკმარის მიზეზებს სრული აკრძალვის დაწესებისათვის და

²²³ იქვე, პარაგრაფი 21.

²²⁴ იქვე, პარაგრაფი 22.

²²⁵ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 14. დისკრიმინაციის აკრძალვა. ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა.

სრული აკრძალვა შეიძლებოდა ყოფილიყო პროპორციული ზომა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში²²⁶.

პალატისგან განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღო ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ, დაადგინა რა, რომ ადგილი არ ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას. დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებში „პირადი ცხოვრება“ ფართოა და მათ შორის მოიცავს სხვა ადამიანებთან ურთიერთობების დამყარებისა და განვითარების უფლებას, პირადი განვითარების უფლებას და ისეთ ელემენტებს, როგორცაა გენდერული იდენტიფიკაცია, სექსუალური ორიენტაცია, სექსუალური ცხოვრება და უფლებას გადაწყვეტილებების პატივისცემაზე „გყავდეს ან არ გყავდეს შვილი“²²⁷. „წყვილის უფლება, ჩასახონ ბავშვი და ამ მიზნისთვის მიმართონ ხელოვნურ განაყოფიერებას, ასევე დაცულია მე-8 მუხლით, რადგანაც ეს არჩევანი პირადი და ოჯახური ცხოვრების გამოხატვაა“²²⁸.

კონვენციის 8.2. მუხლთან შესაბამისობასთან მიმართებით დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ ინ ვიტრო განაყოფიერების მეთოდების აკრძალვა დონორის სპერმის ან კვერცხუჯრედის გამოყენებით „კანონით იყო გათვალისწინებული და ემსახურებოდა ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის და სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ლეგიტიმურ მიზანს“²²⁹. სასამართლომ იმსჯელა ხელოვნური განაყოფიერების მეთოდებზე წვდომასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით ხელშემკვრელი სახელმწიფოებისათვის განსაზღვრული ფართო შეფასების ფარგლებზე და მიუთითა შემდეგი: „ვინაიდან ინ ვიტრო განაყოფიერების მკურნალობამ წამოსწია და დღესაც იწვევს სენსიტიურ მორალურ და ეთიკურ საკითხებს სწრაფმავალი სამედიცინო და მეცნიერული განვითარებების პირისპირ, და, ვინაიდან წინამდებარე საქმეში წამოჭრილი საკითხები ეხება სფეროებს, სადაც ჯერ კიდევ არ არსებობს აშკარა საერთო საფუძველი წევრ სახელმწიფოებს შორის, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხე სახელმწიფოს უნდა მიეცეს შეფასების ფართო ფარგლები. სახელმწიფოს ფარგლები ვრცელდება როგორც მის გადაწყვეტილებაზე, ჩაერიოს ამ სფეროში, ასევე... იმ დეტალურ წესებზე, რომლებსაც

²²⁶ *S.H. and others v. Austria*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება, განაცხადი # 57813/00, პარაგრაფი 54.

²²⁷ იქვე, პარაგრაფი 80.

²²⁸ იქვე, პარაგრაფი 82.

²²⁹ იქვე, პარაგრაფი 90.

განსაზღვრავს კონკურენტულ საჯარო და კერძო ინტერესებს შორის ბალანსის მიღწევის მიზნით²³⁰.

სახელმწიფოსათვის მინიჭებული შეფასების ფართო ფარგლების არსებობის მიუხედავად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მას უნდა გამოერკვია ის არგუმენტები, რომლებიც მხედველობაში იქნა მიღებული კანონმდებლობის ფორმირების პროცესში და რომლებმაც განაპირობეს კანონმდებლის შესაბამისი არჩევანი, იმისათვის, რომ განესაზღვრა, თუ რამდენად იყო დაცული სამართლიანი ბალანსი სახელმწიფოსა და იმ პირების კონკურენტულ ინტერესებს შორის, რომლებზედაც პირდაპირი ზეგავლენა იქონია კანონმდებლის მიერ გაკეთებულმა არჩევანმა.

კვერცხუჯრედის დონაციასთან დაკავშირებით დიდმა პალატამ თავისი გადაწყვეტილების არგუმენტაცია დააფუძნა შემდეგ გარემოებებსა და მოსაზრებებს: „ისეთ სათუთ სფეროში, როგორცაა ხელოვნური განაყოფიერება, მისი საშუალებების შესახებ მორალურ მოსაზრებებს და საზოგადოების მხრიდან მათ მიღებას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. თუმცა, ეს თავისთავად არ არის ხელოვნური განაყოფიერების კონკრეტული საშუალების, როგორცაა კვერცხუჯრედის დონაცია, სრული აკრძალვისთვის საკმარისი მიზეზი. მიუხედავად ხელშემკვრელი სახელმწიფოსთვის ხელმისაწვდომი თავისუფალი შეფასების ფართო ფარგლებისა, ამ საკითხების მოსაწესრიგებლად შექმნილი სამართლებრივი ბაზისი უნდა ჩამოყალიბდეს სხვადასხვა ლეგიტიმური ინტერესების ადეკვატურად გათვალისწინების ფორმით. ავსტრიული კანონმდებლობა სრულად არ კრძალავდა ხელოვნურ განაყოფიერებას, ვინაიდან უშვებდა ჰომოლოგიურ განაყოფიერებას. ავსტრიული კანონმდებლობით შემოთავაზებული სისტემის მთავარ არსს წარმოადგენდა ხელოვნური განაყოფიერების ბუნებრივ განაყოფიერებასთან მაქსიმალური სიახლოვის შენარჩუნება, რათა თავიდან აცილებულიყო ფართო გაგებით კონფლიქტები ბიოლოგიურ და გენეტიკურ დედებს შორის. ამ დროს კანონმდებელი შეეცადა თანხვედრაში მოეყვანა ხელოვნური განაყოფიერების ხელმისაწვდომობა და თანამედროვე რეპროდუქციული მედიცინის როლისა და შესაძლებლობების შესახებ ფართო საზოგადოებაში

²³⁰ იქვე, პარაგრაფი 97. იგივე მსჯელობა გამოიყენა სასამართლომ საქმეში *Evans v. United Kingdom*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება, განაცხადი #36339/05; პარაგრაფი 81, 82.

არსებული მღელვარება. უფრო მეტიც, ავსტრიულმა კანონმდებლობამ ხელოვნური განაყოფიერების კანონით დაადგინა სპეციალური გარანტიები და პრევენციული ზომები, კერძოდ კი ხელოვნური განაყოფიერების საშუალებების გამოყენება მხოლოდ შესაბამისი სპეციალიზაციის მქონე ექიმების მიერ, რომელთაც აქვთ ამ სფეროში კონკრეტული განათლება და გამოცდილება და შეზღუდვები არიან პროფესიული ეთიკის ნორმებით, ისევე, როგორც სასტესო უჯრედის დონაციისთვის საზღაურის მიღების კანონისმიერი აკრძალვა. ეს ღონისძიებები მიმართული იყო ევგენიკური სელექციის და ასეთი სელექციის ბოროტად გამოყენების პოტენციური რისკის შემცირებისკენ და მონყვლად მდგომარეობაში არსებული ქალების, როგორც კვერცხუჯრედის დონორების, ექსპლუატაციის რისკის თავიდან აცილებისკენ. რაც შეეხება შიშს ისეთი ურთიერთობების შექმნასთან დაკავშირებით, რომლებშიც სოციალური გარემოებები ემიჯნება ბიოლოგიურს, შვილად აყვანის ინსტიტუტი ვითარდებოდა ღრთა განმავლობაში და ამჟამად ამგვარი ურთიერთობისთვის დამაკმაყოფილებელი საკანონმდებლო რეგულირება უზრუნველყოფილი იყო. მსგავსად ამისა, გასათვალისწინებელი იყო კვერცხუჯრედის დონაციიდან მომდინარე პრობლემების დამაკმაყოფილებლად მომწესრიგებელი საკანონმდებლო ბაზა. თუმცა, გენეტიკურ დედასა და ბავშვის მატარებელ ქალს შორის დედობრივი ურთიერთობების ერთმანეთისგან გამიჯვნა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მშვილებლებსა და ნაშვილებს შორის არსებული ურთიერთობისგან და ამ საკითხს ახალ ასპექტს სძენდა. კონვენციის მე-8 მუხლთან მიმართებით მთავარი საკითხი იყო არა ის, რომ კანონმდებელს შეეძლო განსხვავებული მიდგომა დაედგინა, რაც სავარაუდოდ დაარღვევდა სამართლიან ბალანსს, არამედ ის, სამართლიანი ბალანსის დარღვევისას ავსტრიულმა კანონმდებელმა გადაამეტა თუ არა ამ მუხლით დასაშვებ თავისუფალი შეფასების ფარგლებს. ამ საკითხის გადანყვეტისას, სასამართლომ გარკვეული მნიშვნელობა მიანიჭა იმ ფაქტს, რომ არ არსებობდა საკმარისად დამკვიდრებული ევროპული კონსენსუსი იმ ვიტრო განაყოფიერებისთვის კვერცხუჯრედის დონაციის დასაშვებობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ავსტრიული კანონმდებლობით კვერცხუჯრედის დონაციის აკრძალვა მე-8 მუხლთან შესაბამისობაში იყო²³¹.

²³¹ *S.H. and others v. Austria*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 3 ნოემბრის გადანყვეტილება, განაცხადი # 57813/00, ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა

იგივე მოსაზრებები დაუდო საფუძვლად დიდმა პალატამ სპერმის დონაციის აკრძალვაზე მსჯელობას და აღნიშნა შემდეგი: „ის ფაქტი რომ ავსტრიელმა კანონმდებელმა მიიღო ხელოვნური განაყოფიერების შესახებ კანონი, რომლითაც იკრძალებოდა სპერმისა და კვერცხუჯრედის დონაცია ინ ვიტრო განაყოფიერების მიზნებისთვის, თუმცა, ამავედროულად, დასაშვები იყო *in vivo* განაყოფიერება, რაც დიდი ხნის განმავლობაში მისაღებ მეთოდად ითვლებოდა, განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო ინტერესების დაბალანსებისთვის და არ შეიძლებოდა განხილულიყო მხოლოდ აკრძალვის პოლიტიკის ეფექტური განსაზღვრის კონტექსტში. ამან მეტადრე აჩვენა ავსტრიელი კანონმდებლის ყურადღებიანი და ფრთხილი მიდგომა, თანხვედრაში მოეყვანა სოციალური რეალობა ამ სფეროში არსებულ პრინციპებთან. ამასთან, ავსტრიელი კანონი არ კრძალავდა საზღვარგარეთ გამგზავრებას და უზვილობის მკურნალობას იმ მეთოდებით, რაც არ იყო დაშვებული ავსტრიაში და წარმატებული მკურნალობის შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსი შეიცავდა ნათელ ნორმებს, მშობლის და დედის სტატუსთან მიმართებით, რაც პატივს სცემდა მშობლის სურვილებს“²³².

გემოაღნიშნულ არგუმენტაციაზე დაყრდნობით დიდმა პალატამ გადაწყვიტა, რომ ხელოვნური განაყოფიერების შესახებ კანონის მე-3 მუხლით დადგენილი ხელოვნური განაყოფიერების მიზნით როგორც კვერცხუჯრედის დონაციის, ასევე ინ ვიტრო განაყოფიერებისთვის სპერმის დონაციის, აკრძალვით ავსტრიის კანონმდებელს არ მოუხდენია მოცემული მომენტისთვის დასაშვები თავისუფალი შეფასების ფარგლების გადამეტება და, შესაბამისად, განმცხადებლებთან მიმართებით ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას.

აღსანიშნავია, რომ დარღვევის არარსებობაზე გადაწყვეტილების მიღების მიუხედავად, დიდმა პალატამ, ასევე აღნიშნა, რომ ავსტრიულ პარლამენტს არ ჰქონდა განხორციელებული ხელოვნური განაყოფიერების მარეგულირებელი ნორმების დეტალური ანალიზი მეცნიერებასა და საზოგადოებაში მიმდინარე დინამიური განვითარების შესაბამისად. დიდმა პალატამ მიუთითა ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე კონვენციის 8.2. მუხლით განსაზღვრული

ევროპული სასამართლო სამდივნოს მიერ მომზადებული მოკლე შეჯამება, თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით. იხ. <www.coe.int/humanrightstrustfund> [11.11.2017].

²³² იქვე.

პროპორციულობის პრინციპთან ავსტრიის კანონმდებლობის შესაბამისობის დადგენის ნაწილში, სადაც საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ „კანონმდებლის მიერ მიღებული პრინციპი, რომლითაც დაშვებული იქნა ხელოვნური განაყოფიერების ჰომოლოგიური მეთოდები და, გამონაკლის შემთხვევებში, დონორის სპერმის გამოყენება ინსემინაციისას, ასახავდა სამედიცინო მედიცინის იმჟამინდელ მდგომარეობას და საზოგადოებაში არსებულ კონსენსუსს. ეს კი არ ნიშნავდა იმას, რომ ეს კრიტერიუმები არ უნდა დაქვემდებარებოდა შემდგომ განვითარებებს, რომლებიც კანონმდებლობას უნდა გაეთვალისწინებინა“²³³.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ სახელმწიფოსათვის მინიჭებული თავისუფალი შეფასების ფართო ფარგლების მოტივით თავი აარიდა გადაწყვეტილების განსაზღვრას, რომ წყვილის გადაწყვეტილების რეალიზაციის აკრძალვა, გამოყენებულიყო დონორის გამეტები ინ ვიტრო განაყოფიერების პროცედურაში, არღვევდა კონვენციით განსაზღვრული პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას და დაადგინა დარღვევის არარსებობა, დასკვნის ნაწილში მიღებულ გადაწყვეტილებას გარკვეული პირობაც დაუდგინა, განსაზღვრა რა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სასამართლო ადგენს მე-8 მუხლის დარღვევის არარსებობას მოცემულ საქმეზე, სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველი სფერო, რომელშიც კანონი უნდა ვითარდებოდეს მუდმივად და დაექვემდებაროს დინამიურ სამეცნიერო და სამართლებრივ განვითარებას, საჭიროებს ხელშემკვრელი სახელმწიფოების მხრიდან მუდმივ გადახედვას²³⁴.

აღსანიშნავია, რომ უმრავლესობის გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა ოთხი მოსამართლე, რომელთაც საერთო განსხვავებულ აზრში²³⁵ არგუმენტირებული მოსაზრებები წარმოადგინეს განმცხადებლებთან მიმართებით კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის არსებობის დასადასტურებლად. მათ მწვავედ გააკრიტიკეს დიდი პალატის 2011 წელს მიღებული გადაწყვეტილება, მათ შორის, იმ თვალსაზრისით, რომ გადაწყვეტილების დასაბუთება შეზღუდულია 1999 წელს ავსტრიის

²³³ *S.H. and others v. Austria*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება, განაცხადი # 57813/00, პარაგრაფი 117.

²³⁴ იქვე, პარაგრაფი 118.

²³⁵ საერთო განსხვავებული აზრი (Joint Dissenting opinion of Judges Tulkens, Hirvela, Lazarova Trajkovska and Tsotsoria), საქმე *S.H. and others v. Austria*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება, განაცხადი # 57813/00.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს არსებული სიტუაციით და, რომ დიდ პალატას არ მიუღია მხედველობაში „როგორც სამეცნიერო, ასევე სამედიცინო თვალსაზრისით მიმდინარე ძირეული ცვლილებების სფეროში საქმის ძირითადი მახასიათებელი - დროის ფაქტორი“, რითაც, მათი აზრით, სასამართლომ მიღებულ გადაწყვეტილებას რეალური მნიშვნელობა და შინაარსი დაუკარგა. ამ თვალსაზრისით, განსხვავებული აზრი მიუთითებს ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების თარიღზე - 1999 წლის 14 ოქტომბერზე, რომლითაც არ დაკმაყოფილდა განმცხადებლების მიერ წარდგენილი განაცხადი და, რომელზეც აპელირება მნიშვნელოვნად მოახდინა 2011 წელს მიღებულმა დიდი პალატის გადაწყვეტილებამ. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში სასამართლომ განიხილა, რომ „კანონმდებლის [1992 წლის] მიერ გაკეთებული არჩევანით აისახა მედიცინის მეცნიერებასა და საზოგადოებაში არსებული კონსენსუსის მაშინდელი მდგომარეობა, რაც არ გულისხმობდა იმას, რომ ეს კრიტერიუმები არ უნდა დაქვემდებარებოდა შემდგომ განვითარებებს, რომლებიც კანონმდებელს მომავალში უნდა გაეთვალისწინებინა“.

განსხვავებული აზრი მიუთითებს ახდენს, ასევე 2001 წელს გამართული ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის შეხვედრის ანგარიშზე „დამხმარე რეპროდუქციის სამედიცინო, ეთიკური და სოციალური ასპექტების“ შესახებ, რომლის მიხედვითაც „საყოველთაოდ მიღებულია, რომ მსოფლიოში უშიშრობით დაავადებულია 80 მილიონ ადამიანზე მეტი. ზოგადად, ათი წყვილიდან ერთს გააჩნია პირველადი ან მეორადი უშიშროება“ და „ეს არის მთავარი საკითხი იმ ადამიანთა ცხოვრებაში, რომლებიც ამას განიცდიან. ეს წარმოადგენს როგორც მამაკაცების, ასევე ქალებისათვის სოციალური და ფსიქოლოგიური განცდების წყაროს და შეუძლია დიდი ზეგავლენა მოახდინოს წყვილებს შორის არსებულ ურთიერთობაზე“²³⁶.

განსხვავებული აზრის მოსამართლეები აპელირებენ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 12.1 მუხლითა და 15.1 („ბ“) მუხლით აღიარებულ სამეცნიერო პროგრესით სარგებლობის უფლებასა და მის გამოყენებაზე, ისევე, როგორც ყველას

²³⁶ საერთო განსხვავებული აზრი (Joint Dissenting opinion of Judges Tulkens, Hirvela, Lazarova Trajkovska and Tsotsoria), *S.H. and others v. Austria*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება, განაცხადი # 57813/00, 33. მითითებულია: E. Vayena et al. (eds.), *Current Practices and Controversies in Assisted Reproduction*, Geneva, World Health Organization, 2002, XIII.

უფლებზე, ისარგებლოს ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის უმაღლესი სტანდარტით და, ამ თვალსაზრისით, აღნიშნავენ, რომ, ამ შემთხვევაში, საკითხი არ დგას სხვადასხვა ტექნოლოგიებს შორის არჩევანზე, არამედ „ჰეტეროლოგიურ ინ ვიტრო განაყოფიერებასთან წვდომის შეზღუდვაზე, რაც წარმოადგენს შესაძლებელ მკურნალობასთან წვდომაზე უარს“²³⁷.

განსხვავებული აზრი აკრიტიკებს დიდი პალატის გადაწყვეტილებაში ასახულ, სახელმწიფოსათვის მინიჭებული თავისუფალი შეფასების ფარგლების განსაზღვრას და აღნიშნავს, რომ სასამართლოს პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით არ არის ნათელი და გამჭვირვალე. მაშინ, როდესაც აცნობიერებს, რომ კანონმდებელს შეეძლო მისაღები, უფრო მეტად დაბალანსებული სამართლებრივი გადაწყვეტა იმ სირთულეებზე, რაც დაკავშირებულია კვერცხუჯრედისა და სპერმის დონაციასთან, დიდი პალატა იზღუდავს თავს იმის შემონახვით, გადააჭარბა თუ არა კანონმდებელმა შეფასების ფარგლებს სადავო გადაწყვეტის მიღებით. ერთი მხრივ, მაშინ, როდესაც სახელმწიფოებმა დაუშვეს სამედიცინო დახმარებით რეპროდუქცია²³⁸, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, არის თუ არა ის სარგებლის მომტანი კონვენციით აღებულ ვალდებულებებთან შესაბამისობაში და შეარჩიეს თუ არა მათ ის საშუალებები, რომლებიც ყველაზე ნაკლებად ზღუდავენ უფლებებსა და თავისუფლებებს. მეორე მხრივ, ასეთ სენსიტიურ საქმეში სასამართლომ არ უნდა გამოიყენოს შეფასების ფარგლები „როგორც განხილვის სათანადო ფარგლების პრობლემაზე გააზრებული მიდგომის პრაგმატული შენაცვლება“²³⁹.

3.1.3. სუროგაციაზე წვდომის უფლება, სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის ინტერესების პრიორიტეტი

ინ ვიტრო განაყოფიერების ყველაზე კომპლექსური მეთოდის - სუროგაციის ხელმისაწვდომობასა და კანონიერებასთან დაკავშირებით ევროპული სასამართლო ერთმნიშვნელოვან პოზიციას არ აყალიბებს

²³⁷ საერთო განსხვავებული აზრი (Joint Dissenting opinion of Judges Tulkens, Hirvela, Lazarova Trajkovska and Tsotsoria), *S.H. and others v. Austria*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება, განაცხადი # 57813/00, 34.

²³⁸ სამედიცინო დახმარებით რეპროდუქცია - Medically Assisted Procreation (MAP).

²³⁹ საერთო განსხვავებული აზრი (Joint Dissenting opinion of Judges Tulkens, Hirvela, Lazarova Trajkovska and Tsotsoria), *S.H. and others v. Austria*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება, განაცხადი # 57813/00, 34.

ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის ამ საკითხებზე ერთიანი პოზიციის არარსებობისა და თვით საკითხის სენსიტიურობიდან გამომდინარე და ხელშემკვრელ სახელმწიფოებს განუსაზღვრავს თავისუფალი შეფასების ფართო ფარგლებს - ანიჭებს თავისუფლებას, მათი საჯარო წესრიგისა და საზოგადოებრივი მორალურ-ეთიკური ღირებულებებიდან გამომდინარე, თავად დაადგინონ ადგილობრივი კანონმდებლობით მომწესრიგებელი ნორმები სუროგაციის აკრძალვის, დაშვებისა თუ შემლუღვით დაშვების შესახებ. ევროპული სასამართლოს აზრით, „სუროგაციის კანონიერებაზე ან სუროგაციის გზით საზღვარგარეთ ჩასახულ ბავშვსა და შესაძლო მშობლებს შორის ურთიერთობების სამართლებრივ აღიარებაზე ევროპაში კონსენსუსი არ არის. სასამართლოს მიერ ჩატარებული შედარებითი კვლევა აჩვენებს რომ ევროპის საბჭოს 35 წევრი სახელმწიფოდან სუროგაცია საფრანგეთის გარდა კიდევ აკრძალულია 14 სახელმწიფოში. ათ სახელმწიფოში ის ან აკრძალულია ან დაუშვებელია ზოგადი დებულებებით ან მისი კანონიერების საკითხი არ არის ნათელი. მაგრამ სუროგაცია შვიდ წევრ სახელმწიფოში დაშვებული და მისაღებია. ამ 35 წევრი სახელმწიფოდან 13 ქვეყანაში შესაძლებელია მშობლებსა და სუროგაციული შეთანხმების შედეგად საზღვარგარეთ დაბადებულ შვილებს შორის მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობების სამართლებრივი აღიარების მოპოვება. ეს ასევე ჩანს, რომ შესაძლებელია კიდევ 11 სხვა სახელმწიფოში (მათ შორის ერთ ქვეყანაში, სადაც შესაძლებლობა შემოიფარგლება მხოლოდ მამა-შვილის ურთიერთობებით, სადაც შესაძლო მამა არის ბიოლოგიური მამა), მაგრამ არ არის შესაძლებელი დანარჩენ 11 სახელმწიფოში (გარდა ერთი შემთხვევისა, როდესაც შესაძლებელია მხოლოდ მამა-შვილის ურთიერთობების აღიარების მიღება, სადაც სავარაუდო მამა არის ბიოლოგიური მამა) ...“²⁴⁰

შესაბამისად, ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს შორის სუროგაციასთან დაკავშირებით კონსენსუსის არარსებობის გამო ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ საკითხზე ერთიანი პოზიციის არქონა „სუროგაციას აქცევს მგრძნობიარე ეთიკურ საკითხად. ეს ასევე ადასტურებს, რომ სახელმწიფოები უნდა სარგებლობდნენ თავისუფალი შეფასების ფართო ფარგლებით არა მხოლოდ ისეთ საკითხზე, როგორცაა რეპროდუქციული დახმარების ამ ფორმის დაშვება, არამედ საზღვარგარეთ

²⁴⁰ მენესონი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Mennesson v. France*), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება, განაცხადი #65192/11, პარაგრაფი 78.

სუროგაციის გზით კანონიერად ჩასახულ ბავშვსა და შესაძლო მშობლებს შორის მშობელი-შვილის ურთიერთობების სამართლებრივი აღიარება²⁴¹.

**ა. მენესონი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Mennesson v. France*)²⁴²
და ლაბესი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Labassee v. France*)²⁴³**

სუროგაციასთან დაკავშირებით წევრი სახელმწიფოებისათვის მინიჭებული თავისუფალი შეფასების ფართო ფარგლების მიუხედავად საქმეებში *მენესონი საფრანგეთის წინააღმდეგ* (*Mennesson v. France*) და *ლაბესი საფრანგეთის წინააღმდეგ* (*Labassee v. France*) ევროპულმა სასამართლომ დაადგინა განმცხადებლების - კანონიერი სუროგაციის გზით აშშ-ში დაბადებული ბავშვების მიმართ საფრანგეთის მიერ კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევა, რაც გამონვეული იყო საფრანგეთის უარით, მოეხდინა ამ გზით დაბადებული ბავშვების მშობლებად ქორწინებაში მყოფი ფრანგი წყვილების სამართლებრივი აღიარება, რომელთაც ბავშვების ხელოვნურად ჩასახვის მიზნით ისარგებლეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ლეგალურად დაშვებული გესტაციური სუროგაციით²⁴⁴ და სადაც მათ ასეთი აღიარება სამართლებრივად მოიპოვეს²⁴⁵.

გადაწყვეტილების დასაბუთებისას ევროპულმა სასამართლომ გამოიყენა ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი და აღნიშნა, რომ „პიროვნების ინდივიდუალობის მნიშვნელოვანი ასპექტი საფრთხის ქვეშაა იმ შემთხვევაში, როდესაც მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობები დასარეგულირებელია. ასეთ შემთხვევაში კი მოპასუხე სახელმწიფოსთვის მინიჭებული თავისუფალი შეფასების ფარგლები უნდა შემცირდეს... სასამართლომ გულმოდგინედ უნდა შეამოწმოს ის არგუმენტები, რომლებიც მხედველობაში იქნა მიღებული და რომლებითაც მოხდა მიღწეულ გადაწყვეტამდე მისვლა და დაადგინოს, დაცული იყო თუ

²⁴¹ იქვე, პარაგრაფი 79.

²⁴² *მენესონი საფრანგეთის წინააღმდეგ* (*Mennesson v. France*), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება, განაცხადი #65192/11.

²⁴³ *ლაბესი საფრანგეთის წინააღმდეგ* (*Labassee v. France*), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება, განაცხადი #65941/11.

²⁴⁴ გამოყენებული იქნა მამაკაცის სპერმა, დონორის კვერცხუჯრედი და განაყოფიერების შედეგად მიღებული ემბრიონები გადატანილი იქნა სუროგატი დედის საშვილოსნოში.

²⁴⁵ ევროპულმა სასამართლომ საქმე *მენესონი საფრანგეთის წინააღმდეგ* (*Mennesson v. France*) განიხილა ლაბესი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Labassee v. France*) საქმესთან სინქრონულად.

არა სამართლიანი ბალანსი სახელმწიფოს სადავო ინტერესებსა და იმ პირთა ინტერესებს შორის, რომლებზედაც ასეთმა გადანაცვებამ პირდაპირი ზეგავლენა იქონია... და გაითვალისწინოს ძირითადი პრინციპები, რომლის მიხედვითაც ნებისმიერ დროს, როდესაც საქმე ეხება ბავშვს, ბავშვის საუკეთესო ინტერესები არის უმნიშვნელოვანესი²⁴⁶.

სასამართლომ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იმსჯელა, ერთი მხრივ, ყველა განმცხადებლის (როგორც წყვილის, ასევე ბავშვების) მე-8 მუხლით დაცული ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების შესაძლო დარღვევასა და, მეორე მხრივ, მე-8 მუხლით გარანტირებული ბავშვების პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევაზე და დარღვევის არსებობა დაადგინა მხოლოდ ბავშვების პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან მიმართებით. ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების შესაძლო დარღვევაზე მსჯელობისას სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია განმცხადებლების (როგორც წყვილის, ასევე შვილების) ოჯახური ცხოვრების პოტენციური რისკის ხარისხთან ერთად იმ პრაქტიკული წინააღმდეგობების დადგენა, რომლის გადალახვაც ოჯახს უწევდა ფრანგული კანონმდებლობის მიხედვით განმცხადებლებს, როგორც მშობლებსა და შვილებს, შორის ურთიერთობების სამართლებრივად არალიარების გამო²⁴⁷, ამ თვალსაზრისით მიმოიხილა საფრანგეთის კანონმდებლობის რელევანტური რეგულაციები საქმეში არსებულ გარემოებებთან დაკავშირებით, საფრანგეთის სასამართლოების მიერ მიღებული გადანაცვეტილებები, პროცესში მონაწილე ორივე მხარის არგუმენტები და აღნიშნა: „განმცხადებლები სადავოდ არ ხდიან იმას, რომ მათთვის შეუძლებელი იყო სირთულეების გადალახვა, მათ არც იმის ჩვენება მოახდინეს, რომ საფრანგეთის კანონმდებლობით მშობლებსა და შვილებს შორის სამართლებრივად არალიარების შეუძლებლობამ ხელი შეუშალა მათ საფრანგეთში, ესარგებლათ მათი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებით“²⁴⁸. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს გადანაცვეტილებაზე, რომლის მიხედვითაც საფრანგეთის რეესტრში ბავშვების დაბადების მონუმენტებში სარეგისტრაციო მონაცემების ანულირებას არ შეუქმნია დაბრკოლება მათი

²⁴⁶ მენესონი საფრანგეთის წინააღმდეგ (*Mennesson v. France*), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 26 ივნისის გადანაცვეტილება, განაცხადი #65192/11, პარაგრაფი 80-81.

²⁴⁷ იხ. იქვე, პარაგრაფი 92.

²⁴⁸ იქვე, პარაგრაფი 92.

ერთობლივი ცხოვრებისთვის, აღნიშნა, რომ ოთხივე განმცხადებელმა ბავშვების დაბადებიდან მოკლე ვადაში შეძლეს საფრანგეთში საცხოვრებლად გადასვლა, ცხოვრობენ ერთად ისეთ პირობებში, როგორშიც ბევრი სხვა ოჯახი, არ არსებობს მათი განცალკევების რისკი სახელმწიფო ორგანოების მიერ მათი მდგომარეობის გამო ფრანგული კანონმდებლობის მიხედვით²⁴⁹ და დაასკვნა, რომ „საფრანგეთის კანონმდებლობის საფუძველზე განმცხადებლებს, როგორც მშობლებსა და შვილებს შორის, ურთიერთობების სამართლებრივად არალიარებით გამონვეული მათი ოჯახური ცხოვრების პრაქტიკული შედეგებისა და მოპასუხე სახელმწიფოსთვის მინიჭებული თავისუფალი შეფასების ფარგლების გათვალისწინებით, საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს დასკვნის შედეგად შექმნილი სიტუაცია მოცემულ საქმეში ადგენს სამართლიან ბალანსს განმცხადებლებსა და სახელმწიფოს ინტერესებს შორის ოჯახური ცხოვრების პატივისცემასთან მიმართებით“²⁵⁰.

ბავშვების პირადი ცხოვრების პატივისცემის დარღვევის დასაბუთებისას ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპს, პიროვნების იდენტიფიკაციის მნიშვნელობას, როგორც პირადი ცხოვრების უფლების ერთ-ერთ არსებით ელემენტს - ყველას უფლებას, ჰქონდეს შესაძლებლობა, დაადგინოს მის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული მონაცემები, და აღნიშნა: „სასამართლოს ესმის, რომ საფრანგეთს სურს შეზღუდოს საკუთარი მოქალაქეები, არ გამოიყენონ საზღვარგარეთ ის დამხმარე რეპროდუქციული მეთოდები, რომლებიც აკრძალულია საფრანგეთის ტერიტორიაზე. თუმცა, პოტენციურ მშობლებსა და სუროგაციის მეთოდით ჩასახულ ბავშვებს, როგორც მშობლებსა და შვილებს შორის, ურთიერთობების ფრანგული კანონმდებლობით არალიარება ზეგავლენას ახდენს არამართო მშობლებზე, რომლებმაც არჩევანი გააკეთეს საფრანგეთში აკრძალულ კონკრეტულ დამხმარე რეპროდუქციულ მეთოდზე, არამედ ბავშვებზეც, რომელთა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება - რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ყველას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დაადგინოს მისი წარმომავლობის არსი, მათ შორის, მშობლებსა და შვილებს შორის სამართლებრივი ურთიერთობები - არსებითი ზეგავლენის ობიექტია. შესაბამისად, სერიოზული შეკითხვა ჩნდება იმის თაობაზე, თუ რამდენად შეესაბამება ეს

²⁴⁹ იქვე, პარაგრაფი 92-93.

²⁵⁰ იქვე, პარაგრაფი 94.

სიტუაცია ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, რომელთა პატივისცემა უნდა იყოს ნებისმიერი გადაწყვეტილების განმსაზღვრელი²⁵¹.

სადავო უფლების დარღვევის დასაბუთებისას სასამართლომ ასევე მიუთითა იმ ფაქტზე, რომ განმცხადებლებს, როგორც მშობლებსა და შვილებს, შორის ურთიერთობის სამართლებრივ აღიარებაზე საფრანგეთის უარი ეჭვის ქვეშ აყენებდა ბავშვების მემკვიდრეობის უფლებას, ისევე როგორც, ბავშვსა და ბავშვის მამას შორის ბიოლოგიური კავშირის, როგორც პიროვნების იდენტურობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის, არსებობის გათვალისწინებით, ბავშვების საუკეთესო ინტერესებთან შესაბამისი არ იყო მათთვის „ისეთი სამართლებრივი ურთიერთობების ჩამორთმევა, რომელშიც ურთიერთობების ბიოლოგიური რეალობა დადგენილი იყო და დაინტერესებული მშობლები და ბავშვები ითხოვდნენ მის სრულ აღიარებას“²⁵² და დაასკვნა, რომ განმცხადებელი ბავშვების „იდენტობისა და პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაზე სერიოზული შეზღუდვით, რაც უკრძალავს მათ ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში ბიოლოგიურ მამასთან სამართლებრივი ურთიერთობების აღიარებას, მოჰასუსხე სახელმწიფომ დაარღვია მისთვის დაშვებული თავისუფალი შეფასების ფარგლები“²⁵³.

²⁵¹ იქვე, პარაგრაფი 99.

²⁵² იქვე, პარაგრაფი 100.

²⁵³ იქვე, პარაგრაფი 100. იდენტური გადაწყვეტილება იქნა მიღებული ევროპული სასამართლოს მიერ 2016 წელს საქმეში *Foulon and Bouvet v. France* (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება, განაცხადი #9063/14), რომლითაც სასამართლომ დაადგინა კანონიერი გესტაციური სუროგაციის გზით ინდოეთში დაბადებული ბავშვების მიმართ საფრანგეთის მიერ კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევა, რაც გამოწვეული იყო საფრანგეთის უარით, მოეხდინა ამ გზით დაბადებული ბავშვების მშობლებად განმცხადებლების - ბავშვების ბიოლოგიური მამების სამართლებრივი აღიარება, რომელთაც ბავშვების ხელოვნურად ჩასახვის მიზნით ისარგებლეს ინდოეთში ლეგალურად დაშვებული გესტაციური სუროგაციით და სადაც მათ ასეთი აღიარება სამართლებრივად მოიპოვეს.

ბ. პარადისო და კამპანელი იტალიის წინააღმდეგ (*Paradiso and Campanelli v. Italy*)²⁵⁴

განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღო ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ საერთაშორისო სუროგაციასთან დაკავშირებულ საქმეში *პარადისო და კამპანელი იტალიის წინააღმდეგ (Paradiso and Campanelli v. Italy)*, სადაც 11 ხმით ექვსის წინააღმდეგ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის არარსებობა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ასპექტი ამ დავასა და, ასევე, საერთაშორისო სუროგაციასთან დაკავშირებულ ზემოაღნიშნულ *მენესონი საფრანგეთის წინააღმდეგ (Mennesson v. France)* და *ლაბესი საფრანგეთის წინააღმდეგ (Labassee v. France)* საქმეებს შორის მდგომარეობდა იმაში, რომ საქმეში *პარადისო და კამპანელი იტალიის წინააღმდეგ* სუროგაციის გზით დაბადებულ ბავშვს არ გააჩნდა ბიოლოგიური კავშირი არცერთ პოტენციურ მშობელთან, რომელთაც განაყოფიერების ამ მეთოდით ისარგებლეს.

განმცხადებლები, იტალიის მოქალაქეები, ქორწინებაში მყოფი წყვილი ქალბატონი დონატინა პარადისო (Donatina Paradiso) და ბატონი ჯოვანი კამპანელი (Giovanni Campanelli) აცხადებდნენ, რომ იტალიის მიერ მიღებული ზომები რუსეთში სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის T.C.-ის მიმართ, რამაც შედეგად დააყენა მათგან ბავშვის მუდმივი ჩამორთმევა, არღვევდა მათ უფლებას პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემაზე, რომელიც გარანტირებული იყო კონვენციის მე-8 მუხლით.

დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების გამოყენებით ბავშვის ჩასახვის რამდენიმე უშედეგო მცდელობის შემდგომ წყვილმა გადაწყვიტა, ეშვილა უცხოელი ბავშვი და ამ მიზნით 2006 წელს იტალიის შესაბამისი სასამართლოდან მიიღო ოფიციალური უფლებამოსილება. თუმცა, ბავშვის შვილებამდე მათ კვლავ გადაწყვიტეს, ესარგებლათ დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიებით მოსკოვის კლინიკაში, სადაც განახორციელეს ინ ვიტრო განაყოფიერება სუროგატი დედის გამოყენებით და რომლის შედეგადაც 2011 წლის 27 თებერვალს რუსეთში დაიბადა T.C.

განმცხადებლები აცხადებდნენ, რომ ინ ვიტრო განაყოფიერება ჩატარდა დონორის კვერცხუჯრედისა და მეუღლის სპერმით, რომლის ტრანსპორტირება ცოლმა მოახდინა იტალიიდან. იგივე დაადასტურა

²⁵⁴ *პარადისო და კამპანელი იტალიის წინააღმდეგ (Paradiso and Campanelli v. Italy)*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება, განაცხადი #25358/12.

რუსეთის კლინიკამ, რომელმაც განახორციელა ეს პროცედურა. მიუხედავად ამისა, იტალიაში ჩატარებული დნმ-ის ანალიზით დადგინდა, რომ დაბადებულ ბავშვს არ გააჩნდა გენეტიკური კავშირი პოტენციურ მამასთან - განმცხადებელ ჯოვანი კამპანელისთან. რუსეთში გაიყა ბავშვის დაბადების მონშობა რუსეთის კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც ბავშვის მშობლებლად განისაზღვრნენ განმცხადებელი მეუღლეები. 2011 წლის აპრილში განმცხადებელი დონატინა პარადისო ბავშვთან ერთად დაბრუნდა იტალიაში, 2011 წლის მაისში კი წყვილის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე იმ საფუძვლით, რომ იტალიაში ბავშვი ჩამოყვანილი იყო იტალიის კანონმდებლობით განსაზღვრული საერთაშორისო შვილად აყვანის წესების დარღვევით, პროკურორმა მოითხოვა ბავშვისათვის მიტოვებულად აღიარების სტატუსის განსაზღვრა და მისი გაშვილება. ამასთანავე, იტალიის შესაბამისმა სარეგისტრაციო ორგანომ უარი უთხრა განმცხადებლებს რუსეთის მიერ გაცემული დაბადების მონშობის აღიარებაზე და ბავშვის მშობლებლად მათ განსაზღვრაზე²⁵⁵.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური სერვისის წარმომადგენლები დადებითად აღწერდნენ იმ გარემოს, სადაც ბავშვი განმცხადებლებთან იზრდებოდა, ისევე როგორც ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე ფსიქოლოგის მიერ წარდგენილი დასკვნით (2011 წლის სექტემბერში) ფსიქოლოგმა აღწერა ის ღრმა ემოციური კავშირები, რაც განმცხადებლებს ჰქონდათ ბავშვთან და აღნიშნა ბავშვის კეთილდღეობა განმცხადებლებისა და მათი ოჯახის წევრების გარემოცვაში, 2011 წლის 20 ოქტომბერს დაუყოვნებლივ აღსასრულებელი სასამართლოს გადაწყვეტილებით ბავშვი, რომელიც დაახლოებით რვა თვის მანძილზე განმცხადებლებთან იზრდებოდა, მათ ჩამოართვეს, გადასცეს სოციალურ სერვისს და მოათავსეს ბავშვთა სახლში. იტალიის სასამართლოების ძირითადი არგუმენტები ემყარებოდა იტალიის კანონმდებლობით განსაზღვრულ აკრძალვას სუროგაციის მეთოდით ბავშვის ჩასახვას, იმ გარემოებას, რომ ბავშვს არცერთ განმცხადებელთან არ გააჩნდა ბიოლოგიური კავშირი და ასევე იმ ფაქტს, რომ სასამართლოს განცხადებით ბავშვის ასაკისა და განმცხადებლებთან გატარებული მოკლე პერიოდის გათვალისწინებით ბავშვის ინტერესებს განმცხადებლებისაგან მისი ჩამორთმევით და სოციალური სერვისისათვის გადაცემით ზიანი არ მიაღებოდა²⁵⁶.

²⁵⁵ იქვე.

²⁵⁶ იქვე, პარაგრაფი 34-38.

ევროპული სასამართლოს პალატამ 2015 წლის 27 იანვარს დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა და აღნიშნა, რომ საჯარო პოლიტიკური შეხედულებები, რომლებიც საფუძვლად დაედო იტალიის მთავრობის გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, რომ განმცხადებლებმა სცადეს, გვერდი აეველოთ იტალიაში სუროგაციის აკრძალვას და შვილად აყვანის საერთაშორისო წესებს, არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო ბავშვის ინტერესებზე უპირატესად, მიუხედავად ბიოლოგიური კავშირის არარსებობისა და იმ მოკლე პერიოდისა, როდესაც განმცხადებლები ბავშვს უვლიდნენ. ბავშვის ჩამორთმევა ოჯახისათვის წარმოადგენდა ექსტრემალურ ზომას, რომლის გამართლება შეიძლება განხორციელებულიყო მხოლოდ ბავშვისათვის დაუყოვნებლივი საფრთხის არსებობის შემთხვევაში²⁵⁷.

პალატისგან განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღო ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ 2017 წლის 24 იანვარს დაადგინა რა, რომ აღვლილი არ ჰქონია კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას. გადაწყვეტილების მიღებისას დიდმა პალატამ იმსჯელა იმ განსხვავებებზე, რომლებიც არსებობდა ამ საქმესა და ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ *მენესონი საფრანგეთის წინააღმდეგ* და *ლაბესი საფრანგეთის წინააღმდეგ* საქმეებს შორის და აღნიშნა: საქმეებში *მენესონი საფრანგეთის წინააღმდეგ* (*Mennesson v. France*) და *ლაბესი საფრანგეთის წინააღმდეგ* (*Labassee v. France*), სადაც ევროპული სასამართლოს წინაშე განმცხადებლები იყვნენ არამართო მეუღლე წყვილები, რომელთაც ისარგებლეს სუროგაციით, არამედ ამ გზით დაბადებული ბავშვებიც, დამტკიცებული იყო ბიოლოგიური კავშირის არსებობა მამებსა და ბავშვებს შორის და საფრანგეთის სახელმწიფო ორგანოებს არასოდეს განუზრახავთ ბავშვების განცალკევება მშობლებისგან. ამ საქმეებში ძირითადი საკითხი ეხებოდა საზღვარგარეთ კანონიერად გაცემული დაბადების მოწმობის მონაცემების რეგისტრაციაზე საფრანგეთის უარს და ბავშვების უფლებას, მოეპოვებინათ მშობელ-შვილის ურთიერთობების სამართლებრივი აღიარება საფრანგეთში²⁵⁸. აღნიშნული საკითხები კი არ ყოფილა განხილვის საგანი მოცემულ საქმეზე, არამედ სადავო მოცემულ შემთხვევაში იყო იტალიის სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული ზომები, რამაც გამოიწვია ბავშვისა და განმცხადებლების მუდმივი განცალკევება²⁵⁹.

²⁵⁷ იქვე, პარაგრაფი 98-101.

²⁵⁸ იქვე, პარაგრაფი 132.

²⁵⁹ იქვე, პარაგრაფი 133.

საკითხის განხილვისას, რამდენად არსებობდა მოცემულ საქმეში კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებში „ოჯახური ცხოვრება“, სასამართლომ აღნიშნა, რომ „მე-8 მუხლით განსაზღვრული „ოჯახის“ ცნება გულისხმობს ქორწინებაზე დაფუძნებულ ურთიერთობებს, ისევე როგორც დე ფაქტო „ოჯახურ კავშირებს“, სადაც მხარეები ქორწინების გარეშე ცხოვრობენ ერთად ან სადაც სხვა ფაქტორები ახდენენ იმის დემონსტრირებას, რომ ურთიერთობას გააჩნია საკმარისი სიმტკიცე“²⁶⁰. მე-8 მუხლის დებულებები არ ახდენენ ოჯახის შექმნის ან შვილად აყვანის უფლების გარანტირებას. „ოჯახური ცხოვრების“ პატივისცემის უფლება არ იცავს ოჯახის შექმნის უბრალო სურვილს, არამედ ითხოვს ოჯახის არსებობას ან თუნდაც პოტენციური ურთიერთობის არსებობას ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვსა და მის ნამდვილ მამას შორის ან ნამდვილი ქორწინების შედეგად წარმოშობილი ურთიერთობის არსებობას თუნდაც მაშინ, როდესაც ოჯახური ცხოვრება სრულად არ არის დამყარებული, ან მამასა და კანონიერ შვილს შორის ურთიერთობას, თუნდაც წლების შემდგომ დადგინდეს, რომ მათ შორის არ არსებობს ბიოლოგიური კავშირი, ან კანონიერი და ნამდვილი შვილად აყვანის შედეგად წარმოშობილ ურთიერთობას²⁶¹.

მოცემულ საქმეში განმცხადებლებსა და ბავშვს შორის ბიოლოგიური კავშირისა და აღიარებული სამართლებრივი კავშირის არარსებობის, ისევე როგორც განმცხადებლებსა და ბავშვს შორის ურთიერთობის მოკლე პერიოდის გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონია დე ფაქტო ოჯახურ ურთიერთობას განმცხადებლებსა და ბავშვს შორის, მიუხედავად იმისა, რომ, სასამართლოს განმარტებით, განმცხადებლებმა „განავითარეს მშობლებისეური პროექტი“²⁶² და იკისრეს მშობლების როლი ბავშვთან მიმართებით²⁶³.

კონვენციის მე-8 მუხლით დაცული პირადი ცხოვრების უფლების განხილვისას, დიდმა პალატამ იმსჯელა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასა და საქმის გარემოებებზე და დაადგინა, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმეში არსებული ფაქტები ექცეოდა მე-8 მუხლით დაცული განმცხადებლების პირადი ცხოვრების უფლების ფარგლებში, ვინაიდან

²⁶⁰ იქვე, პარაგრაფი 140.

²⁶¹ იქვე, პარაგრაფი 141.

²⁶² “parental project”.

²⁶³ *პარადისო და კამპანელი იტალიის წინააღმდეგ (Paradiso and Campanelli v. Italy)*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება, განაცხადი #25358/12, პარაგრაფი 151.

„განმცხადებლებს ჰქონდათ ნამდვილი განზრახვა, გამხდარიყვნენ მშობლები, თავდაპირველად მცდელობებით, მოეხდინათ ჩასახვა ინ ვიტრო განაყოფიერების გამოყენებით, შემდგომში ბავშვის შვილად აყვანაზე ოფიციალური ნებართვის მიღებით, და ბოლოს, კვერცხუჯრედის დონაციისა და სუროგატი დედის გამოყენებით. მათი ცხოვრების ძირითადი ნაწილი ფოკუსირებული იყო მათი გეგმის რეალიზაციაზე, გამხდარიყვნენ მშობლები, იმ მიზნით, რომ ყვარებოდნენ და აღეზარდნენ ბავშვი“²⁶⁴. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ საკითხი ეხებოდა განმცხადებლების გადანაცვლებების პათივისციემის უფლებას, გამხდარიყვნენ მშობლები, რაც კონვენციის მე-8 მუხლით დაცული პირადი ცხოვრების ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენდა. თუმცა, ამასთანავე, სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის 8.2. მუხლის შესაბამისად იტალიის სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები იყო „კანონის შესაბამისი“ და აუცილებელი „დემოკრატიულ საზოგადოებაში“ და დააკვირა, რომ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას იტალიის მიერ ადგილი არ ჰქონია. სასამართლომ აღნიშნა, რომ იგი „არ ახდენს იმ გავლენის სათანადოდ შეუფასებლობას, რომელსაც ადგილი უნდა ჰქონოდა განმცხადებლების პირად ცხოვრებაზე ბავშვისაგან დაუყოვნებლივი და შეუქცევადი განცალკევებით. იმ დროს, როდესაც კონვენცია არ აღიარებს უფლებას, გახდეს მშობელი, სასამართლოს არ შეუძლია იმ პირთა ემოციური სირთულეების იგნორირება, რომელთა სურვილი, გახდნენ მშობლები, არ განხორციელებულა ან არ შეიძლება განხორციელდეს“²⁶⁵. მიუხედავად ამისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, საჯარო ინტერესებს უპირატესობა უნდა მინიჭებოდა განმცხადებლების ინტერესებთან შედარებით, გაეგრძელებინათ ურთიერთობა ბავშვთან. სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებლებთან ბავშვის დატოვების უფლებაზე დათანხმება (ბავშვის შვილად აყვანის თვალსაზრისით), იქნებოდა „იტალიის კანონმდებლობის მნიშვნელოვანი წესების განმცხადებლების მიერ დარღვევის შედეგად შექმნილი სიტუაციის ლეგალიზების ტოლფასი“²⁶⁶ და მიიჩნია, რომ „იტალიის სასამართლოებმა, მაშინ, როდესაც იმყოფებოდნენ წინამდებარე საქმეში მათთვის მინიჭებული თავისუფალი შეფასების ფართო ფარგლებში, შეათვალეს რა, რომ განცალკევების შედეგად ბავშვს არ მიაღებოდა მძიმე ან გამოუსწორებელი

²⁶⁴ იქვე, პარაგრაფი 163.

²⁶⁵ იქვე, პარაგრაფი 215.

²⁶⁶ იქვე, პარაგრაფი 215.

ზიანი, დაადგინეს სამართლიანი ბალანსი მოცემულ შემთხვევაში არსებულ სხვადასხვა ინტერესებს შორის²⁶⁷.

დიდი პალატის ზემოაღნიშნული დასკვნები მნიშვნელოვნად უგულებელყოფს განმცხადებლებისათვის მიყენებული დიდი ემოციური ზიანის ფაქტს, რაც განპირობებული იყო მათთვის ბავშვის ჩამორთმევით, ისევე, როგორც არ ითვალისწინებს ბავშვის დაბადებიდან დაახლოებით 8 თვის მანძილზე განმცხადებლებსა და ბავშვს, როგორც მშობლებსა და შვილს, შორის ისეთი ემოციური კავშირის ჩამოყალიბებას, რომელიც შეიძლება მიჩნეული იყოს დე ფაქტო ოჯახურ ერთიერთობად. ამ თვალსაზრისით სრულად უნდა იქნას გაზიარებული ევროპული სასამართლოს პალატის 2015 წლის 27 იანვარს მიღებული გადაწყვეტილება, ისევე, როგორც დიდი პალატის გადაწყვეტილებაზე 6 მოსამართლის განსხვავებულ აზრში²⁶⁸ ჩამოყალიბებული არგუმენტები, რომლითაც საფუძვლიანად დასტურდება კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა. განსხვავებული აზრის მოსამართლეებმა მიიჩნიეს, რომ იტალიამ განახორციელა კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული განმცხადებლების ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევა და ვერ დაიცვა სამართლიანი ბალანსი მოცემულ შემთხვევაში არსებულ კონკურენტულ ინტერესებს შორის. განსხვავებული აზრი არ ეთანხმება დიდი პალატის არგუმენტებს იმის თაობაზე, რომ განმცხადებლებსა და ბავშვს შორის კოჰაბიტაციის პერიოდი არ იყო საკმარისი დე ფაქტო ოჯახის ჩამოსაყალიბებლად და აღნიშნავს შემდეგს: „ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ კოჰაბიტაცია დაიწყო ბავშვის დაბადების დღიდან, გაგრძელდა განმცხადებლებისგან ბავშვის ჩამორთმევამდე და გაგრძელდებოდა განუსაზღვრელად, სახელმწიფო ორგანოები რომ არ ჩარეულიყვნენ მის დასასრულებლად. უმრავლესობა არ ითვალისწინებს ამ არგუმენტს იმ საფუძვლით, რომ ჩარევა წარმოადგენდა თვით განმცხადებლების მიერ შექმნილი სამართლებრივი გაურკვევლობის შედეგს „ისეთი ქმედების განხორციელებით, რომელიც წინააღმდეგობაში იყო იტალიის კანონთან და იტალიაში ბავშვთან ერთად საცხოვრებლად ჩასვლით... ვშიშობთ, რომ უმრავლესობა ამით ახდენს განსხვავებას „კანონიერ“ და „არაკანონიერ“

²⁶⁷ იქვე, პარაგრაფი 215.

²⁶⁸ საერთო განსხვავებული აზრი (Joint Dissenting Opinion of Judges Lazarova, Trajkovska, Bianku, Laffranque, Lemmens and Grozev) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებაზე *პარადისო და კამპანელი იტალიის წინააღმდეგ (Paradiso and Campanelli v. Italy)*, განაცხადი #25358/12.

ოჯახებს შორის, რომელიც უარყოფილია სასამართლოს მიერ წლების წინ... და სრულ მნიშვნელობას არ ანიჭებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში დამკვიდრებულ პრინციპს, რომ „ოჯახური ცხოვრების“ არსებობა ან არარსებობა არსებითად წარმოადგენს ფაქტის საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ კოჰაბიტაცია შედარებით მოკლე პერიოდის განმავლობაში გრძელდებოდა, მიგვაჩნია, რომ საქმეში არსებული კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით არსებობდა დე ფაქტო ოჯახური ცხოვრება განმცხადებლებსა და ბავშვს შორის“²⁶⁹.

იმის დასადასტურებლად, რომ იტალიამ ვერ დაიცვა სამართლიანი ბალანსი არსებულ კონფლიქტურ ინტერესებს შორის, განსხვავებული აზრის მოსამართლეები სხვა არგუმენტებთან ერთად მიუთითებენ როგორც ბავშვის, ასევე განმცხადებლების, ინტერესების სათანადოდ გათვალისწინებლობაზე და აღნიშნავენ: „გაკვირვებულნი ვართ იმ კვალიფიკაციით, რომელიც მიენიჭა ბავშვს, როგორც „მიტოვებულს“. არცერთ დროს [იტალიის] სასამართლოებს არ დაუსვამთ შეკითხვა, იქნებოდა თუ არა ბავშვის ინტერესების შესაბამისი, დარჩენილიყო იმ პირებთან, რომელთაც იკისრეს მისი მშობლების როლი. ბავშვის ჩამორთმევა ეფუძნებოდა წმინდა იურიდიულ საფუძვლებს... მიგვაჩნია, რომ ამ გარემოებებში არ შეიძლება იმის თქმა, რომ ადგილობრივმა სასამართლოებმა საკმარისად განიხილეს ის გავლენა, რომელსაც შეეძლო ადგილი ჰქონოდა ბავშვის კეთილდღეობაზე მისი ჩამორთმევით. ეს სერიოზული ხარვეზია, ვინაიდან ნებისმიერი ასეთი ზომა უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესს. რაც შეეხება განმცხადებლების ინტერესებს, გვჯერა, რომ მათი ინტერესი, გაეგრძელებინათ ურთიერთობის განვითარება ბავშვთან, რომლის მშობლებიც უნდოდათ ყოფილიყვნენ, არ იყო საკმარისად მხედველობაში მიღებული... 2006 წლის 7 დეკემბერს განმცხადებლები შეფასებულნი იყვნენ, როგორც შვილად აყვანასთან შესაბამისნი, როდესაც მიიღეს უფლებამოსილება შვილად აყვანაზე... 2011 წლის 18 მაისის ანგარიშში სასამართლოს მიერ დანიშნული სოციალური სერვისის მუშაკები აღნიშნავენ, რომ განმცხადებლები უვლიდნენ ბავშვს „უმაღლესი სტანდარტების“ შესაბამისად... აღნიშნული პოზიტიური შეფასებების უარყოფა არ მომხდარა ბავშვის საუკეთესო ინტერესების სერიოზული შეფასების საფუძველზე, უფრო მეტად ისინი უარყოფილი იქნა

²⁶⁹ იქვე, პარაგრაფი 4-5.

აბსტრაქტული და ზოგადი მსჯელობებით... სასამართლოებს არ შეუფასებიათ ის გავლენა, რომელსაც ადგილი ექნებოდა განმცხადებლებზე მათგან ბავშვის დაუყოვნებლივი და შეუქცევადი განცალკევებით... მიგვაჩნია, რომ ეს სერიოზული ხარვეზია, რომლის გამართლება არ შეიძლება უმრავლესობის მსჯელობით, რომ განმცხადებლების ქმედება იყო არაკანონიერი და მათი ურთიერთობა ბავშვთან - გაურკვეველი. უბრალო ფაქტი, რომ ადგილობრივმა სასამართლოებმა არ მიიჩნიეს საჭიროდ იმ გავლენაზე მსჯელობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა განმცხადებლებზე ბავშვის ჩამორთმევის შედეგად, ბავშვისა, რომელიც წარმოადგენდა მშობლებისეური პროექტის კონკრეტულ სუბიექტს, ახდენს იმის დემონსტირებას, რომ ისინი რეალურად არ ცდილობდნენ სამართლიანი ბალანსის დადგენას განმცხადებლების ინტერესებსა და საპირისპირო ინტერესებს შორის²⁷⁰.

ამდენად, ზემოაღნიშნულ საქმეებზე ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მეტყველებს იმაზე, რომ ევროპული სასამართლო რეპროდუქციული არჩევანის უფლებას, გახდეს ან არ გახდეს მშობელი, მიიჩნევს კონვენციის მე-8 მუხლით განსაზღვრული პირადი ცხოვრების გამოხატვას, მათ შორის ამ გადაწყვეტილების რეალიზაციას დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების გამოყენებით, თუმცა, ასეთი ტექნოლოგიების დაშვების, აკრძალვისა თუ შეზღუდვის განსაზღვრასთან მიმართებით სახელმწიფოებს თავისუფალი შეფასების ფართო ფარგლებს ანიჭებს. სახელმწიფოებისათვის ამ სფეროში მინიჭებული შეფასების ფართო ფარგლების მიუხედავად, ევროპული სასამართლოს დამოკიდებულება სახელმწიფოების მიერ მე-8 მუხლის შესაძლო დარღვევაზე გადაწყვეტილების მიღებისას განსხვავდება საქმეში განხილული დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიის მეთოდების მიხედვით. დარღვევის არსებობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს, უპირველეს ყოვლისა, ბავშვის საუკეთესო ინტერესებსა და ამ ტექნოლოგიის შედეგად დაბადებულ ბავშვსა და მშობლებს შორის, ბიოლოგიური კავშირის არსებობას.

²⁷⁰ იქვე, პარაგრაფი 12.

3.2. ადამიანის უფლებათა შიდაამერიკული სასამართლოს პრაქტიკა

ევროპული კონვენციის მსგავსად ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია²⁷¹ (შემდგომში „ამერიკული კონვენცია“) პირდაპირ არ ახდენს რეპროდუქციული უფლებების, როგორც ადამიანის დამოუკიდებლად არსებული უფლებების, განსაზღვრას და ევროპული სასამართლოს მსგავსად ადამიანის უფლებათა შიდაამერიკული სასამართლო (შემდგომში „შიდაამერიკული სასამართლო“) რეპროდუქციულ უფლებებს განიხილავს, როგორც უფლებებს, რომლებიც დაცულია ამერიკული კონვენციით გარანტირებული პირადი ცხოვრებისა და ოჯახის შექმნის უფლებებით.

*Artavia Murillo et. Al. (“In Vitro Fertilization”) v. Costa Rica*²⁷²

რეპროდუქციულ უფლებებთან და დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების, კონკრეტულად კი, ინ ვიტრო განაყოფიერების, გამოყენებით ამ უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებით, საქმის გარემოებების ფარგლებში ფართო ანალიზი წარმოადგინა შიდაამერიკულმა სასამართლომ საქმეში *Artavia Murillo et. Al. (“In Vitro Fertilization”) v. Costa Rica*.

საქმე ეხებოდა ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევას 2000 წლიდან ინ ვიტრო განაყოფიერების პრაქტიკის აკრძალვის გამო, რაც ამოქმედდა კოსტა რიკაში კოსტა რიკას უზენაესი სასამართლოს

²⁷¹ ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, ასევე ცნობილია როგორც „სან ხოსე, კოსტა რიკას პაქტი“ (“Pact of San Jose, Costa Rica”), მიღებულია 1969 წლის 22 ნოემბერს შიდაამერიკულ სპეციალურ კონფერენციაზე კოსტა რიკაში, ძალაშია 1978 წლის 18 ივლისიდან. თავდაპირველად მისი რატიფიცირება მოახდინა ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაციის (ამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაცია (ინგლისურად “Organization of American States”, “OAS”), დაფუძნდა 1948 წლის 30 აპრილს, განწვირანებულია ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის 35 სახელმწიფო) წევრი 35 სახელმწიფოდან 25 სახელმწიფომ, დღეის მდგომარეობით რატიფიცირებულია 23 სახელმწიფოს მიერ. აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ხელი მოაწერა კონვენციას, თუმცა მისი რატიფიკაცია არ მოუხდენია. კონვენციის შესრულებაზე ზედამხედველობის განმხორციელებელია ადამიანის უფლებათა შიდაამერიკული კომისია და ადამიანის უფლებათა შიდაამერიკული სასამართლო.

²⁷² *Artavia Murillo et. Al. (“In Vitro Fertilization”) v. Costa Rica*, ადამიანის უფლებათა შიდაამერიკული სასამართლოს 2012 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება, Series C No. 326.

საკონსტიტუციო პალატის გადაწყვეტილებების²⁷³ (შემდგომში „კოსტა-რიკას საკონსტიტუციო პალატის გადაწყვეტილება“) მიღების შემდგომ²⁷⁴.

²⁷³ კოსტა რიკას უზენაესი სასამართლოს საკონსტიტუციო პალატის 2000 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება #2000-02306.

²⁷⁴ კოსტა რიკას უზენაესი სასამართლოს საკონსტიტუციო პალატის 2000 წლის 15 მარტის #2000-02306 გადაწყვეტილებით ინ ვიტრო განაყოფიერების პროცედურა, რომელიც კოსტა რიკაში გამოიყენებოდა 1995 წლიდან, გამოცხადებული იქნა არაკონსტიტუციურად (უფრო კონკრეტულად, ბრძანება, რომელიც არეგულირებდა ინ ვიტრო განაყოფიერებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ცნობილი იქნა არაკონსტიტუციურად), ვინაიდან სასამართლომ მიიჩნია, რომ ინ ვიტრო განაყოფიერების პრაქტიკა არღვევდა სიცოცხლის უფლებას და ადამიანის ღირსებას. გადაწყვეტილებაში სასამართლომ მიმოიხილა ემბრიონის სამართლებრივ სტატუსსა და ადამიანის სიცოცხლის დასაწყისთან დაკავშირებული განსხვავებული არგუმენტები და აღნიშნა, რომ „საკითხი, თუ როდის იწყება ადამიანის სიცოცხლე ტრანსცენდენტული მნიშვნელობისაა აქ განსახილველ საქმეში, ვინაიდან აუცილებელია, განისაზღვროს მომენტი, რომლიდანაც ადამიანი ექვემდებარება ჩვენი სამართლებრივი სისტემით დაცვას“. სასამართლომ არ გაიზიარა მოსაზრება, რომ „ადამიანის ემბრიონები განვითარების სტადიაზე მყოფი ორგანიზმებია, რომელთაც გააჩნიათ მხოლოდ სიცოცხლის უბრალო პოტენციალი.... მიმაგრებამდე პრე-ემბრიონი შედგება არადიფერირებული უჯრედებისგან და უჯრედოვანი დაყოფა არ ხდება საშილონოს კედელზე მის მიმაგრებასა და პრიმიტიული უჯრედოვანი ხაზის - ნერვული სისტემის პირველი მაჩვენებლის გამოვლენამდე; ამ მომენტიდან ორგანოთა სისტემები და ორგანოები იწყებენ ფორმირებას“ და მხარი დაუჭირა ადამიანის სიცოცხლის დასაწყისთან დაკავშირებულ, სამეცნიერო თვალსაზრისით სადავო ხედვას, რომ „ყოველ ადამიანს გააჩნია უნიკალური დასაწყისი, რომელიც ჩნდება განაყოფიერების მომენტიდან“. ემბრიონი არსების საწყისი ფორმაა ან არსების დასაწყისი ფორმაა და „ტერმინი პრე-ემბრიონი არ არსებობს, ვინაიდან ემბრიონამდე, მის სტადიამდე, არის სპერმატოზოიდი და კვერცხუჯრედი. როდესაც სპერმატოზოიდი ანაყოფიერებს კვერცხუჯრედს, ეს ორგანიზმი ხდება ზიგოტა და შესაბამისად ემბრიონი. ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება ამ უჯრედის ისაა, რომ უკვე ადგილზეა ყველაფერი, რაც მისცემს მას შესაძლებლობას, რომ განვითარდეს როგორც ინდივიდი; ყველა ის აუცილებელი და საკმარისი ინფორმაცია ახალი ადამიანური არსების მახასიათებლების განსაზღვრად ქმნიან სპერმატოზოიდის ოცდასამი ქრომოსომისა და კვერცხუჯრედის ოცდასამი ქრომოსომის კავშირს“ (კოსტა რიკას უზენაესი სასამართლოს საკონსტიტუციო პალატის 2000 წლის 15 მარტის #2000-02306 გადაწყვეტილება, საქმის #95-001734-007-CO, ციტირებულია ადამიანის უფლებათა შიდაამერიკული სასამართლოს 2012 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებაში *Artavia Murillo et. Al. ("In Vitro Fertilization") v. Costa Rica*, Series C No. 326, 24 (file of annexes to the merits report, volume I, folios 88 and 89). ამ უკანასკნელ არგუმენტებზე დაყრდნობით სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ „ჩასახვის მომენტიდანვე პიროვნება არის პიროვნება და სახეზეა ცოცხალი არსება, რომელსაც გააჩნია უფლება, დაცული იქნას სამართლებრივი სისტემით“ (“...as soon as conception occurs, a person is a person and we are in the presence of a living being, with the right to be protected by the legal system”, კოსტა რიკას უზენაესი სასამართლოს საკონსტიტუციო პალატის 2000 წლის 15 მარტის #2000-02306 გადაწყვეტილება, საქმის #95-001734-007-CO, ციტირებულია ადამიანის უფლებათა შიდაამერიკული სასამართლოს 2012 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებაში *Artavia Murillo et. Al. ("In Vitro Fertilization") v. Costa Rica*, Series C No. 326, 24 (file of annexes to the merits report, volume I, folios 88 and 89)...ვინაიდან სიცოცხლის უფლება აღიარებულია ყველასათვის გამონაკლისების გარეშე, სიცოცხლის უფლების დაცვა უნდა განხორციელდეს როგორც ინდივიდისთვის, რომელიც

ადამიანის უფლებათა შიდაამერიკული კომისია, რომელმაც მიმართა შიდაამერიკულ სასამართლოს კოსტა რიკას სახელმწიფოს წინააღმდეგ, აცხადებდა, რომ ინ ვიტრო განაყოფიერების სრული აკრძალვა წარმოადგენდა პირადი ცხოვრების უფლებასა და ოჯახის შექმნის უფლებაში უხეშ ჩარევას და არღვევდა დაზარალებულთა²⁷⁵ თანასწორუფლებიანობის

დაიბადა, ასევე დაუბადებელი ბავშვისთვის“ (კოსტა რიკას უზენაესი სასამართლოს საკონსტიტუციო პალატის 2000 წლის 15 მარტის #2000-02306 გადაწყვეტილება, საქმის #95-001734-007-CO, ციტირებულია ადამიანის უფლებათა შიდაამერიკული სასამართლოს 2012 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებაში *Artavia Murillo et. Al. (“In Vitro Fertilization”) v. Costa Rica*, Series C No. 326, 24 (file of annexes to the merits report, volume I, folios 88 and 90). სასამართლოს აზრით, ვინაიდან „ადამიანის ემბრიონი არის პიროვნება ჩასახვის მომენტიდან“, იგი არ შეიძლება იქნას განხილული როგორც ნივთი და, შესაბამისად, დაუშვებელია მის, როგორც ნივთის მიმართ, კვლევის ან სელექციური პროცედურების წარმოება, ანდა მისი გაყინვა, და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, „კონსტიტუციურად არ არის ლეგიტიმური მისთვის სიკვდილის არაპროფორციული რისკის შექმნა.. [ინ ვიტრო განაყოფიერების] ტექნიკის გამოყენებას შედეგად მოსდევს ემბრიონების დიდი დანაკარგი, რაც არ შეიძლება იქნას გამართლებული ფაქტით, რომ ეს გამიზნულია ადამიანური არსების შესაქმნელად - ბავშვის უზრუნველსაყოფად წყვილისათვის, რომელიც სხვა საშუალებით ვერ შეიძლება მის ყოლას“, ვინაიდან, სასამართლოს აზრით, „ემბრიონების ნებისმიერი განადგურება.. არღვევს სიცოცხლის უფლებას“ (კოსტა რიკას უზენაესი სასამართლოს საკონსტიტუციო პალატის 2000 წლის 15 მარტის #2000-02306 გადაწყვეტილება, საქმის #95-001734-007-CO, ციტირებულია ადამიანის უფლებათა შიდაამერიკული სასამართლოს 2012 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებაში *Artavia Murillo et. Al. (“In Vitro Fertilization”) v. Costa Rica*, Series C No. 326, 25 (file of annexes to the merits report, volume I, folios 94 and 95).

აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა და განსხვავებული აზრი წარმოადგინა სასამართლოს ორმა მოსამართლემ (*Arguedas Ramirez, Calzada Miranda*) აღნიშნეს რა, რომ „ინ ვიტრო განაყოფიერება არ არის შეუსაბამო სიცოცხლის უფლებასთან ან ადამიანის ღირსებასთან; პირიქით, იგი წარმოადგენს სამეცნიერო ინსტრუმენტსა და ტექნიკას, რომელიც შექმნილია კაცობრიობის დასახმარებლად, რაც განპირობებულია იმით, რომ უშვილობა... უნდა იქნას განხილული როგორც ნამდვილი დაავადება... დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიები შეთავაზებულია, როგორც გზა ადამიანის რეპროდუქციაზე ლეგიტიმური უფლების განსახორციელებლად, მიუხედავად იმისა, რომ იგი პირდაპირ არ არის აღიარებული კონსტიტუციით, გამომდინარეობს თავისუფლებისა და თვითგამორკვევის უფლებიდან, პირადი და ოჯახური ცხოვრებისა და ოჯახის შექმნის უფლებიდან“ (განსხვავებული აზრი კოსტა რიკას უზენაესი სასამართლოს საკონსტიტუციო პალატის 2000 წლის 15 მარტის #2000-02306 გადაწყვეტილებაზე, საქმის #95-001734-007-CO, ციტირებულია ადამიანის უფლებათა შიდაამერიკული სასამართლოს 2012 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებაში *Artavia Murillo et. Al. (“In Vitro Fertilization”) v. Costa Rica*, Series C No. 326, 25-26 (file of annexes to the answering brief, volume VII, folios 10994-10996).

²⁷⁵ დაზარალებულები საქმეში *Artavia Murillo et. Al. (“In Vitro Fertilization”) v. Costa Rica*, ადამიანის უფლებათა შიდაამერიკული სასამართლოს 2012 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებაში, Series C No. 326: Gretel Artavia Murillo, Miguel Mejías Carballo, Andrea Bianchi Bruno, German Alberto Moreno Valencia, Ana Cristina Castillo León, Enrique Acuña Cartín, Ileana Henchoz Bolaños, Miguel Antonio Yamuni Zeledón, Claudia María Carro Maklouf, Víctor Hugo Sanabria León, Karen Espinoza Vindas, Héctor Jiménez Acuña, María del Socorro Calderón P., Joaquina Arroyo Fonseca, Geovanni Antonio Vega, Carlos E. Vargas Solórzano, Julieta González Ledezma და Oriester Rojas Carranza.

უფლებას იმდენად, რამდენადაც სახელმწიფო მათ უარს უცხადებდა ისეთ მკურნალობასთან წვდომაზე, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა მათ, დაეძლიათ მათი არახელსაყრელი მდგომარეობა და ჰყოლოდათ ბიოლოგიური შვილები.

შიდაამერიკულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ კოსტა რიკაში ინ ვიტრო განაყოფიერების პროცედურის აკრძალვით დაირღვა ამერიკული კონვენციის 5(1)²⁷⁶, 7²⁷⁷, 11(2)²⁷⁸ და 17(2)²⁷⁹ მუხლებით გარანტირებული ჰუმანური მოპყრობის, პიროვნული თავისუფლების, პირადი ცხოვრების, ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლებები და განსაზღვრა კოსტა რიკას ვალდებულება, სათანადო ზომების მიღებაზე ინ ვიტრო განაყოფიერების პრაქტიკის აკრძალვის გაუქმებასთან დაკავშირებით, იმგვარად, რომ „პირებს, რომელთან აქვთ სურვილი, ისარგებლონ დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიებით, შეუძლიათ ამის განხორციელება გადანაცვტილებაში გაცხადებული დარღვეული უფლებების რეალიზაციისათვის ყოველგვარი ხელშეშლის გარეშე“²⁸⁰. დაზარალებულების მიმართ სახელმწიფოს პასუხისმგებლობასთან ერთად სასამართლომ დაადგინა სახელმწიფოს ვალდებულება მისი ჯანდაცვის სერვისების მიერ შეთავაზებულ უშვილობის მკურნალობებსა და პროგრამებში ინ ვიტრო განაყოფიერების ჩართვაზე, იმ პროფესიონალთა ინსპექტირებისა და ხარისხის კონტროლის სისტემის შემუშავებაზე,

²⁷⁶ ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, მე-5 მუხლის, რომელიც ჰუმანური მოპყრობის უფლებას განსაზღვრავს, პირველი ნაწილი ადგენს თითოეული ადამიანის უფლებას მისი ფიზიკური, გონებრივი და მორალური მთლიანობის პატივისცემაზე.

²⁷⁷ ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, მე-7 მუხლი განსაზღვრავს ყოველი ადამიანის უფლებას პიროვნულ თავისუფლებასა და უსაფრთხოებაზე და უკანონო დაკავების ან დაპატიმრების შემთხვევაში, ისევე როგორც თავისუფლების შეზღუდვის საფრთხის არსებობის შემთხვევაში სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას.

²⁷⁸ ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, მე-11 მუხლის, რომელიც პირადი ცხოვრების უფლებას განსაზღვრავს, მე-2 ნაწილი კრძალავს ადამიანის პირად ცხოვრებაში, ოჯახში, სახლში ან მის კორესპონდენციაში თვითნებურ ან არაკანონიერი ჩარევას ან მის ღირსებას ან რეპუტაციისათვის უკანონოდ ზიანის მიყენებას.

²⁷⁹ ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, მე-17 მუხლის, რომელიც ოჯახთან დაკავშირებულ უფლებებს განსაზღვრავს, მე-2 ნაწილი ადგენს ქორწინების ასაკის მქონე მამაკაცებისა და ქალების უფლებას ქორწინებასა და ოჯახის შექმნაზე, თუ ისინი აკმაყოფილებენ ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნებს იმ პირობით, რომ ეს პირობები არ არღვევენ კონვენციით დადგენილ არადისკრიმინაციული მოპყრობის პრინციპს.

²⁸⁰ *Artavia Murillo et. Al. ("In Vitro Fertilization") v. Costa Rica*, ადამიანის უფლებათა შიდაამერიკული სასამართლოს 2012 წლის 28 ნოემბრის გადანაცვტილება, Series C No. 326, 106-107.

რომლებსაც გააჩნიათ კვალიფიკაცია ამ სახის დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების განსახორციელებლად და სასამართლოს თანამშრომლებისათვის მუდმივი განათლებისა და ტრენინგის პროგრამების განხორციელებაზე ადამიანის უფლებებთან, რეპროდუქციულ უფლებებსა და არადისკრიმინაციულ მოპყრობასთან დაკავშირებით²⁸¹.

გადანყვეტილების დასაბუთებისას სასამართლომ ზოგადად მსჯელობს პიროვნული ხელშეუხებლობის, პირადი თავისუფლების, პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებებზე და აღნიშნავს, რომ „ამერიკული კონვენციის მე-11 მუხლი ითხოვს სახელმწიფოსგან დაიცვას ინდივიდები სახელმწიფო ინსტიტუტების უკანონო ქმედებებისგან, რომლებიც ახდენენ გავლენას პირად და ოჯახურ ცხოვრებაზე. ამერიკული კონვენციის მე-7 მუხლი განიმარტება ფართოდ, ვინაიდან ის მოიცავს თავისუფლების იდეას ფართო გაგებით, როგორც შესაძლებლობა, გააკეთო ან არ გააკეთო ყველაფერი, რაც კანონით ნებადართულია. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ნებისმიერ ადამიანს გააჩნია უფლება კანონის შესაბამისად მოაწყოს მისი პირადი და სოციალური ცხოვრება მისი საკუთარი არჩევანისა და მრწამსის შესაბამისად. თავისუფლება ადამიანის ძირითადი უფლებაა.. ადამიანს გააჩნია თვითგამორკვევისა და მისი ცხოვრებისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების თავისუფლად არჩევის შესაძლებლობა საკუთარი არჩევანისა და მრწამსის მიხედვით“²⁸².

პირადი ცხოვრების უფლებაზე მსჯელობისას შიდაამერიკული სასამართლო იყენებს როგორც საკუთარ პრაქტიკას ამერიკული კონვენციით განსაზღვრულ ამ უფლების ინტერპრეტაციაზე, ასევე ევროპული სასამართლოს პრაქტიკას ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დადგენილი პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებულ საქმეებზე უფლების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ „პირადი ცხოვრების უფლების დაცვის ფარგლები ფართოდაა ინტერპრეტირებული ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოების მიერ, როდესაც აღინიშნებოდა, რომ იგი უფრო ფართოა, ვიდრე პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. პირადი ცხოვრების დაცვა აერთიანებს ფაქტორების სერიას, რომლებიც უკავშირდება ინდივიდის ღირსებას, მათ შორის, მაგალითად, საკუთარი პიროვნებისა და მისწრაფებების განვითარებისა და მისი პირადი

²⁸¹ იქვე, 106-107.

²⁸² იქვე, 42.

ურთიერთობების განსაზღვრის შესაძლებლობას. პირადი ცხოვრების იდეა აერთიანებს ფიზიკური და სოციალური იდენტობის ასპექტებს, მათ შორის, პირადი ავტონომიის, პირადი განვითარების უფლებასა და უფლებას, დაამყაროს და განავითაროს ურთიერთობები სხვა ადამიანებსა და გარე სამყაროსთან. პირადი ცხოვრების უფლების ეფექტური განხორციელება არსებითია მოვლენების სამომავლო მიმდინარეობაზე პერსონალური ავტონომიის რეალიზაციის შესაძლებლობისათვის პიროვნების ცხოვრების ხარისხის განსაზღვრად. პირადი ცხოვრება მოიცავს ინდივიდის მიერ საკუთარი თავის აღქმას და იმ გზას, რომლითაც იგი ახდენს ამ აღქმის სხვებისათვის წარმოდგენას და არის არსებითი პირობა პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის²⁸³.

ევროპული სასამართლოს მსგავსად²⁸⁴, შიდაამერიკული სასამართლო რეპროდუქციული არჩევანის უფლებას განიხილავს პირადი უფლების შემადგენელ კომპონენტად და აღნიშნავს, რომ „გადანწყვეტილება, გახდეს ან არ გახდეს მშობელი, პირადი ცხოვრების უფლების ნაწილია, და ამ შემთხვევაში, მოიცავს გადანწყვეტილებას, გახდეს ან არ გახდეს დედა ან მამა გენეტიკური ან ბიოლოგიური თვალსაზრისით“²⁸⁵.

სასამართლო პირადი ცხოვრების შემადგენელ კომპონენტად მიიჩნევს რეპროდუქციულ ავტონომიას, რომელიც აღიარებულია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის²⁸⁶ მე-16.1. („ე“) მუხლით, პირადი ცხოვრების უფლების განხორციელების ერთ-ერთ ასპექტს კი უკავშირებს დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებთან წვდომის არსებობასაც და აღნიშნავს, რომ „პირადი ცხოვრების უფლება დაკავშირებულია (1) რეპროდუქციულ ავტონომიასთან, და (2) რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე წვდომასთან, რომელიც მოიცავს ამ უფლების განხორციელებისათვის აუცილებელ სამედიცინო ტექნოლოგიებთან წვდომის უფლებას... უფლება დარღვეულია მაშინ, როდესაც შეზღუდულია საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც ქალებს

²⁸³ იქვე, პარაგრაფი 143, 42-43.

²⁸⁴ იხ. *Evans v. United Kingdom*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 10 აპრილის გადანწყვეტილება, განაცხადი #36339/05.

²⁸⁵ *Artavia Murillo et. Al. ("In Vitro Fertilization") v. Costa Rica*, ადამიანის უფლებათა შიდაამერიკული სასამართლოს 2012 წლის 28 ნოემბრის გადანწყვეტილება, Series C No. 326, პარაგრაფი 143, 43

²⁸⁶ ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია, მიღებულია 1979 წლის 18 დეკემბერს; ძალაში შესვლის თარიღი: 1981 წლის 3 სექტემბერი; საქართველოსთვის ძალაში შესვლის თარიღი: 1994 წლის 22 სექტემბერი.

შეუძლიათ განახორციელონ მათი შვილოსნობის კონტროლის უფლება. ამდენად, პირადი ცხოვრების დაცვა მოიცავს გადანყვეტილებების პატივისცემას გახდეს დედა ან მამა, ისევე როგორც წყვილის გადანყვეტილების პატივისცემას, გახდნენ გენეტიკური მშობლები²⁸⁷. საბოლოო ჯამში, კი, პირადი ცხოვრების უფლება და რეპროდუქციული თავისუფლება დაკავშირებულია ამ უფლების განსახორციელებლად აუცილებელ სამედიცინო ტექნოლოგიებთან წვდომის უფლებასთან. ამ თვალსაზრისით, სასამართლო აპელირებს საერთაშორისოდ აღიარებულ მეცნიერული პროგრესით სარგებლობის უფლებასთან²⁸⁸ და მართებულად ასკვნის, რომ „პირადი ცხოვრების, რეპროდუქციული ავტონომიისა და ოჯახის შექმნის უფლებების ფარგლები, რომლებიც გამომდინარეობენ ამერიკული კონვენციის 11(2) და 17(2) მუხლებიდან, ვრცელდება მეცნიერული პროგრესით სარგებლობის ყველას უფლებაზე და მის გამოყენებაზე. მეცნიერული პროგრესით სარგებლობის უფლება რეპროდუქციული ავტონომიისა და ოჯახის შექმნის შესაძლებლობის განხორციელების მიზნით წარმოშობს დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების სფეროში საუკეთესო ჯანდაცვის სერვისებზე წვდომის უფლებას და, შესაბამისად, იწვევს ყოველი ინდივიდის რეპროდუქციული გადანყვეტილებების განხორციელებაზე არათანაზომიერი და არააუცილებელი შეზღუდვების *de iure* ან *de facto* აკრძალვას“²⁸⁹.

გემოაღნიშნული განმარტებების საფუძველზე, შიდაამერიკულმა სასამართლომ კოსტა რიკას მიერ ამერიკული კონვენციით გარანტირებული ჰუმანური მოპყრობის, პიროვნული თავისუფლების, პირადი ცხოვრების, ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლებების დარღვევის მითითების

²⁸⁷ *Artavia Murillo et. Al. (“In Vitro Fertilization”) v. Costa Rica*, ადამიანის უფლებათა შიდაამერიკული სასამართლოს 2012 წლის 28 ნოემბრის გადანყვეტილება, Series C No. 326, პარაგრაფი 146, 44.

²⁸⁸ მეცნიერული პროგრესით სარგებლობის უფლებასთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს უფლება საერთაშორისოდ აღიარებულია და მიუთითებს, რომ შიდა ამერიკულ კონტექსტში იგი გათვალისწინებულია ამერიკული დეკლარაციის XIII მუხლში და სან სალვადორის ოქმის 14(1)(ბ) მუხლში, გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ, კი თავის დეკლარაციაში ამ უფლების შესახებ, აღწერილია მისი კავშირი მოსახლეობის ყველა სექტორის მატერიალურ და სულიერი საჭიროებების დაკმაყოფილებასთან (*Artavia Murillo et. Al. (“In Vitro Fertilization”) v. Costa Rica*, ადამიანის უფლებათა შიდაამერიკული სასამართლოს 2012 წლის 28 ნოემბრის გადანყვეტილება, Series C No. 326, პარაგრაფი 150, 46).

²⁸⁹ *Artavia Murillo et. Al. (“In Vitro Fertilization”) v. Costa Rica*, ადამიანის უფლებათა შიდაამერიკული სასამართლოს 2012 წლის 28 ნოემბრის გადანყვეტილება, Series C No. 326, პარაგრაფი 150, 46.

არგუმენტაციას უკავშირებს საკონსტიტუციო პალატის გადაწყვეტილების შედეგად კოსტა რიკაში ინ ვიტრო განაყოფიერების აკრძალვას. საკონსტიტუციო პალატის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით შიდაამერიკული სასამართლო აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილებით ინ ვიტრო განაყოფიერება დაიშვებოდა იმ შემთხვევაში, თუ ემბრიონის სიცოცხლე აბსოლუტურად იქნებოდა დაცული. ეს კი ფაქტობრივად ნიშნავდა ინ ვიტრო განაყოფიერების აკრძალვას, რადგან საქმეში არსებული მტკიცებულებების შესაბამისად ინ ვიტრო განაყოფიერების გამოყენებისას არ არსებობდა ემბრიონების დანაკარგის არარსებობის შესაძლებლობა. სხვა სიტყვებით, შეუძლებელი იქნებოდა სასამართლოს მიერ დაწესებულ პირობასთან შესაბამისობა. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ეს სამედიცინო ტექნოლოგია კოსტა რიკაში სასამართლოს მიერ სრულად არ იქნა აკრძალული, გადაწყვეტილებით დადგა უდავო ფაქტი, რომ მისი მიღებიდან 12 წლის განმავლობაში ქვეყნის ტერიტორიაზე პრაქტიკაში მისი გამოყენება არ მომხდარა და წყვილებს, რომელთაც სურდათ ამ ტექნიკით სარგებლობა, სრულიად მოკლებულნი იყვნენ ამის შესაძლებლობას საკუთარ ქვეყანაში²⁹⁰.

შიდაამერიკული სასამართლო, ასევე, მსჯელობს საკონსტიტუციო პალატის გადაწყვეტილების უარყოფით შედეგებზე დაზარალებულებთან მიმართებით და აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილების შედეგად რამდენიმე დაზარალებულის დაწესებული სამედიცინო მკურნალობა შეწყდა, სხვები კი იძულებულნი გახდნენ გამგზავრებულიყვნენ სხვა ქვეყნებში ამ პროცედურის ჩასატარებლად. ეს ფაქტები წარმოადგენენ დაზარალებულების პირად და ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევას, ვინაიდან წყვილებს მოუხდათ მათი ქმედების მიმდინარეობის ცვლილება მათ მიერ უკვე მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მათი სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების განსახორციელებლად: ეცადათ, ჰყოლოდათ ბავშვები ინ ვიტრო განაყოფიერების გამოყენებით.²⁹¹

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შიდაამერიკული სასამართლო ამერიკული კონვენციით დადგენილი უფლებების ფარგლებში რეპროდუქციულ უფლებებს, უფრო კონკრეტულად რეპროდუქციულ არჩევანსა და რეპროდუქციულ ავტონომიასთან დაკავშირებულ უფლებებს, განიხილავს პირადი და ოჯახური ცხოვრების შემადგენელ ელემენტად და ამ

²⁹⁰ იქვე, პარაგრაფი 159, 48.

²⁹¹ იქვე, პარაგრაფი 161, 49.

უფლებების რეალიზაციის ერთ-ერთ კომპონენტად მიიჩნევა სახელმწიფოს მიერ სამედიცინო ტექნოლოგიებთან წვდომის უზრუნველყოფას.

4. კონკურენცია მშობლად გახდომის უფლებასა და მშობლად გახდომაზე უარის თქმის უფლებას შორის - სასამართლოების განსხვავებული პოზიციები გაყინულ ემბრიონებთან დაკავშირებულ დავებზე

განქორწინებულ მეუღლეთა შორის მათი გამეტებით შექმნილი გაყინული ემბრიონების განკარგვასთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტისას, სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოები დადგენენ სერიოზული დილემის წინაშე, გაეკეთებინათ არჩევანი ორ კონკურენტულ უფლებას - ერთი მხრივ, მშობლად გახდომასა და, მეორე მხრივ, მშობლად გახდომაზე უარის თქმის უფლებას შორის. ბუნებრივია, როდესაც ემბრიონი ორი პირის გამეტებით იქმნება, მისი ქალის საშვილოსნოში გადატანის, ორსულობისა და ნაყოფის გესტაციის შედეგად დაბადებული ბავშვის გენეტიკურ მშობელს ორივე ეს პირი წარმოადგენს. შესაბამისად, ამ გაყინული ემბრიონის გალლობასა და საშვილოსნოში გადატანის გადაწყვეტილება რეალიზაციაა პირის უფლებისა, გახდეს მშობელი, მეორე მხრივ, კი მისი განადგურება თავისთავად გულისხმობს მშობლად გახდომაზე უარის თქმის შესახებ პირის უფლების აღსრულებას. უფლებათა კონკურენცია წარმოიშვება მაშინ, როდესაც ორივე მეუღლეს განსხვავებულად სურს საკუთარი უფლების რეალიზაცია - ქალის სურვილი ემბრიონის გამოყენებით საკუთარი ბიოლოგიური შვილის ყოლაა, მამაკაცი კი ემბრიონის განადგურების მოთხოვნით უარს ამბობს, გახდეს მშობელი.

ზუსტად მოახდინა ამ სახის დავაზე სასამართლოს მიერ გადასაწყვეტი პრობლემური საკითხის იდენტიფიცირება თბილისის საქალაქო სასამართლომ²⁹² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში²⁹³ ასახულ მსჯელობაზე დაყრდნობით, აღნიშნა რა, რომ „მითითებული დავა უაღრესად სენსიტიურია და მოიცავს არა მხოლოდ სამართლებრივ, არამედ ეთიკურ და მორალურ დილემასაც. მოცემულ შემთხვევაში ერთმანეთის პირისპირ დგას 2 დიამეტრალურად

²⁹² ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე #2/1852-14.

²⁹³ *Evans v. United Kingdom*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება, განაცხადი #36339/05.

განსხვავებული უფლება - უფლება გახდეს მშობელი და უფლება არ გახდეს მშობელი. მხარეთა ინტერესები მოცემულ შემთხვევაში სრულიად შეუთავსებელია, ვინაიდან, თუ დაშვებული იქნება ემბრიონის გამოყენება, მოპასუხე იძულებული იქნება, გახდეს მამა, საპირისპირო შემთხვევაში კი - მოსარჩელეს წაერთმევა შესაძლებლობა, გახდეს გენეტიკური დედა²⁹⁴. ამ უფლებათა კონკურენციის პირობებში საკითხის განსხვავებულ გადაწყვეტას გვთავაზობს არამართო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, არამედ სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს, სასამართლოებიც.

ა. ნაჩმანი ნაჩმანის წინააღმდეგ (*Nachmani v. Nachmani*)²⁹⁵:

ვინაიდან საშვილოსნოს კიბოს ქირურგიული ოპერაციის შემდგომ ქალბატონ ნაჩმანს არ შეეძლო ორსულობა, მეუღლეებს სურდათ ინ ვიტრო განაყოფიერების ჩატარებისა და სუროგატი დედის გამოყენებით საკუთარი გენეტიკური შვილის ყოლა, რაც 1991 წლის პერიოდისათვის ისრაელში არ დაიშვებოდა²⁹⁶. წყვილი აპირებდა აშშ-ში გამგზავრებას და კალიფორნიის შტატში სუროგატი დედის სუროგაციული მომსახურებით სარგებლობას²⁹⁷, თუმცა ეს დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული და სწორედ ამიტომ წყვილმა შუამდგომლობით მიმართა ისრაელის უმაღლეს სასამართლოს, რომლითაც ისინი ამტკიცებდნენ, რომ ისრაელში სუროგაციის ამკრძალავი ისრაელის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 1987 წლის რეგულაციები *ultra vires*²⁹⁸ - უფლებამოსილების გადამეტებით იყო მიღებული. უმაღლესი სასამართლოს მიერ შუამდგომლობის გადაწყვეტამდე მიღწეული იქნა მორიგება, რომლითაც „წყვილს მიეცა უფლება, ჩაეტარებინა ინ ვიტრო

²⁹⁴ ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე #2/1852-14.

²⁹⁵ აღსანიშნავია, რომ ისრაელში წყვილ ნაჩმანებთან დაკავშირებული ორი საქმე არსებობს და ლიტერატურაში პირობითად მოიხსენიება როგორც საქმე 1 და საქმე 2. საქმე 1-ზე საბოლოო გადაწყვეტა მორიგების გამო უმაღლესი სასამართლოს მიერ არ მომხდარა. საქმე 2 ცნობილია როგორც ნაჩმანი ნაჩმანის წინააღმდეგ, რომელიც ეხებოდა ნაჩმანების განქორწინების შემდგომ განქორწინებულ მეუღლეებს შორის დავას გაყინული ემბრიონების სუროგატი დედის საშვილოსნოში გადანერგვაზე. იხ. Shapo H., Frozen Pre-embryos and The Rights To Change One's Mind, Duke Journal Of Comparative & International Law, Vol. 12, 2002, 78. მითითებულია: *Nachmani v. Nachmani*, 50(4) P.D. 661 (Isr.).

²⁹⁶ Schuz R., The Right to Parenthood: Surrogacy and Frozen Embryos, International Survey of Family Law, Vol. 1996, 238.

²⁹⁷ Shapo H., Frozen Pre-embryos and The Rights To Change One's Mind, Duke Journal Of Comparative & International Law, Vol. 12, 2002, 77.

²⁹⁸ *Ultra vires* - ლათინური ტერმინი, რომელიც ნიშნავს უფლებამოსილებას გადამეტებას.

განყოფიერება ისრაელში შემდგომში საზღვარგარეთ ინ ვიტრო განყოფიერების შედეგად მიღებული ემბრიონების სუროგატი დედის საშვილოსნოში გადატანის მიზნით²⁹⁹. თუმცა, სუროგაციის განხორციელებამდე წყვილი განქორწინდა და განქორწინების შედეგად გაყინულ ემბრიონებთან დაკავშირებულ დავაზე ისრაელის უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ საქმეში არსებული გარემოებების გათვალისწინებით ქალის უფლება დედობაზე უპირატესი იყო მისი ქმრის უფლებაზე, არ გამხდარიყო მამა³⁰⁰, ვინაიდან, იმის გათვალისწინებით, რომ ქალბატონ ნაჩმანს აღარ შეეძლო კვერცხუჯრედების წარმოქმნა, „პრე-ემბრიონების კონტროლი წარმოადგენდა მის ერთადერთ საშუალებას, ჰყოლოდა საკუთარი გენეტიკური შვილი“³⁰¹.

ბ. ევანსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Evans v. United Kingdom*)³⁰²

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით 2000 წელს ევანსმა და მისმა პარტნიორმა ჯეიმ (გადაწყვეტილებაში მოხსენიებული როგორც „J“) დაიწყო შვილოსნობის მკურნალობა. 2000 წლის ოქტომბერში კლინიკაში მკურნალობისას ევანსს დაუდგინდა საკვერცხეების სიმსივნის წინა მდგომარეობა და მას შესთავაზეს ინ ვიტრო განყოფიერების მკურნალობის ერთი კურსი საკვერცხეების ამოკვეთამდე. კონსულტაციის დროს მას და ჯეის განემართათ, რომ წერილობითი თანხმობა უნდა განეცხადებინათ მკურნალობაზე და 1990 წლის ადამიანის განყოფიერებისა და ემბრიოლოგიის კანონის (შემდგომში „1990 წლის კანონი“) ნორმათა თანახმად, თითოეულ მათგანს უფლება ჰქონდა ემბრიონის საშვილოსნოში იმპლანტაციამდე ნებისმიერ დროს უკან გამოეთხოვა საკუთარი თანხმობა.

2001 წლის ნოემბერში კლინიკაში წყვილისათვის განხორციელებული ინ ვიტრო განყოფიერების შედეგად მიღებული 6 ემბრიონი გაიყინა. ორი

²⁹⁹ Schuz R., The Right to Parenthood: Surrogacy and Frozen Embryos, *International Survey of Family Law*, Vol. 1996, 238.

³⁰⁰ Menon M., *Regulating Reproduction-Evaluating the Canadian Law on Surrogacy and Surrogate Motherhood*, a thesis submitted for the degree of Master of Laws, University of Toronto, 2009, 81.

³⁰¹ Shapo H., *Frozen Pre-embryos and The Rights To Change One's Mind*, *Duke Journal Of Comparative & International Law*, Vol. 12, 2002, 77. ნაჩმანი ნაჩმანის წინააღმდეგ საქმესთან დაკავშირებით დამატებით იხ. გელაშვილი ი., ჩანასახის სამოქალაქო-სამართლებრივი მდგომარეობა, თბილისი, 2012, 100-102.

³⁰² *Evans v. United Kingdom*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება, განაცხადი #36339/05.

კვირის შემდეგ ევანსმა ჩაიტარა ოპერაცია, მას ამოაჭრეს საკვერცხეები და განუმარტეს, რომ მის საშვილოსნოში ემბრიონების იმპლანტაცია შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ორი წლის შემდგომ.

2002 წლის მაისში ევანსსა და ჯეის შორის ურთიერთობა შეწყდა და 1990 წლის კანონის შესაბამისად ჯეიმ შეატყობინა კლინიკას, რომ ის აღარ იყო თანახმა, ევანსს ესარგებლა ემბრიონებით ან მათი შენახვა გაგრძელებულიყო. ევანსმა კი მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მისთვის ემბრიონის გადატანის უფლების მინიჭება. 2003 წლის ოქტომბერში მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, დადგინდა რა, რომ ჯეი მოქმედებდა კეთილსინდისიერად, ვინაიდან იგი დათანხმდა მკურნალობას მხოლოდ იმ პირობით, რომ მისი ურთიერთობა ევანსთან გაგრძელდებოდა.

ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა ევროპული კონვენციის მე-2, მე-8 და მე-14 მუხლების შესაძლო დარღვევებზე და თითოეულ მუხლთან დაკავშირებით დაადგინა დარღვევის არარსებობა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი არ ჰქონია მე-2 მუხლის დარღვევას, რადგან „იმის განსაზღვრა, თუ როდის იწყება სიცოცხლის უფლება სახელმწიფოს თავისუფალი შეფასების ფარგლებს განეკუთვნება, განმცხადებლისა (ევანსისა) და ჯეის მიერ შექმნილ ემბრიონებს კი არ გააჩნდათ სიცოცხლის უფლება“ ინგლისის კანონმდებლობის შესაბამისად.

მე-8 მუხლის შესაძლო დარღვევაზე მსჯელობისას სასამართლომ მიუთითა, რომ „პირადი ცხოვრება“ მოიცავს როგორც გადანყვეტილებას, გახდეს მშობელი, ასევე გადანყვეტილებას - არ გახდეს მშობელი. თუმცა, ევანსი სადავოდ არ ხდიდა, რომ მას საერთოდ შეეზღუდა დედობა სოციალური, სამართლებრივი ან თუნდაც ფიზიკური მნიშვნელობით, ვინაიდან არ არსებობდა ეროვნული კანონმდებლობა ან პრაქტიკა, რაც მას შეუზღუდავდა შვილებს, ან თუნდაც ბავშვის გაჩენას, რომელიც დონორების სასქესო უჯრედების ინ ვიტრო განაყოფიერების შედეგად ჩაისახებოდა. ევანსის განცხადებით, თანხმობის შესახებ 1990 წლის კანონის ნორმებით მისთვის შეუძლებელი გახდა მისი და ჯეის მიერ შექმნილი ემბრიონით სარგებლობა და, მისი მდგომარეობის გათვალისწინებით, მასთან გენეტიკურად დაკავშირებული ბავშვის გაჩენა. ეს უფრო ვიწრო საკითხი კი, რომელიც ეხებოდა უფლებას გადანყვეტილების პათივისცემაზე, გახდეს გენეტიკური მშობელი, ექცეოდა მე-8 მუხლის მოქმედების სფეროში. საქმის დილემა მდგომარეობდა ორი კერძო პირის, ევანსისა და ჯეის მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლებების კონფლიქტში. უფრო მეტიც, მათი

ინტერესები სრულიად არათავსებადი იყო, ვინაიდან, თუ ევანსს მიეცემოდა უფლება, ესარგებლა ემბრიონით, ამით დადგებოდა ჯეის იძულებითი მამობა, და პირიქით, თუ ძალაში დარჩებოდა ჯეის უარი ან თანხმობის გამოთხოვა, ევანსი მიიღებდა უარს შესაძლებლობაზე, გამხდარიყო გენეტიკური მშობელი. საქმის რთული გარემოებებიდან გამომდინარე, რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიეღო ეროვნულ სახელმწიფო ორგანოებს, ეს გამოიწვევდა ერთ-ერთი მხარის ინტერესების სრულ შელახვას. ამასთან, სასამართლოს განმარტებით, კანონმდებლობა, ასევე, ემსახურებოდა მთელ რიგ ფართო საჯარო ინტერესებს, როგორცაა თანხმობის უპირატესობის პრინციპი და კანონმდებლობის გარკვეულობისა და სიზუსტის ხელშეწყობა³⁰³. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ევანსის უფლებას, გამხდარიყო გენეტიკური მშობელი, არ უნდა მინიჭებოდა უპირატესობა ჯეის უფლებასთან შედარებით, უარი ეთქვა მშობლად გახდომაზე.

სასამართლოს მიერ ასევე არ იქნა დადგენილი კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა, რომლითაც გარანტირებულია დისკრიმინაციის დაუშვებლობა. სასამართლომ მიიჩნია, რომ „არ იყო აუცილებელი იმის გადაწყვეტა, შეეძლო თუ არა ევანსს ანალოგიურ ვითარებაში მყოფი ქალისგან განსხვავებით განსხვავებული მოპყრობის სათანადოდ გასაჩივრება, ვინაიდან საფუძვლები, რომლებზე დაყრდნობითაც დადგინდა, რომ ადგილი არ ჰქონდა მე-8 მუხლის დარღვევას, საშუალებას იძლევა მოხდეს გონივრული და ობიექტური დასაბუთება მე-14 მუხლთან მიმართებით“³⁰⁴.

გ. ა.ზ. ბ.ზ-ს წინააღმდეგ (A.Z. v. B.Z.)³⁰⁵

მასაჩუსეტის სასამართლომ განქორწინების საქმის განხილვისას დაადგინა, რომ მეუღლეებს შორის წინასწარ გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულება გაყინული ემბრიონების გამოყენებასთან დაკავშირებით მათი განქორწინების შემთხვევაში არ იყო აღსრულებადი. საქმე ეხებოდა

³⁰³ იქვე.

³⁰⁴ *Evans v. United Kingdom*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება, განაცხადი #36339/05. ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სამდივნოს მიერ მომზადებული მოკლე შეჯამება, თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის ხელშეწყობით. იხ. <www.coe.int/humanrightstrustfund> [01.11.2017].

³⁰⁵ *A.Z. v. B.Z.*, 725 N.E.2d 1051 (Mass. 2000).

მეუღლეების ქორწინების განავლობაში მათი გენეტიკური მასალით შექმნილ ემბრიონებს, რომლებიც გაყინულ მდგომარეობაში ინახებოდა სამედიცინო დაწესებულებაში. ორივე მეუღლეს ხელი ჰქონდა მონერული თანხმობის ფორმაზე, რომლის მიხედვითაც მათი გაყრის³⁰⁶ შემთხვევაში ემბრიონები გადაეცემოდა ცოლს იმპლანტაციისათვის. სასამართლომ აღნიშნა, რომ თანხმობის ფორმა იყენებდა ტერმინს „გაყრას“ და არა „განქორწინებას“, შესაბამისად, იგი სავალდებულოდ არ უნდა გავრცელებულიყო განქორწინების შემთხვევებზე. ამასთან, სასამართლომ საჯარო წესრიგის პრინციპზე მითითებით დაადგინა, რომ არ შეიძლებოდა პირის იძულება, გამხდარიყო მშობელი მისი ნების საწინააღმდეგოდ.³⁰⁷

დ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება³⁰⁸

საქალაქო სასამართლომ გაითვალისწინა რა საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები, უპირატესობა მიანიჭა მშობლად გახდომის უფლებას და აღიარა მოსარჩელე ქალბატონის „ლ.გ.-ს უფლება, მისი და ი.ჩ.-ს ბიოლოგიური მასალით შექმნილ ემბრიონზე. კერძოდ, გაყინული ემბრიონის სუროგატის სხეულში გადატანაზე, სუროგატთან ხელშეკრულების დადებასა და სუროგატისა და კლინიკის შერჩევაზე ი.ჩ.-ს თანხმობის გარეშე“³⁰⁹.

საქმე ეხებოდა 2010 წლის 3 თებერვლიდან 2014 წლის 01 დეკემბრამდე რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეთა - ლ.გ.-სა და ი.ჩ.-ს - შორის

³⁰⁶ „გაყრა“ ინგლისურად - „separation“; „გაყრა“ განსხვავდება ტერმინ - „განქორწინებისაგან“ - „divorce“, რომელსაც სამართლებრივად განსხვავებული შედეგი აქვს.

³⁰⁷ იძულებითი მამობა დაუშვებლად მიიჩნია, ასევე, ტენესის უზენაესმა სასამართლომ საქმეში დევისის დევისის წინააღმდეგ *Davis v. Davis*, 842 S.W.2d 585, 589 (Tenn. 1992). იხ. ასევე ნიუ იორკის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე კასი კასის წინააღმდეგ *Kass v. Kass* (696 N.E.2d 174, 175 (N.Y. 1998)). გაყინული ემბრიონების შესახებ დავებთან დაკავშირებით დამატებით იხ. Kindregan C. P. Jr. and McBrien M., Embryo Donation: Unresolved Legal Issues in the Transfer of Surplus Cryopreserved Embryos, 49 Villanova Law Review, Vol. 49, Issue 1, 2004, 169-206.

³⁰⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე #2/1852-14. გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი დატოვებულია განუხილველად თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 დეკემბრის განჩინებით. სააპელაციო სასამართლოს განჩინება უცვლელადაა დატოვებული უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 23 თებერვლის განჩინებით.

³⁰⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე #2/1852-14.

წარმოშობილ დავას ორივე მეუღლის ბიოლოგიური მასალით შექმნილ და სამედიცინო დანესებულებაში გაყინულ მდგომარეობაში შენახულ ემბრიონთან დაკავშირებით. მოსარჩელე ქალბატონს, რომელსაც დადგენილი ჰქონდა უშვილობის დიაგნოზი, სურდა ემბრიონის გამოყენება და გადატანა სუროგატი დედის საშვილოსნოში, მოპასუხე კი ითხოვდა გაყინული ემბრიონის განადგურებას. სასამართლომ აღნიშნა, რომ „ემბრიონის შექმნა განხორციელდა მოსარჩელისა და მოპასუხის ბიოლოგიური მასალისა და მათი სურვილის შესაბამისად, მხოლოდ კვერცხუჯრედის განაყოფიერების შემდგომ წარმოიშვა მხარეთა შორის უთანხმოება, ემბრიონის შემდგომ ბედის განსაზღვრის თაობაზე“ და დაადგინა, რომ მოსარჩელის „ერთადერთი კვერცხუჯრედის განაყოფიერებით მიღებული ემბრიონის სუროგატი დედის საშვილოსნოში გადატანა არის მოსარჩელის ერთადერთი შანსი გახდეს დედა და იყოლიოს გენეტიკური შვილი. აღნიშნულის გარეშე მოსარჩელეს წაერთმევა პირადი ცხოვრების უფლების ისეთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რომელიც წარმოადგენს ადამიანის არსებობის უმთავრეს დანიშნულებას“³¹⁰.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება არაერთგზის ახდენს აპელირებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საქმეზე **ევანსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ**³¹¹, სადაც ევროპული სასამართლოს განხილვის საგანს, ასევე, წარმოადგენდა გაყინული ემბრიონების განადგურების საკითხი და საქმის გარემოებები საქართველოში წარმოებული საქმის მსგავსია, საქართველოს სასამართლოს მიერ საკითხის გადაწყვეტა განსხვავდება ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებისგან და, შეიძლება ითქვას, რომ ნაჩმანების საქმეში ასახულ პოზიციას ემხრობა. თუმცა, მიუხედავად იმ წინააღმდეგობებისა, რომლებიც ევროპული სასამართლოსა და საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებებს შორის არსებობს, მათ შორის ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება არის ის, რომ ევროპული სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო ინგლისის კანონმდებლობას, რომელიც უფლებას ანიჭებდა წყვილს ემბრიონის საშვილოსნოში იმპლანტაციამდე საკუთარი თანხმობა ნებისმიერ დროს გამოეთხოვა. თანხმობის გამოთხოვასთან დაკავშირებული საკითხი კი

³¹⁰ იქვე.

³¹¹ *Evans v. United Kingdom*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება, განაცხადი #36339/05.

საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ არ რეგულირდება და საქართველოს სასამართლოს მოცემულ შემთხვევაში შეფასების უფრო ფართო ფარგლები ჰქონდა.

მიუხედავად იმ წინააღმდეგობებისა, რომლებიც განხილულ გადანაცვებებებში საკითხის გადანაცვეტას ეხება, ფაქტია, რომ გადანაცვებების გამოტანისას უპირველესი მნიშვნელობა აქვს საკითხის მომწესრიგებელი ნორმების ანალიზს, მათი არარსებობისას კი მხარეების მიერ გაცემული ინფორმირებული თანხმობებისა და მხარეთა ინტერესების გათვალისწინებას. გაყინული ემბრიონების შემდგომ გამოყენებასთან დაკავშირებით განსხვავებულ მოსაზრებას ავითარებს გ. თუმანიშვილი. იგი აიგივებს ხელოვნურ განაყოფიერებას სქესობრივ აქტთან მამაკაცის ნებელობითი დამოკიდებულების განსაზღვრის მიზნით და აცხადებს, რომ „მამაკაცის ნებელობითი დამოკიდებულება (მისი სპერმის გამოყენებით ემბრიონების შექმნა) სრულდება მისი სპერმის შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებისათვის გადაცემით“³¹² და ემბრიონის განადგურების ან შემდგომი ტრანსფერის საკითხი დამოკიდებული უნდა იყოს „ქალზე, რომლის კვერცხუჯრედიც გამოყენებულია ემბრიონის შესაქმნელად იმ შემთხვევაში, თუ ეს ქალი ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარეა და წარმოადგენს ე.წ. პოტენციურ მშობელს“³¹³, თუ ემბრიონის შესაქმნელად გამოყენებული არ არის დონორთა მასალა. აღნიშნული მოსაზრება გასაზიარებელი შეიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხი კანონით პირდაპირ არ წესრიგდება ან, როდესაც მხარეები საკითხს განსხვავებულად არ არეგულირებენ სამედიცინო დაწესებულებასთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

ბუნებრივია, რომ, როდესაც კანონი პირდაპირ არეგულირებს გაყინული ემბრიონების განკარგვასთან დაკავშირებულ საკითხს, ეს უკანასკნელი კანონის ნორმაზე დაყრდნობით უნდა იქნას გადანაცვებული. იგივენაირად სამართლის ნორმების არარსებობის პირობებში უპირატესობა უნდა მიენიჭოს მხარეების მიერ წინასწარ გაცხადებულ ინფორმირებულ თანხმობებს ემბრიონების განკარგვასთან დაკავშირებით, თანხმობების არარსებობისას კი ფაქტობრივი გარემოებების ანალიზით გადანაცვებულება მიღებული უნდა იქნას ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით. ამ

³¹² თუმანიშვილი გ., პოტენციური მამის თანხმობის საკითხი ექსტრაკორპორალური განაყოფიერებით შექმნილ ემბრიონის ტრანსფერზე ან მის განადგურებაზე, საქართველოს იურიდიული ფორმების ასოციაციის უურნალი, #2, 2016, 72.

³¹³ იქვე, 72-73.

მხრივ საინტერესო და გასათვალისწინებელ, ემბრიონების განკარგვასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის ერთგვარ წესს გვთავაზობს აშშ-ის შტატ ტენესის უზენაესი სასამართლო **დევისი დევისის წინააღმდეგ (Davis v. Davis)**³¹⁴ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში, რომლის მიხედვითაც, თუ მხარეებს შორის არსებობს დავა, იგი უნდა გადაწყდეს მათ შორის ემბრიონების განკარგვის თაობაზე დადებული ხელშეკრულების მიხედვით. ამ ხელშეკრულების არარსებობისას, უნდა შეფასდეს ემბრიონების გამოყენებასთან დაკავშირებული მხარეთა ინტერესები. ჩვეულებრივ, უპირატესობა უნდა მიენიჭოს მხარეს, რომელსაც „გამრავლების თავიდან აცილება სურს“, თუ მეორე მხარეს გონივრული შესაძლებლობა გააჩნია, გახდეს მშობელი ემბრიონების გამოყენების გარდა სხვა საშუალებით. თუ სხვა გონივრული ალტერნატივები არ არსებობს, უნდა იქნას გათვალისწინებული ორსულობის მისაღწევად ემბრიონების გამოყენების სასარგებლო არგუმენტი. თუმცა, თუ იმ მხარის განზრახვა, რომელსაც ემბრიონების გამოყენება სურს, სხვა წყვილისათვის ემბრიონების დონაციაა, მონინააღმდეგე მხარის ინტერესი უპირატესად მიიჩნევა³¹⁵.

5. რეპროდუქციული უფლებების ნორმატიული საფუძვლები საქართველოს კანონმდებლობაში

5.1. რეპროდუქციული უფლებების ცალკეული უფლებები კომპონენტების ნორმატიული მოწესრიგება

საქართველოს კანონმდებლობაში რეპროდუქციული უფლებების შესახებ ჩანაწერს ვხვდებით „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში³¹⁶, რომელიც ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის³¹⁷ მე-16 მუხლის მცირე ნაწილის ფაქტობრივ ანარეკლს წარმოადგენს და, რომელიც განსაზღვრავს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პრინციპს და რეპროდუქციული არჩევანის უფლებას - „საქართველოს ყველა მოქალაქეს უფლება აქვს დამოუკიდებლად განსაზღვროს შვილების რაოდენობა და მათი დაბადების დრო. სახელმწიფო უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებს რეპროდუქციის

³¹⁴ *Davis v. Davis*, 842 S.W.2d 585, 589 (Tenn. 1992).

³¹⁵ იქვე.

³¹⁶ ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 136-ე მუხლი.

³¹⁷ ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია, მიღებულია 1979 წლის 18 დეკემბერს; ძალაში შესვლის თარიღი: 1981 წლის 3 სექტემბერი; საქართველოსთვის ძალაში შესვლის თარიღი: 1994 წლის 22 სექტემბერი.

სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით³¹⁸. მიუხედავად იმისა, რომ კანონი ზოგად მითითებას ახდენს რეპროდუქციის სფეროში ადამიანის უფლებების სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფაზე, თავს არიდებს რეპროდუქციული უფლებების განსაზღვრას და ადამიანის იმ უფლებების კონკრეტიზაციას, რომლებიც მას „რეპროდუქციის სფეროში“ გააჩნია.

რეპროდუქციულ უფლებებზე მითითებას არ შეიცავს საქართველოს კონსტიტუცია³¹⁹, რომელსაც „ხშირად განმარტავენ, როგორც სახელმწიფოს უზენაეს კანონს, წესების კატალოგს, ინდივიდის გარანტს სახელმწიფოსთან ურთიერთობაში“³²⁰. კონსტიტუციაში ვერ ვხვდებით, ასევე ჩანანერს რეპროდუქციული არჩევანის შესაძლებლობაზე, როგორც ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებაზე. შესაბამისად, ისმის კითხვა, ამ უფლების პირდაპირი ფორმულირების არარსებობის პირობებში აღიარებს თუ არა ქვეყნის ძირითადი კანონი რეპროდუქციულ უფლებას, როგორც ადამიანის კონსტიტუციურ და ფუნდამენტურ უფლებას, თუ ეს უფლება კონსტიტუციის მე-2 თავით დადგენილი ადამიანის ცალკეული უფლებების შემადგენელი ნაწილია?

სამწუხაროა, თუმცა ფაქტია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში კვლევების სიმწირეა. არსებობს მოსაზრება, რომ „საქართველოში რეპროდუქციის უფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივ საფუძვლად კონსტიტუციის მე-16 და მე-20 მუხლები უნდა

³¹⁸ საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, #1139, მიღების თარიღი: 10.12.1997, მუხლი 136.

³¹⁹ აღსანიშნავია, რომ რეპროდუქციული უფლებებისა და მათი რეალიზაციის შესახებ ჩანანერი ქვეყნის კონსტიტუციაში არ არის უცხო საერთაშორისო პრაქტიკის თვალსაზრისით. მაგალითისათვის, შვეიცარიის კონფედერაციის კონსტიტუციის (მიღებულია 1999 წლის 18 აპრილს, 2017 წლის 12 თებერვლის მდგომარეობით არსებული რედაქციით) 119-ე მუხლით მოწესრიგებულია რეპროდუქციული მედიცინის გამოყენებისა და ადამიანის გენური ინჟინერიის საკითხები. ამ მუხლის შესაბამისად, სამდიცინო დამხმარე რეპროდუქციული პროცედურა შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უშვილობის დაძლევა შეუძლებელია სხვა გზით. სამხრეთ აფრიკის კონსტიტუცია (მუხლი 12.2 „ა“) პირდაპირ ადგენს ადამიანის უფლებას, მიიღოს გადაწყვეტილებები რეპროდუქციასთან დაკავშირებით (მუხლი 12.2. ყველას გააჩნია უფლება ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მთლიანობაზე, რაც მოიცავს უფლებას: ა. მიიღოს გადაწყვეტილებები რეპროდუქციასთან დაკავშირებით; ბ. დაიცვას და აკონტროლოს საკუთარი სხეული; და გ. არ დაექვემდებაროს სამედიცინო ან სამეცნიერო ექსპერიმენტს მისი ინფორმირებული თანხმობის გარეშე).

³²⁰ Kruk-Larosz M., La Constitution européenne et le constitutionnalisme contemporain, VII-e Congrès international de droit constitutionnel, Athenes, 2007.

განვიხილოთ, რომლებიც პიროვნების თავისუფალი განვითარებისა და პირადი ცხოვრების უფლებებს განამტკიცებს³²¹. „პოზიტიური თვალსაზრისით, რეპროდუქციის უფლებებს განამტკიცებს საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლით გარანტირებული ჯანმრთელობის დაცვის ძირითადი უფლებაც, რამდენადაც ჯანმრთელობა პირის სრული ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობაა“³²². აღნიშნული მოსაზრების მხარდასაჭერად ავტორისეული არგუმენტი ეფუძნება იმას, რომ სხვა ასპექტების გარდა, ადამიანის უფლება, თავად განსაზღვროს შვილების რაოდენობა და მათი დაბადების დრო, ისევე როგორც პირის უფლება, თავად დაადგინოს პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ფარგლები, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებით დაცული ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საკუთარი პიროვნების შეგრძნების უფლების შემადგენელია. პირადი ცხოვრების უფლებით კი დაცულია „რეპროდუქციის ყველა შესაძლო ასპექტი - რეპროდუქციის განხორციელებიდან მასთან დაკავშირებული ინფორმაციის საიდუმლოების დაცვამდე“³²³. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოსაზრება საფუძვლიან არგუმენტებს ემყარება, საკითხი იმის თაობაზე, უნდა იქნას თუ არა იგი სრულად გაზიარებული, მოითხოვს, პირველ რიგში, განსაზღვრას, რამდენად მნიშვნელოვანია რეპროდუქციული უფლების, როგორც ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლების, აღიარება. თავად უფლების მნიშვნელობის ფარგლები იმის მიხედვითაც დგინდება, ეს უფლება ცალკე უფლების სახით არსებობს თუ კონსტიტუციით გარანტირებული რამდენიმე უფლების, მათ შორის, პიროვნების თავისუფალი განვითარების, პირადი ცხოვრების უფლებებისა და ჯანმრთელობის დაცვის უფლების, შემადგენელ ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს. ამასთან, თუ სრულად გავიზიარებთ პოზიციას, რომ რეპროდუქციული უფლება არ არის დამოუკიდებელი უფლება და, რომ იგი გამომდინარეობს კონსტიტუციით დადგენილი ცალკეული უფლებებიდან, ამგვარი პოზიცია იმ არგუმენტაციის გათვალისწინებასაც მოითხოვს, რომ რეპროდუქციული უფლების საფუძვლი არ არის მხოლოდ პიროვნების თავისუფალი განვითარების, პირადი ცხოვრებისა და ჯანმრთელობის დაცვის უფლებები.

³²¹ გელაშვილი ი., ჩანასახის სამოქალაქო-სამართლებრივი მდგომარეობა, თბილისი, 2012, 44.

³²² იქვე, 45.

³²³ იქვე, 45.

რეპროდუქციულ უფლებას თუ ფართოდ განვიხილავთ, მათი არსებობა თუ რეალიზაცია შეიძლება, ასევე, უკავშირდებოდეს ადამიანის სხვა ფუნდამენტურ უფლებებსაც - მათ შორის სიცოცხლის უფლებას, თანასწორობისა და დისკრიმინაციული მოპყრობის აკრძალვის უფლებას, უპირველეს ყოვლისა, კი იგი, ისევე როგორც ადამიანის სხვა ფუნდამენტური უფლებები, ეფუძნება ადამიანის ღირსების კონსტიტუციურ საფუძველს და მისგან იღებს დასაბამს.

შესაბამისად, ისმის კითხვა, არსებობს თუ არა რეპროდუქციული უფლების დამოუკიდებლად განსაზღვრის აუცილებლობა და ამ უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, იძლევა თუ არა კონსტიტუციის მოქმედი რედაქცია ან 2018 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე ასამოქმედებელი კონსტიტუციის რედაქცია (შემდგომში „ასამოქმედებელი რედაქცია“) რეპროდუქციული უფლების დამოუკიდებელ უფლებად ჩამოყალიბების შესაძლებლობას იმ პირობებში, როდესაც არცერთი მათგანი მას პირდაპირ არ განსაზღვრავს? კითხვაზე პასუხის გაცემისათვის, აუცილებელია, კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის 39-ე მუხლის, ასამოქმედებელ რედაქციაში ამ მუხლის ადგილის ცვლილების შედეგებისა და კონსტიტუციის ძირითადი პრინციპების ანალიზი, რომელთა საფუძველზეც რეპროდუქციული უფლების მნიშვნელობაზე ხაზგასმით შესაძლებელი ხდება ამ უფლების, როგორც დამოუკიდებელი უფლების, კატეგორიაზე აპელირება.

5.2. რეპროდუქციული უფლების დამოუკიდებელ უფლებად განსაზღვრის მნიშვნელობა და საფუძვლები საქართველოს კონსტიტუციაში

5.2.1. რეპროდუქციული უფლების მნიშვნელობა

რეპროდუქციული უფლების მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია იმით, რომ ეს უფლება თავისთავად გამომდინარეობს ბუნებითი და ფიზიოლოგიური მოვლენიდან - ადამიანის რეპროდუქციული უნარიდან და უკავშირდება ადამიანის ცხოვრების ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორცაა სექსუალური ცხოვრება, ოჯახის შექმნა და შთამომავლობის გაგრძელება. ფაქტობრივად, რეპროდუქციული უფლების არსებობის საწყისი ბუნებითი მოვლენა და ბიოლოგიური პროცესია, მისი

განხორციელება კი წარმოადგენს ადამიანის ფიზიოლოგიური და ფსიქო-სოციალური მდგომარეობის შედეგს. „ფუნდამენტური კანონი და ბუნების უდიდესი საიდუმლოებაა ადამიანების მიერ თავისი მსგავსების რეპროდუქცირება. ადამიანი მიისწრაფის, დატოვოს თავისი შთამომავლობა, იპოვოს „უკვდავება“³²⁴. შესაბამისად, რეპროდუქციული უფლების არსებობის უპირველესი მიზეზი თავად ბუნებრივი და ფიზიოლოგიური პროცესებია, მისი განხორციელება კი - ადამიანების სუბიექტური ნების გამოვლინებაა. თუმცა, უფლების არსებობა ყოველთვის უნდა გულისხმობდეს მისი რეალიზაციის შესაძლებლობასაც, განსაკუთრებული გამონაკლისების გარდა, საჯარო წესრიგისა და თანაზომიერების პრინციპების გათვალისწინებით. სხვა შემთხვევაში უფლება მხოლოდ შიშველი დეკლარაციაა. „რეპროდუქციული უფლების შინაარსი, პირველ რიგში, მოიცავს რეპროდუქციული შესაძლებლობების კონსტიტუციურ დაცვას, მეორე რიგში, მისი რეალიზაციის ხელშეწყობას სახელმწიფოს მხრიდან. რეპროდუქციული შესაძლებლობების დაცვა გულისხმობს სახელმწიფოს კონსტიტუციურ ვალდებულებას, განახორციელოს ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, სამეცნიერო, სამედიცინო, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ხასიათის ღონისძიებათა მთელი ერთობლიობა, მიმართული თითოეული ადამიანის რეპროდუქციული ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და გაძლიერებისკენ“.³²⁵ ამასთან, რეპროდუქციული უფლების თავისებურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მისი განხორციელება არ არის დამოკიდებული მხოლოდ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შესრულებაზე. რეპროდუქციული უფლების რეალიზება პიროვნების დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით ხასიათდება და მისი განხორციელებისას „მართლზომიერი მოქმედებების შესრულების ძირითად გარანტად გამოდის პიროვნების მიერ საკუთარი

³²⁴ Перевозчикова Е. В., Конституционное Право на Жизнь и Репродуктивные Права Человека, Диссертация на соискание учёной степени кандидата юридических наук, Казань, 2006, 40. ტერმინს „უფლება უკვდავებაზე“ იყენებს, ასევე, რუი კასკაო (Rui Cascao) ფრაზაში „ბევრი წყვილისათვის (მათი უშვილობის, ქალებისათვის ორსულობის შენარჩუნების უუნარობის, ორსულობის შემთხვევაში ქალის ჯანმრთელობისათვის საფრთხის არსებობის გამო ან ერთნაირსქესიანთა წყვილების შემთხვევაში) სუროგაცია ერთადერთი შანსია მათთვის, იყოლონ საკუთარი გენეტიკური შთამომავალი ანუ მოიპოვონ მათი „უფლება უკვდავებაზე“. იხ. Cascao, R., The Challenges of International Commercial Surrogacy: From Paternalism Towards Realism?, *Medicine and Law*, Vol. 35, Issue 2, 2016, 156. ტერმინი „უფლება უკვდავებაზე“ მითითებისას ავტორი ახდენს რაპოსოს (Raposo) ციტირებას: Raposo V., *O direito a imortalidade: o exercicio dos direitos reprodutivos mediante tecnicas de reproducao assistida e o estatudo juridico do embriao in vitro*, Coimbra, Almedina, 2012.

³²⁵ იქვე, 54.

ქცევის თვითრეგულირების პროცესი. რეპროდუქციული უფლების რეალიზაციის გარე მექანიზმი კი მოიცავს რეალიზაციისა და დაცვის გარანტიებს. რეალიზაციის გარანტიები აერთიანებენ ნორმებს, რომლებიც, პირველ რიგში, უშუალოდ განამტკიცებენ მოცემულ უფლებებს, ხოლო, მეორე რიგში, აყალიბებენ მისი რეალიზაციის ძირითად პირობებს“.³²⁶

რეპროდუქციული არჩევანის უფლების განხორციელება, რაც თავისთავად გულისხმობს პიროვნების თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობის არსებობასაც, მიიღოს გადაწყვეტილება, გახდეს ან არ გახდეს მშობელი, ასევე უკავშირდება იმ საშუალებებთან წვდომის შესაძლებლობასაც, რომლებიც ხელს უწყობენ ამ გადაწყვეტილების აღსრულებას. ეს საშუალებები, მათ შორის, მოიცავს, ერთი მხრივ, კონტრაცეფციულ მედიკამენტებს, ჩასახვის სანინაალმდეგო საშუალებებს, კანონიერ აბორტს და თუნდაც ქირურგიულ კონტრაცეფციას - სტერილიზაციას³²⁷, რომელთა მეშვეობითაც ადამიანს ეძლევა შესაძლებლობა, „არ გამრავლდეს“, ხოლო, მეორე მხრივ, უნაყოფობის სამედიცინო მკურნალობის სხვადასხვა მეთოდებს, მათ შორის დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებსაც, რომლებიც მეცნიერული პროგრესის შედეგია, შექმნილია უშვილობის პრობლემების გადაჭრისათვის და, რომლებიც ადამიანს აძლევენ შესაძლებლობას, სისრულეში მოიყვანოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება - გამრავლდეს. თუმცა, როდესაც საუბარია იმაზე, რომ რეპროდუქციული უფლების განხორციელება თავისთავად გულისხმობს დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების საშუალებებთან წვდომას, თავად ამ ტექნოლოგიების სხვადასხვა ტექნიკის ხასიათის გათვალისწინებით, აუცილებელია, განისაზღვროს, ასევე, მოიცავს თუ არა რეპროდუქციის უფლების რეალიზება ტექნოლოგიების ყველა საშუალებასთან წვდომამდე უფლების არსებობას. თუ რეპროდუქციულ უფლებას განვიხილავთ, როგორც უფლებას, რომელიც ბაზირებულია მხოლოდ ადამიანის ფიზიკური რეპროდუქციის - გამრავლების უნარზე, ამ თვალსაზრისით, მისი განხორციელებისათვის უნდა არსებობდეს მხოლოდ ისეთი სამედიცინო ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობა,

³²⁶ იქვე, 55.

³²⁷ ქალის სტერილიზაცია გულისხმობს „ფეხმძიმობისაგან სამუდამო დაცვას“, ხოლო მამაკაცის სტერილიზაცია ანუ ვაზექტომია სამუდამოდ თრგუნავს მამაკაცის ნაყოფიერების უნარს. იხ. პეპანაშვილი ნ., სამედიცინო დანესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თსუ, თბილისი, 2016, 81.

რომლებიც ხელს უწყობენ ან უზრუნველყოფენ ადამიანის ბუნებრივი რეპროდუქციის პროცესის ხელოვნურად წარმართვას. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, სამედიცინო მანიპულაციები, რომლითაც დგება ქალის ორსულობა კვერცხუკრედის ან სპერმის დონორისა და სუროგატი დედის ჩართვის გარეშე, მაგ., საშვილოსნოსშიდა ინსემინაცია ან ინ ვიტრო განაყოფიერება წყვილის გამეტების გამოყენებით. ამ ტექნოლოგიების საშუალებით რეპროდუქციის პროცესსა და რეპროდუქციის ბუნებრივ პროცესს შორის ერთადერთი განსხვავება თავად პროცესის ხელოვნურად წარმართვის ფორმაა, პირველ შემთხვევაში განაყოფიერება ხდება ხელოვნურად, სქესობრივი კავშირის გარეშე, მეორე შემთხვევაში კი - ბუნებრივად, სქესობრივი აქტით. პროცესების შედეგები კი იდენტურია - დაბადებული ბავშვი წყვილის - მშობლების ბიოლოგიური და იურიდიული შვილია.

თუმცა, იმის მიუხედავად, რომ რეპროდუქციული უფლება ადამიანის ფიზიკური რეპროდუქციის უნარს უკავშირდება, იგი არ უნდა იქნას გაგებული მარტივად, როგორც ბუნებრივი გამრავლების ან ბუნებრივ გამრავლებაზე უარის თქმის უფლება. რეპროდუქციული უფლება იმაზე უფრო ფართო კატეგორიაა, ვიდრე თავად გამრავლება - რეპროდუქცია და მისი ძირითადი არსი მშობლად გახდომა ან მშობლად გახდომაზე უარის თქმის უფლებაა. მშობლად ყოფნა კი დღევანდელი სამედიცინო და სამართლებრივი განვითარების პირობებში თავისთავად არ ითხოვს გენეტიკური ან თუნდაც გესტაციური კავშირების არსებობის აუცილებლობას მშობელსა და შვილს შორის. შესაბამისად, რეპროდუქციული უფლების რეალიზაციის უზრუნველყოფა, გარკვეული შეზღუდვების არსებობის ფარგლებში, უნდა განხორციელდეს ისეთ სამედიცინო ტექნოლოგიებთან წვდომითაც, რომლებიც შესაძლებლობას აძლევენ ადამიანს, აღასრულოს მისი რეპროდუქციული არჩევანი - გახდეს ან არ გახდეს მშობელი.

რეპროდუქციული უფლებების მნიშვნელობას, ასევე განაპირობებს დემოგრაფიული ასპექტები, რომლებიც საქართველოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხია და რომლის გადაჭრის გზების ძიებითაც ქართული საზოგადოება და თვით სახელმწიფოც უკანასკნელი წლების განმავლობაში შედარებით აქტიურად ჩაერთო³²⁸. იმ პირობების

³²⁸ მაგ., საქართველოს პარლამენტის დადგენილებით შემუშავებულია საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია (საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ, მიღებულია 24.06.2016 წელს), რომელიც დემოგრაფიული პრობლემების გადაჭრის

ცვალებადობის გათვალისწინებით, რომელშიც დღევანდელი კაცობრიობა იმყოფება და სადაც მიმდინარეობს ბრძოლა გადარჩენისათვის, „შობადობის პრობლემა შესაძლოა გადაწყდეს სხვაგვარად, ვიდრე აქამდე. ბუნებრივი შობადობის შენარჩუნება, ერთმნიშვნელოვნად სასურველია, მაგრამ ალტერნატიული მეთოდები და მათი სამართლებრივი რეგულირება უნდა განვითარდეს ჰუმანურობის, გონივრულობისა და სამართლიანობის პრინციპების საფუძველზე.³²⁹ ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე ზრუნვა და ამ სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრისათვის შესაბამისი პროგრამების განხორციელება სახელმწიფოს ერთ-ერთი მოვალეობაა. ამ პროგრამებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი სწორედ იმ სამედიცინო მკურნალობის მეთოდების განვითარება და სამედიცინო მომსახურების უმაღლეს სტანდარტებთან წვდომის უზრუნველყოფაა, რომლებიც რეპროდუქციის უნარს მოკლებულ თუ შეზღუდულ პირებს უქმნის რეპროდუქციის შესაძლებლობას. როდესაც საუბარია სახელმწიფოს მიერ უშვილობის სამედიცინო მკურნალობის მეთოდებთან წვდომის უზრუნველყოფაზე, ამგვარი უზრუნველყოფა თავისთავად არ გულისხმობს სახელმწიფოს მიერ შესაბამისი მკურნალობის დაფინანსებას, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, ძვირადღირებული პროცედურაა. სახელმწიფოს ვალდებულება, მისცეს შესაძლებლობა შვილოსნობის პრობლემების მქონე იმ ინდივიდებს, რომელთათვისაც დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების გარდა სხვა ნებისმიერი მედიკამენტოზური თუ ქირურგიული მკურნალობა შედეგის მომტანი არ არის, ისარგებლონ ამ ტექნოლოგიებით, საკმარისია სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების განხორციელებისათვის რეპროდუქციული უფლებების რეალიზაციის თვალსაზრისით. ადამიანების უზრუნველყოფა ამგვარი შესაძლებლობებით უნდა შეიზღუდოს კონკრეტული პირობების არსებობისას, რომელთა დადგენა თანაზომიერების პრინციპის საფუძველზე უნდა განხორციელდეს სპეციალური სამართლებრივი აქტებით.

ამდენად, რეპროდუქციული უფლების განსაკუთრებული მნიშვნელობა ადამიანურ ღირებულებებთანაა დაკავშირებული. ამ უფლების აღიარება და რეალიზაცია წარმოადგენს ადამიანის ცხოვრებისეულ არჩევანს,

შესაბამის საკითხებს ეხება. იგი საერთოდ არ ახდენს აპელირებას დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებზე.

³²⁹Самойлова В. В., Семейно-правовые аспекты реализации репродуктивных прав при применении вспомогательных репродуктивных технологий, диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Москва, 2011, 29.

ცხოვრებისეულ ღირებულებას და, ცხოვრებისეული არჩევანის მიხედვით, უმრავლეს შემთხვევაში, პირდაპირ კავშირშია ისეთ ფასეულობებთან, როგორცაა მშობლად ყოფნა, შთამომავლობის გაგრძელება, ბავშვის აღზრდა და ბავშვზე ზრუნვა. სახელმწიფოს მიერ ამ უფლებების აღიარება კი თავისთავად ნიშნავს ღირსებადაცული და თავისუფალი ადამიანის, პიროვნებისა და მისი თავისუფალი არჩევანის აღიარებას. „თავისუფალი და ღირსებადაცული ადამიანი არის უმთავრესი მიზეზი და მიზანი, რის გამოც არსებობს, რის უზრუნველყოფასაც ემსახურება ისეთი ინსტრუმენტები, როგორცაა სახელმწიფო და სამართალი. უფრო სწორად, სამართლით უნდა შეიქმნას გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფოს ადამიანის თავისუფლების სამსახურში ყოფნას“³³⁰. „პიროვნება ღირებულებითი მოვლენაა, როგორც მოქმედი, აქტიური „მე““³³¹, პიროვნული ღირებულებები კი უმთავრესია მათი სამართლებრივად დაცვის უზრუნველსაყოფად. „ადამიანი საზოგადოების უდიდესი სიმდიდრეა“³³². „თავისუფალი და ღირსებადაცული ადამიანი, პიროვნება, რომლისთვისაც გარანტირებულია ფუნდამენტური უფლებებითა და თავისუფლებებით სრულყოფილად სარგებლობის გზით თავისუფალი თვითრეალიზაციის შესაძლებლობა“³³³, კი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძველსა და მიზანს. „სწორედ აღიარებული და დაცული უფლებები უზრუნველყოფს ადამიანის თავისუფლებას ფართო გაგებით, შედეგად ქმნის საყრდენს ისეთი ღირებულებათა სისტემისთვის, სადაც ადამიანი წარმოადგენს უმაღლეს ფასეულობას“³³⁴. „ფილოსოფიური თავისუფლება მდგომარეობს მოქალაქის მიერ თავისი ნების განხორციელებაში, ან კიდევ - თუ საჭირო იქნება ვილაპარაკოთ ყველა სისტემის შესახებ - იმ შეხედულებაში, რომ მოქალაქეს შეუძლია საკუთარი ნების განხორციელება. თავისუფლება მდგომარეობს უსაფრთხოებაში, ან

³³⁰ ერემაძე ქ., წიგნში: გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩილაძე გ., ჭილაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი, 2016, 56.

³³¹ ნანეიშვილი გ., იურიდიული სუბიექტი, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, #VIII, ტფილისი, 1928, 25.

³³² რუხაძე ზ., საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ბათუმი 1999, 113.

³³³ ერემაძე ქ., წიგნში: გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩილაძე გ., ჭილაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი, 2016, 172.

³³⁴ იქვე.

კიდევ უსაფრთხოების რწმენაში³³⁵. „თავისუფალი ადამიანების საზოგადოება იმ სახელმწიფოთა უპირატესობაა, სადაც ადამიანის ღირსება ღირებულებათა სისტემის საფუძველია. ღირსება არის თითოეული ადამიანის თვითმყოფადობის საფუძველი და თანაბარი გარანტია, იყოს სხვებისგან განსხვავებული საკუთარ უნარებზე, შესაძლებლობებზე, გემოვნებაზე, განვითარების გზის ინდივიდუალურ არჩევანზე დამოკიდებულებით... ადამიანის ღირსების კონსტიტუციური პრინციპი ყველა ფუნდამენტური უფლების საფუძველია, ისევე როგორც უფლებებით სრულყოფილად სარგებლობა და მათი ეფექტური, საკმარისი დაცვა ადამიანის ღირსების ხელშეუვალობის უშუალო გარანტია“³³⁶.

შესაბამისად, უდავოა, რომ რეპროდუქციული უფლების აღიარება წარმოადგენს პიროვნების ღირსების დაცვისა და მისი თავისუფალი განვითარების უზრუნველყოფას. ეს აღიარება კი, უპირველეს ყოვლისა, კონსტიტუციური დებულებებით უნდა ხდებოდეს და არ იქნება საკმარისი მისი გარანტირება მხოლოდ სამართლებრივი აქტებით, ვინაიდან თუნდაც სამართლის ერთიან სისტემაში არსებული სხვადასხვა სამართლებრივი ნორმების საშუალებით გარანტირებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები ნებისმიერ შემთხვევაში ქვეყნის უზენაესი კანონის - კონსტიტუციის ცალკეულ დებულებებზე უნდა იყოს დაფუძნებული. ამასთან, ამ უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ნაკლებად მიზანშეწონილია რეპროდუქციული უფლების განხილვა კონსტიტუციით პირდაპირ დადგენილი ადამიანის ამა თუ იმ ცალკეული უფლების, მათ შორის, პირადი ცხოვრების, პიროვნების თავისუფალი განვითარებისა და ჯანმრთელობის დაცვის უფლების, შემადგენელ ელემენტად და ეს უფლება, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების ჩამონათვალში სხვა უფლებათა შორის დამოუკიდებლად უნდა აისახოს.

³³⁵ მონტესკიე შ.-ლ., კანონთა გონი, დ. ლაბუჩიძის თარგმანი, ნ. ნათაძისა და ო. ჯიოვის რედაქტორობით, თბილისი, 1994, 213.

³³⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება #1/4/592 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, §11.

5.2.2. კონსტიტუციის 39-ე მუხლი და ძირითადი პრინციპები, როგორც რეპროდუქციული უფლების ნორმატიული საფუძველი ძირითად კანონში

ა. კონსტიტუციის 39-ე მუხლის გამოყენების წინაპირობები

კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის 39-ე მუხლი, რომელიც ძირითადი კანონის მე-2 თავშია გაცხადებული, ადგენს, რომ „საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებს და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან“³³⁷. შესაბამისად, იგი „წარმოადგენს საფუძველს იმ უფლებათა დასაცავად, რომელიც კონსტიტუციაში არ არის მოხსენიებული“³³⁸, ადგენს რა, რომ „უფლების აღიარებისათვის აუცილებელი არ არის ის სახელდებული იყოს კონსტიტუციაში, მთავარია ის გამომდინარეობდეს კონსტიტუციის პრინციპებიდან“³³⁹.

39-ე მუხლის კონსტიტუციაში არსებობა მიუთითებს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების არაამომწურავ ხასიათზე და ახდენს ხაზგასმას მის მნიშვნელობაზე - შესაძლებლობა, განისაზღვროს კონსტიტუციით პირდაპირ დაუდგენელი უფლებები. „ის კრავს, გარკვეულწილად დასრულებულ სახეს აძლევს და ავსებს ძირითადი უფლებების ბლოკს საქართველოს კონსტიტუციაში, რაც ძირითადი უფლებების თავს გახსნილ, უფრო გარანტირებულ სახეს და სამომავლო განვითარების შესაძლებლობას აძლევს“³⁴⁰. მაგალითად, სწორედ 39-ე მუხლის გამოყენებით დააფუძნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციით პირდაპირ დაუდგენელი ისეთი უფლებები, როგორებიცაა: სოციალური უფლებები (სამოქალაქო ბრუნვის ინტერესი, სოციალური საჯარო წესრიგი, სამეწარმეო საქმიანობის (ბრუნვის) განვითარება, გადახდისუნარიანობა, როგორც სამართლიანი ტარიფის განსაზღვრისა და

³³⁷ საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლი.

³³⁸ ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007, 155.

³³⁹ იქვე.

³⁴⁰ გვეგნავა დ., ჯავახიშვილი პ., საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლი: იძულებით გადაადგილებული ნორმა თავშესაფრის მოლოდინში და შეუცნობლისადმი შიშის ფენომენი ქართულ კონსტიტუციონალიზმში, სამეცნიერო ჟურნალი „აკადემიური მაცნე“, სპეციალური გამოშვება, 2017, 145.

ცოცხალი სამოქალაქო ბრუნვის მნიშვნელოვანი პირობა), სამართლიანი სასამართლოს უფლება³⁴¹ და სხვა³⁴².

თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ ფარგლებს, რომლითაც შეზღუდულია 39-ე მუხლის მოქმედება. „კონსტიტუციის 39-ე მუხლი ისე არ უნდა განიმარტოს, რომ თითქოს იგი იძლეოდეს საშუალებას ადამიანის ნებისმიერ უფლებასთან ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შესამოწმებლად. ის მხოლოდ იმის მექანიზმია, რომ შეივსოს ძირითად უფლებათა რეგლამენტაციისას არსებული ხარვეზები“.³⁴³ ხარვეზების შევსება, 39-ე მუხლის ფორმულირებიდან გამომდინარე, შესაძლებელია განხორციელდეს „საყოველთაოდ აღიარებული უფლებებიდან“ და კონსტიტუციის პრინციპებიდან მათი კუმულაციურად არსებობის შემთხვევაში. „უფლება, რომელიც არ არის

³⁴¹ მიუხედავად იმისა, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე მითითებას ახდენს კონსტიტუციის 42-ე მუხლი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი პრაქტიკით 39-ე მუხლის მეშვეობით დაადგინა სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთი უფლებრივი კომპონენტი - საჯარო სასამართლო განხილვა. იხ. ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშვენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, მ. კოპალეიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2013, 547-548.

³⁴² დაწვრილებით იხ. იქვე, 544-549. ასევე, იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის #1/1/126,129,158 გადაწყვეტილება საქმეზე - „საქართველოს მოქალაქეები - (1) ბაჭუა გაჩეჩილაძე, სიმონ თურვანიძე, შოთა ბუაძე, სოლომონ ნადირაძე და ლევან ქეცბაია, (2) ვლადიმერ დობორჯგინიძე, ნინელი ანდრიაძე, გურამ დემეტრაშვილი და შოთა პაპიაშვილი, (3) გივი დონაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბრის #1/3/136 გადაწყვეტილება საქმეზე - „საქართველოს მოქალაქე შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 03 ივლისის #2/6/205-232 გადაწყვეტილება საქმეზე - „1. მოქალაქე ავთანდილ რიჟამაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; 2. მოქალაქე ნელი მუმლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 16 თებერვლის #1/2/213-243 გადაწყვეტილება საქმეზე - „საქართველოს მოქალაქეები - უტა ლიპარტია, გიორგი ხმელიძე, ელისო ჯანაშია და გოჩა ლაღუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საქართველოს „საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლი უმოქმედო ნორმად აქცია...“, რაც, საკონსტიტუციო სასამართლოს შემოაღნიშნული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ნაკლებად გასაზიარებელია. იხ. სავანელი ბ., მართლმსაჯულების პრობლემები საქართველოს კონსტიტუციის შექმნე იურიდიული ფაქტები და მათი სამართლებრივი კვალიფიკაცია, აურნალი „სამართალი და მსოფლიო“, #2, 2015, 65.

³⁴³ ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, თბილისი, 2016, 121.

აღიარებული კონსტიტუციის მეორე თავით, მაგრამ საყოველთაოდ არის აღიარებული (მაგალითად, რომელიმე საერთაშორისო აქტით), მაშინ ნორმატიული აქტით მისი დარღვევის შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს შესაძლებლობა ექნება იმსჯელოს სადავო აქტის ძირითად კანონთან შესაბამისობაზე. ამავდროულად, უნდა დასაბუთდეს, რომ ეს უფლება თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის ძირითადი პრინციპებიდან და ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების კატეგორიას განეკუთვნება“.³⁴⁴

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეპროდუქციული უფლების, როგორც კონსტიტუციით პირდაპირ განუსაზღვრელი უფლების, 39-ე მუხლით ნაგულისხმევ უფლებად განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ ორი პირობის ერთდროულად არსებობის შემთხვევაში: ეს უფლებები რეგლამენტირებულია საერთაშორისო აქტში და ამავდროულად გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან.

ა.ა. რეპროდუქციული უფლება, როგორც საყოველთაოდ აღიარებული უფლება

როგორც აღინიშნა, რეპროდუქციული უფლება პირდაპირაა განსაზღვრული ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის 16.1. „ე“ მუხლით, რომლის თანახმადაც „მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ზომას ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის ყველა საკითხში, რომლებიც ეხება ქორწინებასა და ოჯახურ ურთიერთობას, და, კერძოდ მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე უზრუნველყოფენ: თანაბარ უფლებას და მოვალეობას, რომ თავისუფლად და პასუხისმგებლობით წყვეტდნენ შვილების რაოდენობის და მათ დაბადებას შორის დროის შუალედების საკითხს და რომ ჰქონდეთ ინფორმაციის, განათლების მიღების, აგრეთვე იმ საშუალებებით სარგებლობის შესაძლებლობა, რომლებიც ხელს უწყობს მათ ამ უფლების განხორციელებაში“. რეპროდუქციულ უფლებებზე გარკვეულ აპელირებას ახდენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის 23.1. მუხლიც: „მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ეფექტურ და შესაბამის ზომებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, ქორწინებასთან, ოჯახთან, მშობლის

³⁴⁴ იქვე, 120.

ფუნქციებთან და პირად ურთიერთობებთან დაკავშირებულ ყველა საკითხთან მიმართებაში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს: ბ. შებლდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლება, მიიღონ თავისუფალი და საპასუხისმგებლო გადანაცვეტილება შვილების რაოდენობასა და მათ დაბადებას შორის ინტერვალზე, ასევე მათი ასაკისათვის შესაფერისი ინფორმაცია და განათლება რეპროდუქციულ, ოჯახის დაგეგმვის საკითხებზე. მონაწილე სახელმწიფოები შესაბამის დამხარებას უწევნენ შებლდული შესაძლებლობის მქონე პირებს ამ უფლებათა რეალიზებაში“.

დასახელებულ აქტებში ასახული რეპროდუქციული უფლების კონტექსტი მიუთითებს რეპროდუქციული უფლების არჩევანზე, რომელიც ბაზისია რეპროდუქციული უფლების შინაარსის განსაზღვრისათვის და სანცის იღებს ადამიანის ბუნებითი და ფიზიოლოგიური რეპროდუქციული უნარიდან. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ უფლების განხორციელება შეიძლება უკავშირდებოდეს კონსტიტუციითა და საერთაშორისო აქტებით უკვე აღიარებულ და განსაზღვრულ სხვა უფლებებსაც, მათ შორის, სიცოცხლის უფლებას, ადამიანის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებას, ჯანმრთელობის, მათ შორის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის, დაცვის უფლებას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასა და მეცნიერული პროგრესით სარგებლობის უფლებას. თუმცა, რეპროდუქციული უფლებისთვის სუბსტანციური რეპროდუქციული არჩევანის უფლებაა.

შესაბამისად, 39-ე მუხლის გამოყენებით რეპროდუქციული უფლების დამოუკიდებელ უფლებად განსაზღვრისათვის აუცილებელი პირველი კრიტერიუმი სახეზეა - რეპროდუქციული უფლება აღიარებულია საერთაშორისო აქტებით. რაც შეეხება მეორე კრიტერიუმს, მისი არსებობა შეიძლება დადგინდეს მხოლოდ კონსტიტუციის იმ ძირითადი პრინციპების განსაზღვრით, რომლებიდანაც გამომდინარეობს რეპროდუქციული უფლების განსაზღვრის აუცილებლობა.

ა.ბ. რეპროდუქციული უფლება, როგორც კონსტიტუციის ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე უფლება

ძირითადი პრინციპები - დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს, ძირითადი უფლებების უზრუნველყოფის პრინციპები, გაცხადებულია საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში და წარმოადგენენ იმ ღირებულებათა სისტემას, რომელსაც ეფუძნება ქვეყნის

ძირითადი კანონი. ეს ღირებულებები ფასეულობებია, „რომლებმაც სათუძველი უნდა ჩაუყარონ წესრიგს (და ასაზრდოვონ ის), სადაც ადამიანი წარმოადგენს უმაღლეს ღირებულებას, სახელმწიფო და სამართალი კი - ინსტრუმენტებს ადამიანის თავისუფლების რეალურად უზრუნველყოფისთვის. სწორად შერჩეული ღირებულებები არის შანსი ქვეყნის მთავარი კანონის ვარგისიანობისთვის, რადგან, პირველ რიგში, თავად კონსტიტუცია უნდა შეიქმნას, განივრცოს, განიმარტოს და გამოყენებულ იქნას ამ ღირებულებების ერთგულებით“³⁴⁵.

ძირითადი პრინციპების ამსახველი კონსტიტუციის პრეამბულის ნორმატიულ-სამართლებრივ მნიშვნელობასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგვაროვანი მოსაზრება არსებობს³⁴⁶. მიუხედავად ამისა, ტექნიკური თვალსაზრისით შემთხვევითი არ არის კონსტიტუციის პრეამბულაში ფუნდამენტური პრინციპების დაფიქსირება. „პრინციპები, რომლებიც გავლენას ახდენენ მარეგულირებელი აქტის მიზნებსა და ამოცანებზე, დაცული უნდა იყოს პრეამბულაში. ამ მიდგომის, ტექნიკის უპირატესობა ისაა, რომ ძირითად პრინციპებს გადაეცემათ სპეციალური

³⁴⁵ ერემაძე ქ., წიგნში: გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩილაძე გ., ჭილაძე ნ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, თბილისი, 2017, 18.

³⁴⁶ იურიდიულ ლიტერატურაში პრეამბულის ბუნებასთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა დამოკიდებულება, რომელთა მიხედვითაც პრეამბულას აქვს დეკლარაციული ხასიათი ან გამოიყენება ინტერპრეტაციის მიზნით ან გაააჩნია ნორმატიული ბუნება. მაგ., ლ. ცანავა აღნიშნავს, რომ „პრეამბულა მეტაიურიდიული აქტია და მას იურიდიულად სავალდებულო ძალა არ აქვს“. იხ. ცანავა ლ., საკონსტიტუციო კონტროლი და კონსტიტუციის განმარტება, წიგნში: თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი, წიგნი I, სტატიათა კრებული, გ. კვერენჩილაძისა და დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2012, 127. ამის საპირისპიროდ პრეამბულის ნორმატიულ შინაარსზე ახდენს ხაზგასმას თ. ნემსწვერიძე, აღნიშნავს რა, რომ „ქვეყნის ძირითადი კანონის პრეამბულას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია არა იმიტომ, რომ იგი პრეამბულაა, არამედ იმიტომ, რომ მისი იურიდიული ძალის ძირითად ფუნქციურ დიზაინს მისივე შინაარსის განმსაზღვრელი კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები (დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფო და ა.შ.) ქმნიან... ნაკლებად სავარაუდოა, რომ კონსტიტუციის ტექსტში მხოლოდ არანორმატიული ბუნების მატარებელი შინაარსის ჩანაწერი იყოს (იგულისხმება პრეამბულა), რომელიც მოკლებულია ყოველგვარ პრაქტიკულ შინაარსს, იურიდიულ ძალასა და სარგებლიანობას“. იხ. ნემსწვერიძე თ., ღირებულებებით დეტერმინირებული სამართალი, წიგნში: თედო ნინიძე 65, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2016, 222. კონსტიტუციის პრეამბულის სამართლებრივ მნიშვნელობასთან დაკავშირებით დამატებით იხ. ნემსწვერიძე თ., საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულის იურიდიული ბუნება, ცაგერი-თბილისი, 2017.

ადგილი, რომელიც რჩება მოქალაქეთა მესხიერებაში და მათთვის პრიორიტეტულია³⁴⁷.

„დემოკრატია არის ყველაზე კომფორტული ინსტრუმენტი ხალხის, თითოეული ადამიანის ხელში საკუთარი თავისუფლების, ღირსების და ფუნდამენტური უფლებებით სარგებლობის გზით თვითრეალიზაციის უზრუნველსაყოფად“³⁴⁸. შესაბამისად დემოკრატის შემადგენელი ერთ-ერთი არსებითი ელემენტია თავისუფლება³⁴⁹, რომელიც „ერთი მხრივ, ადგენს მისი მოქმედების ფარგლებს, და მეორე მხრივ, გვაძლევს მისით სარგებლობის შესაძლებლობას“³⁵⁰. თავისუფლების თანმდევი მომენტი კი უფლების საზღვრების დადგენაა, ვინაიდან თავისუფლება ხომ უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას წარმოადგენს³⁵¹. სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა კი „გულისხმობს სამართლის უზენაესობას, სამართლის წინაშე თანასწორობას, კონსტიტუციის უზენაესობას, კონსტიტუციის ფუძემდებლურ ხასიათსა და დამოუკიდებელ სასამართლოს“³⁵². „ზოგადად სამართლებრივი სახელმწიფო შეიძლება განისაზღვროს როგორც სახელმწიფო, სადაც ბატონობს სამართალი“³⁵³, ანუ როგორც „სამართლით შემზღვეული სახელმწიფო“³⁵⁴. „მხოლოდ თავისი შინაარსით, ადამიანის თავისუფლების (უფლებების) უზრუნველყოფაზე ორიენტირებულ კანონს შეიძლება/უნდა ჰქონდეს ხელისუფლების მბოჭავი ძალა“³⁵⁵. შესაბამისად, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის არსი ადამიანის თავისუფლების

³⁴⁷ Цыбулевская О. И., Значение общеправовых принципов для отраслевого законодательства, Вопросы теории государства и права: Межвузовский сборник научных трудов, Вып. 2, Под ред. М. И. Байтина, Саратов, 2000, 76.

³⁴⁸ ერემაძე ქ., წიგნში: გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩილაძე გ., ჭილაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი, 2017, 59.

³⁴⁹ თავისუფლებასთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. ლეონი ბ., თავისუფლება და კანონი, თ. ბითაძის თარგმანი, თბილისი, 2015.

³⁵⁰ ზოიძე ბ., სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა, უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში, ესეები, თბილისი, 2013, 175.

³⁵¹ იხ. ნოდუშანი მ. ე., დემოკრატია აღმოსავლეთში, თ. შურღაიას თარგმანი, წიგნში: რა არის თავისუფლება?, კრებული მეოთხე, შემდგენლები კ. ჯამბურია და თ. ჯოლოგუა, თბილისი, 2016, 349.

³⁵² გეგენავა დ., წიგნში: საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მეორე გამოცემა, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2014, 24.

³⁵³ მეტრეველი ვ., დავითაშვილი გ., პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, მეორე გამოცემა, თბილისი, 2015, 458.

³⁵⁴ ერემაძე ქ., წიგნში: გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩილაძე გ., ჭილაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი, 2017, 88.

³⁵⁵ იქვე.

იღეს უზრუნველსაყოფაა, მისი „მატერიალური შინაარსი კი მოითხოვს, რომ სამართალი იყოს სამართლიანი“³⁵⁶. „თანამედროვე სამართალში სამართლიანობის შეფასებისთვის პრაგმატული კრიტერიუმები გამოიყენება. კერძოდ, სამართალი სამართლიანია, თუ: ა) კანონმდებლობით აღიარებულია ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; ბ) ამასთან, არსებობს უფლებების ნამდვილი არსით სარგებლობის ადეკვატური საკანონმდებლო გარანტიები, ანუ უფლებები აღიარებული და გარანტირებულია მათი ყველა საჭირო უფლებრივი კომპონენტით; გ) არსებობს უფლებათა დაცვის ეფექტური და საკმარისი გარანტიები, რაც ნიშნავს, რომ შესაძლებელია როგორც უფლებათა დარღვევის პრევენცია, ისე, უფლებაში გადამეტებული, უკანონო ჩარევის შემთვევაში, არსებობს დარღვეული უფლების დაცვის, აღდგენის, ზიანის ანაზღაურების საკმარისი და ქმედითი ბერკეტები“.³⁵⁷

მოცემულ შემთხვევაში დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებიდან გამომდინარეობს რეპროდუქციული უფლების არსებითი კომპონენტის - რეპროდუქციული არჩევანის თავისუფლების კონცეფციაც, ადამიანის უფლება და თავისუფლება გახდეს ან არ გახდეს მშობელი, რაც, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების შემადგენელი ელემენტის - თავისუფლების, იღეს ეფუძნება. ამასთან, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის არსიდან გამომდინარე „სამართლიანი სამართლის“ უზრუნველსაყოფად უნდა განხორციელდეს ამ უფლების არამხოლოდ დეკლარაციულად აღიარება, არამედ მისი რეალიზაციისა და დაცვის ეფექტური საშუალებებით აღჭურვა.

რეპროდუქციული უფლების დაცვა და დამოუკიდებლად აღიარება, ასევე, ემსახურება, იმ ღირებულებაზე ხაზგასმას, რომელიც ადამიანის გამრავლების ფიზიოლოგიურ უნარს უკავშირდება და განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრებისეულ არჩევანს, ცხოვრების არსსა და მიზანს - გამრავლდეს, გახდეს მშობელი ან გადაწყვიტოს, უარი თქვას საკუთარი შთამომავლობის გაგრძელებასა ანდა მშობლად ყოფნაზე. შესაბამისად, ამ უფლების დამოუკიდებლად დეკლარირება და მისი დაცვის მექანიზმების

³⁵⁶ იქვე.

³⁵⁷ ერემაძე ე., წიგნში: გონაშვილი ვ., ერემაძე ე., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩხილაძე გ., ჭილაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი, 2016, 90. ასევე, იხ. ბლანკენაგელი ა. სამართლებრივი სახელმწიფოს ცნებისათვის, ჟურნალი „სამართალი“, #2, 1991, 76-77.

გარანტირება ახდენს თავად ადამიანის, როგორც უმაღლესი ფასეულობის, გაცხადებას. დემოკრატიის მონაპოვარი ხომ სწორედ ისაა, რომ სახელმწიფო ხალხის საჭიროების უზრუნველსაყოფად განიხილება და აღიარებს ადამიანს, როგორც უმთავრეს მიზანს³⁵⁸.

რაც შეეხება სოციალური სახელმწიფოს პრინციპს, მიიჩნევენ, რომ იგი „წარმოადგენს კონსტიტუციური წესწყობილების ერთ-ერთ ქვაკუთხედს“³⁵⁹. მართალია, ამ პრინციპზე მიუთითებს კონსტიტუციის პრეამბულა, თუმცა არ განმარტავს მას³⁶⁰, რაც, შემთხვევითი არ არის. ეს კი ნიშნავს იმას, რომ პრინციპის იდეით განმსჭვალული არ არის მხოლოდ კონსტიტუციით პირდაპირ დადგენილი უფლებები და იგი განვითარებადი პრინციპია. „სოციალური სახელმწიფოს პრინციპისათვის განმსაზღვრელია სოციალური თანასწორობა და მოქალაქეთა კეთილდღეობის, განათლების, ჯანდაცვის, შრომის და სხვა უფლებების უზრუნველყოფა, რომლებიც ადამიანის ღირსეულ ადგილს განაპირობებს საზოგადოებაში“³⁶¹. შესაბამისად, ამ პრინციპის გამოვლინებაა არა მხოლოდ კონსტიტუციის ტექსტში პირდაპირ ფორმულირებული გარკვეული უფლებები, მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვის უფლება, შრომის უფლება, განათლების უფლება და გარემოს დაცვის უფლება, არამედ კონსტიტუციით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ის უფლებებიც, რომელთა სამართლებრივად გარანტირება ემსახურება სოციალური სახელმწიფოს არსებობას³⁶². რეპროდუქციული თავისუფლება

³⁵⁸ ხუბუა გ., წიგნში: იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005, 336-338.

³⁵⁹ კობახიძე ი., დედათა ძირითადი უფლებების დაცვის პრობლემა საქართველოს შრომის სამართალში, წიგნში: ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო, სტატიათა კრებული, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2011, 126.

³⁶⁰ განსხვავებით მოქმედი კონსტიტუციისგან, სადაც სოციალური სახელმწიფოს პრინციპზე აპელირებას კონკრეტიზაციის გარეშე ახდენს მისივე პრეამბულა, „ასამოქმედებელი რედაქციის“ მე-5 მუხლი, პრეამბულაში მითითებასთან ერთად, ცალკე აცალიბებს ამ პრინციპს და, სხვათა შორის, განსაზღვრავს, რომ „სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებისათვის“ (მუხლი 5.1.); „სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული განვითარებისათვის“ (მუხლი 5.3.); „სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებელი უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე...“ (მუხლი 5.4.).

³⁶¹ გეგენავა დ., წიგნში: საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მეორე გამოცემა, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2014, 24.

³⁶² მაგ., პროფესორ ხუბუას აზრით, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი არ არის ძირითადი უფლებების მწარმოებელი, მას პროგრამული დანიშნულება აქვს, რომელიც

რომ სოციალურ უფლებათა კატეგორიას მიეკუთვნება, მიუთითებს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლი, რომლითაც დგინდება ადამიანის უფლება ჯანმრთელობაზე - ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტებზე. ადამიანის უფლება ჯანმრთელობაზე კი, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტმა მე-14 ზოგად კომენტარში განმარტა, როგორც რეპროდუქციული თავისუფლების მომცველი უფლება: „ჯანმრთელობის უფლება არ უნდა იქნას გაგებული, როგორც უფლება, იყო ჯანმრთელი. ჯანმრთელობის უფლება მოიცავს თავისუფლებებსაც და უფლებამოსილებებსაც. თავისუფლებები მოიცავს პირის უფლებას, აკონტროლოს თავისი ჯანმრთელობა და სხეული, მათ შორის სექსუალურ და რეპროდუქციულ თავისუფლებას, და უფლებას, იყო თავისუფალი ჩარევისაგან, მაგალითად, უფლებას, იყო თავისუფალი წამებისგან, თანხმობის გაცხადების გარეშე განხორციელებული სამედიცინო მკურნალობისგან და ექსპერიმენტისაგან“³⁶³. ბუნებრივია, რომ რეპროდუქციული თავისუფლება ადამიანის ჯანმრთელობასთან უშუალო კავშირშია, მისი განხორციელება კი, ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელია სათანადო სამედიცინო მომსახურების მიღების გარეშე. მაგ., ადამიანის რეპროდუქციული არჩევანი, იყოლიოს შვილი, როდესაც მას შესაბამისი ფიზიკური ჯანმრთელობის უნარი არ აქვს, საჭიროებს სათანადო

კანონმდებლისკენ არის მიმართული და განიხილება, როგორც სახელმწიფოს მიზანი. „სოციალური სახელმწიფოს პრინციპი თავისთავად არ აწარმოებს კონკრეტულ ძირითად უფლებას, მაგრამ დიდ როლს თამაშობს ძირითადი უფლებების განმარტების პროცესში. სარჩელი, რომელიც ეფუძნება მხოლოდ სოციალური სახელმწიფოს პრინციპის დარღვევას, ჩვეულებრივ, არ მიიღება. ინდივიდის მოთხოვნა და (მისი შესაბამისი) სახელმწიფოს კონკრეტული ვალდებულება უნდა გამომდინარეობდეს მხოლოდ ძირითადი უფლებებიდან. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი ნორმატიულ მნიშვნელობას იძენს მხოლოდ ძირითად უფლებებთან კავშირში“. იხ. ხუბუა გ., წიგნი: იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005, 339.

³⁶³ ზოგადი კომენტარი #14, უფლება ჯანმრთელობის დაცვის უმაღლეს მიღწევად სტანდარტზე (ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლი), ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის იმპლემენტაციისას წამოჭრილი არსებითი საკითხები, მიღებულია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის მიერ, 24-ე სესიაზე, 2000 წლის 11 აგვისტოს (შეიცავს დოკუმენტი E/C.12/2000/4) General Comment No. 14 (2000), პარაგრაფი 8. The right to the highest attainable standard of health (article 12 of the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights), Substantive Issues arising in the implementation of the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights, Committee on Economic, Social and Cultural Rights, Twenty-second session, Geneva, 11 August, 2000 (contained in Document E/C. 12/2000/4)).

სამედიცინო მკურნალობაზე წვდომას, იგივენაირად, ადამიანის რეპროდუქციული არჩევანი, არ იყოლიოს შვილი, ზოგიერთ შემთხვევაში, მოითხოვს კონტრაცეფციის მიღებას ან ქირურგიულ ჩარევას - სტერილიზაციას ან აბორტს. ანუ, ამ სამედიცინო მომსახურებებთან წვდომა თავისთავად გულისხმობს სოციალური უფლების - ჯანმრთელობის უფლების რეალიზაციას, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი სწორედ რეპროდუქციული თავისუფლებაა. სწორედ სოციალური უფლებების, მათ შორის რეპროდუქციის უფლების, აღიარება და რეალიზება ემსახურება კონსტიტუციის პრეამბულით გამყარებული ძირითადი პრინციპის - სოციალური სახელმწიფოს იდეის განხორციელებას³⁶⁴.

პრეამბულაში ძირითადი უფლებების უზრუნველყოფის პრინციპის ასახვის მიზგზი ისაა, რომ ეს არა მხოლოდ სამომავლო, არამედ ხელისუფლების ახლანდელი ვალდებულებაცაა, განგრძობადი პროცესია, ვინაიდან ყველაზე რთული მისაღწევი და, ამავდროულად, მნიშვნელოვანი ძირითად უფლებებზე დაფუძნებული პრაქტიკული სამართლებრივი წესრიგია³⁶⁵. კონსტიტუცია ხომ მუდმივად განვითარებადი მექანიზმია, რასაც ხაზს უსვამს მის პრეამბულაში, მე-7 მუხლსა³⁶⁶ და 39-ე მუხლში ასახული კონსტიტუციური უფლებების განვითარებადი ცვალებადობისა და შევსების პრინციპი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სწორედ დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოსა და ძირითადი უფლებების უზრუნველყოფის პრინციპებიდან გამომდინარეობს რეპროდუქციული უფლების დამოუკიდებლად აღიარება მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ვინაიდან ეს უფლება, უპირველეს ყოვლისა, ადამიანურ ღირებულებებზეა ბაზირებული, ადამიანი კი წარმოადგენს „რთული მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ინსტიტუტის“³⁶⁷ - კონსტიტუციის მთავარ ღირებულებას. რეპროდუქციული უფლებების, როგორც ფუნდამენტური უფლებების,

³⁶⁴ ანალოგიური ხედვით იხ. ძამაშვილი ბ., სოციოეკონომიკური უფლებები: ძირითადი უფლებები თუ სახელმწიფოს პოლიტიკის მიმართულება?, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი, #1, 2015, 400.

³⁶⁵ ზოიძე ბ., სამართლებრივი წესრიგისა და სამართლებრივი უსაფრთხოების შესახებ, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, #3, 2006, 83.

³⁶⁶ საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლი: „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით“.

³⁶⁷ Kruk-Larosz M., La Constitution européenne et le constitutionnalisme contemporain, VII-e Congrès international de droit constitutionnel, Athenes, 2007.

ალიარება ემსახურება „ადამიანების მიერ საკუთარი თავისუფლების, ღირსების და ფუნდამენტური უფლებებით სარგებლობის გზით თვითრეალიზაციის,“³⁶⁸ ადამიანის თავისუფლების იდეის, „სამართლიანი სამართლისა“ და „ძირითად უფლებებზე დაფუძნებული პრაქტიკული სამართლებრივი წესრიგის“³⁶⁹ უზრუნველყოფას და განაპირობებს „ადამიანის ღირსეულ ადგილს საზოგადოებაში“³⁷⁰.

რეპროდუქციული უფლების არსებობა იმავდროულად ადამიანის ღირსების დაცვის სამართლებრივი გარანტიაა. „ადამიანის ღირსება და პიროვნული თავისუფლება კი მის ძირითად უფლებებში, მათ ადეკვატურ დაცვასა და სრულად განხორციელებაში გამოიხატება“³⁷¹. ადამიანის ღირსება უმთავრესი ფასეულობაა, სწორედ მასზე უნდა იყოს დაფუძნებული ფასეულობათა კონსტიტუციური სისტემა, „ვინაიდან თავისუფლების სამართლებრივ მასშტაბს სწორედ ადამიანის ღირსება ქმნის“³⁷².

რეპროდუქციული უფლების ალიარება ადამიანის მიერ რეპროდუქციასთან დაკავშირებით არჩევანის უზრუნველყოფას განაპირობებს და ამ უფლებით სარგებლობის ეფექტურ მექანიზმებთან წვდომის შესაძლებლობასაც აძლევს, რომელთა შორის მოიაზრება დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიებიც - უშვილობის მკურნალობის თანამედროვე მედიცინის მიღწევები, რომლებიც იძლევიან ბუნებრივი პროცესის ფარგლებს გარეთ ადამიანის სიცოცხლის ჩასახვის შესაძლებლობას და, რომელთაც, შესაბამისად, ბოლო რამდენიმე ათწლეულის ფარგლებში, ფაქტობრივად, რევოლუციური გადატრიალება მოახდინეს მედიცინის ამ სფეროში. დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებთან წვდომის უზრუნველყოფა, რაც, მარტივად რომ ითქვას,

³⁶⁸ ერემაძე ქ. წიგნში: გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩილაძე გ., ჭილაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი, 2017, 59.

³⁶⁹ ზოიძე ბ., სამართლებრივი წესრიგისა და სამართლებრივი უსაფრთხოების შესახებ, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, #3, 2006, 83.

³⁷⁰ გვეგნავა დ., წიგნში: საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მეორე გამოცემა, დ. გვეგნავას რედაქტორობით, თბილისი, 2014, 24.

³⁷¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/3/407 საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, §3.

³⁷² ერემაძე ქ. წიგნში: გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩილაძე გ., ჭილაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი, 2017, 59.

გულისხმობს ამ ტექნოლოგიების გამოყენების დაშვებას საკანონმდებლო დონეზე და პრაქტიკული სარგებლობის თვალსაზრისით, უნდა მოიცავდეს არამართო დამხმარე რეპროდუქციის ისეთ ტექნოლოგიასთან წვდომას, რომლის მეშვეობითაც წყვილს შეეძლება მხოლოდ მათი გენეტიკური შვილის მშობლად გახდომა და ამ თვალსაზრისით მათი რეპროდუქციული უნარის ხელოვნური ჩარევის გზით რეალიზაცია, არამედ ისეთ მეთოდებთან წვდომასაც, რომლითაც ადამიანებს ექნებათ შესაძლებლობა შესაბამისი დაავადების არსებობის პირობებში მათი რეპროდუქციული უფლებები განახორციელონ სპერმის ან კვერცხუჯრედის დონორის ან, თუნდაც, სუროგატი დედის გამოყენებით. ამ ტექნოლოგიების არსებობის და, გამოყენების საფუძველი და მიზანი ადამიანების მიერ რეპროდუქციული უფლების რეალიზაციაა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს რეპროდუქციასთან - მშობლად გახდომასთან დაკავშირებული მათი გადანაცვლებების აღსრულების ხელშეწყობას მაშინ, როდესაც მედიცინის სხვა მეთოდები ამ გადანაცვლების რეალიზაციის შესაძლებლობას გამორიცხავენ. ამასთან, როდესაც საუბარია დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებთან წვდომის უზრუნველყოფაზე, როგორც შვილოსნობის უნარს მოკლებული ან ამ უნარს შეზღუდული ადამიანებისათვის რეპროდუქციული უფლების რეალიზაციის ხელშეწყობის ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტზე, ეს თავისთავად არ გულისხმობს ამ ტექნოლოგიებთან უპირობო და შეზღუდვების გარეშე წვდომის უზრუნველყოფას. ისევე, როგორც ადამიანის ნებისმიერი ფუნდამენტური უფლება, რეპროდუქციული უფლების შეზღუდვაც შესაძლებელია განხორციელდეს საკანონმდებლო დონეზე სპეციალური სამართლებრივი აქტების მეშვეობით თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, კი რეპროდუქციული უფლების რეალიზაციის შედეგის - უმაღლესი სიკეთის - ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით.

ამრიგად, რეპროდუქციული უფლებების კონსტიტუციური აღიარება ემსახურება „ფართო გაგებით თავისუფალი ადამიანის - ინდივიდის, რომლისთვისაც აღიარებულია უფლებები და თავისუფლებები“, ³⁷³ მიზნის მიღწევას. შესაძლებლობა სამართლის მიერ დადგენილი საშუალებაა, რომელიც რაღაც დადებითისაკენ უბიძგებს სუბიექტს, ანუ სხვანაირად რომ

³⁷³ ერემაძე ე., ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, თბილისი, 2013, 8.

ვთქვათ შესაძლებელია ის, რაც სასურველია³⁷⁴. ეს უფლებები გარანტირებულს ხდიან თავისუფალი ადამიანის აღიარებას, რომლისთვისაც უზრუნველყოფილი ხდება ამ უფლებებით „სრულყოფილად სარგებლობის გზით თავისუფალი თვითრეალიზაციის შესაძლებლობა... ბუნებრივია, აქ არ არის საუბარი თავისუფლების პერსონალურ აღქმაზე, არამედ იგულისხმება მისი (თავისუფლების) სამართლებრივი განზომილება - ადამიანების გარანტირებული შესაძლებლობა, სრულყოფილად ისარგებლონ თავიანთი უფლებებითა და თავისუფლებებით. მაშასადამე, დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს შექმნისა და შენარჩუნების სირთულე და მთავარი გამოწვევა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მისი ძირითადი მონაპოვარი - თავისუფალი ადამიანი - ხელშესახები, რეალური შინაარსის მატარებელი იყოს, იმავდროულად, არსებითად, თვისებრივად ერთნაირ სიკეთეს წარმოადგენდეს თითოეული ადამიანისთვის და სწორედ ასეთად აღიქმებოდეს მათ მიერ“³⁷⁵. სწორედ ამ მიზნის მიღწევას ემსახურება რეპროდუქციული უფლებების კონსტიტუციულ დონეზე დამოუკიდებლად აღიარება და სახელმწიფოს ბოჭვა სხვა პრინციპებთან ერთად დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს პრინციპებზე დაფუძნებული კონსტიტუციური წყობით, რაც გულისხმობს იმას, რომ „ხელისუფლების არც ერთ შტოს არა აქვს უფლება, იმოქმედოს მხოლოდ მიზანშეწონილობის, პოლიტიკური აუცილებლობის ან სხვა მოტივაციის საფუძველზე. ხელისუფლება უნდა ეყრდნობოდეს კონსტიტუციას, კანონს და მთლიანად სამართალს. მხოლოდ ასე იქმნება სამართლიანი მართლწესრიგი, რომლის გარეშეც ვერ შედგება დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო“³⁷⁶.

ამასთან, დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიები, როგორც ადამიანის ფუნდამენტური და დამოუკიდებელი რეპროდუქციული უფლების რეალიზაციის ერთ-ერთი საშუალება, ემსახურება არამართო უმაღლესი ღირებულების - თავისუფალი ადამიანის გარანტირებულობას

³⁷⁴ Green S. J. D., Is Equality of Opportunity a False Ideal for Society?, The British Journal of Sociology, volume 39, No. 1, 1988, 4; Lloyd T. D. A., Competitive Equality of Opportunity, Mind, New Series, Vol. 86, No. 343, 1977, 388.

³⁷⁵ იქვე.

³⁷⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/3/407 საქმეზე - „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, §2.

კონსტიტუციურ დონეზე, არამედ სახელმწიფოსა და მოსახლეობის ინტერესების დაცვასაც ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული პრობლემების გათვალისწინებით. ეს კი უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს მიერ საკუთარი კონცეფციის ფორმირებისათვის, რომელიც მეტად განამტკიცებს რეპროდუქციული უფლების აღსრულებას, როგორც გარანტირებულ, სახელმწიფოს მიერ წახალისებულ შთამომავლობის გაგრძელების შესაძლებლობას.³⁷⁷

ბ. 39-ე მუხლის ადგილის ცვლილების შედეგები

აღსანიშნავია, რომ „ასამოქმედებელ რედაქციაში“ 39-ე მუხლი ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დამდგენი მე-2 თავიდან პირველ თავში - ზოგად დებულებებშია გადატანილი და „ასამოქმედებელი რედაქციის“ 4.2. მუხლით განისაზღვრა. 39-ე მუხლის ტექსტი გახდა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის მიძღვნილი მუხლის ნაწილი. ის მოსდევს წინადადებას, რომელიც განამტკიცებს საყოველთაოდ აღიარებული უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით, ხალხისა და სახელმწიფოს ბოჭვის პრინციპს³⁷⁸. 39-ე მუხლის ადგილის ცვლილება იურიდიულ დოქტრინაში მკვეთრად უარყოფითად შეფასდა ძირითადად იმის გამო, რომ ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დამაფუძნებელ მე-2 თავში აღარ არის 39-ე მუხლით გარანტირებული კონსტიტუციის ძირითად ტექსტში პირდაპირ გაუთვალისწინებელი უფლებების განვრცობადი კონცეფციის ნორმატიული საფუძველი. 39-ე მუხლის სწორედ მე-2 თავში არსებობა, კონსტიტუციის 89-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, იძლეოდა საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის წარდგენის შესაძლებლობას ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობაზე კონსტიტუციის მე-2 თავით აღიარებული ადამიანის ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით³⁷⁹.

³⁷⁷ Перевозчикова Е. В., Конституционное право на жизнь и репродуктивные права человека, диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Казань, 2006, 51-52.

³⁷⁸ ლოლაძე ბ., რამდენიმე მოსაზრება საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მეორე თავში შენარჩუნების მნიშვნელობაზე. <www.Emc.org.ge/2017/05/02/emc-264> [21.11.2017].

³⁷⁹ იგივე შინაარსის ნორმა მცირეოდენი ცვლილებით ასახულია ასამოქმედებელი რედაქციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში, რომლის მიხედვითაც საკონსტიტუციო სასამართლო ორგანული კანონით დადგენილი წესით ფიზიკური პირის, იურიდიული პირის ან სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული

მაგ., ბ. ლოლაძის აზრით, „39-ე მუხლისათვის ადგილის შეცვლა არსებით პრობლემას წარმოშობს მხოლოდ უფლებების წრის დადგენისას. პროექტი, კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის მსგავსად, ამ წრეს არ შემოთარგლავს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებებით. ის მიუთითებს საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებზე. სწორედ ამ უფლებების განსაზღვრისა და შემოტანისათვის ასრულებს ცენტრალურ როლს 39-ე მუხლი და მისი განლაგება მეორე თავში. თუ პროექტი ამ ფორმით დამტკიცდება, ძირითადი უფლებებით ბოჭვის პრინციპის ფორმულირება ფორმალურად იგივე დარჩება, მაგრამ მხოლოდ უფლებების წრე ფაქტობრივად შეიზღუდება მხოლოდ კონსტიტუციის მეორე თავით გათვალისწინებული უფლებებით“³⁸⁰.

„ასამოქმედებელი რედაქციის“ განმარტებითი ბარათის მიხედვით 39-ე მუხლის შინაარსის მეორე თავიდან პირველ თავში უცვლელად გადატანის მიუხედავად, „უფლების დაცვის საშუალებად გამოსაყენებელი, საკონსტიტუციო სასამართლოში შესატანი სარჩელი კონსტიტუციის მე-2 თავით გათვალისწინებულ კონკრეტულ უფლებებს უნდა ეფუძნებოდეს“³⁸¹, თუმცა, ამასთანავე, განმარტებითი ბარათი „მე-2 თავით მოცემული უფლებების ფართო განმარტებით პერსპექტივას იძლევა და მიუთითებს, რომ ღირსების, პიროვნების თავისუფალი განვითარებისა და სხვა უფლებების ინტერპრეტაციით შესაძლებელია ადამიანმა საკუთარი უფლებები სრულყოფილად და ჯეროვნად დაიცვას“³⁸². თუმცა, მიაჩნიათ, რომ სხვა უფლებები, მათ შორის პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, „სრულყოფილად ვერ განახორციელებს იმ ფუნქციას, რომელიც 39-ე მუხლს ჰქონდა. რაც მთავარია, მისი საშუალებით ვერ მოხდება სახელმწიფო ხელისუფლების მხოლოდ უფლებების წრის გაფართოება საყოველთაოდ აღიარებული უფლებებითა და თავისუფლებებით“³⁸³.

აქტის კონსტიტუციურობას კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებით.

³⁸⁰ იქვე.

³⁸¹ გეგენავა დ., ჯავახიშვილი პ., საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლი: იძულებით გადაადგილებული ნორმა თავშესაფრის მოლოდინში და შეუცნობლისადმი შიშის ფენომენი ქართულ კონსტიტუციონალიზმში, სამეცნიერო ჟურნალი „აკადემიური მაცნე“, სპეციალური გამოშვება, 2017, 147.

³⁸² იქვე.

³⁸³ ლოლაძე ბ., რამდენიმე მოსაზრება საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მეორე თავში შენარჩუნების მნიშვნელობაზე. <www.Emc.org.ge/2017/05/02/emc-264> [21.11.2017].

ამასთან, 39-ე მუხლის ადგილის ცვლილების შედეგების განსაზღვრის თვალსაზრისით, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული კონსტიტუციის, როგორც მუდმივად განვითარებადი მექანიზმის, მნიშვნელობა და 39-ე მუხლის კონსტიტუციის მე-2 თავში არსებობის მიზანი. კონსტიტუციით ვერ მოხერხდება ადამიანის ყველა უფლებისა და თავისუფლების ამომწურავად განსაზღვრა და ქვეყნის ძირითადი კანონი საჭიროებს მითითებით ნორმას, რომლითაც შესაძლებელი გახდება „სხვა უფლებებზე“ გასვლა. აღნიშნულის საჭიროება თავად აშშ-ის პრაქტიკამაც აჩვენა, როდესაც კონსტიტუციის IX შესწორებამ „სხვა უფლებების“ კონცეფციას დაუღო საფუძველი³⁸⁴. იმისათვის, რომ მივიღოთ ცვლადი კონტექსტებისადმი მისადაგებული კონსტიტუცია და „პრაქტიკულად გონივრული სამართალი“³⁸⁵, კონსტიტუცია უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას, განვითარების კვალდაკვალ იყოს ადეკვატური საზოგადოების მოთხოვნილებების მიმართ. „ღღევანდელი სწრაფად ცვლადი რეალობა და ამიტომაც სამართალს იმასთან ერთად, რომ საზოგადოების მოთხოვნილებებიდან გამომდინარე ანესრიგებდეს ურთიერთობებს, ევალება, მიმართული იყოს მომავლისაკენ, ანუ უსწრებდეს ღღევანდელიობას, მაგრამ არ უგულებელყოფდეს მის მოთხოვნებს“³⁸⁶.

მიუხედავად იმ საფრთხეებისა, რომლებიც უკავშირდება 39-ე მუხლის ადგილის ცვლილებას „ასამოქმედებელ რედაქციაში“, „მოქმედ რედაქციაში“ არსებული 39-ე მუხლის ფუნქციური დანიშნულების შენარჩუნების თვალსაზრისით ამ შემთხვევაში არსებითი როლის შემსრულებელი იქნება საკონსტიტუციო სასამართლო, რომელმაც, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაითვალისწინოს კონსტიტუციით პირდაპირ გაუთვალისწინებელი იმ საყოველთაოდ აღიარებული უფლებების განსაზღვრის მნიშვნელობა, რომლებიც კონსტიტუციის ძირითადი

³⁸⁴ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დეტალურად იხ. გეგენაუა დ., ჯავახიშვილი პ., საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლი: იძულებით გადაადგილებული ნორმა თავშესაფრის მოლოდინში და შეუცნობლისადმი შიშის ფენომენი ქართულ კონსტიტუციონალიზმში, სამეცნიერო ჟურნალი „აკადემიური მაცნე“, სპეციალური გამოშვება, 2017, 143-144.

³⁸⁵ ზოიძე ბ., პოზიტიური სამართლის მოქმედების ფარგლების ანუ მონესრიგებული ადამიანისა და მიმტვევებელი სახელმწიფოს შესახებ, წიგნში: ზოიძე ბ., სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა, უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში, ესეები, თბილისი, 2013, 238.

³⁸⁶ ნემსწვერიძე თ., ღირებულებებით დეტერმინირებული სამართალი, წიგნში: თედო ნინიძე 65, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2016, 216.

პრინციპებიდან გამომდინარეობენ და „მიმართოს სისტემური და გაფართოებული ტელეოლოგიური ინტერპრეტაციის მეთოდებს“³⁸⁷.

6. შუალედური დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ რეპროდუქციული უფლება არ არის მხოლოდ ტერმინი „რეპროდუქცია“-ს პირდაპირ მნიშვნელობასთან - ადამიანის გამრავლების ბიოლოგიურ პროცესებთან დაკავშირებული უფლების ამსახველი და არ შემოიფარგლება მხოლოდ ადამიანის უფლებით „ბუნებრივ“ გამრავლებაზე. რეპროდუქციული უფლება იმაზე უფრო ფართო კატეგორიაა, ვიდრე თავად გამრავლება - რეპროდუქცია და მისი ძირითადი არსი მშობლად გახდომა ან მშობლად გახდომაზე უარის თქმის უფლებაა.

რეპროდუქციული უფლების შინაარსის განსაზღვრისას უნდა იქნას გამოყენებული ის ძირითადი მახასიათებლები, რომელთაც ადგენს როგორც „სამოქმედო პროგრამა“, ასევე „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენცია. უპირველეს ყოვლისა, რეპროდუქციული უფლება ბაზირებულია რეპროდუქციული არჩევანის უფლებაზე - ყველა ინდივიდის უფლება, დისკრიმინაციის, ძალდატანების და ძალადობის გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება რეპროდუქციასთან დაკავშირებით - „თავისუფლად და პასუხიმგებლობით განსაზღვროს შვილების რაოდენობა, მათი დაბადების დრო და ინტერვალი“, რაც, გულისხმობს ადამიანის გადაწყვეტილებას, გამრავლდეს - გახდეს მშობელი ან უარი თქვას გამრავლებაზე - მშობლად გახდომაზე. თუმცა, რეპროდუქციული უფლების შინაარსის განსაზღვრისას აპელირება მხოლოდ რეპროდუქციული არჩევანის უფლებაზე არ არის საკმარისი. რეპროდუქციული უფლება, ასევე, მოიცავს რეპროდუქციული არჩევანის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმისაწვდომობას შესაბამის ინფორმაციაზე, საშუალებებზე, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უმაღლეს სტანდარტებზე, ანუ, ინფორმაციის, განათლების მიღებისა და იმ საშუალებებით სარგებლობის შესაძლებლობას, რომლებიც ხელს უწყობენ რეპროდუქციული არჩევანის შესახებ გადაწყვეტილების რეალიზაციას. რეპროდუქციული უფლების

³⁸⁷ გვენავა დ., ჯავახიშვილი პ., საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლი: იძულებით გადაადგილებული ნორმა თავშესაფრის მოლოდინში და შეუცნობლისადმი შიშის ფენომენი ქართულ კონსტიტუციონალიზმში, სამეცნიერო ჟურნალი „აკადემიური მაცნე“, სპეციალური გამოშვება, 2017, 147.

განხორციელება, ასევე, შეიძლება უკავშირდებოდეს ისეთ ფუნდამენტურ უფლებებს, როგორცაა სიცოცხლის უფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, თანასწორუფლებიანობისა და დისკრიმინაციის გარეშე მოპყრობის უფლება, ოჯახის შექმნის უფლება, ჯანმრთელობის დაცვის უფლება და მეცნიერული პროგრესით სარგებლობის უფლება.

თუმცა, როდესაც ვსაუბრობთ რეპროდუქციული არჩევანის რეალიზაციის დროს საშუალებებით სარგებლობის შესაძლებლობაზე, რეპროდუქციული უფლების შინაარსის განსაზღვრისთვის, ასევე, მნიშვნელოვანია, ამ საშუალებების ზოგადი იდენტიფიცირება. არავინ უარყოფს იმას, რომ ადამიანს უფლება აქვს, ბუნებრივი გზით გამრავლდეს ან ამ გზით გამრავლებაზე თქვას უარი და ამისათვის მიიღოს შესაბამისი სამედიცინო მომსახურება, რაც ხელს შეუწყობს მას, მოახდინოს მისი გადაწყვეტილების აღსრულება, მაგ., სამედიცინო მკურნალობა, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე აუცილებელია გამრავლების ბუნებრივი პროცესისათვის ან ჩასახვის სანინაალმეგო საშუალებები, მათ შორის ექიმის მიერ დანიშნული კონტრაცეფციული მკურნალობა, რომელიც, ასევე, აუცილებელია გამრავლების ბუნებრივი პროცესის ხელშესაშლელად. თუმცა, არსებობს შემთხვევები, როდესაც ეს საშუალებები არ არის საკმარისი ინდივიდისათვის მისი რეპროდუქციული არჩევანის სისრულეში მოსაყვანად, მაგ., ორსული ქალის გადაწყვეტილება, არ გახდეს მშობელი, ან ქალის ან მამაკაცის გადაწყვეტილება, საშუალოდ თქვას უარი გამრავლების ბიოლოგიურ შესაძლებლობაზე. ორივე შემთხვევაში ინდივიდების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები რეპროდუქციული თავისუფლების ფარგლებში აღსრულებადია კონტრარეპროდუქციული საშუალებების - აბორტისა და სტერილიზაციის გზით, თუმცა, ეს პროცედურები ქირურგიულ ჩარევას მოითხოვს და კანონით წესდება მათი განხორციელებისათვის აუცილებელი პირობები და შეზღუდვები. იგივენაირად, ინდივიდის გადაწყვეტილება, გახდეს მშობელი, რაც, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, შეუძლებელია, განხორციელდეს ბუნებრივი გზით, თუნდაც შესაბამისი სამედიცინო მკურნალობით, აღსრულებადი შეიძლება იყოს მხოლოდ დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების სხვადასხვა მეთოდის, მათ შორის კოლაბორაციული რეპროდუქციის (დონაცია, სუროგაცია) გამოყენებით. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ კოლაბორაციული რეპროდუქციის განხორციელება მოითხოვს სხვა პირთა - სპერმის ან კვერცხუჯრედის

დონორის ანდა სუროგატი დედის ჩართვას და ამ პირების მიერ მათი ბიოლოგიური მასალის ან გესტაციური მომსახურების კონტრიბუციას პროცესში, კოლაბორაციულ რეპროდუქციაში მონაწილე ყველა პირის უფლებების, უპირველეს ყოვლისა, კი ამგვარი რეპროდუქციის შედეგად დაბადებული ბავშვის ინტერესების, უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარე, კანონით განისაზღვროს მისი წარმოების გარკვეული შეზღუდვები.

შესაბამისად, რეპროდუქციული უფლების რეალიზაციის უზრუნველყოფა, გარკვეული შეზღუდვების არსებობის ფარგლებში, უნდა განხორციელდეს ისეთ სამედიცინო ტექნოლოგიებთან წვდომითაც, რომლებიც შესაძლებლობას აძლევენ ადამიანს, აღასრულოს მისი რეპროდუქციული არჩევანი - გახდეს ან არ გახდეს მშობელი როგორც ბიოლოგიური, ასევე, იურიდიული თვალსაზრისით.

წინამდებარე თავით განხილული ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ ევროპულ კონვენციაში რეპროდუქციული უფლების დამოუკიდებელ უფლებად არარსებობის პირობებში, ადამიანის რეპროდუქციული არჩევანის უფლებას, გახდეს ან არ გახდეს მშობელი, ისევე, როგორც ამ გადაწყვეტილების რეალიზაციას დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების გამოყენებით, ევროპული სასამართლო მიიჩნევს კონვენციის მე-8 მუხლით განსაზღვრული პირადი და ოჯახური ცხოვრების გამოხატვას, თუმცა, ასეთი ტექნოლოგიების, მათ შორის სუროგაციის, დაშვების, აკრძალვისა თუ შეზღუდვის განსაზღვრასთან მიმართებით სახელმწიფოებს თავისუფალი შეფასების ფართო ფარგლებს ანიჭებს. ამ უკანასკნელის მიუხედავად, ევროპული სასამართლოს დამოუკიდებულება სახელმწიფოების მიერ მე-8 მუხლის შესაძლო დარღვევაზე გადაწყვეტილების მიღებისას განსხვავდება საქმეში განხილული დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიის მეთოდების მიხედვით. დარღვევის არსებობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს, უპირველეს ყოვლისა, ბავშვის საუკეთესო ინტერესებსა და ამ ტექნოლოგიის შედეგად დაბადებულ ბავშვსა და მშობლებს შორის, ბიოლოგიური კავშირის არსებობას. თუმცა, არც ეს უკანასკნელია გადამწყვეტი ფაქტორი გადაწყვეტილების დასაბუთების დროს. დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების სხვადასხვა მეთოდთან, მათ შორის დონაციასა და სუროგაციასთან დაკავშირებით, სახელმწიფოებისათვის განსაზღვრული ფართო შეფასების ფარგლების

მინიჭება გულისხმობს სახელმწიფოების თავისუფლებას, თავად განსაზღვრონ ადგილობრივი წესები ტექნოლოგიების ამა თუ იმ მეთოდის დაშვების, შეზღუდვის ან აკრძალვის თაობაზე იმ პირობით, თუ დასუულია ბალანსი კონკურენტულ საჯარო და კერძო ინტერესებს შორის. სწორედ, ძირითადად ამ ბალანსის არსებობის შემონახვის თვარგლებში ახდენს ევროპული სასამართლო გადაწყვეტილების მიღებას საქმეებზე, რომლებიც დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების ამა თუ იმ მეთოდის გამოყენებას უკავშირდება.

იგივენაირად, ადამიანის უფლებათა შიდაამერიკული სასამართლო რეპროდუქციული არჩევანის უფლებას განიხილავს პირადი უფლებისა და ოჯახის შექმნის უფლების შემადგენელ კომპონენტად და მიიჩნევს, რომ ეს უფლება მოიცავს რეპროდუქციულ ავტონომიას - ინდივიდის გადაწყვეტილებას, გახდეს ან არ გახდეს დედა ან მამა გენეტიკური ან ბიოლოგიური თვალსაზრისით. უფლების განხორციელებას სასამართლო უკავშირებს სამედიცინო ტექნოლოგიებთან წვდომის უფლებასაც, ამ თვალსაზრისით აპელირებს მეცნიერული პროგრესით სარგებლობის უფლებაზე და გაუმართლებლად მიიჩნევს რეპროდუქციული უფლების არათანაზომიერ შეზღუდვებს. თუმცა, წინამდებარე თავით განხილული შიდაამერიკული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ამ საქმეში არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, არ არის გამოკვეთილი შიდაამერიკული სასამართლოს პოზიცია კოლაბორაციულ რეპროდუქციაზე - დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების ისეთ მეთოდებზე, რომლითაც განაყოფიერების პროცედურა გამეტის დონორის ანდა სუროგატი დედის ჩართვით ხორციელდება.

მშობლად გახდომის უფლებასა და მშობლად გახდომაზე უარის თქმის უფლებას შორის კონკურენციის საკითხის განხილვისას, წინამდებარე თავში განხილული, გაყინული ემბრიონების განკარგვასთან დაკავშირებულ დავებზე, სხვადასხვა სასამართლოებმა, რიგ შემთხვევებში, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული პოზიციები აჩვენეს. ევროპულმა სასამართლომ, ძირითადად ინგლისის კანონმდებლობაზე დაყრდნობით, გადაწყვიტა, რომ უპირატესობა არ უნდა მინიჭებოდა განმცხადებლის უფლებას, გამხდარიყო გენეტიკური მშობელი მისი ყოფილი პარტნიორის უფლებასთან შედარებით, უარი ეთქვა მშობლად გახდომაზე. იგივენაირად, მასაჩუსეტის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ არ შეიძლებოდა, პირის იძულება, გამხდარიყო მშობელი მისი ნების

საწინააღმდეგოდ. ისრაელის უმაღლესი სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებებით კი, იმ პირობებში, როდესაც, ორივე საქმეზე დადგინდა მოსარჩელე ქალბატონების ფიზიკური უნარობა, ჰყოლოდათ საკუთარი გენეტიკური შვილი და მათი ბიოლოგიური მასალით შექმნილი გაყინული ემბრიონი ერთადერთი საშუალება იყო მათთვის, გამხდარიყვნენ გენეტიკური მშობლები, სასამართლოებმა უპირატესად მიიჩნიეს მათი უფლება, გამხდარიყვნენ დედები ყოფილი მეუღლეების უფლებასთან შედარებით, არ გამხდარიყვნენ მამები. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ განხილულ დავებზე საქმის ფაქტობრივი გარემოებები ერთმანეთის მსგავსია, არსებობს მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებებიც, როგორცაა გაყინულ ემბრიონებთან დაკავშირებული საკითხების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები და მხარეების მიერ გაფორმებული ხელშეკრულებებისა თუ გაცემული ინფორმირებული თანხმობების შინაარსი. აღნიშნული საკითხები შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს სასამართლოების მიერ საქმის გადაწყვეტისას და, სწორედ ამიტომ, არ არის მიზანშეწონილი თუნდაც ერთი სახის კატეგორიის დავას მიკუთვნებული სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოების პოზიციების განზოგადება. გადაწყვეტილების გამოტანისას უპირველესი მნიშვნელობა აქვს საკითხის მომწესრიგებელი ნორმების ანალიზს, მათი არარსებობისას კი მხარეების მიერ გაცემული ინფორმირებული თანხმობებისა და მხარეთა ინტერესების გათვალისწინებას. როდესაც კანონი პირდაპირ არეგულირებს გაყინული ემბრიონების განკარგვასთან დაკავშირებულ საკითხს, ეს უკანასკნელი კანონის ნორმაზე დაყრდნობით უნდა იქნას გადაწყვეტილი. იგივენაირად სამართლის ნორმების არარსებობის პირობებში უპირატესობა უნდა მიენიჭოს მხარეების მიერ წინასწარ გაცხადებულ ინფორმირებულ თანხმობებს ემბრიონების განკარგვასთან დაკავშირებით, თანხმობების არარსებობისას კი ფაქტობრივი გარემოებების ანალიზით გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით. მხარეთა ინტერესების გათვალისწინებისას კი უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ მხარის ინტერესებს, რომელსაც არ გააჩნია გონივრული შესაძლებლობა, გახდეს მშობელი ემბრიონის გამოყენების გარდა სხვა საშუალებით.

წინამდებარე თავში რეპროდუქციული უფლების შინაარსსა და მოცულობასთან დაკავშირებულმა მიმოხილვამ, ცხადყო, რომ ამ უფლების სხვადასხვა ელემენტი ადამიანის უფლებათა დამდგენ საერთაშორისო ხასიათის აქტებით, ისევე, როგორც საქართველოს კონსტიტუციით,

გარანტირებულ სხვადასხვა უფლებებშია მიმოხილული, და მისი შინაარსის განსაზღვრა შესაძლებელია, განხორციელდეს სხვადასხვა ფუნდამენტური უფლების, მათ შორის, პირადი უფლების, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების, ოჯახის შექმნის უფლების, ჯანმრთელობის დაცვის უფლების, მეცნიერული პროგრესით სარგებლობის უფლების, სიცოცხლის უფლების, თანაბარი და დისკრიმინაციისგან თავისუფალი მოპყრობის უფლებიდან გამომდინარე. თუმცა, რეპროდუქციული უფლების ეფექტურად დაცვის მიზნით მიზანშეწონილია, ამ უფლების კომპონენტების გაერთიანება და ერთიანი ქუდის - რეპროდუქციული უფლების სათაურის ქვეშ მოქცევა, რომლის ძირითადი ბაზისი სწორედ რეპროდუქციული ავტონომიის - რეპროდუქციული არჩევანის შესახებ უფლება იქნება.

რეპროდუქციული უფლების მნიშვნელობა განაპირობებს მისი დამოუკიდებელ კონსტიტუციურ უფლებად აღიარებისა და ჩამოყალიბების აუცილებლობას. ამ უფლების კონსტიტუციურ დონეზე გარანტირებულობა თავისთავად ახდენს ხაზგასმას თავისუფალი და ღირსებადაცული ადამიანისა და მისი თავისუფალი არჩევანის აღიარებაზე, რომელიც დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს არსებობის განმსაზღვრელია. რეპროდუქციული უფლების არსებითი კომპონენტის - რეპროდუქციული არჩევანის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება გამრავლებაზე კი პირდაპირ კავშირშია დემოგრაფიულ ასპექტებთან, და, ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა ჩვენი ქვეყნისათვის.

რეპროდუქციული უფლების კონსტიტუციურ დონეზე აღიარებისა და ეფექტური დაცვის თვალსაზრისით საუკეთესო ქმედება ამ უფლების დაცვის ვალდებულების განსაზღვრაა კონსტიტუციის ტექსტში. შესაძლებელია, კონსტიტუციის ტექსტითვე დაწესდეს მისი კანონით შეზღუდვის შესაძლებლობა. თუმცა, ძირითად კანონში რეპროდუქციული უფლების პირდაპირ დაუფიქსირებლობაც არ წარმოადგენს უფლების დაცვის შეუძლებლობას სამოსამართლო პრაქტიკით, არსებული სამართლებრივი მონესრიგების ფარგლებში. ამ თვალსაზრისით, აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობისას აქტიური როლის შემსრულებელი სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოა, რომელიც „ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტად წარმოგვიდგება“³⁸⁸.

³⁸⁸ Harutyunyan G., Constitutional Culture: The Lessons of History and the Challenges of Time, Yerevan, 2017, 287.

III თავი. საზღვარგარეთის ქვეყნების სუროგაციის
ადგილობრივი რეგულაციები შედარებითსამართლებრივ
კონტექსტში

სუროგაციასთან დაკავშირებული არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ნათლად ვლინდება იმაში, რომ სუროგაცია, ზოგიერთ შემთხვევაში, რადიკალურად განსხვავებულად რეგულირდება სხვადასხვა ქვეყნის ადგილობრივი კანონმდებლობით. „ზოგადად რომ ითქვას, ზოგიერთმა ქვეყანამ გადანყვიტა სუროგაციის სამართლებრივი რეგულირება, ზოგიერთმა - აკრძალვა, ხოლო ზოგმა - საერთოდ იგნორირება“³⁸⁹. სუროგაციასთან დაკავშირებული საკითხების მომწესრიგებელი ნორმები, რიგ შემთხვევებში, არსებითად განსხვავდება იმ ქვეყნებშიც, რომელთაც გადანყვიტეს სუროგაციის საკანონმდებლო რეგულირება, მათ შორის იმ იურისდიქციებშიც, სადაც სუროგაცია ლეგალურია კანონით განსაზღვრული პირობების არსებობისას. მაგალითად, კანონები განსხვავდება იმით, მიიჩნევა თუ არა დასაშვებად სუროგატი დედისათვის ორსულობასთან დაკავშირებული ხარჯების გარდა სხვა გადასახდელების გადახდა (ე.წ. „კომერციული სუროგაცია“) ან არის თუ არა სუროგაციის ხელშეკრულებები სამართლებრივად აღსრულებადი³⁹⁰.

არამართო სუროგაციის, არამედ ზოგადად დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების მიმართ სხვადასხვა ქვეყნის, რიგ შემთხვევაში, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული მიდგომების არსებობა განპირობებულია კონკრეტული სახელმწიფოს ისტორიული განვითარებით, საზოგადოების უმრავლესი ნაწილის ეთიკური, რელიგიური, კულტურული ფასეულობებითა და ზოგადად მათ მიერ ამ ტექნოლოგიების მიმღებლობით, რაც, საბოლოო ჯამში, ქმნის პოლიტიკურ მიზნებს სუროგაციის საერთოდ იგნორირების, აკრძალვის, დაშვებისა თუ შეზღუდვით დაშვების შესახებ საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ კანონმდებლობის ფორმირების პროცესში გადანყვიტელობების მიღებისას. ზოგიერთ შემთხვევაში „პოლიტიკოსები ერიდებიან, ამ თვალსაზრისით ნათელი, მკაფიო პოლიტიკა განსაზღვრონ, ვინაიდან, ასევე, არ არის ნათელი, თუ რა გავლენას მოახდენს მათი ამგვარი

³⁸⁹ Trimmings K., Beaumont P., General Report on Surrogacy, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 443.

³⁹⁰ იქვე.

გადაწყვეტილება ამომრჩეველზე³⁹¹. კონკრეტულ სახელმწიფოში არსებული „პოლიტიკური პარტიები, ინსტიტუტები, სამედიცინო პროფესიონალთა ასოციაციები, რელიგიური ჯგუფები, სოციალური მოძრაობები, პარტიული სისტემები, კერძო და საჯარო ინტერესები - თითოეული მათგანი გარკვეულ კონტრიბუციას ახდენს კონკრეტული პოლიტიკის დიზაინსა და კანონმდებლობის ჩამოყალიბებაში... სხვა მნიშვნელოვანი პარამეტრებია კულტურა და ნათესაური სტრუქტურები, ახალი ტექნოლოგიების მიმართ მიდგომები და ეთიკური დილემები, რომლებსაც, ზემოაღნიშნულ ფაქტორებთან ერთობლიობაში, მიყვავართ იქამდე, რომ სხვადასხვა სახელმწიფო განსხვავებულად არეგულირებს ამ საკითხებს³⁹². შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების, განსაკუთრებით კი სუროგაციის, მიმართ განსხვავებული მიდგომაა არამართო ევროკავშირში, რომელიც უნიკალური ისტორიის მქონე სახელმწიფოებს აერთიანებს, არამედ ფედერალური ტიპის ქვეყნებშიც, სადაც ეს საკითხები რეგულირდება არა ფედერალურ, არამედ ამ ქვეყნის შტატებისა თუ ტერიტორიების ადგილობრივი იურისდიქციის ფარგლებში³⁹³. ამასთან, „მიუხედავად მსგავსებისა, რომელიც უკავშირდება სახელმწიფოების მიერ ამკრძალავი ან პირიქით, უფლების განხორციელების მიმნიჭებელი პოლიტიკის მიღებას, თითოეული შემთხვევა უნიკალურია და განზოგადების ნებისმიერმა მცდელობამ შეიძლება ხელი შეუშალოს დივერსიფიცირებული საკანონმდებლო და პოლიტიკური მიმართულებების მნიშვნელოვანი

³⁹¹ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 22. აღსანიშნავია, რომ იაპონიაში, სადაც სუროგაციის მარეგულირებელი კანონმდებლობა საერთოდ არ არსებობს (არც პირდაპირ იკრძალება და არც დაიშვება), მიაჩნიათ, რომ ეს შეიძლება იყოს განპირობებული განსხვავებული ღირებულებებისა და ეთიკური შეხედულებების მქონე პირებისგან შემდგარი საზოგადოების არსებობით. შესაბამისად „არ არის ადვილი სოციალური კონსენსუსის მიღწევა სხვადასხვა ბიოეთიკურ საკითხებზე“, მათ შორის სუროგაციაზეც. იხ. Assisted Reproductive Technologies Review Committee Science Council of Japan, Report Issues Related to the Assisted Reproductive Technologies Centered on Surrogate Pregnancy Toward a Social Consensus, 2008, 2. <<http://www.scj.go.jp/ja/info/kohyo/pdf/kohyo-20-t56-1e.pdf>> [15.09.2017].

³⁹² Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 22.

³⁹³ მაგალითად, აშშ, ავსტრალია. დეტალურად იხ. წინამდებარე ნაშრომის ქვეთავი 1 და ქვეთავი 3.1.2.1.

ასპექტების განსაზღვრას³⁹⁴.

სუროგაციის მიმართ ადგილობრივი მიდგომების შედარებითი ანალიზის განხორციელებისა და მათ შორის განსხვავებების ნათლად წარმოჩენისათვის, უმჯობესია, თუ წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში შესწავლილ ქვეყნებს ვადაჯუფებთ მათთვის მახასიათებელი შემდეგი კატეგორიების მიხედვით³⁹⁵: I ჯგუფი - სუროგაციის მონინაალმდევე ქვეყნები; II ჯგუფი - სუროგაციის მიმართ შედარებით ნეიტრალური დამოკიდებულების მქონე ქვეყნები და III ჯგუფი - „სუროგაციის მეგობარი“³⁹⁶ ქვეყნები.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა გაერთიანებული სამეფოს, ისრაელის, რუსეთის, უკრაინის, ავსტრალიის, სამხრეთ აფრიკის, ჩინეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა³⁹⁷ და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების - გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთისა და საბერძნეთის ადგილობრივი რეგულაციები, დამოკიდებულება და სასამართლო პრაქტიკა სუროგაციასთან დაკავშირებით. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ აშშ-ის სხვადასხვა შტატში სუროგაციის მიმართ დამოკიდებულება არაერთგვაროვანი და, ზოგიერთ შემთხვევაში, რადიკალურად განსხვავებულია, მიზანშეწონილია, თავდაპირველად განხორციელდეს ამ სახელმწიფოში არსებული განსხვავებული მიდგომების შესახებ მოკლე ანალიზის მიმოხილვა, შემდგომში კი - სხვა ქვეყნებთან ერთად ცალკეული შტატის სუროგაციის მომწესრიგებელი

³⁹⁴ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 22.

³⁹⁵ აღნიშნული დაჯგუფების სისტემა შემოთავაზებულია ტრიმინგისა და ბომონტის მიერ (Trimming K., Beaumont P., General Report on Surrogacy, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 443.) და გამოყენებულია წინამდებარე ნაშრომში, ვინაიდან ეს სისტემა ნათლად წარმოაჩენს, ერთი მხრივ, ჯგუფში გაერთიანებული ქვეყნების საერთო მახასიათებლებს, მეორე მხრივ, კი მკვეთრი განსხვავების არსებობას სხვა ჯგუფში შემავალი ქვეყნების სუროგაციის მიმართ მიდგომებთან.

³⁹⁶ იმ ქვეყნების მიმართ, სადაც კომერციული სუროგაცია კანონიერი და აღსრულებადია, ინგლისურენოვან ლიტერატურაში გამოიყენება ფრაზა „სუროგაციის მეგობარი ქვეყნები“ – “Surrogacy Friendly Countries” ან “Surrogacy Friendly Jurisdictions”.

³⁹⁷ კვლევა არ მოიცავს აშშ-ის ორმოცდაათივე შტატის სუროგაციის მიმართ დამოკიდებულების დეტალურ ანალიზს, თუმცა, განხილულია იმ შტატების უმრავლესობა, სადაც სუროგაცია სამართლებრივად რეგულირებულია ან დაშვებულია სასამართლო პრეცედენტით.

კანონმდებლობისა თუ სასამართლო პრაქტიკის ანალიზი მახასიათებლების გათვალისწინებით შესაბამისი კონკრეტული ჯგუფის ფარგლებში.

1. ამერიკის შეერთებული შტატები (ზოგადი ანალიზი)

წინამდებარე კვლევის მიზნებისათვის შესწავლილი სახელმწიფოებიდან ამერიკის შეერთებული შტატები ერთადერთია, რომლის ცალსახად მიკუთვნება რომელიმე დასახელებულ ქვეყანათა ჯგუფში შეუძლებელია, ვინაიდან აშშ-ის ორმოცდაათ შტატში სუროგაციის მიმართ დამოკიდებულება და სუროგაციის კანონმდებლობა, ზოგიერთ შემთხვევაში, რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან „სუროგაციის სრული აკრძალვიდან მისი მსოფლიოში ყველაზე მეტად დასაშვები მიდგომებით“³⁹⁸. მნიშვნელოვანი განსხვავება ვლინდება იმაში, რომ შტატების უმრავლესობაში საერთოდ არ არსებობს სუროგაციის მარეგულირებელი კანონმდებლობა, შტატების ნაწილში სუროგაციის, მათ შორის კომერციული სუროგაციის, ხელშეკრულებები ნამდვილი და აღსრულებადია, რამდენიმე შტატი სუროგაციას სრულად კრძალავს, ხოლო ზოგიერთი მას უშვებს მხოლოდ განსაზღვრული პირობებით³⁹⁹.

კანონით პირდაპირაა დაშვებული და რეგულირებული სუროგაცია შემდეგ შტატებში: ალაბამა⁴⁰⁰, კალიფორნია⁴⁰¹, კოლორადო⁴⁰², ვაშინგტონის კოლუმბიის ოლქი⁴⁰³, დელავერი⁴⁰⁴, ფლორიდა⁴⁰⁵, ილინოისი⁴⁰⁶, მენი⁴⁰⁷, ნევადა⁴⁰⁸, ნიუჰემპშირი⁴⁰⁹, ტეხასი⁴¹⁰, იუტა⁴¹¹, ვირჯინია⁴¹² და ვაშინგტონი⁴¹³;

³⁹⁸ Finkelstein A., Dougall M. S., Kintominas A., Olsen A., Surrogacy Law and Policy in the US: A National Conversation Informed by Global Lawmaking, Report of the Columbia Law School Sexuality & Gender Law Clinic, 2016, 9. <http://www.law.columbia.edu/sites/default/files/microsites/gender-sexuality/files/columbia_sexuality_and_gender_law_clinic_-_surrogacy_law_and_policy_report_-_june_2016.pdf> [15.09.2017].

³⁹⁹ Spivack C., The Law of Surrogate Motherhood in the United States, The American Journal of Comparative Law, Vol. 58, Issue supplement, 2010, 87.

⁴⁰⁰ Code of Alabama §26-17-801 (1984).

⁴⁰¹ California Family Code §§ 7960-7962 (2013).

⁴⁰² Colorado Revised Statutes § 19-4-106 (1987).

⁴⁰³ D.C. Law 21-255. Collaborative Reproduction Amendment Act of 2016.

⁴⁰⁴ Delaware Code 13 § 8-807 (2013).

⁴⁰⁵ Florida Statutes §§ 63.213 (2003); 742.15 (2015);

⁴⁰⁶ Illinois Compiled Statutes § 750-47 (2005).

⁴⁰⁷ Maine Revised Statutes 19-A §1931, 1932 (effective July 2016).

⁴⁰⁸ Nevada Revised Statutes §§ 126.500-126.810 (2013).

⁴⁰⁹ New Hampshire Revised Statutes §168-B (2014).

გესტაციური სუროგაცია დასაშვებად მიიჩნევა, თუმცა, დეტალურად არ წესრიგდება, მაგ., ჩრდილოეთ დაკოტასა⁴¹⁴ და კონექტიკუტის⁴¹⁵ კანონებით. ამასთან, სამართლებრივი რეგულაციები შტატებში, რიგ შემთხვევებში, მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგ., ზოგიერთი „სუროგაციის მეგობარი“ შტატი დასაშვებად მიიჩნევს კომერციულ სუროგაციას⁴¹⁶, მაშინ, როდესაც სხვა რამდენიმე შტატში სუროგაციის ამგვარი ფორმა აკრძალულია. ზოგიერთ შტატში არ არსებობს შეზღუდვა, თუ ვინ შეიძლება იყვნენ პოტენციური მშობლები⁴¹⁷, მაშინ, როდესაც ზოგიერთი სუროგაციაზე წვდომის უფლებას აძლევს მხოლოდ კონკრეტული შტატის რეზიდენტებსა და ქორწინებაში მყოფ წყვილს, თუ არსებობს სამედიცინო ჩვენებით დადასტურებული საჭიროება სუროგაციის განხორციელებაზე⁴¹⁸. იგივენაირად, ზოგიერთ შტატს საერთოდ არ აქვს რაიმე მოთხოვნა სუროგატ დედასთან მიმართებით, მაშინ, როდესაც, ზოგიერთი ამ მოთხოვნებს დეტალურად აყალიბებს⁴¹⁹. განსხვავებულია სუროგაციის ფორმების მიმართ მიდგომებიც. ზოგიერთი შტატის კანონი ეხება სუროგაციის ორივე ფორმას⁴²⁰, შტატების უმრავლესობა კი - მხოლოდ გესტაციურ სუროგაციას⁴²¹. განსხვავებულია, ასევე, მშობლის იურიდიული სტატუსის დადგენის პროცედურა და წესიც.⁴²² ამიტომაც აღნიშნავს რიჩარდ სტოროუ (Richard Storrow), რომ „ამერიკის შეერთებული შტატები წარმოადგენს მიკროკოსმოსს დანარჩენი მსოფლიოსათვის სუროგაციის

⁴¹⁰ Texas Code §160 (2001).

⁴¹¹ Utah Code §§ 78B-15-801, 78B-15-809 (2008).

⁴¹² Code of Virginia §§ 20-156–20-165 (1991).

⁴¹³ Revised Code of Washington §§ 26.26.210–26.26.260 (1989).

⁴¹⁴ North Dakota Century Code §14-18-05; §14-18-08; §14-18-09 (2009).

⁴¹⁵ Connecticut General Statutes §7-48a(2012).

⁴¹⁶ მაგ., კალიფორნია, ილინოისი, კოლუმბიის ოლქი.

⁴¹⁷ მაგ., ნევადა, კალიფორნია.

⁴¹⁸ მაგ., ტეხასი.

⁴¹⁹ მაგ., ვირჯინია, ფლორიდა, ილინოისი, ტეხასი, იუტა.

⁴²⁰ მაგ., კოლუმბიის ოლქი, ფლორიდა, ალაბამა.

⁴²¹ მაგ., კალიფორნია, ილინოისი, მენი, ნევადა, ნიუჰემპშირი, ტეხასი, იუტა.

⁴²² Finkelstein A., Dougall M. S., Kintominas A., Olsen A., Surrogacy Law and Policy in the US: A National Conversation Informed by Global Lawmaking, Report of the Columbia Law School Sexuality & Gender Law Clinic, 2016, 9. <http://www.law.columbia.edu/sites/default/files/microsites/gender-sexuality/files/columbia_sexuality_and_gender_law_clinic_-_surrogacy_law_and_policy_report_-_june_2016.pdf> [15.09. 2017].

მიმართ იმ მთელი რიგი მიდგომების გამო, რომელიც მის სხვადასხვა შტატის საზღვრებშია მოქცეული”.⁴²³

სუროგაციის მიმართ შტატებში არსებული ზემოაღნიშნული მკვეთრი დიფერენციაცია გამონწველია იმ გარემოებით, რომ სუროგაციასთან დაკავშირებული საკითხების რეგულაცია ფედერალურ დონეზე არ ხდება და მათი მონესრიგება თავად ყოველი შტატის კომპეტენციაში შედის. აშშ-ის კონსტიტუციის X შესწორების შესაბამისად, ყოველ შტატს გააჩნია იურისდიქცია ისეთი უფლებამოსილებების მიმართ, რომელთა დელეგირებასაც კონსტიტუცია შეერთებული შტატებისათვის პირდაპირ არ ადგენს ან რომელთა განხორციელება კონსტიტუციის მიხედვით შტატებისათვის აკრძალულია⁴²⁴. ამ დებულებით წარმოშობილი „შტატის სუვერენიტეტის“ კონცეფციის შესაბამისად⁴²⁵, სუროგაციასა და სუროგაციის შედეგად დაბადებულ ბავშვზე იურიდიული მშობლის სტატუსის განსაზღვრა ყოველი შტატის იურისდიქციას მიეკუთვნება და, შესაბამისად, ან რეგულირდება ამ შტატის კანონმდებლობით ანდა სასამართლო პრეცედენტით ან რეგულაციის მიღმა რჩება. შტატებში, სადაც სუროგაციის მომწესრიგებელი კანონმდებლობა არ არსებობს, ან კანონმდებლობა მკვეთრად ანტი-რადიკალური არ არის, სასამართლოებს ხშირად უწევთ სუროგაციის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი, მშობლის იურიდიული სტატუსის დადგენასთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტა სხვადასხვა კრიტერიუმის საფუძველზე: მხარეთა განზრახვა (ნება), ხელშეკრულება, გენეტიკა, გესტაცია და ბავშვის საუკეთესო ინტერესები⁴²⁶.

სუროგაციის მიმართ გარკვეული ერთიანი ჩამოყალიბების მცდელობა გამოვლინდა ფედერალურ დონეზე ბავშვის უფლებებისა და მშობლების სტატუსის, უფლებებისა და მოვალეობების დამდგენი მოდელური კანონების შემუშავებით. ამის ერთ-ერთი მაგალითია „საერთო კანონი მშობელთა

⁴²³ Storrow F. R., Surrogacy American Style, in: Surrogacy, Law and Human Rights, Edited by P. Gerber and L. O’Byrne, UK, 2015, 193.

⁴²⁴ აღნიშნული არ წარმოადგენს აშშ-ის კონსტიტუციის X შესწორების ტექსტის პირდაპირ თარგმანს, არამედ ტექსტის განმარტებას. ინგლისურენოვანი ტექსტი იკითხება შემდეგნაირად: “The powers not delegated to the United States by the Constitution, nor prohibited by it to the States, are reserved to the States respectively, or to the people”. იხ. <https://www.senate.gov/civics/constitution+n_item/constitution.htm> [15.09.2017].

⁴²⁵ Snyder H. S., United States of America, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 387.

⁴²⁶ Spivack C., The Law of Surrogate Motherhood in the United States, The American Journal of Comparative Law, Vol. 58, Issue supplement, 2010, 87.

უფლებებისა და მოვალეობების შესახებ“ (შემდგომში „UPA კანონი“),⁴²⁷ რომელიც მომზადდა „შტატების ერთგვაროვანი კანონმდებლობის შესახებ სპეციალური წარმომადგენლების ეროვნული კონფერენციის მიერ“⁴²⁸. კანონის მე-8 მუხლი აყალიბებს მოდელურ რეგულაციას სუროგაციასთან დაკავშირებით, მასზე წარმოდგენილი კომენტარი კი, მიუთითებს რა სუროგაციის მიმართ განსხვავებულ შეხედულებებს, აღნიშნავს, რომ წინამორბედი კანონით კომისიამ ვერ მოახერხა რეპროდუქციულ ტექნოლოგიებზე შტატებისათვის მისაღები ერთიანი კანონის შემუშავება⁴²⁹. „რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მე-8 მუხლით კანონმა უარი თქვა წინამორბედ კანონში⁴³⁰ კომისიის მიერ გამოყენებული ორი ალტერნატიული მიდგომის ფორმულირებაზე, რომელთაგანაც შტატებს შეეძლოთ ერთ-ერთის მიღება. პირველი ალტერნატივით იკრძალებოდა გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულებები, ხოლო მეორე ალტერნატივა ითვალისწინებდა მათ აღსრულებას განსაზღვრული პირობებით“⁴³¹. UPA კანონის არჩევანი, განსაზღვრული პირობებით დაეშვა გესტაციური სუროგაცია, აიხსნა რეპროდუქციული ტექნოლოგიების მნიშვნელოვანი

⁴²⁷ Uniform Parentage Act (UPA), 1975, amended 2002.

⁴²⁸ National Conference of Commissioners on Uniform State Laws (NCCUSL). UPA კანონის პირველადი ვარიანტი მომზადებული იქნა NCCUSL-ის 1973 წელს, რომელიც ეხებოდა ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვებს. 2000 წელსა და 2002 წელს NCCUSL-მ კანონში შეიტანა ცვლილებები და დაამატა რეგულაციები დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების შედეგად დაბადებულ ბავშვებთან დაკავშირებით. იხ. Knapplund S. K., Children of Assisted Reproduction, University of Michigan Journal of Law Reform, Vol. 45, Issue 4, 2012, 901. მითითებულია: UNIF. PARENTAGE ACT, Prefatory Note (2002), 9B U.L.A. 5 (Supp. 2011).

⁴²⁹ Bryant J. J., A Baby Step: The Status of Surrogacy Law in Wisconsin following Rosecky v. Schissel, Marquette Law Review, Vol. 98, Issue 4, 2015, 1748.

⁴³⁰ 1988 წელს „შტატების ერთგვაროვანი კანონმდებლობაზე სპეციალური წარმომადგენლების ეროვნული კონფერენციის“ (National Conference of Commissioners on Uniform State Laws (NCCUSL)) მიერ მიღებული იქნა კანონი დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების შედეგად დაბადებულ ბავშვთა ერთიანი სტატუსის შესახებ (Uniform Status of Children of Assisted Conception Act), რომელიც ნაკლებად მისაღები აღმოჩნდა შტატებისათვის. იხ. Spivack C., The Law of Surrogate Motherhood in the United States, The American Journal of Comparative Law, Vol. 58, Issue supplement, 2010, 110-111.

⁴³¹ Bryant J. J., A Baby Step: The Status of Surrogacy Law in Wisconsin following Rosecky v. Schissel, Marquette Law Review, Vol. 98, Issue 4, 2015, 1748. ავტორი, ასევე, აღნიშნავს, რომ მე-8 მუხლის მიღებამდე ზოგიერთმა სასამართლომ, რომელთაგანაც აღსანიშნავია კალიფორნიის სასამართლოები, უკვე მოახდინა სუროგაციის ხელშეკრულებების მიმართ კანონის (UPA კანონის) დებულებების ინტერპრეტაცია. საქმეში *Johnson v. Calvert* (851 P.2d 776, 779 (Cal. 1993)) სასამართლოს ინტერპრეტაციით კალიფორნიის სამოქალაქო კოდექსში (მუხლები 7000-7002) კოდიფიცირებული UPA კანონი უნდა გამოყენებულიყო მშობლის სტატუსის დასადგენად ნებისმიერ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ მისი დებულებები სუროგაციას პირდაპირ არ განსაზღვრავდა. იხ. იქვე.

განვითარებით: სუროგაციის აკრძალვა ვერ აღუდგებოდა წინ ამ ტექნოლოგიების გამოყენებასა და სუროგაციის ხელშეკრულებების მხარეთა მიერ გაფორმებას, ხოლო სასამართლოს, დიდი ალბათობით, მოუხდებოდა მშობლების სამართლებრივი სტატუსის დადგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

იურიდიული მშობლის დადგენასთან დაკავშირებულ საკითხებს UPA კანონი აგვარებს იმით, რომ გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულების აღსრულებისათვის პოტენციურმა მშობლებმა ბავშვის დაბადებამდე უნდა მიიღონ ე.წ. სასამართლოს ორდერი, რომლითაც დადგინდება მათი, როგორც სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის, მშობლის იურიდიული სტატუსი⁴³². ამასთან, კანონი დასაშვებად მიიჩნევს სუროგატი დედისათვის კომპენსაციის გადახდას და „ითხოვს სუროგაციის მხარეთა საცხოვრებელი ადგილის არსებობას შესაბამის შტატში ოთხმოცდაათი დღის განმავლობაში ე.წ. „ფორუმ შოპინგის“⁴³³ – „ხელსაყრელი სასამართლოს/ფორუმის“ ძიების თავიდან ასაცილებლად“⁴³⁴.

მცდელობას, რომ შტატებს მოეხდინათ UPA კანონის მიერ მათთვის შეთავაზებული სუროგაციის მარეგულირებელი მოდელის ინკორპორირება ადგილობრივ კანონმდებლობაში, რითაც მიღწეული იქნებოდა გარკვეული ერთიანი მიდგომა სუროგაციასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ, წარმატება არ მოჰყოლია. მხოლოდ რამდენიმე შტატმა მიიღო კანონის მოდიფიცირებული ვარიანტი⁴³⁵.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აშშ-ის სხვადასხვა შტატში არსებული, სუროგაციის მიმართ დამოკიდებულების კლასიფიკაცია შეიძლება განხორციელდეს ძირითადად სამი, ერთმანეთისაგან განსხვავებული ნიშნით:

⁴³² Guzman R. V., A Comparison of Surrogacy Laws of the US to other Countries: Should There Be a Uniform Federal Law Permitting Commercial Surrogacy, *Houston Journal of International Law*, Vol. 38, Issue 2, 2016, 627. მითითებულია: Uniform Parentage Act (UPA) (1975) (amended 2002), 9B U.L.A. 88 (Supp. 2015).

⁴³³ Forum shopping.

⁴³⁴ Guzman R. V., A Comparison of Surrogacy Laws of the US to other Countries: Should There Be a Uniform Federal Law Permitting Commercial Surrogacy, *Houston Journal of International Law*, Vol. 38, Issue 2, 2016, 628.

⁴³⁵ იქვე. ასევე, იხ. Knaplund S. K., *Children of Assisted Reproduction*, *University of Michigan Journal of Law Reform*, Vol. 45, Issue 4, 2012, 901. სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ მხოლოდ ტეხასისა და იუტას შტატებმა მიიღეს UPA კანონის 801(b) მუხლი, რომელიც არეგულირებს მშობლის სტატუსის დადგენასთან დაკავშირებულ საკითხებს გესტაციური სუროგაციის შემთხვევაში (Texas Family Code §160.754; Utah Code Ann., §788-15-801).

I – „სუროგაციის მონინაალმდევე შტატები“: შტატები, სადაც სუროგაცია პირდაპირაა აკრძალულია კანონმდებლობით, მათ შორისაა მიჩიგანი და ნიუ იორკი და გარკვეულწილად არიზონა, ინდიანა და ოჰაიო⁴³⁶;

II – „სუროგაციის მიმართ ნეიტრალური დამოკიდებულების მქონე შტატები“. აღნიშნული კატეგორია, თავის მხრივ, აერთიანებს შტატებს, სადაც დაშვებულია მხოლოდ ალტრუისტული სუროგაცია და იკრძალება კომერციული სუროგაცია (მაგ., ვაშინგტონი, ფლორიდა, ვირჯინია) და შტატებს, რომელთა კანონმდებლობაც საერთოდ არ აწესრიგებს სუროგაციას - არც კრძალავს და არც დასაშვებად მიიჩნევს მას (მაგ., როუდ აილენდი, ალასკა, კოლორადო, ჯორჯია, ჰავაი, კანზასი, მინესოტა, მისური, მონტანა, ჩრდილოეთ კაროლინა, ოკლაჰომა, ორეგონი, სამხრეთ დაკოტა, ვერმონტი⁴³⁷); და

III – „სუროგაციის მეგობარი შტატები“. აღნიშნული ჯგუფი აერთიანებს შტატებს, სადაც გარკვეულწილად დაშვებულია და აღსრულებადია კომერციული სუროგაციის ხელშეკრულებები როგორც კანონმდებლობით, ასევე სასამართლო პრეცედენტის საფუძველზე (მაგალითად, კალიფორნია, ილინოისი, ტეხასი, იუტა, კოლუმბიის ოლქი, დელავერი, მასაჩუსეტსი⁴³⁸).

საყურადღებოა, რომ ზემოაღნიშნულ სამივე კატეგორიაში შემავალ შტატებში, მათ შორის „სუროგაციის მონინაალმდევე შტატებშიც“, სუროგაციის განხორციელება სასამართლოს მიერ მშობლის ორდერის⁴³⁹ გაცემის გზით უმრავლეს შემთხვევაში შესაძლებელია, თუ თვით სუროგაციის მონაწილე მხარეებს შორის არ არსებობს დავა. „თვით ნიუ იორკსა და მიჩიგანში, სადაც კომერციული სუროგაცია ექვემდებარება კრიმინალიზაციას, სასამართლოს გადაწყვეტილებებით, სუროგაციის მხარეთა შორის დავის არარსებობის პირობებში განისაზღვრა პოტენციური მშობლების იურიდიული მშობლის სტატუსი სუროგაციის შედეგად დაბადებულ ბავშვზე“⁴⁴⁰.

⁴³⁶ დასახელებული შტატების მიდგომების შედარებითი ანალიზი იხილეთ წინამდებარე თავის „სუროგაციის მონინაალმდევე ქვეყნები“-ს ქვეთავში.

⁴³⁷ დასახელებული შტატების მიდგომების შედარებითი ანალიზი იხილეთ წინამდებარე თავის „სუროგაციის მიმართ ნეიტრალური დამოკიდებულების მქონე ქვეყნების“-ს ქვეთავში.

⁴³⁸ დასახელებული შტატების მიდგომების შედარებითი ანალიზი იხილეთ წინამდებარე თავის „სუროგაციის მეგობარი ქვეყნები“-ს ქვეთავში.

⁴³⁹ იგულისხმება სასამართლოს ორდერი, რომელიც ადგენს პოტენციური მშობლების, როგორც სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის იურიდიული მშობლების, სტატუსს.

⁴⁴⁰ *ib. Snyder H. S., United States of America, in: International Surrogacy Arrangements, Legal*

ამასთან, შეინიშნება გარკვეული ტენდენცია, რომლის მიხედვითაც დამოკიდებულება იცვლება ანტი-სუროგაციულიდან პოზიტიურისკენ. ჯერ კიდევ 1980-იან წლებში და მანამდე „საერთაშორისო დონეზე ამერიკის შეერთებული შტატები მიიჩნეოდა ისეთ სახელმწიფოდ, რომლისთვისაც ყველაზე მეტად იყო მისაღები სუროგაცია“⁴⁴¹. ამ პერიოდიდან მოყოლებული, განსაკუთრებით ბოლო რამდენიმე წელიწადის განმავლობაში, შტატების ნაწილმა, მათ შორის იმ შტატებმა, სადაც სუროგაცია პირდაპირ იკრძალებოდა, მიიღო სუროგაციის მომწესრიგებელი და მისი აღსრულების ხელშემწყობი კანონები. ამ შტატებს შორისაა იუტა და ვაშინგტონის კოლუმბიის ოლქი. კოლუმბიის ოლქის კანონმდებლობა 2016 წელს ცვლილებების განხორციელებამდე სუროგაციის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა: სუროგაციის ხელშეკრულებები მიიჩნეოდა ბათილად და აღუსრულებლად, კანონის დარღვევა კი იწვევდა დაჯარიმებას 10,000 აშშ დოლარამდე ანდა თავისუფლების აღკვეთას ვადით 1 წლამდე. 2017 წელს ამოქმედებული ცვლილებებით⁴⁴² კი საკანონმდებლო დონეზე დასაშვები და აღსრულებადი გახდა კომერციული გესტაციური სუროგაცია.

მიიჩნევენ, რომ შტატებში სუროგაციის აკრძალვის თვალსაზრისით ნაკლები საკანონმდებლო აქტიურობაა. უფრო მეტიც, საკანონმდებლო ტენდენცია სუროგაციის ლეგალიზებაა იმ შტატებში, სადაც იგი არაკანონიერია, ხოლო შტატებში, სადაც „ინდუსტრია ოპერირებს

Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 390. მითითებულია: *Arredondo v Nodelman*, 622 NYS 2d 181, 1994. იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვი დაბადებული იყო სრული გესტაციური სუროგაციის შედეგად და მას გენეტიკური კავშირი ჰქონდა ორივე მშობელთან, ბავშვის დედობის საკითხის განსაზღვრისას ნიუ იორკის უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ გენეტიკა შეიძლება გამოყენებულიყო პოტენციური დედის ბავშვის დედად განსაზღვრის საფუძვლად. Knaplund S. K., *Children of Assisted Reproduction*, University of Michigan Journal of Law Reform, Vol. 45, Issue 4, 2012, 934.

⁴⁴¹ Smerdon R. U., *Crossing Bodies, Crossing Borders: International Surrogacy between the United States and India*, Cumberland Law Review, Vol. 39, Issue 1, 2008, 22.

⁴⁴² D.C. Law 21-255. Collaborative Reproduction Amendment Act of 2016; ძალაშია 2017 წლის 7 აპრილიდან, აღნიშნული კანონით განხორციელდა ცვლილებები კოლუმბიის ოლქის კოდექსის მე-4 თავში. <[https://beta.code.dccouncil.us/dc/council/laws/21-255.html#§2\(d\)](https://beta.code.dccouncil.us/dc/council/laws/21-255.html#§2(d))> [15.09. 2017].

სამართლებრივი რეგულირების გარეშე⁴⁴³ - აქტიურობა იკვეთება მისი კანონის ფარგლებში მონესრიგებით⁴⁴⁴ ან მონესრიგების მცდელობებით.

2. სუროგაციის მონინაალმდევე ქვეყნები

„სუროგაციის მონინაალმდევე ქვეყანათა“ ჯგუფში ქვეყნების გაერთიანების ძირითადი კრიტერიუმებია:

(1) განსაკუთრებული ანტი-სუროგაციული დამოკიდებულება და კანონმდებლობით სუროგაციის პირდაპირი აკრძალვა;

(2) პასუხისმგებლობა სუროგაციის აკრძალვის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის;

(3) სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის იურიდიული მშობლების დასადგენად დაბადების ზოგადი წესის გამოყენება გესტაციისა და ბავშვის შობის პრინციპის გათვალისწინებით.

სუროგაციასთან მიმართებით წინამდებარე ჯგუფში შემავალი ქვეყნების საერთო მახასიათებლების განსაზღვრა განხორციელდა შემდეგი სახელმწიფოების კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის განზოგადებული კვლევის საფუძველზე: გერმანია⁴⁴⁵, საფრანგეთი⁴⁴⁶,

⁴⁴³ Storrow F. R., Surrogacy American Style, in: Surrogacy, Law and Human Rights, Edited by P. Gerber and K. O’Byrne, UK, 2015, 198.

⁴⁴⁴ იქვე.

⁴⁴⁵ გერმანიაში სუროგაციის ამკრძალავ და სუროგაციასთან დაკავშირებულ ნორმებს ძირითადად შეიცავს შემდეგი საკანონმდებლო აქტები: (1) გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (Bürgerliches Gesetzbuch - BGB): § 134; § 138(1); (2) 1990 წლის ემბრიონის დაცვის შესახებ კანონი (Embryo Protection Act 1990; Gesetz zum Schutz von Embryonen (Embryonenschutzgesetz)): § 1(1)(7); § 1(3)(2); და (3) კანონი შვილად აყვანის შესახებ (ინგლისურად მოხსენიებული როგორც “Procurement Adoption Act” (Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens’ Rights and Constitutional Affairs, 2013, 267.) ან როგორც „Adoption Placement Act“ (Gossl L. S., Germany, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 231). დასახელება გერმანულად: Gesetz über die Vermittlung der Annahme als Kind und über das Verbot der Vermittlung von Ersatzmüttern - Adoptionsvermittlungsgesetz): §13(a); §13(b); §13(c); §13(d); §14(b)).

⁴⁴⁶ საფრანგეთში სუროგაციის ამკრძალავ და სუროგაციასთან დაკავშირებულ ნორმებს ძირითადად შეიცავს შემდეგი საკანონმდებლო აქტები: საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი 2013 წლის 01 ივლისის მდგომარეობით; კანონი ბიოეთიკის შესახებ (დასახელების პირდაპირი თარგმანია კანონი „ადამიანის სხეულის პატივისცემასთან დაკავშირებით“ Loi no 94-653 du 29 juillet 1994 relative au respect du corps humain); და სისხლის სამართლის

იტალია⁴⁴⁷, ესპანეთი⁴⁴⁸, ჩინეთი⁴⁴⁹ და აშშ-ის შტატებიდან: მიჩიგანი⁴⁵⁰ და ნიუ იორკი⁴⁵¹.

2.1. სუროგაციის ხელშეკრულება, როგორც ბათილი და აღუსრულებადი გარიგება

ჯგუფში შემავალი ყველა სახელმწიფოს კანონმდებლობით პირდაპირ იკრძალება სუროგაცია, მისი განხორციელების ფორმისა და სახეობის მიუხედავად, იქნება ეს ალტრუისტული, კომერციული, გესტაციური თუ ტრადიციული. შესაბამისად, ბათილია და აღუსრულებადია სუროგაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი გარიგება. მაგ., საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ბათილია ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს მესამე პირის სასარგებლოდ ბავშვის შობას ან გესტაციას⁴⁵². ბათილად მიიჩნევა სუროგაციის ხელშეკრულებები „დამხმარე

კოდექსი. იხ. Perreau-Saussine L., Sauvage N., France, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 120-121.

⁴⁴⁷ იტალიაში სუროგაცია პირდაპირ იკრძალება კანონით „სამედიცინო ხელშეწყობით რეპროდუქციის წესების შესახებ“ (no 40, 19.2.2004): მუხლი 12.6; სუროგაციასთან დაკავშირებულ ნორმებს შეიცავს ასევე 1995 წლიდან ძალაში მყოფი ექიმთა ეთიკის კოდექსი: მუხლი 42; სისხლის სამართლის კოდექსი: მუხლი 567; შვილად აყვანის შესახებ კანონი (no 184, 4.5.1983): მუხლი 71.1.

⁴⁴⁸ ესპანეთში სუროგაცია პირდაპირ იკრძალება დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების შესახებ კანონით (14/2006 of 26 May, sobre tecnicas de reproduccion humana asistada, BOE no 126, 27 May 2006), მუხლი 10.

⁴⁴⁹ ჩინეთში სუროგაცია პირდაპირ იკრძალება კანონქვემდებარე აქტებით: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ბრძანებით „დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების ადმინისტრაციული ზომების შესახებ“ (no 14, 22.02.2001): მუხლი 3; მუხლი 22 და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ბრძანებით, სახელწოდებით „დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიებისა და ადამიანის სპერმის ბანკის ეთიკური პრინციპები“ (no 176 of 2003): მუხლი 3(5). აქვე აღსანიშნავია, რომ ჩინეთში არ არსებობს კანონი, რომელიც ეხება სუროგაციას ან შეიცავს მისი აკრძალვის ნორმებს.

⁴⁵⁰ მიჩიგანის შტატში სუროგაცია აკრძალულია 1988 წლის 199 კანონით სუროგაციის შესახებ (Surrogate Parenting Act) Michigan Compiled Laws: §722.851-861. კანონის ოფიციალური ტექსტი ხელმისაწვდომია: <[http://www.legislature.mi.gov/\(S\(cxw404y2j4fvxe5w3mjj3ddc\)\)/mileg.aspx?page=getObject&objectName=mcl-722-851](http://www.legislature.mi.gov/(S(cxw404y2j4fvxe5w3mjj3ddc))/mileg.aspx?page=getObject&objectName=mcl-722-851)> [15.09.2017].

⁴⁵¹ ნიუ იორკის შტატში სუროგაცია იკრძალება ნიუ იორკის კანონით საოჯახო ურთიერთობათა შესახებ, მუხლი 8. NY CLS Dom Rel §121-124 (2015). კანონის ოფიციალური ტექსტი ხელმისაწვდომია: <<http://public.leginfo.state.ny.us/lawssrch.cgi?NVLWO>> [15.09.2017].

⁴⁵² საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 16-7.

რეპროდუქციული ტექნოლოგიების შესახებ“ ესპანეთის კანონით⁴⁵³, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების მიჩიგანისა და ნიუ იორკის შტატების კანონმდებლობებით სუროგაციის ხელშეკრულება ბათილი და აღუსრულებადია, როგორც საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო გარიგება⁴⁵⁴. ჩინეთში იკრძალება არამართო განაყოფიერებელი კვერცხუჯრედებითა და ემბრიონებით ვაჭრობა, არამედ სამედიცინო დაწესებულებებისა და სამედიცინო პერსონალის მიერ ნებისმიერი ფორმის სუროგაციის პროცედურის განხორციელება⁴⁵⁵. სუროგაციის გარკვეულ ასპექტებთან დაკავშირებული გერმანიის საკანონმდებლო ნორმები შეიცავს მხოლოდ იმ ვიტრო განაყოფიერების ამ მეთოდის ნებისმიერი ფორმის - ალტრუისტულისა და კომერციულის, გესტაციურისა და ტრადიციულის - აკრძალვებს და მათ დარღვევასთან დაკავშირებულ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ამდენად, შემოიფარგლება რა სუროგაციის სრულად აკრძალვით, ბუნებრივია, რომ კანონმდებლობა არ განსაზღვრავს სუროგაციის სახეებსა და ფორმებს და არ მიუთითებს „გონივრულ ხარჯებზე“⁴⁵⁶.

ყველა განხილული ქვეყნისათვის, ასევე, დამახასიათებელია ის, რომ სუროგაციის კანონები ადგენს არამართო სუროგაციის განხორციელების აკრძალვას, არამედ ამ აკრძალვების დარღვევისათვის განსაზღვრავს შესაბამის პასუხისმგებლობასაც. თუმცა, ანტი-სუროგაციული დამოკიდებულების ხარისხი სხვადასხვა იურისდიქციაში განსხვავდება დადგენილი პასუხისმგებლობის სახეებისა და სიმძიმის მიხედვით.

⁴⁵³ რეპროდუქციული ტექნოლოგიების შესახებ კანონი (14/2006 of 26 May, sobre tecnicas de reproduccion humana asistada, BOE no 126, 27 May 2006), მუხლი 10.1.

⁴⁵⁴ მიჩიგანის 1988 წლის 199 კანონი სუროგაციის შესახებ (Surrogate Parenting Act) Michigan Compiled Laws: §722.851 (2016); ნიუ იორკის საოჯახო ურთიერთობათა შესახებ კანონი, NY Domestic Relations Law (NY Dom Rel L) §122 (2015).

⁴⁵⁵ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ბრძანება „დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების ადმინისტრაციული ზომების შესახებ“ (no 14, 22.02.2001), მუხლი 3; იხ. Huo Z., China, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 93.

⁴⁵⁶ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 268.

2.2. პასუხისმგებლობა სუროგაციის განხორციელებისათვის

ქვეყნების უმრავლესობაში სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადია სუროგაციის განხორციელების ხელშეწყობა, „სუროგაციის შეთანხმებაში შუამავლობა ან/და სუროგაციის განხორციელებაში სამედიცინო დახმარება“⁴⁵⁷. შესაბამისად, ამ ქვეყნებში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრებათ არა სუროგაციის ხელშეკრულების მხარეებს - პოტენციურ მშობლებსა და სუროგატ დედას, არამედ სუროგაციის განხორციელების „ხელშეწყობებს“: სამედიცინო პერსონალსა და „შუამავლებს“.

მაგ., გერმანიის კანონმდებლობით, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთის ან ჯარიმის სახით ეკისრება „ნებისმიერ პირს“, რომელიც განახორციელებს სუროგატი დედის ვიტრო განაყოფიერებას ან სუროგატი დედის საშვილოსნოში ემბრიონის გადატანას. დასჯადია არამართო სუროგაციასთან დაკავშირებული სამედიცინო პროცედურა, არამედ სამედიცინო ჩარევა, რომლითაც ხორციელდება კვერცხუჯრედის დონაცია ან კვერცხუჯრედის განაყოფიერება მისი იმ ქალის საშვილოსნოში გადატანის მიზნით, რომლის მიერაც არ მომხდარა ამ კვერცხუჯრედის წარმოქმნა⁴⁵⁸. კანონის მიხედვით, პასუხისმგებლობა არ ეკისრება პოტენციურ მშობლებსა და სუროგატ დედას. ამასთან, პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია მხარეთა განზრახვის არსებობა - სუროგატი დედა განისაზღვრება როგორც „ქალი, რომელიც თანხმდება, მუდმივად მიატოვოს ბავშვი დაბადების შემდგომ“⁴⁵⁹. მოცემულ შემთხვევაში ნამდვილი ხელშეკრულების არსებობა არ მოითხოვება, საკმარისია, სუროგაციის განხორციელებაზე მხარეთა განზრახვის არსებობა⁴⁶⁰. გერმანიის კანონმდებლობით სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადია, ასევე, „სუროგაციის

⁴⁵⁷ მაგალითად საფრანგეთი, გერმანია, ჩინეთი. იხ. Trimmings K., Beaumont P., General Report on Surrogacy at International Surrogacy Arrangements Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013; 464.

⁴⁵⁸ გერმანიის 1990 წლის ემბრიონის დაცვის შესახებ კანონი (Embryo Protection Act 1990; Gesetz zum Schutz von Embryonen (Embryonenschutzgesetz)): § 1(1)(7);

⁴⁵⁹ იქვე.

⁴⁶⁰ Gossel L. S., Germany, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 133-134.

მხარდამჭერი ნებისმიერი კომერციული ქმედება, მათ შორის რეკლამირება და სუროგაციის მხარეთა საჯარო ძიება⁴⁶¹.

გერმანიისგან განსხვავებით, იტალიისა და საფრანგეთის კანონმდებლობით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრებათ არამართო კანონის დამრღვევ საშუამავლო სააგენტოებსა და კლინიკებს, არამედ პოტენციურ მშობლებსა და სუროგატ დედასაც⁴⁶². იტალიაში, ამასთან, სისხლის სამართლის წესით დასჯადია დონაციაც. იტალიის კანონმდებლობის მიხედვით „ნებისმიერი პირი, რომელიც ნებისმიერი ფორმით მოახდენს გამეტების ან ემბრიონების ან სუროგატული დედობის რეალიზებას, ორგანიზებას ან კომერციალიზაციას, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 3 თვიდან 2 წლამდე და ჯარიმით 600,000-დან 1,000,000 ევრომდე“⁴⁶³, ექიმებისათვის კი განისაზღვრება დამატებითი პასუხისმგებლობა 1-3 წლით პროფესიული პრაქტიკის იძულებითი შეწყვეტის სახით.

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსით დანაშაულად მიიჩნევა ბავშვის დაბადების სიმულირება ან დაფარვა, რომლითაც იცვლება ბავშვის სამოქალაქო სტატუსი და ითვალისწინებს პასუხისმგებლობას 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთის და 45,000 ევრომდე ჯარიმის სახით⁴⁶⁴. ამასთან, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრებათ სუროგაციის განხორციელების ხელშემწყობ საშუამავლო სააგენტოებს, კლინიკებსა და ექიმებს. სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად სამედიცინო ხელშეწყობით ისეთი რეპროდუქციული საქმიანობის განხორციელება, რომელიც არ არის ნებადართული ჯანმრთელობის დაცვის კოდექსით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 5 წლამდე და 75,000 ევრომდე

⁴⁶¹ იქვე.

⁴⁶² Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 294; Perreau-Saussine L., Sauvage N., France, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 121.

⁴⁶³ „სამედიცინო ხელშეწყობით რეპროდუქციის წესების შესახებ“ კანონის (no 40, 19.2.2004) მე-12 მუხლის პარაგრაფი 6.

⁴⁶⁴ საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 227-13. ავტორის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში სუროგატი დედა განიხილება დაბადების დამფარავად, ხოლო პოტენციური დედა - სიმულაციის განმხორციელებლად. იხ. Perreau-Saussine L., Sauvage N., France, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 121.

ოდენობის ჯარიმით. ბიოეთიკის კანონის შესაბამისად კი სუროგაციაში შუამავლობა ითვალისწინებს პასუხისმგებლობას 1 წლამდე თავისუფლების აღკვეთითა და 15,000 ევრომდე ჯარიმის ოდენობით, ხოლო თუ ეს საქმიანობა რეგულარულია ან ხორციელდება კომერციული მიზნებისათვის, კლინიკებს ან სააგენტოებს შეიძლება ჯარიმის სახით დაეკისროთ 450,000 ევრომდე თანხის გადახდაც⁴⁶⁵.

ნიუ იორკის კანონმდებლობით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა წესდება მხოლოდ კომერციული მიზნით სუროგაციის ხელშემწყობი პირებისათვის კანონმდებლობის მეორედ დარღვევის შემთხვევაში. პირველი დარღვევისას „სუროგაციის ხელშემწყობი“ პირები ჯარიმდებიან არაუმეტეს 10,000 აშშ დოლარის თანხის გადახდით, ხოლო სუროგაციის ხელშეკრულების მხარეებს ეკისრებათ სამოქალაქო ჯარიმა არაუმეტეს 5000 აშშ დოლარის ოდენობით⁴⁶⁶.

ნიუ იორკისა და შეიძლება ითქვას, აშშ-ის ყველა სხვა შტატისაგან განსხვავებით, პასუხისმგებლობის დაკისრების თვალსაზრისით ყველაზე მკაცრია მიჩიგანის შტატი, სადაც სისხლის სამართლის დანაშაულად მიიჩნევა როგორც სუროგაციის ხელშეკრულების დადება, ასევე, მისი განხორციელება, უზრუნველყოფა ან ხელშეწყობა და სასჯელის სახით ითვალისწინებს 50,000 აშშ დოლარის ჯარიმას ან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ან ორივე სასჯელის ერთდროულად გამოყენებას⁴⁶⁷.

პასუხისმგებლობის დაკისრების თვალსაზრისით შედარებით მსუბუქია ჩინეთის კანონმდებლობის მიდგომა. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ბრძანება „დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების ადმინისტრაციული ზომების შესახებ“ სუროგაციის განხორციელებას უკავშირებს არამართო ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, არამედ ზოგად მითითებას ახდენს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზეც, პრაქტიკაში ეს უკანასკნელი არ გამოიყენება⁴⁶⁸. ამასთან, ჩინეთში სუროგაციის განხორციელებაზე

⁴⁶⁵ იქვე.

⁴⁶⁶ ნიუ იორკის კანონი საოჯახო ურთიერთობათა შესახებ, მუხლი 8. NY Dom Rel L §123 (2015).

⁴⁶⁷ მიჩიგანის 1988 წლის 199 კანონი სუროგაციის შესახებ (Surrogate Parenting Act) Michigan Compiled Laws: §722.857.

⁴⁶⁸ ob. Huo Z., China, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 95.

პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ სამედიცინო პერსონალსა და სამედიცინო დანესებულებას⁴⁶⁹. სუროგაციის ხელშეკრულების მხარეები და საშუაშეგებლო სააგენტოები არ ექვემდებარებიან პასუხისმგებლობას. აღნიშნული გამოწვეულია ორი ძირითადი მიზეზით: სუროგაციის აკრძალვა და შესაბამისი პასუხისმგებლობა აკრძალვის დარღვევისათვის განსაზღვრულია ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ბრძანებით. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კი, მისი კომპეტენციიდან გამომდინარე, უფლება აქვს დააწესოს სანქციები მხოლოდ სამედიცინო დანესებულებებისა და სამედიცინო პერსონალისათვის. მეორე მიზეზი უკავშირდება ჩინეთის კულტურულ ტრადიციას. ჩინურ საზოგადოებაში რეპროდუქციული დარღვევების მქონე პირები მორალურად და ფსიქოლოგიურად დაჩაგრულებად მიიჩნევიან და, შესაბამისად, „სუროგაციის განმახორციელებელი უშვილო პირებისათვის სისხლისსამართლებრივი სანქციების დაწესება არ იქნება შესაბამისი ჩინურ ტრადიციულ ღირებულებებთან“⁴⁷⁰.

ესპანეთში სუროგაციის კანონის დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს 10,000 ევრომდე ჯარიმის დაკისრება, ისევე, როგორც „სამედიცინო დანესებულების ან სუროგაციაში მონაწილე დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების სერვისების დახურვა“⁴⁷¹, თუმცა, აღნიშნულ პასუხისმგებლობას ესპანეთის დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების შესახებ კანონი სუროგაციის აკრძალვასთან ერთად პირდაპირ არ განსაზღვრავს.

2.3. სუროგაციის აკრძალვის ძირითადი არგუმენტები

„სუროგაციის მონინაალმდევე ჯგუფში შემავალი ქვეყნების სუროგაციის ყველა ფორმის აკრძალვის თაობაზე სახელმწიფო პოლიტიკა მოიცავს შემდეგ ძირითად არგუმენტებს:

⁴⁶⁹ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ბრძანება „დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების ადმინისტრაციული ზომების შესახებ“ (no 14, 22.02.2001), მუხლი 22.

⁴⁷⁰ Huo Z., China, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 95.

⁴⁷¹ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 351.

(1) სუროგაცია არღვევს ბავშვისა და სუროგატი დედის ადამიანურ ღირსებას, აქცევს რა მათ უბრალოდ კონტრაქტის ობიექტად;

(2) სუროგაციას მივყავართ არასასურველ ე.წ. „გაყოფილი დედობის“⁴⁷² სიტუაციასთან;

(3) სუროგაცია ეწინააღმდეგება ბავშვთა უფლებებს;

(4) კერძო შეთანხმების საგანი არ შეიძლება გახდეს არც ადამიანის სხეული და არც პირთა სამოქალაქო სტატუსი; და

(5) დაშვების შემთხვევაში სუროგაციას შეუძლია გამოიწვიოს იურიდიული, სოციალური და ეთიკური ქაოსი⁴⁷³.

განხილული სახელმწიფოებიდან გერმანია იტალიასთან ერთად განსაკუთრებული ანტი-სუროგაციული დამოკიდებულებით ხასიათდება. მიაჩნიათ, რომ გერმანიის საზოგადოებაში რეპროდუქციული ტექნოლოგიების მიმართ დღემდე არსებული ანტიპათია, მათ შორის ფემინისტებისა და მემარცხენეთა მხრიდან, გარკვეულწილად აიხსნება მესამე რაიხის ბიოტექნოლოგიითა და ევგენიკით⁴⁷⁴ გატაცებითა და, ამით კაცობრიობისათვის გამონვეული საზარელი შედეგებით⁴⁷⁵. „რეპროდუქციულ მედიცინასთან დაკავშირებით ფედერალური კომპეტენციის არარსებობის გამო 1989 წელსა და 1990 წლებში გერმანელი კანონმდებლის პირველი მცდელობები სუროგაციის რეგულაციაზე შეიზღუდა მისი კრიმინალური ასპექტებით“⁴⁷⁶. ამით დადასტურდა „1980-იანი წლების სასამართლო პრაქტიკა, რომლითაც სუროგაცია განიხილება როგორც ბავშვისა და დედის ადამიანური ღირსების დამრღვევი არაკანონიერი შვილად აყვანის

⁴⁷² “split motherhood”.

⁴⁷³ Trimmings K., Beaumont P., General Report on Surrogacy, in: International Surrogacy Arrangements Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford and Portland, Oregon, 2013, 464.

⁴⁷⁴ „ევგენიკა“ - მოძღვრება ადამიანის მოდგმის, მისი მემკვიდრული ბუნების გაუმჯობესებისა და სრულყოფის შესახებ. იხ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. <<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=12307>> [15.09.2017].

⁴⁷⁵ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 22.

⁴⁷⁶ Gossel L. S., Germany, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 231. მითითებულია: Taupitz J., Rechtspolitische und rechtliche Grundlagen in H-L Gunther, Edited by J. Taupitz and P. Kaiser, Embryonenschutzgesetz, Stuttgart, Kohlhammer, 2008, 17.

ფორმა⁴⁷⁷. „მიუხედავად იმისა, რომ რეპროდუქციულ მედიცინასთან დაკავშირებით ფედერალური კომპეტენცია დადგენილი იქნა 1994 წელს“⁴⁷⁸, როგორც საკანონმდებლო დონეზე, ასევე სასამართლო პრაქტიკაში დღემდე არ განხორციელებულა სუროგაციის მიმართ ამგვარი ხედვისა და დამოკიდებულების ცვლილება. უფრო მეტიც, დამოკიდებულების მიმართ ლიბერალიზაციის ან აკრძალვების გარკვეული შემსუბუქების ნიშნებიც კი არ შეინიშნება. გერმანიაში დღემდე მიიჩნევენ, რომ „სუროგაცია არღვევს ბავშვისა და სუროგატი დედის ადამიანურ ღირსებას, აქცევს რა მათ (კომერციული) კონტრაქტის ობიექტად“⁴⁷⁹ და იწვევს ე.წ. „გაყოფილი დედობის“ სიტუაციას, რომლის დროსაც „ბავშვს შეიძლება მძიმე ფსიქოლოგიური ზიანი მიადგენს იმით, რომ იზრდება ერთ დედასთან, რომელმაც იგი შვა, ხოლო მეორესთან აქვს გენეტიკური კავშირი“⁴⁸⁰. ამასთან, შვილად აყვანისა და სპერმის დონაციისგან განსხვავებით, რომლებიც, ასევე იწვევს დედობა-მამობის „გაყოფას“, მიიჩნევენ, რომ სუროგაციისას მსხვერპლად განიხილება როგორც ბავშვი, ასევე სუროგატი დედა, ვინაიდან „დაბადების პროცედურა წარმოშობს არამართო სოციალურ, არამედ სპეციფიკურ ბიოლოგიურ კავშირს ბავშვსა და ბავშვის გამჩენ დედას შორის. აღნიშნული განაპირობებს გერმანიაში

⁴⁷⁷ Gossli L. S., Germany, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 131. მითითებულია: OLG Hamm 7 April 1983-3 Ss Owi 2007/82, (1985) Neue Juristische Wochenschrift 2205; BverfG 6 December 1983-2 BvR 878/83, VGH Kassel, December 1987-11 TG 3526/871, (1988) Neue Juristische Wochenschrift 1281; undecided AG Guttersloh 17 December 1985-5 XVI 7/85, (1986) Zeitschrift für das gesamte Familienrecht, 718; KG Berlin 19 March 1985-1 W 5729/84, (1985) Neue Juristische Wochenschrift 2201. Decision: OLG Hamm 2 February 1985-11 W 18/85 (1985) Neue Juristische Wochenschrift 781; LG Freiburg 25 March 1987-8 O 557/86 (1987) Neue Juristische Wochenschrift 1486, 1488.

⁴⁷⁸ Gossli L. S., Germany, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 231.

⁴⁷⁹ Gossli L. S., Germany, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 132. მითითებულია: Eser A., Koch G. H., Rechtsprobleme biomedizinischer Fortschritte in vergleichender Perspektive in Professors of Criminal Law Tübingen and Ministry of Justice Baden-Württemberg, Edited by R. Keller, Tübingen, 2003, 15, 24; Kettner M., Neue Formen gespaltener Elternschaft, 2001, B 27 Aus Politik und Weltgeschichte 34, 38; H-G Koch, Fortpflanzungsmedizin im europaischen Rechtsvergleich, 2001, B 27 Aus Politik und Weltgeschichte 44, 57.

⁴⁸⁰ Gossli L. S., Germany, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 132.

დამკვიდრებულ მიდგომას, რომლის შესაბამისადაც უნდა იქნას დაცული როგორც სუროგატი დედისა და ბავშვის ორმხრივი კავშირი, ასევე დედობის ტრადიციული სურათი“⁴⁸¹.

იტალიაში დღემდე მოქმედებს „დედობის პრეზუმფციის“ ტრადიციულ წესად ქცეული პრინციპი, რომლის მიხედვითაც ბავშვის დედობა მისი გესტაცით განისაზღვრება და, რომელიც ჯერ კიდევ 1865 წლის იტალიის პირველ სამოქალაქო კოდექსში იქნა ასახული. შესაბამისად, არსებული კონსერვატორული მიდგომის მიხედვით სუროგაციის ხელშეკრულებები ბათილად მიიჩნევა. აღნიშნულის არგუმენტია, ერთი მხრივ, ის, რომ ამგვარი ხელშეკრულებები სახიფათოა სუროგატი დედისა და ბავშვის კეთილდღეობისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, კანონსაწინააღმდეგოა, ვინაიდან მათ საფუძველზე დედად განისაზღვრება პოტენციური დედა და არა ქალი, რომელმაც მოახდინა ბავშვის გესტაცია⁴⁸².

საფრანგეთში 1994 წელს სუროგაციის ამკრძალავი ბიოეთიკის კანონის მიღებას წინ უძღოდა საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს მიერ ადგილობრივ სუროგაციასთან დაკავშირებულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღება⁴⁸³. სასამართლომ დაადგინა, რომ სუროგაციის, მათ შორის ალტრუისტული სუროგაციის, ხელშეკრულებები არღვევდა საჯარო წესრიგის ორ ძირითად პრინციპს, რომელთა მიხედვითაც „კერძო ხელშეკრულების საგანი არ შეიძლება გამხდარიყო არც ადამიანის სხეული

⁴⁸¹ Gossl L. S., Germany, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 132. მითითებულია: Eser A., Koch G. H., Rechtsprobleme biomedinischer Fortschritte in vergleichender Perspektive in Professors of Criminal Law Tubingen and Ministry of Justice Baden-Wurttemberg, Edited by R. Keller, Tubingen, Mohr Siebeck, 2003, 15, 24; M Kettner, Neue Formen gespaltener Elternschaft, 2001, B 27 Aus Politic und Weltgeschichte 34, 38; H-G Koch, Fortpflanzungsmedizin im europaischen Rechtsvergleich, 2001, B 27 Aus Politik und Weltgeschichte 44, 57.

⁴⁸² Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 295.

⁴⁸³ Perreau-Saussine L., Sauvage N., France, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 120. მითითებულია: Cass Ass plen, 31 mai 1991, D 1991, 417, rapp Y Chartier, note D Thouvenin; RTDCiv 1991, 517, obs D Huet-Weiller; JCP G 1991, II, no 21752, comm Bernard J., concl Dontewille, note F Terre; Defrenois 1991, 1267, obs J-L Aubert; LPA, 23 oct 1991, no 127, 4, note Gobert.

და არც პირთა სამოქალაქო სტატუსი⁴⁸⁴. ამ პრინციპების არსებობა ეფუძნება შეხედულებას, რომ ადამიანის სხეული - სუროგაციისას სუროგატი დედისა და ახალშობილი ბავშვის სხეული - არ წარმოადგენს ჩვეულებრივ ნივთს და არ შეიძლება იყოს ტრადიციული სახელშეკრულებო სამართლისა და მხარეთა ავტონომიის საგანი. მეორე მხრივ, პრინციპი, რომ პირთა სამოქალაქო სტატუსი არ წარმოადგენს მხარეთა კერძო ხელშეკრულების საგანს, საფრანგეთში 1539 წლიდან დამკვიდრდა. პრინციპის მიხედვით ადამიანის სამოქალაქო სტატუსის შესახებ რეგისტრირებული ინფორმაციის საფუძველია „მოვლენები, კანონის მოქმედება, სასამართლოსა და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებები და მათი შეცვლა კერძო შეთანხმებით დაუშვებელია“⁴⁸⁵. შესაბამისად, დაუშვებელია ბავშვის გამჩენი ქალის შეცვლა სხვა ქალით ნებისმიერი კერძო ხელშეკრულების საფუძველზე. ამგვარი ანტი-სუროგაციული დამოკიდებულების მიუხედავად საფრანგეთში განხორციელდა რამდენიმე ინიციატივა, რომელთა მიზანს წარმოადგენდა არსებული კანონმდებლობის გადახედვა სუროგაციის შემლუდვებით დაშვების შესახებ. 2008 წლის სენატის კომისიამ გამოაქვეყნა ანგარიში⁴⁸⁶, რომლითაც დაასკვნა, რომ „სუროგაცია უნდა ყოფილიყო დაშვებული განსაზღვრულ გარემოებებში და მკაცრად რეგულირებული“⁴⁸⁷. 2010 წელს სენატში წარდგენილი იქნა ორი კანონპროექტი სუროგაციის შესახებ, თუმცა, მათი განხილვა არ მომხდარა⁴⁸⁸. 2013 წლის 25 იანვარს კი იუსტიციის მინისტრის მიერ გამოცემული მემორანდუმი, რომელიც არსებულ კანონს არ ცვლის, განსაზღვრავს, რომ „ფრანგი [საფრანგეთის მოქალაქე] გენეტიკური მამის შვილი ფრანგია [საფრანგეთის მოქალაქეა], მათ შორის, სუროგაციის შემთხვევებშიც“⁴⁸⁹.

⁴⁸⁴ Perreau-Saussine L., Sauvage N., France, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 120.

⁴⁸⁵ იქვე, 121.

⁴⁸⁶ იქვე. მითითებულია: Rapport d'information de Mme Michele Andre, MM Alain Milon et Henri de Richemont, fait au nom de la commission des lois et de la commission des affaires sociales du Senat no 421 (2008-2008) – 25 juin 2008.

⁴⁸⁷ Perreau-Saussine L., Sauvage N., France, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 127.

⁴⁸⁸ იქვე.

⁴⁸⁹ იქვე. 128.

ესპანეთში სუროგაციის ამკრძალავი პირველი კანონის⁴⁹⁰ მიღებას წინ უძღოდა ე.წ. პალასიოს ანგარიშის (Palacios Report)⁴⁹¹ პარლამენტის სპეციალური კომისიის მიერ მომზადება, რომელსაც ესპანელი კანონმდებელი დაეყრდნო სუროგაციის ამკრძალავი ნორმების განსაზღვრისას. ანგარიშის მიხედვით სუროგაციის დაშვება შედეგად გამოიწვევდა ქალთა ექსპლუატაციასა და ბავშვების კომოდიფიკაციას⁴⁹². ამასთან, ბავშვის დედის განსაზღვრა უნდა განხორციელდებოდა ბავშვის დაბადების პრინციპის მიხედვით და სხვა ფაქტორებს, მაგ., გენეტიკას, ამ საკითხის გადასაწყვეტად არ უნდა ჰქონოდა მნიშვნელობა. ანგარიშის ავტორებს მიაჩნდათ, რომ „გესტაციის კომპონენტი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გენეტიკა, ვინაიდან გესტაციური დედა საკუთარ სხეულში ატარებს ბავშვს ცხრა თვის განმავლობაში და ფიზიოლოგიურად და ფსიქოლოგიურად იცავს მას. ეს ელემენტია, რომელიც ეწინააღმდეგება სუროგაციას და პრიორიტეტს ანიჭებს „ბავშვის მატარებელ ქალს“⁴⁹³. ამ არგუმენტზე დაყრდნობით კომისიამ დაასკვნა და გასცა რეკომენდაცია, რომ „იურიდიული დედა ყოველთვის გესტაციური დედაა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადგილი აქვს დონორების ჩარევას“⁴⁹⁴.

ჩინეთში სუროგაციის აკრძალვის ძირითადი განმაპირობებელი არგუმენტია ბავშვის ინტერესები, რადგან მიაჩნიათ, რომ სუროგაცია სწორედ ბავშვის ინტერესებს ეწინააღმდეგება. ვინაიდან, სუროგაციის შედეგად ბავშვის დაბადების შემთხვევაში წარმოიჭრება ჩინეთის კანონმდებლობით დაურეგულირებელი ისეთი კონფლიქტური საკითხები, როგორებიცაა ბავშვის იურიდიული მშობლების დადგენა, ბავშვის

⁴⁹⁰ სუროგაცია პირველად აკრძალა 1988 წლის 22 ნოემბრის კანონით დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების შესახებ. იხ. Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 351.

⁴⁹¹ Report of the Special Commission Studying In Vitro Fecundation and Artificial Insemination: [approved by Congress of Deputies in Plenary session on the 10th of April 1986]. General Courts. Congress. Special Commission Studying In Vitro Fecundation and Artificial Insemination, Marcelo Palacios. Congress of Deputies, General Secretary 1987.

⁴⁹² Orejudo Prieto de Los Mozos P., Spain, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 348.

⁴⁹³ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 352.

⁴⁹⁴ იქვე.

მოქალაქეობის განსაზღვრა და მისი უფლებები, სუროგაციის აკრძალვა სწორედ ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარეობს, ბავშვის ინტერესები კი უპირატესია მოზარდთა ინტერესებთან შედარებით⁴⁹⁵. ამასთან, ბავშვების კეთილდღეობის დაცვასთან ერთად სუროგაციის დაუშვებლობის შესახებ ჩინეთის მთავრობის ძირითად არგუმენტს წარმოადგენს ის, რომ „სუროგაციის აკრძალვა არის იმ სამართლებრივი, სოციალური და ეთიკური ქაოსის თავიდან აცილების გზა, რომელსაც გამოიწვევდა მისი ლეგალიზაცია“⁴⁹⁶. აღნიშნულის მიუხედავად, სუროგაციის აკრძალვა წარმოშობს გარკვეულ ეთიკურ და სამართლებრივ პრობლემებს. იმის გათვალისწინებით, რომ კანონის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა მხოლოდ სამედიცინო დაწესებულებებსა და სამედიცინო პერსონალს ეკისრება, ჩინეთში სუროგაცია ფარულად მაინც ხორციელდება. ზოგიერთ შემთხვევაში გესტაციური სუროგაციისას საშუამავლო სააგენტოები ფარულად ურიგდებიან ექიმებს, სადაც ის ვიტრო განაყოფიერებისა და სუროგაციის სამედიცინო მანიპულაცია არაკანონიერად ხორციელდება, ტრადიციული სუროგაციისას კი სუროგატ დედას, ზოგიერთ შემთხვევაში, უწევს ორსულობის მიღწევა პოტენციურ მამასთან სექსუალური კავშირის გზით⁴⁹⁷.

მიჩიგანისა და ნიუ იორკის შტატებშიც საჯარო წესრიგის წინააღმდეგობის საფუძვლით სუროგაციის აკრძალვის მიუხედავად, იგი მაინც ხორციელდება, რასაც ადასტურებს სასამართლო პრაქტიკაც. ხშირია შემთხვევები, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილებებით გესტაციური სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვების იურიდიულ მშობლებად განისაზღვრა პოტენციური მშობლები⁴⁹⁸.

2.4. სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის იურიდიული მშობლების განსაზღვრა

განხილული ქვეყნებისათვის საერთო დამახასიათებელია ის, რომ თუ, აკრძალვის მიუხედავად, ადგილი აქვს სუროგაციის განხორციელებას,

⁴⁹⁵ Huo Z., China, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 95.

⁴⁹⁶ იქვე.

⁴⁹⁷ იქვე, 98.

⁴⁹⁸ Snyder H. S., United States of America, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 390. მითითებულია: *Arredondo v Nodelman*, 622 NYS 2d 181, 1994.

ბავშვის იურიდიული მშობლების განსაზღვრისათვის გამოიყენება იურიდიულ მშობელთა სტატუსის დასადგენი ზოგადი წესები, რომელთა მიხედვითაც დედობა განისაზღვრება მხოლოდ გესტაციით და არა გენეტიკური კავშირით. შესაბამისად, მოქმედებს პრინციპი, რომლის მიხედვითაც ბავშვის იურიდიულ დედად მიიჩნევა მისი გამჩენი ქალი „კანონის ძალით“, რაც ავტომატურად ნიშნავს დედობის განსაზღვრას *mater semper certa est*⁴⁹⁹ პრინციპის საფუძველზე⁵⁰⁰, ხოლო, თუ სუროგატი დედა დაქორწინებულია, ბავშვის მამად განისაზღვრება მისი მეუღლე.

ზოგადად პოტენციურ მამას ბავშვის მამად ცნობა შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ სუროგატი დედის მეუღლე კანონით დადგენილი წესით გააპროტესტებს მამობას და მას აღიარებს პოტენციური მამა ან პოტენციური მამის მამად ცნობას მოახდენს სასამართლო. პოტენციურ მამას სასამართლო წესით მამად ცნობის უფლება აქვს იმ შემთხვევაშიც, როდესაც სუროგატი დედა დაუქორწინებელია. ზოგადი წესის მიხედვით ასეთ შემთხვევაში პოტენციური დედა ბავშვის იურიდიულ დედად შესაძლებელია განისაზღვროს ბავშვის შვილად აყვანის გზით. თუმცა, ეს გზა პრობლემატურია, განსაკუთრებით გერმანიაში, ვინაიდან შვილად აყვანის კანონმდებლობა არაეფექტურია ისეთ შემთხვევებში, როდესაც „მშვილვლებს მონანილეობა აქვთ მიღებული კანონსაწინააღმდეგო ან საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო საქმიანობაში. ასეთ შემთხვევებში გერმანული სასამართლოები იყენებენ მკაცრ სტანდარტს, რომლის მიხედვითაც თუ პოტენციური მამა აღიარებულია ბავშვის იურიდიულ მშობლად, პოტენციური დედის მიერ ბავშვის შვილება არ არის გარდაუვალი. შვილება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აბსოლუტურად აუცილებელია ბავშვის კეთილდღეობისათვის“⁵⁰¹. იტალიაში შვილად აყვანის უფლება აქვთ მხოლოდ ქორწინებაში მყოფ წყვილს.

⁴⁹⁹ *mater semper certa est* - რომის სამართლის პრინციპი - „ბავშვის დედა ყოველთვის ცნობილია“.

⁵⁰⁰ A Study of legal Parentage and the Issues Arising from International Surrogacy Arrangements, General Affairs and Policy, Preliminary Document No 3C, March 2014 for the attention of the Council of April 2014 on General Affairs and Policy of the Hague Conference on Private International Law, Prel. Doc. No 3C (The Study), March 2014, 8. <<https://assets.hcch.net/docs/bb90cfd2-a66a-4fe4-a05b-55f33b009cfc.pdf>> [15.09.2017].

⁵⁰¹ Trimmings K., Beaumont P., General Report on Surrogacy, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 464.

მარტოხელა პირებს ამის უფლება ეძლევათ გამონაკლისის სახით კანონმდებლობით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში⁵⁰².

სუროგაციის აკრძალვის მიუხედავად, კანონმდებლობა და დამოკიდებულება ესპანეთში შედარებით „მეგობრულია“ მის საზღვრებს გარეთ კანონიერად განხორციელებული სუროგაციის მიმართ, თუ ამის შედეგად საჭირო ხდება ბავშვის დაბადების რეგისტრაცია ესპანეთში. ამის მაგალითია რეესტრებისა და ნოტარიუსების გენერალური დირექტორატის⁵⁰³ 2010 წლის 5 ოქტომბრის დირექტივა „სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვების მშობლების რეგისტრაციის რეჟიმის შესახებ“. დირექტივა უზრუნველყოფს სამოქალაქო რეესტრში იმ ბავშვების რეგისტრაციას, რომლებიც დაიბადნენ სხვა ქვეყანაში ლეგალურად განხორციელებული სუროგაციის შედეგად, თუ ბავშვის ერთ-ერთი მშობელი ესპანეთის მოქალაქეა⁵⁰⁴.

ჩინეთში სუროგაციასთან დაკავშირებული დავების უმრავლესობის გადანაცვება კერძო გზებით ხორციელდება და, ამდენად, სასამართლოს პრაქტიკა ამ თვალსაზრისით მწირია. სუროგაციის მიმართ ჩინეთის სასამართლოების დამოკიდებულების განსაზღვრისთვის, მიიჩნევენ, რომ 2008 წელს ჩინეთის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება *ჩენი ჩაოს წინააღმდეგ*⁵⁰⁵ საქმეზე სახელმძღვანელოა⁵⁰⁶. ამ გადაწყვეტილებაში

⁵⁰² Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 297.

⁵⁰³ Directorate General for Registers and Notaries (DGRN) ესპანეთში წარმოადგენს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალ რეესტრის მწარმოებელ ადმინისტრაციულ ორგანოს. იხ. Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 353.

⁵⁰⁴ დირექტივის არსებობის მიუხედავად, ვალენსიის უზენაესმა სასამართლომ 2011 წლის 23 ნოემბრის გადაწყვეტილებით (#8621/2011) საქმე გადაწყვიტა გენერალური პროკურორის ქმედების სასარგებლოდ, რომელიც ითვალისწინებდა საზღვარგარეთ განხორციელებული სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვების სამოქალაქო რეესტრში რეგისტრაციის გაუქმებას. იხ. Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 354.

⁵⁰⁵ აღსანიშნავია, რომ საქმის დასახელება მისი იდენტიფიკაციის გამარტივების თვალსაზრისით ავტორისეულია, ვინაიდან შესწავლილ წყაროებში საქმის კონკრეტული დასახელება ვერ მოიძებნა.

⁵⁰⁶ Huo Z., China, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 98.

ასახული სასამართლოს პოზიცია სუროგაციულ შეთანხმებებთან დაკავშირებით შეიძლება განზოგადდეს და ჩამოყალიბდეს, როგორც ჩინეთის სასამართლოების დამოკიდებულება ამგვარი შეთანხმებების მიმართ, კერძოდ: „(1) სუროგაციის ხელშეკრულებები ბათილია საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობის საფუძვლით; (2) სუროგაციის ხელშეკრულების ბათილობა არ ახდენს გავლენას სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის სამართლებრივ სტატუსსა და უფლებებზე; და (3) მეურვეობის შესახებ საკითხის გადაწყვეტისას სასამართლოები ჩვეულებრივ იყენებენ ბავშვის საუკეთესო ინტერესების სტანდარტს“⁵⁰⁷. აღნიშნული საქმე ეხებოდა ტრადიციული კომერციული სუროგაციის განხორციელების საფუძველზე ბავშვის სუროგატ და იმავდროულად გენეტიკურ დედასა და პოტენციურ მშობლებს შორის დავას. მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების შესაბამისად, სუროგატი დედა, 20 წლის ჩენი (Chen) 150,000 იუანის მიღების სანაცვლოდ პოტენციურ მამასთან ბატონ ჩაოსთან (Zhao) სექსუალური კავშირის გზით დაორსულდა ბავშვის გაჩენის შემდგომ პოტენციური მშობლებისათვის მისი გადაცემის მიზნით. პოტენციური მშობლებისათვის ბავშვის გადაცემის შემდგომ სუროგატმა დედამ სარჩელი აღძრა სასამართლოში, რომლითაც მოითხოვა ბავშვზე მეურვეობა. მოსამართლემ აღნიშნა, რომ სუროგაციის ხელშეკრულება საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობის საფუძვლით იყო ბათილი, ჩინეთის კანონმდებლობის შესაბამისად ბავშვზე მეურვეობის უფლება გააჩნდა როგორც ბავშვის დედას⁵⁰⁸, ასევე მამას, ხოლო საკითხი იმის თაობაზე, თუ რომელ მშობელთან უნდა ეცხოვრა ბავშვს, სასამართლოს მიერ უნდა განსაზღვრულიყო ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. სასამართლომ მიიჩნია, რომ მეურვეობის მინიჭება ჩაოს წყვილისათვის სწორედ ბავშვის საუკეთესო ინტერესებში შედიოდა. გადაწყვეტილება სასამართლომ დაასაბუთა იმ ძირითადი არგუმენტით, რომ ჩინეთში სუროგაციის ხელშეკრულების ბათილად აღიარების მიუხედავად, საქმეში არსებული გარემოებებით დასტურდებოდა ჩაოს წყვილის განზრახვა, ჰყოლოდათ და აღეზარდათ ბავშვი. სასამართლომ, ასევე, მხედველობაში მიიღო მხარეების ეკონომიკური მდგომარეობა, ბავშვის აღზრდისა და ინტერესების თვალსაზრისით ჩაოს ოჯახის სტაბილური მაღალი შემოსავალი უპირატესად მიიჩნია უმუშევარი და ღარიბ სოფელში

⁵⁰⁷ იქვე, 99.

⁵⁰⁸ მოცემულ შემთხვევაში ბავშვის იურიდიულ დედად განიხილებოდა სუროგატი დედა.

მცხოვრები სუროგატი დედის მდგომარეობასთან და ბავშვის მეურვეობა მიანიჭა ჩაოს წყვილს⁵⁰⁹.

ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპი გამოიყენება ასევე ნიუ იორკისა და მიჩიგანის სასამართლოების მიერ⁵¹⁰. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში მხედველობაში მიიღება ბავშვსა და პოტენციურ მშობლებს (ან ერთ-ერთ მათგანს) შორის გენეტიკური კავშირი და სუროგაციის განხორციელების ფორმა. ამის მაგალითია ნიუ იორკის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქმეში *არედონდო ნოდელმენის წინააღმდეგ (Arredondo v Nodelman)*⁵¹¹, რომლითაც, იმის გათვალისწინებით, რომ ტყუპები დაიბადნენ სრული გესტაციური სუროგაციის შედეგად და იყვნენ პოტენციური მშობლების გენეტიკური შვილები, იურიდიულ მამად პოტენციური მამის განაზღვრასთან ერთად მათ იურიდიულ დედად განისაზღვრა პოტენციური დედა, ჩაითვალა რა, რომ გენეტიკა შეიძლება გამოყენებულიყო პოტენციური დედის ბავშვების დედად განსაზღვრის საფუძველად⁵¹².

2.5. აშშ-ის შტატები, სადაც სუროგაცია იკრძალება სანქციების დანესების გარეშე

აშშ-ის რამდენიმე შტატის კანონმდებლობა პირდაპირ კრძალავს სუროგაციის ნებისმიერი ფორმით განხორციელებას, თუმცა, მიჩიგანისა და ნიუ იორკის კანონებისაგან განსხვავებით, არ ითვალისწინებს სანქციებს კანონის დარღვევისათვის.

სუროგაციის ნებისმიერი ფორმა პირდაპირაა აკრძალული აშშ-ის შემდეგი შტატების კანონმდებლობებით:

➤ არიზონაში იკრძალება ნებისმიერი პირის მიერ სუროგაციის ხელშეკრულების გაფორმება ან მისი ორგანიზება ან სხვაგვარად

⁵⁰⁹ Huo Z., China, in: *International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level*, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 99.

⁵¹⁰ ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპით სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის მეურვეობის საკითხის გადაწყვეტა პირდაპირაა დადგენილი მიჩიგანის სუროგაციის კანონით - 1988 წლის 199 კანონი სუროგაციის შესახებ (Surrogate Parenting Act) Michigan Compiled Laws: §22.861.

⁵¹¹ Snyder H. S., United States of America, in: *International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level*, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 390. მითითებული *Arredondo v Nodelman*, 622 NYS 2d 181, 1994.

⁵¹² Knaplund S. K., *Children of Assisted Reproduction*, University of Michigan Journal of Law Reform, Vol. 45, issue 4, 2012, 934.

ხელშეწყობა. სუროგაციის ხელშეკრულების საფუძველზე დაბადებული ბავშვის იურიდიულ დედად მიიჩნევა სუროგატი დედა, ხოლო მამად – სუროგატი დედის მეუღლე, თუ სუროგატი დაქორწინებულია⁵¹³.

➤ ინდიანაში სუროგაციის ხელშეკრულებები ბათილია და მათი რომელიმე პირობის აღსრულება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს. სასამართლოს გადანყვეტილება არ შეიძლება დაეფუძნოს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს მხოლოდ იმ მტკიცებულების საფუძველზე, რომ სუროგატმა და ნებისმიერმა სხვა პირმა გაათავონ სუროგაციის ხელშეკრულება ან იმოქმედეს ამ ხელშეკრულების შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მხარე დაამტკიცებს, რომ ხელშეკრულება დადებული იქნა იძულების, მოტყუების ან შეცდომაში შეყვანის გზით.⁵¹⁴

➤ ოჰაიოში სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის მშობლებად კანონი განიხილავს სუროგატს, როგორც ბავშვის გამჩენსა და მის მეუღლეს⁵¹⁵.

როგორც აღინიშნა, ზემოაღნიშნული შტატების კანონები შემოიფარგლებიან მხოლოდ სუროგაციის აკრძალვებით და არ აწესებენ სანქციებს სუროგაციის განხორციელებისათვის. ამასთან, საყურადღებოა ის გარემოება, რომ შტატში კანონის ძალით არსებული აკრძალვების მიუხედავად, კანონის მიდგომისგან განსხვავებულია ზოგიერთი სასამართლოს დამოკიდებულება გესტაციური სუროგაციის მიმართ. მაგ., არიზონას სააპელაციო სასამართლომ 1994 წელს საქმეში *სუსი უმალღესი სასამართლოს წინააღმდეგ (Soos v. Superior Court)*⁵¹⁶ დაადგინა, რომ „არიზონას სუროგაციის მარეგულირებელი კანონმდებლობით დაირღვა ამერიკის შეერთებული შტატებისა და არიზონას კონსტიტუციით გარანტირებული თანაბარი მოპყრობის სტანდარტი იმით, რომ პოტენციურ დედასა და იმავდროულად გენეტიკურ მშობელს არ ჰქონდა შესაძლებლობა, დაემტკიცებინა სუროგატის მიერ გაჩენილი ბავშვის დედობა გენეტიკური ტესტირებით, მაშინ, როდესაც მამობის გენეტიკურად დადასტურების შესაძლებლობა გააჩნდა გენეტიკურ მამას“⁵¹⁷. კანონით აკრძალვის მიუხედავად ინდიანაში ზოგიერთი სასამართლო მაინც ახდენს

⁵¹³ Arizona Revised Statutes § 25-218 (A), 2007.

⁵¹⁴ Indiana Code § 31-20-1-1, 2008.

⁵¹⁵ Ohio Revised Code §3111.89-98.

⁵¹⁶ *Soos v. Superior Court ex rel Cnty. of Maricopa*, 897 P.2d 1356 (Ariz. Ct. App. 1994).

⁵¹⁷ Mortazavi S., *It Takes a Village to Make a Child: Creating Guidelines for International Surrogacy*, *Georgetown Law Journal*, Vol. 100, Issue 6, 2012, 2259.

გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულებების საფუძველზე პოტენციური მშობლების იურიდიული მშობლების სტატუსის დამდგენი „დაბადებისწინა ორდერის“⁵¹⁸ გაცემას, თუ ბავშვი გენეტიკურადაა დაკავშირებული პოტენციურ მშობელთან⁵¹⁹. ოჰაიოს სასამართლოს 2007 წლის გადაწყვეტილებით⁵²⁰ კი დადგინდა, რომ ოჰაიოში სუროგაციის ხელშეკრულებების საწინააღმდეგოდ გამოკვეთილი საჯარო წესრიგის არარსებობის პირობებში „საჯარო წესრიგი არ ირღვევა გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულების დადებით, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, როდესაც ხელშეკრულების პირობით გესტაციურ სუროგატს მოეთხოვება, არ განაცხადოს მშობლის უფლებები ბავშვზე, რომელსაც იგი ატარებს და რომელიც სხვა ქალის ხელოვნურად განაყოფიერებული კვერცხუჯრედის შედეგია“⁵²¹.

3. სუროგაციის მიმართ შედარებით ნეიტრალური დამოკიდებულების მქონე ქვეყნები

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება ქვეყნები, რომელთაც შედარებით ნეიტრალური დამოკიდებულება აქვთ სუროგაციასთან მიმართებით. აღნიშნული ჯგუფი, თავის მხრივ, აერთიანებს სამ ქვეჯგუფს:

(1) ქვეყნები, სადაც სუროგაცია რეგულირებულია, თუმცა, დაშვებულია მხოლოდ ალტრუისტული სუროგაცია (მაგალითად გაერთიანებული სამეფო, საბერძნეთი, ავსტრალია და სამხრეთ აფრიკა, აშშ-ის შტატებიდან ვირჯინია, ფლორიდა და ვაშინგტონი)⁵²²;

(2) ქვეყნები, სადაც სუროგაცია საერთოდ არ არის რეგულირებული, თუმცა, რეგულაციების არარსებობის მიუხედავად სუროგაციასთან დაკავშირებული გარიგებები ზოგიერთ შემთხვევაში აღუსრულებადია და კომერციული სუროგაცია სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასაც შეიძლება იწვევდეს (მაგალითად ნიდერლანდები).

⁵¹⁸ pre-birth parentage order.

⁵¹⁹ გესტაციური სუროგაცია ინდიანას შტატში, მომზადებულია 2016 წელს ინდიანას შტატში პრაქტიკოსი ადვოკატების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე. იხ. <<https://www.creativefamilyconnections.com/us-surrogacy-law-map/indiana/>>[15.09.2017].

⁵²⁰ *J.F. v. D.B.*, 116 Ohio St.3d 363, 2007-Ohio-6750.

⁵²¹ იქვე.

⁵²² აღსანიშნავია, რომ იურისდიქციების მიხედვით განსხვავებულად განისაზღვრება ალტრუისტული სუროგაციის შემთხვევები - სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა განხვავებულ რეგულაციებს გვთავაზობს, თუ რა სახის გადასახდელებისა თუ ხარჯების გადახდა დაშვებული სუროგატი დედისათვის.

(3) სუროგაციის უნიკალური სამართლებრივი რეგულაციების მქონე ქვეყანა - ისრაელი, რომელიც გვთავაზობს სუროგაციის მომწესრიგებელ განსხვავებულ მოდელს. ამდენად, მიზანშეწონილია, მისი დამოუკიდებლად განხილვა.

3.1. ქვეყნები, სადაც სუროგაცია რეგულირებულია, თუმცა დაშვებულია მხოლოდ ალტრუისტული სუროგაცია

ამ ფორმით სუროგაცია დაშვებულია გაერთიანებულ სამეფოში, საბერძნეთში, სამხრეთ აფრიკაში, ავსტრალიის შტატებისა და ტერიტორიების უმრავლეს ნაწილში, ახალ ზელანდიასა და აშშ-ის რამდენიმე შტატში (მაგ., ვაშინგტონი, ვირჯინია და ფლორიდა). „ამ ქვეყნებში არსებული პოლიტიკის მიზანი კომერციული სუროგაციის აკრძალვა და სუროგაციის შეზღუდვაა ალტრუისტული ფორმის შეთანხმებებით“⁵²³. თუმცა, „ალტრუისტული სუროგაცია“, რომლის არსიც ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით სუროგატი დედისათვის ნებისმიერი გადასახადის გადახდის აკრძალვაა, განსხვავებულად განისაზღვრება ჯგუფში განხილული სახელმწიფოების კანონებით. უმეტეს შემთხვევაში კანონები დასაშვებად მიიჩნევენ სუროგატი დედისათვის მხოლოდ ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებული გონივრული ხარჯების გადახდას. გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობა არ აკონკრეტებს, თუ რას მოიცავს „გონივრული ხარჯები“, მაშინ, როდესაც, მაგალითისათვის, საბერძნეთისა და სამხრეთ აფრიკის კანონმდებლობით „გონივრული ხარჯები“ პირდაპირ განისაზღვრება, უშუალოდ უკავშირდება სუროგატი დედის ხელოვნურ განაყოფიერებას, მის ორსულობასა და მშობიარობას და შესაძლებელია მოიცავდეს ხელფასის დანაკარგს ან მიუღებელ შემოსავალსაც⁵²⁴.

ჯგუფში განხილული ქვეყნების კანონების არსებითი მახასიათებელი, ასევე, ისაა, რომ უნდა არსებობდეს სუროგაციის მონაწილე მხარეების ან რომელიმე მათგანის კავშირი კონკრეტულ სახელმწიფოსთან, რაც გამოიხატება პოტენციური მშობლების ანდა სუროგატი დედის საცხოვრებელ

⁵²³ Trimmings K., Beaumont P., General Report on Surrogacy, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 454.

⁵²⁴ საბერძნეთისა და სამხრეთ აფრიკის კანონებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან დაკავშირებით დეტალურად იხ. წინამდებარე თავის 3.1.1. ქვეთავი.

ადგილის შესახებ მოთხოვნების დანესებით. მაგ., საბერძნეთში სავალდებულოა როგორც პოტენციური მშობლების, ასევე, სუროგატი დედის საცხოვრებელი ადგილის არსებობა საბერძნეთში. ავსტრალიის უმრავლეს იურისდიქციაში (შტატები, ტერიტორიები) მოთხოვნა საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით წესდება ორივე პოტენციური მშობლის მიმართ, მაშინ, როდესაც გაერთიანებულ სამეფოში საკმარისია, მოთხოვნას აკმაყოფილებდეს ერთი პოტენციური მშობელი მაინც. ამ სამართლებრივი რეგულაციების მიზანს წარმოადგენს ე.წ. რეპროდუქციული ტურიზმის ხელშეშლა და სახელმწიფოს მიერ კანონით დაშვებულ სუროგაციაზე წვდომის უფლების მინიჭება ძირითადად მხოლოდ საკუთარი რეზიდენტებისთვის.

განსხვავებული შეიძლება იყოს პოტენციური მშობლების მიერ მშობლის იურიდიული სტატუსის დადგენის ანუ სუროგაციის რეალურად აღსრულების სამართლებრივი გზები. ზოგიერთ ქვეყანაში კანონით დასაშვები სუროგაციის განხორციელებისას პოტენციური მშობლების მიერ იურიდიული მშობლის სტატუსის მოსაპოვებლად სავალდებულოა ბავშვის დაბადებამდე სასამართლოს მიერ მშობლის ორდერის გაცემა⁵²⁵ ან სპეციალური ორგანოს თანხმობა⁵²⁶. ზოგიერთ ქვეყანაში კი, სასამართლოს ორდერის გაცემა წარმოებს ბავშვის დაბადების შემდგომ და წინასწარი თანხმობა სუროგაციის განსახორციელებლად არ მოითხოვება⁵²⁷.

ადგილობრივი კანონმდებლობის რეგულაციების ხასიათის მიხედვით ქვეყანათა ეს ქვეჯგუფი, თავის მხრივ, შეიძლება პირობითად დაიყოს ორ ჯგუფად: (1) ქვეყნები, სადაც სავალდებულოა სასამართლოს წინასწარი თანხმობა ალტრუისტული სუროგაციის განსახორციელებლად და (2) ქვეყნები, სადაც ალტრუისტული სუროგაციის განსახორციელებლად სასამართლოს თანხმობა არ მოითხოვება.

3.1.1. ქვეყნები, სადაც სავალდებულოა სასამართლოს წინასწარი თანხმობა ალტრუისტული სუროგაციის განსახორციელებლად

კვლევის ფარგლებში შესწავლილი სახელმწიფოებიდან ამ ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება საბერძნეთი, სამხრეთ აფრიკა და აშშ-იდან ვირჯინიის შტატი. ამ იურისდიქციებში სუროგაციის განხორციელებაზე წინასწარი

⁵²⁵ მაგ., საბერძნეთი და სამხრეთ აფრიკა.

⁵²⁶ მაგ., დასავლეთ ავსტრალია, ავსტრალიის ვიქტორიის შტატი.

⁵²⁷ მაგ., გაერთიანებული სამეფო და ავსტრალიის შტატების უმრავლესობა.

თანხმობა უნდა განაცხადოს სასამართლომ „განაცოფიერების პროცესის დაწყებამდე კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადასტურების თვალსაზრისით. მხოლოდ ასეთი თანხმობის მიღების შემდგომ ეძლევათ მხარეებს უფლებამოსილება, დაიწყონ სუროგაციის პროცედურები“⁵²⁸.

3.1.1.1. საბერძნეთი და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა

საბერძნეთისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის (შემდგომში „სამხრეთ აფრიკა“) კანონმდებლობა სრულად ანესრიგებს ალტრუისტულ სუროგაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამასთან, ვინაიდან სუროგაციის რეგულირების სამართლებრივი ასპექტების ძირითადი ნაწილი ორივე ამ ქვეყანაში ერთმანეთის მსგავსია, მიზანშეწონილია, ამ ორი სახელმწიფოს სუროგაციის მომწესრიგებელი სამართლებრივი რეგულაციების ერთობლივად განხილვა.

ა. საბერძნეთი

საბერძნეთი იმ ქვეყანათა შორისაა და მიიჩნევა, რომ ერთადერთია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის, რომელსაც გააჩნია სუროგაციის მომწესრიგებელი სრული სამართლებრივი რეგულაცია.⁵²⁹ საბერძნეთის სუროგაციის კანონმდებლობა ძირითადად ორ კანონს მოიცავს: 2002 წლის №3089/2002 კანონი „სამედიცინო ხელშეწყობით რეპროდუქციის შესახებ“ და 2005 წლის №3305/2005 კანონი „სამედიცინო ხელშეწყობით რეპროდუქციის გამოყენების შესახებ“⁵³⁰. ამ კანონებით განხორციელდა ცვლილებები საბერძნეთის საოჯახო სამართლის მარეგულირებელ სამოქალაქო კოდექსის ნორმებში⁵³¹.

⁵²⁸ Trimmings K., Beaumont P., General Report on Surrogacy in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 459.

⁵²⁹ Comparative Analysis of Medically Assisted Reproduction in the EU: Regulation and Technologies (SANCO/2008/C6/051), Final Report. <http://ec.europa.eu/health/blood_tissues_organs/docs/study_eshre_en.pdf> [15.09.2017].

⁵³⁰ Rokas K. A., Greece, The Greek Legal Framework for Surrogacy, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 144.

⁵³¹ Hatzis N. A., The Regulation of Surrogate Motherhood in Greece, 2010, 4. <<http://ssrn.com/abstract=1689774>> [15.09.2017].

მიიჩნევენ, რომ 2002 წელს „პრო-ნატალური“⁵³² კანონმდებლობის შემუშავებით, კერძოდ „სამედიცინო ხელშეწყობით რეპროდუქციის შესახებ“ კანონის მიღებით, რომელიც დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებთან, მათ შორის სუროგაციასთან, დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს, საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსის საოჯახო სამართლის დებულებებში რადიკალური რეფორმა განხორციელდა. „უშვილობის მკურნალობასა და რეპროდუქციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ რეგულაციებთან ერთად კანონმა, ასევე განსაზღვრა დებულებები სუროგაციის დაშვებისა და მისი *ex-ante*⁵³³ ხელშეწყობის შესახებ“⁵³⁴. აღნიშნული, საბერძნეთისათვის ინოვაციური, ნორმების შემუშავება რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით იყო განპირობებული. მათ შორის, მიიჩნეოდა, რომ აბსოლუტურ აკრძალვებთან შედარებით უმჯობესი იქნებოდა რეპროდუქციულ სფეროში სამედიცინო საქმიანობის მართვა და, შესაბამისად, სუროგაციის განსაზღვრული პირობებით დაშვება. რადიკალური ცვლილებების განხორციელების უკან არსებული ძირითადი იდეის ერთ-ერთ მიზეზს, ასევე, წარმოადგენდა ქვეყანაში შვილოსნობის ძალზე დაბალი მაჩვენებელი⁵³⁵.

2005 წელს „სამედიცინო ხელშეწყობით რეპროდუქციის გამოყენების“ შესახებ კანონით უფრო მეტად დაზუსტდა სუროგაციის დასაშვებობასთან დაკავშირებული დებულებები, განისაზღვრა მისი შინაარსი და სუროგატი დედისათვის გადასახდელი „გონივრული ხარჯები“, ასევე დანესდა სისხლის

⁵³² ნატალური - „შობადობასთან დაკავშირებული“; „პრო-ნატალური“ - შობადობის მომხრე. „პრო-ნატალური კანონმდებლობა“ (“pro-natalist legislation”) იხ. Rokas A. K., Greece, The Greek Legal Framework for Surrogacy, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 144.

⁵³³ *ex ante* - „წინარე“, „მოვლენამდე“.

⁵³⁴ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 41.

⁵³⁵ Rokas A. K., Greece, The Greek Legal Framework for Surrogacy, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 144. მითითებულია: Nygren K. and Lazdane G., Current trends of Fertility – Infertility – in Europe, 2006, 63 *Entre nous*, The European magazine for Sexual and Reproductive Health 10; Gautier J., Human Rights Considerations in Addressing Low Fertility, 2006, 63 *Entre nous*, The European magazine for Sexual and Reproductive Health 8; The ESHRE Capri Workshop Group, Europe the Continent with the Lowest Fertility, Human Reproduction Update, Advance Access published 4 July 2010, 1,3,8.

სამართლებრივი და სამოქალაქო სანქციები კანონმდებლობის დარღვევისათვის⁵³⁶.

მიიჩნევენ, რომ „თუ შედარებას მოვახდენთ ევროკავშირის სხვა ქვეყნებში არსებულ სამართლებრივ მდგომარეობასთან, ბერძენმა კანონმდებელმა სუროგაციის დაშვებითა და სამართლებრივი რეგულირებით განახორციელა უპრეცედენტო ნაბიჯი, დაუდგინა რა ინოვაციური და წინააღმდეგობრივი რეჟიმი საბერძნეთის სხვაგვარად კონსერვატიულ საზოგადოებას, რომელიც კვლავ იმყოფება მართლმადიდებელი ეკლესიისა და „ტრადიციის“ დოქტრინის ზეგავლენის ქვეშ“⁵³⁷. „ბერძნული საზოგადოება ზოგადად ხასიათდება იმით, რომ მასში ძლიერია დამოკიდებულება ოჯახის, მორალისა და რელიგიის ტრადიციული ნორმებისა და ძლიერი შიდა-ოჯახური კავშირების ღირებულების მიმართ. ტრადიციული ნორმის შესაბამისად „ტრადიციული ოჯახი“ შედგება ორი ჰეტეროსექსუალი, ქორწინებაში მყოფი მშობლისგან, სადაც ერთი ან რამდენიმე ბავშვი გენეტიკურადაა დაკავშირებული მშობლებთან და მოვლენილია ბუნებრივი ჩასახვისა და დაბადების შედეგად“⁵³⁸.

ალტრუისტული და გესტაციური სუროგაციის საბერძნეთის კანონით დასაშვები პროცესის განმარტება მოცემულია საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსში, რომლის შესაბამისადაც „სუროგაცია არის სხვა ქალის სხეულში იმ განაყოფიერებული კვერცხუჯრედების გესტაციის მიზნით გადატანა, რომლებიც არ ეკუთვნის სუროგატ დედას. ეს დაშვებულია, როდესაც არსებობს წერილობითი ხელშეკრულება, გაფორმებული ნებისმიერი ფინანსური სარგებლის გარეშე, ბავშვის ყოლის მსურველ პირს/პირებსა და სუროგატ დედას, ასევე მის მეუღლეს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შორის. სასამართლოს ნებართვა გაიცემა გადატანისა და იმ ქალის განცხადების წარდგენის შემდგომ, რომელსაც სურს შვილის ყოლა შემდეგი პირობის არსებობის შემთხვევაში: წარდგენილია იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ სამედიცინო მიზეზების გამო პოტენციურ დედას არ გააჩნია ნაყოფის ტარების/ბავშვის გაჩენის შესაძლებლობა და, რომ ქალი, რომელიც ახდენს სუროგატი დედობის შეთავაზებას, ამისათვის შესაბამისია

⁵³⁶ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 41.

⁵³⁷ იქვე, 279.

⁵³⁸ იქვე.

მისი ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით⁵³⁹.

ბ. სამხრეთ აფრიკა

მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივად 2010 წლამდე სუროგაცია, უფრო კონკრეტულად, სუროგაცია, როგორც უშვილობის მკურნალობა სამედიცინო ტექნოლოგიის მეთოდით, პირდაპირ არ იყო კანონმდებლობით რეგულირებული⁵⁴⁰, იგი გარკვეულწილად დასაშვებად მიიჩნეოდა სამხრეთ აფრიკის კონსტიტუციის 12(2) (ა)-(ბ) მუხლებიდან გამომდინარე, რომლებიც განსაზღვრავდნენ თვითგამორკვევისა და რეპროდუქციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების უფლებას. 2005 წელს მიღებული იქნა კანონი ბავშვთა შესახებ⁵⁴¹, რომლითაც განისაზღვრა სუროგაცია, როგორც უშვილობის მკურნალობის ფორმა, თუმცა კანონით არ მომხდარა სუროგაციით სარგებლობასთან დაკავშირებული საკითხების სამართლებრივად მოწესრიგება. აღნიშნული საკითხები დარეგულირდა 2010 წელს, როდესაც განხორციელდა ცვლილებები ბავშვთა შესახებ კანონის მე-19 თავში⁵⁴².

⁵³⁹ საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსის 1458 მუხლი. იხ. Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 282.

⁵⁴⁰ 2003 წლიდან სამხრეთ აფრიკაში უშვილობის მკურნალობასა და რეპროდუქციულ ტექნოლოგიების სამართლებრივ რეგულაციებთან დაკავშირებით მოქმედებს 2003 წლის კანონი „ეროვნული ჯანმრთელობის შესახებ“ (National Health Act 2003), რომელიც სუროგაციას პირდაპირ არ აწესრიგებს.

⁵⁴¹ Children's Act [No. 38 of 2005].

⁵⁴² Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 41. ცვლილებების განხორციელებამდე სამხრეთ აფრიკამ მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო 1987 წელს, როდესაც ბებია პეტ ენტონიმ (Pat Anthony) გაუწია სუროგაციული მომსახურება საკუთარ შვილს და გახდა მსოფლიოში პირველი სუროგატი დედა, რომელმაც სუროგაციის შედეგად გააჩინა სამტყუპი. სუროგაციასთან დაკავშირებით სამხრეთ აფრიკაში სამართლებრივი გაურკვევლობის გამო საქმის გარემოებების შესწავლას შეუდგა კანონის რეფორმის კომისია (Law Reform Commission), რომელმაც მიიღო ორი დოკუმენტი: 1991 წლის სამუშაო დოკუმენტი 38: „სუროგატული დედობა“ (Working Paper 38; Surrogate Motherhood) და 1993 წლის „სუროგატული დედობის შესახებ ანგარიში“ (Report on Surrogate Motherhood). იხ. Slabbert M., Roodt C., South Africa, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 326.

აღსანიშნავია, რომ სამხრეთ აფრიკაში „ბავშვთა შესახებ“ ზემოაღნიშნულ კანონთან ერთად სუროგაციასთან დაკავშირებულ გარკვეულ ასპექტებს აწესრიგებს 2003 წლის კანონი „ეროვნული ჯანმრთელობის შესახებ“⁵⁴³, ისევე, როგორც „დაახლოებით 30 წლის წინ მიღებული „ადამიანის ქსოვილების შესახებ“ კანონის დებულებები“⁵⁴⁴. ამდენად, ის ფაქტი, რომ, სუროგაციასთან, როგორც დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიის ერთ-ერთ სახეობასთან, დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის მომწესრიგებელი ნორმები ასახულია რამდენიმე ისეთ კანონში, რომელთა მიღების თარიღებს შორის ხანგრძლივი ინტერვალია, წარმოადგენს პრაქტიკულ პრობლემას მისი სრულყოფილი სამართლებრივი მოწესრიგების თვალსაზრით.

გ. საბერძნეთისა და სამხრეთ აფრიკის სუროგაციის მომწესრიგებელი კანონმდებლობის ძირითადი ასპექტები

საბერძნეთსა და სამხრეთ აფრიკაში სუროგაციის კანონმდებლობისათვის დამახასიათებელია მოდელი, რომლის მიხედვითაც (1) სუროგაციის ხელშეკრულების აღსრულებისათვის მოითხოვება ამ ხელშეკრულების სასამართლოს მიერ წინასწარი დადასტურება - ავტორიზაცია, რაც სავალდებულო წესით უნდა განხორციელდეს სუროგატი დედის დაორსულებამდე⁵⁴⁵; და (2) ასეთი ავტორიზაციის შემდგომ ბავშვის დაბადების შემთხვევაში არ მოითხოვება სასამართლოს ან სახელმწიფოს სხვა ორგანოს შემდგომი თანხმობა სუროგატი დედისგან პოტენციური მშობლის/მშობლებისათვის იურიდიული მშობლის სტატუსის გადასაცემად⁵⁴⁶. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ თუ სუროგაციის ხელშეკრულება კანონმდებლობით დადგენილი წესით დადასტურებულია სასამართლოს მიერ ბავშვის დაბადებამდე, ბავშვის დაბადების შემდგომ რაიმე სახის

⁵⁴³ National Health Act 2003.

⁵⁴⁴ Human Tissue Act. იხ. Slabbert M., Roodt C., South Africa, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 327.

⁵⁴⁵ თუმცა, არსებობს შემთხვევა, როდესაც ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპის გათვალისწინებით, საბერძნეთში სასამართლომ მოახდინა სუროგაციის ხელშეკრულების დადასტურება სუროგატის დაორსულების შემდგომ. თესალონიკის პირველი ინსტანციის ერთი წევრი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმის ნომერი 27035/2003. იხ. Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 40.

⁵⁴⁶ იქვე.

სასამართლო პროცესის წარმოება არ ხდება.⁵⁴⁷ ეს მოდელი განსხვავდება „შვილად აყვანასა და ბავშვის დაბადების შემდგომ სასამართლოს მიერ გასაცემ მშობლის ორდერისგან“⁵⁴⁸ იმით, რომ არ საჭიროებს სუროგატი დედის მიერ სუროგაციის შედეგად ბავშვის გაჩენის შემდგომ მშობლის სტატუსის გადაცემას⁵⁴⁹ და „სასამართლოს მიერ სუროგაციის ხელშეკრულების დადასტურების მომენტიდან პოტენციური მშობლებისათვის წარმოშობის განსაზღვრულობის მაღალ ხარისხს მათ სამომავლო მშობლის სტატუსთან დაკავშირებით“⁵⁵⁰.

საბერძნეთში იმ პრეზუმციის არსებობას, რომ გესტაციური სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის დედად ივარაუდება პოტენციური დედა, მიიჩნევენ, ასევე, ბავშვის ინტერესების შესაბამისადაც, ვინაიდან „ამით ბავშვის დაბადების მომენტიდან განისაზღვრება ნათესაური კავშირი სუროგატის მიერ გაჩენილ ბავშვსა და ქალს შორის, რომელსაც „უნდა ბავშვი“⁵⁵¹. შესაბამისად, რეგულაციები, რომლითაც ბავშვის დაბადების შემდგომ დამატებით არ მოითხოვება სასამართლოს ან რომელიმე სხვა

⁵⁴⁷ ეს პირდაპირაა დადგენილი ბავშვთა შესახებ კანონის 297 (1) (ა) მუხლით, რომლის შესაბამისადაც ნამდვილი სუროგაციის ხელშეკრულების შედეგად დაბადებული ბავშვი ყველა მიზნისათვის განიხილება პოტენციური მშობლის/მშობლების შვილად ბავშვის დაბადების მომენტიდან. იხ. Slabbert M., Roodt C., South Africa, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 338. მეორე მხრივ, საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსის 1464-ე მუხლის შესაბამისად ქალი, რომელიც მიიღებს სასამართლოს ავტორიზაციას სუროგაციაზე, განიხილება ბავშვის დედად. იგივე კოდექსის 1465-ე მუხლის თანახმად, თუ იგი დაქორწინებულია, ბავშვის მამად განიხილება მისი მეუღლე (ქმარი), ხოლო თუ არ იმყოფება ქორწინებაში, ბავშვის მამად განიხილება მისი პარტნიორი, თუ ამ უკანასკნელმა განაცხადა თანხმობა ნოტარიუსის წინაშე (სამოქალაქო კოდექსის 1456, 1463, 1475 მუხლები). იხ. Rokas A. K., Greece, The Greek Legal Framework for Surrogacy, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 148.

⁵⁴⁸ შესაბამისად, იგი განსხვავებულია დიდ ბრიტანეთსა და ავსტრალიის სხვადასხვა იურისდიქციაში არსებული მოდელისგან, სადაც მშობლის იურიდიული სტატუსის მინიჭება პოტენციური მშობლებისათვის წარმოებს ბავშვის დაბადების შემდგომ სასამართლოს მიერ გაცემული მშობლის ორდერის საფუძველზე. გაერთიანებული სამეფოსა და ავსტრალიის სუროგაციის კანონმდებლობის ანალიზი იხილეთ წინამდებარე თავის 3.1.2.1. ქვეთავში.

⁵⁴⁹ Stoll J., Surrogacy Arrangements and Legal Parenthood: Swedish Law in a Comparative Context, Uppsala, 2013, 219.

⁵⁴⁹ Schuz R., The Right to Parenthood: Surrogacy and Frozen Embryos, in: International Survey of Family Law, Edited by A. Bainham, 1996, 275.

⁵⁵⁰ Stoll J., Surrogacy Arrangements and Legal Parenthood: Swedish Law in a Comparative Context, Uppsala, 2013, 316.

⁵⁵¹ Kounougeri-Manoledaki E., Surrogate Motherhood in Greece (according to the new law on assisted reproduction) in: The International Survey of Family Law, Edited by A. Bainham, Athens-Thessaloniki, 2005, 273-274.

სახელმწიფო ორგანოს თანხმობა მშობლის სტატუსის მისანიჭებლად, უფრო მეტად ახდენს ორიენტირებას ბავშვის ინტერესებზე და ნაკლებად წარმოადგენს შვილად აყვანის ალტერნატივას. შვილად აყვანისგან განსხვავებით, სადაც ბავშვის გამჩენი ქალის თანხმობა ბავშვის გაშვილებაზე სავალდებულო პირობაა, გესტაციური სუროგაციის შემთხვევაში ბავშვის დაბადებისთანავე მის ერთადერთ იურიდიულ დედად მიიჩნევა პოტენციური დედა და ამ სტატუსის დადგენისათვის არ არის საჭირო სუროგატი დედის შემდგომი თანხმობის მოპოვება. შესაბამისად, სუროგაციის შედეგად დაბადებულ ბავშვს ჰყავს მხოლოდ ერთი იურიდიული დედა - პოტენციური დედა „სასამართლოს შემდგომი ჩარევისა და სხვა ნებისმიერ „დედასთან“ რაიმე სამართლებრივი კავშირის გარეშე“⁵⁵².

ამასთან, ორივე განხილულ იურისდიქციაში სასამართლოს მიერ სუროგაციის ხელშეკრულების *ex-ante* დადასტურება წარმოადგენს სუროგაციის ადმინისტრაციული კონტროლის ერთადერთ მექანიზმს და ამგვარი დადასტურების შემდგომ სუროგაციის ხელშეკრულების აღსრულების ადმინისტრაციული მონიტორინგი არ ხორციელდება⁵⁵³. არსებობს მოსაზრება, რომ ამ კონტროლის არარსებობა მოდელის სუსტ მხარედ მიიჩნევა როგორც სუროგაციის მონაწილე მხარეთა, ასევე ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით⁵⁵⁴, რაც არ უნდა იქნას გაზიარებული, ვინაიდან სუროგაციის ხელშეკრულების მხარეების კერძო ავტონომიის პრინციპის თვალსაზრისით არ იქნებოდა მიზანშეწონილი სუროგაციის ხელშეკრულების შესრულებისათვის არსებული მოთხოვნების საჯაროსამართლებრივი ელემენტებით დიდი დოზით გაჯერება.

კანონმდებლობა, ასევე აწესებს მოთხოვნებს, რომელთა დაკმაყოფილება აუცილებელია მოსამართლის წინაშე სუროგაციის ხელშეკრულების სასამართლოსეული დადასტურებისათვის. მაგალითად, სუროგაციის, როგორც უშვილობის პრობლემის გადაჭრის საშუალების, გამოყენების საჭიროება დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი სამედიცინო ჩვენებით და პროცესში ჩართულმა ყველა მხარემ უნდა

⁵⁵² იქვე.

⁵⁵³ ამ თვალსაზრისით საბრძნეთსა და სამხრეთ აფრიკაში არსებული მოდელი განსხვავდება ისრაელის მოდელისგან, სადაც სახელმწიფო კომიტეტის მიერ სუროგაციის ხელშეკრულების ავტორიზაციის შემდგომ სახელმწიფო ახორციელებს სუროგაციის აღსრულების ადმინისტრაციულ ზედამხედველობას. ისრაელის კანონმდებლობის ანალოგი იხილეთ წინამდებარე თავის 3.3. ქვეთავში.

⁵⁵⁴ Stoll J., Surrogacy Arrangements and Legal Parenthood: Swedish Law in a Comparative Context, Uppsala, 2013, 317.

განაცხადოს ინფორმირებული თანხმობა სუროგაციის ხელშეკრულების პირობების მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთისა და სამხრეთ აფრიკის კანონმდებლობა ძირეულად მსგავსია, არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებებიც. მაგალითად, საბერძნეთის კანონმდებლობით დაშვებულია მხოლოდ გესტაციური სუროგაცია, რომელიც შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ პოტენციური მშობლების - ჰეტეროსექსუალი წყვილის ან პოტენციური დედის - მარტოხელა ქალის მიერ, მაშინ, როდესაც სამხრეთ აფრიკის კანონმდებლობა ამ სუროგაციის დასაშვები ფორმისა და პოტენციურ მშობლებთან დაკავშირებული მოთხოვნების დაწესებისას უფრო ლიბერალურია და ითვალისწინებს როგორც გესტაციური, ასევე ტრადიციული სუროგაციის განხორციელების შესაძლებლობასაც იმ პირობით, რომ ეს პროცედურა ჩატარდება სამედიცინო დაწესებულებაში, ისევე როგორც დასაშვებად მიიჩნევა სუროგაციის განხორციელებას ერთნაირსქესიანი წყვილისა ან მარტოხელა მამაკაცის მიერ.

განსხვავებულად რეგულირდება როგორც სუროგაციის განხორციელების ვადებთან, სუროგაციის კანონმდებლობის დარღვევაზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არსებობასთან, ასევე, სუროგაციის ხელშეკრულების ავტორიზაციის შესახებ საქმის განმხილველი მოსამართლის ფუნქციასა და უფლებამოსილებასთან დაკავშირებული საკითხები: სამხრეთ აფრიკის კანონმდებლობით სუროგაციის სამედიცინო პროცედურა უნდა განხორციელდეს სასამართლოს მიერ სუროგაციის ხელშეკრულების ავტორიზაციაზე გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 18 თვისა, საბერძნეთში კი მსგავსი შეზღუდვა არ წესდება⁵⁵⁵. სამხრეთ აფრიკისგან განსხვავებით, სადაც არ არსებობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სუროგაციის კანონის დარღვევისათვის, საბერძნეთში მკაცრი სანქციებია: არანაკლებ 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა არანაკლებ 1500 ევროს ოდენობით⁵⁵⁶.

⁵⁵⁵ სამხრეთ აფრიკის ბავშვთა შესახებ კანონის მე-19 თავის მუხლი 296. იხ. Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 47.

⁵⁵⁶ Rokas A. K., Greece, The Greek Legal Framework for Surrogacy, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 145; Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens'

რაც შეეხება სუროგაციის ხელშეკრულების განმხილველი მოსამართლის ფუნქციებსა და უფლებამოსილების ფარგლებს, საბერძნეთში მოსამართლის ფუნქცია შეზღუდულია იმით, რომ ფორმალურად ახდენს მოთხოვნების საფუძვლიანობის დადგენას, მაშინ, როდესაც სამხრეთ აფრიკაში სასამართლოს როლი უფრო მეტად საგამომძიებლო და დისკრეციულია ვინაიდან, მოსამართლემ უნდა გამოიკვლიოს სუროგაციის მოტივაცია და უზრუნველყოს, რომ მოთხოვნები დაკმაყოფილებულია⁵⁵⁷. მაგ., სამხრეთ აფრიკის სასამართლომ განუსაზღვრელი ვადით გადაავადა სუროგაციული ხელშეკრულების დადასტურების შესახებ წარდგენილი განაცხადების განხილვა იმ მიზეზით, რომ პოტენციური მამების ფსიქოლოგიური ონლაინ შემოწმება მიუღებლად იქნა მიჩნეული, რაც განამტკიცებდა „შეკვეთით ახალშობილთა ვაჭრობის“ შთაბეჭდილებას⁵⁵⁸. გადანყვეტილებამ მიუთითა, რომ სასამართლოს მიერ ხელშეკრულების დადასტურება არ არის მხოლოდ „რეზინის შტამპი“ და სასამართლო, საქმეში არსებული გარემოებების გათვალისწინებით, დასაბადებელი ბავშვის ინტერესებს მიანიჭებს პირველხარისხოვან მნიშვნელობას⁵⁵⁹.

საბერძნეთში სასამართლო წარმოების ზემოაღნიშნული მოდელის არსებობა გარკვეულ პრობლემებს ქმნის. ის გარემოება, რომ საბერძნეთში სუროგაციის ხელშეკრულების განხილვისას სასამართლო განხილვა „ფორმალური ბიუროკრატიული პროცესია“, სადაც არ ხდება გარემოებების დამატებითი შესწავლა და გამოკვლევა (უფრო მეტიც, ჰატზისის (Hatzis) აზრით, მოსამართლის მიერ მიღებული გადანყვეტილებები ემსგავსება ადმინისტრაციულ, და არა სასამართლო გადანყვეტილებებს), უმრავლეს შემთხვევაში შედეგად იწვევს იმას, რომ სუროგაცია არ ხორციელდება ალტერნატიული მიზნით, რაც პირდაპირ იკრძალება კანონით⁵⁶⁰.

Rights and Constitutional Affairs, 2013, 48.

⁵⁵⁷ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 40-41.

⁵⁵⁸ Slabbert M., Roodt C., South Africa, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 333. მითითებულია: Ex Parte Applications for the Confirmation of Three Surrogate Motherhood Agreements (GSJ), Unreported case no 2011/153, 2011/154, 2011/679, 2011/1314, 2011/1315, 2011/1316, 1-3-2011.

⁵⁵⁹ Slabbert M., Roodt C., South Africa, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 333.

⁵⁶⁰ Hatzis A. N., The Regulation of Surrogate Motherhood in Greece, 2010, 6.

საბერძნეთისა და სამხრეთ აფრიკის სუროგაციის კანონმდებლობებში არსებული, ძირითადად იდენტური მოთხოვნებისა და განსხვავებული რეგულაციების წარმოჩენის თვალსაზრისით, მიზანშეწონილია, მათი ერთობლივად ჩამოყალიბება ძირითადი კრიტერიუმების შესაბამისად.

დ. სუროგაციის ხელშეკრულება და სუროგაციის განხორციელების ძირითადი პირობები

საბერძნეთსა და სამხრეთ აფრიკაში სუროგაციის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის მოითხოვება მისი წერილობითი ფორმით დადება პოტენციურ მშობლებსა (მშობელსა) და სუროგატ დედას (ასევე, თუ სუროგატი დედა დაქორწინებულია, სუროგატი დედის მეუღლეს) შორის სუროგატი დედის დაორსულებამდე, ანუ სუროგატი დედის საშვილოსნოში ემბრიონის გადატანამდე. ამასთან, ხელშეკრულების ფორმალური თვალსაზრისით გაფორმება არ არის საკმარისი. „ხელშეკრულების მხარეებს უნდა ჰქონდეთ გაცნობიერებული სუროგაციის განხორციელების შედეგები, ისევე როგორც მათი უფლებები და ვალდებულებები, მათ შორის, სამედიცინო და სამართლებრივი პროცედურების ხარჯები, სუროგატი დედის უფლება სამართლებრივ აბორტზე და სუროგატი დედის ვალდებულება პოტენციური მშობლებისათვის ბავშვის გადაცემაზე ბავშვის დაბადებისთანავე. საბერძნეთის კანონმდებლობა დამატებით ითხოვს მხარეთა მიერ დადასტურებას, რომ მათთვის ცნობილია უშვილობის მკურნალობის რისკების, ისევე, როგორც ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებული საფრთხის შესახებ“⁵⁶¹.

ე. მოთხოვნები პოტენციური მშობლების მიმართ

ორივე ქვეყანაში დასაშვებია სუროგაციის განხორციელება ჰეტეროსექსუალი წყვილისა და ერთი პოტენციური მშობლის - პოტენციური დედის მონაწილეობით. სამხრეთ აფრიკისაგან განსხვავებით, სადაც

<<http://ssrn.com/abstract=1689774>> [15.09. 2017].

⁵⁶¹ საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსის მუხლი 1456 და 3305/2005 კანონის მუხლი 5; სამხრეთ აფრიკის ბავშვთა შესახებ კანონის მე-19 თავის მუხლი 293. იხ. Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 42.

პოტენციური მშობლები შეიძლება იყვნენ ერთნაირსქესიანი წყვილები⁵⁶², საბერძნეთში კანონმდებლობისა⁵⁶³ და „თეორიაში დომინირებული შეხედულების თანახმად ჰომოსექსუალ წყვილსა და მარტოხელა მამაკაცს არ აქვს სუროგაციით სარგებლობის უფლება“⁵⁶⁴, ვინაიდან კანონმდებლობა ითხოვს სასამართლოს მიერ სუროგაციის ხელშეკრულების დადასტურების პროცესის სასამართლოში ინიცირებას ქალის მიერ⁵⁶⁵. ეს კი ნიშნავს იმას, რომ მარტოხელა მამაკაცის განცხადება სასამართლოში სუროგაციის ხელშეკრულების დასადასტურებლად არ უნდა იქნას მიღებული. აღნიშნულის მიუხედავად, კანონის ეს ნორმა ცნობილი იქნა კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ და მარტოხელა მამაკაცების დისკრიმინაციად საბერძნეთში წარმოებულ ორ საქმეში, სადაც მოსამართლეებმა დაადასტურეს სუროგაციის ხელშეკრულებები⁵⁶⁶ და ქალებისათვის არსებული დებულებების ანალოგიით სუროგაციის განხორციელების უფლება მისცეს მარტოხელა მამაკაცებს⁵⁶⁷.

არცერთ იურისდიქციაში არ წესდება მოთხოვნები წყვილთან მიმართებით წყვილს შორის ქორწინების არსებობის ან რაიმე სახის ურთიერთობაში ყოფნის დადასტურების თვალსაზრისით. რაც შეეხება პოტენციური მშობლების ასაკობრივ შეზღუდვას, მინიმალური ასაკი

⁵⁶² საბერძნეთის კონსტიტუცია, მუხლი 4; სამხრეთ აფრიკის „ბავშვთა შესახებ“ კანონის მე-19 თავის მუხლი 295. იხ. Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 46.

⁵⁶³ საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსის 1456-ე მუხლი.

⁵⁶⁴ Rokas A. K., Greece, The Greek Legal Framework for Surrogacy, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 145.

⁵⁶⁵ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 44.

⁵⁶⁶ ათენის პირველი ინსტანციის ერთი წევრის სასამართლოს 2827/2008 გადაწყვეტილება და თესალონიკის პირველი ინსტანციის ერთი წევრის სასამართლოს 13707/2009 გადაწყვეტილება. იხ. Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 44.

⁵⁶⁷ Rokas A. K., Greece, The Greek Legal Framework for Surrogacy, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 146.

სრულწლოვანებით განისაზღვრება⁵⁶⁸. მაქსიმალურ ზღვრულ ასაკს სამხრეთ აფრიკის კანონმდებლობა არ ადგენს. საბერძნეთის კანონმდებლობით კი პოტენციური დედის მაქსიმალური ასაკი 50 წელია.

ამასთან, ორივე ქვეყანაში პოტენციური მშობლების სამედიცინო ჩვენებით დადასტურებული უშვილობა სუროგაციის განხორციელების აუცილებელი წინაპირობაა. შესაბამისად, სუროგაციის განხორციელება შეუძლიათ მხოლოდ იმ პოტენციურ მშობლებს, რომელთაც არ შეუძლიათ ბავშვის ყოლა სამედიცინო ჩვენების საფუძველზე. აქვე აღსანიშნავია, რომ საბერძნეთისგან განსხვავებით სამხრეთ აფრიკის კანონმდებლობა ჰომოსექსუალიზმს განიხილავს როგორც გამრავლების ბიოლოგიურ შეუძლებლობას და, ამდენად, ერთნაირსქესიან წყვილს აძლევს უფლებას, იყოლიოს შვილი სუროგატი დედის გამოყენებით.⁵⁶⁹

ვ. მოთხოვნები სუროგატი დედის მიმართ

სამხრეთ აფრიკაში სუროგატი დედის მიმართ აუცილებელი მოთხოვნაა, რომ მას უნდა ჰყავდეს მის მიერ გაჩენილი საკუთარი შვილი⁵⁷⁰. ეს მოთხოვნა არ არსებობს საბერძნეთში. მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთის კანონმდებლობით არ წესდება სუროგატი დედის მაქსიმალური ასაკი, საბერძნეთის სასამართლოს ბოლოდროინდელი პრაქტიკით⁵⁷¹ საუკეთესო

⁵⁶⁸ საბერძნეთში არსებობს გამოწვევის ამ საერთო წესიდან. კერძოდ, არასრულწლოვანს შეიძლება მიეცეს დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებთან წვდომის უფლება ისეთი სამედიცინო პრობლემის არსებობისას, რომელიც მიუთითებს მის მუდმივ უშვილობაზე, იხ. Rokas A. K., Greece, The Greek Legal Framework for Surrogacy, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 146.

⁵⁶⁹ საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსის 1458-ე მუხლი, 1455-ე მუხლი; სამხრეთ აფრიკის „ბავშვთა შესახებ“ კანონის მე-19 თავის 295-ე მუხლი, იხ. Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 44.

⁵⁷⁰ სამხრეთ აფრიკის „ბავშვთა შესახებ“ კანონის მე-19 თავი, 295-ე მუხლი. იხ. Slabbert M., Roodt C., South Africa, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 328.

⁵⁷¹ კორინთოს პირველი ინსტანციის ერთწევრიანი სასამართლოს 2006 წლის გადაწყვეტილება ნომერი 224/2006, რომლითაც 52 წლის ქალბატონს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით მიეცა უფლება, ყოფილიყო სუროგატი დედა და მუცლად ეტარებინა მისი ქალიშვილის შვილი, იხ. Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States,

კრიტიკრიუმი იმისა, რომ საბერძნეთში ქალს მიეცეს უფლება, იყოს სუროგატი დედა, არა მისი ბიოლოგიური ასაკი, არამედ მისი ჯანმრთელობა და შესაძლებლობაა, „აიტანოს ორსულობისა და მშობიარობის სირთულეები“⁵⁷².

ამასთან, ორივე იურისდიქციაში სასამართლოს მიერ სუროგაციის ხელშეკრულების დადასტურების მიზნით სასამართლოსადმი მიმართვამდე სავალდებულოა სუროგატი დედის ფსიქოლოგიური შემოწმება, რაც უზრუნველყოფილი უნდა იქნას პოტენციური მშობლების მიერ. კერძოდ, გამოცდილმა ფსიქოლოგმა დამაკმაყოფილებლად უნდა შეაფასოს სუროგატი დედის ემოციური მდგომარეობა და მისი განზრახვა, შეასრულოს სუროგაციის შეთანხმებისა და კანონის პირობები⁵⁷³.

სამხრეთ აფრიკის კანონმდებლობის შესაბამისად გესტაციური სუროგაციის დროს სუროგაციის ხელშეკრულებაზე თანხმობა უნდა განაცხადოს, ასევე, სუროგატი დედის მეუღლემ ან პარტნიორმა (მათ შორის, იგივე სქესის პარტნიორმა) და იგი უნდა იყოს სუროგაციის ხელშეკრულების მხარე. თუმცა, სუროგაციის ხელშეკრულების ავტორიზაცია შეიძლება განხორციელდეს ამ პირის თანხმობის არარსებობის პირობებშიც, თუ სასამართლო დაადგენს, რომ პირის უარი თანხმობის გაცხადებაზე არავინივრულია⁵⁷⁴.

8. მოთხოვნები მხარეების საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით

საბერძნეთში სავალდებულოა როგორც პოტენციური დედის, ასევე სუროგატი დედის საცხოვრებელი ადგილის არსებობა თავად საბერძნეთში. ამ მოთხოვნის არსებობის მიზეზი რეპროდუქციული ტურიზმის ხელშეშლა და იმის უზრუნველყოფაა, რომ სუროგაციული შეთანხმებებიდან სარგებლის მიღება მხოლოდ საბერძნეთის რეზიდენტებს შეეძლოთ⁵⁷⁵. თუმცა,

European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 46.

⁵⁷² იქვე.

⁵⁷³ საბერძნეთის 3305/2005 კანონის მუხლი 13; სამხრეთ აფრიკის ეროვნული ჯანმრთელობის შესახებ კანონი, პარაგრაფი 67. იხ. იქვე, 44-45.

⁵⁷⁴ Slabbert M., Roodt C., South Africa, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 328.

⁵⁷⁵ Kounougeri-Manoledaki E., Surrogate motherhood in Greece (according to the new law on

საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებული ეს მოთხოვნა ფორმალური არ არის, ვინაიდან უნდა დადასტურდეს არამართო საბერძნეთში გარკვეული პერიოდით ცხოვრების ფაქტი, არამედ მომავალში აქ ხანგრძლივი დროით ცხოვრების განზრახვა⁵⁷⁶. საბერძნეთისგან განსხვავებით სამხრეთ აფრიკის კანონმდებლობით „სასამართლოს უფლება აქვს ნება დართოს ქალს, გახდეს სუროგატი დედა იმ შემთხვევაშიც, როდესაც მისი საცხოვრებელი ადგილი არ არის სამხრეთ აფრიკა“⁵⁷⁷.

თ. სუროგაციის დასაშვები სახეობა

სამხრეთ აფრიკის კანონმდებლობით შესაძლებელია როგორც გესტაციური, ისე ტრადიციულ სუროგაციის განხორციელება განსხვავებით საბერძნეთისაგან, სადაც მხოლოდ გესტაციური სუროგაციაა დასაშვები. „საბერძნეთის კანონმდებლობით პროცედურაში გამოყენებული კვერცხუჭრედი უნდა ეკუთვნოდეს ან პოტენციურ დედას ან დონორს. დაუშვებელია სუროგატის კუთვნილი კვერცხუჭრედის გამოყენება“⁵⁷⁸.

ორივე იურისდიქციაში სავალდებულო მოთხოვნაა ემბრიონის გადატანის პროცედურის განხორციელება უშვილობის მკურნალობისა და ინ ვიტრო განაყოფიერების წარმოების უფლებამოსილების მქონე სამედიცინო დაწესებულებაში. პროცედურა უნდა შესრულდეს იმ ექიმების მიერ, „რომელთა სპეციალიზაციაა რეპროდუქცია და რეპროდუქციული ტექნოლოგია“⁵⁷⁹.

assisted reproduction), in: The international survey of Family Law, Edited by A. Bainham, Athens-Thessaloniki, 2005, 271.

⁵⁷⁶ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 289. მითითებულია: Panagos, K, Surrogate Motherhood. The Greek Regulatory Framework and the Extension to Criminal Law Sakkoulas Publications, Athens-Thessaloniki, 2011, 9 (in Greek); Hatzis A. N., From Soft to Hard Paternalism and Back: the Regulation of Surrogate Motherhood in Greece, Portuguese Economic Journal, 2009, 8, 50.

⁵⁷⁷ საბერძნეთის 3089/2002 კანონის მე-8 მუხლი; სამხრეთ აფრიკის ბავშვთა შესახებ კანონის მე-19 თავის 292-ე მუხლი იხ. Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 44.

⁵⁷⁸ საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსის 1458-ე მუხლი; სამხრეთ აფრიკის „ბავშვთა შესახებ“ კანონის მე-19 თავის 294-ე, 298-ე მუხლები იხ. იქვე, 46.

⁵⁷⁹ საბერძნეთის 3305/2005 კანონის მუხლი 16; სამხრეთ აფრიკის „ეროვნული ჯანმრთელობის შესახებ“ კანონის მუხლი 9. იხ. Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D.,

რაც შეეხება სუროგაციის პროცესში დონორის გამოყენებას, ორივე იურისდიქცია ამას დასაშვებად მიიჩნევს. აღსანიშნავია, რომ საბერძნეთის სასამართლოში სუროგაციის ხელშეკრულების ავტორიზაციისას საერთოდ არ მოითხოვება დადასტურება, ინარმოებს თუ არა სუროგაცია დონორის გამოყენებით. საკმარისად მიიჩნევა მხოლოდ იმ ფაქტის მტკიცება, რომ ადგილი არ ექნება ტრადიციულ სუროგაციას - რომ კვერცხუჭრედი, რომლის განაყოფიერების შედეგადაც შექმნილი ემბრიონი გადაიტანება სუროგატი დედის საშვილოსნოში, არ ეკუთვნის სუროგატ დედას. ამასთან, ორივე ქვეყნის შემთხვევაში, „თუ გამოყენებულია დონორის გამეტები, დონორის კონფიდენციალურობა დაცულია და დაიშვება მხოლოდ დონორის სამედიცინო ფაილებთან წვდომა“⁵⁸⁰.

ი. პოტენციურ მშობელს/მშობლებსა და ბავშვს შორის გენეტიკური კავშირის არსებობა

სამხრეთ აფრიკის კანონმდებლობა მოითხოვს ბავშვსა და მშობელს/მშობლებს შორის გენეტიკური კავშირის არსებობას, მაშინ როდესაც ასეთი მოთხოვნა არ არსებობს საბერძნეთის კანონმდებლობით, რაც „დასაშვებად მიიჩნევს მშობლის სტატუსის განსაზღვრას სოციალური თვალსაზრისით (social parenthood)“⁵⁸¹.

Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 45. სამხრეთ აფრიკაში რეპროდუქციის სპეციალისტები პროცედურებს ატარებენ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რომელთა მიხედვითაც დასაშვებია სუროგატი დედის საშვილოსნოში არაუმეტეს სამი ემბრიონის გადატანა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს შესაბამისი სამედიცინო მიზეზი. იხ. Slabbert M., Roodt C., South Africa, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 331.

⁵⁸⁰ საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსის 1460-ე მუხლი; სამხრეთ აფრიკის „ეროვნული ჯანმრთელობის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლი იხ. Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 45.

⁵⁸¹ საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსის 1458-ე მუხლი; სამხრეთ აფრიკის „ბავშვთა შესახებ“ კანონის მე-19 თავის 294-ე მუხლი. იხ. Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 46.

კ. ალტრუისტული სუროგაციის დასაშვები სახეობა

ორივე იურისდიქციისათვის დამახასიათებელია ის, რომ ლეგალურად მიიჩნევა მხოლოდ ალტრუისტული სუროგაციის ხელშეკრულებები, რაც ნიშნავს იმას, რომ იკრძალება სუროგატი დედისათვის ნებისმიერი გადასახადის გადახდა სუროგაციის შედეგად ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით. სუროგაციის კომერციალიზაციის აღკვეთის თვალსაზრისით აკრძალულია, ასევე, სუროგაციაში საშუამავლო გადასახადის გადახდა საშუამავლო სააგენტოს ანდა სამედიცინო დაწესებულებისათვის პოტენციურ მშობლებსა და სუროგატ დედასთან დაკავშირების ან სუროგაციასთან დაკავშირებული სხვა სახის საშუამავლო მომსახურებისათვის⁵⁸².

გამონაკლისია სუროგატი დედისათვის გადასახადი „გონივრული ხარჯების“ ასანაზღაურებლად. აღნიშნული ხარჯები პირდაპირ უნდა უკავშირდებოდეს სუროგატი დედის ხელოვნურ განაყოფიერებას, მის ორსულობასა და მშობიარობას⁵⁸³. უფრო კონკრეტულად, პოტენციური მშობლები უზრუნველყოფენ სუროგატი დედის სამედიცინო მკურნალობას, მის ტანსაცმელს, ტრანსპორტირებას სამედიცინო კლინიკაში, მშობიარობისა და მშობიარობის შემდგომი სამედიცინო მკურნალობის ხარჯებს, სასამართლოს მიერ სუროგაციის ხელშეკრულების დადასტურების შესახებ განცხადებისათვის საჭირო იურიდიულ ხარჯებსა და სუროგატი დედის სამედიცინო და ფსიქოლოგიურ შემოწმებას⁵⁸⁴. საბერძნეთის კანონმდებლობის მიხედვით სუროგატ დედას, ასევე, უნაზღაურდება ხელფასის დანაკარგი, რაც გამომწვეულია სუროგატი დედის შეუძლებლობით, გამოცხადდეს სამსახურში ორსულობის ბოლო თვეების

⁵⁸² სამხრეთ აფრიკაში იკრძალება ქალის სურვილის რეკლამირება, ფინანსური სარგებლის/კომპენსაციის მიღების სანაცვლოდ გასწიოს სუროგატული მომსახურება. იხ. Slabbert M., Roodt C., South Africa, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 336. საბერძნეთში კი სუროგაციული მომსახურების რეკლამირება ისჯება თავისუფლების აღკვეთითა და ფინანსური სანქციით. იხ. Rokas A. K., Greece, The Greek Legal Framework for Surrogacy, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 149.

⁵⁸³ Slabbert M., Roodt C., South Africa, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 335.

⁵⁸⁴ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 43.

განმავლობაში.⁵⁸⁵ სამხრეთ აფრიკის კანონმდებლობა, ასევე, ითვალისწინებს სუროგატი დედისათვის სუროგაციის ხელშეკრულების გამო მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას⁵⁸⁶. სამხრეთ აფრიკის კანონმდებლობა დამატებით განსაზღვრავს პოტენციური მშობლების მიერ სუროგატი დედის დაზღვევის უზრუნველყოფას სიკვდილისა და შრომისუუნარობისთვის, რომელიც შეიძლება დადგეს ორსულობის ან მშობიარობის შედეგად,⁵⁸⁷ ისევე, როგორც ითხოვს ხელშეკრულებების მართვის განხორციელებას სპეციალიზირებული იურისტების მიერ, რომელთა მომსახურების ხარჯებს ანაზღაურებს პოტენციური მშობლები⁵⁸⁸.

მიიჩნევენ, რომ ალტრუისტული სუროგაციის დაშვებითა და კომერციული სუროგაციის აკრძალვით საბერძნეთის კანონმდებლის მიზანს წარმოადგენდა იმ კრიტიკისათვის თავის არიდება, რაც შეიძლება მოჰყოლოდა კომერციული სუროგაციის მხარდამჭერი კანონმდებლობის მიღებას, და რომელიც შესაძლოა გამხდარიყო „ბავშვთა ვაჭრობისა“ და როგორც სუროგატის, ასევე ბავშვის „კომოდიფიკაციის“ სავარაუდოდ ხელშემწყობი⁵⁸⁹. მიუხედავად ამისა, არსებობს მოსაზრებები, რომ აღნიშნული პრობლემებისათვის თავის არიდებას შეძლებს კომერციული სუროგაციის დაშვებაც, თუ კანონმდებლობა შესაბამისად დაარეგულირებს მასთან დაკავშირებულ საკითხებს.⁵⁹⁰ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კომერციული სუროგაციის კანონით აკრძალვის მიუხედავად ორივე იურისდიქციაში ფიქსირდება კომერციული სუროგაციის ნიშნები და მცდელობები. საბერძნეთში ზოგიერთ შემთხვევებში მხარეები ფარულად

⁵⁸⁵ საბერძნეთში საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ოდენობას. იხ. Rokas A. K., Greece, The Greek Legal Framework for Surrogacy, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 148.

⁵⁸⁶ Slabbert M., Roodt C., South Africa, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 335.

⁵⁸⁷ იქვე.

⁵⁸⁸ საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსის 1458-ე მუხლი; 3305/2005 კანონის მე-13 მუხლი; სამხრეთ აფრიკის „ბავშვთა შესახებ“ კანონის მე-19 თავის 295-ე, 301-ე მუხლი, იხ. Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 43.

⁵⁸⁹ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 2⁹².

⁵⁹⁰ იქვე.

თანხმდებიან სუროგატისათვის კომპენსაციის გადახდაზე, რაც ბუნებრივია, რომ სუროგაციის ალტრუისტული ხასიათის კომპრომიტირებას ახდენს⁵⁹¹. სამხრეთ აფრიკაში 2011 წელს პოტენციურმა მშობლებმა განცხადებით მიმართეს სასამართლოს, რომლითაც მოითხოვეს სუროგატი დედის მიერ ხელშეკრულების შესრულება, ამტკიცებდნენ რა, რომ სუროგატი დედა ითხოვდა მისთვის კომპენსაციის სახით ფულადი თანხისა და ავტომანქანის გადაცემას⁵⁹².

საბერძნეთის სასამართლოს გადაწყვეტილებების ჰატზისის კვლევის ჯგუფის (Hatzis research team) მიერ 2010 წელს განხორციელებული კვლევის⁵⁹³ შედეგად ნათლად წარმოჩინდა ის გარემოება, რომ საბერძნეთში განხორციელებული სუროგაციის უმრავლესობა კომერციულია და, ხშირ შემთხვევაში, პოტენციური დედისათვის კომპენსაციის გადახდა ფარულად ხორციელდება. 92 საქმიდან, რომლითაც განხორციელდა სუროგაციის ავტორიზაცია, სუროგატი დედა პოტენციური მშობლების ახლო ნათესავი იყო მხოლოდ 13 საქმეში. დანარჩენი საქმეების მიხედვით სუროგატი დედა, უმრავლეს შემთხვევაში იმიგრანტი აღმოსავლეთ ევროპიდან, განიხილებოდა როგორც პოტენციური მშობლების „საუკეთესო მეგობარი“, იმ პირობებში, როდესაც მათ შორის ასაკობრივი სხვაობა 10-20 წელს შეადგენდა. ამასთან, არცერთ საქმეში არ მომხდარა „საუკეთესო მეგობრობის“ დამადასტურებელი მტკიცებულების წარდგენა - მეგობრული ურთიერთობა საკმარისად ახლო იყო იმისათვის, რომ „სუროგატ დედას ალტრუისტული მიზნით „შეეთავაზებინა მისი საშვილოსნო“ პოტენციური დედისათვის“⁵⁹⁴.

⁵⁹¹ Rokas A. K., Greece, The Greek Legal Framework for Surrogacy, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 148.

⁵⁹² Slabbert M., Roodt C., South Africa, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 336.

⁵⁹³ შესწავლილი იქნა გადაწყვეტილებები, რომლებიც მიღებული იყო საბერძნეთში სუროგაციის მომწესრიგებელი 2002 წლის კანონის ამოქმედებიდან, თუმცა, გადაწყვეტილებების უმრავლესობა მიღებული იქნა 2005 წლის კანონის ამოქმედების შემდგომ.

⁵⁹⁴ Hatzis A. N., The Regulation of Surrogate Motherhood in Greece, 2010, 11. <<http://ssrn.com/abstract=1689774>> [15.09.2017].

ლ. სუროგაციის ხელშეკრულების შეწყვეტა - „მოფიქრების პერიოდი“⁵⁹⁵

სუროგატი დედის მიერ სუროგაციის ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებული საკითხი განსხვავებულია საბერძნეთსა და სამხრეთ აფრიკაში, რაც განპირობებულია იმით, რომ საბერძნეთში დასაშვებია მხოლოდ გესტაციური სუროგაცია, მაშინ როდესაც გესტაციურ სუროგაციასთან ერთად სამხრეთ აფრიკის კანონდებლობა დასაშვებად მიიჩნევს ტრადიციული სუროგაციის განხორციელებას, სადაც სუროგატი დედა ბავშვის როგორც გესტაციური, ასევე გენეტიკური მშობელია.

საბერძნეთში სუროგატ დედას უფლება აქვს, უარი თქვას სუროგაციის განხორციელებაზე მხოლოდ მის ორსულობამდე. ორსულობის შემდგომ სუროგატი დედა ვალდებულია, განახორციელოს სუროგაციის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები, დაბადების შემდგომ ბავშვი გადასცეს პოტენციურ მშობლებს და არ აქვს ბავშვის მშობლად ცნობის უფლება. საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად ქალი, რომელიც მოიპოვებს სასამართლოს ავტორიზაციას სუროგაციაზე, ივარაუდება, რომ ბავშვის დედაა, რაც მიანიჭებს მას უფლებას, განისაზღვროს ბავშვის მშობლად დაბადების მონაწილეობაში. თუ პოტენციური დედა დაქორწინებულია, მისი მეუღლე, ასევე მიიჩნევა ბავშვის მშობლად. თუ წყვილი არ იმყოფება ქორწინებაში, პოტენციური დედის პარტნიორი მამაკაცი ბავშვის მამად მიიჩნევა იმ პირობით, რომ მას გაცხადებული აქვს თანხმობა ნოტარიუსის წინაშე. შესაბამისად, სუროგატ დედას არ აქვს უფლება „გადაიფიქროს“, შეწყვიტოს სუროგაციის ხელშეკრულება და აღიარებული იქნას ბავშვის მშობლად. ერთადერთი გამონაკლისია, თუ დამტკიცდება, რომ ადგილი ჰქონდა ტრადიციულ სუროგაციას. ამ შემთხვევაში როგორც პოტენციურ დედას, ასევე სუროგატს, უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს ბავშვის დაბადებიდან ექვი თვის განმავლობაში დადგენილი მშობლის სტატუსის გასაჩივრების თვალსაზრისით⁵⁹⁶, რა დროსაც სასამართლოს გადანყვეტილებით სუროგატი დედა შესაძლებელია რეტროსპექტულად გახდეს მშობელი⁵⁹⁷.

⁵⁹⁵ “cooling-off period”.

⁵⁹⁶ Rokas A. K, Greece, The Greek Legal Framework for Surrogacy, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 148.

⁵⁹⁷ Hatzis A. N., The Regulation of Surrogate Motherhood in Greece, 2010, 6. <<http://ssrn.com/abstract=1689774>>, [15.09.2017].

საბერძნეთის მსგავსად წესრიგდება სუროგატი დედის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი სამხრეთ აფრიკაშიც გესტაციური სუროგაციისას, როდესაც სასამართლოს მიერ ავტორიზებული სუროგაციის ხელშეკრულება პოტენციურ მშობლებს სრულად ანიჭებს მშობლის უფლებებს⁵⁹⁸. ტრადიციული სუროგაციისას კი სუროგატ დედას, რომელიც იმავდროულად ბავშვის გენეტიკური დედაა, შეუძლია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ ეს განხორციელდება ბავშვის დაბადებიდან არაუგვიანეს 60 დღის გავლამდე, რისთვისაც მან წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს სასამართლოს. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილებით სუროგატი დედა შეიძლება ცნობილი იქნას ბავშვის მშობლად, თუ მოსამართლე დარწმუნდება, რომ სუროგატი დედის გადაწყვეტილება ნებაყოფლობითია და, თუ იგი აცნობიერებს ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგებს. ამ შემთხვევაში სუროგატი დედა ვალდებული იქნება აუნაზღაუროს პოტენციურ მშობლებს ხელშეკრულების შეწყვეტამდე გონივრული ხარჯების სახით გადახდილი თანხები, როგორც კომპენსაცია ხელშეკრულების დარღვევისათვის⁵⁹⁹. შესაბამისად, სამხრეთ აფრიკაში მშობლის უფლებების მოპოვებასთან დაკავშირული საკითხი განსხვავებულად რეგულირდება იმის მიხედვით, ადგილი აქვს ტრადიციულ, თუ გესტაციურ სუროგაციას. გესტაციური სუროგაციისას სასამართლოს მიერ ავტორიზებული სუროგაციის ხელშეკრულება პოტენციურ მშობლებს სრულად ანიჭებს მშობლის უფლებებს, მაშინ, როდესაც, ტრადიციული სუროგაციის შემთხვევაში, პოტენციური მშობლების მიერ მშობლის სტატუსი მოპოვება „ტექნიკურად შეჩერებულია ბავშვის დაბადებიდან 60 დღიანი „მოფიქრების პერიოდის“ განმავლობაში, რომლის დროსაც სუროგატ დედას უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და დაიტოვოს ბავშვი“⁶⁰⁰.

⁵⁹⁸ სამხრეთ აფრიკის „ბავშვთა შესახებ“ კანონის მე-19 თავის 298-ე მუხლი, 297-ე მუხლი იხ. Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 47-48.

⁵⁹⁹ Slabbert M., Roodt C., South Africa, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 329.

⁶⁰⁰ იქვე.

3.1.1.2. აშშ-ის ვირჯინიის შტატი

აშშ-ის ვირჯინიის შტატის სუროგაციის მარეგულირებელი კანონმდებლობა⁶⁰¹ (შემდგომში „ვირჯინიის კანონი“) ნათელი მაგალითია სუროგაციის იმგვარი სამართლებრივი მონესრიგების, რომლითაც დაიშვება ალტრუისტული სუროგაციის განხორციელება კანონით განსაზღვრული მთელი რიგი მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და სასამართლოს მიერ ბავშვის დაბადებამდე განხორციელებული წინასწარი ავტორიზაციის შემთხვევაში.

ზოგადი წესის თანახმად, დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების შედეგად დაბადებული ბავშვის დედად მიიჩნევა გესტაციური დედა - ქალი, რომელიც აჩენს ბავშვს მასთან გენეტიკური კავშირის მიუხედავად⁶⁰², ხოლო ბავშვის მამად მიიჩნევა გესტაციური დედის მეუღლე, თუ იგი დაქორწინებულია⁶⁰³. ამ ზოგადი წესის ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სუროგაციის განმახორციელებელი მხარეები შეასრულებენ კანონის მოთხოვნებს სუროგაციის ხელშეკრულების ნამდვილობის აღიარებისა და მისი აღსრულების მიზნით.

ა. ძირითადი მოთხოვნები სუროგაციის ხელშეკრულების ფორმისა და შინაარსის მიმართ

„ვირჯინიის კანონით“ აღსრულებადია კანონის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი სუროგაციის ხელშეკრულება, თუ იგი გაფორმებულია, ერთი მხრივ, სუროგატსა და მის მეუღლეს, თუ სუროგატი დაქორწინებულია, და, მეორე მხრივ, პოტენციურ მშობლებს შორის. ამასთან, სხვა პირობების დაკმაყოფილებასთან ერთად, ნამდვილად მიიჩნევა ისეთი სუროგაციის ხელშეკრულება, რომლითაც სუროგატი თანხმდება ორსულობას დამხმარე რეპროდუქციის საშუალებით, ორსულობის შედეგად ნაყოფის მუცლად ტარებას და, რომლითაც, პოტენციური მშობლების სასარგებლოდ სუროგატი უარს ამბობს დაბადებული ბავშვის მიმართ მეურვეობისა და მშობლის უფლებებზე⁶⁰⁴. სუროგაციის ხელშეკრულება მხარეებს შორის უნდა

⁶⁰¹ Code of Virginia §§20-156–20-165, 1991. <<https://law.lis.virginia.gov/vacode/title20/chapter9>> [15.09. 2017].

⁶⁰² იქვე, § 20-156. § 20-158 A.1.

⁶⁰³ იქვე, § 20-158 A.2.

⁶⁰⁴ იქვე, § 20-156.

გაფორმდეს ხელოვნური განაყოფიერების დაწყებამდე და დადასტურდეს კანონის საფუძველზე დამონშების უფლებამოსილების მქონე პირის მიერ⁶⁰⁵.

ბ. მოთხოვნები მხარეების მიმართ

პოტენციურ მშობლად ან მშობლებად არ შეიძლება იქნას მიჩნეული მარტოხელა პირი ან დაუქორწინებელი წყვილი, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ პირის ან პირების მიერ სუროგაციის ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, ხელშეკრულება არ ჩაითვლება ნამდვილად და მათზე არ გავრცელდება კანონის ნორმები, რომლითაც პოტენციურ მშობლებს ეძლევათ უფლება, აღიარებული იქნან ბავშვის იურიდიულ მშობლებად. კანონის მიხედვით „პოტენციური მშობლები“ განისაზღვრება როგორც „ქორწინებაში მყოფი ქალი და მამაკაცი, რომლებიც ღებენ სუროგაციის ხელშეკრულებას სუროგატთან და, რომლებიც სუროგაციის ხელშეკრულების საფუძველზე გახდებიან დამხმარე რეპროდუქციის მეშვეობით სუროგატის მიერ გაჩენილი ბავშვის მშობლები, პოტენციურ მშობლებს, სუროგატსა და ბავშვს შორის გენეტიკური კავშირის მიუხედავად“⁶⁰⁶. ამდენად, კანონის თორმულირებით ვირჯინიაში სუროგაციაზე წვდომის უფლება აქვს მხოლოდ ჰეტეროსექსუალ, ქორწინებაში მყოფ წყვილს.

ამასთან, სუროგაციის განხორციელება, თუნდაც ქორწინებაში მყოფი წყვილის მიერ, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტით დასტურდება პოტენციური დედის უუნარობა, შეინარჩუნოს ორსულობა და გააჩინოს ბავშვი, თუ არსებობს მისი ან ბავშვის ფიზიკური ან მენტალური ჯანმრთელობის დაზიანების გონივრული რისკი⁶⁰⁷ და, თუ სუროგაციის პროცესში გამოყენებულია მინიმუმ ერთი პოტენციური მშობლის გამეტა⁶⁰⁸.

⁶⁰⁵ იქვე, § 20-160 A.

⁶⁰⁶ იქვე, § 20-156.

⁶⁰⁷ იქვე, § 20-160 B.8.

⁶⁰⁸ შესაბამისად, სავალდებულო მოთხოვნაა გენეტიკური კავშირის არსებობა სუროგაციის შედეგად დაბადებულ ბავშვსა და ერთ ან ორივე პოტენციურ მშობელს შორის. Code of Virginia § 20-160 B.9. აქვე აღსანიშნავია, რომ თუ სამედიცინო დოკუმენტით არ დადასტურდა სუროგაციის შედეგად დაბადებულ ბავშვსა და ერთ პოტენციურ მშობელს შორის მაინც გენეტიკური კავშირი, ბავშვის მშობლებად მიიჩნევიან სუროგატი დედა და მისი მეუღლე (ასეთის არსებობისას), ხოლო პოტენციური მშობლების მიერ ბავშვის იურიდიული მშობლის სტატუსის მოპოვება შესაძლებელი იქნება მხოლოდ შვილად აყვანის პროცედურების განხორციელებით. იხ. Code of Virginia § 20-160 D.

კანონი პოტენციური მშობლების შესაბამისობის დასადგენად იყენებს შვილად აყვანის შემთხვევაში მშვილვლებების შესაბამისობისათვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რომელთა არსებობასაც ადასტურებს სასამართლო. კანონი პირდაპირ მიუთითებს სოციალური სერვისის მიერ არამართო პოტენციური მშობლების, არამედ სუროგატისა და მისი მეუღლის (ასეთის არსებობისას) საცხოვრებელი ადგილის შესწავლასა და სასამართლოსათვის შესაბამისი დასკვნის წარდგენაზე⁶⁰⁹.

რაც შეეხება სუროგატი დედის მიმართ მოთხოვნას, კანონის მიხედვით სუროგაციული მომსახურების განხორციელების უფლება ეძლევა მხოლოდ იმ ქალს, რომელსაც მინიმუმ ერთი ორსულობისა და ცოცხალი ბავშვის გაჩენის ისტორია აქვს და, ამასთან, სამედიცინო მტკიცებულებით დასტურდება, რომ ორსულობა და მშობიარობა არ წარმოშობს მისი ან ბავშვის მენტალური ან ფიზიკური ჯანმრთელობის დაზიანების რისკს⁶¹⁰.

სუროგაციის ხელშეკრულების ყველა მხარისათვის დამატებით სავალდებულოა, ხელშეკრულების ხელმოწერამდე როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური შემოწმების ჩატარება⁶¹¹, ისევე, როგორც კვალიფიციური ჯანდაცვის პროფესიონალის ან სოციალური მუშაკისგან სუროგაციის შედეგებთან დაკავშირებული კონსულტაციის მიღება⁶¹². აღნიშნული შემოწმებებისა თუ კონსულტაციების შედეგად მისი გამწვევი პირების მიერ შედგენილი მხოლოდ დადებითი დასკვნები შეიძლება გახდეს სასამართლოს მიერ სუროგაციის ხელშეკრულების ნამდვილობის დადასტურების ერთ-ერთი საფუძველი.

გ. სუროგაციის დასაშვები სახეობა და ფორმა

„ვირჯინიის კანონი“ პირდაპირ არ აღგენს განსხვავებას გესტაციურ და ტრადიციულ სუროგაციას შორის, ისევე, როგორც არ ახდენს პირდაპირ მითითებას სუროგაციის მხოლოდ რომელიმე კონკრეტული ფორმის მიმართ მისი ნორმების გავრცელების თაობაზე. თუმცა, კანონით დადგენილი განსაზღვრებებისა⁶¹³ და ფორმულირებების შესაბამისად მისი

⁶⁰⁹ Code of Virginia § 20-160 B.3. § 20-160 B.2.

⁶¹⁰ იქვე, § 20-160 B.6.

⁶¹¹ იქვე, § 20-160 B.7.

⁶¹² იქვე, § 20-160 B.11.

⁶¹³ „სუროგატი დედა“ განისაზღვრება როგორც „სრულწლოვანი ქალი, რომელიც თანხმდება [მუცლად] ატაროს ბავშვი პოტენციური მშობლებისათვის“ (Code of Virginia § 20-

ინტერპრეტაცია შეიძლება განხორციელდეს როგორც გესტაციური, ასევე ტრადიციული სუროგაციის სასარგებლოდ. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ვირჯინიაში კანონმდებლობით დაწესებული მოთხოვნების შესრულების პირობით დასაშვებია როგორც გესტაციური, ასევე ტრადიციული სუროგაცია.

რაც შეეხება სუროგაციის ალტრუისტულ ხასიათს, კანონი პირდაპირ მიუთითებს მასზე და კრძალავს კომერციულ სუროგაციას. კერძოდ, დასაშვებად მიიჩნევა სუროგატისათვის მხოლოდ „გონივრული სამედიცინო და დამატებითი ხარჯების“ გადახდა, რაც მოიცავს დამხმარე რეპროდუქციის განხორციელებასთან, ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებულ გონივრულ ხარჯებს⁶¹⁴. ამ ხარჯების გარდა სუროგატისათვის ნებისმიერი სახის კომპენსაციის გადახდის შესახებ შეთანხმება ბათილი და აღუსრულებადია⁶¹⁵. იკრძალება არამართო პოტენციური მშობლების მიერ სუროგატისათვის კომპენსაციის გადახდა, არამედ ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ სუროგაციაში შუამავლობა. აღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს შედარებით მსუბუქი სახის დანაშაულს⁶¹⁶ და დამატებით ითვალისწინებს სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობასაც⁶¹⁷.

დ. მშობლის სტატუსის დადგენისათვის მოთხოვნილი სამართლებრივი პროცედურა

ვირჯინიაში სუროგაციის აღსასრულებლად საკმარისი არ არის მხარეებს შორის კანონით დადგენილი შინაარსის შემცველი ხელშეკრულების წერილობითი გაფორმება და თუნდაც მისი დადასტურება ამისათვის უფლებამოსილი პირის მიერ. ხელშეკრულების ნამდვილობის აღიარება ხორციელდება შტატის შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოს მიერ ორდერის გაცემით დამხმარე რეპროდუქციის განხორციელების დაწყებამდე, თუ დაკმაყოფილებულია კანონით დაწესებული მოთხოვნები. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს ორდერით დასტურდება სუროგაციის

156.). ამასთან, სუროგატ დედას, რომელიც იმავდროულად ბავშვის გენეტიკური მშობელია, კანონი დამატებით უფლებებს ანიჭებს გენეტიკური და იმავდროულად გესტაციური კავშირის არსებობის გამო. კერძოდ, ამ შემთხვევაში სუროგატს ეძლევა უფლება საბოლოოდ განხორციელებული დამხმარე რეპროდუქციის თარიღიდან 180 დღის განმავლობაში შეწყვიტოს სუროგაციის ხელშეკრულება სასამართლოსათვის შესაბამისი შეტყობინების განხორციელებით (Code of Virginia § 20-161.B).

⁶¹⁴ Code of Virginia § 20-156.

⁶¹⁵ იქვე, § 20-160 B.4.

⁶¹⁶ “misdemeanor” აშშ-ში შედარებით მსუბუქი დანაშაულის აღმნიშვნელი ტერმინი.

⁶¹⁷ Code of Virginia § 20-165.

ხელშეკრულების ნამდვილობა და მხარეებს ეძლევათ უფლება, დაიწყონ სუროგაციის სამედიცინო პროცედურა ორდერის გაცემის თარიღიდან თორმეტი თვის განმავლობაში⁶¹⁸. თუმცა, არც სასამართლოს აღნიშნული ორდერია საკმარისი ბავშვის დაბადებისას პოტენციური მშობლების ბავშვის იურიდიულ მშობლებად რეგისტრაციისათვის. ბავშვის დაბადებიდან შვიდი დღის განმავლობაში დამატებით მოითხოვება სასამართლოსათვის შეტყობინება, რომელიც უნდა განხორციელდეს უკანასკნელად ჩატარებული დამხმარე რეპროდუქციის თარიღიდან არაუგვიანეს 300 დღისა⁶¹⁹. ასეთი შეტყობინებისას სასამართლოს წინაშე სამედიცინო მტკიცებულებით იმ ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, რომ დაბადებულ ბავშვსა და ერთ ან ორივე პოტენციურ მშობელს შორის არსებობს გენეტიკური კავშირი, სასამართლო იღებს ორდერს, რომლის საფუძველზეც რეესტრი ახდენს ბავშვის დაბადების ახალი მონუმბის გაცემას პოტენციური მშობლების, როგორც ბავშვის იურიდიული მშობლების, მასში ჩაწერით⁶²⁰.

„ვირჯინიის კანონი“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პოტენციურ მშობელს ან პოტენციურ მშობლებსა და სუროგაციის შედეგად დაბადებულ ბავშვს შორის გენეტიკური კავშირის არსებობას და ამ ფაქტს მიიჩნევს უპირატესად გენეტიკური პოტენციური მშობლისათვის იურიდიული მშობლის სტატუსის მისანიჭებლად, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ სუროგაციის ხელშეკრულების ნამდვილობა არ არის აღიარებული სასამართლოს მიერ. კერძოდ, ასეთ შემთხვევაში სუროგაციის ხელშეკრულების სასამართლოს მიერ წინასწარი ავტორიზაციის არარსებობის მიუხედავად, კანონით დადგენილი ზოგადი წესი, რომ გესტაციური დედა და მისი მეუღლე (ასეთის არსებობისას) ბავშვის იურიდიული მშობლები არიან, იცვლება და განისაზღვრება შემდეგი სახით: (1) პოტენციური დედა მიიჩნევა იურიდიულ დედად, თუ იგი ბავშვის გენეტიკური დედაა; (2) თუ პოტენციურ მშობელთაგან ერთ-ერთი ბავშვის გენეტიკური მშობელია, პოტენციური მამა მიიჩნევა ბავშვის მამად. ამგვარი გენეტიკური კავშირის არსებობის მიუხედავად, მშობლის იურიდიული სტატუსის ზოგადი წესი არ იცვლება და ბავშვის მშობლებად განისაზღვრება სუროგატი დედა მის მეუღლესთან ერთად, თუ არსებობს შემდეგი პირობების ერთობლიობა: სუროგატი დედა იმყოფება ქორწინებაში, მისი მეუღლე სუროგაციის ხელშეკრულების მხარეა და სუროგატი ახორციელებს თავის უფლებას, დაიტოვოს ბავშვზე

⁶¹⁸ იქვე, § 20-160 B.

⁶¹⁹ იქვე, § 20-160 D.

⁶²⁰ იქვე, § 20-160 D.

მეურვეობისა და მშობლის უფლებები. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ისევე, როგორც პოტენციური მშობლების გენეტიკური კავშირის არარსებობისას ბავშვთან, ბავშვის იურიდიული მშობლები არიან სუროგატი დედა და სუროგატი დედის მეუღლე⁶²¹.

3.1.2. ქვეყნები, სადაც ალტრუისტული სუროგაციის განსახორციელებლად სასამართლოს წინასწარი თანხმობა არ მოითხოვება

აღნიშნულ ჯგუფს აერთიანებს ქვეყნები, სადაც, მართალია, სუროგაციის განსახორციელებლად არ არის სავალდებულო სასამართლოს ან სპეციალური ორგანოს თანხმობა, თუმცა, პოტენციური მშობლების მიერ სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის მიმართ იურიდიული მშობლის სტატუსის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი ორდერის საფუძველზე, რომელიც გაიცემა ბავშვის დაბადების შემდგომ.

ასეთი ქვეყნების ტიპური მაგალითია გაერთიანებული სამეფო, ავსტრალია⁶²² და ამერიკის შეერთებული შტატებიდან ფლორიდას შტატი⁶²³.

⁶²¹ იქვე, § 20-158 E.

⁶²² ავსტრალიის შტატებისა და ტერიტორიების უმრავლესი ნაწილი. დეტალურად იხ. წინამდებარე თავის 3.1.2.1. ქვეთავი.

⁶²³ ფლორიდას კანონით (Florida Statutes §§ 63.213 (2003); 742.15 (2015)) განსხვავებულად რეგულირდება როგორც გესტაციური, ასევე ტრადიციული სუროგაციის ხელშეკრულებები. ტრადიციული სუროგაციის ხელშეკრულებებს კანონი უწოდებს „შვილად აყვანის წინარე ხელშეკრულებებს“. გესტაციური სუროგაციის შემთხვევაში პოტენციური მშობლები უნდა იყვნენ ქორწინებაში მყოფი წყვილი, ამასთან სამედიცინო მტკიცებულებით უნდა დასტურდებოდეს პოტენციური დედის უუნარობა ორსულობის შენარჩუნების ან სამედიცინო თვალსაზრისით სუროგაციის სხვაგვარი საჭიროების შესახებ. გესტაციური სუროგაციის შემთხვევაში ბავშვის დაბადებიდან 3 დღის განმავლობაში პოტენციურმა მშობლებმა მათი მშობლის იურიდიული სტატუსის დადასტურების მიზნით უნდა მიმართონ შტატის შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოს. ამ სტატუსის დადასტურებას ორდერის გაცემით სასამართლო ახდენს იმ შემთხვევაში, თუ კანონით დაწესებული მოთხოვნები ნამდვილი გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულების მიმართ დაკმაყოფილებულია. განსხვავებულად წყდება საკითხი ტრადიციული სუროგაციისას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სუროგატ დედას ეძლევა უფლება, მოახდინოს მისი თანხმობის ანუღირება ხელშეკრულებაზე ბავშვის დაბადებიდან 48 საათის განმავლობაში.

3.1.2.1. გაერთიანებული სამეფო და ავსტრალია.

ა. შედარებითი ანალიზი

აშშ-ის მსგავსად, ავსტრალიაში სუროგაცია ფედერალურ დონეზე არ რეგულირდება⁶²⁴, თუმცა, იგი პირდაპირაა მოწესრიგებული ავსტრალიის შტატებისა და ტერიტორიების კანონმდებლობით⁶²⁵. გაერთიანებულ სამეფოში სუროგაციასთან დაკავშირებულ საკითხებს კი აწესრიგებს 2008 წლის კანონი „ადამიანის განაყოფიერებისა და ემბრიოლოგიის შესახებ“⁶²⁶.

⁶²⁴ სუროგაციის საკითხების პირდაპირი რეგულაცია ავსტრალიაში არ ხდება ფედერალურ დონეზე, თუმცა ფედერალური კანონებით წესრიგდება ისეთი საკითხები, როგორცაა იმიგრაცია, მოქალაქეობა და მშობელთა პასუხისმგებლობა, რომელთაც შეიძლება კავშირი ჰქონდეს სუროგაციასთან.

⁶²⁵ ავსტრალია შედგება ექვსი შტატისა და 10 ტერიტორიისგან. კვლევაში განხილულია ავსტრალიის დედაქალაქის ტერიტორიის, ისევე, როგორც ექვსივე შტატის სუროგაციის პირდაპირ მომწესრიგებელი კანონმდებლობა: ავსტრალიის დედაქალაქის ტერიტორია - მშობელთა შესახებ კანონი 2004 (Parentage Act 2004); ახალი სამხრეთ უელსი - სუროგაციის კანონი 2010 (Surrogacy Act 2010), ქვინსლენდი - სუროგაციის კანონი 2010 (Surrogacy Act 2010), სამხრეთ ავსტრალია - ოჯახური ურთიერთობების შესახებ კანონი 1975 (Family Relationship Act 1975) რომელშიც შესულია ცვლილებები 2015 წლის ოჯახური ურთიერთობების (სუროგაციის) ცვლილების შესახებ კანონით (Family Relationships (Surrogacy) Amendment Act 2015); ტასმანია - სუროგაციის კანონი 2012 (Surrogacy Act 2012), ვიქტორია - დახმარე რეპროდუქციული მკურნალობის შესახებ კანონი 2008 (Assisted reproductive Treatment Act 2008) და ბავშვთა სტატუსის შესახებ კანონი 1974 (Status of Children Act 1974); დასავლეთ ავსტრალია - სუროგაციის კანონი 2008 (Surrogacy Act 2008). ჩრდილოეთ ტერიტორიაზე სუროგაცია არ არის დაშვებული და არ არსებობს მისი პირდაპირ მარეგულირებელი კანონმდებლობა. აღსანიშნავია, რომ 2010 წლამდე ავსტრალიის შტატებში სუროგაციის კანონმდებლობა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. 2010 წლის შემდგომ კი ახალი რეგულაციების მიღებით გარკვეული ერთიანობა იქნა მიღწეული იმით, რომ შტატების უმრავლესობამ პირდაპირ დაადგინა კომერციული სუროგაციის აკრძალვა და შეზღუდული პირობებით გესტაციური და ალტრუისტული სუროგაციის დაშვება.

⁶²⁶ საინტერესოა, გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობის თანდათანობითი ცვლილება სუროგაციის რეგულირებასთან დაკავშირებით: სუროგაციის მარეგულირებელი 1985 წლის კანონით (Surrogacy Arrangements Act 1985) პირდაპირ არ იკრძალებოდა სუროგაცია და სისხლის სამართლის დანაშაულად არ მიიჩნეოდა ქალის, როგორც სუროგატი დედის, მიერ სუროგაციული მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დადება, ისევე, როგორც პოტენციური მშობლების მიერ ასეთი ხელშეკრულების დადება სუროგატ დედასთან სუროგაციული მომსახურების მისაღებად. კანონის ძირითად მიზანს წარმოადგენდა სუროგაციის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული კომერციული საქმიანობების - მისი რეკლამირების, შუამავლობისა და მესამე პირთა მხრიდან სარგებლის მიღების სისხლის სამართლის დანაშაულად აღიარება. კანონის მიღებას წინ უძღოდა ე.წ. ვორნოკის კომიტეტის ანგარიში (Warnock Committee Report) ადამიანის განაყოფიერებისა და ემბრიოლოგიის შესახებ (Department of Health and Social Security (1984) Report of the Committee of Inquiry into Human Fertilization and Embryology (London: HMSO, Cmnd. 9314). <http://www.hfea.gov.uk/docs/Warnock_Report_of_the_Committee_of_Inquiry_into_Human_Fertilisation_and_Embryology_1984.pdf> [15.09.2017]). მიუხედავად იმისა, რომ ანგარიში

ორივე ამ იურისდიქციისათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურებაა ის, რომ სუროგაციის შედეგად ბავშვის დაბადებისას მისი იურიდიული მშობლების განსაზღვრა წარმოებს დაბადების ზოგადი წესის მიხედვით, რაც ნიშნავს იმას, რომ ბავშვის იურიდიულ დედად მიიჩნევა სუროგატი დედა⁶²⁷, როგორც ბავშვის გამჩენი ქალი, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი ბავშვის გენეტიკური მშობელი, ხოლო თუ სუროგატი დედა დაქორწინებულია, ბავშვის იურიდიულ მამად განიხილება მისი მეუღლე⁶²⁸

ზოგადად დასაშვებად მიიჩნევა დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების ისეთი სახეების გამოყენებას, როგორცაა ინ ვიტრო განაყოფიერება, დონორული ინსემინაცია, დონაცია და გამეტების შენახვა, არ ახდენდა სუროგაციის, როგორც რეპროდუქციულ ტექნიკის, მხარდაჭერას. სუროგაციის მიმართ უარყოფითი განწყობის მიუხედავად, ანგარიში არ იძლეოდა მისი აკრძალვის რეკომენდირებას. ანგარიშის ძირითადი რეკომენდაცია მიმართული იყო იმისკენ, რომ კანონმდებლობას მოეხდინა მოსახლეობის დემოტივაცია, შესულიყვნენ სუროგაციულ გარიგებებში.

1990 წლის ადამიანის განაყოფიერებისა და ემბრიოლოგიის კანონით 1985 წლის კანონს დაემატა მუხლი, „რომლითაც განხორციელდა გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობაში სუროგაციის ხელშეკრულებების აღუსრულებადობის კოდიფიკაცია“ (იხ. Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 58.) შემდგომი ცვლილებები განხორციელდა 1992 წლის კანონითა და დღეს მოქმედი 2008 წლის კანონით ადამიანის განაყოფიერებისა და ემბრიოლოგიის შესახებ. 1992 წლის კანონით განისაზღვრა ე.წ. მშობლის ორდერის (“Parental Order”) მარეგულირებელი დებულებები, რომლებიც ითვალისწინებდნენ პოტენციური მშობლების მიერ სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის იურიდიული მშობლის სტატუსის მოპოვებას ბავშვის დაბადების შემდგომ განსაზღვრული პირობების არსებობის შემთხვევაში. 1990 წლის კანონით მშობლის ორდერის გაცემაზე სასამართლოში განცხადების შეტანის უფლება ჰქონდათ მხოლოდ ქორწინებაში მყოფ წყვილს. 2008 წლის ადამიანის განაყოფიერებისა და ემბრიოლოგიის კანონით განცხადების წარდგენის უფლება მიენიჭათ როგორც დაუქორწინებელ, ასევე ერთნაირსქესიან წყვილსაც. აქვე აღსანიშნავია, რომ მშობლის ორდერის საფუძველზე მშობლის სტატუსის მიღების უფლება არ აქვთ მარტოხელა პირებს. მათ შეუძლიათ ისარგებლონ მხოლოდ შვილად აყვანის კანონით დადგენილი პროცედურებით (იხ. Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 58).

⁶²⁷ საინტერესოა, რომ ვიქტორიის შტატის გარდა, სადაც კანონმდებლობა იყენებს ტერმინს „სუროგატი დედა“, ავსტრალიის შტატების კანონმდებლობების უმრავლესობა განსაზღვრავს ტერმინს „გამჩენი დედა“ - “birth mother”, რაც ტერმინის განსაზღვრის დონემც კი ახდენს სუროგაციის მიმართ კანონმდებლობის დამოკიდებულების ხაზგასმას და უპირველესად იმ პრინციპის აღიარებას, რომ ბავშვის დედად მიიჩნევა ქალი, რომელმაც ბავშვი შვა კანონმდებლობით პირდაპირ განსაზღვრული გამონაკლისების გარდა.

⁶²⁸ აღსანიშნავია, რომ გაერთიანებულ სამეფოში ე.წ. სამოქალაქო პარტნიორობაში (“Civil Partnership” - „სამოქალაქო პარტნიორობა არის ერთნაირსქესიანი წყვილის სამართლებრივად აღიარებული ურთიერთობა) მყოფი წყვილი ასევე შეიძლება გახდეს სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის მშობელი. იხ. Wells-Greco M., United Kingdom,

და მხოლოდ სასამართლო უფლებამოსილი მხოლოდ ბავშვის დაბადების შემდგომ და მხოლოდ სუროგატი დედის თანხმობით, განიხილოს და გადაწყვიტოს ამ სტატუსის ცვლილების შესახებ საკითხი.

ამდენად, გაერთიანებულ სამეფოსა და ავსტრალიაში მოქმედი მოდელის შესაბამისად გადამწყვეტია არა გენეტიკური კავშირი, არამედ გესტაციის ფაქტი. 2008 წლის ადამიანის განაყოფიერებისა და ემბრიოლოგიის კანონი პირდაპირ განსაზღვრავს ტერმინი „დედა“-ს დეფინიციას: „ქალი, რომელიც ატარებს ან ატარებდა ბავშვს, მასში ემბრიონის ან სპერმისა და კვერცხუჯრედის მოთავსების შედეგად, და არცერთი სხვა ქალი არ შეიძლება იქნას განხილული ბავშვის დედად“⁶²⁹. კანონის ამგვარი განსაზღვრების მიხედვით, ბუნებრივია, რომ ბავშვის დაბადებისას სწორედ სუროგატი დედა მიიჩნევა ბავშვის იურიდიულ დედად, მათ შორის, მისი ბავშვთან გენეტიკური კავშირის არარსებობის შემთხვევაშიც, ხოლო, მეორე მხრივ, პოტენციური დედა ფაქტობრივად განიხილება როგორც კვერცხუჯრედის დონორი, თუ ბავშვთან მას გენეტიკური კავშირი აქვს. სწორედ იმის გამო, რომ გაერთიანებულ სამეფოში დედობა დამოკიდებულია გესტაციაზე, მიიჩნევენ, რომ „სუროგატი დედის უფლება, აღიარებული იქნას ბავშვის იურიდიულ მშობლად, არასოდეს ყოფილა წარმატებით შედავებული“⁶³⁰.

შესაბამისად, იმისათვის, რომ განხორციელდეს ბავშვის დაბადების ზოგადი წესის ცვლილება და მშობლის უფლებები გადაეცეს პოტენციურ მშობლებს, ეს უკანასკნელნი ვალდებული არიან, გაიარონ ე.წ. ბავშვის „დაბადების შემდგომი“ იურიდიული პროცესი. გაერთიანებულ სამეფოში ეს პროცესი ცნობილია მშობლის ორდერის განაცხადის - “parental order application”⁶³¹-ის სახელით, ავსტრალიაში კი - იგივე მნიშვნელობის მქონე “parentage order application”-ის სახელწოდებით⁶³². ამრიგად, ორივე ამ იურისდიქციაში პოტენციური მშობლებისათვის მშობლის სტატუსის მინიჭება

in: International Surrogacy Arrangements Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 369.

⁶²⁹ 2008 წლის ადამიანის განაყოფიერებისა და ემბრიოლოგიის კანონი, 33-ე 1-ლი ნაწილი. იხ. Stoll J., Surrogacy Arrangements and Legal Parenthood: Swedish Law in a Comparative Context, Uppsala, 2013, 175.

⁶³⁰ McCandless J., Sheldon S., No father required? The Welfare Assessment in the Human Fertilisation and Embryology Act 2008, Feminist Legal Studies, Vol. 18, Issue 3, 2010, 183.

⁶³¹ განაცხადი „მშობლის ორდერის“ - მშობლებად აღიარების შესახებ ბრძანებაზე.

⁶³² Trimmings K., Beaumont P., General Report on Surrogacy, in: International Surrogacy Arrangements Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 456.

შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ბავშვის დაბადების შემდგომ სასამართლოსადმი შესაბამისი განცხადების მიმართვის გზით⁶³³ და მხოლოდ იმ პირობით, თუ კანონმდებლობის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

სხვა სიტყვებით რომ ითქვას, აღნიშნული იურიდიული პროცედურა წარმოადგენს ერთგვარად შვილად აყვანის დაჩქარებულ პროცესს პოტენციური მშობლებისათვის სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის იურიდიული მშობლის სტატუსის *ex-post facto*⁶³⁴ გადასაცემად სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების - ორდერის საფუძველზე. ავსტრალიაში „აღნიშნული იურიდიული პროცესის განსაზღვრა მიჩნეულ იქნა ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, ვინაიდან იგი უზრუნველყოფს, რომ ბავშვი არ დარჩეს „მოქალაქეობისა და მშობლების გარეშე“, ისევე, როგორც იცავს სუროგატ დედას იძულებითი თანხმობისგან, როდესაც იგი ახდენს მისი გესტაციური მომსახურების შეთავაზებას“⁶³⁵.

მშობლის ორდერის გაცემა სასამართლოს მიერ წარმოებს იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია სუროგაციის მარეგულირებელი შესაბამისი კანონის ძირითადი მოთხოვნები, რომელთა არსებობა ფაქტობრივად ქმნის სუროგაციის დასაშვებობას და შესაძლებლობას აძლევს პოტენციურ მშობლებს შვილად აყვანის წესების გვერდის ავლით მოახდინონ დაჩქარებული მშობლის ორდერის პროცედურებით მშობლის სტატუსის მოპოვება. მოთხოვნების მნიშვნელოვანი ნაწილი მსგავსია გაერთიანებულ სამეფოსა და ავსტრალიის უმრავლესი შტატისა და ტერიტორიების კანონმდებლობაში, თუმცა, არსებობს რიგი განსხვავებებიც.

⁶³³ ავსტრალიის სხვადასხვა შტატში განსხვავებულადაა განსაზღვრული მშობლის ორდერის მოსაპოვებლად სასამართლოს განსჯადობის საკითხები. მაგალითად, ავსტრალიის დედაქალაქის ტერიტორიასა და ახალ სამხრეთ უელში ორდერის მოსაპოვებლად განაცხადი წარდგენილი უნდა იქნას უზენაეს სასამართლოებში, ვიქტორიაში - უზენაეს სასამართლოში ან რეგიონალურ სასამართლოში, ქვინსლენში - ბავშვთა სასამართლოში, სამხრეთ ავსტრალიაში იურისდიქცია გააჩნია არასრულწლოვანთა სასამართლოს, ტასმანიაში - მაგისტრანტთა სასამართლოს, ხოლო დასავლეთ ავსტრალიაში - დასავლეთ ავსტრალიის საოჯახო სასამართლოს. იხ. Keyes M., Australia, in: International Surrogacy Arrangements Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 28.

⁶³⁴ ფაქტის შემდგომი.

⁶³⁵ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 63.

ბ. სუროგაციის ალტრუისტული ხასიათი

დასაშვებია მხოლოდ ალტრუისტული სუროგაცია, რაც ნიშნავს იმას, რომ აკრძალულია პოტენციური მშობლების მიერ სუროგატი დედისათვის გონივრული ხარჯების⁶³⁶ გარდა ნებისმიერი გადასახადის გადახდა. კომერციული სუროგაცია აკრძალულია როგორც გაერთიანებულ სამეფოში, ასევე ავსტრალიის ყველა იურისდიქციაში, იურისდიქციების უმრავლესობაში კი სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობასაც ითვალისწინებს.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში სუროგაციის რეჟიმის შედარებითი ანალიზის⁶³⁷ მიხედვით 2013 წლისათვის არსებული მონაცემებით ირკვევა, რომ გაერთიანებულ სამეფოში არ არის დაფიქსირებული სასამართლოს მიერ მშობლის ორდერის გაცემაზე უარის თქმის არცერთი შემთხვევა არაგონივრული ხარჯების დადასტურების საფუძველით, რომლის გამოც სუროგაცია შეიძლება კვალიფიცირებულიყო როგორც კომერციული. კვლევა მიუთითებს დიდ ბრიტანეთში წარმოებულ რამდენიმე საქმეზეც, როდესაც სასამართლოებმა მშობლის ორდერის გაცემის გადაწყვეტილებები მიიღეს მაშინაც, როდესაც ნათელი იყო გონივრულ ხარჯებს ზევით სუროგატი დედისათვის თანხების გადახდა. 2008 წელს უმაღლესმა სასამართლომ რეტროსპექტულად დაადასტურა უკრაინელი სუროგატისათვის 27,000 ევროს გადახდა. მიუხედავად იმისა, რომ ნათელი იყო ამ ხარჯების „არაგონივრულობა“, სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნებოდა ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპს, „ვინაიდან სხვაგვარად ბავშვები „მოქალაქეობისა და მშობლების“ გარეშე“ დარჩებოდნენ⁶³⁸.

⁶³⁶ გონივრული ხარჯების განმარტება განსხვავდება ავსტრალიის იურისდიქციების მიხედვით: ავსტრალიის დედაქალაქის ტერიტორიის კანონმდებლობით ეს ხარჯები მოიცავს სუროგატი დედის ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ახალ სამხრეთ უელსში, ქვინსლენდში, ტასმანიაში, სამხრეთ ავსტრალიაში, დასავლეთ ავსტრალიასა და ვიქტორიაში გონივრული ხარჯები მოიცავს სუროგატი დედის სამედიცინო და იურიდიულ ხარჯებს და, ვიქტორიის შტატის გამოკლებით, ასევე, კონსულტაციასთან დაკავშირებულ ხარჯებსაც იხ. Keyes M., Australia, in: International Surrogacy Arrangements Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 33.

⁶³⁷ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 62.

⁶³⁸ იქვე.

2010 წელს საქმეში *Re L (a minor)*⁶³⁹ უმაღლესმა სასამართლომ განიხილა მშობლის ორდერის მიღების თაობაზე განცხადება, რომელიც ეხებოდა აშშ-ის შტატ ილინოისში წარმოებულ სუროგაციას და სადაც სუროგატი დედისათვის გადახდილი იყო გონივრულ ხარჯებზე მეტი. „მოსამართლემ ნათლად აღნიშნა, რომ მშობლის ორდერის გაცემაზე უარის თქმა გამართლებული იქნებოდა საჯარო წესრიგის დარღვევის უფრო მეტად ექსტრემალურ შემთხვევებში“⁶⁴⁰, თუ ბავშვის კეთილდღეობის შეხედულებებიდან გამომდინარე საკითხი სხვაგვარად შეიძლება გადაწყვეტილიყო. ფაქტმა, რომ სუროგაციის ხელშეკრულება ლეგალური იყო ილინოისში, ასევე მოახდინა ზეგავლენა სასამართლოს მიერ გადასახადის მოწონებაზე, რომელიც ჩაითვა, რომ განხორციელდა „კეთილსინდისიერად“⁶⁴¹. მსგავსი დასაბუთება იქნა გამოყენებული საქმეში *Re D and L (minors) (surrogacy)*, სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ „თუ მშობლის ორდერის მისაღებად განმცხადებლები მოქმედებენ კეთილსინდისიერად, სახელმწიფო ორგანოების მოტყუების ყოველგვარი მცდელობის გარეშე, და, თუ [სუროგატი დედისათვის გადახდილი] თანხები არ არის იმდენად არაპროპორციული, რომ მშობლის ორდერის გაცემა საჯაროდ ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, ჩვეულებრივ ადეკვატური იქნება რეტროსპექტული ავტორიზაციის გაცემა ბავშვის კეთილდღეობის მნიშვნელობიდან გამომდინარე“⁶⁴².

ერთი შეხედვით კომერციული სუროგაციის აკრძალვა და სუროგაციული მომსახურების ალტრუისტული მიზნებით განხორციელება თავისთავად უნდა ნიშნავდეს იმას, რომ სუროგატი დედა უმრავლეს შემთხვევაში უნდა იყოს პოტენციური მშობლის ახლო ნათესავი ან მეგობარი, რადგან ასეთი კავშირების არსებობის გარეშე უცხო ადამიანისათვის ორსულობასთან, მშობიარობასთან და მშობიარობის შემდგომ ბავშვის სხვა პირის/პირებისათვის გადაცემასთან დაკავშირებული ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად რთული პროცესის გავლას მხოლოდ ალტრუიზმის მოტივაციითა და ფინანსური სარგებლის მიღების გარეშე სუროგატი დედა გამონაკლის ერთეულ შემთხვევებში თუ დათანხმდება. ამ ლოგიკას კი არ

⁶³⁹ *Re L (a minor)* [2010] EWHC 3146 (Fam).Case No: FD10P01027, High Court of Justice Family Division, 08.12.2010.

⁶⁴⁰ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 62.

⁶⁴¹ იქვე.

⁶⁴² იქვე.

ემთხვევა სტატისტიკური მაჩვენებლები. მაგ., დიდი ბრიტანეთის უშვილობის მკურნალობის კლინიკა ბორნ ჰოლში (Bourn Hall) 10 წლის განმავლობაში განხორციელებული სუროგაციული ინ ვიტრო განაყოფიერების მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ ამ ვადის განმავლობაში ჩატარებულ პროცედურებში მონაწილე სუროგატი დედებიდან პოტენციური მშობლის ახლო ნათესავი და მეგობარი მხოლოდ დაახლოებით 46%-ია⁶⁴³, რაც თავისთავად ბაღებს ეჭვს დარჩენილი, დაახლოებით 54% სუროგატი დედების „ალტრუისტულ მიზნებზე“.

ავსტრალიაში კომერციული სუროგაციის აკრძალვის მიუხედავად, 2013 წლის პერიოდისათვის გამოქვეყნებული სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზით ირკვევა, რომ სუროგაციასთან დაკავშირებული 31 გამოქვეყნებული საქმიდან მხოლოდ 12 საქმეზე დადასტურდა ალტრუისტული სუროგაცია, დანარჩენი 16 კომერციულია, 3 საქმეზე კი ვერ დადგინდა გარიგების კომერციული თუ ალტრუისტული ხასიათი⁶⁴⁴. მილბენკის (Millbank) მიერ წარმოდგენილი კვლევის მიხედვით „საერთაშორისო ტურიზმსა და კომერციულ გადასახადს შორის ძლიერი კორელაციაა“: 35 საერთაშორისო ხასიათის სუროგაციული შეთანხმებებიდან 32-მა მხარემ მიუთითა სუროგატი დედისათვის გადასახადის გადახდაზე⁶⁴⁵. ავსტრალიის ყველა იურისდიქციაში კომერციული სუროგაციის აკრძალვის არსებობის გამო პრობლემას წარმოადგენს პოტენციური მშობლების მიერ სუროგატი დედობის მსურველი ქალის მოძიება⁶⁴⁶, რომელიც „გონივრული ხარჯების“ გარდა ყოველგვარი ანაზღაურების სანაცვლოდ დათანხმდება სხვა პირის ან პირებისათვის სუროგაციული მომსახურების გაწევას, რასაც ადასტურებს ევერინგტონის (Everington) მიერ წარმოდგენილი კვლევის შედეგებიც⁶⁴⁷. 117 პოტენციური

⁶⁴³ Brinsden R. P., *Clinical Aspects of IVF Surrogacy in Britain*, in *Surrogate Motherhood: International Perspectives*, Edited by R. Cook, Sh. Day Sclater and F. Kaganas, Oxford-Portland-Oregon, 2003, 103.

⁶⁴⁴ Keyes M., *Australia*, in: *International Surrogacy Arrangements Legal Regulation at the International Level*, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 26.

⁶⁴⁵ Millbank J., *The New Surrogacy Parentage Laws in Australia: Cautious Regulation or 25 Brick walls?*, *Melbourne University Law Review*, Vol. 35, Issue 1, 2011, 192.

⁶⁴⁶ Llewellyn Sh., *Surrogacy Law Reform in South Australia: Are Surrogacy Registers a New Way Forward Australia?* *University of Tasmania Law Review*, Vol. 34, Issue 2, 2015, 137.

⁶⁴⁷ Everingham S., *Use of Surrogacy by Australians: Implications for Policy and Law Reform in: Family, Policy and the Law, Selected Essays on Contemporary Issues for Australia*, edited by A. Hayes and D. Higgins, Australia, 2014, 67.

მშობლის გამოკითხვის მიხედვით დადგინდა, რომ 51%-მა ვერ განახორციელა ალტრუისტული სუროგაცია იმის გამო, რომ ვერ მოახერხა სუროგატი დედობის მსურველი პირის მოძიება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განხილული სასამართლოს საქმეებისა და არსებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ნათელია, რომ, როგორც გაერთიანებული სამეფოს, ასევე, ავსტრალიის კანონმდებლობის დანაწესები მხოლოდ ალტრუისტული სუროგაციის დაშვების, კომერციული სუროგაციის აკრძალვისა და, ამასთანავე, კრიმინალიზაციის შესახებ, ზოგიერთ შემთხვევაში მხოლოდ ფორმალური მოთხოვნებია და ალტრუისტული სუროგაციის მახასიათებელი „გონივრული ხარჯების“ მიღმა სუროგატი დედისათვის გადასახადების გადახდის დადასტურების, ანუ ფაქტობრივად „კომერციული სუროგაციის“ არსებობის, შემთხვევაშიც თვით სასამართლოებიც კი ანიჭებენ პოტენციურ მშობლებს მშობლის სტატუსს დაბადებული ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით.

გ. ძირითადი მოთხოვნები პოტენციურ მშობლებთან მიმართებით

გ.ა. პოტენციური მშობლების ასაკი

გაერთიანებულ სამეფოსა და ავსტრალიის სხვადასხვა შტატისა და ტერიტორიების კანონმდებლობა არ განსაზღვრავს პოტენციური მშობლების მაქსიმალურ ასაკს. რაც შეეხება მინიმალურ ასაკს, გაერთიანებულ სამეფოში იგი 18 წელია, ავსტრალიაში კი განსხვავებული მოთხოვნებია: პოტენციური მშობლების მინიმალური ასაკი სუროგაციის ხელშეკრულების დადების დროს ახალ სამხრეთ უელსსა და სამხრეთ ავსტრალიაში 18 წლით განისაზღვრება, ავსტრალიის დედაქალაქის ტერიტორიაზე ორდერის შესახებ განაცხადის წარდგენის მომენტისათვის ორივე მშობლის მინიმალური ასაკი, ასევე, 18 წელია, ტასმანიაში კი შეადგენს 21 წელს. დასავლეთ ავსტრალიის კანონმდებლობა მინიმალური 25 წლის ასაკის შესახებ მოთხოვნას ადგენს ერთ-ერთი პოტენციური მშობლისათვის მშობლის ორდერის განაცხადის წარდგენის მომენტისათვის, ქვინსლენდში იგივე მინიმალური 25 წლის ასაკობრივი მოთხოვნაა განსაზღვრული ორივე

პოტენციური მშობლისათვის, ვიქტორიის კანონმდებლობა კი ასაკობრივ მოთხოვნებს პოტენციური მშობლების მიმართ არ ითვალისწინებს⁶⁴⁸.

გ.ბ. ოჯახური მდგომარეობა

გაერთიანებულ სამეფოში მშობლის ორდერის შესახებ განაცხადის წარდგენის უფლება, შესაბამისად, სუროგაციით სარგებლობის უფლება, არ აქვს მარტოხელა პოტენციურ მშობელს⁶⁴⁹. წყვილის შემთხვევაში არ მოითხოვება მათი რეგისტრირებული ქორწინების არსებობა⁶⁵⁰, თუმცა, აუცილებელი პირობაა, რომ ურთიერთობა არ უნდა იყოს „აკრძალული“ და დადასტურდეს წყვილის ერთად ცხოვრება „მტკიცე საოჯახო ურთიერთობაში“⁶⁵¹. 2010 წლის 6 აპრილის შემდგომ მშობლის ორდერის მიღების უფლება ასევე მიეცათ ე.წ. „სამოქალაქო პარტნიორებს“ – სამოქალაქო პარტნიორობაში რეგისტრირებულ ერთნაირსქესიან წყვილს⁶⁵².

საკითხი განსხვავებულად რეგულირდება ავსტრალიაში შტატებისა და ტერიტორიების მიხედვით. ზოგადად, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, სუროგაციით სარგებლობა შეუძლიათ როგორც ჰეტეროსექსუალ, ისე ერთნაირსქესიან წყვილებს⁶⁵³, რომლებიც იმყოფებიან როგორც იურიდიულ,

⁶⁴⁸ Keyes M., Australia, in: International Surrogacy Arrangements Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 30.

⁶⁴⁹ მარტოხელა პოტენციურმა მშობელმა უნდა მიმართოს შვილად აყვანის პროცედურებს.

⁶⁵⁰ აღსანიშნავია, რომ 2008 წლის კანონის მიღებამდე 1990 წლის ადამიანის განაყოფიერებისა და ემბრიოლოგიის კანონით განცხადების წარდგენის უფლება ჰქონდა მხოლოდ ქორწინებაში მყოფ წყვილს. 2008 წლის ადამიანის განაყოფიერებისა და ემბრიოლოგიის კანონით განცხადების წარდგენის უფლება მიენიჭა როგორც დაუქორწინებელ, ასევე ერთნაირსქესიან წყვილს იხ. Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 58.

⁶⁵¹ იქვე, 60.

⁶⁵² Wells-Greco M., United Kingdom, in: International Surrogacy Arrangements Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 372-373.

⁶⁵³ აღსანიშნავია, რომ ფედერალური დონის კანონის 1975 წლის საოჯახო სამართლის კანონში (Family Law Act 1975) 2008 წელს განხორციელებული ცვლილებებით (კანონის 60HB ქვეპუნქტში) მშობლისა და ბავშვის განსაზღვრება გაფართოვდა და მოიცვა ლესბოსელი მშობლებიც, რომელთაც ჰყავთ ბავშვი კოლაბორაციული რეპროდუქციის ან/და უშვილობის მკურნალობის საშუალებით და ზოგიერთი სხვა მშობელი, რომელთაც ჰყავთ შვილი სუროგაციის გზით. იხ. Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C.,

ასევე დე ფაქტო ურთიერთობაში: ქვინსლენდსა და ახალ სამხრეთ უელსში სუროგაცია დასაშვებია ერთი პოტენციური მშობლისა და ერთნაირსქესიანი წყვილისთვის, სამხრეთ ავსტრალიაში კი - მხოლოდ ჰეტეროსექსუალი და ქორწინებაში მყოფი წყვილის ან 3 წლის ან მეტი პერიოდის განმავლობაში დე ფაქტო ურთიერთობაში მყოფი წყვილისათვის⁶⁵⁴.

გ.გ. საცხოვრებელი ადგილი

ავსტრალიის უმრავლეს იურისდიქციაში სავალდებულოა პოტენციური მშობლების საცხოვრებელი ადგილის არსებობა ამ კონკრეტულ იურისდიქციაში⁶⁵⁵. გაერთიანებულ სამეფოში კი საკმარისია, პოტენციურ მშობელთაგან ერთ-ერთს მაინც ჰქონდეს საცხოვრებელი ადგილი გაერთიანებულ სამეფოში, რაც გულისხმობს ამ ყველაში არსებითი დროის განმავლობაში ცხოვრებას. აღნიშნული სავალდებულო პირობის არარსებობა გახდა სწორედ 2007 წელს ბრიტანეთში სასამართლოს მიერ მშობლის ორდერის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი⁶⁵⁶: სუროგაციის ხელშეკრულება გაფორმებული იყო თურქ წყვილსა და ბრიტანელ სუროგატ დედას შორის. თურქი წყვილი (პოტენციური მშობლები) გაერთიანებულ სამეფოში საცხოვრებლად გადავიდა სუროგატი დედის ორსულობის ბოლოს და ბრიტანეთში ცხოვრობდა დაბადებულ ბავშვთან ერთად სასამართლოში დაბადებულ ბავშვზე მშობლის ორდერის შესახებ განაცხადის წარდგენის მომენტისათვის. თუმცა, განიხილავდა რა თურქეთს მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილად, წყვილის სურვილი თურქეთში დაბრუნება იყო. „სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს გარემოებები არ აკმაყოფილებდა კანონის მოთხოვნას საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით, სასამართლოს არ გააჩნდა იურისდიქცია ე.წ. მშობლის ორდერის გაცემაზე და სხვა სახის სამართლებრივი საშუალებების

Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 63.

⁶⁵⁴ Family Relationship Act 1975.

⁶⁵⁵ მაგალითად, ავსტრალიის დედაქალაქის ტერიტორიის 2004 წლის მშობელთა შესახებ კანონი (Parentage Act 2004), ახალი სამხრეთ უელსის 2010 წლის სუროგაციის კანონი (Surrogacy Act 2010), ტასმანიის 2012 წლის სუროგაციის კანონი (Surrogacy Act 2012), დასავლეთ ავსტრალიის 2008 წლის სუროგაციის კანონი (Surrogacy Act 2008) იხ. Keyes M., Australia, in: International Surrogacy Arrangements Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 29.

⁶⁵⁶ *Re G* (Foreign domicile) [2007] EWHC 2814 (Fam). <<http://www.familylawweek.co.uk/site.aspx?i=ed984>> [01.11.2017].

გამოყენება იყო საჭირო იმისათვის, რომ თურქ წყვილს მისცემოდა შესაძლებლობა, გაერთიანებული სამეფოდან გაეყვანათ ბავშვი და დაბრუნებულიყვნენ თურქეთში⁶⁵⁷. იმისათვის, რომ შეენწყვიტა სუროგატი დედისა და მისი მეუღლის მშობლის პასუხისმგებლობები და მიენიჭებინა ისინი პოტენციური მშობლებისათვის, სასამართლომ გამოიყენა 2002 წლის შვილად აყვანისა და ბავშვთა შესახებ კანონი⁶⁵⁸. მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობის შესაბამისად „მშობლის პასუხისმგებლობა“ არ განსაზღვრავს მშობლის სტატუსის და მისი გადაცემით პოტენციურ მშობლებს არ მინიჭებიათ იურიდიული მშობლის სტატუსი, სასამართლოს ამგვარი გადაწყვეტილება მიზნად ისახავდა პოტენციური მშობლებისათვის სამართლებრივი დახმარების აღმოჩენას, ბავშვთან ერთად დაბრუნებულიყვნენ თურქეთში და თურქეთში წამოეწყოთ შვილად აყვანის პროცედურები⁶⁵⁹.

სასამართლოს მიერ კანონის ფორმალური მოთხოვნებისადმი ამგვარი დამოკიდებულება არ არის შესაბამისი სუროგაციის მონაწილე პირების ძირითადი უფლებებისა და, რაც მთავარია, ბავშვის უფლებების სრულად გათვალისწინებასთან. თუ სასამართლო ახდენს გაერთიანებულ სამეფოში სუროგაციასთან დაკავშირებული ყველა იმ ძირეული მოთხოვნის არსებობის დადგენას - რომ სუროგაცია ალტრუისტულია, ადგილი არ აქვს ტრადიციულ სუროგაციას, ბავშვს გენეტიკური კავშირი აქვს ერთ-ერთ პოტენციურ მშობელთან მაინც, სუროგაცია განხორციელებულია სამედიცინო დანესებულებაში, დადგენილია სუროგაციის მონაწილე ყველა პირის განზრახვა - დაბადებული ბავშვის პოტენციური მშობლებისათვის გადაცემაზე და წყვილი ნამდვილ ოჯახურ ურთიერთობაში იმყოფება, კანონის წმინდა ფორმალური მოთხოვნა გაერთიანებულ სამეფოში საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით არ უნდა ქმნიდეს ხელოვნურ ბარიერებს პოტენციური მშობლების ბავშვის მშობლებად აღიარებისთვის მაშინ, როდესაც სასამართლო თავისი გადანაცვებით პოტენციურ მშობლებს ბავშვის ქვეყნიდან გაყვანის უფლებას ანიჭებს, და სუროგატის დედისა და მისი მეუღლის მშობლის პასუხისმგებლობას წყვეტს.

⁶⁵⁷ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 61.

⁶⁵⁸ Adoption and Children Act 2002.

⁶⁵⁹ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 61.

დ. ძირითადი მოთხოვნები სუროგატი დედის მიმართ

ავსტრალიის უმრავლეს იურისდიქციაში სუროგატი დედა უნდა იყოს მინიმუმ 25 წლის⁶⁶⁰, უნდა ჰქონდეს ორსულობის შენარჩუნების შესაძლებლობა და ცოცხალი ბავშვის გაჩენის ისტორია⁶⁶¹. მიიჩნევენ, რომ აღნიშნული მოთხოვნის არსებობით უზრუნველყოფილია სუროგატი დედის მიერ სუროგაციული მომსახურების განევაზე თანხმობის გაცხადებისას ამ მომსახურების დიდწილად გააზრება, ვინაიდან ქალები, რომელთაც ასეთი ისტორია გააჩნიათ, სრულად არიან გათვითცნობიერებულნი ორსულობისა და მშობიარობასთან დაკავშირებულ სირთულეებზე⁶⁶². აღსანიშნავია, რომ სამხრეთ ავსტრალიის კანონმდებლობაში 2015 წელს განხორციელებული ცვლილებებით განისაზღვრა სუროგატი დედების რეესტრის სამინისტროს მიერ შექმნა, რომლითაც შესაძლებლობა მიეცათ, ერთი მხრივ, პოტენციურ სუროგატ დედებს, ასახულიყვნენ რეესტრში, ხოლო, მეორე მხრივ, პოტენციურ მშობლებს, რეესტრის გამოყენებით ესარგებლათ სუროგატი დედის მომსახურებით. რეესტრის შექმნის მიზანს დიდწილად წარმოადგენდა სუროგაციასთან წვდომის მეტი უზრუნველყოფა, ისევე, როგორც იმ ადამიანების რიცხოვნობის შემცირება, რომლებიც სუროგაციით სარგებლობას საზღვარგარეთ ცდილობდნენ⁶⁶³.

გაერთიანებულ სამეფოში სუროგატის მიმართ ასაკობრივი შეზღუდვები პირდაპირ არ წესდება, თუმცა, შეზღუდვები შეიძლება არსებობდეს უშვილობის სამედიცინო მკურნალობის თვალსაზრისით. მაგ., დიდი ბრიტანეთის უშვილობის მკურნალობის კლინიკა ბორნ ჰოლში (Bourn Hall) არსებული გაიდლაინებით სუროგატი დედის ასაკი არ უნდა აღემატებოდეს

⁶⁶⁰ სამხრეთ ავსტრალიაში სუროგატი დედის მინიმალური ასაკი 18 წლით განისაზღვრება, ხოლო ავსტრალიის დედაქალაქის ტერიტორიის კანონმდებლობა ასაკობრივ ცენზს სუროგატ დედასთან მიმართებით არ აწესებს. იხ. Keyes M., Australia, in: International Surrogacy Arrangements Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 30.

⁶⁶¹ აღნიშნული მოთხოვნა განისაზღვრება ტასმანიის, ვიქტორიისა და დასავლეთ ავსტრალიის კანონმდებლობით. იხ. იქვე.

⁶⁶² Ekberg E. M., Ethical, legal and Social Issues to Consider When Designing a Surrogacy Law, *Journal of law and Medicine*, Vol. 21, Number 3, 2014, 728, 732.

⁶⁶³ Llewellyn Sh., *Surrogacy Law Reform in South Australia: Are Surrogacy Registers a New Way Forward Australia?*, *University of Tasmania Law Review*, Vol. 34, Issue 2, 2015, 130.

40 წელს, ვინაიდან 40 წელზე მეტი ასაკის მქონე ქალებში უფრო მეტია ორსულობის გართულების რისკი⁶⁶⁴.

ე. დასაშვები სუროგაციისა და მისი განხორციელების ფორმა

გაერთიანებულ სამეფოში დასაშვებია დონორის გამოყენება სუროგაციის მიზნებისათვის ინ ვიტრო განაყოფიერების პროცედურაში, თუმცა, სავალდებულო მოთხოვნაა, რომ ერთ პოტენციურ მშობელს მაინც უნდა ჰქონდეს გენეტიკური კავშირი ბავშვთან და სუროგატი დედის ორსულობა არ უნდა იქნას მიღწეული სექსუალური კავშირის გზით. კანონმდებლობა პირდაპირ არ უთითებს იმაზე, რომ პოტენციურ დედას სამედიცინო თვალსაზრისით უნდა ჰქონდეს შეუძლებლობა იმისა, რომ დაორსულდეს და ბავშვი გააჩინოს.

დონაციის გამოყენება სუროგაციის დროს, ასევე დაიშვება ავსტრალიაშიც. ავსტრალიის იურისდიქციების უმრავლესობა შეზღუდვებს პოტენციურ მშობლებსა (ან ერთ-ერთ მაგთანს) და ბავშვს შორის გენეტიკური კავშირის არსებობასთან დაკავშირებით პირდაპირ არ აღგენს. გამონაკლისია ავსტრალიის დედაქალაქის ტერიტორიისა და სამხრეთ ავსტრალიის კანონმდებლობა, რომლითაც მოითხოვება გენეტიკური კავშირის არსებობა ბავშვსა და ერთ-ერთ პოტენციურ მშობელს შორის. ამასთან, ავსტრალიის დედაქალაქის ტერიტორიის 2004 წლის „მშობელთა შესახებ“ კანონის დამატებითი მოთხოვნაა, რომ ბავშვთან გენეტიკური კავშირი არ უნდა ჰქონდეს არც სუროგატ დედას და არც მის მეუღლეს⁶⁶⁵. ტრადიციულ სუროგაციას, ასევე, კრძალავს ვიქტორიისა და დასავლეთ ავსტრალიის კანონმდებლობაც. მიიჩნევენ, რომ ამგვარი აკძალვა „დამცავი ზომაა, რადგან ამცირებს იმ „დაბრკოლებების“ რიცხვს, რომელიც სუროგატმა დედამ უნდა გადალახოს ბავშვზე მშობლის უფლებების გადაცემისას“⁶⁶⁶.

⁶⁶⁴ Brinsden R. P., *Clinical Aspects of IVF Surrogacy in Britain*, in *Surrogate Motherhood: International Perspectives*, Edited by R. Cook, Sh. Day Sclater and F. Kaganas, Oxford-Portland-Oregon, 2003, 103.

⁶⁶⁵ Parentage Act 2004, s 24(b), Australian Capital Territory.

⁶⁶⁶ Trowse P., *Surrogacy: Is it Harder to relinquish Genes?*, *Journal of Law and Medicine*, Vol. 18, Issue 3, 2011, 617.

ვ. მშობლის ორდერის შესახებ განაცხადის სასამართლოში წარდგენის ვადა

როგორც გაერთიანებულ სამეფოში, ასევე, ავსტრალიაში მშობლის ორდერის შესახებ განაცხადი სასამართლოს უნდა წარედგინოს ბავშვის დაბადების შემდგომ⁶⁶⁷ და ბავშვის დაბადებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადაში. გაერთიანებულ სამეფოსა და ავსტრალიის უმრავლეს იურისდიქციებში⁶⁶⁸ დამატებით მოითხოვება, რომ განაცხადის წარდგენის მომენტისათვის ბავშვი ცხოვრობდეს განმცხადებლებთან - პოტენციურ მშობლებთან. თუ გავითვალისწინებთ განხილულ იურისდიქციებში მშობლის სტატუსის დადგენის პირველად წესს, რომ ბავშვის დედად მიიჩნევა სუროგატი დედა, ბუნებრივია, რომ ამ უკანასკნელი პირობის არსებობა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ მაშინ, „თუ სუროგატი დედა გადასცემს ბავშვს პოტენციურ მშობლებს“⁶⁶⁹.

ზ. სუროგატი დედისა და მისი მეუღლის თანხმობა მშობლის იურიდიული სტატუსის გადასაცემად

გაერთიანებულ სამეფოსა და ავსტრალიაში მოქმედი პრინციპის გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც ბავშვის დაბადებისას მის იურიდიულ მშობლებად მიიჩნევიან „სუროგატი მშობლები“⁶⁷⁰, ბუნებრივია,

⁶⁶⁷ ავსტრალიის ოთხ იურისდიქციაში (ქვინსლენდი, სამხრეთ ავსტრალია, ვიქტორია და დასავლეთ ავსტრალია) სავალდებულო პირობაა, რომ განაცხადის წარდგენის მომენტისათვის ბავშვი უნდა იყოს მინიმუმ ოთხი კვირის, ახალ სამხრეთ უელსსა და ტასმანიაში - მინიმუმ 30 დღის, ხოლო ავსტრალიის დედაქალაქის ტერიტორიაზე - მინიმუმ ექვსი კვირის. იხ. Keyes M., Australia, in: International Surrogacy Arrangements Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 29.

⁶⁶⁸ ახალი სამხრეთ უელსი, ქვინსლენდი, ტასმანია, ვიქტორია და დასავლეთ ვირჯინია. ავსტრალიის დედაქალაქის ტერიტორიისა და სამხრეთ ავსტრალიის კანონმდებლობის მიხედვით, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, ცხოვრობს თუ არა ბავშვი განმცხადებლებთან განაცხადის წარდგენის დროს. იხ. იქვე.

⁶⁶⁹ Johnson H. M., Surrogacy and the Human Fertilization and Embryology Act, in Surrogate Motherhood: International Perspectives, Edited by R. Cook, Sh. Day Sclater and F. Kaganas, Oxford-Portland-Oregon, 2003, 94.

⁶⁷⁰ გაერთიანებულ სამეფოში ე.წ. სამოქალაქო პარტნიორობაში მყოფი ერთნაირსქესიანი წყვილი ასევე შეიძლება გახდეს სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის მშობელი. პოტენციური მამა შეიძლება მიჩნეული იქნას ბავშვის იურიდიულ მშობლად, თუ სუროგატი დედა დაუქორწინებელია ან დადგინდება, რომ მის მეუღლეს ან სამოქალაქო პარტნიორს არ განუცხადებია თანხმობა მკურნალობაზე და თუ იმ ვიტრო განაყოფიერება, რომლის შედეგადაც დაიბადა ბავშვი, ჩატარებულია მისი სპერმის გამოყენებით იხ. Wells-Greco M.,

რომ მშობლის ორდერის გაცემის სავალდებულო წინაპირობაა სუროგატი დედისა და მისი მეუღლის, ასეთის არსებობის შემთხვევაში, თანხმობა იურიდიული მშობლის სტატუსის გადასაცემად⁶⁷¹. გაერთიანებულ სამეფოში ასეთი თანხმობის გაცხადება შესაძლებელია მხოლოდ ბავშვის დაბადებიდან 6 კვირის შემდეგ⁶⁷². აღნიშნული საკითხი, ისევე, როგორც სუროგაციის მარეგულირებელი სხვა საკითხები, გაერთიანებულ სამეფოსა და ავსტრალიაში რეგულირდება შვილად აყვანის წესის იდენტურად, რაც თავისთავად ნიშნავს იმას, რომ ამ თანხმობის გარეშე პოტენციური მშობლებისათვის მშობლის იურიდიული სტატუსის მინიჭება ვერ განხორციელდება. გამონაკლისია შემთხვევები, როდესაც სუროგატი დედისა და მისი მეუღლის არსებობის შემთხვევაში - სუროგატი დედის მეუღლის მოძიება შეუძლებელია, ან თუ მათ მიერ თანხმობის გაცხადება შეუძლებელია ქმედუნარობის გამო. სწორედ ამ გამონაკლისი შემთხვევის არსებობის მხედველობაში მიღებით დიდი ბრიტანეთის სასამართლომ 2012 წელს მიიღო გადაწყვეტილება მშობლის ორდერის გაცემაზე სუროგატი დედის თანხმობის გარეშე⁶⁷³. საქმე ეხებოდა ინდოეთში წარმოებულ სუროგაციას, რომლის შედეგადაც ბავშვის დაბადების შემდგომ სუროგატი დედა გაუჩინარდა და შეუძლებელი იყო მისი თანხმობის მოპოვება. სასამართლომ გასცა მშობლის ორდერი, დაადგინა რა, რომ სათანადო

United Kingdom, in: *International Surrogacy Arrangements Legal Regulation at the International Level*, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 369- 370.

⁶⁷¹ გაერთიანებულ სამეფოში მშობლის ორდერის შესახებ განაცხადების განხილვა წარმოებს ე.წ. საოჯახო სასამართლოებში (Family Proceedings Court). სასამართლო განხილვისას, სასამართლო ადგენს არსებული გარემოებების შესაბამისობას დადგენილ საკონტროლო სიასთან ("Welfare Checklist") და განცხადების წარმოებაში მიღებისთანავე ნიშნავს სოციალურ მუშაკს, რომლის ძირითად ფუნქციას, სხვათა შორის, წარმოადგენს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაციის განსაზღვრა, ორდერის გაცემისათვის დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისობის უზრუნველყოფა და იმ მიზეზების დადგენა (ასეთების არსებობისას), რომლებიც შეიძლება გახდეს ორდერის გაცემაზე უარის საფუძველი. იხ. Stoll J., *Surrogacy Arrangements and Legal Parenthood: Swedish Law in a Comparative Context*, Uppsala, 2013, 189-190.

⁶⁷² ავსტრალიის ოთხ იურისდიქციაში (ქვინსლენდი, სამხრეთ ავსტრალია, ვიქტორია და დასავლეთ ავსტრალია) სავალდებულო პირობაა, რომ განაცხადის წარდგენის მომენტისათვის ბავშვი უნდა იყოს მინიმუმ ოთხი კვირის, ახალ სამხრეთ უელსსა და ტასმანიაში - მინიმუმ 30 დღის, ხოლო ავსტრალიის დედაქალაქის ტერიტორიაზე - მინიმუმ ექვსი კვირის. იხ. Keyes M., *Australia*, in: *International Surrogacy Arrangements Legal Regulation at the International Level* Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford and Portland, Oregon, 2013, 29.

⁶⁷³ Re D and L (minors) (surrogacy) [2012] EWHC 2631. <<http://www.familylawweek.co.uk/site.aspx?i=ed101209>> [01.11.2017].

ზომები იქნა მიღებული სუროგატი დედის მოსაძლიებლად და მისი თანხმობის მისაღებად⁶⁷⁴.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთ ავსტრალიის კანონმდებლობა ითვალისწინებს ე.წ. სამთვიან „მოფიქრების პერიოდს“⁶⁷⁵, რომლის განმავლობაში სუროგატ დედას ეძლევა დრო, გადაწყვიტოს, დაიტოვოს თუ არა ბავშვი⁶⁷⁶.

ის ფაქტი, რომ გაერთიანებულ სამეფოში არსებული მოდელი სუროგაციის გზით დაბადებულ ბავშვზე პოტენციური მშობლების მიერ მშობლის იურიდიული სტატუსის მოპოვებასთან დაკავშირებით მიახლოებულია შვილად აყვანის წესთან, ასევე, დასტურდება ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში მშობლების შესახებ ინფორმაციის დაფიქსირებით. როგორც აღინიშნა, მოქმედი პრინციპით ბავშვის დაბადებისას ბავშვის იურიდიულ მშობლებად მიიჩნევიან სუროგატი დედა ანდა მისი მეუღლე, თუ სუროგატი დაქორწინებულია, ხოლო თუ სუროგატი დედა რეგისტრირებულია სამოქალაქო პარტნიორობაში, ბავშვის მშობლად ასევე განიხილება მისი სამოქალაქო პარტნიორი. შესაბამისად, ბავშვის დაბადების რეგისტრაციისას, რომელიც უნდა განხორციელდეს ბავშვის დაბადებიდან 42 დღის განმავლობაში, პირველად დაბადების მონშობაში ბავშვის მშობლებად განისაზღვრებიან ზემოაღნიშნული იურიდიული მშობლები. მშობლის ორდერის გაცემის შემთხვევაში მშობლის ორდერი რეგისტრირდება სპეციალურ მშობლის ორდერის რეესტრში⁶⁷⁷, სადაც ბავშვის მშობლებად ფიქსირდებიან პოტენციური მშობლები და, რომლითაც ხდება დაბადების რეესტრში არსებული მონაცემების ცვლილება⁶⁷⁸. შესაბამისად, გაიცემა ბავშვის მეორე დაბადების მონშობა, რომელიც ცვლის პირველად მონშობას.

რეგისტრაციის ზემოაღნიშნული მოდელი მსგავსია იგივე გაერთიანებულ სამეფოში შვილად აყვანის რეგისტრაციისათვის არსებულ მოდელთან, რომლის შესაბამისადაც შვილად აყვანის შემთხვევაში ბავშვი

⁶⁷⁴ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 61.

⁶⁷⁵ “cooling off Period”.

⁶⁷⁶ 2008 წლის სუროგაციის კანონი (Surrogacy Act 2008), 1991 წლის ადამიანის რეპროდუქციული ტექნოლოგიის აქტი (Human Reproductive Technology Act 1991).

⁶⁷⁷ Parental Order Register.

⁶⁷⁸ Probert R., Family Law in England and Wales, 2011, Kluwer Law International, Netherlands, 46.

რეგისტრირდება სპეციალურ რეესტში⁶⁷⁹, რომლითაც იცვლება დაბადების რეესტრში ბავშვის შესახებ არსებული მონაცემები - მშვილვლები დარეგისტრირდებიან ბავშვის იურიდიულ მშობლებად და შეიცვლება ბავშვის დაბადების მონაცემები.⁶⁸⁰ ამასთან, როგორც სუროგაციის შედეგად დაბადებულ, ასევე ნაშვილებ პირს 18 წლის ასაკის მიღწევის შემდგომ უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია მისი თავდაპირველი რეგისტრაციის შესახებ.

თ. ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი

გაერთიანებულ სამეფოში სასამართლოს უფლებამოსილება მშობლის ორდერის გაცემის შესახებ გადანყვეტილების მიღებისას შედარებით დისკრეციულია, ვინაიდან სასამართლოს მიერ განხილული საქმეების ანალიზი ცხადყოფს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპს უპირატესი მნიშვნელობა აქვს კანონის ფორმალურ მოთხოვნებთან შედარებით⁶⁸¹. სასამართლოს დისკრეციის ფარგლები ავსტრალიაში განსხვავებულია იურისდიქციების მიხედვით. მშობლის ორდერის გაცემასთან დაკავშირებული კანონმდებლობა იმპერატიულია ავსტრალიის დედაქალაქის ტერიტორიაზე. შესაბამისად, სასამართლოს დისკრეციაც შეზღუდულია, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მიიღოს გადანყვეტილება ორდერის გაცემაზე თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც ამ ორდერის გაცემის სავალდებულო მოთხოვნა არ არის შესრულებული. ახალი სამხრეთ უელსის, ქვინსლენდისა და ტასმანიის კანონმდებლობა კი უფრო მეტად დისკრეციული და ლიბერალურია და სასამართლოს შეუძლია, ბავშვის ინტერესების მხედველობაში მიღებით, გამონაკლის შემთხვევებში, გასცეს მშობლის ორდერი ორდერის გაცემისათვის სავალდებულო გარკვეული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაშიც.

ი. დამატებითი მოთხოვნები ავსტრალიის ორ იურისდიქციაში

დასავლეთ ავსტრალიაში სასამართლოს მიერ მშობლის ორდერის გაცემა წარმოებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სუროგატი დედის

⁶⁷⁹ Adopted Children Register - შვილად აყვანილი ბავშვების რეესტრი.

⁶⁸⁰ Probert R., Family Law in England and Wales, Kluwer Law International, Netherlands, 2011, 46.

⁶⁸¹ იხ. წინამდებარე თავში განხილული დიდი ბრიტანეთის სასამართლოს გადანყვეტილებები.

დაორსულებამდე სუროგაციულ შეთანხმებაზე თანხმობა განაცხადა სახელმწიფო ორგანომ - დასავლეთ ავსტრალიის რეპროდუქციული მკურნალობის საბჭომ⁶⁸², ვიქტორიის შტატში კი ასეთი თანხმობის მოპოვება აუცილებელია ვიქტორიის პაციენტთა განხილვის კომიტეტისაგან⁶⁸³ „დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების პროვაიდერების მიერ სუროგაციის პროცედურების დაწყებამდე“⁶⁸⁴.

ავსტრალიის სხვა იურისდიქციებისაგან განსხვავებით დასავლეთ ავსტრალიის კანონმდებლობა სპეციფიკურ მოთხოვნებს აყალიბებს ე.წ. ბავშვთან დაკავშირებული გეგმის წინასწარ შედგენასა და თანხმობის გაცხადებასთან დაკავშირებით. კერძოდ, „სავალდებულო მოთხოვნაა „სუროგატ მშობლებსა“⁶⁸⁵ და პოტენციურ მშობლებს შორის წერილობითი შეთანხმება ბავშვთან დაკავშირებულ გეგმაზე, რომელიც უნდა „იყოს გონივრული მოცემულ გარემოებებში“, რომლითაც „ადეკვატურად უნდა დაბალანსდეს მხარეების უფლებები და პასუხისმგებლობები, „უნდა განხორციელდეს ბავშვის ხანგრძლივი კეთილდღეობის ხელშეწყობა“ და განისაზღვროს ბავშვისა და სუროგატ მშობლებს შორის ურთიერთობის საკითხები“⁶⁸⁶.

3.2. ქვეყნები, სუროგაცია არ არის რეგულირებული - არც აკრძალულია და არც დაშვებული კანონმდებლობით

სუროგაციის მიმართ შედარებით ნეიტრალური დამოკიდებულების მქონე ქვეყანათა ჯგუფის მეორე ქვეჯგუფს აერთიანებს ქვეყნები⁶⁸⁷, სადაც სუროგაცია საერთოდ არ არის რეგულირებული, თუმცა, რეგულაციების არარსებობის მიუხედავად სუროგაციასთან დაკავშირებული გარიგებები ზოგიერთ შემთხვევაში აღუსრულებადია და კომერციული სუროგაცია სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასაც შეიძლება იწვევდეს.

⁶⁸² Western Australian Reproductive Treatment Council.

⁶⁸³ Victorian Patient Review Panel.

⁶⁸⁴ Keyes M., Australia, in: International Surrogacy Arrangements Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 28.

⁶⁸⁵ „სუროგატი მშობლები“ გულისხმობს სუროგატ დედას და მისი მეუღლეს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

⁶⁸⁶ Keyes M., Australia, in: International Surrogacy Arrangements Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon 2013, 32.

⁶⁸⁷ მაგ., ბელგია, უნგრეთი, ჩეხეთში, ნიდერლანდები, იაპონია, ბრაზილია, არგენტინა, ვენესუელა, გვატემალა და ავსტრალიის ჩრდილოეთ ტერიტორია.

ბელგიაში მაგალითად მიიჩნევა, რომ სუროგაციის ხელშეკრულებები ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს. კომერციული ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ საქონელი ან მომსახურება და არ შეიძლება განხორციელდეს ადამიანის კომერციალიზაცია და დაუშვებელია მისი, როგორც ხელშეკრულების საგნად, განხილვა. შესაბამისად, სუროგატი დედის ნებისმიერი სახელშეკრულებო ვალდებულება, მიატოვოს მის მიერ გაჩენილი ბავშვი, ბათილია, ვინაიდან „ბავშვის გამჩენი ქალის განუყოფელი უფლებაა, მიჩნეული იქნას ამ ბავშვის იურიდიულ დედად“⁶⁸⁸.

სუროგაციის ამკრძალავი სამართლებრივი ნორმების არარსებობის მიუხედავად, მიიჩნევა, რომ სუროგაციის თაობაზე გარიგებები ბათილია და სამართლებრივი შედეგების დადგომას არ იწვევს. აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ ბავშვის დაბადებისას მოქმედებს ზოგადი წესი, რომლის მიხედვითაც ბავშვის იურიდიულ დედად განიხილება ბავშვის გამჩენი ქალი, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა მასსა და ბავშვს შორის გენეტიკური კავშირი⁶⁸⁹. შესაბამისად, ვინაიდან ამ ქვეყნებში სუროგაციას კანონმდებლობა არ ცნობს და სხვადასხვა სამართლებრივი შედეგების განსაზღვრის მიზნით არ ახდენს რაიმე ტიპის განსხვავებას დამხმარე რეპროდუქციის შედეგად ჩასახული ბავშვის სუროგატ დედასა და ბუნებრივი გზით ჩასახული ბავშვის დედას შორის, სუროგატი დედა იქნება ეს ე.წ. „გესტაციური სუროგატი დედა“⁶⁹⁰ თუ „ტრადიციული სუროგატი დედა“⁶⁹¹, სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის იურიდიული დედაა. თუ სუროგატი დაქორწინებულია, ბავშვის იურიდიულ მამად მიიჩნევა მისი მეუღლე.

ზოგადად, პოტენციურ მამას ბავშვის მამად ცნობა შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ სუროგატი დედის მეუღლე კანონით დადგენილი წესით

⁶⁸⁸ Verschelden G., Verhellen J., Belgium, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 59.

⁶⁸⁹ აღსანიშნავია, რომ ჩეხეთის სამოქალაქო კოდექსის განმარტებითი ანგარიშის მიხედვით ჩეხეთის სამოქალაქო კოდექსში არსებული რეგულაცია, რომლის მიხედვითაც ბავშვის დედობა განისაზღვრება მხოლოდ გესტაციით და გენეტიკურ კავშირს მნიშვნელობა არ ენიჭება, გაკრიტიკებული იქნა და განხორციელდა შეთავაზება კანონში გამონაკლისის დაწესების თვალსაზრისით, რომ დედობის დადგენისას უპირატესობა მინიჭებოდა გენეტიკურ დედას. იხ. Pauknerova M., Czech Republic, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 112. მითითებულია: Skacel J., *Esr mater semper certa?*, Bulletin advokacie, 2011, 32.

⁶⁹⁰ სუროგატი, რომელსაც გენეტიკური კავშირი არ აქვს ბავშვთან.

⁶⁹¹ სუროგატი, რომელსაც გააჩნია გენეტიკური კავშირი ბავშვთან.

გააპროტესტებს მამობას და მას აღიარებს პოტენციური მამა ან პოტენციური მამის მამად ცნობას მოახდენს სასამართლო. პოტენციურ მამას სასამართლო წესით მამად ცნობის უფლება აქვს იმ შემთხვევაშიც, როდესაც სუროგატი დედა დაუქორწინებელია. ზოგადი წესის მიხედვით, ასეთ შემთხვევაში, პოტენციური დედა ბავშვის იურიდიულ დედად შესაძლებელია განისაზღვროს ბავშვის შვილად აყვანის გზით.

ნებისმიერ შემთხვევაში, თუ სუროგაციის მხარეთა შორის არ არსებობს დავა ბავშვზე მშობლის იურიდიულ სტატუსთან დაკავშირებით, პოტენციურ მშობლებს სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის მშობლებად ცნობის უფლება გააჩნიათ მხოლოდ შვილად აყვანის პროცედურების განხორციელების გზით⁶⁹².

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ახდენს კომერციული სუროგაციის კრიმინალიზაციას, რაც ექცევა ამ ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობით განსაზღვრულ ბავშვთა ტრეფიკინგის დანაშაულის შემადგენლობაში, ზოგიერთი კი შემოიფარგლება მხოლოდ სანქციების დანესებით⁶⁹³.

⁶⁹² იხ. Curry-Sumner I., Vonk M., The Netherlands, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 276-280; Pauknerova M., Czech Republic, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 111-113; Lojkova J., The Issue of Surrogacy in Czech Law, Medicine and Law, Vol. 31, Issue 1, 2012, 157-158; Verschelden G., Verhellen J., Belgium in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 49; Alcantara D. M., Japan, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 247-249. სუროგაციასთან მიმართებით იაპონიის მიდგომასა და პრაქტიკულ პრობლემატიკასთან დაკავშირებით დამატებით იხ. Wolf Trisha A., Why Japan Should Legalize Surrogacy, Pacific Rim Law and Policy Journal, Vol. 23, Issue 2, 2014, 461-494.

⁶⁹³ იაპონიაში დანაშაულად შეიძლება ჩაითვალოს როგორც სუროგაციის პროცესში რაიმე სახის კომპენსაციის გადახდა, ასევე სუროგაციასთან დაკავშირებული საქმიანობის რეკლამირება. იხ. Alcantara D. M., Japan, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited Trimmings K., Beaumont P., Oxford-Portland-Oregon, 2013, 249. ჩეხეთში სუროგაციასთან დაკავშირებულმა რეკლამირებამ შეიძლება გამოიწვიოს ჯარმის დაკისრება ადმინისტრაციულ წარმოებაში. იხ. Pauknerova M., Czech Republic, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 113-114. ნიდერლანდებში სუროგაციის რეკლამირება დანაშაულია და იწვევს არამართო ფინანსურ სანქციებს, არამედ თავისუფლების აღკვეთასაც კი. იხ. Curry-Sumner I., Vonk M., The Netherlands, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 282; Brunet L.,

რაც შეეხება ალტრუისტულ სუროგაციას, სპეციალიზირებული სამედიცინო დაწესებულებები მათი შიდა რეგულაციებით დადგენილი წესებით იშვიათ შემთხვევაში, თუმცა, მაინც ახორციელებენ სუროგაციის დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებს. მაგ., იაპონიაში სამედიცინო დაწესებულების⁶⁹⁴ ექიმი იაჰირო ნეთსუ (Yahiro Netsu) ერთადერთია, რომელიც ღიად ახდენს სუროგაციასთან დაკავშირებული სამედიცინო პროცედურის ჩატარებას მხოლოდ კლინიკის მკაცრი მოთხოვნების შესაბამისად: სუროგაცია უნდა იყოს გესტაციური და პროცესში დაუშვებელია დონორების ჩართვა. პოტენციური მშობლები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ქორწინებაში მყოფი წყვილი, პოტენციური დედა კი შეიძლება იყოს არაუმეტეს 45 წლის ასაკის ქალი, რომელსაც არ უნდა გააჩნდეს საშვილოსნო. რაც შეეხება სუროგატ დედას, იგი მხოლოდ პოტენციური მშობლების ოჯახის წევრი - პოტენციური დედის დედა ან პოტენციური მამის ან პოტენციური დედის დაა. ამასთან, სუროგაცია შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ალტრუისტული მიზნით. დაუშვებელია სუროგატი დედისათვის რაიმე სახის გადასახადის გადახდა. სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის დედად რეგისტრირდება სუროგატი დედა, შემდგომში კი ბავშვის შვილებს ახდენენ პოტენციური მშობლები⁶⁹⁵.

ამსტერდამში სუროგაციას ახორციელებს ერთადერთი კლინიკა⁶⁹⁶ მხოლოდ შემდეგი პირობების არსებობის შემთხვევაში⁶⁹⁷: სუროგაცია გესტაციურია და სუროგაციის პროცესში არ ხდება დონორების გამოყენება. მხოლოდ ჰეტეროსექსუალ ნასამართლობის არმქონე წყვილს, როგორც

Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 303.

⁶⁹⁴ Suwa Maternity Clinic.

⁶⁹⁵ Alcantara D. M., Japan, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 249-250. ასევე იხ. Wolf A. T., Why Japan Should Legalize Surrogacy, Pacific Rim Law and Policy Journal, Vol. 23, Issue 2, 2014, 461.

⁶⁹⁶ VU Medical Centre.

⁶⁹⁷ ალტრუისტული სუროგაციის განხორციელების გაიდლაინები დგინდება მეანობისა და გინეკოლოგიის ჰოლანდიური ასოციაციის (Dutch Society for obstetrics and Gynaecology) დირექტივებით. ამასთან, ჯანდაცვის მინისტრის მიერ 1998 წლის 1 აპრილს მიღებული აქტი, რომელიც შეეხება ინ ვიტრო განაყოფიერების მწარმოებელ სამედიცინო დაწესებულებებს, ადგენს, რომ გესტაციური სუროგაცია უნდა ითვალისწინებდეს აღნიშნული ასოციაციის დირექტივებს. იხ. Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 302.

პოტენციურ მშობლებს, ეძლევათ სუროგაციაზე წვდომის უფლება. ამასთან, პოტენციური დედა უნდა იყოს არაუმეტეს 40 წლის ქალი, რომელსაც გააჩნია ორსულობის შენარჩუნების უნარობა ან რომლისთვისაც ორსულობა სახიფათოა მისი ჯანმრთელობისათვის. რაც შეეხება სუროგატ დედას, იგი შეიძლება იყოს მხოლოდ პოტენციური მშობლების ნათესავი ან ახლო მეგობარი არაუმეტეს 40 წლის ასაკის ჰოლანდიის მოქალაქე, რომელსაც გაჩენილი ჰყავს ერთი ან რამდენიმე ბავშვი, გააჩნია დამაკმაყოფილებელი ჯანმრთელობის მდგომარეობა და გამოკვეთილი განზრახვა და სურვილი, ალტრუისტული მიზნით განახორციელოს სუროგაცია და ბავშვი დაბადების შემდგომ გადასცეს პოტენციურ მშობლებს. სუროგაციის სამედიცინო პროცედურის განხორციელებამდე პოტენციურმა მშობლებმა და სუროგატმა დედამ სავალდებულო წესით უნდა გაიარონ ფსიქოლოგიური შემოწმება და უნდა იყვნენ ინფორმირებულნი სუროგაციის სამართლებრივი შედეგების შესახებ⁶⁹⁸. იგივენაირად, ბელგიაში მოქმედ ცალკეულ სამედიცინო დაწესებულებაში ამ დაწესებულებების გაიდლაინებით ხორციელდება მხოლოდ გესტაციური და ალტრუისტული სუროგაცია, რომელზე წვდომის უფლებაც ეძლევათ პეტეროსექსუალ წყვილს და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამედიცინო თვალსაზრისით პოტენციურ დედას არ გააჩნია ორსულობის შენარჩუნების შესაძლებლობა⁶⁹⁹.

განხილულ ქვეყნებში განსხვავებული შეიძლება იყოს გამეტების დონაცის კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული რეგულაციები. მაგ., ბელგიის კანონმდებლობით გამეტების დონაცია შეიძლება განხორციელდეს როგორც ანონიმური, ასევე იდენტიფიცირებული დონორის მიერ,⁷⁰⁰ ჩეხეთში კონფიდენციალურია როგორც დონორის, ასევე „უშვილო წყვილის“ შესახებ ინფორმაცია⁷⁰¹, ნიდერლანდებში კი 2002 წელს მიღებული კანონით დონორი აღარ შეიძლება იყოს ანონიმური. დონორის შესახებ ინფორმაციის წარდგენა მოითხოვება სპეციალურ ფონდში, ხოლო ბავშვის მიერ 16 წლის ასაკის მიღწევისთანავე, მისი მოთხოვნით, მას მიეწოდება ინფორმაცია დონორის შესახებ. თუ ამ ინფორმაციის გაცემის წინააღმდეგია დონორი,

⁶⁹⁸ Curry-Sumner I., Vonk M., The Netherlands, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 281.

⁶⁹⁹ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 207.

⁷⁰⁰ იქვე, 213.

⁷⁰¹ Lojkova J., The Issue of Surrogacy in Czech Law, Medicine and Law, Vol. 31, Issue 1, 2012, 158.

ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საფუძვლიანი მიზეზების არსებობისას, ვინაიდან „ბავშვის ინტერესები მიიჩნევა პრიორიტეტულად“⁷⁰².

შედარებით განსხვავებული მიდგომა არსებობს აშშ-ის იმ შტატების უმრავლესობაში, სადაც კანონმდებლობით სუროგაცია არ წესრიგდება, რაც ნიშნავს იმას, რომ კანონი პირდაპირ არ უშვებს, თუმცა, არც კრძალავს დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიის ამ სახეობას. ბუნებრივია, რომ „ამ შტატებში წყვილთა მიერ სუროგაციის ხელშეკრულებების გაფორმება ხდება იმ რისკით, რომ, შესაძლოა, სასამართლომ ხელშეკრულება მიიჩნიოს აღუსრულებლად ან არაკანონიერად კონსტიტუციურ ან საჯარო წესრიგის საფუძველზე დაყრდნობით“⁷⁰³, თუმცა, მიიჩნევენ, რომ რეგულაციების არმქონე შტატების უმრავლესობის დამოკიდებულება რადიკალურად უარყოფითი არ არის და განსაზღვრულ პირობებში გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულებები აღსრულებადია სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე შემდეგ შტატებში: როუდ აილენდი, ალასკა, კოლორადო, ჯორჯია, ჰავაი, კანზასი, მინესოტა, მისური, მონტანა, ჩრდილოეთ კაროლინა, ოკლაჰომა, ორეგონი, სამხრეთ დაკოტა და ვერმონტი⁷⁰⁴.

3.3. ისრაელის მოდელი, როგორც სუროგაციის უნიკალური სამართლებრივი რეგულაცია

ისრაელში სუროგაციის მომწესრიგებელი ნორმები უნიკალურია და გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. იგი ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია იმ ქვეყნებისა, სადაც სუროგაცია პირდაპირაა რეგულირებული სპეციალური, ე.წ. „სუროგატული დედობის ხელშეკრულებების კანონით“⁷⁰⁵

⁷⁰² Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 307.

⁷⁰³ Spivack C., The Law of Surrogate Motherhood in the United States, The American Journal of Comparative Law, Vol. 58, Issue supplement, 2010, 102.

⁷⁰⁴ <<https://www.creativefamilyconnections.com/us-surrogacy-law-map>> [15.09.2017]. თითოეული შტატის შესახებ ანალიზი მომზადებულია ამ შტატში პრაქტიკოსი ადვოკატების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

⁷⁰⁵ კანონის ოფიციალური სახელწოდებაა “Embryo Carrying Agreement Act” - „კანონი ემბრიონის ტარების ხელშეკრულების შესახებ“ (“Agreement Authorization and Status of the Newborn Child” - „ხელშეკრულების ავტორიზაციისა და ახალშობილი ბავშვის სტატუსის შესახებ“), 5756-1996. „სუროგატული დედობის ხელშეკრულებების კანონი“ მისი არაოფიციალური სახელწოდებაა. იხ. Shakargy Sh., Israel, in: International Surrogacy

(შემდგომში „ისრაელის სუროგაციის კანონი“) და, სადაც სუროგაციის პროცესის დაწყებამდე მის განსახორციელებლად მოითხოვება სახელმწიფოს სპეციალური ორგანოს - კომიტეტის (შემდგომში „სახელმწიფო კომიტეტი“ ან „კომიტეტი“) წინასწარი თანხმობა⁷⁰⁶. თუმცა, წინასწარი თანხმობა არ არის საკმარისი პოტენციური მშობლების მიერ ბავშვის მშობლის სტატუსის მოსაპოვებლად. სტატუსის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ ბავშვის დაბადების შემდგომ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში. ამასთან, სახელმწიფო კომიტეტის წინასწარი თანხმობის მომენტიდან სასამართლოს გადაწყვეტილებამდე სუროგაციის პროცესი კონტროლდება ადმინისტრაციული ზედამხედველობით. მიუხედავად იმისა, რომ „ისრაელის სუროგაციის კანონი“ ერთი შეხედვით მხოლოდ ალტერნატიულ სუროგაციას მიიჩნევს დასაშვებად, კანონისეული განმარტებით სუროგაციის „ალტრუიზმი“ გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება და კომერციალიზაციის ელემენტებიც აქვს. ისრაელის კანონმდებლობის აღნიშნული რეგულაციების უნიკალურობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ისრაელის სხვა ქვეყნებისაგან დამოუკიდებლად განხილვა.

ისრაელის სახელმწიფოს უნიკალურობა, ასევე მდგომარეობს იმაში, რომ დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების წარმოებასთან დაკავშირებული სამედიცინო ღირებულების დიდი ნაწილი ფინანსდება სახელმწიფოს მიერ ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამების საშუალებით. დაფინანსებით სარგებლობის უფლება გააჩნიათ როგორც უშვილო წყვილებს, ასევე ოჯახის შექმნის სურვილის მქონე მარტოხელა პირებსაც⁷⁰⁷. შესაბამისად, ფართოდ აღიარებულია, რომ რეპროდუქციულ უფლებებთან დაკავშირებული ისრაელის ამგვარი სახელმწიფო „პოლიტიკა უნიკალურია,

Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013. 231.

⁷⁰⁶ მიიჩნევა, რომ ისრაელი მსოფლიოში პირველი სახელმწიფოა, რომელმაც მოახდინა სუროგაციის კანონმდებლობით მოთხოვნის დაწესება, რომ სუროგაციული შეთანხმებების მოწონებასა და ადმინისტრირებას განახორციელებს სახელმწიფოს მიერ დანიშნული სპეციალური კომიტეტი. ამასთან, ისრაელში სუროგაცია დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების ერთადერთი სახეობაა, რომელიც რეგულირდება კანონით რეგულირდება სხვა სახეებისგან განსხვავებით, რომელთაც აწესრიგებს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ მიღებული რეგულაციები. იხ. Stoll J., Surrogacy Arrangements and Legal Parenthood: Swedish Law in a Comparative Context, Uppsala, 2013, 198.

⁷⁰⁷ Schenker G. J., Legal Aspects of ART Practice in Israel, Journal of Assisted Reproduction and Genetics, Vol. 12, Issue 2, 2003, 250-251.

წარმოადგენს მისი „პრო-ნატალიზმის“⁷⁰⁸ სიმბოლოს⁷⁰⁹ და დიდწილად „ასახავს უშვილობასთან დაკავშირებულ ებრაულ რელიგიურ, კულტურულ და სოციალურ ნორმებს“⁷¹⁰. პროგრამის არსებობის მიზანი შობადობის წახალისება, მოსახლეობის რაოდენობის გაზრდა და დემოგრაფიული პრობლემის გადაწყვეტაა. მისი შემუშავება და ამ ფორმით არსებობა უკავშირდება „ძლიერ ებრაულ რელიგიურ ტრადიციებს, „ებრაელების გადარჩენის ძიებას“, ჰოლოკოსტის საშინელ მოგონებას, ტერორისტულ აქტებსა და სამხედრო ბრძოლებში სიცოცხლის მუდმივ დანაკარგს, მეზობელ არაბებთან კონკურენციით გამოწვეულ დემოგრაფიულ საკითხებსა და პატრიოტული სულისკვეთებით ოჯახის შექმნის ძლიერ კულტურულ მენტალიტეტს“⁷¹¹. „აღნიშნული ფაქტორების განუყოფელი ნაწილი კი „მუდმივი ომის მდგომარეობაში მყოფი ხალხის ემოციური საჭიროებებია“⁷¹². „ისრაელში ფაქტობრივად არ არსებობს არჩევანი, არ გახდეს დედა. მაშინ, როდესაც შესაძლებელია გენეტიკური შვილის ყოლა, შვილად აყვანა განიხილება მეორად ოფციად“⁷¹³. ამდენად, გასაკვირი არაა, რომ ისრაელს მოიხსენიებენ როგორც „პრო-ნატალურ საზოგადოებას, რომლის ებრაელი მოსახლეობა ყველაფერს ეცდება იმისათვის, რომ ჰყავდეს შვილი“⁷¹⁴.

ზოგიერთი ავტორის აზრით, სუროგაციის დაშვება და რეგულირება ისრაელში დიდწილად განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ისრაელში სუროგაციის ლეგალურად არარსებობის გამო⁷¹⁵ უშვილო ებრაელი

⁷⁰⁸ ნატალური - „შობადობასთან დაკავშირებული“; „პრო ნატალური“ - შობადობის მომხრე.

⁷⁰⁹ Birenbaum-Carmeli D., The Politics of the ‘Natural Family’ in Israel: State Policy and Kinship Ideologies, *Social Science and Medicine*, Vol. 69, Issue 7, 2009, 1018.

⁷¹⁰ Levush R., Reproduction and Abortion: Law and Policy, Law Library of Congress, Israel, 2012-007460, <http://www.loc.gov/law/help/israel_2012-007460_IL_FINAL.pdf> [15.09.2017].

⁷¹¹ Sperling D., Commanding the “Be Fruitful and Multiply” Directive: Reproductive Ethics, Law, and Policy in Israel, *Cambridge Quarterly of Healthcare Ethics*, Vol. 19, Issue 3, 2010, 363.

⁷¹² Teman E., the Medicalization of “Nature” in the “Artificial Body” Surrogate Motherhood in Israel, *Medical Anthropology Quarterly*, Vol. 17, issue 1, 2003, 78, 80.

⁷¹³ Teman E., Knowing the Surrogate Body in Israel, in *Surrogate Motherhood: International Perspectives*, Edited by R. Cook, Sh. Day Sclater and F. Kaganas, Oxford-Portland-Oregon, 2003, 262.

⁷¹⁴ Schenker G. J., Legal Aspects of ART Practice in Israel, *Journal of Assisted Reproduction and Genetics*, Vol. 20, No. 7, 2003, 250-251.

⁷¹⁵ სუროგაციის კანონის მიღებამდე ისრაელში სუროგაცია აკრძალული იყო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 1987 წლის რეგულაციებით ტერმინი „სუროგაციის“ პირდაპირ მითითების გარეშე. იხ. Hand J., Surrogacy in Israel: A Model of Comprehensive Regulation of New Technologies, *Santa Clara Journal of International Law*, Vol. 4, Issue 2, 2006, 113.

წყვილებისთვის სუროგაციის განხორციელება შესაძლებელი იყო მხოლოდ საზღვარგარეთ იმ ქვეყნებში, სადაც ეს დაიშვებოდა⁷¹⁶. ეს კი დამატებით ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ამასთან, მათ უნდა ესარგებლათ იმ ქალის სუროგატული მომსახურებით, რომელიც არ იყო ებრაელი, რაც ნიშნავდა იმას, რომ „ბავშვი მემკვიდრეობით ვერ მიიღებდა მის ებრაულ იდენტობას“⁷¹⁷.

სახელმწიფოს პრო-ნატალური პოლიტიკის შედეგია არამარტო ის, რომ სუროგაციის კანონის ამოქმედების შემდგომ ისრაელში სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვების რიცხვი ყოველწლიურად იზრდება⁷¹⁸, არამედ ისიც, რომ ისრაელს თითოეულ მოსახლეზე გააჩნია უშვილობის მკურნალობის სამედიცინო კლინიკების ყველაზე დიდი რაოდენობა მსოფლიოს სხვა ნებისმიერ ქვეყანასთან შედარებით⁷¹⁹. ამასთან, ისრაელში შობადობის დაახლოებით 3.6.%-ს ვიტრო განაყოფიერების შედეგია⁷²⁰.

3.3.1. სუროგაციის კანონის ძირითადი მოთხოვნები სუროგაციის განხორციელებაზე

ა. ზოგადი ნაწილი

სუროგაციის წარმოება ისრაელში დასაშვებია მხოლოდ ისრაელის

⁷¹⁶ უშვილო წყვილები სუროგაციული მომსახურებით ძირითადად სარგებლობდნენ აშშ-ის შტატ კალიფორნიაში. იხ. იქვე. ამის ერთ-ერთი მაგალითია ე.წ. „ნაჩმანების საქმე“. საქმესთან დაკავშირებით დეტალურად იხ. წინამდებარე ნაშრომის III თავი, ქვეთავი 4.

⁷¹⁷ Weisberg K. D., *The Birth of Surrogacy in Israel*, University Press of Florida, 2005, 56.

⁷¹⁸ ისრაელში არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები სუროგაციასთან დაკავშირებით. ჯანდაცვის სამინისტროს მიერ არარეგულარულად გამოქვეყნებული ინფორმაციით 2001 წლის მდგომარეობით, კომიტეტს წარედგინა 108 განაცხადი, რომელთაგან 90 დაკმაყოფილდა და 30 ბავშვი დაიბადა 22 მშობიარობის შედეგად. 2001 წლიდან 2006 წლამდე პერიოდში კომიტეტს წარედგინა 360 განაცხადი, რომელთაგან 287 დაკმაყოფილდა, დაიბადა 156 ბავშვი 125 მშობიარობის შედეგად, მათ შორის, ერთ შემთხვევაში დაიბადა სამტყუპი. 2010 წლის ბოლოსთვის, კომიტეტისთვის უკვე წარდგენილი იყო 723 განაცხადი, რომელთა შედეგადაც დაიბადა 327 ბავშვი 260 მშობიარობის შედეგად. იხ. Shakargy Sh., *Israel*, in: *International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level*, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 243.

⁷¹⁹ თუ დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების გამოყენება მოხდება თითოეულ ადამიანზე არსებული კლინიკების რაოდენობის მიხედვით. იხ. Stoll J., *Surrogacy Arrangements and Legal Parenthood: Swedish Law in a Comparative Context*, Uppsala, 2013, 198.

⁷²⁰ Lipkin N. and Samama E., *Surrogacy in Israel: Status Report 2010 and proposals for legislative Amendment*, edited by R. Daphna, 2010, 6. <http://isha.org.il/wp-content/uploads/2014/08/surrogacy_Eng001.pdf> [20.11.2017].

სუროგაციის კანონის მოთხოვნათა დაცვით. კანონი ორი ნაწილისგან შედგება: პირველი ნაწილი ეხება სახელმწიფო კომიტეტის მიერ სუროგაციის განხორციელებაზე თანხმობის გაცემას - სუროგაციის ხელშეკრულების მოწონებას, მეორე ნაწილი კი არეგულირებს იურიდიული მშობლის განსაზღვრისა და ბავშვის სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებს⁷²¹. ამასთან, სუროგაციის შესახებ ისეთი შეთანხმებების გაფორმება, რომლებიც კანონის იმპერატიულ დანაწესებთან შეუსაბამოა, მიიჩნევა სისხლის სამართლის დანაშაულად და ითვალისწინებს სასჯელს ერთი წლით თავისუფლების აღკვეთის სახით⁷²².

ისრაელის სუროგაციის კანონის დებულებები ძირითადად ეფუძნება ე.წ. „ალონის კომისიის“⁷²³ მიერ მიღებულ რეკომენდაციებს⁷²⁴, თუმცა, მიიჩნევენ, რომ კანონის „დებულებები უფრო კონსერვატორულია, ვიდრე კომისიის წინადადებები“⁷²⁵, კერძოდ, (1) კომისიის ძირითადი რეკომენდაცია ეხებოდა

⁷²¹ Shalev C., Halakha and Patriarchal Motherhood – an Anatomy of the New Israeli Surrogacy Law, Israel Law Review Vol. 32, 1998, 60.

⁷²² Schuz R., The Right to Parenthood: Surrogacy and Frozen Embryos, in: International Survey of Family Law, Edited by A. Bainham, 1996, 243. მაგ., კანონის მიხედვით ამგვარ შეუსაბამობად მიიჩნევა: „სუროგაციული ორსულობა“ (სუროგატი დედის დაორსულება სუროგაციის შედეგად) სახელმწიფო კომიტეტის წინასწარი ნებართვის გარეშე; სახელმწიფო კომიტეტის ავტორიზაციის გარეშე თანხის ან სხვა სახის კომპენსაციის შეთავაზება, თხოვნა, მიღება ან გაცემა; იმგვარი ინფორმაციის გამოქვეყნება, რომლითაც შესაძლებელია სუროგატი დედის, ბავშვის ან ბავშვის მშობლების იდენტიფიცირება; ასევე, ნებისმიერი იმ ინფორმაციის გამოქვეყნება, რომელიც უკავშირდება სუროგაციის ხელშეკრულების შინაარსს ან მისი დადასტურების/თანხმობის გაცემის პროცესს; ბავშვის მიღება ან გადაცემა სოციალური მუშაკის თანდასწრების გარეშე ან სასამართლოს მიერ განსაზღვრული წესის შეუსაბამოდ. იხ. Shakargy Sh., Israel, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 231.

⁷²³ კომისია, რომელსაც შემდგომში მიენიჭა მისი თავმჯდომარის - მოსამართლე ალონის სახელი, შეიქმნა ისრაელის ჯანმრთელობის დაცვისა და იუსტიციის მინისტრების მიერ უშიშროების მკურნალობის, მათ შორის ინ ვიტრო განაყოფიერებისა და სუროგაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი, სოციალური, ეთიკური და რელიგიური ასპექტების განსახილველად. იხ. Schuz Rh., Surrogacy in Israel: An Analysis of the Law in Practice, in Surrogate Motherhood: International Perspectives, Edited by R. Cook, Sh. Day Sclater and F. Kaganas, Oxford-Portland-Oregon, 2003, 35.

⁷²⁴ კომისიის რეკომენდაციები შემუშავდა „სუროგაციის კანონის“ მიღებამდე 1994 წელს. შალვეი კომისიის ანგარიშს მოიხსენიებს როგორც საჯარო-პროფესიონალური კომისიის ანგარიშს ინ ვიტრო განაყოფიერების საკითხებზე. იხ. Shalev C., Halakha and Patriarchal Motherhood – an Anatomy of the New Israeli Surrogacy Law, Israel Law Review, Vol. 32, Issue 1, 1998, 55-56.

⁷²⁵ Shakargy Sh., Israel, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 231.

ინ ვიტრო განაყოფიერების გზით სუროგაციის დაშვებას იმ პირობით, რომ სახელმწიფოს ჩართულობა სუროგაციის პროცესში უნდა განხორციელდეს მხოლოდ მის დანყებამდე - სუროგაციის განხორციელებაზე წინასწარ თანხმობას გასცემდა სახელმწიფო ორგანო. პოტენციური მშობლები კი სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის იურიდიულ მშობლებად უნდა მიჩნეულიყვნენ ყოველგვარი შემდგომი სამართლებრივი პროცედურების გარეშე⁷²⁶. „აღნიშნული ლიბერალური რეკომენდაცია ასახავდა კომისიის წევრთა უმრავლესობის აზრს, რომ „ავტონომიისა“ და „კონფიდენციალურობის“ პრინციპები მოითხოვდა ადამიანის რეპროდუქციის სფეროში სახელმწიფოს მინიმალურ ჩარევას“⁷²⁷. აღნიშნული რეკომენდაციის მიუხედავად, სუროგაციის კანონი სუროგაციის აღსასრულებლად ითხოვს არამართო სახელმწიფო კომიტეტის წინასწარ თანხმობას, არამედ ბავშვის დაბადების შემდგომ პოტენციური მშობლების მიერ მშობლის სტატუსის აღიარებას სასამართლოს მიერ; (2) კომისიის რეკომენდაციის მიუხედავად, სუროგატ დედას უნდა ჰქონოდა შეძლებისდაგვარად ყველაზე სტაბილური და ძლიერი მხარდაჭერის სისტემა, კანონის მიხედვით კი სუროგატი დედა შეიძლება იყოს მხოლოდ მარტოხელა ქალი რელიგიური სამართლის მიზნებიდან გამომდინარე⁷²⁸. კომისიის რეკომენდაციების შეუსაბამობა კანონის მოთხოვნებთან, ასევე ვლინდება კანონის მიერ ალტრუისტულ სუროგაციასთან დაკავშირებული ისეთი მოთხოვნების დაწესებასთან, რომელიც ფაქტობრივად მის კომერციულ ხასიათზე მიანიშნებს⁷²⁹.

როგორც აღინიშნა, „სუროგაციის კანონის“ შესაბამისად სუროგაციის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აუცილებელია მისი დადასტურება და მის განხორციელებაზე ავტორიზაციის მინიჭება განსხვავებული პროფესიისა და კვალიფიკაციის მქონე შვიდი წევრისაგან შემდგარი სახელმწიფო

⁷²⁶ „იმის გათვალისწინებით, რომ შემდგომში სუროგატსა და ბავშვს შორის არ იარსებებდა რაიმე სახის ახლო ურთიერთობა“. იხ. Shakargy Sh., Israel, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 231.

⁷²⁷ Schuz Rh., Surrogacy in Israel: An Analysis of the Law in Practice, in Surrogate Motherhood: International Perspectives, Edited by R. Cook, Sh. Day Sclater and F. Kaganas, Oxford-Portland-Oregon, 2003, 36.

⁷²⁸ Shakargy Sh., Israel, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 231.

⁷²⁹ ისრაელში სუროგაციის ალტრუისტულ ხასიათთან დაკავშირებით დეტალურად იხ. წინამდებარე 3.3.1 ქვეთავში.

კომიტეტის მიერ, რომელთაგანაც სულ მცირე სამი მამაკაცი და სამი ქალია. კანონის სავალდებულო დანაწესის მიხედვით კომიტეტი შედგება ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მიერ დანიშნული ორი მეან-გინეკოლოგიის სპეციალისტის მქონე და ერთი შიდა მედიცინაში⁷³⁰ სპეციალიზებული ექიმის, კლინიკური ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის, სამართლებრივი ტრენინგის მქონე საჯარო წარმომადგენლისა⁷³¹ და მხარეთა რელიგიიდან სამღვდელოების წარმომადგენლისაგან.⁷³² აღსანიშნავია, რომ კომიტეტი „სუროგაციის კანონთან“ ერთად ხელმძღვანელობს მის მიერ გამოცემული გაიდლაინებით - სუროგაციის მხარეთათვის ერთგვარი სახელმძღვანელო წესების ნაკრებით, რომელთაც, მართალია, იურიდიულად სავალდებულო ძალა არ აქვთ, თუმცა, მიღებულია „სუროგაციის კანონის“ მოთხოვნათა შესაბამისად და ეხება კომიტეტისადმი წარსადგენ დოკუმენტებს, შესავსებ ფორმებსა და ხელშეკრულებით გასათვალისწინებელ პირობებს⁷³³.

ბ. კანონის ძირითადი მოთხოვნები

კომიტეტის მიერ სუროგაციის ხელშეკრულების ავტორიზაციისა და შესაბამისი თანხმობის გაცემისათვის, სავალდებულოა, კომიტეტის წინაშე კანონით განსაზღვრული მთელი რიგი პირობების არსებობის დადასტურება, რომლებიც, მათ შორის, მოიცავს სუროგაციის მხარეებისა და სუროგაციის დასაშვებ სახეობის მიმართ მოთხოვნებს.

ბ.ა. პოტენციური მშობლების მიმართ მოთხოვნები

პოტენციური მშობლების მინიმალური ასაკი 18 წლით განისაზღვრება, მაქსიმალური ასაკი კი - 52 წელია, თუმცა, კომიტეტს გააჩნია დისკრეცია, გამონაკლის შემთხვევებში, ზღვრულ მაქსიმალურ ასაკთან დაკავშირებით

⁷³⁰ შიდა მედიცინა (“Internal medicine”) არის მედიცინის დარგი, რომლითაც წარმოებს მოზარდების ფიაგნოსტიკა და სამედიცინო მკურნალობა. <<https://www.medicinenet.com/script/main/art.asp?articlekey=3995>> [15.09..2017]

⁷³¹ აღსანიშნავია, რომ რეგულაციები მითითებას ახდენს არა იურისტზე, არამედ საჯარო წარმომადგენელზე, რომელსაც გავლილი აქვს სამართლებრივი ტრენინგი.

⁷³² Schuz Rh., Surrogacy in Israel: An Analysis of the Law in Practice, in Surrogate Motherhood: International Perspectives, Edited by R. Cook, Sh. Day Sclater and F. Kaganas, Oxford-Portland-Oregon, 2003, 36.

⁷³³ იქვე.

განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღოს ⁷³⁴. საქმეში *ჯონ დო თელავივის დას ოფისის წინააღმდეგ (John Doe v Tel Aviv DA's Office)*⁷³⁵ სასამართლომ, ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპის გათვალისწინებით, ძალაში დატოვა კომიტეტის გადაწყვეტილება, რომლითაც კომიტეტმა მოახდინა პოტენციური მშობლების - 53 წლის ქალისა და 58 წლის მამაკაცის დისკვალიფიკაცია და, შესაბამისად, სუროგაციის ხელშეკრულების ავტორიზაციაზე უარის თქმა პოტენციური მშობლების ასაკის გამო. ამასთან, გადაწყვეტილებაში სასამართლომ მიუთითა ექვს საქმეზე, სადაც კომიტეტმა მოახდინა სუროგაციის ხელშეკრულებების ავტორიზაცია, მიუხედავად იმისა, რომ პოტენციური დედის ასაკი აჭარბებდა 51 წელს.⁷³⁶

სუროგაციით სარგებლობის უფლება აქვს მხოლოდ იმ ჰეტეროსექსუალ წყვილს, რომელთა ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი ისრაელშია⁷³⁷. ამასთან, კანონი სუროგაციის უფლებას დაუქონწინებელ წყვილებსაც ანიჭებს. შესაბამისად, ისრაელის სუროგაციის კანონით მარტოხელა პირებსა და ერთნაირსქესიან წყვილს სუროგაციაზე წვდომის უფლება არ გააჩნიათ. ცნობილია, რომ ასეთი შეზღუდვის არსებობის გამო სუროგაციასთან წვდომის შეზღუდვის არაკონსტიტუციურად ცნობის საკითხი განხილული იქნა ისრაელის უმაღლესი სასამართლოს მიერ ერთ შემთხვევაში მარტოხელა პოტენციური დედის⁷³⁸, ხოლო მეორე შემთხვევაში - პოტენციური ჰომოსექსუალი წყვილის⁷³⁹ მოთხოვნით, თუმცა, არცერთ შემთხვევაში არ მომხდარა მოთხოვნების დაკმაყოფილება. მარტოხელა პოტენციური დედის საქმეზე, სასამართლომ კანონის შეზღუდვები კონსტიტუციურად მიიჩნია და „საკითხის გადაწყვეტა კანონმდებლებს მიანდო. მართლაც, 2004 წლის ინსლერის საჯარო კომისია (Insler Public Commission) შეეხო ამ საკითხს, თუმცა, მისმა რეკომენდაციებმა განამტკიცა სასამართლოს

⁷³⁴ Shakargy Sh., Israel, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 235.

⁷³⁵ FC (Tel Aviv) 26140/07 John Doe v Tel Aviv DA's Office, (15.2.2010).

⁷³⁶ Shakargy Sh., Israel, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 244.

⁷³⁷ იქვე, 235.

⁷³⁸ HCJ 2458/01, New Family v The Approval Committee (23.12.02).

⁷³⁹ HCJ 1078/10, Pinkas v The Approval Committee (30.6.10).

გადაწყვეტილება⁷⁴⁰. ჰომოსექსუალი წყვილის საქმის საბოლოოდ განხილვა კი სასამართლოს მიერ არ მომხდარა იმის გამო, რომ შეიქმნა მეორე კომისია - „ისრაელში განაყოფიერებისა და შობადობის საკანონმდებლო რეგულაციის რევიზიის საჯარო კომისია“⁷⁴¹ (მორ-იოსეფ კომისია (Mor-Yossef Commission)). „ჰომოსექსუალი წყვილის საქმის განხილვის შედეგად კომისიამ გასცა რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც ამგვარ წყვილებს უნდა მისცემოდეთ ალტერნატიული, ანუ კომპენსაციის გადახდის გარეშე, სუროგაციის განხორციელების უფლებამოსილება, ისრაელში სუროგატი დედების სიმცირის გათვალისწინებით“⁷⁴².

სუროგაციის განსახორციელებლად ერთ-ერთი სავალდებულო მოთხოვნა სამედიცინო ჩვენებით პოტენციური დედის ორსულობის უუნარობის დადასტურებაა (მათ შორის იგულისხმება შემთხვევა, როდესაც ორსულობა სახიფათოა მისი ჯანმრთელობისთვის). ამასთან, „სუროგაციის კანონი“ არ შეიცავს მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც პოტენციურ მშობლებს არ უნდა ჰყავდეთ შვილები. აღნიშნულის მიუხედავად, ისრაელის სასამართლოს მოუწია საქმის განხილვა კომიტეტის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომლითაც უარი ეთქვა სუროგაციის ხელშეკრულების დადასტურებაზე პოტენციურ მშობლებს, რომელთაც უკვე ჰყავდათ სამი შვილი. სასამართლო არ დაეთანხმა კომიტეტის გადაწყვეტილებას, აღნიშნა რა, რომ მხოლოდ ის თაქტი, რომ პოტენციურ მშობლებს უკვე სამი შვილი ჰყავდათ, არ შეიძლება გამხდარიყო სუროგაციის განხორციელებაზე უარის თქმის საფუძველი.⁷⁴³

ბ.ბ. სუროგატი დედის მიმართ მოთხოვნები

სუროგატი დედის მიმართ კანონში არსებული მოთხოვნები მნიშვნელოვნად ეფუძნება რელიგიურ შეხედულებებს⁷⁴⁴, რაც ისრაელის

⁷⁴⁰ Shakargy Sh., Israel, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 243.

⁷⁴¹ Public Commission for Revision of the Legislative Regulation of Fertility and Childbearing in Israel.

⁷⁴² Shakargy Sh., Israel, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 244.

⁷⁴³ იქვე. მიითითებულობა: FC (Tel Aviv) 26140/07 John Doe v Tel Aviv DA's Office, (15.2.2010).

⁷⁴⁴ რელიგიური შეხედულების გავლენაზე იხ. Schenker J., Legitimising Surrogacy in Israel: Religious Perspectives, in Surrogate Motherhood: International Perspectives, Edited by R. Cook,

სუროგაციის კანონმდებლობის უნიკალურობის ერთ-ერთი მახასიათებელია. აღნიშნულის შედეგია კანონის მოთხოვნა იმასთან დაკავშირებით, რომ სუროგაციული მომსახურების განხორციელების უფლება აქვს მხოლოდ მარტოხელა ქალს⁷⁴⁵. აღსანიშნავია, რომ მოთხოვნის არსებობის მიუხედავად, კომიტეტის გადაწყვეტილებები მონაბრუნებელს ამ საკითხზე მისი დისკრეციის არსებობას, რომლის გამოყენებითაც, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, რამდენიმე საქმეში კომიტეტმა სუროგაციის ხელშეკრულების ავტორიზაცია მოახდინა იმ ფაქტის მიუხედავად, რომ სუროგატი დედა იმყოფებოდა ქორწინებაში⁷⁴⁶.

მეორე მხრივ, კომიტეტს გადაწყვეტილების მიღებისას არ აქვს დისკრეცია კანონით დადგენილ, ასევე, რელიგიურ შეხედულებაზე დაფუძნებულ, მოთხოვნის შესრულების განხილვისას, რომლის მიხედვითაც აკრძალულია სუროგაციული მომსახურების განხორციელება იმ ქალის მიერ, რომელიც პოტენციური მშობლების „სისხლით ნათესავია“, მათ შორის, დედა, ქალიშვილი, და, ბიძაშვილი/დედაშვილი. მიიჩნევენ, რომ ამ შემთხვევის არსებობის გამო „კომერციული სუროგაცია პრაქტიკულად გარდაუვალია“⁷⁴⁷.

Sh. Day Sclater and F. Kaganas, Oxford-Portland-Oregon, 2003, 255-259; Teman E., The Birth of a Mother: Mythologies of Surrogate Motherhood in Israel, PhD Paper, Hebrew University of Jerusalem, 2006, 69; Bleich D. J., Surrogate Motherhood: Survey of Recent Halakhic Periodical Literature, 1998, 32, 146.

⁷⁴⁵ ებრაული სამართლის (Halakhic) მიხედვით, ბიოლოგიური დედა არის ბავშვის ნამდვილი დედა. ამრიგად, სუროგატი არის ბავშვის ბუნებრივი იურიდიული მშობელი. დაქორწინებული ქალის შვილი, რომელსაც იგი გააჩენს არა მეუღლის, არამედ სხვა მამაკაცისგან, არის Mamzer - უკანონო შვილი, რომელსაც დაქორწინება შეუძლია მხოლოდ სხვა Mamzer -თან ან ნეოფიტებთან. იხ. Shalev C., Halakha and Patriarchal Motherhood – an Anatomy of the New Israeli Surrogacy Law, Israel Law Review, Vol. 32, Issue 1, 1998, 65. ამ თვალსაზრისით, იმისათვის, რომ იუდაიზმის შესაბამისად სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვი არ იქნას მიჩნეული უკანონო შვილად, სუროგატი დედა უნდა იყოს მარტოხელა ან განქორწინებული. იხ. Schenker G. J., Legal Aspects of ART Practice in Israel, Journal of Assisted Reproduction and genetics, Vol. 12, Issue 2, 2003, 255.

⁷⁴⁶ მაგალითად, 2006 წელს კომიტეტის მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიზეზი გახდა პოტენციური მშობლების ფინანსური სიძნელეები, რომლის გამოც მათ არ შეეძლოთ სუროგატი დედის მოძიება. მათ მიერ შერჩეული ქორწინებაში მყოფი სუროგატი დედა კი სუროგაციას თანხმდებოდა ალტრუისტული მიზნით. იხ. Shakargy Sh., Israel, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 236.

⁷⁴⁷ Schuz Rh., Surrogacy in Israel: An Analysis of the Law in Practice, in: Surrogate Motherhood: International Perspectives, Edited by R. Cook, Sh. Day Sclater and F. Kaganas, Oxford-Portland-Oregon, 2003, 36.

რელიგიის გავლენაა, ასევე კანონით დაწესებული აკრძალვა, რომლის მიხედვითაც სუროგატი დედა არ შეიძლება იყოს პოტენციური დედის რელიგიისგან განსხვავებული რელიგიის მქონე პირი⁷⁴⁸, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სუროგაციის ხელშეკრულების ყველა მხარე არ არის ებრაელი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, კანონისეული აკრძალვის უგულვებელყოფა შესაძლებელია განხორციელდეს კომიტეტის წევრი სასულიერო პირის დისკრეციის საფუძველზე.

სუროგატი დედის მიერ სამედიცინო ხასიათის პირობების დაკმაყოფილებასთან ერთად, სუროგატი დედა უნდა აკმაყოფილებდეს კომიტეტის მიერ დადგენილ შემდეგ მოთხოვნებს: იგი უნდა იყოს არანაკლებ 22 და არაუმეტეს 38 წლის. თუ იგი განქორწინებულია, განქორწინების თარიღიდან სუროგაციის განხორციელებამდე უნდა იყოს გასული არანაკლებ შვიდი თვისა. სუროგატ დედას უნდა ჰქონდეს სულ მცირე ერთი და არა უმეტეს სამი ბავშვის ბიოლოგიური წესით გაჩენის ისტორია, „რომლებიც მან აღზარდა“; ამასთან, უკანასკნელი ბავშვის გაჩენიდან სუროგაციის პროცედურების დაწყებამდე გასული უნდა იყოს არანაკლებ 1 წელი.

იმავე კომიტეტის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, დისკვალიფიკაციას ექვემდებარება სუროგატი დედა, თუ (1) განხორციელებული აქვს სუროგაცია სუროგაციის ორზე მეტ პროცედურაში (პროცედურის შედეგის მიუხედავად); (2) არის ან იყო ფსიქიატრიული მეთვალყურეობის ქვეშ; (3) ინტენსიური მწველია; (4) იყენებს ნარკოტიკებს ან ალკოჰოლს; ანდა, (5) ნასამართლევა⁷⁴⁹.

ბ.გ. სუროგაციის განხორციელების დასაშვები სახეობა

„ისრაელის სუროგაციის კანონით“ აკრძალულია ტრადიციული სუროგაცია, კანონის მიხედვით სუროგატი დედა იმავდროულად არ უნდა იყოს კვერცხუჯრედის დონორი, რაც ეფუძნება ბავშვის საუკეთესო ინტერესს, რომ „ჰქონდეს მინიმალური კავშირი ქალთან, რომელმაც მასზე უარი

⁷⁴⁸ აღნიშნული აკრძალვის დაწესება მხოლოდ პოტენციურ დედასთან მიმართებით განპირობებულია ებრაული რელიგიური სამართლით, რომლის მიხედვითაც რელიგია განისაზღვრება დედის იდენტობით. იხ. Shakargy Sh., Israel, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 237.

⁷⁴⁹ იქვე.

თქვა⁷⁵⁰. გესტაციურ სუროგაციაში დასაშვებია მხოლოდ კვერცხუჯრედის დონორის⁷⁵¹ ჩართვა, ვინაიდან სავალდებულოა ინ ვიტრო განაყოფიერებისას გამოყენებული იქნას პოტენციური მამის სპერმა⁷⁵². ისრაელის კანონის ამგვარი შეზღუდვაც განხილული უნდა იქნას სუროგაციის მარეგულირებელი სხვა ისეთი ქვეყნების რეგულაციებისაგან განმასხვავებელ, დამახასიათებელ თავისებურებად, სადაც სუროგაციის დროს დაშვებულია დონორის გამოყენება გამეტების განსხვავების მიუხედავად (იქნება ეს სპერმის, თუ კვერცხუჯრედის დონორი).

ბ.დ. დასაშვები სუროგაციის „ალტრუისტული“ ხასიათი

ზოგადად ქვეყნებში, სადაც დაშვებულია ალტრუისტული სუროგაცია, სუროგაციის ალტრუისტული ხასიათი გულისხმობს სუროგატი დედისათვის „გონივრული ხარჯების“ გარდა სხვა თანხების გადახდის აკრძალვას, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს სუროგატი დედის მიერ სარგებლის მიღებას და, შესაბამისად, კვალიფიცირდებოდეს „კომერციულად“. „ისრაელის სუროგაციის კანონის“ მიხედვით კი სუროგატი დედისათვის გადასახდელი „გონივრული ხარჯების“⁷⁵³ გარდა, კომიტეტის გადანყვეტილებით

⁷⁵⁰ იქვე.

⁷⁵¹ აღსანიშნავია, რომ ისრაელში არსებული პრაქტიკის შესაბამისად დონორი ჩვეულებრივ ანონიმურია. ინ ვიტრო განაყოფიერების მწარმოებელ სამედიცინო დაწესებულებებს არ აქვთ უფლება, გაამუღავნონ დონორის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია. იხ. Ruth Z., More than One Mother: Determining Maternity for the Biological Child of a female same-sex Couple – the Israeli View, Georgetown Journal of Gender and the Law, Vol. 9, Issue 1, 2008, 124. ამასთან, დონორს, მათ შორის სუროგაციის დროს, არ გააჩნია დაბადებულ ბავშვთან მიმართებით უფლებები და ვალდებულებები. იხ. Stoll J., Surrogacy Arrangements and Legal Parenthood: Swedish Law in a Comparative Context, Uppsala, 2013, 219.

⁷⁵² Schuz R., The Right to Parenthood: Surrogacy and Frozen Embryos, in: International Survey of Family Law, Edited by A. Bainham, 1996, 241.

⁷⁵³ კანონის მიხედვით სუროგატ დედას უნდა აუნაზღაურდეს სამართლებრივი კონსულტაციის, დაზღვევისა და სხვა რელევანტური ხარჯები. კომიტეტის გაიდლაინები დამატებით ითვალისწინებს პოტენციური მშობლების მიერ სუროგატი დედისათვის სუროგატი დედის მიერ შერჩეულ ადვოკატთან განცალკევებული სამართლებრივი კონსულტაციის 10 საათის ღირებულების ანაზღაურებას. სამედიცინო კონსულტაციისა და მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება პოტენციურ მშობლებს აქვთ იმ შემთხვევაში, თუ ეს ხარჯები არ ანაზღაურდება ისრაელის ეროვნული სამედიცინო დაზღვევის ფარგლებში. ამასთან, კომიტეტის მიერ სუროგაციის ხელშეკრულების დადასტურებისათვის აუცილებელია პოტენციურმა მშობლების მიერ სუროგატი დედის სიცოცხლისა და რისკის დაზღვევა. დაზღვევა ხორციელდება თავად პროცესის ხანგრძლივობის პერიოდით და ბავშვის დაბადებიდან 6 თვის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ სუროგატ დედას ყველა ამ ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს, იგი, ასევე უფლებამოსილია უარი თქვას ანაზღაურებაზე, თუ დაარწმუნებს კომიტეტს, რომ ამას

ნებადართულია სუროგატი დედისათვის ყოველთვიური კომპენსაციის გადახდა „ტკივილისა და ტანჯვისათვის“, ისევე, როგორც სუროგაციის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სხვადასხვა ხარჯების ანაზღაურება გონივრული კომპენსაციის სახით⁷⁵⁴, მათ შორის კომპენსაცია სუროგაციის პროცედურისათვის დახარჯული დროის, მიუღებელი შემოსავლის ან დროებით პრომისუენარობის გამო⁷⁵⁵. ამასთან, სავალდებულოა, ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხების განთავსება საბანკო ანგარიშზე, რომლის მართვასაც ახორციელებს რწმუნებული. ანგარიშზე დარჩენილი თანხის პოტენციური მშობლებისათვის დაბრუნება შესაძლებელია მხოლოდ

ნებაყოფილობით ახორციელებს. იხ. Shakargy Sh., Israel, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 239.

⁷⁵⁴ Schuz R., The Right to Parenthood: Surrogacy and Frozen Embryos, in: International Survey of Family Law, Edited by A. Bainham, 1996, 243. სუროგატი დედისათვის გადასახდელი თანხები დაკონკრეტებას ახდენს კომიტეტის გაიდლაინები, რომლის მიხედვითაც სავალდებულოა მხარეთა შეთანხმების არსებობა სუროგატი დედისათვის გადასახდელი კომპენსაციის ოდენობაზე სუროგატის მიერ სამუშაოს, შემოსავლის, სახელმწიფოს სოციალური შემწეობის ან სხვა მხარდაჭერის დაკარგვის შემთხვევაში და დამატებით ანაზღაურებას წოლითი რეჟიმის ან ჰოსპიტალიზაციის შემთხვევაში. გაიდლაინები ასევე ახდენს სუროგატი დედისთვის გადასახდელი კომპენსაციის მითითებას, რაც, სხვათა შორის, მოიცავს ტკივილსა და ტანჯვასთან, დისკომფორტთან, მგზავრობასა და ბავშვის მოვლასთან დაკავშირებულ ხარჯებს. სუროგატ დედას, ასევე უნდა აუნაზღაურდეს ნებისმიერი გადასახადი, რომლის გადახდაც მას მოუწევს სუროგაციის შეთანხმებიდან გამომდინარე მიღებული თანხიდან. იხ. Shakargy Sh., Israel, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 238.

⁷⁵⁵ კანონი არ ითვალისწინებს სუროგატი დედისათვის აღნიშნული კომპენსაციის გადახდის ვალდებულებას, არ ადგენს კომპენსაციის მინიმალურ ან მაქსიმალურ ზღვრულ ოდენობას და აღნიშნული საკითხების გადაწყვეტის დისკრეციას ანიჭებს კომიტეტს მხარეთა მიერ შეთანხმებულ პირობებზე დაყრდნობით. იხ. Shakargy Sh., Israel, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 238. 2003 წლისათვის შუამავლობის გარეშე განხორციელებულ პროცედურებში სუროგატი დედებისათვის გადახდილი თანხები შეადგენდა დაახლოებით 20,000-25,000 აშშ დოლარს. იხ. Schuz Rh., Surrogacy in Israel: An Analysis of the Law in Practice, in Surrogate Motherhood: International Perspectives, Edited by R. Cook, Sh. Day Sclater and F. Kaganas, Oxford-Portland-Oregon, 2003, 42. 2011 წლის მონაცემებით კი ეს თანხები გაიზარდა და შუამავლობის გარეშე მიმდინარე შემთხვევებში შეადგინა 35000-45000 აშშ დოლარი (სრული ხარჯით 50 000-75000 აშშ დოლარი), რასაც შუამავლობის საფუძველზე მიმდინარე საქმეებში ემატება დაახლოებით 10,000 აშშ დოლარის თანხა. იხ. Shakargy Sh., Israel, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 238.

ბავშვის დაბადებიდან 6 თვის შემდგომ ან პროცედურის სრულად წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში.⁷⁵⁶

კომერციალიზაციასთან დაკავშირებით, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც კომერციული სუროგაცია აკრძალულია, და ამ თვალსაზრისით იკრძალება სუროგაციასთან დაკავშირებული რეკლამირება, ისრაელის სუროგაციის კანონი არ განსაზღვრავს რეკლამირებასთან დაკავშირებულ საკითხებს და, შესაბამისად, არ კრძალავს მას. სუროგაციულ მომსახურებაში შეამავლობის რეკლამირება, რაც გულისხმობს სუროგაციის მსურველი მხარეებისათვის საშუამავლო მომსახურების შეთავაზებას, ფართოდ ხორციელდება სხვადასხვა სააგენტოების მიერ სხვადასხვა საშუალებით.⁷⁵⁷

ბ.ე. სუროგაციის განსახორციელებად სხვა არსებითი ხასიათის მოთხოვნები

ზემოაღნიშნული მოთხოვნების გარდა, შაკარგის (Shakargy) მიხედვით კომიტეტის მიერ ინდივიდუალური საქმის განხილვისას სავალდებულოა შემდეგი პირობების დაკმაყოფილება:

(ა) სამედიცინო და ფსიქოლოგიური შეფასებებით დადასტურებულია სუროგაციის მხარეთა მზადყოფნა და თავსებადობა სუროგაციის პროცესის მიმართ;

(ბ) არსებობს ფსიქოლოგის ან სოციალური მუშაკის დასტური იმის თაობაზე, რომ პოტენციურ მშობლებს მიღებული აქვთ ადეკვატური კონსულტაცია, მათ შორის მშობლად ყოფნის სხვა შესაძლებლობათან დაკავშირებით⁷⁵⁸;

(გ) სუროგაციის ხელშეკრულება ადგენს და არეგულირებს საკითხებს, რომელთა განსაზღვრა მოითხოვება „სუროგაციის კანონითა“ და კომიტეტის გაიდლაინებით, მათ შორისაა შემდეგი საკითხები:

⁷⁵⁶ Shakargy Sh., Israel, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 239.

⁷⁵⁷ კომიტეტის გაიდლაინების მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ სუროგაციის პროცესში ჩართულია საშუამავლო სააგენტო, მხარეების მიერ სააგენტოებთან გაფორმებული ხელშეკრულება და გადახდილ თანხასთან დაკავშირებული ანგარიში უნდა წარედგინოს კომიტეტს. იხ. იქვე, 240.

⁷⁵⁸ იქვე, 232.

1) ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში მედიატორის, ისევე, როგორც სამედიცინო ხასიათის საკითხებზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში ამ საკითხების გადაწყვეტი ექიმის განსაზღვრა;

2) ემბრიონის გადატანის მაქსიმალური რაოდენობა (არაუმეტეს ექვსისა) და მათ შორის ინტერვალი; ემბრიონების ოდენობა, რომელთა ტარებაზეც სუროგატი თანახმაა და სამედიცინო პროცედურა, რომელიც ჩატარდება, იმ შემთხვევაში, თუ ორსულობა გადააჭარბებს ამ ოდენობას;

3) ორსულობის შეწყვეტის შემლუდვა მხოლოდ სამედიცინო ჩვენებით და სუროგატი დედის სპეციალური კომპენსაციის განსაზღვრა ორსულობის შეწყვეტით მიყენებული ტკივილისა და ტანჯვისათვის;

4) სამედიცინო პროცედურების დაწყებამდე სუროგატი დედის მიერ ინფორმირებული თანხმობის განცხადების სავალდებულობის შესახებ მითითება;⁷⁵⁹

5) სუროგატის უფლებაზე მითითება, რომლითაც მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს შემდგომი ტანჯვისა და ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებული კომპენსაციის მოთხოვნით;

6) ხელშეკრულების მხარის მიერ მისი დარღვევის შემთხვევაში გამოსაყენებელი პროცედურის დადგენა;

7) ბავშვის მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხების განსაზღვრა სუროგატი დედის ორსულობისას ერთი ან ორივე პოტენციური მშობლის გარდაცვალების ან მათი განქორწინების შემთხვევაში;

8) ხელშეკრულების დებულებებზე შეთანხმება მხარეებს შორის გაცნობიერებული და თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგია, და, იგი არ არღვევს, რომელიმე მხარის უფლებებს.

(დ) თუ სუროგატის პროცესში მხარეებმა ისარგებლეს საშუამავლო სააგენტოს მომსახურებით, კომიტეტი დამატებით ახდეს შუამავლობასთან დაკავშირებული შესაბამისი ხელშეკრულების ანალიზსაც⁷⁶⁰.

ზემოაღნიშნული საკითხების დადგენისა და ზეპირი მოსმენების შედეგად კომიტეტი გადანყვეტილებას იღებს ხმების უბრალო უმრავლესობით, გადანყვეტილების მისაღებად კი აუცილებელია კომიტეტის მინიმუმ 5 წევრის

⁷⁵⁹ იქვე, 233.

⁷⁶⁰ იქვე, 233-234.

ქვორუმის არსებობა⁷⁶¹. უარის შემთხვევაში შესაძლებელია კომიტეტისთვის მიმართვა გადანყვეტილების გადასინჯვის მიზნით, ხოლო, თუ კომიტეტი არ შეცვლის პირველად გადანყვეტილებას, მხარეებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს.⁷⁶²

გ. სუროგაციის პროცესის ადმინისტრაციული ზედამხედველობა

გ.ა. ადმინისტრაციული ზედამხედველობა ბავშვის დაბადებამდე

კომიტეტის მიერ სუროგაციის ხელშეკრულების ავტორიზაციის შემთხვევაში ხორციელდება სუროგაციის პროცესის გარკვეული ზედამხედველობა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ. სუროგაციის სამედიცინო პროცედურების განხორციელებას სახელმწიფო ზედამხედველობს სამედიცინო დანესებულების მეშვეობით, ვინაიდან სუროგაციის სამედიცინო პროცედურის ჩატარება დაიშვება მხოლოდ სპეციალიზირებულ საჯარო ჰოსპიტალში. ამასთან, სავალდებულოა სოციალური სამსახურის ინფორმირება ორსულობის, ბავშვის დაბადების სავარაუდო თარიღისა და დაბადების ადგილის შესახებ, ორსულობის დადგომიდან არა უგვიანეს მე-5 თვის ბოლომდე⁷⁶³.

გ.ბ. ადმინისტრაციული ზედამხედველობა ბავშვის დაბადების შემდგომ

ბავშვის დაბადების შემდგომ ბავშვის პოტენციური მშობლებისათვის დროებით გადაცემა ხორციელდება სოციალური სერვისის წარმომადგენლის თანდასწრებით⁷⁶⁴, რაც თავისთავად არ გულისხმობს პოტენციური მშობლებისათვის მშობლის იურიდიული სტატუსის მინიჭებას. ამ სტატუსის მოპოვებისათვის სავალდებულოა პოტენციური მშობლების მიერ სასამართლოსადმი მიმართვა „მშობლის ორდერის“⁷⁶⁵ მისაღებად,

⁷⁶¹ Stoll J., Surrogacy Arrangements and Legal Parenthood: Swedish Law in a Comparative Context, Uppsala, 2013, 208.

⁷⁶² Shakargy Sh., Israel, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 233.

⁷⁶³ იქვე, 233-234.

⁷⁶⁴ Schuz R., The Right to Parenthood: Surrogacy and Frozen Embryos, in: International Survey of Family Law, Edited by A. Bainham, 1996, 243.

⁷⁶⁵ Parenthood Order.

რომელიც უნდა განხორციელდეს ბავშვის დაბადებიდან შვიდი დღის განმავლობაში⁷⁶⁶.

აღსანიშნავია, რომ „სუროგაციის კანონის“ მიხედვით ბავშვის დაბადების შემდგომ მასზე მზრუნველობის უფლება აქვთ პოტენციურ მშობლებს, რაც გულისხმობს მშობლის ვალდებულებების განხორციელებას ბავშვთან მიმართებით და არა ბავშვზე მშობლის უფლებების (მშობლის იურიდიული სტატუსის) მოპოვებას. იმავდროულად, ბავშვის მეურვედ ითვლება სპეციალურად დანიშნული შესაბამისი სოციალური მუშაკი ბავშვის დაბადებიდან სასამართლოს მიერ მშობლის ორდერის გაცემამდე⁷⁶⁷.

პოტენციური მშობლებისათვის მშობლის იურიდიული სტატუსის მინიჭებაზე სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს ეწინააღმდეგება ბავშვის საკუთესო ინტერესებს⁷⁶⁸. სასამართლოს გადაწყვეტილება რეგისტრირდება სპეციალურ სარეგისტრაციო ორგანოში - რეესტრში, რომელიც იმართება იუსტიციის სამინისტროს მიერ. ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ასეთი სპეციალიზებული რეესტრის არსებობა არ არის გამართლებული, ვინაიდან „ქმნის სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვების სტიგმატიზაციის საფრთხეს“⁷⁶⁹. „რეესტრის მონაცემები არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი. თუმცა, მას შემდეგ, რაც სუროგაციის გზით

⁷⁶⁶ თუ დადგენილ ვადაში პოტენციური მშობლები არ მიმართავენ სასამართლოს, პროცედურის ინიცირებას განახორციელებს შესაბამისი სოციალური ორგანოს წარმომადგენელი. იხ. Shakargy Sh., Israel, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 234.

⁷⁶⁷ Stoll J., Surrogacy Arrangements and Legal Parenthood: Swedish Law in a Comparative Context, Uppsala, 2013, 215.

⁷⁶⁸ 2013 წლისათვის არსებული მონაცემებით არ არის დაფიქსირებული არცერთი შემთხვევა სასამართლოს მიერ ორდერის გაცემაზე უარის შესახებ. ზოგადი წესის მიხედვით, სუროგატი დედის სურვილი, დაიტოვოს ბავშვი, არ წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების დამაბრკოლებელ გარემოებას. თუმცა, არსებობს მისი სურვილის სასამართლოს მიერ დაკმაყოფილების შესაძლებლობა, თუ სოციალური მუშაკის ანგარიშის მიხედვით გარემოებები შეიცვალა იმგვარად, რომ სუროგატის დამოკიდებულების ასეთი ცვლილება გამართლებულია და ეს არ დააზიანებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. „სუროგატი დედის ლეგიტიმური ინტერესები განიხილება მაშინ, როდესაც სახეზეა გარემოებების იმგვარი ცვლილება, რომლის პროგნოზირებაც ვერ განხორციელდა და როდესაც ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასაცავად სხვაგვარი კომპრომისი ვერ მიიღწევა“. იხ. Shakargy Sh., Israel, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 234. ასევე, აღსანიშნავია, რომ 2013 წლის მონაცემებით არ ფიქსირდება სუროგატი დედის მიერ მსგავსი მოთხოვნის წარდგენის შემთხვევა. იხ. იქვე.

⁷⁶⁹ Shalev C., Halakha and Patriarchal Motherhood – an Anatomy of the New Israeli Surrogacy Law, Israel Law Review, Vol. 32, Issue 1, 1998, 68.

დაბადებული პირი მიაღწევს 18 წლის ასაკს, მას შეუძლია სოციალური მუშაკის ნებართვით, გაეცნოს მასზე არსებულ ჩანაწერებს. ამასთან, სოციალური მუშაკის უარი ამ ჩანაწერებთან პირისთვის წვდომის მინიჭებაზე, შესაძლოა, გასაჩივრდეს სასამართლოში⁷⁷⁰.

4. სუროგაციის მეგობარი ქვეყნები

მესამე ჯგუფის კატეგორიაში ერთიანდება სუროგაციის მიმართ ე.წ. „მეგობრულად განწყობილი“ ქვეყნები - ქვეყნები, სადაც დაშვებულია კომერციული სუროგაცია - სუროგაციასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების გარდა სუროგატი დედისათვის გარკვეული კომპენსაციის გადახდა. ამასთან, ხშირ შემთხვევაში, არ არსებობს შეზღუდვები პოტენციური მშობლებისათვის მათ საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით, რაც ნიშნავს იმას, რომ სუროგაციაზე წვდომის უფლება კონკრეტულ სახელმწიფოში აქვთ არამართო ამ სახელმწიფოს მოქალაქეებს, არამედ სხვა ქვეყნის მოქალაქეებსაც. აღნიშნული თავისებურებების გათვალისწინებით, ბუნებრივია, რომ „სუროგაციის მეგობარი ქვეყნების“ ჯგუფში გაერთიანებული სახელმწიფოები გარკვეულწილად იქცნენ „საერთაშორისო კომერციული სუროგაციის ბაზრის ცენტრად, რომელიც იზიდავს უშვილო პოტენციურ მშობლებს როგორც სუროგაციის მონაწილედ ქვეყნებიდან, ასევე იმ იურისდიქციებიდან, სადაც სუროგაციის მიმართ შედარებით ნეიტრალური დამოკიდებულება არსებობს“⁷⁷¹.

აღნიშნულ ქვეყანათა ჯგუფს მიეკუთვნება აშშ (მხოლოდ ზოგიერთი შტატი, მათ შორის, ალაბამა, არკანზასი, დელავერი, კალიფორნია, კონექტიკუტი, კოლუმბიის ოლქი, ილინოისი, ნევადა, ჩრდილოეთ დაკოტა, ოჰაიო, ორეგონი, პენსილვანია, აიოვა, მერილენდი, მასაჩუსეტსი, მინესოტა, ტენესი, ტეხასი, იუტა, სამხრეთ კაროლინა, დასავლეთ ვირჯინია და

⁷⁷⁰ Shakargy Sh., Israel, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 241.

⁷⁷¹ Trimmings K., Beaumont P., General Report on Surrogacy in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 443.

ვისკონსინი)⁷⁷², ასევე რუსეთი⁷⁷³, უკრაინა⁷⁷⁴, ინდოეთი⁷⁷⁵, მექსიკის ტაბასკოს შტატი⁷⁷⁶, ბელორუსია⁷⁷⁷, სომხეთი⁷⁷⁸ და საქართველო.⁷⁷⁹

⁷⁷² წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში დასახელებული შტატებიდან ძირითადად განხილულია კალიფორნიის, კოლუმბიის ოლქის, ილინოისის, ტეხასის, იუტას, მასაჩუსეტსის, ვისკონსინის, კონექტიკუტისა და დელავერის ადგილობრივი რეგულაციები და სასამართლო პრაქტიკა.

⁷⁷³ რუსეთში სუროგაციის რეგულირებასთან დაკავშირებით დეტალურად იხ. წინამდებარე თავის 4.2. ქვეთავი.

⁷⁷⁴ უკრაინაში სუროგაციის რეგულირებასთან დაკავშირებით დეტალურად იხ. წინამდებარე თავის 4.2. ქვეთავი.

⁷⁷⁵ ინდოეთში კომერციული სუროგაცია ფართოდაა გავრცელებული, თუმცა არ არსებობს კანონი, რომელიც პირდაპირ არეგულირებს სუროგაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. სუროგაცია წესრიგდება არასავალდებულო ძალის მქონე ეროვნული გაიდლაინებით („ინდოეთში დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების განმხორციელებელი კლინიკების აკრედიტაციის, ზედამხედველობისა და რეგულაციის ეროვნული სახელმძღვანელო წესები“ (National Guidelines for Accreditation, Supervision and Regulation of ART Clinics in India, adopted by the Ministry of Health and Family Welfare Government of India, Indian Council of Medical Research, National Academy of medical Sciences (India), 2005), გამოქვეყნებულია ინდოეთის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და სამედიცინო კვლევისა და სამედიცინო მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ინდოეთის საბჭოს მიერ 2005 წელს) (შემდგომში „გაიდლაინები“). იხ. Smerdon R. U., India, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 187. გაიდლაინების მიხედვით სუროგატი დედის ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 45 წელს და სუროგატი დედობის განხორციელება მას შეუძლია მხოლოდ სამჯერ. რაც შეეხება პოტენციური მშობლების მიმართ არსებულ მოთხოვნებს, ერთადერთი მოთხოვნაა მათი ფიზიკური ან ფსიქიკური სამედიცინო საჭიროების არსებობა სუროგაციის განსახორციელებლად. სამედიცინო დანესებულებები, როგორც წესი, აწესებენ დამატებით მოთხოვნებს, რომელთა შესაბამისადაც სუროგაციის განხორციელების უფლება ეძლევათ მხოლოდ ჰეტეროსექსუალ როგორც დაუქორწინებელ, ასევე ქორწინებაში მყოფ წყვილს. გაიდლაინების მიხედვით დასაშვებია მხოლოდ გესტაციური სუროგაცია და მხოლოდ სამი ემბრიონის გადატანა სუროგატი დედის საშვილოსნოში. სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის დაბადების მონმობაში ბავშვის იურიდიულ მშობლებად ფიქსირდება გენეტიკური პოტენციური მშობლები, რომელთაც ბავშვთან გენეტიკური კავშირი უნდა დაადასტურონ გენეტიკური ანალიზის საფუძველზე. იხ. Trimmings K., Beaumont P., General Report on Surrogacy in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 447-448. ინდოეთის სუროგაციის რეგულაციების, პრაქტიკისა და სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით დამატებით იხ. Smerdon R. U., India, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 187-218; Trimmings K., Beaumont P., General Report on Surrogacy in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 445-448.

⁷⁷⁶ მექსიკის ტაბასკოს შტატის სამოქალაქო კოდექსის 92-ე მუხლი პირდაპირ დასაშვებად მიიჩნევს სუროგაციის განხორციელებას. იხ. Lamm E., Mexico, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 257-258.

4.1. ამერიკის შეერთებული შტატების „სუროგაციის მეგობარი შტატები“

4.1.1. შტატები, სადაც კომერციული სუროგაცია დაიშვება სასამართლო პრეცედენტის საფუძველზე

„სუროგაციის მეგობარი შტატების“ რიცხვს მიეკუთვნება ზოგიერთი ის შტატი, სადაც სუროგაციის მომწესრიგებელი სპეციალური კანონის არარსებობის მიუხედავად კომერციული გესტაციური სუროგაცია დაიშვება სასამართლო პრეცედენტის საფუძველზე. ამასთან, სუროგაციის ხელშეკრულების საფუძველზე პოტენციური მშობლების იურიდიულ მშობლებად განსაზღვრისას განსხვავებულია კრიტერიუმები, რომლებსაც იყენებს სუროგაციის მარეგულირებელი კანონმდებლობით არმქონე კონკრეტული შტატის სასამართლო: მხარეთა განზრახვა (ნება), გენეტიკა, გესტაცია და ბავშვის საუკეთესო ინტერესები⁷⁸⁰.

ა. მხარეთა განზრახვა, როგორც მშობლის იურიდიული სტატუსის განსაზღვრის კრიტერიუმი

სამართლებრივი რეგულაციების არარსებობის პირობებში კომერციული სუროგაციის დასაშვებობა სასამართლო პრეცედენტით გამოკვეთილია მასაჩუსეტისა და ოჰაიოს შტატებში, სადაც გესტაციური სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის მშობლებად მიიჩნევიან გენეტიკური პოტენციური მშობლები ბავშვსა და მშობლებს შორის გენეტიკური კავშირის არსებობის გათვალისწინებით.

პოტენციური მშობლების იურიდიულ მშობლებად აღიარების განსხვავებულ კრიტერიუმს იყენებდა წლების მანძილზე კალიფორნიის სასამართლო, რომლის მიხედვითაც იურიდიულ მშობლებად განსაზღვრისათვის გადამწყვეტი იყო არა გენეტიკური კავშირი, არამედ

⁷⁷⁷ ბელორუსიაში სუროგაცია დაიშვება „დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების შესახებ“ კანონით, Закон Республики Беларусь о Вспомогательных Репродуктивных Технологиях, 07.01.2012, No 341-3.

⁷⁷⁸ სომხეთში სუროგაცია პირდაპირ დაიშვება კანონით „ადამიანის რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და რეპროდუქციული უფლებების შესახებ“ (Закон Республики Армения о Репродуктивном Здоровье и Репродуктивных Правах Человека, 26.12.2002, ЗР-474.

⁷⁷⁹ საქართველოში სუროგაციის რეგულირებასთან დაკავშირებით დეტალურად იხ. წინამდებარე ნაშრომის IV თავი.

⁷⁸⁰ Spivack C., The Law of Surrogate Motherhood in the United States, The American Journal of Comparative Law, Vol. 58, Issue supplement, 2010, 87.

მხარეთა მიერ გამოვლენილი ნება და განზრახვები. სწორედ ეს კრიტერიუმი დაედო საფუძვლად შემდგომში 2012 წელს კალიფორნიის საოჯახო კოდექსში სუროგაციის მარეგულირებელი ნორმების კოდიფიკაციას. ამ ნორმების ამოქმედებამდე კომერციული სუროგაცია დაიშვებოდა სასამართლო პრეცედენტის საფუძველზე, რომელიც ჩამოყალიბდა 1993 წელს კალიფორნიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით გესტაციური სუროგაციის საქმეზე *ჯონსონი კალვერტის წინააღმდეგ (Johnson v. Calvert)*⁷⁸¹. აღნიშნულ საქმეში სასამართლომ პირველად გამოიყენა ე.წ. „მხარეთა განზრახვაზე დაფუძნებული მიდგომა“⁷⁸² სუროგაციის საქმეებში იურიდიული მშობლების განსაზღვრისათვის და დაადასტურა სუროგაციული შეთანხმებების აღსრულებადობა⁷⁸³. მხარეთა განზრახვის არსებობის პრინციპი შემდგომში უფრო ფართოდ იქნა ასახული კალიფორნიის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეზე *ბუზანკა ბუზანკას წინააღმდეგ (Buzanca v. Buzanca)*⁷⁸⁴.

ა.ა. ჯონსონი კალვერტის წინააღმდეგ (*Johnson v. Calvert*)⁷⁸⁵

კალიფორნიის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულებაში ასახული მხარეთა განზრახვა და ნება აკონტროლებს „იურიდიული დედობის“ განსაზღვრას და, რომ პოტენციური მშობლები, რომელთა განზრახვაა, გახდნენ ბავშვის იურიდიული მშობლები, უფლებამოსილნი არიან, ცნობილ იქნან იურიდიულ მშობლებად გესტაციური დედისა და დონორების უფლებების გაუთვალისწინებლად.

მოცემულ საქმეში გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულება გაფორმდა პოტენციურ მშობლებს - მარკ და კრისპინა კალვერტებსა (Mark and Crispina Calverts) და გესტაციურ სუროგატ დედას - ანა ჯონსტონს (Anna Johnston) შორის. კალვერტების - პოტენციური მშობლების გენეტიკური მასალით მიღებული ემბრიონი გადატანილი იქნა ანას საშვილოსნოში. ანა დათანხმდა, უარი ეთქვა მშობლის უფლებებზე კომპენსაციის მიღებისა და

⁷⁸¹ *Johnson v. Calvert*, 851 P.2d 776 (Cal. 1993).

⁷⁸² აღნიშნულ მიდგომასა და პრინციპს მოიხსენიებენ, როგორც “intent in California” - „განზრახვა კალიფორნიაში“.

⁷⁸³ Trimmings K., Beaumont P., General Report on Surrogacy in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 449.

⁷⁸⁴ *Buzanca v. Buzanca*, 61 Cal.App.4th 1410, 72 Cal.Rptr.2d 280 (Ct. App. 1998).

⁷⁸⁵ *Johnson v. Calvert*, 851 P.2d 776 (Cal. 1993).

სიცოცხლის დაზღვევის სანაცვლოდ. თუმცა, ურთიერთობა მხარეებს შორის დაიძაბა, რის გამოც პოტენციურმა მშობლებმა მიმართეს სასამართლოს მათი, როგორც ბავშვის იურიდიული მშობლების, აღიარების შესახებ სასამართლოს გადანყვეტილების მისაღებად. სარჩელის საპასუხოდ ანამ წარადგინა შეგებებული სარჩელი და მოითხოვა ბავშვის დედად აღიარება. პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა ხელშეკრულების ნამდვილობა, კალვერტები აღიარა ბავშვის გენეტიკურ და ბიოლოგიურ მშობლებად და უარი უთხრა ანას მშობლის უფლების მინიჭებაზე. გადანყვეტილების დასაბუთებისას სასამართლომ აღნიშნა, რომ „ანა ჯონსტონი ბავშვის გესტაციური მატარებელია... იგი და ბავშვი გენეტიკური მემკვიდრეობის თვალსაზრისით ერთმანეთისათვის უცხონი არიან... ანას ურთიერთობა ბავშვთან მსგავსია აღმზრდელი მშობლის ურთიერთობისა ბავშვთან, რომელიც უვლის, იცავს და აღზრდის ბავშვს იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც გენეტიკურ დედას, კრისპინა კალვერტს არ შეეძლო, განეხორციელებინა ბავშვის მოვლა“⁷⁸⁶.

გადანყვეტილების გასაჩივრების შემდგომ კალიფორნიის უზენაესმა სასამართლომ უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილება და ყურადღება გაამახვილა მხარეთა განზრახვის მნიშვნელობაზე გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულების გაფორმებისას. სასამართლომ დაადგინა, რომ 1973 წლის მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ფედერალური კანონის⁷⁸⁷ შესაბამისად როგორც გესტაციურ, ასევე გენეტიკურ კავშირებს შეეძლოთ წარმოეშვათ დედობის დადგენის საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში დედობის ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები წარდგენილი იყო როგორც ანას, ასევე, ქრისპინას მიერ: დედობას ანა ადასტურებდა ბავშვის გესტაციითა და და გაჩენით, ხოლო კრისპინა - ბავშვთან მისი გენეტიკური კავშირით. ვინაიდან, სასამართლომ ვერ შეძლო, დაედგინა, თუ კონკრეტულად რომელ ფაქტორს (ფიზიკური გესტაციისა და ბავშვის შობის ფაქტსა თუ გენეტიკური კავშირის არსებობის შესახებ მტკიცებულებას) ანიჭებდა კანონი უპირატესობას დედობის დადგენის მიზნებისათვის, სასამართლომ გადაწყვიტა, საკითხი განეხილა მხარეთა ნებისა და განზრახვის მხედველობაში მიღებით. სასამართლომ დაადგინა, რომ, როდესაც

⁷⁸⁶ იქვე.

⁷⁸⁷ Federal Uniform Parentage Act 1973 - ფედერალური კანონი, რომელიც აწესრიგებდა დედობისა და მამობის განსაზღვრისა და მშობელთა უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებულ საკითხებს, თუმცა, პირდაპირ არ ახდენდა სუროგაციის რეგულირებას.

გენეტიკა და გესტაცია ერთ ქალთან არ არის დაკავშირებული, ქალი, რომელსაც განზრახული აქვს, [სუროგაციის მეშვეობით] განახორციელოს ბავშვის დაბადება, რომელსაც იგი გაზრდის როგორც საკუთარს, წარმოადგენს ბავშვის ბუნებრივ და იურიდიულ დედას კალიფორნიაში⁷⁸⁸.

ა.ბ. ბუზანკა ბუზანკას წინააღმდეგ (*Buzzanca v. Buzzanca*)⁷⁸⁹

1998 წელს კალიფორნიის სააპელაციო სასამართლომ, გამოიყენა რა მხარეთა ნებისა და განზრახვის საფუძველზე სუროგაციასთან დაკავშირებული საქმეების გადანაცვების პრინციპი კალიფორნიაში, მშობლებად აღიარა პოტენციური მშობლები, მიუხედავად იმისა, რომ არცერთ მათგანს გენეტიკური კავშირი არ გააჩნდათ სუროგატი დედის მიერ გაჩენილ ბავშვთან.

მოცემულ საქმეში პოტენციურმა მშობლებმა ლუან (Luanne) და ჯონ (John) ბუზანკამ (Buzzanca) გადანაცვით, რომ ემბრიონი, რომელიც არცერთი მათგანის გენეტიკური მასალით არ იყო მიღებული⁷⁹⁰, გადაეტანათ სუროგატი დედის საშვილოსნოში მათთვის ბავშვის გაჩენის მიზნით. აღნიშნული შეთანხმება მხარეებს შორის შედგა ზეპირად. წერილობითი ხელშეკრულების გაფორმება განხორციელდა მხოლოდ ემბრიონის სუროგატი დედის საშვილოსნოში გადატანიდან დაახლოებით ორი კვირის შემდგომ პოტენციური მამის მიერ განქორწინების პროცესის ინიცირებამდე. სასამართლოს წინაშე პოტენციური მამა აცხადებდა, რომ ქორწინების განმავლობაში მეუღლეებს საერთო შვილები არ ჰყოლიათ და, რომ იგი არ იყო ფინანსურად ან სხვაგვარად პასუხისმგებელი სუროგატის მიერ გაჩენილ ბავშვზე. განსხვავებული პოზიცია ჰქონდა პოტენციურ დედას, რომელსაც მიაჩნდა, რომ მასთან ერთად ბავშვის იურიდიულ მშობლებლად უნდა განსაზღვრულიყო პოტენციური მამა. რაც შეეხება სუროგატ დედას, არც სუროგატი დედისა და არც მისი მეუღლის მიერ სასამართლოში არ ყოფილა დაყენებული რაიმე მოთხოვნა ბავშვთან მიმართებით. შესაბამისად, პოტენციური მშობლების განქორწინების ფაქტის გათვალისწინებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს წინაშე დაისვა საკითხი იმის თაობაზე,

⁷⁸⁸ Trimmings K., Beaumont P., General Report on Surrogacy, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited Trimmings K., Beaumont P., Oxford-Portland-Oregon, 2013, 449.

⁷⁸⁹ *Buzzanca v. Buzzanca*, 61 Cal.App.4th 1410, 72 Cal.Rptr.2d 280 (Ct. App. 1998).

⁷⁹⁰ ინ ვიტრო განაყოფიერების დროს გამოყენებული იყო ანონიმური დონორების გამეტები.

თუ ვინ იყვნენ ბავშვის მშობლები იურიდიული თვალსაზრისით. სასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვს არ ჰყავდა იურიდიული მშობლები შემდეგი მიზეზების გამო: (1) სუროგატმა დედამ და მისმა მეუღლემ განაცხადეს, რომ ისინი არ იყვნენ ბავშვის ბიოლოგიური მშობლები; (2) პოტენციური დედა არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო ბავშვის დედად, რადგან ბავშვს მასთან არ გააჩნდა გენეტიკური კავშირი, ამასთან, მას არც გესტაციური კავშირი ჰქონდა ბავშვთან; და (3) პოტენციური მამა არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო ბავშვის მამად მასსა და ბავშვს შორის გენეტიკური კავშირის არარსებობის გამო.

პოტენციური დედის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდგომ სააპელაციო სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და დაადგინა, რომ იმ ბავშვის პოტენციური მშობლები, რომლის ჩასახვა განხორციელდა ანონიმური დონორების გამეტებით და, რომელიც გააჩინა სუროგატმა დედამ, მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ფედერალური კანონის მიხედვით მიიჩნეოდნენ ბავშვის იურიდიულ მშობლებად. სასამართლომ, ასევე აღნიშნა, რომ იგივე წესი, რომლითაც მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ფედერალური კანონის შესაბამისად ქმარი მიიჩნევა ხელოვნური განაყოფიერების გზით დაბადებული ბავშვის იურიდიულ მამად, გამოიყენება მოცემულ შემთხვევაში ბატონი ბუზანკას მიმართ და ადგენს მამობას სუროგატი დედის მიერ გაჩენილ ბავშვთან მიმართებით.

სააპელაციო სასამართლომ გააკრიტიკა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და დაადგინა, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა საჯარო წესრიგს. სასამართლოს განმარტებით, საქმეში გადამწყვეტი იყო მხარეთა ნება⁷⁹¹ და არა გენეტიკური კავშირი.⁷⁹²

⁷⁹¹ პოტენციური მშობლები იწყებენ იმ სამედიცინო პროცედურასა და თანხმობას აცხადებენ იმ სამედიცინო პროცედურაზე, რომელსაც შედეგად მოჰყვება ბავშვის დაბადება.

⁷⁹² Trimmings K., Beaumont P., General Report on Surrogacy, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 450.

ბ. გენეტიკური კავშირი და ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი, როგორც მშობლის იურიდიული სტატუსის განსაზღვრის კრიტერიუმი

იურიდიული მშობლის განსაზღვრის განსხვავებულ ტექსტს იყენებენ მასაჩუსეტისა და ოჰაიოს სასამართლოები და გენეტიკური კავშირის არსებობას ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპთან ერთად მიიჩნევენ უპირატესად მშობლის იურიდიული სტატუსის განსაზღვრისას.

მასაჩუსეტის შტატში უზენაესმა სასამართლომ საქმეებში *ქულიტონი ბეთ ისრაელ დიკონეს სამედიცინო ცენტრის წინააღმდეგ (Culliton v Beth Israel Deaconess Medical Center)*⁷⁹³ და *ჰოდასი მორინის წინააღმდეგ (Hodas v Morin)*⁷⁹⁴ „ფორმალურად დაამტკიცა სუროგაციაში მშობლის სტატუსის ბავშვის დაბადებამდე განსაზღვრა“⁷⁹⁵, ოჰაიოს შტატში კი სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებით საქმეზე *ჯეი ეფ დი ბის წინააღმდეგ (JF v DB)*⁷⁹⁶ გენეტიკურ პოტენციურ მშობლებს იურიდიული მშობლის სტატუსის მოპოვება შეუძლიათ ბავშვის დაბადების შემდგომ.

ბ.ა. ქულიტონი ბეთ ისრაელ დიკონეს სამედიცინო ცენტრის წინააღმდეგ (Culliton v Beth Israel Deaconess Medical Center)⁷⁹⁷

უზენაესმა სასამართლომ არ გაიზიარა ქვემდგომი - მასაჩუსეტის სამემკვიდრეო და საოჯახო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მოსამართლემ უარი უთხრა მოსარჩელებს - გესტაციური სუროგაციის შედეგად დასაბადებელი ტყუპების გენეტიკურ მშობლებს ე.წ. „დაბადების წინა ორდერის“ გაცემაზე, მიიჩნია, რა, რომ მას არ ჰქონდა აღნიშნულის უფლებამოსილება და, რომ უნდა გამოყენებულიყო შვილად აყვანასთან დაკავშირებული რეგულაციები - პოტენციური მშვილებლის მშობლად აღიარება დაუშვებელი იყო ბავშვის გამჩენი ქალის წერილობითი თანხმობის გარეშე, რომელიც შეიძლებოდა განხორციელებულიყო მხოლოდ ბავშვის

⁷⁹³ *Culliton v Beth Israel Deaconess Medical Center*, 435 Mass 285 (2001).

⁷⁹⁴ *Hodas v Morin*, 442 Mass 544 (2004).

⁷⁹⁵ Snyder H. S., United States of America, in: *International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level*, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 391.

⁷⁹⁶ *JF v DB*, 879 2d 740 (2007).

⁷⁹⁷ *Culliton v Beth Israel Deaconess Medical Center*, 435 Mass 285 (2001).

დაბადებიდან განსაზღვრული ვადის გასვლის შემდგომ⁷⁹⁸. უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის მოსამართლეს გააჩნდა საკმარისი იურისდიქცია, მიეღო გადაწყვეტილება პოტენციური მშობლების იურიდიულ მშობლებად აღიარებაზე ბავშვების დაბადებამდე და მიუთითა მშობლის იურიდიული სტატუსის დადგენის დაგვიანების საფრთხეებზე: ბავშვისათვის საჭირო სამედიცინო მკურნალობის შესაძლო დაგვიანება, მემკვიდრეობასთან დაკავშირებული პრობლემები და დავები მეურვეობის შესახებ⁷⁹⁹. უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ბავშვის იურიდიული მშობლების განსაზღვრის დაგვიანებით საფრთხე ექმნება ბავშვისათვის სამედიცინო მკურნალობის განხორციელებას ბავშვის ჯანმრთელობის გართულების შემთხვევაში, რთულდება ან შეიძლება საერთოდ შეუძლებელი გახდეს ბავშვის მიერ მემკვიდრეობის მიღება პოტენციური მშობლის გარდაცვალების შემთხვევაში მისთვის მშობლის იურიდიული სტატუსის მინიჭებამდე, ისევე, როგორც წარმოიშვება პრობლემა ბავშვისათვის სოციალური უზრუნველყოფის შემწეობის მიღების თვალსაზრისით⁸⁰⁰. შესაბამისად, ამ საფრთხეების მინიმალიზაციის ან თავიდან აცილების მიზნით სტაბილურობისა და ბავშვების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად სასამართლომ მიიჩნია, რომ გესტაციური სუროგაციის შემთხვევაში უნდა მომხდარიყო სასამართლოს მიერ პოტენციური მშობლების იურიდიულ მშობლებად აღიარება და, იმის გათვალისწინებით, რომ უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვისას ბავშვები უკვე დაიბადნენ, ტყუპების იურიდიულ მშობლებად განსაზღვრა პოტენციური მშობლები.

ბ.ბ. ჰოდასი მორინის წინააღმდეგ (*Hodas v Morin*)⁸⁰¹

მასაჩუსეტის უზენაესმა სასამართლომ აღიარა მოსარჩელები - ქორწინებაში მყოფი მეუღლეები და პოტენციური გენეტიკური მშობლები გესტაციური სუროგაციის შედეგად დასაბადებელი ბავშვის იურიდიულ მშობლებად და დაავალა სამედიცინო დანესებულებას ბავშვის დაბადების შესახებ დოკუმენტში მოსარჩელების ბავშვის დედ-მამად განსაზღვრა. სასამართლომ, ასევე იმსჯელა მასაჩუსეტის სასამართლოს იურისდიქციისა

⁷⁹⁸ იქვე.

⁷⁹⁹ Spivack C., The Law of Surrogate Motherhood in the United States, The American Journal of Comparative Law, Vol. 58, Issue supplement, 2010, 107-108.

⁸⁰⁰ *Culliton v Beth Israel Deaconess Medical Center*, 435 Mass 285 (2001).

⁸⁰¹ *Hodas v Morin*, 442 Mass 544 (2004).

და გამოსაყენებელი კანონის შესახებ, ვინაიდან საქმესთან სამართლებრივი კავშირი გააჩნდა არამართო მასაჩუსეტს, არამედ ნიუ იორკისა და კონტექტიკუტის შტატებს. კერძოდ, მოსარჩელები - პოტენციური მშობლები იყვნენ კონტექტიკუტის შტატის რეზიდენტები, მოპასუხეები - გესტაციური დედა და მისი მეუღლე კი - ნიუ იორკის შტატის რეზიდენტები. მასაჩუსეტსში ადგილსამყოფელი გააჩნდა მხოლოდ მოპასუხე სამედიცინო დაწესებულებას, სადაც, ერთი მხრივ, პოტენციურ მშობლებსა და, მეორე მხრივ, გესტაციურ დედასა და მის მეუღლეს შორის გაფორმებული გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულების შესაბამისად უნდა მომხდარიყო ბავშვის დაბადება. მასაჩუსეტსთან სამართლებრივი კავშირი, ასევე დგინდებოდა სუროგაციის ხელშეკრულებით, რომლის მიხედვითაც ხელშეკრულება რეგულირდებოდა სწორედ მასაჩუსეტის კანონმდებლობის შესაბამისად.

საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და მასაჩუსეტის კანონმდებლობის არჩევანზე მხარეთა მიერ ნათლად გამოვლენილი ნების საფუძველზე სასამართლომ დაადგინა, რომ მასაჩუსეტის სასამართლოს გააჩნდა მოცემულ საქმეზე იურისდიქცია და საქმე უნდა გადაწყვეტილიყო მასაჩუსეტის კანონმდებლობის შესაბამისად⁸⁰².

ბ.გ. ჯეი ეფ დი ბის წინააღმდეგ (JF v DB)⁸⁰³

ოჰაიოს შტატის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ „სუროგაციის ხელშეკრულება, როგორც „კერძო ხელშეკრულება, რომლითაც ხდებოდა მშობლის უფლებებზე უარის თქმა“, არ არღვევდა საჯარო წესრიგს, ვინაიდან სუროგატ დედას არ გააჩნდა მშობლის უფლება, რომელზე უარის თქმაც მას შეეძლო: ოჰაიოს კანონმდებლობის მიხედვით ბავშვის ბუნებრივ მშობლებად მიიჩნეოდნენ პირები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ბავშვის გენეტიკას⁸⁰⁴.

დავა ეხებოდა მეურვეობის განსაზღვრას, ერთი მხრივ, პოტენციურ და გენეტიკურ მამას, მეორე მხრივ, გესტაციურ სუროგატ დედასა და მის მეუღლეს და, მესამე მხრივ, კვერცხუჯრედის დონორს შორის დადებული გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულების შედეგად სუროგატის მიერ

⁸⁰² იქვე.

⁸⁰³ JF v DB, 879 2d 740 (2007).

⁸⁰⁴ Spivack C., The Law of Surrogate Motherhood in the United States, The American Journal of Comparative Law, Vol. 58, Issue supplement, 2010, 105.

გაჩენილ სამტყუპზე, რომლებიც ცხოვრობდნენ ბიოლოგიურ მამასთან. სასამართლომ დაადგინა, რომ ოჰაიოს არ გააჩნდა გამოკვეთილი საჯარო წესრიგი გესტაციურ სუროგაციასთან დაკავშირებით. შესაბამისად, საჯარო წესრიგს არ ეწინააღმდეგებოდა გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულება, მაშინაც კი, თუ მისი ერთ-ერთი დებულებით სუროგატ დედას მოეთხოვებოდა, უარი ეთქვა მშობლის უფლებებზე ბავშვების მიმართ, რომელსაც მუცლად ატარებდა სხვა ქალის ხელოვნურად განაყოფიერებული კვერცხუჯრედის მის საშვილოსნოში გადატანის შედეგად. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი გადაწყვეტილება ეხებოდა მხოლოდ გესტაციურ სუროგაციას და, რომ ტრადიციული სუროგაციის შემთხვევაში მას შეიძლებოდა განსხვავებული სამართლებრივი პოზიცია ჰქონოდა⁸⁰⁵.

განხილულ საქმეებში ნათელია, რომ პოტენციური მშობლებისათვის იურიდიული მშობლის სტატუსის მინიჭებისათვის კალიფორნიის სასამართლოებს გააჩნდათ ცალსახა მიდგომა, საკითხი გადაწყვეტათ მხარეთა ნებისა და განზრახვების საფუძველზე გესტაციური სუროგაციის შემთხვევაში ბავშვის გესტაციისა და გენეტიკური კავშირების გაუთვალისწინებლად. აღნიშნული მიდგომა სრულად არ არის გაზიარებული, ვინაიდან ზოგიერთი ავტორის აზრით, მშობლის იურიდიული სტატუსის განსაზღვრისას გესტაციისა და გენეტიკისათვის ნაკლები მნიშვნელობის მინიჭებით და განზრახვის საფუძველზე ამ სტატუსის დადგენით, მარტივი გახდება ბუნებრივი გზით ჩასახული ბავშვების მშობლების მიერ მშობლის პასუხისმგებლობებისათვის თავის არიდება⁸⁰⁶. აღნიშნული მოსაზრება ნაკლებად უნდა იქნას გაზიარებული, ვინაიდან ნათელია, რომ „განზრახვის ტესტი“ გამოიყენება მხოლოდ გესტაციური

⁸⁰⁵ *JF v DB*, 879 2d 740 (2007). აღსანიშნავია, რომ ოჰაიოს სასამართლომ გესტაციური სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის იურიდიულ მშობლებად განსაზღვრა პოტენციური გენეტიკური მშობლები ჯერ კიდევ 1994 წელს საქმეში - *ბელსიტო კლარკის წინააღმდეგ (Belsito v Clark) (Belsito v Clark, 644 2d 760 (1994))*, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ალტრუისტული სუროგაციის განხორციელებას, კერძოდ, მეუღლე უშვილო წყვილისათვის წყვილის გამეტებით შექმნილი ემბრიონის მუცლად ტარება და დაბადებული ბავშვის მიმართ მშობლის უფლებებზე უარის თქმა იკისრა პოტენციური დედის დამ ანაზღაურების გარეშე ალტრუისტული მიზნით. პოტენციურ მშობლებსა და ბავშვს შორის გენეტიკური კავშირის არსებობის გათვალისწინებით სასამართლომ პოტენციური მშობლები ბავშვის იურიდიულ მშობლებად აღიარა.

⁸⁰⁶ იხ. Spivack C., *The Law of Surrogate Motherhood in the United States*, *The American Journal of Comparative Law*, Vol. 58, Issue supplement, 2010, 104. მითითებულია: *Redefining Motherhood: Determining Legal Maternity in Gestational Surrogacy Arrangements*, *Drake Law Review*, Vol. 51, Issue 3, 2003, 624.

სუროგაციის დროს იურიდიული მშობლების განსაზღვრისას და ეს არ არის სასამართლოს პრეცედენტით დადგენილი ზოგადი კრიტერიუმი, რომელზე აპელირებაც უნდა მოხდეს იურიდიული მშობლის განსაზღვრის ყველა შემთხვევაში.

4.1.2. შტატები, სადაც კომერციული სუროგაცია დასაშვებია კანონმდებლობით

კალიფორნია, ილინოისი, კოლუმბიის ოლქი, დელავერი, ტეხასი, იუტა და გარკვეულწილად კონექტიკუტის შტატი აშშ-ის იმ შტატების რიცხვშია, რომელთა კანონმდებლობა პირდაპირ დასაშვებად მიიჩნევს კომერციული სუროგაციის⁸⁰⁷ განხორციელებას. თუმცა, არსებითად განსხვავდება ამ შტატების კანონებით დაწესებული მოთხოვნები სუროგაციის განხორციელებისა და სუროგაციის სამართლებრივად აღიარებისათვის მხარეების მიერ სავალდებულო წესით განსახორციელებელი სამართლებრივი ქმედებების შესახებ.

კალიფორნიის გესტაციური სუროგაციის მარეგულირებელი კანონით⁸⁰⁸ დასაშვებია გესტაციური სუროგაცია და სუროგატი დედისათვის კომპენსაციის გადახდა, ისევე, როგორც სუროგაციის ან დონაციის საშუაშაგლო სააგენტოების საქმიანობა სარგებლის მიღების მიზნით, მათ შორის მათ მიერ თავიანთი საქმიანობის რეკლამირება. კანონით დადგენილი სავალდებულო პირობების შესრულებით განხორციელებული გესტაციური სუროგაციის არსებობის შემთხვევაში, კანონის შესაბამისად, სასამართლო გასცემს ე.წ. „დაბადებისწინა ორდერს მშობლის სტატუსის დადგენაზე“⁸⁰⁹, რომლითაც ხორციელდება პოტენციური მშობლის ან პოტენციური მშობლების იურიდიული მშობლის სტატუსის დადგენა ბავშვის დაბადებამდე, და, რომელიც ძალაში შედის მხოლოდ ბავშვის დაბადების შემთხვევაში. მშობლის სტატუსის დადგენის შესახებ სასამართლოს ორდერი ან გადანყვეტილება პოტენციური მშობლის ან მშობლების იურიდიულ

⁸⁰⁷ მოცემულ შემთხვევაში შტატის (ტეხასი, იუტა, დელავერი) კანონმდებლობით გონივრული ხარჯების გარდა სუროგატი დედისათვის გონივრული კომპენსაციის გადახდის დასაშვებობა მიჩნეული იქნა კომერციული სუროგაციის დასაშვებობად.

⁸⁰⁸ California Code, Family Code - FAM § 7960-7962.

⁸⁰⁹ pre-birth parentage order.

მშობლად განსაზღვრის შესახებ შეიძლება გაიცეს ბავშვის დაბადების შემდგომაც⁸¹⁰.

ილინოისის გესტაციური სუროგაციის მარეგულირებელი კანონით⁸¹¹ დასაშვებია გესტაციური სუროგაცია და სუროგატი დედისათვის არამართო სუროგაციასა და სუროგაციის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული გონივრული ხარჯების (მათ შორის, სამედიცინო და იურიდიული ხარჯების) გადახდა ან ანაზღაურება, არამედ მისთვის გონივრული კომპენსაციის გადახდაც. კანონმდებლობით ადვოკატებს განსაკუთრებული ფუნქცია აკისრიათ გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულების დადასტურების თვალსაზრისით და სასამართლოს ჩართულობა პოტენციური მშობლის ან მშობლების მშობლის იურიდიული სტატუსის დადგენის თვალსაზრისით მინიმალურია⁸¹².

კოლუმბიის ოლქის კანონის⁸¹³ მიხედვით დასაშვებია როგორც გესტაციური, ასევე ტრადიციული სუროგაცია. სუროგაციის ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს პოტენციური მშობლის ან მშობლების ვალდებულებას „ყველა შეთანხმებული გონივრული სამედიცინო ხარჯებისა და დამატებითი ხარჯების“ გადახდაზე, დამატებით ხარჯებში კი სხვა ხარჯებს შორის მოიაზრება სუროგატი დედის მიუღებელი ხელფასი, კომპენსაცია რისკის, უხერხული მდგომარეობის, ჩვეულებრივი საქმიანობებისგან თავშეკავების ან ამ საქმიანობის განხორციელების შეზღუდვისათვის. კანონით დადგენილი სავალდებულო პირობების შესრულებით განხორციელებული სუროგაციისას სასამართლო გასცემს „დაბადებისწინა ორდერს მშობლის სტატუსის დადგენაზე“, რომლითაც ხორციელდება პოტენციური მშობლის ან პოტენციური მშობლების იურიდიული მშობლის სტატუსის დადგენა ბავშვის დაბადებამდე, და, რომელიც ძალაში შედის მხოლოდ ბავშვის დაბადების შემთხვევაში⁸¹⁴.

⁸¹⁰ კალიფორნიის სამართლებრივ რეგულაციებზე დეტალურად იხ. წინამდებარე თავის 4.1.2. „ა“ ქვეთავი.

⁸¹¹ Gestational Surrogacy Act, 750 ILCS-47/1-75.

⁸¹² ილინოისის სამართლებრივ რეგულაციებზე დეტალურად იხ. წინამდებარე თავის 4.1.2. „დ“ ქვეთავი.

⁸¹³ D.C. Law 21-255. Collaborative Reproduction Amendment Act of 2016.

⁸¹⁴ კოლუმბიის ოლქის სამართლებრივ რეგულაციებზე დეტალურად იხ. წინამდებარე თავის 4.1.2. „ბ“ ქვეთავი.

დელავერის გესტაციური სუროგაციის კანონით⁸¹⁵ დასაშვებია მხოლოდ გესტაციური სუროგაცია და სუროგატი დედისათვის გონივრული ხარჯების გარდა გონივრული კომპენსაციის გადახდაც. გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულება პოტენციურ მშობელს ან პოტენციურ მშობლებსა და 21 წლის ასაკს მიღწეულ სუროგატ დედას შორის უნდა დაიდოს წერილობით ორი სრულწლოვანი, ქმედუნარიანი და მიუკერძოებელი მონმის დადასტურებით. მშობლის იურიდიული სტატუსის დადგენა სასამართლოს მიერ შესაძლებელია განხორციელდეს ბავშვის დაბადებამდე, თუმცა, მისი აღსრულება მოხდება მხოლოდ ბავშვის დაბადების შემდგომ⁸¹⁶.

ტეხასისა⁸¹⁷ და იუტას⁸¹⁸ სუროგაციის მარეგულირებელი კანონმდებლობა აღიარებს რა მხოლოდ გესტაციურ სუროგაციას და სუროგატი დედისათვის გონივრული კომპენსაციის⁸¹⁹ გადახდას, „სუროგაციის მეგობარი“ სხვა ზოგიერთი შტატის, მაგ., კალიფორნიის, ილინოისისა და კოლუმბიის ოლქის, კანონმდებლობასთან შედარებით უფრო მკაცრი რეგულაციებით გამოირჩევა. კანონის დაცვით შედგენილი სუროგაციის ხელშეკრულების ნამდვილობის აღიარება ხდება ბავშვის დაბადებამდე სასამართლოს მიერ გაცემული ორდერით, თუმცა, ბავშვის დაბადების შემდგომ, პოტენციური მშობლების მიერ მშობლის იურიდიული სტატუსის დასადგენად აუცილებელია, დამატებით განხორციელდეს სასამართლოსათვის შეტყობინება და სასამართლოს მიერ შესაბამისი ოდერის გაცემა⁸²⁰.

კონექტიკუტში არ არსებობს სუროგაციის მარეგულირებელი სპეციალური კანონი, თუმცა, კანონმდებლობაში პირდაპირ არსებული

⁸¹⁵ Del. Code 13 § 8-801 - 8-813 (2013). კანონის ოფიციალური ტექსტი ხელმისაწვდომია: <<http://delcode.delaware.gov/title13/c008/sc08/index.shtml>> [15.09.2017].

⁸¹⁶ Delaware Code § 8-611.

⁸¹⁷ Texas Family Code §§ 160.751-763.

⁸¹⁸ Utah Code § 78B-15-801-809.

⁸¹⁹ სუროგატი დედისათვის გონივრული კომპენსაციის გადახდას დასაშვებად მიიჩნევს 2014 წლიდან მოქმედი ნიუჰემპშირის გესტაციური სუროგაციის მარეგულირებელი კანონი, რომლის მიხედვითაც კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად შედგენილი გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულების ნამდვილობას აღიარებს სასამართლო. Nevada Revised Statutes § 168-B (2014). იგივენაირად, მხოლოდ გესტაციური სუროგაციის მარეგულირებელი ნევადას კანონმდებლობით Nevada Revised Statutes. §§ 126.500-126.810 (2013) შესაძლებელია გესტაციური სუროგატი დედის ან დონორისათვის კომპენსაციის გადახდა, თუ ეს საკითხი კეთილსინდისიერად არის მხარეთა შორის შეთანხმებული და, „თუ კომპენსაცია არ არის დამოკიდებული გამეტების ან ემბრიონის დადასტურებულ ხარისხსა ან გენომთან დაკავშირებულ მახასიათებლებზე“ (Nevada Revised Statutes, §126.810).

⁸²⁰ ტეხასისა და იუტას შტატების სამართლებრივ რეგულაციებზე დეტალურად იხ. წინამდებარე თავის 4.1.2. „გ“ ქვეთავი.

ჩანაწერის შესაბამისად გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში ამ ხელშეკრულების ნამდვილობის აღიარებისა და პოტენციური მშობლების მშობლის სტატუსის დამდგენი სასამართლოს ორდერის საფუძველზე, ბავშვის დაბადების შემდგომ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დეპარტამენტი დაუყოვნებლივ ამზადებს ბავშვის დაბადების განახლებულ მონუმბას და რეგისტრაციისთვის აგზავნის შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში⁸²¹. აღნიშნული რეგულაცია კანონმდებლობაში აისახა 2012 წელს, მას შემდგომ, რაც 2011 წელს კონტექტიკუტის უზენაესი სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეში *რაფტოპოლი რეიმის წინააღმდეგ (Raftopol v. Ramey)*,⁸²² სადაც დაადგინა, რომ ნამდვილი გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში სასამართლოს მიერ გაცემული შესაბამისი ორდერის საფუძველზე პოტენციურ მშობლებს ეძლეოდათ უფლება, ბავშვის დაბადების განმეორებით მონუმბაში ჩანერილიყვნენ ბავშვის იურიდიულ მშობლებად მასთან გენეტიკური კავშირის არსებობის მიუხედავად⁸²³.

სუროგაციის მომწესრიგებელი კანონების დეტალური ანალიზის თვალსაზრისით, მიზანშეწონილია, განცალკევებულად განხორციელდეს კალიფორნიის, კოლუმბიის ოლქის, ილინოისის, ტეხასისა და იუტას შტატების სუროგაციის მარეგულირებელი კანონებით დაწესებული მოთხოვნები სუროგაციის მიმართ.

ა. კალიფორნია

„კალიფორნია მიიჩნევა სუროგაციის ყველაზე მეგობრულ შტატად“⁸²⁴. სუროგაციის მიმართ მისმა მოქნილმა დამოკიდებულებამ შესაძლებლობა მისცა ადვოკატებს, წარმატებით მოეპოვებინათ მშობლის უფლებები მარტოხელა ქალებისა და მამაკაცების, ჰეტეროსექსუალი და „ელგებეტე“ წყვილებისათვის⁸²⁵.

⁸²¹ Connecticut General Statutes, §7-48a(2012).

⁸²² *Raftopol v Ramey*, 12A.3d783 (2011).

⁸²³ იქვე.

⁸²⁴ გესტაციური სუროგაციის განხორციელების დაახლოებითი ღირებულება კალიფორნიაში მისი პოპულარული სააგენტოების მეშვეობით შეადგენს მინიმუმ 150,000 აშშ დოლარს. იხ. Nicolas P., *Straddling the Columbia: A Constitutional Law Professor's Musings on Circumventing Washington State's Criminal Prohibition on Compensated Surrogacy*, *Washington Law Review*, Vol. 89, Issue 4, 2014, 1245.

⁸²⁵ Hofman L. D., *Mama's Baby, Daddy's Maybe: A State-by-State Survey of Surrogacy Laws and*

როგორც აღინიშნა, კალიფორნიაში სუროგაციის სამართლებრივი რეგულირება ჩამოყალიბდა მშობელთა უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ საერთო კანონის⁸²⁶ სასამართლოსეული ინტერპრეტაციის შედეგად სასამართლო პრეცედენტის საფუძველზე, რომლითაც სასამართლომ გამოიყენა სუროგაციის მხარეთა განზრახვის არსებობის პრინციპი, როგორც ბავშვის იურიდიული მშობლების განსაზღვრის საფუძველი. აღნიშნული პრინციპის კოდიფიკაცია განხორციელდა კალიფორნიის ქვედა პალატის მიერ წარდგენილი 1217 კანონპროექტის⁸²⁷ ხელმოწერით, რომლითაც შეიცვალა კალიფორნიის საოჯახო კოდექსში პოტენციური მშობლის დეფინიცია⁸²⁸ და დარეგულირდა სუროგაციასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტები⁸²⁹.

ა.ა. მოთხოვნები სუროგაციის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის

კალიფორნიის საოჯახო კოდექსის 7690-ე მუხლი ადგენს, რომ პოტენციური მშობელი არის „დაუქორწინებელი ან ქორწინებაში მყოფი პირი, რომელიც გამოხატავს განზრახვას, რომ, როგორც მშობელმა, იკისროს იურიდიული პასუხისმგებლობა დამხმარე რეპროდუქციის შედეგად [დაბადებულ] ბავშვზე“⁸³⁰. ამასთან, განსაზღვრავს რა „სუროგატ დედას“, როგორც „ქალს, რომელიც დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების საშუალებით და წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე [მუცლად] ატარებს ბავშვს სხვისთვის“⁸³¹, სუროგატი დედის განსაზღვრებაშივე აკონკრეტებს, რომ „სუროგატი დედის“ დეფინიცია მოიაზრებს ორ

Their Disparate Gender Impact, William Mitchell Law Review, Vol. 35, Issue 2, 2009, 461.

⁸²⁶ Uniform Parentage Act.

⁸²⁷ California Assembly Bill 1217, Approved by Governor September 23, 2012. Filed with Secretary of State September 23, 2012. ოფიციალური ტექსტი ხელმისაწვდომია: <http://leginfo.legislature.ca.gov/faces/billNavClient.xhtml?bill_id=201120120AB1217> [15.09.2017].

⁸²⁸ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 49.

⁸²⁹ California Code, Family Code - FAM § 7960-7962. ოფიციალური ტექსტი ხელმისაწვდომია: <[> \[15.09.2017\].](https://leginfo.legislature.ca.gov/faces/codes_displayText.xhtml?lawCode=FAM&division=12.&title=&part=7.&chapter=&article=.)

⁸³⁰ California Code, Family Code, §7960 (c).

⁸³¹ იქვე, §7960 (f).

სხვადასხვა სახეს: „ტრადიციულ სუროგატს“⁸³² („ქალი, რომელიც თანხმდება, მოახდინოს ემბრიონის გესტაცია, როდესაც იგი გამეტის დონორია და ემბრიონი შექმნილია პოტენციური მშობლის ან პოტენციური მშობლის ან მშობლების მიერ შერჩეული დონორის სპერმით“⁸³³) და „გესტაციურ მატარებელს“⁸³⁴ („ქალი, რომელიც არ არის პოტენციური მშობელი და, რომელიც თანხმდება, მოახდინოს მასთან გენეტიკურად კავშირში არმყოფი ემბრიონის გესტაცია დამხმარე რეპროდუქციის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად“⁸³⁵). ამრიგად, თუ კანონი იყენებს ტერმინს „სუროგატი დედა“, რაც ნიშნავს გამოყენებულ კონტექსტში მითითებას როგორც „ტრადიციულ სუროგატზე“, ასევე „გესტაციურ მატარებელზე“, ეს უნდა გულისხმობდეს მითითებას სუროგაციის ორივე ფორმაზე - ტრადიციულსა და გესტაციურზე. თუმცა, ეს ტერმინები კანონში არ არის გარკვევით სისტემატიზირებული - კანონი ზოგჯერ იყენებს ტერმინს „სუროგატი დედა“, ხოლო ზოგჯერ - „გესტაციური მატარებელი“. მაგ., სუროგაციის ხელშეკრულებაზე მითითებისას კანონი იყენებს ტერმინს „დამხმარე რეპროდუქციის შესახებ ხელშეკრულება „გესტაციური მატარებლებისათვის““⁸³⁶ (შემდგომში „გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულება“), რაც უნდა ნიშნავდეს ხელშეკრულებას, რომელიც იდება გესტაციური და არა ტრადიციული სუროგაციის განსახორციელებლად. თუმცა, მშობლების სტატუსთან დაკავშირებული სასამართლოს ბრძანებაზე - ორდერზე ან გადაწყვეტილებაზე მითითებისას კანონი ცალსახად განსაზღვრავს, რომ მისი მოთხოვნების დაცვით შესრულებული „გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულების“ არსებობის შემთხვევაში სასამართლოს ბრძანებით ან გადაწყვეტილებით დადგინდება მშობლის იურიდიული სტატუსი პოტენციური მშობლის ან მშობლებისათვის და განისაზღვრება, რომ სუროგატი დედა, მისი მეუღლე ან პარტნიორი არ არის ბავშვის მშობელი და, რომ ამ უკანასკნელთ არ გააჩნიათ მშობლის უფლებები თუ ვალდებულებები ბავშვის ან ბავშვების მიმართ⁸³⁷.

კანონი საერთოდ არ ახდენს სუროგაციის დიფერენციაციას ალტრუისტულისა და კომერციული სუროგაციის თვალსაზრისით, თუმცა არ

⁸³² Traditional surrogate.

⁸³³ California Code, Family Code, §7960 (f) (1).

⁸³⁴ Gestational surrogate.

⁸³⁵ California Code, Family Code, §7960 (f) (2).

⁸³⁶ Assisted reproduction agreement for gestational carriers. California Code, Family Code, §7962.

⁸³⁷ California Code, Family Code, §7962 (f) (2).

ითვალისწინებს შემზღვეველ ნორმებს სუროგატი დედისათვის გადასახდელ თანხებთან დაკავშირებით, რაც, თავისთავად ნიშნავს, რომ იგი დასაშვებად მიიჩნევს სუროგაციის ამ ორივე სახეობას. კანონი, ასევე ეხება სუროგაციასა და დონაციაში საშუამავლო მომსახურების განმახორციელებელ საშუამავლო პირებსა და ორგანიზაციებს და აწესებს ერთადერთ მოთხოვნას, რომლის შესაბამისადაც ნებისმიერი პირი ან ორგანიზაცია, რომელსაც არ გააჩნია კალიფორნიაში საადვოკატო საქმიანობის უფლება და ახორციელებს სუროგაციას ან დონაციაში საშუამავლო საქმიანობას, მათ შორის რეკლამირებას, შესაბამისი მომსახურებისათვის ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ⁸³⁸ „ფულადი თანხების მართვის შესახებ ხელშეკრულების“⁸³⁹ საფუძველზე, ვალდებულია, სამედიცინო მომსახურების ხარჯებისა და ფსიქოლოგიური სერვისის ხარჯების გარდა „ფულადი თანხების მართვის შესახებ ხელშეკრულებით“ განსაზღვრული „კლიენტის ყველა თანხა განათავსოს ესქრო კომპანიის ესქრო, ანუ პირობითი დეპონირების, ანგარიშზე“⁸⁴⁰.

„გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულების“ შინაარსზე მითითებისას კანონი ადგენს იმ მინიმალური საკითხების განსაზღვრას, რომელსაც ეს ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს, მათ შორისაა ხელშეკრულების გაფორმების ვადა, პოტენციური მშობლის ან მშობლების იდენტიფიკაცია, პოტენციური მშობლის ან მშობლების მიერ „გესტაციური მატარებლისა“ და ახალშობილის სამედიცინო ხარჯების დაფარვის ფორმა და იმ პირების აღნიშვნა, დონორების გარდა, რომელთა გამეტებიც გამოიყენება რეპროდუქციის პროცესში. დონაციის შემთხვევაში დონორის იდენტიფიკაცია ხელშეკრულებაში არ მოითხოვება, აუცილებელია მხოლოდ იმაზე მითითება, თუ კონკრეტულად რისი დონაცია

⁸³⁸ კანონი განსაზღვრავს ტერმინებს „სუროგაციის ან დონაციის არაადვოკატი შუამავალი“ (Nonattorney surrogacy or donor facilitator), რაც ნიშნავს სუროგაციის ან დონაციის შუამავლობას შტატში საადვოკატო საქმიანობის უფლების არმქონე პირის მიერ, „სუროგაციის ან დონაციის შუამავალი“ (Surrogacy or Donor Facilitator) კი არის საშუამავლო პირი და ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს სუროგაციის ანდა დონაციის საშუამავლო საქმიანობას, მათ შორის რეკლამირებას, შესაბამისი მომსახურებისათვის ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. *ib. Family Code, §7960.*

⁸³⁹ Fund Management Agreement. ხელშეკრულება, რომელიც ფორმდება პოტენციურ მშობლებსა და სუროგაციის ან დონაციის შუამავლებს შორის შუამავლის მიერ გაწეულ ან გასაწევ მომსახურებასთან დაკავშირებული ანაზღაურების თაობაზე. *ib. California Code, Family Code, §7960.*

⁸⁴⁰ იქვე, §7961.

განხორციელდა - კვერცხუჯრედის, სპერმის თუ ემბრიონის⁸⁴¹. ამ თვალსაზრისით კანონი ხაზს უსვამს დონორის შესახებ კონფიდენციალურობის დაცვის სტანდარტს, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, დონაციის განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა.

სუროგაციის მხარეების უფლებებისა და ინტერესების დაცვის თვალსაზრისით კანონი აწესებს მოთხოვნას თითოეულ მხარესთან მიმართებით, რომლის შესაბამისადაც გესტაციური ხელშეკრულების გაფორმებამდე თითოეული მხარე - სუროგატი დედა და პოტენციური მშობლები ან მშობელი უნდა იქნას წარმოდგენილი „მათი არჩევის შესაბამისად დამოუკიდებელი ლიცენზირებული ადვოკატების მიერ“⁸⁴². გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულებაზე მხარეთა ხელმოწერა კი სავალდებულოა, დამონმდეს სანოტარო წესით ან „დადასტურების ექვივალენტური მეთოდით“ ემბრიონის გადატანის პროცედურის განხორციელებამდე⁸⁴³.

ა.ბ. მშობლის იურიდიული სტატუსის დადგენა

კანონით დადგენილი სავალდებულო პირობების შესრულებით განხორციელებული გესტაციური სუროგაციის არსებობის შემთხვევაში, კანონის შესაბამისად, სასამართლო გასცემს „დაბადებისწინა ორდერს“ მშობლის სტატუსის დადგენაზე⁸⁴⁴, რომლითაც განისაზღვრება პოტენციური მშობლის ან პოტენციური მშობლების იურიდიული მშობლის სტატუსი ბავშვის დაბადებამდე, და, რომელიც ძალაში შედის მხოლოდ ბავშვის დაბადების შემთხვევაში⁸⁴⁵. მშობლის სტატუსის დადგენის შესახებ სასამართლოს ორდერი ან გადანყვეტილება პოტენციური მშობლის ან

⁸⁴¹ იქვე, §7962 (a).

⁸⁴² იქვე, §7962 (b).

⁸⁴³ იქვე, §7962 (c) (d).

⁸⁴⁴ pre-birth parentage order.

⁸⁴⁵ California Code, Family Code, §7962 (e); ასევე, იხ. Finkelstein A., Dougall M. S., Kintominas A., Olsen A., Surrogacy Law and Policy in the US: A National Conversation Informed by Global Lawmaking, Report of the Columbia Law School Sexuality and Gender Law Clinic, 2016, 9. <http://www.law.columbia.edu/sites/default/files/microsites/gender-sexuality/files/columbia_sexuality_and_gender_law_clinic_-_surrogacy_law_and_policy_report_-_june_2016.pdf> [15.09.2017].

მშობლების იურიდიულ მშობლად განსაზღვრის შესახებ შეიძლება გაიცეს ბავშვის დაბადების შემდგომაც⁸⁴⁶.

რაც შეეხება ტრადიციული სუროგაციის დასაშვებობას, კანონი მას პირდაპირ არ კრძალავს. ამიტომ, მიიჩნევენ, რომ კანონით დასაშვებია მხოლოდ გესტაციური სუროგაცია⁸⁴⁷, თუმცა, პირდაპირი აკრძალვის არარსებობის პირობებში სასამართლოს მიერ მშობლის ორდერის გაცემა როგორც ბავშვის დაბადებამდე, ასევე, მისი დაბადების შემდგომ, სასამართლოს დისკრეციას განეკუთვნება⁸⁴⁸.

ბ. კოლუმბიის ოლქი

2017 წლის 7 აპრილს ამოქმედებული „კოლაბორაციული რეპროდუქციის ცვლილების კანონით“⁸⁴⁹ ვაშინგტონის კოლუმბიის ოლქის კანონმდებლობა დეტალურად აწესრიგებს სუროგაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. კანონი აღიარებს კოლაბორაციულ რეპროდუქციას, რომელიც განისაზღვრება როგორც „დამხმარე რეპროდუქცია, რომელშიც ჩართულია სუროგატი ან დონორი და პოტენციური მშობელი ან მშობლები“⁸⁵⁰ და, რომელიც შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კოლაბორაციულ რეპროდუქციასთან დაკავშირებული სამედიცინო პროცედურების

⁸⁴⁶ California Code, Family Code, §7962 (f) (2).

⁸⁴⁷ იქვე, §7962 (e); ასევე, იხ. Finkelstein A., Dougall M. S., Kintominas A., Olsen A., Surrogacy Law and Policy in the US: A National Conversation Informed by Global Lawmaking, Report of the Columbia Law School Sexuality and Gender Law Clinic, 2016, 9. <http://www.law.columbia.edu/sites/default/files/microsites/gender-sexuality/files/columbia_sexuality_and_gender_law_clinic_-_surrogacy_law_and_policy_report_-_june_2016.pdf> [15.09.2017].

⁸⁴⁸ Gestational Surrogacy Law Across the United States, State-by-state Interactive map for Commercial Surrogacy, მომზადებულია კალიფორნიაში რეპროდუქციულ სამართალში მოღვაწე ადვოკატების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. <<https://www.creativefamilyconnections.com/us-surrogacy-law-map>> [15.09.2017].

⁸⁴⁹ D.C. Law 21-255. Collaborative Reproduction Amendment Act of 2016; ძალაშია 2017 წლის 7 აპრილიდან, აღნიშნული კანონით განხორციელდა ცვლილებები კოლუმბიის ოლქის კოდექსის მე-4 თავში. კანონის ოფიციალური ტექსტი ხელმისაწვდომია: <[https://beta.code.dccouncil.us/dc/council/laws/21-255.html#§2\(d\)](https://beta.code.dccouncil.us/dc/council/laws/21-255.html#§2(d))> [15.09.2017].

⁸⁵⁰ D.C. Law 21-255. Collaborative Reproduction Amendment Act of 2016, §16-401 (5). კანონისეული განსაზღვრების მიხედვით „კოლაბორაციული რეპროდუქცია არ მოიცავს რეპროდუქციას სექსუალური კავშირის გზით ან ფიზიკური პირის ან წყვილის დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების საშუალებით რეპროდუქციას ამ პირის ან წყვილის გამეტებით სუროგატი დედის ჩართვის გარეშე, როდესაც ამ პირის ან წყვილის განზრახვაა, თავად მოახდინოს ბავშვის გესტაცია და აღზრდა, როგორც მშობელმა (მშობლებმა)“. იხ. იქვე.

მწარმოებელ სამედიცინო დაწესებულებაში. კანონის მიხედვით სუროგაციის ხელშეკრულება ნამდვილი და აღსრულებადია, თუ იგი შეესაბამება მის მიერ დადგენილი ხელშეკრულების ფორმის, შინაარსისა და ხელშეკრულების მხარეთა მიმართ განსაზღვრულ მოთხოვნებს. მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში კი პოტენციური მშობელი ან მშობლები განისაზღვრებიან ბავშვის იურიდიულ მშობლებად.

ბ.ა. მოთხოვნები მხარეების მიმართ

კანონის მიხედვით „პოტენციური მშობელი არის დაქორწინებული ან დაუქორწინებელი ფიზიკური პირი, რომელიც წერილობით ხელშეკრულებაში გამოხატავს განზრახვას, გახდეს იურიდიულად ვალდებული, როგორც ბავშვის მშობელი“⁸⁵¹. პოტენციური მშობელი შეიძლება იყოს სუროგაციის ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის 21 წლის ასაკს მიღწეული როგორც მარტოხელა ქალი, ასევე მამაკაცი, წყვილის შემთხვევაში კი - როგორც ქორწინებაში, ასევე ე.წ. „საოჯახო პარტნიორობაში“⁸⁵² მყოფი ჰეტეროსექსუალი ან ერთნაირსქესიანი წყვილი.

სუროგატი დედა შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, რომელმაც სუროგაციის ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის მიაღწია 21 წლის ასაკს, რომელსაც ცოცხლად ჰყავს გაჩენილი მინიმუმ ერთი ბავშვი, გავლილი აქვს სამედიცინო შემოწმება და შესაბამისი პროფესიონალის მიერ განხორციელებული ფსიქოლოგიური შემოწმება, რომლითაც დადასტურებულია, რომ მას შეუძლია სუროგაციული მომსახურების განხორციელება⁸⁵³.

კანონი დამატებით ითხოვს, რომ სუროგატმა და პოტენციურმა მშობელმა ან მშობლებმა სავალდებულო წესით გაიარონ ერთობლივი ფსიქოლოგიური კონსულტაცია შესაბამის პროფესიონალთან ისეთ საკითხებზე, რომელთაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს სუროგაციის

⁸⁵¹ D.C. Law 21-255. Collaborative Reproduction Amendment Act of 2016, §16-401 (16).

⁸⁵² „საოჯახო პარტნიორობა“ (Domestic partnership) განისაზღვრება 1992 წლის ჯანმრთელობის დაცვის ბენეფიტების გავრცელების შესახებ კანონით (Health Care Benefits Expansion Act, 1992, effective June 11, 1992, D.C. Law 9-114; D.C. Official Code §32-701(4)) და ნიშნავს არანაკლებ 18 წლის ასაკის ორი ქმედუნარიანი ფიზიკური პირის კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ ურთიერთობას, რომლებიც არ იმყოფებიან ქორწინებაში და ერთადერთი საოჯახო პარტნიორები არიან ერთმანეთისათვის. აღნიშნულ პარტნიორობაში რეგისტრაციის უფლება აქვთ ერთნაირსქესიან პირებსაც.

⁸⁵³ D.C. Law 21-255. Collaborative Reproduction Amendment Act of 2016, §16-405.

განხორციელების პროცესში⁸⁵⁴. ამასთან, თითოეულ მხარეს ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა ჰქონდეს მიღებული დამოუკიდებელი სამართლებრივი კონსულტაცია სუროგაციასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით⁸⁵⁵.

ბ.ბ. ნამდვილი და აღსრულებადი სუროგაციის ხელშეკრულება

კანონი დეტალურად ითვალისწინებს იმ საკითხების მინიმალურ ჩამონათვალს, რომელთაც უნდა შეიცავდეს სუროგაციის ხელშეკრულება და პირდაპირ განსაზღვრავს იმ მნიშვნელოვან უფლებებსა და ვალდებულებებს, რომლებიც გააჩნიათ ან ეკისრებათ მხარეებს ხელშეკრულების შესრულების პროცესში.

სუროგაციის ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს პოტენციური მშობლის ან მშობლების ბავშვის იურიდიულ მშობლად ან მშობლებად აღიარების საფუძველს, უნდა დაიდოს, ერთი მხრივ, პოტენციურ მშობელს ან პოტენციურ მშობლებსა და, მეორე მხრივ, სუროგატ დედასა და სუროგატი დედის მეუღლეს ან სუროგატი დედის საოჯახო პარტნიორს (თუ სუროგატი დაქორწინებულია ან იმყოფება საოჯახო პარტნიორობაში) შორის. ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აუცილებელია, რომ იგი გაფორმდეს ინსემინაციის⁸⁵⁶ ან ემბრიონის გადატანამდე წერილობითი ფორმით და დადასტურდეს ნოტარიულად ან წერილობითი ხელშეკრულების მხარეთა მიერ ხელმოწერა განხორციელდეს მინიმუმ ორი მონმის თანდასწრებით⁸⁵⁷. ამასთან, ხელშეკრულების თითოეული მხარე უნდა იქნას წარმოდგენილი დამოუკიდებელი ადვოკატის მიერ ხელშეკრულების მომზადების, კონსულტირებისა და მოლაპარაკების პროცესში⁸⁵⁸. სუროგაციის ხელშეკრულების მომზადების პროცესში ადვოკატების მონაწილეობის სავალდებულო მოთხოვნის დანესებით კანონმდებლობა სრულიად მართებულად ახდენს სუროგაციის განხორციელების სამართლებრივი

⁸⁵⁴ იქვე, §16-405 (a) (4); (b(1)) (B).

⁸⁵⁵ იქვე, § 16-406 (a) (3).

⁸⁵⁶ ინსემინაცია გულისხმობს ინტრაცერვიკალურ ინსემინაციას - განაყოფიერების ხელშესაწყობად სპერმის მოთავსებას ვაგინაში, ან საშვილოსნოსშიდა ინსემინაციას - განაყოფიერების ხელშესაწყობად სპერმის მოთავსებას საშვილოსნოში. ტერმინი „ინსემინაცია“ არ გულისხმობს სპერმის მოთავსებას ვაგინაში სექსუალური კავშირის მეშვეობით. იხ. D.C. Law 21-255. Collaborative Reproduction Amendment Act of 2016, § 16-401 (15).

⁸⁵⁷ იქვე, § 16-406 (a) (1) (2); (9).

⁸⁵⁸ იქვე, (b).

შედეგების მნიშვნელობასა და სუროგაციის მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებზე ხაზგასმას, რომელთა სრულად გააზრება, ისევე, როგორც ორივე მხარის ინტერესების ამსახველი ხელშეკრულების ფორმირება მხარეებს შეეძლებათ მხოლოდ შესაბამისი სამართლებრივი ცოდნის მქონე ადვოკატების მეშვეობით.

სხვა საკითხებთან ერთად, ხელშეკრულება სავალდებულო წესით უნდა განსაზღვრავდეს სუროგატი დედის თანხმობას მასზედ, რომ იგი არ არის და არ შეიძლება იქნას აღიარებული როგორც ბავშვის მშობელი⁸⁵⁹, ისევე, როგორც მის მიერ გაცხადებულ დადასტურებას, რომ ბავშვზე სრული მეურვეობა გადაეცემა პოტენციურ მშობლებს ან მშობელს უმაღლვე ბავშვის დაბადებისთანავე და, რომ ითანამშობლებს ნებისმიერ სამართლებრივ პროცესში პოტენციური მშობლის ან მშობლებისათვის ბავშვზე მშობლის იურიდიული სტატუსის აღიარების მიზნით⁸⁶⁰. აღნიშნული ვალდებულების დაწესებით კანონი ახდენს პოტენციური მშობლის ან მშობლების დაცვას სუროგატი დედის (ასევე მისი მეუღლის ან საოჯახო პარტნიორის, ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ ბავშვის გადაცემაზე უარის თქმის ან პოტენციური მშობლების მშობლის სტატუსის აღიარების ხელშეშლის აღსაკვეთად. სუროგატი დედის დაცვის თვალსაზრისით კი კანონი პირდაპირ ადგენს, რომ „ორსულობის პერიოდში ნებისმიერ დროს მშობიარობამდე, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ სასამართლოს მიერ გაცემულია პოტენციური მშობლის ან მშობლების მშობლად აღიარების შესახებ სასამართლო ორდერი, სუროგატი დედა ინარჩუნებს საკუთარ სხეულზე კონტროლისა და გადანყვეტილების მიღების უფლებამოსილებას”⁸⁶¹ და სუროგაციის ხელშეკრულებით არ შეიძლება, იზღუდებოდეს სუროგატი დედის უფლება, მიიღოს გადანყვეტილებები საკუთარი ან ემბრიონის ან ჩანასახის ჯანმრთელობის დასაცავად⁸⁶². აღნიშნული სუროგატის უფლებამოსილებები თავისთავად გამოირიცხავს პოტენციური მშობლის ან მშობლების უფლებას, ჩაერიონ ან მიიღონ გადანყვეტილებები მათ შორის სუროგატი დედის მიერ ორსულობის

⁸⁵⁹ თუ სუროგატი დედა დაქორწინებულია ან იმყოფება საოჯახო პარტნიორობაში, სუროგატის მეუღლემ ან საოჯახო პარტნიორმა, ასევე უნდა დაადასტუროს თანხმობა მასზედ, რომ იგი არ არის და არ შეიძლება იქნას ცნობილი ბავშვის მშობლად.

⁸⁶⁰ D.C. Law 21-255. Collaborative Reproduction Amendment Act of 2016, § 16-406, (a) (4).

⁸⁶¹ იქვე, § 16-406 (a) (4) (C).

⁸⁶² D.C. Law 21-255. Collaborative Reproduction Amendment Act of 2016, § 16-406 (c).

შენწყვეტის, რედუქციის ჩატარების ან რაიმე სხვა სამედიცინო პროცედურის განხორციელებაზე.

სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის დაცვის უზრუნველყოფა დებულებად უნდა ჩაითვალოს კანონის მოთხოვნა სუროგაციის ხელშეკრულებაში პოტენციური მშობლის ან მშობლების ვალდებულების (გაცხადებული დადასტურების) განსაზღვრის თაობაზე, ბავშვის დაბადებისთანავე იკისრონ/იკისროს ბავშვზე როგორც სრული ფიზიკური მეურვეობა მისი სქესის, მენტალური ან ფიზიკური მდგომარეობის ან/და დაბადებული ბავშვების რაოდენობის მიუხედავად⁸⁶³, ასევე სრული მატერიალური პასუხისმგებლობა ბავშვზე, რაც, მათ შორის, მოიცავს მკვდრადშობადობის, ნაადრევი მშობიარობის ან ბავშვის სიკვდილის გამომწვევი სხვა შემთხვევისას დასაფლავების ხარჯების სრულად დაფარვას.⁸⁶⁴

ბ.გ. სუროგაციის დასაშვები სახეობა და ფორმა

კანონის მიხედვით, სუროგაციის ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს პოტენციური მშობლის ან მშობლების ვალდებულებას „ყველა შეთანხმებული გონივრული სამედიცინო ხარჯებისა და დამატებითი ხარჯების“ გადახდაზე⁸⁶⁵. კანონის განსაზღვრებით, სამედიცინო ხარჯებს შეადგენს ხარჯები, რომლებიც არ ითვარება დაზღვევით და დაკავშირებულია სუროგაციის სამედიცინო მომსახურებასთან, მათ შორისაა, ორსულობასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯები და ორსულობის გართულების ან ორსულობიდან გამომდინარე სხვა სამედიცინო ხარჯები⁸⁶⁶. დამატებითი ხარჯების კანონისეული განსაზღვრება კი ფართოა და მოიცავს „იმ ხარჯებს, რომლებიც წარმოეშვება სუროგატ დედას ორსულობის შედეგად, მათ შორის სამართლებრივი და საადვოკატო ხარჯები, მიუღებელი ხელფასი, კომპენსაცია რისკის, უხერხული მდგომარეობის, ჩვეულებრივი საქმიანობებისგან თავშეკავების ან ამ საქმიანობის განხორციელების შეზღუდვისათვის, სადაზღვევო პრემიები, გამოჯანმრთელებასთან დაკავშირებული ხარჯები, ბავშვზე ზრუნვის, საოჯახო მეურნეობის, მშობიარობის გაკვეთილების, კვების, საორსულო ტანსაცმელსა და

⁸⁶³ იქვე, § 16-406 (a) (5) (A).

⁸⁶⁴ იქვე, § 16-406 (a) (5) (B).

⁸⁶⁵ იქვე, § 16-406 (a) (6).

⁸⁶⁶ იქვე, § 16-401 (18).

ორსულობის პერიოდში სუროგაციასთან პირდაპირ დაკავშირებული მგზავრობის ხარჯები⁸⁶⁷. ამასთან, სამედიცინო და დამატებითი ხარჯების გადახდა შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით, ასევე დაზღვევის, ესქრო - პირობითი დეპონირების ანგარიშის ან მხარეთა მიერ შეთანხმებული სხვა ფორმით⁸⁶⁸.

ამდენად, სუროგატი დედისათვის დასაშვებია „გონივრული დამატებითი ხარჯების“ სახით კომპენსაციის გადახდა, რომელიც სცილდება ალტრუისტული სუროგაციისთვის დამახასიათებელი „გონივრული ხარჯების“ ანაზღაურების კრიტერიუმს და შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც სუროგაციის კომერციული ფორმა. მიუხედავად იმისა, რომ კანონი მითითებას ახდენს „გონივრულ დამატებით ხარჯებზე“ და, ამავდროულად არ განსაზღვრავს, თუ რას ნიშნავს დამატებითი ხარჯების „გონივრულობა“, ამ ხარჯების კანონისეული დეფინიცია თავისთავად მოიცავს სუროგატი დედისთვის კომპენსაციის გადახდის შესაძლებლობას „რისკის, უხერხული მდგომარეობის, ჩვეულებრივი საქმიანობებისგან თავშეკავების ან ამ საქმიანობის განხორციელების შემზღვევისათვის“⁸⁶⁹. ნებისმიერ შემთხვევაში, დამატებითი ხარჯების გონივრულობის ფარგლები, სავარაუდოდ, შესაბამისი სასამართლო პრაქტიკით დადგინდება⁸⁷⁰.

კანონი საერთოდ არ აპელირებს სუროგაციაში შუამავალ პირებსა და ორგანიზაციებზე, არ ახდენს მათი საქმიანობის რეგულირებას და არ აწესებს შემზღვევებს სუროგაციის რეკლამირების ან სუროგაციის ხელმშეწყობი საშუამავლო მომსახურების განხორციელებაზე.

კანონის მიხედვით დასაშვებია როგორც გესტაციური, ასევე ტრადიციული სუროგაცია⁸⁷¹. ამასთან, პროცესში შესაძლებელია როგორც გამეტების, ასევე

⁸⁶⁷ იქვე, § 16-401 (1).

⁸⁶⁸ იქვე, § 16-406 (d).

⁸⁶⁹ იხ. დამატებითი ხარჯების დეფინიცია. D.C. Law 21-255. Collaborative Reproduction Amendment Act of 2016, § 16-401 (1).

⁸⁷⁰ ვინაიდან კანონი ამოქმედდა სულ ახლახან, 2017 წლის 9 აპრილს, კანონისეული ინტერპრეტაციები სასამართლოების მიერ წინამდებარე კვლევის განხორციელების ეტაპზე არ არის ხელმისაწვდომი.

⁸⁷¹ „ტრადიციული სუროგატი“ არის პირი, რომელიც არ არის პოტენციური მშობელი და რომლის განზრახვა არ არის, იყოს ბავშვის მშობელი, და რომელიც თანხმდება, მოახდინოს საკუთარი კვერცხუჯრედის დონაცია და კოლაბორაციული რეპროდუქციის მეშვეობით დაორსულდეს, განახორციელოს პოტენციური მშობლის ბავშვის გესტაცია და მშობიარობა პოტენციური მშობლის სახელით. იხ. D.C. Law 21-255. Collaborative Reproduction Amendment Act of 2016, §16-401 (23). ამასთან, ტრადიციული სუროგატი, ასევე მიიჩნევა დონორად, ვინაიდან იგი ახდენს საკუთარი კვერცხუჯრედის დონაციას. იხ. იქვე, §16-401 (8).

ემბრიონის დონაცია და არ წესდება მოთხოვნა, რომლის შესაბამისადაც სუროგაციის შედეგად დაბადებულ ბავშვს გენეტიკური კავშირი უნდა ჰქონდეს ერთ-ერთ მშობელთან მაინც⁸⁷².

ბ.დ. მშობლის იურიდიული სტატუსის დადგენა

კანონით დადგენილი სავალდებულო პირობების შესრულებით განხორციელებული სუროგაციისას, კანონის შესაბამისად, სასამართლო გასცემს „დაბადებისწინა ორდერს მშობლის სტატუსის დადგენაზე“ – pre-birth parentage order, რომლითაც ხორციელდება პოტენციური მშობლის ან პოტენციური მშობლების იურიდიული მშობლის სტატუსის განსაზღვრა ბავშვის დაბადებამდე, და, რომელიც ძალაში შედის მხოლოდ ბავშვის დაბადების შემთხვევაში⁸⁷³. ეს ორდერი საკმარისი საფუძველია რეესტრში და, შესაბამისად, ბავშვის დაბადების მონაწილეში პოტენციური მშობლის ან მშობლების ბავშვის იურიდიულ მშობლებად რეგისტრაციისათვის და ამ სტატუსის მოსაპოვებლად პოტენციურ მშობელს ან მშობლებს აღარ ესაჭიროებათ დამატებითი სასამართლო პროცესის ინიცირება.

ორდერის მისაღებად სასამართლოსათვის მიმართვის უფლება აქვს სუროგატ დედას ან პოტენციურ მშობელს ან მშობლებს სუროგატი დედის ორსულობის დადასტურებიდან ნებისმიერ დროს⁸⁷⁴. ორდერის გასაცემად სასამართლოს განსჯადობის მიზნებისათვის აუცილებელია სუროგაციის ხელშეკრულების მხარეების - პოტენციური მშობლის, პოტენციური მშობლების ან სუროგატი დედის საცხოვრებელი ადგილის ანდა ბავშვის დაბადების კავშირის არსებობა კოლუმბიის ოლქთან. კერძოდ, სასამართლოს წინაშე უნდა დადასტურდეს, რომ (1) პოტენციური მშობლები ან პოტენციური მშობელი ან სუროგატი დედა კოლუმბიის ოლქის რეზიდენტია; ან (2) პოტენციური მშობლების ან პოტენციური მშობლის ან სუროგატი დედის საცხოვრებელი ადგილია კოლუმბიის ოლქი

⁸⁷² პოტენციური მშობელი ან მშობლები მიიჩნევიან ბავშვის იურიდიულ მშობლად (მშობლებად) მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა პოტენციურ მშობელს ან მშობლებს გენეტიკური კავშირი სუროგაციის შედეგად დაბადებულ ბავშვთან. იხ. იქვე, §16-407 (a) (1); (b) (1).

⁸⁷³ იქვე, §16-408.

⁸⁷⁴ იქვე, §16-408 (a).

შუამდგომლობის აღძვრამდე არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში; ან (3) ბავშვი დაბადებულია კოლუმბიის ოლქში⁸⁷⁵.

განსხვავებულია სასამართლოს მიერ მშობლის ორდერის გაცემის ვადები გესტაციური სუროგაციისა და ტრადიციული სუროგაციის შემთხვევაში. გესტაციური სუროგაციის დროს ეს ორდერი გაცემა შუამდგომლობის აღძვრიდან ნებისმიერ დროს, მაგრამ არაუგვიანეს ბავშვის დაბადებიდან 45 დღისა⁸⁷⁶, ტრადიციული სუროგაციისას კი - ორდერის გაცემა დაიშვება მხოლოდ ბავშვის დაბადების შემდგომ, დაბადებიდან არანაკლებ 48 საათისა და არაუგვიანეს 45 დღის ვადაში⁸⁷⁷. კანონი არ აკონკრეტებს აღნიშნული განსხვავების მიზეზებსა თუ საფუძვლებს, თუმცა, ფაქტია, რომ ტრადიციული სუროგაციის შემთხვევაში სასამართლოს ეკრძალება ორდერის გაცემა ბავშვის დაბადებიდან 48 საათის განმავლობაში. აღნიშნული მოთხოვნის დანესება შესაძლოა, განაპირობა ტრადიციული სუროგაციის თავისებურებამ, როდესაც სუროგატსა და ბავშვს შორის არამართო გესტაციური, არამედ გენეტიკური კავშირისაა - ტრადიციული სუროგატი არამართო „გესტაციური მატარებელი“ და ბავშვის გამჩენი ქალია, არამედ გენეტიკური კავშირიც აქვს ბავშვთან. თუმცა, მეორე მხრივ, კანონი პირდაპირ აცხადებს, რომ ტრადიციული სუროგატი არ არის და არ შეიძლება იქნას ცნობილი როგორც ბავშვის მშობელი და, რომ „არ ექნება არავითარი უფლება, უფლებამოსილება, პრივილეგია, იმუნიტეტი, მოვალეობა ან ვალდებულება ბავშვთან მიმართებით“⁸⁷⁸. კანონი ცალსახად ადგენს, რომ ტრადიციული სუროგაციის, ისევე, როგორც გესტაციური სუროგაციის, შედეგად დაბადებული ბავშვის მშობლად მიიჩნევა პოტენციური მშობელი (ან წყვილის შემთხვევაში - პოტენციური მშობლები)⁸⁷⁹, ხოლო დაბადებულ ბავშვს წარმოეშვება მშობელსა და ბავშვს შორის კანონით დადგენილი ყველა უფლება, უფლებამოსილება, პრივილეგია, იმუნიტეტი, მოვალეობა და ვალდებულება პოტენციური მშობლის ან მშობლების მიმართ, მემკვიდრედ ყოფნის უფლების ჩათვლით⁸⁸⁰. შესაბამისად, არ განსაზღვრავს რა რაიმე „მოფიქრების პერიოდის“⁸⁸¹ მსგავსი მექანიზმის არსებობას, რომელსაც პირდაპირ

⁸⁷⁵ იქვე, §16-408 (b).

⁸⁷⁶ იქვე, §16-408 (e)(1) (A), (B).

⁸⁷⁷ იქვე, §16-408 (e)(2).

⁸⁷⁸ იქვე, §16-407 (b)(3).

⁸⁷⁹ იქვე, §16-407 (b)(1).

⁸⁸⁰ იქვე, §16-407 (b)(2).

⁸⁸¹ “Cooling Off Period”.

ითვალისწინებს მაგ., გაერთიანებული სამეფოსა და ავსტრალიის კანონმდებლობები და, რაც სუროგატ დედას აძლევს შესაძლებლობას და უფლებას „გადაიფიქროს“ სუროგაციის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, „სამართლებრივად და ფიზიკურად გადასცეს ბავშვი“ პოტენციურ მშობლებს, კანონის არსებული რეგულაციები პოტენციურ მშობლებს ცალსახა უპირატეს მდგომარეობაში აყენებენ ბავშვის იურიდიულ მშობლებად განსაზღვრის თვალსაზრისით.

გ. ტეხასი და იუტა

კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს სუროგაციასთან დაკავშირებულ საკითხებს ტეხასისა⁸⁸² და იუტას⁸⁸³ შტატებში, ძირეულად მსგავსია, ვინაიდან ორივე მათგანი მოდელირებულია UPA კანონის⁸⁸⁴ დებულებების საფუძველზე. შესაბამისად, მიზანშეწონილია ამ ორი შტატის კანონმდებლობის განხილვა შედარებითი ანალიზის საფუძველზე.

გ.ა. ძირითადი მოთხოვნები გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულების ფორმისა და შინაარსის მიმართ

სუროგაციის მარეგულირებელი ტეხასისა და იუტას კანონმდებლობები (შემდგომში ცალ-ცალკე მოხსენიებული როგორც „ტეხასის კანონი“ და „იუტას კანონი“) აღიარებენ კანონის მოთხოვნათა დაცვით შედგენილ გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეხება სექსუალური კავშირის გზით ჩასახული ბავშვის დაბადებას⁸⁸⁵ და გაფორმებულია, ერთი

⁸⁸² Texas Family Code §§160.751-763. კანონის ოფიციალური ტექსტი ხელმისაწვდომია <<http://www.statutes.legis.state.tx.us/Docs/FA/htm/FA.160.htm#160.751>> [15.09. 2017].

⁸⁸³ Uta Code Ann. § 78B-15-801-809. კანონის ოფიციალური ტექსტი ხელმისაწვდომია <<https://le.utah.gov/xcode/Title78B/Chapter15/78B-15-P8.html>> [15.09.2017]. აღსანიშნავია, რომ იუტას სუროგაციის მარეგულირებელი, ამჟამად მოქმედი ნორმები ძალაში შევიდა 2005 წელს. 2005 წლამდე მოქმედი რეგულაციები კრძალავდა სუროგაციის ხელშეკრულებებს. იხ. Uta Code Ann. § 76-7-204 (2003) (გაუქმებულია 2005 წელს), სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის იურიდიულ მშობლებად მიიჩნეოდნენ სუროგატი დედა და მისი მეუღლე. იხ. Uta Code Ann. § 76-7-204(3)(a) (2003) (გაუქმებულია 2005 წელს), ხოლო ბავშვზე მეურვეობის საკითხების გადაწყვეტას სასამართლო ახდენდა ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. იხ. Uta Code Ann. § 76-7-204(3)(b) (2003) (გაუქმებულია 2005 წელს).

⁸⁸⁴ Uniform Parentage Act (UPA) (1975) (amended 2002). მშობელთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ საერთო კანონი. კანონთან დაკავშირებით დეტალურად იხ. წინამდებარე თავის ქვეთავი 1.

⁸⁸⁵ Texas Family Code §160.754.(f) Uta Code Ann. § 78B-15-801(5).

მხრივ, გესტაციურ დედასა⁸⁸⁶ და მის მეუღლეს, თუ გესტაციური დედა დაქორწინებულია, მეორე მხრივ, დონორს ან დონორებს, თუ სუროგაციის პროცესში გამოყენებულია დონორი ან დონორები, და, მესამე მხრივ, პოტენციურ მშობლებს შორის⁸⁸⁷. ამასთან, სხვა პირობების დაკმაყოფილებასთან ერთად, ნამდვილად მიიჩნევა ისეთი გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულება, რომლითაც გესტაციური დედა თანხმდება ორსულობას დამხმარე რეპროდუქციის საშუალებით⁸⁸⁸, პოტენციური მშობლების გარდა თითოეული მხარე⁸⁸⁹ უარს ამბობს დამხმარე რეპროდუქციის შედეგად ჩასახული ბავშვის მიმართ მშობლის ყველა უფლებასა და მოვალეობაზე⁸⁹⁰ და, რომელიც ბავშვის მშობლებად განსაზღვრავს პოტენციურ მშობლებს⁸⁹¹.

ორივე შტატის კანონმდებლობა ითხოვს გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულების დადებას მხოლოდ წერილობითი ფორმით⁸⁹², ტეხასის კანონი კი ხელშეკრულების გაფორმების ვადასთან დაკავშირებულ დამატებით მოთხოვნას აწესებს, რომლის მიხედვითაც ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს „იმპლანტაციის ან განაყოფიერების მიზნებისათვის კვერცხუჯრედის, სპერმის ან ემბრიონის“ გესტაციური დედის ორგანიზმში გადატანამდე 14 დღით ადრე⁸⁹³.

⁸⁸⁶ აღსანიშნავია, რომ ტეხასის კანონი ნაცვლად ტერმინისა „სუროგატი დედა“ ან „სუროგატი“ იყენებს ტერმინს „ქალი“ ან „მომავალი გესტაციური დედა“ ან „გესტაციური დედა“, იუტას კანონი კი სუროგატ დედას მოიხსენიებს როგორც „გესტაციური დედა“.

⁸⁸⁷ §160.754.(a); Utah Code Ann. § 78B-15-801 (1)(a).

⁸⁸⁸ §160.754.(a)(1); Utah Code Ann. § 78B-15-801 (1).

⁸⁸⁹ გესტაციური დედა, გესტაციური დედის მეუღლე, თუ იგი დაქორწინებულია და დონორი ან დონორები, ასეთის (ასეთების) არსებობის შემთხვევაში.

⁸⁹⁰ §160.754.(a)(2); Uta Code Ann. § 78B-15-801 (1)(b).

⁸⁹¹ Texas Family Code, § 160.752. §160.754.(a)(3); Uta Code Ann. § 78B-15-801(c).

⁸⁹² Texas Family Code §160.754(a). Uta Code Ann. § 78B-15-801(1). შეად. მაგ., ილინოისის, კალიფორნიისა და კოლუმბიის ოლქის კანონების მოთხოვნები სუროგაციის ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებით: ხელშეკრულება უნდა დამონმდეს ნოტარიულად. იხ. D.C. Law 21-255. Collaborative Reproduction Amendment Act of 2016, § 16-406 (a) (1) (2); (9)); ხელშეკრულებაზე მხარეთა ხელმოწერა უნდა დამონმდეს ნოტარიულად (California Code, Family Code, § 7962(c)) ან დადასტურების სხვა ექვივალენტური მეთოდით (California Code, Family Code, § 7962(c)); მხარეთა ხელმოწერა უნდა დადასტურდეს მონწევების მიერ (D.C. Law 21-255. Collaborative Reproduction Amendment Act of 2016, § 16-406 (a) (1) (2); (9)); საკმარისია ხელშეკრულების მარტივი წერილობითი ფორმა და მისი დადასტურება მონწევების მიერ (Gestational Surrogacy Act, 750 ILCS-47/25(b)(1)(5)).

⁸⁹³ Texas Family Code, §160.754 (e).

გ.ბ. მოთხოვნები მხარეების მიმართ

ორივე შტატის კანონი ადგენს განსაზღვრულ მოთხოვნას სუროგაციის მხარეთა საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით, კერძოდ, სუროგაციის ხელშეკრულების აღსასრულებლად აუცილებელია, გესტაციური დედის ან პოტენციური მშობლების საცხოვრებელი ადგილის არსებობა შესაბამის შტატში სასამართლოში მშობლის ორდერის შესახებ პროცესის აღძვრამდე არანაკლებ 90 დღის განმავლობაში⁸⁹⁴. ტეხასის კანონისგან განსხვავებით, რომლითაც არ წესდება მოთხოვნა გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულების მხარეთა ასაკთან დაკავშირებით, იუტას კანონის მიხედვით ამ ხელშეკრულების ყველა მხარე უნდა იყოს 21 წლის ასაკს მიღწეული პირი⁸⁹⁵.

არცერთ შტატში პოტენციურ მშობლად ან მშობლებად არ შეიძლება იქნას მიჩნეული მარტოხელა პირი ან დაუქორწინებელი წყვილი, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ პირის ან პირების მიერ სუროგაციის ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, ხელშეკრულება არ ჩაითვლება ნამდვილად და მათზე არ გავრცელდება კანონის ნორმები, რომლითაც პოტენციურ მშობლებს ეძლევათ უფლება, აღიარებული იქნან ბავშვის იურიდიულ მშობლებად. ორივე შტატის კანონი ერთგვაროვანი შინაარსის ფორმულირებას გვთავაზობს ქორწინების არსებობის შესახებ მოთხოვნასთან დაკავშირებით, ადგენს რა, რომ პოტენციური მშობლები უნდა იყვნენ დაქორწინებულნი⁸⁹⁶ და თითოეული პოტენციური მშობელი უნდა

⁸⁹⁴ Texas Family Code, §160.755 (b)(1). Uta Code Ann., § 78B-15-802(2).

⁸⁹⁵ Utah Code Ann., § 78B-15-801(6).

⁸⁹⁶ აღსანიშნავია, რომ საქმეებზე აშშ ვინდსორის წინააღმდეგ (*U.S. v. Windsor*, 133 S. Ct. 2675 (2013)) და ობერგეფელის პოტენციური წინააღმდეგ (*Obergefell v. Hodges*, 135 S. Ct. 2584 (2015)) აშშ-ის უზენაესი სასამართლოს 2013 წლისა და 2015 წლის გადაწყვეტილებებით დადგენილი იქნა ერთნაირსქესიან წყვილთა ქორწინების კანონიერება. „ობერგეფელის“ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებამდე ტეხასსა და იუტაში ამ პირთა ქორწინება არ დაიშვებოდა და „სუროგაციის განხორციელების მსურველი პოტენციური მშობლების ქორწინებაში ყოფნის მოთხოვნა წარმოადგენდა დაბრკოლებას იმ ერთნაირსქესიანი წყვილებისათვის, რომელთაც სურდათ სუროგაციის კანონიერად განხორციელება“. იხ. Finkelstein A., Dougall M. S., Kintominas A., Olsen A., Surrogacy Law and Policy in the US: A National Conversation Informed by Global Lawmaking, Report of the Columbia Law School Sexuality & Gender Law Clinic, 2016, 40. <http://www.law.columbia.edu/sites/default/files/microsites/gender-sexuality/files/columbia_sexuality_and_gender_law_clinic_-_surrogacy_law_and_policy_report_-_june_2016.pdf> [15.09.2017].

ამასთან ერთად, ტეხასსა და იუტაში, ასევე არ ხდებოდა სხვა შტატში კანონიერად რეგისტრირებული ერთნაირსქესიანთა ქორწინების აღიარება. იხ. Knapplund S. K., Children of Assisted Reproduction, University of Michigan Journal of Law Reform, 45, 4, 2012, 930. იუტაში ერთნაირსქესიანთა ქორწინება ხორციელდება და მისი აღიარება ხდება მას შემდგომ, რაც

იყოს გესტაციური ხელშეკრულების მხარე⁸⁹⁷. ამასთან, სუროგაციის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტით დასტურდება პოტენციური დედის უნარობა, შეინარჩუნოს ორსულობა და გააჩინოს ბავშვი, თუ არსებობს მისი ან ბავშვის ფიზიკური ან მენტალური ჯანმრთელობის დაზიანების გონივრული რისკი⁸⁹⁸. კანონები პოტენციური მშობლების შესაბამისობის დასადგენად იყენებენ შვილად აყვანის შემთხვევაში მშვილვებლების შესაბამისობისათვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რომელთა არსებობის დადასტურება შეიძლება მოთხოვნილი იქნას სასამართლოს მიერ. კანონები პირდაპირ მიუთითებენ „სააგენტოს ან სხვა პირის მიერ პოტენციური მშობლების საცხოვრებელი ადგილის შესწავლასა და მშვილვებლებისათვის განსაზღვრულ შესაბამისობის სტანდარტებთან პოტენციური მშობლების შესაბამისობის მათ მიერ განსაზღვრაზე“⁸⁹⁹.

აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ 2014 წლის 6 ოქტომბერს უარი თქვა, წარმოებაში მიეღო საჩივარი აშშ-ის მეათე ოლქის სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებაზე და, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებით დადგინდა იუტას ერთნაირსქესიანთა ქორწინების შესახებ კანონმდებლობის აკრძალვის არაკონსტიტუციურობა. იხ. *კიტჩენი ჰერბერტის წინააღმდეგ* (*Kitchen v. Herbert*) 961 F. Supp.2d 1181 1181 (D. Utah 2013), დადასტურდა, 755 F.3d 1193 (10th Cir. 2014)). საჩივარი არ იქნა წარმოებაში მიღებული, No. 14-124, 2014 WL 3841263 (Oct. 6, 2014). ამჟამად, როდესაც უზენაესი სასამართლოს დასახელებული გადანყვეტილებების შედეგად ერთნაირსქესიანთა ქორწინება ლეგალურად უნდა იქნას მიჩნეული, საკითხი იმის თაობაზე, კანონიერია თუ არა ერთნაირსქესიანი ქორწინებაში მყოფი პირების, როგორც პოტენციური მშობლების, მიერ სუროგაციის განხორციელება, პრაქტიკაში არ არის ცალსახად ერთმნიშვნელოვანი. იხ. Finkelstein A., Dougall M. S., Kintominas A., Olsen A., *Surrogacy Law and Policy in the US: A National Conversation Informed by Global Lawmaking*, Report of the Columbia Law School Sexuality & Gender Law Clinic, 2016, 40. <http://www.law.columbia.edu/sites/default/files/microsites/gender-sexuality/files/columbia_sexuality_and_gender_law_clinic_-_surrogacy_law_and_policy_report_-_june_2016.pdf> [15.09.2017].

მაგ., ფილდის აზრით, „ვინდსორის“ (*U.S. v. Windsor*) საქმეს ნაკლები შეხება აქვს სუროგაციასთან, რომლის რეგულირება გავრცელდება შტატების და არა ფედერალური კანონით. „შტატები ახორციელებენ და განახორციელებენ სუროგაციის შესახებ პოლიტიკის ფართო სპექტრს მისი აკრძალვითა და არაკანონიერად გამოცხადებით, ისევე, როგორც სუროგაციის ხელშეკრულებების, როგორც ჩვეულებრივი კომერციული გარიგებების, აღსრულების ხელშეწყობით. ერთნაირსქესიანთა ქორწინების ლეგალიზაცია არ უნდა ახდენდეს ზეგავლენას შტატების სუროგაციის კანონებზე“. იხ. Field A. M., *Compensated Surrogacy*, *Washington Law Review*, Vol. 89, Issue 4, 2014, 1155.

⁸⁹⁷ Texas Family Code, §160.754 (b). ასევე, იხ. Utah Code Ann., § 78B-15-801(3).

⁸⁹⁸ Texas Family Code, §160.756 (b). Utah Code Ann., § 78B-15-803(2)(b).

⁸⁹⁹ Texas Family Code, §160.756 (b)(3). Utah Code Ann., § 78B-15-803(2)(c).

გესტაციური დედა შეიძლება იყოს მხოლოდ ის ქალი, რომელსაც მინიმუმ ერთი ორსულობისა და მშობიარობის ისტორია აქვს და, ამასთან, დასტურდება, რომ ორსულობა და მშობიარობა არ წარმოშობს მისი ან ბავშვის მენტალური ან ფიზიკური ჯანმრთელობის დაზიანების რისკს⁹⁰⁰. გესტაციური დედის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით ორივე კანონი პირდაპირ აღგენს, რომ „სუროგაციის ხელშეკრულებით არ შეიძლება იზღუდებოდეს გესტაციური დედის უფლება, მიიღოს გადაწყვეტილებები საკუთარი ან ემბრიონის ჯანმრთელობის დასაცავად“⁹⁰¹. ეს უფლება თავისთავად გამორიცხავს პოტენციური მშობლების ჩარევას ან გადაწყვეტილებების მიღებას, მათ შორის, გესტაციური დედის მიერ ორსულობის შეწყვეტის, რედექციის ჩატარების ან რაიმე სხვა სამედიცინო პროცედურის განხორციელებაზე. იუტას კანონით კი დამატებით მოითხოვება, რომ „გესტაციური დედა არ უნდა იღებდეს სამედიცინო დახმარებას ან სხვა სახის სახელმწიფო მხარდაჭერას“⁹⁰².

გ.გ. სუროგაციის დასაშვები სახეობა და ფორმა

ტეხასისა და იუტას შტატების კანონმდებლობებით დაიშვება სუროგაციაში გამეტების დონორის გამოყენება მხოლოდ იმ პირობით, რომ კვერცხუჯრედის დონორი არ არის გესტაციური დედა⁹⁰³, ანუ ადგილი არ აქვს ტრადიციულ სუროგაციას. ამასთან, იუტას კანონი დამატებით აღგენს, რომ „თუ გესტაციური დედა დაქორწინებულია, დამხმარე რეპროდუქციის განხორციელებისას დაუშვებელია მისი მეუღლის სპერმის გამოყენება“⁹⁰⁴. იუტაში აკრძალულია, ასევე, დამხმარე რეპროდუქციის განხორციელება მხოლოდ დონორების გამეტების გამოყენებით. კერძოდ, კანონის მიხედვით „გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულება არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც პოტენციურ მშობელთაგან არცერთია დონორი“⁹⁰⁵. აღნიშნული ფორმულირების მიხედვით, თუ ტერმინს „დონორი“ განვმარტავთ, როგორც გამეტის დონორის განმარტივებულ პირს, ნამდვილად მიიჩნევა და, აღსრულებადია, მხოლოდ ისეთი გესტაციური სუროგაცია, თუ დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიის

⁹⁰⁰ Texas Family Code, §160.756 (b)(5). Utah Code Ann. § 78B-15-803(2)(f).

⁹⁰¹ Texas Family Code, §160.754 (g). Utah Code Ann., § 78B-15-808(2).

⁹⁰² Utah Code Ann., § 78B-15-801(2).

⁹⁰³ Texas Family Code §160.754 (c). Utah Code Ann., § 78B-15-801(7).

⁹⁰⁴ Utah Code Ann., § 78B-15-801(8).

⁹⁰⁵ Utah Code Ann., § 78B-15-801(5).

განხორციელებისას გამოყენებულია პოტენციური მშობლის ან მშობლების გამეტები, არ ხდება გესტაციური დედის მეუღლის სპერმის გამოყენება, და, შესაბამისად, სუროგაციის შედეგად დაბადებულ ბავშვს ექნება გენეტიკური კავშირი ერთ პოტენციურ მშობელთან მაინც. მსგავს შემთხვევას არ იცნობს ტეხასის კანონი.

მიუხედავად იმისა, რომ ტეხასსა და იუტაშიც სუროგაციის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია კონფიდენციალურად მიიჩნევა და უთანაბრდება შვილად აყვანის საქმეებზე არსებული კონფიდენციალურობის დაცვის სტანდარტს⁹⁰⁶, კანონის მნიშვნელოვან ხარვეზად უნდა იქნას მიჩნეული სუროგაციის ხელშეკრულების მხარედ დონორის ყოფნის სავალდებულობა, თუ დამხმარე რეპროდუქციისას წარმოებს დონორის გამეტის გამოყენება. აღნიშნული მოთხოვნის დანერგვით კანონი ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის ანონიმური დონორის გამოყენებას, რაც არ არის გამართლებული.

სუროგაციის ხელშეკრულების შინაარსთან დაკავშირებული იუტას კანონის დამატებითი მოთხოვნაა ხელშეკრულებაში გესტაციური დედისა და პოტენციური მშობლების შეთანხმების ასახვა გესტაციური დედისა და პოტენციური მშობლების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის ურთიერთგაცვლის ვალდებულების შესახებ ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში⁹⁰⁷. ამასთან, ხელშეკრულების ყველა მხარისათვის სავალდებულოა ფსიქიკური ჯანმრთელობის ლიცენზირებულ სპეციალისტთან კონსულტაცია და ამ უკანასკნელის მიერ დადასტურება, რომ ყველა მხარის მიერ განხორციელდა სუროგაციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა⁹⁰⁸. ტეხასის კანონი კი ითვალისწინებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ მხარეთა დადასტურებას მასზედ, რომ დამხმარე რეპროდუქციის განმახორციელებელი ექიმისგან მათ მიღებული აქვთ სამედიცინო პროცედურებთან დაკავშირებული ინფორმაცია, მათ შორის სამედიცინო პროცედურების წარმატების განაკვეთის, მათი ხასიათისა და ხარჯების, ჯანმრთელობის, მათ შორის, რამდენიმე ემბრიონების გადატანის პოტენციური რისკებისა და შესაძლებელი ფსიქოლოგიური ზეგავლენის შესახებ⁹⁰⁹.

⁹⁰⁶ Texas Family Code, §160.757; Uta Code Ann., § 78B-15-804.

⁹⁰⁷ Texas Family Code, §160.754 (a)(4).

⁹⁰⁸ Utah Code Ann., § 78B-15-803(2)(d).

⁹⁰⁹ Texas Family Code, §160.754 (d).

რაც შეეხება გესტაციური დედისათვის კომპენსაციის ანდა გონივრული ხარჯების გადახდის საკითხს, ტეხასის კანონი მას საერთოდ არ ეხება და არ განისაზღვრება, თუ რა სახის გადასახდელების, კომპენსაციისა თუ გონივრული ხარჯების გადახდაა დაშვებული გესტაციური დედისათვის. იუტას კანონი კი მითითებას ახდენს არა გონივრული ხარჯების ანაზღაურებაზე, არამედ გესტაციური დედისათვის გონივრულ კომპენსაციაზე⁹¹⁰, თუმცა, არ განსაზღვრავს, კონკრეტულად რა ჩათვლება „გონივრულ კომპენსაციად“. ნებისმიერ შემთხვევაში, კომპენსაციაზე მითითება არ ნიშნავს ალტრუისტული სუროგაციისათვის დამახასიათებელი მხოლოდ ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას, არამედ კომპენსაციას იმ მომსახურებისათვის, რომელსაც გესტაციური დედა ახორციელებს სუროგაციის ხელშეკრულების საფუძველზე. მეორე, მხრივ, ტეხასის კანონმდებლობით ღიად დატოვებული ეს საკითხი, რომლითაც ძირითადად განისაზღვრება სუროგაციის ალტრუისტული თუ კომერციული ხასიათი, გარკვეულ ბუნდოვანებას იწვევს, თუმცა, ვინაიდან, პირდაპირი აკრძალვა კომპენსაციის გადახდაზე არ წესდება, ტეხასის შემთხვევაშიც დაშვებულად უნდა იქნას მიჩნეული გონივრული კომპენსაციის გადახდა. სწორედ ამიტომ განხილულ ორივე შტატს აშშ-ის იმ შტატებს მიაკუთვნებენ, სადაც კომერციული სუროგაცია დასაშვებად მიიჩნევა⁹¹¹.

გ.დ. სუროგაციის ხელშეკრულების ნამდვილობის აღიარება

ტეხასსა და იუტაში სუროგაციის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის საკმარისი არ არის მხარეებს შორის კანონით დადგენილი შინაარსის შემცველი ხელშეკრულების წერილობითი გაფორმება. ხელშეკრულების ნამდვილობის აღიარება ხორციელდება შტატის შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოს მიერ შესაბამისი ორდერის გაცემით ბავშვის დაბადებამდე, თუ დაკმაყოფილებულია კანონით დაწესებული მოთხოვნები. ასეთ შემთხვევაში ორდერით დგინდება სუროგაციის ხელშეკრულების ნამდვილობა და განისაზღვრება, რომ „ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში დაბადებული ბავშვის მშობლები იქნებიან პოტენციური

⁹¹⁰ Utah Code Ann., § 78B-15-803(h); § 78B-15-808(2).

⁹¹¹ იხ. Mortazavi S., It Takes a Village to Make a Child: Creating Guidelines for International Surrogacy, Georgetown Law Journal, Vol. 100, Issue 6, 2012, 2261.

მშობლები⁹¹². თუმცა, სასამართლოს აღნიშნული ორდერი არ არის საკმარისი ბავშვის დაბადებისას პოტენციური მშობლების ბავშვის იურიდიულ მშობლებად რეგისტრაციისათვის. ბავშვის დაბადებისას დამატებით მოითხოვება, სასამართლოსათვის შეტყობინება, რომელიც უნდა განხორციელდეს დამხმარე რეპროდუქციის ჩატარებიდან არაუგვიანეს 300 დღისა და, რომლის საფუძველზეც სასამართლოს მიერ გაიცემა პოტენციური მშობლების ბავშვის იურიდიულ მშობლებად აღიარების დადასტურების შესახებ ორდერი. ორდერით, ასევე შეიძლება განისაზღვროს გესტაციური დედის მიერ პოტენციური მშობლებისათვის ბავშვის გადაცემის მოთხოვნა, ასეთის საჭიროების შემთხვევაში⁹¹³. ამასთან, სუროგაციის ხელშეკრულების მხარეების, განსაკუთრებით პოტენციური მშობლების, ინტერესების, ისევე, როგორც ბავშვის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ტეხასის შტატის კანონის ჩანაწერი სასამართლოსათვის შეტყობინების წარდგენის ხანდაზმულობის 300 დღიანი ვადის დარღვევის შედეგებზე, რომლის მიხედვითაც ვადის დარღვევა არ წარმოადგენს პოტენციური მშობლების მშობლებად აღიარებაზე უარის თქმის საფუძველს, თუ სასამართლოს ორდერით აღიარებულია გესტაციური ხელშეკრულების ნამდვილობა⁹¹⁴. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი პირდაპირი ფორმულირება იუტას კანონში არ არის, დებულება, რომლის მიხედვითაც „გესტაციური ხელშეკრულება, რომლის ნამდვილობა არ არის აღიარებული სასამართლოს მიერ, არ აღსრულდება“⁹¹⁵, იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ხელშეკრულების ნამდვილობის აღიარების შესახებ ორდერის არსებობის შემთხვევაში, ბავშვის დაბადების შემდგომ სასამართლოსათვის შეტყობინების ვადის დარღვევა არ უნდა ქმნიდეს არსებით პრობლემას პოტენციური მშობლების იურიდიულ მშობლებად განსაზღვრისათვის.

დამატებით აღსანიშნავია, რომ ტეხასში მოქმედებს ე.წ. „კონფიდენციალური საანგარიშგებო სისტემა“, რომელიც ითვალისწინებს გესტაციური ხელშეკრულებების საფუძველზე დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების განმახორციელებელი სამედიცინო დაწესებულებების ყოველწლიური ანგარიშგების ვალდებულებას მათ მიერ განხორციელებული გესტაციური სუროგაციის პროცედურათა ოდენობისა და იმ ემბრიონების ოდენობისა და სტატუსის შესახებ, რომელთა გადატანა

⁹¹² Texas Family Code, §160.756.(c); Utah Code Ann., § 78B-15-803(1).

⁹¹³ Texas Family Code, §160.760.(a); (b)(1)(2); Utah Code Ann., § 78B-15-807(1)(a) (b).

⁹¹⁴ Texas Family Code, §160.760.(d).

⁹¹⁵ Utah Code Ann., § 78B-15-809(1).

განხორციელებულ პროცედურებში არ მომხდარა⁹¹⁶.

დ. ილინოისი

ვინაიდან ილინოისის შტატში მოქმედი „გესტაციური სუროგაციის კანონით“⁹¹⁷ (შემდგომში „ილინოისის კანონი“) დასაშვებია და აღსრულებადია გესტაციური და კომერციული სუროგაცია, იგი შეიძლება მივაკუთვნოთ აშშ-ის იმ შტატების რიცხვს, რომლებიც სუროგაციის მეგობარ იურისდიქციებად კვალიფიცირდებიან. „ილინოისის კანონი“ მიღებული იქნა 2004 წელს და ამოქმედდა 2005 წლის 01 იანვრიდან. კანონის მიღების ძირითად მიზანს წარმოადგენდა იმის უზრუნველყოფა, რომ სამართლებრივად განსაზღვრულიყო გესტაციური სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის იურიდიული მშობელი⁹¹⁸ და კანონს მოეხდინა ამ ტექნოლოგიის შედეგად დაბადებული ბავშვის ინტერესების დაცვა.

დ.ა. კანონით დასაშვები სუროგაცია

კანონის სათაური - „გესტაციური სუროგაციის კანონი“ თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ იგი არეგულირებს და დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ გესტაციურ სუროგაციას. გესტაციურ სუროგაციას კანონი განსაზღვრავს, როგორც პროცესს, „რომლითაც ქალი ცდილობს [მუცლად] ატაროს და დაბადოს ბავშვი, რომელიც არის ერთი ან ორივე პოტენციური მშობლის გამეტის⁹¹⁹ ან გამეტების გამოყენებით წარმოებული ინ ვიტრო განაყოფიერების⁹²⁰ შედეგი და რომლის მიმართაც გესტაციურ სუროგატს არ განუხორციელებია გენეტიკური კონტრიბუცია“⁹²¹. დეფინიციის მიხედვით, კანონით დასაშვებად მიიჩნევა მხოლოდ ისეთი სუროგაცია, როდესაც

⁹¹⁶ Texas Family Code, §160.763.

⁹¹⁷ Gestational Surrogacy Act, 750 ILCS-47/1-75. კანონის ოფიციალური ტექსტი ხელმისაწვდომია <<http://www.ilga.gov/legislation/ilcs/ilcs3.asp?ActID=2613&ChapterID=59>> [15.09. 2017].

⁹¹⁸ Jeremy J. Richey, A Troublesome Good Idea: An Analysis of the Illinois Gestational Surrogacy Act, Southern Illinois University Law Journal, Vol. 30, Issue 1, 2005, 178. კანონის მიღებასთან დაკავშირებულ „საკანონმდებლო ისტორიაზე“ დამატებით იხ. იქვე.

⁹¹⁹ გამეტა განისაზღვრება, როგორც სპერმა ან კვერცხუჯრედი. იხ. Gestational Surrogacy Act, 750 ILCS-47/10.

⁹²⁰ ინ ვიტრო განაყოფიერება განისაზღვრება, როგორც „კვერცხუჯრედისა და სპერმის ექსტრაკორპორული განაყოფიერების განსახორციელებლად საჭირო ყველა სამედიცინო და ლაბორატორიული პროცედურა“. იხ. იქვე.

⁹²¹ იქვე.

გესტაციური სუროგატი იმავდროულად არ არის კვერცხუჯრედის დონორი და, როდესაც სუროგაციის შედეგად დაბადებულ ბავშვს გენეტიკური კავშირი აქვს ერთ-ერთ მშობელთან მაინც. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ინ ვიტრო განაყოფიერების პროცესში, მართალია, შესაძლებელია, კვერცხუჯრედის ან სპერმის დონორის ჩართვა, თუმცა, კვერცხუჯრედის დონორი და გესტაციური სუროგატი არ შეიძლება იყოს ერთი და იგივე ქალი და ემბრიონის შესაქმნელად გამოყენებული უნდა იქნას მინიმუმ ერთი პოტენციური მშობლის გამეტა (კვერცხუჯრედი ან სპერმა). ამდენად, ტრადიციული სუროგაცია ილინოისში სამართლებრივი რეგულირების ფარგლებს გარეთაა და აღსრულებადია მხოლოდ გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულებები კანონით განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

„ილინოისის კანონი“ დასაშვებლად მიიჩნევს სუროგაციის ხელშეკრულებით მხარეთა შორის შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც პოტენციური მშობელი ან მშობლები განახორციელებენ სუროგატი დედისათვის არამართო სუროგაციასა და სუროგაციის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული გონივრული ხარჯების (მათ შორის, სამედიცინო და იურიდიული ხარჯების) გადახდას ან ანაზღაურებას, არამედ მისთვის გონივრული კომპენსაციის⁹²² გადახდასაც⁹²³. კანონით განსაზღვრული დეფინიციის მიხედვით კომპენსაცია არის „გონივრული სამედიცინო და დამატებითი ხარჯების ზევით მომსახურებებისათვის ნებისმიერი ღირებულებითი ანაზღაურება“⁹²⁴. შესაბამისად, კანონის ამგვარი ფორმულირება დასაშვებლად მიიჩნევს ილინოისში კომერციულ სუროგაციას, რომლის კვალიფიციირება ხდება სუროგატი დედისათვის გონივრული ხარჯების გარდა კომპენსაციის გადახდის დასაშვებობის ნიშნით.

დ.ბ. მოთხოვნები მხარეების მიმართ

გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის სუროგატი დედა შეიძლება იყოს მხოლოდ 21 წლის ასაკს მიღწეული პირი⁹²⁵, რომელსაც გაჩენილი ჰყავს ერთი შვილი მაინც⁹²⁶, ჩატარებული აქვს

⁹²² კანონი არ ახდენს განმარტებას ან რაიმე შეზღუდვას, თუ რა ოდენობის ან რა სახის კომპენსაცია მიიჩნევა გონივრულად.

⁹²³ Gestational Surrogacy Act, 750 ILCS-47/25(d)(3)(4).

⁹²⁴ იქვე, 750 ILCS-47/10.

⁹²⁵ კანონი განსაზღვრავს მხოლოდ მინიმალურ ასაკს.იხ. იქვე, 750 ILCS-47/20(a)(1).

⁹²⁶ იქვე, 750 ILCS-47/20(a)(2).

როგორც სამედიცინო შემონმება⁹²⁷, ასევე ფსიქიკური ჯანმრთელობის გამოკვლევა⁹²⁸, მიღებული აქვს დამოუკიდებელი სამართლებრივი კონსულტაცია გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულებისა და გესტაციური სუროგაციის პოტენციური სამართლებრივი შედეგების შესახებ⁹²⁹ და გააჩნია ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისი. პოლისი ძირითადად უნდა ფარავდეს სამედიცინო მკურნალობებსა და ჰოსპიტალიზაციას და უნდა მოქმედებდეს მოსალოდნელი ორსულობის პერიოდსა და ბავშვის დაბადებიდან არანაკლებ 8 კვირის განმავლობაში. ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისთან დაკავშირებული მოთხოვნის შესრულება შესაძლებელია, უზრუნველყონ პოტენციურმა მშობლებმა სუროგატი დედის სახელით⁹³⁰. ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, სუროგატი დედა შეიძლება იყოს მხოლოდ გესტაციური დედა და სუროგაციის მიზნებისათვის იგი იმავდროულად არ უნდა ახდენდეს საკუთარი კვერცხუჯრედის დონაციას.

პოტენციური მშობლის კანონისეული დეფინიცია საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ აშშ-ის უმრავლესი შტატის სუროგაციის მარეგულირებელი კანონისგან განსხვავებით, ილინოისის კანონში პირდაპირი მითითებაა „პოტენციურ დედასა“ და „პოტენციურ მამაზე“ და წყვილის შემთხვევაშიც არაპირდაპირაა მითითება ჰეტეროსექსუალ წყვილზე სქესის აღმნიშვნელი ტერმინებისა და ნაცვალსახელების გამოყენებით. კერძოდ, „ილინოისის კანონის“ განმარტებით, „პოტენციური მშობელი“ ნიშნავს პირს ან პირებს, რომელიც (რომლებიც) გესტაციურ სუროგატთან აფორმებს (აფორმებენ) გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც ის⁹³¹ იქნება ბავშვის იურიდიული

⁹²⁷ იქვე, 750 ILCS-47/20(a)(3).

⁹²⁸ იქვე, 750 ILCS-47/20(a)(4).

⁹²⁹ იქვე, 750 ILCS-47/20(a)(5).

⁹³⁰ იქვე, 750 ILCS-47/20(a)(6).

⁹³¹ ორიგინალი ინგლისურენოვანი დეფინიცია: “Intended parent” means a person or persons who enters into a gestational surrogacy contract with a gestational surrogate pursuant to which he or she will be the legal parent of the resulting child. In the case of a married couple, any reference to an intended parent shall include both husband and wife for all purposes of this Act. This term shall include the intended mother, intended father, or both”. იხ. იქვე, 750 ILCS-47/10. ტექსტში პოტენციურ მშობელზე მითითებისას გამოყენებულია ნაცვალსახელები “he” ან “she”, ტექსტში “he or she” - „ის მამაკაცი ან ის ქალი“, რაც ქართულად ითარგმნება როგორც „ის“ ინგლისური ნაცვალსახელების “he” და “she” ქართულ ენაში შესაბამისი, სქესის აღმნიშვნელი ნაცვალსახელის არარსებობის გამო. ამდენად, პოტენციური მშობლის განმარტების ინგლისურენოვანი ტექსტი ქართულად პირდაპირ ითარგმნება შემდეგნაირად: პოტენციური მშობელი ნიშნავს პირს ან პირებს, რომელიც (რომლებიც) გესტაციურ

მშობელი. თუ წყვილი დაქორწინებულია, კანონის მიზნებისათვის ნებისმიერი მითითება პოტენციურ მშობელზე ნიშნავს მითითებას ქმარსა და ცოლზე. აღნიშნული ტერმინი მოიცავს პოტენციურ დედას, პოტენციურ მამას, ან ორივეს ერთობლივად“. ამდენად, განმარტების შესაბამისად, გესტაციური სუროგაციის განხორციელების უფლება აქვს როგორც ერთ პოტენციურ მშობელს - ქალს ან მამაკაცს, ასევე წყვილს - პოტენციურ დედასა და პოტენციურ მამას, რომელთა ქორწინებაში ყოფნა არ მოითხოვება. შესაბამისად, პოტენციური მშობლის დეფინიციის განსაზღვრის მიზნებისათვის დაქორწინებულ და დაუქორწინებულ წყვილზე მითითებისას კანონი გულისხმობს ჰეტეროსექსუალ წყვილს, ვინაიდან პოტენციური მშობლის კანონიერი განმარტების მიხედვით, ტერმინი პოტენციური მშობელი „მოიცავს პოტენციურ დედას, პოტენციურ მამას, ან ორივეს ერთობლივად“, ანუ, პოტენციურ დედასა და პოტენციურ მამას ერთობლივად, რომელთა კავშირი, თავის მხრივ, აღნიშნავს ჰეტეროსექსუალ წყვილს. გარდა ამისა, დაქორწინებულ წყვილთან მიმართებით კანონი დამატებით აღნიშნავს, რომ „ნებისმიერი მითითება პოტენციურ მშობელზე ნიშნავს მითითებას ქმარსა და ცოლზე“, რითაც იგი არაპირდაპირ ახდენს ჰეტეროსექსუალი წყვილის ქორწინების არსებობის განსაზღვრას⁹³².

სუროგატთან აფორმებს (აფორმებენ) გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც ის - მამაკაცი ან ქალი - იქნება ბავშვის იურიდიული მშობელი“.

⁹³² აღსანიშნავია განსხვავებული მოსაზრებაც, რომელიც, მართალია, პირდაპირ არ ეხება პოტენციური მშობლის განმარტების საკითხს, თუმცა, გამოთქმულია ერთნაირსქესიანი წყვილის ან მარტოხელა მამაკაცის მიერ პოტენციური მშობლებისათვის „ილინოისის კანონით“ დანესებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობაზე. კერძოდ, როდესაც 2013 წლით დათარიღებულ „ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში სუროგაციის რეჟიმის შედარებითი კვლევა“ მიუთითებს პოტენციური მშობლის ან მშობლებისათვის „ილინოისის კანონით“ დანესებულ მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც მისი ან მათი „სუროგაციის სამედიცინო საჭიროება“ უნდა დადასტურდეს შესაბამისი სამედიცინო პროფესიონალის მიერ, ავტორი იქვე აღნიშნავს შემდეგს: „ილინოისში ჯერჯერობით არ არის განმარტებული, თუ რამდენად შეუძლიათ ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება ერთნაირსქესიან წყვილს ან მარტოხელა მამაკაცს, თუმცა, ერთი შეხედვით, კანონმდებლობაში არაფერია ისეთი, რაც შეიძლება მათ შეუსაბამობაზე მიუთითებდეს“. იხ. Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 50. ამასთან, აღნიშნული კვლევის ჩატარების - 2013 წლის - შემდგომ აშშ-ში შეიცვალა დამოკიდებულება ერთნაირსქესიან წყვილთა ქორწინების კანონიერებასთან დაკავშირებითაც. კერძოდ, დაქორწინებულ წყვილთან დაკავშირებული „ილინოისის კანონის“ მოთხოვნა განსხვავებულად შეიძლება იქნას ინტერპრეტირებული მას შემდგომ, რაც საქმეებზე აშშ ვინდსორის წინააღმდეგ (*U.S. v. Windsor*, 133 S. CT.2675 (2013)) და

იმისათვის, რომ პირი ან წყვილი კანონის მიზნებისათვის მიჩნეული იქნას პოტენციურ მშობლად (მშობლებად), სავალდებულოა, რომ ის (ისინი) გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის აკმაყოფილებდეს (აკმაყოფილებდნენ) ყველა შემდეგ მოთხოვნას: (1) თუ სუროგაციას მიმართავს მხოლოდ ერთი პოტენციური მშობელი, ინ ვიტრო განაყოფიერების პროცესში გამოყენებული უნდა იქნას მისი გამეტა (სპერმა ან კვერცხუჯრედი); წყვილის შემთხვევაში კი აუცილებელია, რომ ინ ვიტრო განაყოფიერების პროცესში გამოყენებული გამეტა (სპერმა ან კვერცხუჯრედი) ეკუთვნოდეს ერთ პოტენციურ მშობელს მაინც⁹³³; (2) პოტენციურ მშობელს, ხოლო წყვილის შემთხვევაში ერთ პოტენციურ მშობელს მაინც, უნდა გააჩნდეს „გესტაციური სუროგაციის სამედიცინო საჭიროება“, რაც უნდა დადასტურდეს კვალიფიცირებული ექიმის მიერ, დადასტურება კი თან უნდა ერთვოდეს სუროგაციის ხელშეკრულებას⁹³⁴; (3) პოტენციურ მშობელს ან მშობლებს უნდა ჰქონდეთ გავლილი ფსიქიკური ჯანმრთელობის გამოკვლევა,⁹³⁵ ისევე, როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი კონსულტაცია გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულებისა და გესტაციური სუროგაციის პოტენციური სამართლებრივი შედეგების შესახებ⁹³⁶.

„ილინოისის კანონი“ არ განსაზღვრავს რაიმე მოთხოვნას სუროგაციის ხელშეკრულების მხარეთა საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით, თუმცა,

ობერგეფელი პოდჯის წინააღმდეგ (*Obergefell v. Hodges*, 135 S. Ct. 2584 (2015) აშშ-ის უზენაესი სასამართლოს 2013 წლისა და 2015 წლის გადაწყვეტილებებით დადგენილი იქნა ერთნაირსქესიან წყვილთა ქორწინების კანონიერება. ამჟამად, როდესაც უზენაესი სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილებების შედეგად ერთნაირსქესიანთა ქორწინება ლეგალურად უნდა იქნას მიჩნეული, საკითხი იმის თაობაზე, კანონიერია თუ არა ერთნაირსქესიანი ქორწინებაში მყოფი პირების, როგორც პოტენციური მშობლების, მიერ სუროგაციის განხორციელება, პრაქტიკაში არ არის ცალსახად ერთმნიშვნელოვანი. იხ. Finkelstein A., Dougall M. S., Kintominas A., Olsen A., *Surrogacy Law and Policy in the US: A National Conversation Informed by Global Lawmaking*, Report of the Columbia Law School Sexuality and Gender Law Clinic, 2016, 40. <http://www.law.columbia.edu/sites/default/files/microsites/gender-sexuality/files/columbia_sexuality_and_gender_law_clinic_-_surrogacy_law_and_policy_report_-_june_2016.pdf> [15.09.2017].

⁹³³ Gestational Surrogacy Act, 750 ILCS-47/20(b)(1).

⁹³⁴ იქვე, 750 ILCS-47/20(b)(2).

⁹³⁵ იქვე, 750 ILCS-47/20(b)(3).

⁹³⁶ იქვე, 750 ILCS-47/20(b)(4).

იმისათვის, რომ სუროგაციის ხელშეკრულება აღსრულდეს, ბავშვი უნდა დაიბადოს ილინოისში⁹³⁷.

დამატებით აღსანიშნავია, რომ „ილინოისის კანონით“ პირს აქვს უფლება, გამოხატოს წერილობითი თანხმობა მასზედ, რომ, იყოს ნებისმიერი იმ ბავშვის მშობელი, რომელიც დაიბადება მისი გარდაცვალების შემდგომ მისი კუთვნილი გამეტის სამედიცინო პროცედურაში გამოყენების შედეგად. ამგვარი დადასტურების შემთხვევაში, თუ პირი გარდაიცვლება მისი გამეტის ან ემბრიონის გადატანამდე და ამ პროცედურის შედეგად ბავშვი დაიბადება მისი გარდაცვალებიდან 36 თვის ვადაში, გარდაცვლილი პირი ბავშვის იურიდიულ მშობლად მიიჩნევა⁹³⁸.

დ.გ. მოთხოვნები გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულების მიმართ

გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით და დადასტურდეს ორი სრულწლოვანი ქმედუნარიანი მონმის მიერ⁹³⁹. ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს ნებისმიერი სამედიცინო პროცედურის დაწყებამდე⁹⁴⁰, ერთი მხრივ, სუროგატ დედასა და მის

⁹³⁷ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 52.

⁹³⁸ Gestational Surrogacy Act, 750 ILCS-46/705.

⁹³⁹ იქვე, 750 ILCS-47/25(b)(1)(5). შეად. მაგ., ტეხასის, იუტას, კალიფორნიისა და კოლუმბიის ოლქის კანონების მოთხოვნები სუროგაციის ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებით: ხელშეკრულება უნდა დამონმდეს ნოტარიულად (D.C. Law 21-255. Collaborative Reproduction Amendment Act of 2016, § 16-406 (a) (1) (2); (9)); ხელშეკრულებაზე მხარეთა ხელმოწერა უნდა დამონმდეს ნოტარიულად (California Code, Family Code - FAM § 7962, (c)) ან დადასტურების სხვა ექვივალენტური მეთოდით (California Code, Family Code - FAM § 7962(c)); მხარეთა ხელმოწერა უნდა დადასტურდეს მონმების მიერ (D.C. Law 21-255. Collaborative Reproduction Amendment Act of 2016, § 16-406 (a) (1) (2); (9)); საკმარისია სუროგაციის ხელშეკრულების მარტივი წერილობითი ფორმა (Tex. Family Code §160.754(a). Uta Code Ann. § 78B-15-801(1)).

⁹⁴⁰ სამედიცინო პროცედურებში მოცემულ შემთხვევაში არ იგულისხმება სუროგატი დედისა და პოტენციური მშობლებისათვის სავალდებულო სამედიცინო და ფსიქიკური ჯანმრთელობის შემოწმება, რომელიც უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების დადებამდე. იხ. Gestational Surrogacy Act, 750 ILCS-47/25(b)(2).

მეუღლეს, თუ სუროგატი დედა დაქორწინებულია,⁹⁴¹ და, მეორე მხრივ, პოტენციურ მშობელს⁹⁴² ან პოტენციურ მშობლებს შორის.

სუროგაციის ხელშეკრულება სავალდებულო წესით უნდა მოიცავდეს დებულებას, რომლის მიხედვითაც, ერთი მხრივ, სუროგატი დედა, ხოლო თუ სუროგატი დედა დაქორწინებულია, ასევე მისი მეუღლე, ბავშვზე მეურვეობას პოტენციურ მშობელს ან მშობლებს გადასცემს ბავშვის დაბადებისთანავე⁹⁴³, ხოლო, მეორე მხრივ, პოტენციური მშობელი ან მშობელი იკისრებს ბავშვზე მეურვეობასა და მისი რჩენის სრულ პასუხისმგებლობას⁹⁴⁴. ამასთან, გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულება აღსრულებადია, თუ სუროგაციისა და სუროგაციის ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხში სუროგატი დედა, ისევე, როგორც პოტენციურ მშობელი ან მშობლები ცალ-ცალკე იყვნენ წარმოდგენილნი დამოუკიდებელი ადვოკატების მიერ და, თუ ისინი წერილობით ადასტურებენ, რომ მიღებული აქვთ ინფორმაცია სუროგაციის ხელშეკრულების სამართლებრივი, ფინანსური და სახელშეკრულებო უფლებების, მოლოდინების, ჯარიმებისა და ვალდებულებების შესახებ⁹⁴⁵.

სუროგაციის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დაწესებულ მოთხოვნებთან ერთად „ილინოისის კანონი“ განსაზღვრავს იმ საკითხების ჩამონათვალს, რომლებიც ხელშეკრულების აღსასრულებლად არ არის სავალდებულო, მაგრამ, ასევე შეიძლება განისაზღვროს ხელშეკრულებით, თუმცა, ამ პირობის ან პირობების ხელშეკრულებით გათვალისწინებისას სავალდებულოა კანონის შემდეგი მოთხოვნების დაკმაყოფილება:

(1) სუროგატი დედისათვის გონივრული კომპენსაციის გადახდა⁹⁴⁶: თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს ამგვარ კომპენსაციას, კომპენსაციის თანხა სავალდებულო წესით უნდა განთავსდეს

⁹⁴¹ Gestational Surrogacy Act, 750 ILCS-47/25(2)(i).

⁹⁴² თუ პოტენციური მშობელი დაქორწინებულია, სავალდებულოა, რომ ხელშეკრულება დაიდოს როგორც პოტენციური მშობლის, ასევე მისი მეუღლის მიერ. იხ. იქვე, 750 ILCS-47/25(2)(ii).

⁹⁴³ იქვე, 750 ILCS-47/25(c)(1)(ii). 750 ILCS-47/25(c)(2)(ii).

⁹⁴⁴ იქვე, 750 ILCS-47/25(c)(1)(ii). 750 ILCS-47/25(c)(4)(i-ii).

⁹⁴⁵ იქვე, 750 ILCS-47/25(c)(1)(ii). 750 ILCS-47/25(b)(3).

⁹⁴⁶ იქვე, 750 ILCS-47/25(d)(3).

დამოუკიდებელ ესქრო აგენტთან⁹⁴⁷ სუროგატი დედის მიერ ნებისმიერი სამედიცინო პროცედურის დანყება⁹⁴⁸.

(2) **სუროგატი დედის სამედიცინო გამოკვლევებისა და ორსულობის კონტროლი:** „ილინოისის კანონის“ თანახმად სუროგაციის ხელშეკრულება ვერ შეზღუდავს სუროგატი დედის უფლებას, ორსულობის მეთვალყურეობის განსახორციელებლად თავად შეარჩიოს ექიმი პოტენციურ მშობლებთან კონსულტაციის შემდგომ⁹⁴⁹. დასაშვებად მიიჩნევა ხელშეკრულებაში მხოლოდ ისეთი პირობის გათვალისწინება, რომლითაც სუროგატი დედა თანხმდება, ჩაიტაროს ორსულობასთან დაკავშირებული, „ექიმის მიერ რეკომენდირებული ყველა სამედიცინო გამოკვლევა, მკურნალობა და ნაყოფის მონიტორინგის პროცედურა“⁹⁵⁰, ისევე, როგორც თავი შეიკავოს ისეთი ქმედებების განხორციელებისგან, რომელიც, პოტენციური მშობლების ან/და ექიმის გონივრული აზრით, საზიანოა ორსულობისა და ბავშვის სამომავლო ჯანმრთელობისათვის. ეს შეიძლება იყოს მონევა, ალკოჰოლის ან ექიმის მიერ დაუნიშნავი მედიკამენტის მიღება ანდა სხვა საზიანო ქმედებები⁹⁵¹. როგორც აღინიშნა, სუროგაციის ხელშეკრულების ნამდვილობისა და აღსრულებისათვის სუროგატ დედას არ მოეთხოვება ამ შეზღუდვებზე დათანხმება, თუმცა, ხელშეკრულებაში მათზე თანხმობის გაცხადების შემთხვევაში, ამ პირობების შესრულება მისთვის სავალდებულო ხდება.

დ.დ. პოტენციური მშობლების, როგორც ბავშვის იურიდიული მშობლების, სტატუსის დადგენა

პოტენციური მშობლის ან მშობლების იურიდიული მშობლის სტატუსის დადგენა ხდება სუროგაციის შედეგად ბავშვის დაბადებამდე სასამართლო

⁹⁴⁷ Escrow agent - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც განსაზღვრული პირობის დადგომამდე ფლობს ერთი პირის აქტივს ან დოკუმენტს სხვა პირისათვის გადასაცემად. <<https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/escrow-agent>> [15.09.2017]

⁹⁴⁸ სამედიცინო პროცედურებში მოცემულ შემთხვევაში არ იგულისხმება სუროგატი დედისათვის სავალდებულო სამედიცინო და ფსიქიკური ჯანმრთელობის შემონახვა, რომელიც უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების დადებამდე. იხ. Gestational Surrogacy Act, 750 ILCS-47/25(b)(4).

⁹⁴⁹ იქვე, 750 ILCS-47/25(c)(3).

⁹⁵⁰ იქვე, 750 ILCS-47/25(d)(1).

⁹⁵¹ იქვე, 750 ILCS-47/25(d)(2). საზიანო ქმედებათა ამომწურავ ჩამონათვალს კანონი არ განსაზღვრავს. კანონით არ დგინდება, ასევე, უნარჩუნდება, თუ არა სუროგატ დედას უფლება, შეწყვიტოს ორსულობა.

წარმოების გარეშე, თუ გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულება აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს და, თუ ილინოისის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დეპარტამენტს წარედგინება სუროგატი დედისა და პოტენციური მშობლის ან პოტენციური მშობლების წარმომადგენელი ადვოკატების დადასტურება კანონით დაწესებულ მოთხოვნებთან ხელშეკრულების შესაბამისობაზე⁹⁵². პოტენციური მშობლების, როგორც ბავშვის მშობლების, იურიდიული სტატუსის დასადგენად არ მოითხოვება სასამართლოს ჩართვა ბავშვის დაბადების შემდგომაც. ამ თვალსაზრისით, „სუროგაციის მეგობარი“ აშშ-ის სხვა შტატებისგან განსხვავებით „ილინოისის კანონი“ გვთავაზობს სუროგაციის მონესრიგების განსხვავებულ მოდელს, ვინაიდან პოტენციური მშობლის, როგორც ბავშვის იურიდიული მშობლის, სტატუსი განისაზღვრება „სასამართლოს ჩარევის გარეშე ავტომატურად, ადმინისტრაციული წესით, ბავშვის დაბადებამდე, ადვოკატის მიერ გაცემული სუროგაციის კანონთან „შესაბამისობის დადასტურების დოკუმენტებით“⁹⁵³.

თუ გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულება აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს, პოტენციური მშობლები მიიჩნევიან ბავშვის იურიდიულ მშობლებად მისი დაბადებისთანავე, რაც გულისხმობს არა მხოლოდ მათი, როგორც მშობლების, იურიდიული სტატუსის დადგენას, არამედ ამ სტატუსიდან გამომდინარე მათთვის მშობლის სრული უფლებების მინიჭებასა და ბავშვზე ზრუნვასთან დაკავშირებული მშობლის ვალდებულებების, პასუხისმგებლობის დაკისრებას⁹⁵⁴. ამასთან, კანონი ახდენს სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის ინტერესების დაცვას და აღგენს, რომ ბავშვზე ზრუნვის შესახებ ვალდებულებებისგან პოტენციური მშობლის ან მშობლების გათავისუფლების საფუძველს არ წარმოადგენს მათ ან მის მიერ სუროგაციის ხელშეკრულების დარღვევა⁹⁵⁵. მშობლის იურიდიულ სტატუსს ანიჭებს კანონი პოტენციურ მშობელს ან მშობლებს იმ შემთხვევაშიც, თუ დადგინდება ლაბორატორიული შეცდომის გამო ბავშვსა და პოტენციურ მშობელს შორის გენეტიკური კავშირის არარსებობა, გარდა

⁹⁵² ადვოკატების დადასტურებების წარდგენა ხორციელდება ილინოისის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დეპარტამენტის მიერ განსაზღვრულ ფორმაში კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. იხ. Gestational Surrogacy Act, 750 ILCS-47/39(b).

⁹⁵³ Snyder H. S., United States of America, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 390.

⁹⁵⁴ Gestational Surrogacy Act, 750 ILCS-47/30(a).

⁹⁵⁵ იქვე, 750 ILCS-47/30(b)

იმ შემთხვევისა, თუ ეს საკითხი განსხვავებულად არ გადაწყდება სასამართლოს მიერ. ამ დებულებით კანონი ითვალისწინებს მშობლის იურიდიული სტატუსის განსაზღვრას გამონაკლის შემთხვევაშიც, გადაწყვეტას კი ახდენს პოტენციური მშობლების სასარგებლოდ⁹⁵⁶.

კანონი მაქსიმალურად ცდილობს, დაიცვას გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულების მხარეები ხელშეკრულებით გამოვლენილი მათი განზრახვების რეალიზაციის ხელშესაწყობად და განსაზღვრავს, რომ, იმ შემთხვევაში, თუ გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულება არ აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს და, ამდენად, არ არის აღსრულებადი, მშობლის იურიდიული სტატუსის დადგენა განხორციელდება სასამართლოს მიერ „მხარეთა განზრახვების მტკიცებულებაზე დაყრდნობით“⁹⁵⁷. აღნიშნული რეგულაციის მიზანს წარმოადგენს არა სასამართლოსათვის მშობლის სტატუსის დადგენასთან დაკავშირებული მთავარი ფუნქციის დაკისრება, არამედ მხარეთა განზრახვების დაცვის საშუალების განსაზღვრა იმ შემთხვევაში, თუ კანონის ფორმალური მოთხოვნები სუროგაციის ხელშეკრულებასთან მიმართებით არ იქნება დაცული⁹⁵⁸.

დ.ე. „ილინოისის კანონის“ სხვა მნიშვნელოვანი დებულებები

თუ გესტაციური სუროგაციის დროს გამოყენებულია კვერცხუჯრედის ან სპერმის დონორი, ზოგადი წესის მიხედვით, ამ უკანასკნელს სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის რჩენის ვალდებულება არ ეკისრება, თუმცა, კანონი აწესებს გამონაკლის შემთხვევას და განსაზღვრავს, რომ ეს ვალდებულება „გამეტის დონორს შეიძლება დაეკისროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს სამართლებრივი ხელშეკრულება გამეტის დონორსა და პოტენციურ მშობელს ან მშობლებს შორის, რომლის მიხედვითაც პოტენციური მშობელი ან მშობლები კისრულობენ დასაბადებელი ბავშვის მიმართ ყველა უფლებასა და პასუხისმგებლობას, ხოლო გამეტის დონორი უარს ამბობს მის უფლებებზე გამეტის, [გამეტის

⁹⁵⁶ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 52.

⁹⁵⁷ Gestational Surrogacy Act, 750 ILCS-47/29(e).

⁹⁵⁸ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 51.

შედეგად შექმნილი] ემბრიონის ან ბავშვების მიმართ⁹⁵⁹. აღნიშნული დებულების განსაზღვრით კანონი არაპირდაპირ მიუთითებს დონორსა და პოტენციურ მშობლებს შორის გასათვორმებელი ხელშეკრულების მნიშვნელობაზე მისი სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით. თუმცა, კანონი ღუმს დონაციის ისეთ შემთხვევაზე, როდესაც იგი წარმოებს ანონიმური დონორის გამოყენებით და, რომლის არსიც იმაშია, რომ დონორის საიდენტიფიკაციო მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის უზრუნველსაყოფად ხელშეკრულების დადება პირდაპირ დონორსა და პოტენციურ მშობლებს შორის არ ხდება. ამ შემთხვევაში დონაცია სამართლებრივად ფორმდება საშუამავლო პირების მონაწილეობით, რომლის დროსაც საშუამავლო პირი ხელშეკრულებებს ცალ-ცალკე დებს დონორსა და პოტენციურ მშობლებთან ან პოტენციურ მშობელთან.

საინტერესოა კანონის დებულება, რომელიც სუროგატი დედის დაცვის უზრუნველსაყოფადაა გათვალისწინებული. კერძოდ, დაუშვებელია სუროგატი დედის იძულება, შეასრულოს გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობა, რომელიც განსაზღვრავს მის ვალდებულებას, რომ „დაორსულდეს“⁹⁶⁰. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ამგვარი პირობის ხელშეკრულებაში არსებობის შემთხვევაშიც, სუტოგატი დედის მიერ მისი დარღვევა, ანუ თუ იგი „გადაიფიქრებს“ სუროგაციული მომსახურების განხორციელებას, არ არსებობს კანონით გათვალისწინებული ზომა, რომელიც აიძულებს მას, შეასრულოს სახელშეკრულებო ვალდებულება.

ილინოისის კანონისეული მოდელი გარკვეულწილად მსგავსია როგორც სამხრეთ აფრიკის, ასევე საბერძნეთის სუროგაციის კანონმდებლობებით განსაზღვრულ მოდელთან იმით, რომ ყველა შემთხვევაში წარმოებს სუროგაციის ე.წ. *ex-ante* - წინასწარი დამტკიცების პროცედურა, თუმცა, არსებითი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ „ილინოისის კანონით“ არ მოითხოვება სასამართლოს წინასწარი ავტორიზაცია. ამ უკანასკნელის ძირითად ფუნქციას ასრულებს ადვოკატი და დამოუკიდებელი სამართლებრივი კონსულტაცია. „ადვოკატები ამონებენ სუროგაციის ხელშეკრულებებს და უზრუნველყოფენ, რომ ყველა მხარე აცხადებს თანხმობას სუროგაციის პირობებზე. თუ კანონის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, სუროგაციის ხელშეკრულება მიიჩნევა

⁹⁵⁹ Gestational Surrogacy Act, 750 ILCS-47/30(c).

⁹⁶⁰ იქვე, 750 ILCS-47/50(b).

აღსრულებად და ბავშვის დაბადების შემდგომ პოტენციურ მშობლებს ენიჭებათ მშობლის იურიდიული სტატუსი⁹⁶¹. მეორე მნიშვნელოვანი განსხვავება სამხრეთ აფრიკისა და საბერძნეთის კანონმდებლობისგან ისაა, რომ ამ ორ ქვეყანაში კანონიერია მხოლოდ ალტერნატიული სუროგაცია, ილინოისში კი დაშვებულია კომერციული სუროგაცია, ვინაიდან „ილინოისის კანონი“ არ კრძალავს „გონივრული ხარჯების“ გარდა სუროგატი დედისათვის სხვა გადასახდელის - გონივრული კომპენსაციის გადახდას⁹⁶².

ჯერ კიდევ „ილინოისის კანონის“ ამოქმედებამდე, 2004 წელს, კანონის მიერ შემოთავაზებული სუროგაციის რეგულირების ანალიზის შედეგად იწინასწარმეტყველა ჯოსეფ გიტლინმა (Joseph Gitlin), რომ ილინოისის შტატი გახდებოდა „სუროგაციის ხელშეკრულებების მაგნიტი“⁹⁶³. აღნიშნული, სავსებით სწორი, ვარაუდის მიზგზებად მან დაასახელა კანონისეული მოდელი, რომლითაც დასაშვებია „ჯერ კიდევ დაუბადებელ ბავშვსა და პოტენციურ მშობლებს შორის სამართლებრივი ურთიერთობის ფორმირება ბავშვის დაბადებამდე და შედარებით მარტივია ბავშვის დაბადების მოწმობის მიღების პროცედურა“⁹⁶⁴, ვინაიდან პოტენციურ მშობლებს, როგორც ბავშვის იურიდიულ მშობლებს, სასამართლოსათვის მიმართვა არ ესაჭიროებათ. მეორე მხრივ, ვინაიდან „ილინოისის კანონი“ „უამრავ მოთხოვნას აწესებს სუროგაციის ხელშეკრულებების მიმართ, აღიარებს მხოლოდ გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულებებს და მხოლოდ მაშინ, როდესაც სუროგაციის დემონსტრირებული საჭიროებაა“⁹⁶⁵, სუროგაციის ხელშეკრულების აღსრულება ამ შტატში შესაძლებელი ხდება მხოლოდ კანონით დადგენილი შეზღუდული გარემოებების არსებობისას⁹⁶⁶.

⁹⁶¹ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 49.

⁹⁶² იქვე.

⁹⁶³ Gitlin H. J., New Law Makes Illinois Friendly for Surrogacy, Southern Illinois University Law Journal, Vol. 30, Issue1, 2005, 6.

⁹⁶⁴ იქვე.

⁹⁶⁵ Mortazavi S., It Takes a Village to Make a Child: Creating Guidelines for International Surrogacy, Georgetown Law Journal, Vol. 100, Issue 6, 2012, 2260.

⁹⁶⁶ Hofman L. D., Mama's Baby, Daddy's Maybe: A State-by-State Survey of Surrogacy Laws and Their Disparate Gender Impact, William Mitchell Law Review, Vol. 35, Issue 2, 2009, 462.

4.2. „სუროგაციის მეგობარი ქვეყნები“ - რუსეთი და უკრაინა

კომერციული სუროგაცია ფართოდაა გავრცელებული რუსეთსა და უკრაინაში. დასახელებულ ორივე ქვეყანაში სუროგაცია წესრიგდება და დაიშვება კანონმდებლობით⁹⁶⁷. „მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის საკანონმდებლო რეგულაციები უკრაინასთან შედარებით ნაკლებად ამომწურავია, ორივე ამ ქვეყნის სისტემას გააჩნია შემდეგი ძირითადი მახასიათებლები:

(1) კანონმდებლობა არ აწესებს შეზღუდვებს სუროგატი დედისათვის გადასახდელ თანხებზე, რაც მიუთითებს კომერციული სუროგაციის დასაშვებობაზე;

(2) არ არსებობს პოტენციური მშობლების მიმართ მოთხოვნები მათ საცხოვრებელ ადგილთან ან რეზიდენტობასთან დაკავშირებით;

(3) პოტენციური მშობლებისათვის მშობლის უფლების მინიჭება ხორციელდება ადმინისტრაციული პროცედურების შესაბამისად⁹⁶⁸ სასამართლოს ჩარევის გარეშე.

⁹⁶⁷ რუსეთში სუროგაცია რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით: რუსეთის ფედერაციის საოჯახო კოდექსი („Семейный кодекс Российской Федерации”, 29.12.1995 N 223-ФЗ); კანონი „რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის საფუძვლების შესახებ“ (Федеральный Закон “Об Основах Охраны Здоровья Граждан в Российской Федерации”, 21.11.2011, N 323-ФЗ); ფედერალური კანონი „სამოქალაქო მდგომარეობის აქტების შესახებ“ (Федеральный закон “об актах гражданского состояния” 15.11.1997; N 143-ФЗ); ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ბრძანება „დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების გამოყენების წესის, უკუჩვენებებისა და გამოყენების შეზღუდვების შესახებ“ (Приказ Министерства здравоохранения РФ 30.08.2012 № 107н “о порядке использования вспомогательных репродуктивных технологий, противопоказаниях и ограничениях к их применению”).

უკრაინაში სუროგაცია რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით: უკრაინის საოჯახო კოდექსი (Семейный Кодекс Украины, 01.01.2004); უკრაინის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბრძანებით დამტკიცებული „ინსტრუქცია დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ“ („Инструкция о порядке применения вспомогательных репродуктивных технологий”, утвержденная приказом Министерства здравоохранения Украины №771 от 22.12.2008г.); კანონი „სამოქალაქო აქტების სახელმწიფო რეგისტრაციის შესახებ“ (Закон Украины «О государственной регистрации актов гражданского состояния» №2398/VI от 01.07.2010г).

⁹⁶⁸ Trimmings K., Beaumont P., General Report on Surrogacy, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 451.

4.2.1. მოთხოვნები მხარეების მიმართ

ორივე ქვეყნის კანონმდებლობით სუროგატი დედა შეიძლება იყოს მხოლოდ ქმედუნარიანი პირი, რომელსაც გააჩნია მინიმუმ ერთი შვილის გაჩენის ისტორია,⁹⁶⁹ რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეესაბამება სუროგაციის განხორციელებას და რომელმაც გამოხატა წერილობითი თანხმობა სუროგაციაზე⁹⁷⁰. თუ სუროგატი დედა დაქორწინებულია, რუსეთში დამატებით მოითხოვება ასეთი თანხმობის გაცემა სუროგატი დედის მეუღლის მიერ⁹⁷¹. უკრაინისაგან განსხვავებით, სადაც არ არსებობს შემლუდვები სუროგატი დედის მაქსიმალურ ასაკთან დაკავშირებით, რუსეთის კანონმდებლობით სუროგატის მინიმალური ასაკი 20 წელი, მაქსიმალური კი - 35 წელია⁹⁷².

ორივე ქვეყანაში პოტენციური მშობლების მიერ სუროგაციის გამოყენების საჭიროება უნდა იყოს დადგენილი სამედიცინო თვალსაზრისით. ამასთან, რუსეთისგან განსხვავებით, უკრაინაში სუროგაციის განხორციელების უფლება აქვს მხოლოდ ქორწინებაში მყოფ ჰეტეროსექსუალ წყვილს.⁹⁷³ რუსეთში კი განსხვავებულია პოტენციური მშობლების მიმართ დანესებული მოთხოვნები. ამასთან, გარკვეული შეუსაბამობები არსებობს სხვადასხვა საკანონმდებლო აქტით დადგენილი მოთხოვნების ფორმულირებებში. კერძოდ, „რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის საფუძვლების შესახებ“ 2011 წლის კანონის შესაბამისად, დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიებით სარგებლობის უფლება აქვს როგორც დაქორწინებულ, ასევე ქორწინებაში არმყოფ ქალსა და მამაკაცს, ასევე,

⁹⁶⁹ აღსანიშნავია, რომ რუსეთის კანონმდებლობის შესაბამისად სუროგატ დედას უნდა ჰყავდეს მინიმუმ ერთი ჯანმრთელი შვილი.

⁹⁷⁰ Druzenko G., Ukraine, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 361; Khazova O., Russia, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 314; Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 335.

⁹⁷¹ Федеральный Закон “Об Основах Охраны Здоровья Граждан в Российской Федерации”, 21.11.2011, N 323-ФЗ, Статья 55.10.

⁹⁷² იქვე.

⁹⁷³ პოტენციურ მშობლებზე მითითებისას უკრაინის კანონმდებლობა განსაზღვრავს ტერმინებს „მეუღლეები“, უკრაინაში კი ქორწინების რეგისტრაციის განხორციელების უფლება აქვს მხოლოდ ჰეტეროსექსუალ წყვილს. იხ. Druzenko G., Ukraine, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 359.

მარტოხელა ქალს, იმ პირობით, თუ ეს პირები განაცხადებენ ნებაყოფლობით ინფორმირებულ თანხმობას შესაბამისი სამედიცინო პროცედურების განხორციელებაზე⁹⁷⁴. კანონის ამგვარი ფორმულირებით რუსეთში პოტენციური მშობელი შეიძლება იყოს მარტოხელა ქალი, ისევე, როგორც პოტენციურ მშობლებად შეიძლება მიჩნეული იქნას ჰეტეროსექსუალი წყვილი. აღნიშნულის მიუხედავად, რუსეთის 1995 წლის კანონის 51-ე მუხლი, რომელიც ანესრიგებს დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების შედეგად დაბადებული ბავშვის მშობლებად პოტენციური მშობლების რეგისტრაციის საკითხს, პოტენციურ მშობლებზე მითითებისას განსაზღვრავს მხოლოდ ქორწინებაში მყოფ წყვილს⁹⁷⁵ და რეგულაციის სფეროს გარეთ ტოვებს მარტოხელა პირის ან ქორწინებაში არმყოფი წყვილის, როგორც პოტენციური მშობლის ან პოტენციური მშობლების, სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის იურიდიულ მშობლად (მშობლებად) განსაზღვრის საკითხს. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, რუსეთის საოჯახო კოდექსის შესაბამისად სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის იურიდიულ მშობლებად რეგისტრაციის უფლება აქვს მხოლოდ ქორწინებაში მყოფ ჰეტეროსექსუალ წყვილს⁹⁷⁶. ნათელია, რომ რუსეთის ორი საკანონმდებლო აქტის წინააღმდეგობრივი ფორმულირებები რუსეთის კანონმდებლობის ხარვეზად უნდა ჩაითვალოს, რაც სუროგაციის აღსრულების პროცესში პრაქტიკული პრობლემების წარმოშობას უკავშირდება. მაგ., რუსეთის სასამართლოების მიერ განხილული იქნა რამდენიმე დავა, რომელიც ეხებოდა ბავშვის დაბადების რეგისტრაციის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს - სამოქალაქო რეესტრის უარს, მოეხდინა სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის იურიდიულ მშობლებად ქორწინებაში არმყოფი წყვილის ან მარტოხელა პირის რეგისტრაცია⁹⁷⁷. დავების უმრავლესობა, მათ შორის ორი დავა, ინიცირებული მარტოხელა პოტენციური მამაკაცის მიერ, გადაწყვეტილი იქნა პოტენციური მშობლების სასარგებლოდ, დაევალა რა სამოქალაქო

⁹⁷⁴ Федеральный Закон “Об Основах Охраны Здоровья Граждан в Российской Федерации”, 21.11.2011, N 323-ФЗ, Статья 55.3.

⁹⁷⁵ Семейный кодекс Российской Федерации, 29.12.1995 N 223-ФЗ, 51.

⁹⁷⁶ უკრაინის მსგავსად რუსეთში ქორწინების რეგისტრაციის უფლება აქვს მხოლოდ ქალსა და მამაკაცს.

⁹⁷⁷ სამოქალაქო რეესტრის უარი ეფუძნებოდა პოტენციური მშობლების სავალდებულო წესით ქორწინებაში ყოფნის შესახებ საოჯახო კოდექსით დანესებული მოთხოვნის ინტერპრეტაციას. იხ. Khazova O., Russia, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 315.

რეესტრს მათი, როგორც სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვების იურიდიული მშობლების, რეესტრაცია⁹⁷⁸.

4.2.2. დასაშვები სუროგაციის ფორმა

როგორც უკრაინის, ასევე რუსეთის კანონმდებლობა აღიარებს და შესაბამის სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს მხოლოდ გესტაციურ სუროგაციას. ტრადიციული სუროგაცია, ანუ სუროგატი დედის კვერცხუჯრედის განაყოფიერებით მიღებული ემბრიონის სუროგატი დედის საშვილოსნოში გადატანა, გადატანის შედეგად დაორსულების, ნაყოფის გესტაციისა და პოტენციური მშობლებისათვის ბავშვის გაჩენის მიზნით, დაუშვებლადაა მიჩნეული. უკრაინის საოჯახო კოდექსი⁹⁷⁹ ნათლად მიუთითებს, რომ სუროგაციის შესახებ კანონმდებლობა ვრცელდება მხოლოდ ისეთ შემთხვევებზე, როდესაც დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების მეშვეობით წარმოებს მეუღლეების (ქალისა და მამაკაცის) ემბრიონის გადატანა სხვა ქალის ორგანიზმში. კანონმდებლობა ზღუდავს გადასატანი ემბრიონების რაოდენობასაც, კერძოდ, რეკომენდაცია ითვალისწინებს ერთი ან ორი ემბრიონის ტრანსფერს, სამი ემბრიონის გადატანა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ პაციენტის თანხმობით, სამზე მეტი ემბრიონის გადატანა კი აკრძალულია.⁹⁸⁰

უკრაინის კანონმდებლობისგან განსხვავებით, სადაც ტრადიციული სუროგაციის აკრძალვა გამომდინარეობს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შინაარსიდან, რუსეთის კანონმდებლობა პირდაპირ განსაზღვრავს სუროგაციის ამ ფორმის დაუშვებლობას, მიუთითებს რა, რომ „სუროგატი დედა არ შეიძლება იმავდროულად იყოს კვერცხუჯრედის დონორი“⁹⁸¹. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ტრადიციული სუროგაციის განხორციელებას და ამ გზით სუროგატი დედის მიერ ბავშვის გაჩენას, არ გამოიყენება გესტაციური სუროგაციის მომწესრიგებელი

⁹⁷⁸ Khazova O., Russia, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 315.

⁹⁷⁹ Семейный Кодекс Украины, от 01.01.2004, Статья 123 (2).

⁹⁸⁰ Druzenko G., Ukraine, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 360-361.

⁹⁸¹ Федеральный Закон “Об основах Охраны Здоровья Граждан в Российской Федерации”, 21.11.2011, N 323-ФЗ, Статья 55.10.

ნორმები, რომელთა საფუძველზეც პოტენციურ მშობლებს ბავშვის იურიდიულ მშობლად რეგისტრაციის უფლება ეძლევათ განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების პირობით.

უკრაინაში დასაშვებია სუროგაციისას კვერცხუჯრედის ან სპერმის დონორის გამოყენება იმ პირობით, რომ პოტენციურ მშობელთაგან ერთს მაინც ექნება გენეტიკური კავშირი სუროგაციის გზით დაბადებულ ბავშვთან. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, სუროგატი დედის ორგანიზმში გადასატანი ემბრიონის ფორმირება უნდა განხორციელდეს ორივე ან ერთი პოტენციური მშობლის გამეტით. რუსეთში საკანონმდებლო ნორმები დონორის გამეტების გამოყენების შესაძლებლობასთან დაკავშირებით გარკვეული ხარვეზებით ხასიათდება. კერძოდ, „რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის საფუძვლების შესახებ“ 2011 წლის კანონის მიღებამდე არსებული რეგულაციები საერთოდ არ აწესებდა შეზღუდვას კვერცხუჯრედის ან სპერმის დონორის გამეტების გამოყენებაზე, რაც არაპირდაპირ უშვებდა ამ ფორმით სუროგაციის განხორციელების შესაძლებლობასაც, მათ შორის იმ შემთხვევებშიც, როდესაც სუროგატი დედის საშვილოსნოში გადასატანი ემბრიონის შექმნა ხდებოდა მხოლოდ დონორის გამეტებით. „რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის საფუძვლების შესახებ“ 2011 წლის კანონის ფორმულირება ამ თვალსაზრისით არ არის ნათელი და გასაგები - კანონის შესაბამისად, სუროგატული დედობა განისაზღვრება, როგორც „ბავშვის გესტაცია და შობა ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც გაფორმებულია სუროგატ დედისა (ქალს, რომელიც დონორის ემბრიონის გადატანის შედეგად ახდენს ნაყოფის გესტაციას) და პოტენციურ მშობლებს (რომელთა გამეტები იქნა გამოყენებული განაყოფიერებისათვის) ან მარტოხელა ქალს შორის, რომელთათვისაც ბავშვის გესტაცია და შობა შეუძლებელია სამედიცინო ჩვენებებით“⁹⁸². ამ ნორმის ლიტერალური ინტერპრეტაციით დონორის გამეტების გამოყენების უფლება სუროგაციისას შეუძლია მხოლოდ მარტოხელა ქალს, ხოლო წყვილისათვის სუროგაცია დასაშვებია მხოლოდ საკუთარი გამეტების განაყოფიერებით მიღებული ემბრიონის სუროგატი

⁹⁸² Федеральный Закон “Об Основах Охраны Здоровья Граждан в Российской Федерации”, 21.11.2011, N 323-ФЗ, Статья 55.9. ორიგინალი რუსული ტექსტი: “Суррогатное материнство представляет собой вынашивание и рождение ребенка (в том числе преждевременные роды) по договору, заключаемому между суррогатной матерью (женщиной, вынашивающей плод после переноса донорского эмбриона) и потенциальными родителями, чьи половые клетки использовались для оплодотворения, либо одинокой женщиной, для которых вынашивание и рождение ребенка невозможно по медицинским показаниям”.

დედის საშვილოსნოში გადატანის გზით. 2011 წლის კანონის ამგვარი ფორმულირების მიუხედავად, პრაქტიკაში სიტუაცია არ შეცვლილა და უშვილო წყვილებისათვის კანონის ამოქმედების შემდგომაც წარმოებს სუროგაციის პროგრამებში დონორების გამეტების გამოყენება შესაბამისი სამედიცინო ჩვენებების არსებობის საფუძველზე⁹⁸³.

უკრაინისა და რუსეთის კანონმდებლობაში არ არსებობს ნორმები კომერციული სუროგაციის პირდაპირი დასაშვებობის შესახებ. ორივე ქვეყანაში კანონმდებლობა ღიად ტოვებს სუროგატი დედისათვის გადასახდელ თანხებთან დაკავშირებულ საკითხს, რაც თავისთავად გულისხმობს კომერციული სუროგაციის დაშვებას და ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის ფარგლებში სუროგატი დედისათვის კომპენსაციისა თუ სხვა სახის გადასახადების გადახდის შესახებ საკითხის განსაზღვრის უფლების მინიჭებას სუროგაციის ხელშეკრულების მხარეებისათვის⁹⁸⁴. ამგვარი მიდგომა, ბუნებრივია, რომ ამ ქვეყნების, განსაკუთრებით უკრაინის⁹⁸⁵, მიმზიდველობას განაპირობებს იმ სახელმწიფოების მოქალაქეებისათვის, სადაც სუროგაცია იკრძალება ან მისი განხორციელება ამ პირებისათვის ფინანსური თვალსაზრისით მიუღებელია.

4.2.3. მშობლის იურიდიული სტატუსის განსაზღვრა

მიუხედავად იმისა, რომ განხილული ორივე ქვეყნისათვის დამახასიათებელია სუროგაციის აღსრულების გამარტივებული პროცედურა - პოტენციური მშობლებისათვის მშობლის იურიდიული სტატუსის მინიჭება მხოლოდ ადმინისტრაციული გზით სასამართლოს სავალდებულო ჩარევის გარეშე, დაბადების რეგისტრაციის განმახორციელებელი ორგანოს მიერ

⁹⁸³ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 336-337.

⁹⁸⁴ Khazova O., Russia, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 318; Gennadiy Druzenko, Ukraine in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 358.

⁹⁸⁵ უცხოელებისათვის უკრაინის მიმზიდველობას უფრო მეტად განაპირობებს ამ ქვეყანაში არსებული სამართლებრივი ნორმები პოტენციური მშობლებისათვის იურიდიული მშობლების სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებით. დეტალურად იხილეთ წინამდებარე თავის 4.2.3. ქვეთავი.

სათანადო დოკუმენტების წარდგენის შემთხვევაში, არსებითად განსხვავებულია ის ძირითადი პრინციპი, რომელსაც ეფუძნება, ერთი მხრივ, უკრაინისა და, მეორე მხრივ, რუსეთის კანონმდებლობა სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის იურიდიული მშობლების განსაზღვრისათვის.

უკრაინის საოჯახო კოდექსის შესაბამისად დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების განხორციელების შედეგად დაბადებული ბავშვის მშობლებად მიიჩნევიან პოტენციური მშობლები, ხოლო სუროგატ დედას არ აქვს ბავშვის მშობლად ცნობის უფლება⁹⁸⁶. აღნიშნულის მიუხედავად, უკრაინაში მოქმედი სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტით პოტენციური მშობლების ბავშვის იურიდიულ მშობლებად რეგისტრაციისათვის, აუცილებელია, სუროგატი დედის მიერ ამ რეგისტრაციაზე ნოტარიულად დამონშებული თანხმობის მარეგისტრირებელ ორგანოში წარდგენა. მიიჩნევენ, რომ ასეთი თანხმობის არარსებობის შემთხვევაშიც უკრაინის სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას პოტენციური მშობლების სასარგებლოდ, ვინაიდან „უკრაინაში მოქმედი იურიდიული დოქტრინის შესაბამისად საოჯახო კოდექსის (ისევე, როგორც სხვა კოდექსების) დებულებებს გააჩნიათ უპირატესობა ადმინისტრაციულ რეგულაციებთან შედარებით“⁹⁸⁷, უკრაინის საოჯახო კოდექსი კი სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის მშობლებად პოტენციურ მშობლებს მიიჩნევს და მათი იურიდიულ მშობლებად აღიარებისათვის არ ითხოვს სუროგატი დედის ნოტარიულად დამონშებული თანხმობის არსებობას.

განსხვავებულია სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის იურიდიული მშობლის დადგენის საკითხთან დაკავშირებული რეგულაციები რუსეთის კანონმდებლობით. ეს რეგულაციები ეფუძნება პრინციპს, რომლის შესაბამისადაც, ზოგადი წესის მიხედვით, ბავშვის დედად მიიჩნევა მისი გამჩენი ქალი. კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით განხორციელებული სუროგაციის შემთხვევაში კი პოტენციური მშობლისათვის მშობლის იურიდიული სტატუსის მინიჭება შესაძლებელია მხოლოდ ბავშვის გამჩენი ქალის - სუროგატი დედის თანხმობით, რაც ნიშნავს იმას, რომ სუროგატ დედას გააჩნია უფლება, მიიღოს გადაწყვეტილება, გასცეს ეს თანხმობა ან დაიტოვოს ბავშვი და შეინარჩუნოს

⁹⁸⁶ Druzenko G., Ukraine, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 358.

⁹⁸⁷ იქვე.

მშობლის იურიდიული სტატუსი⁹⁸⁸. რუსეთის საოჯახო კოდექსის ამ რეგულაციის რუსეთის კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა 2012 წელს. აღნიშნულ საქმეში სუროგატმა დედამ უარი განაცხადა, გაეცა თანხმობა პოტენციური მშობლების ბავშვის მშობლებად რეგისტრაციაზე და თავად დარეგისტრირდა ბავშვის იურიდიულ დედად. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა საოჯახო კოდექსის სადავო ნორმის კონსტიტუციურობა და არ დააკმაყოფილა პოტენციური მშობლების განაცხადი⁹⁸⁹.

რუსეთისა და უკრაინის კანონმდებლობის ზემოაღნიშნული განსხვავებების გამო, ბუნებრივია, რომ სუროგაციის განხორციელების მსურველი პოტენციური მშობლებისათვის უკრაინა უფრო მიმზიდველი რეგულაციების მქონე ქვეყნად განიხილება⁹⁹⁰.

5. შუალედური დასკვნა

სუროგაციის მონაწილედ გვექვეყნების, სუროგაციის მიმართ შედარებით ნეიტრალური დამოკიდებულების მქონე ქვეყნებისა და სუროგაციის მეგობარი ქვეყნების ჯგუფებში განხილული სახელმწიფოებისა და აშშ-ის სხვადასხვა შტატის საკანონმდებლო თუ სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შედეგად ცხადია, რომ სუროგაციის მიმართ არამართო სახელმწიფოების, არამედ ერთი სახელმწიფოს შიგნით არსებული შტატებისა თუ ტერიტორიების მიდგომები რადიკალურად განსხვავებული შეიძლება იყოს, რაც ერთმანეთისაგან განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს უკავშირდება სუროგაციის აღსრულების თვალსაზრისით.

ანტისუროგაციული ქვეყნების ჯგუფში განხილული ქვეყნების კანონმდებლობის, სახელმწიფო პოლიტიკისა და რამდენიმე სასამართლოს

⁹⁸⁸Khazova O., Russia, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 318; Druzenko G., Ukraine, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 313. მითითებულია: Семейный кодекс Российской Федерации, 29.12.1995 N 223-ФЗ, 51.

⁹⁸⁹ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 334-335.

⁹⁹⁰ იქვე.

გადანწყვეტილების ანალიზით, შეიძლება დავასკვნათ, რომ განსაკუთრებული ანტი-სუროგაციული დამოკიდებულებით გამოირჩევა გერმანია და იტალია, საფრანგეთში გარკვეული ნიშნებია კანონმდებლობის შერბილების მცდელობის თვალსაზრისით. შედარებით „მეგობრული“ დამოკიდებულება აქვს ესპანეთს საზღვარგარეთ ლეგალურად განხორციელებული სუროგაციის მიმართ, თუ ბავშვის დაბადების რეგისტრაცია ესპანეთში ხორციელდება. ჩინეთსა და აშშ-ის შტატ ნიუ იორკში სუროგაციის მიმართ დამოკიდებულება შედარებით „მსუბუქია“ როგორც კანონმდებლობის, ასევე სასამართლო პრეცედენტის კუთხითაც. მიჩიგანი კი სუროგაციის კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დანესების თვალსაზრისით ყველაზე მკაცრი სანქციებით გამოირჩევა.

სუროგაციის მიმართ შედარებით ნეიტრალური დამოკიდებულების მქონე ქვეყანათა ჯგუფში განხილული საბერძნეთსა და სამხრეთ აფრიკაში ძირეულად მსგავსი მოდელი, რომლითაც რეგულირდება ალტრუისტული სუროგაციის დაშვებისა და სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის მშობლის სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხები, გარკვეულწილად ხელს უწყობს სუროგაციის განხორციელებას. საჯაროსამართლებრივი კონტროლი სუროგაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე წარმოებს მხოლოდ სუროგაციის ფაქტობრივად განხორციელებამდე სასამართლოს მიერ და შემდგომი ადმინისტრაციული ზედამხედველობა ხელშეკრულების აღსრულებაზე აღარ ხორციელდება, ისევე, როგორც აღარ არის საჭირო დამატებითი თანხმობა პოტენციური მშობლების მიერ მშობლის სტატუსის მოსაპოვებლად, რაც უფრო მეტად აადვილებს სუროგაციის მხარეთა ნების რეალურად შესრულებას. ამასთან, სასამართლოს *ex ante* კონტროლი სამხრეთ აფრიკაში, საბერძნეთისაგან განსხვავებით, მაღალი ხარისხით ხასიათდება, ვინაიდან წარმოებს არსებული გარემოებების კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, რაც, ბუნებრივია, მეტად უწყობს ხელს კანონის დარღვევის შემთხვევების გამოვლენას და კანონშესაბამისი სუროგაციის განხორციელებას. თუმცა, გაერთიანებული სამეფოსა და ავსტრალიის მსგავსად, სადაც, ასევე იკრძალება კომერციული სუროგაცია, შესწავლილ ლიტერატურაში სხვადასხვა ავტორთა მიერ განხორციელებული საბერძნეთისა და სამხრეთ აფრიკის კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ

სუროგაციის მხოლოდ ალტრუისტული მიზნებით განხორციელების მოთხოვნა ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ფიქციაა.

რაც შეეხება გაერთიანებულ სამეფოსა და ავსტრალიას, სადაც ალტრუისტული სუროგაციის განსახორციელებლად სასამართლოს წინასწარი ავტორიზაცია არ მოითხოვება, პოტენციური მშობლების მიერ მშობლის ორდერის მოსაპოვებლად აუცილებელი ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც საერთოა გაერთიანებული სამეფოსა და ავსტრალიის უმეტესი იურისდიქციისათვის, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი სახით:

- სუროგაცია არ არის კომერციული;
- პოტენციური მშობლები არიან ამ კონკრეტული ქვეყნის რეზიდენტები ან მათი საცხოვრებელი ადგილი ამ ქვეყანაშია;
- სუროგატი დედა და მისი მეუღლე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დათანხმდნენ მშობლის უფლებების გადაცემას;
- განაცხადი წარდგენილია ბავშვის დაბადებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადაში;
- გადამწყვეტია ბავშვის საუკეთესო ინტერესები.

სუროგაციის მომწესრიგებელი გაერთიანებულ სამეფოსა და ავსტრალიის საკანონმდებლო ანალიზი ცხადყოფს, რომ შვილად აყვანის გართულებული პროცედურის გვერდის ავლით, შესაძლებელია, პოტენციური მშობლების მიერ სუროგაციის შედეგად დაბადებულ ბავშვზე იურიდიული მშობლის სტატუსის მოპოვება, თუმცა, არც ეს პროცესია მარტივი, ვინაიდან სტატუსის მიღებისათვის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები გარკვეულწილად უახლოვდება შვილად აყვანისათვის არსებული მოთხოვნების გარკვეულ ნაწილს. სუროგაციის შემლუღვით დაშვების მიუხედავად, ორივე ამ ქვეყანაში მოქმედებს პრინციპი, რომლის მიხედვითაც ბავშვის დედად მიიჩნევა ქალი, რომელმაც ბავშვი შვა. ერთეული, კანონით პირდაპირ განსაზღვრული გამონაკლისების გარდა, მშობლის ამ სტატუსის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს მიერ სუროგატი დედის თანხმობის შემთხვევაში მხოლოდ ბავშვის დაბადების შემდგომ (თუ სუროგატ დედას ჰყავს მეუღლე, მშობლის სტატუსის გადასაცემად აუცილებელია, ასევე, მისი თანხმობის გაცხადებაც). თუმცა, ამ პირობების არსებობა თავისთავად არ არის საკმარისი მშობლის სტატუსის ცვლილებისათვის, ვინაიდან პოტენციურ მშობლებს მოუწევთ სასამართლოს წინაშე ამტკიცონ კანონის დამატებითი ფორმალური მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ის სახელმწიფოები და აშშ-ის შტატები, სადაც კომერციული სუროგაცია არ არის რეგულირებული, ხასიათდება იმით, რომ უმეტესწილად სამართლებრივი გაურკვევლობაა სუროგაციული შეთანხმებების აღსრულების თვალსაზრისით. ძირითადად სუროგაცია სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს და პოტენციურ მშობლებს უწევთ შვილად აყვანის პროცედურების წარმოება ამ გზით დაბადებული ბავშვების იურიდიული მშობლების სტატუსის მოსაპოვებლად. აშშ-ის ზოგიერთ შტატში კი სუროგაციის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმების არარსებობის მიუხედავად, გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულებები შეიძლება აღსრულდეს სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე.

ისრაელი იმ მცირეოდენ სახელმწიფოთა რიცხვს მიეკუთვნება, სადაც სუროგაცია კანონმდებლობით პირდაპირ დაიშვება, თუმცა, იგი უნიკალურად უნდა მივიჩნიოთ რელიგიური შეხედულებების საფუძველზე ჩამოყალიბებული რიგი სამართლებრივი მოთხოვნებისა და სახელმწიფო კონტროლის მექანიზმების არსებობის გამო, რომლითაც ზედამხედველობა ხორციელდება როგორც სუროგაციის დანყებაზე, ასევე მისი განხორციელების პერიოდში და ბავშვის დაბადების შემდგომაც. არსებობს მოსაზრება, რომ „ისრაელის კანონი აღწევს კარგ ბალანსს, ერთი მხრივ, უშვილო ქალებისა და მათი პარტნიორების პრობლემების გადაჭრასა და, მეორე მხრივ, ექსპლუატაციასა და არაეთიკურ პრაქტიკებს შორის“⁹⁹¹. უდავოა, რომ სუროგაციის პროცესის ადმინისტრაციული კონტროლით ისრაელის სახელმწიფო სუროგაციის პროცესის ბოროტად გამოყენების შემთხვევების მინიმალიზაციას ახდენს, თუმცა, სხვა საკითხია, რამდენად არის ბალანსი დაცული ამ შემთხვევებსა და სუროგაციის მონაწილე მხარეთა ინტერესებს შორის სახელმწიფოს ამგვარი მძლავრი სახელმწიფო ზედამხედველობის არსებობის პირობებში მხარეთა კერძო ინტერესების, ავტონომიისა და კონფიდენციალურობის პრინციპებიდან გამომდინარე.

აშშ-ის „სუროგაციის მეგობარ“ შტატებს შორის განხილული კალიფორნიის სამართლებრივი რეგულაციებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ კალიფორნიას კომერციული სუროგაციის განხორციელების თვალსაზრისით გააჩნია ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი იურისდიქცია, ვინაიდან სუროგაციის ხელშეკრულების აღსასრულებლად კანონით დადგენილი მოთხოვნები მინიმალურია. კანონმდებლობა არ

⁹⁹¹ Schuz R., The Right to Parenthood: Surrogacy and Frozen Embryos, in: International Survey of Family Law, Edited by A. Bainham, 1996, 254.

განსაზღვრავს შეზღუდვებს სუროგატ დედასთან ან პოტენციურ მშობლებთან მიმართებით მათი ასაკის, საცხოვრებელი ადგილის, სამედიცინო ან ფსიქოლოგიური შემონჯების ვალდებულების ან სუროგაციის განსახორციელებლად აუცილებელი სამედიცინო დასკვნის არსებობის თვალსაზრისით. სუროგაციაზე წვდომის უფლება აქვს როგორც ჰეტეროსექსუალ, ასევე, ერთნაირსქესიან წყვილს, როგორც პოტენციურ მშობლებს, მათ შორის რეგისტრირებული ქორწინების არსებობის მიუხედავად. პოტენციური მშობელი შეიძლება იყოს მარტოხელა პირიც. დასაშვებია სუროგატი დედისათვის კომპენსაციის გადახდა, ისევე, როგორც სუროგაციის ან დონაციის საშუამავლო სააგენტოების საქმიანობა სარგებლის მიღების მიზნით, მათ შორის, მათ მიერ თავიანთი საქმიანობის რეკლამირება. სუროგაცია შეიძლება განხორციელდეს როგორც სპერმისა და კვერცხუჯრედის, ასევე, ემბრიონის დონაციის საფუძველზე და არ მოითხოვება გენეტიკური კავშირის არსებობა ბავშვსა და პოტენციურ მშობელს ან მშობლებს შორის.

კალიფორნიის მსგავსად, სუროგაციის მარეგულირებელი 2017 წლის აშშ-ის შტატ კოლუმბიის ოლქის კანონმდებლობა ძირითადად ბაზირებულია კანონის დაცვით გაფორმებული სუროგაციის ხელშეკრულებაში ასახული მხარეთა განზრახვის არსებობაზე. ეს კი წარმოადგენს პოტენციური მშობლებისათვის მშობლის იურიდიული სტატუსის განსაზღვრის საფუძველს და ამ სტატუსის დადგენისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება გესტაციასა და გენეტიკას, მათ შორის ტრადიციული სუროგაციის შემთხვევაშიც, თუმცა, ტრადიციული სუროგაციისას კანონმდებლობა ორდერის გაცემის განსხვავებულ წესს ითვალისწინებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ რეგულაციები მიმართულია სუროგაციის ხელშესაწყობად და მხარეებისათვის ამარტივებს ამ პროცესის განხორციელებას, რის გამოც კოლუმბიის ოლქი ეწერება აშშ-ის იმ შტატებისა და მსოფლიოს იმ ქვეყანათა ჯგუფში, რომელიც „სუროგაციის მეგობარ“ იურისდიქციებად განიხილებიან.

აშშ-ის ტეხასისა და იუტას შტატების სუროგაციის მარეგულირებელი კანონმდებლობა აღიარებს რა მხოლოდ გესტაციურ სუროგაციას, „სუროგაციის მეგობარი“ სხვა ზოგიერთი შტატის, მაგალითად, კალიფორნიის, ილინოისისა და კოლუმბიის ოლქის, კანონმდებლობასთან შედარებით უფრო მკაცრი რეგულაციებით გამოირჩევა, რითაც ხელშეკრულების გაფორმებაში დონორების მონაწილეობის სავალდებულოობის, სუროგაციის ფორმების შეზღუდვის, პოტენციური

მშობლებისა და გესტაციური სუროგატის მიმართ დამატებითი მოთხოვნების დაწესებით გარკვეულწილად ზღუდავს სუროგაციაზე წვდომის შესაძლებლობას. ამასთან, ორივე შტატში კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნა, რომ დამხმარე რეპროდუქციის პროცესში დონორის გამეტის გამოყენებისას სუროგაციის ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს პოტენციურ მშობლებს, სუროგატ დედასა და დონორს შორის, ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის სუროგაციისას ანონიმური დონორის ჩართვის შესაძლებლობას, რაც არ არის გამართლებული, მიუხედავად იმისა, რომ ტეხასსა და იუტაშიც სუროგაციის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია კონფიდენციალურად მიიჩნევა და უთანაბრდება შვილად აყვანის საქმეებზე არსებული კონფიდენციალურობის დაცვის სტანდარტს.

თუ შევადარებთ „ილინოისის კანონს“ „სუროგაციის მეგობარი“ სხვა იმ შტატების კანონებთან, სადაც პოტენციური მშობლების მშობლის იურიდიული სტატუსი, უმრავლეს შემთხვევაში, დგინდება სასამართლოს მიერ გაცემული ორდერით, ცხადი ხდება, რომ ილინოისის კანონისეული ნორმები გვთავაზობენ სუროგაციის მონესრიგების განსხვავებულ მოდელს, ვინაიდან, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს ფუნქციას, დაადასტუროს სუროგაციის ხელშეკრულების ნამდვილობა, ილინოისში „ითავსებენ“ ადვოკატები. ცხადია, რომ, ამ თვალსაზრისით, ილინოისის სუროგაციის კანონმდებლობა აშშ-ის სამართლებრივ სივრცეში უნიკალურად უნდა მივიჩნიოთ. ამასთან, ამგვარი მექანიზმი, რომლითაც სუროგაციის განხორციელებისას სახელმწიფო ჩარევა ფაქტობრივად მინიმალურია, სუროგაციის პროცესს ერთგვარად ამარტივებს, თუმცა, ამასთანავე, აწესებს მთელ რიგ მოთხოვნებს სუროგაციის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის.

ილინოისის მსგავსად, გამარტივებულია სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის მშობლებად პოტენციური მშობლების აღიარების პროცედურა სუროგაციის მეგობარ ქვეყნებში - უკრაინასა და რუსეთშიც, იმ თვალსაზრისით, რომ ამგვარი აღიარებისათვის სასამართლოს ორდერი ან გადაწყვეტილება არ მოითხოვება. თუმცა, უკრაინისა და რუსეთის კანონმდებლობის შედარებითი ანალიზით, ნათელია, რომ სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის იურიდიულ მშობლებად პოტენციური მშობლების რეგისტრაციის დადგენილი წესი განსხვავდება ამ ორ ქვეყანაში ძირეულად იმით, რომ უკრაინაში ბავშვის მშობლებად აღიარებისათვის კანონი უპირატესობას პოტენციურ მშობლებს ანიჭებს, მაშინ, როდესაც რუსეთში

პოტენციური მშობლების ბავშვის იურიდიულ მშობლებად რეგისტრაციისათვის გადამწყვეტია ბავშვის გამჩენი ქალის - სუროგატი დედის ნება. სწორედ ამიტომ, ბუნებრივია, რომ სუროგაციის განხორციელების მსურველი პოტენციური მშობლებისათვის უკრაინა უფრო მიმზიდველი რეგულაციების მექონე ქვეყნად მიიჩნევა.

1. სუროგაციის სამართლებრივი რეგულირება საქართველოში

საქართველო თავისუფლად შეიძლება მივაკუთვნოთ სუროგაციის მიმართ ე.წ. „მეგობრულად განწყობილ“ ქვეყანათა ჯგუფს, ხოლო ამ ჯგუფის ქვეკატეგორიაში გარკვეული კრიტერიუმების საფუძველზე იგი, ასევე, შეიძლება მოიაზრებოდეს იმ სახელმწიფოთა ჯგუფში, სადაც სუროგაცია რეგულირდება კანონმდებლობით. თუმცა, თუ განვიხილავთ იმ მცირეოდენ და საკმაოდ ხარვეზიან რეგულაციებს, რასაც დღეს მოქმედი საქართველოს კანონმდებლობა გვთავაზობს სუროგაციასა და, ზოგადად, დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებთან მიმართებით, დასკვნის გაკეთება იმასთან დაკავშირებით, რომ იმ ვიტრო განაყოფიერების ეს მეთოდები კანონმდებლობით რეგულირებულია, გადაჭარბებული იქნებოდა.

1.1. რეგულაციური სისტემის ზოგადი მიმოხილვა

საქართველოში დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებთან ან მის რომელიმე მეთოდთან, მათ შორის სუროგაციასთან, დაკავშირებული საკითხების მომწესრიგებელი სპეციალური კანონი არ არსებობს. ამ ტექნოლოგიებისა და სუროგაციის მხოლოდ მცირეოდენ ასპექტებს ეხება საქართველოს შემდეგი ნორმატიული აქტები: კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“⁹⁹², კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“⁹⁹³, კანონი „სამოქალაქო აქტების შესახებ“⁹⁹⁴, ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“⁹⁹⁵, კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“⁹⁹⁶, კანონი „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის

⁹⁹² საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, მიღების თარიღი: 10.12.1997, მუხლი 141, მუხლი 143 და მუხლი 144.

⁹⁹³ საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, მიღების თარიღი: 05.05.2000, მუხლი 22.

⁹⁹⁴ საქართველოს კანონი „სამოქალაქო აქტების შესახებ“, მიღების თარიღი: 20.12.2011, მუხლი 30.

⁹⁹⁵ საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ, მიღების თარიღი: 30.04.2014, მუხლი 10.

⁹⁹⁶ საქართველოს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, მიღების თარიღი: 05.03.2014; ძალაში შესვლის თარიღი: 01.09.2014, მუხლი 49¹.

წესების შესახებ⁹⁹⁷, საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანება „საქართველოში ექსტრაკორპორული განაყოფიერების (სუროგაციის) გზით დაბადებული ბავშვის საქართველოდან გასვლის წესის დამტკიცების თაობაზე“⁹⁹⁸, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება „ზოგიერთი სამედიცინო ჩარევის ჩატარებამდე პაციენტისაგან წერილობითი ინფორმირებული თანხმობის მიღების შესახებ“⁹⁹⁹, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“¹⁰⁰⁰ და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის და საქართველოს იუსტიციის მინისტრის ერთობლივი ბრძანება „დაბადებისა და გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობების რეკვიზიტების, ფორმების, მათი შევსებისა და გაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“¹⁰⁰¹. საქართველოს კანონმდებლობაში სერიოზულ ვაკუუმად შეიძლება მივიჩნიოთ სუროგაციასა და დონაციასთან დაკავშირებული მშობლის იურიდიული სტატუსისა და უფლება-მოვალეობების მომწესრიგებელი ნორმების არარსებობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საოჯახო სამართლის თავში¹⁰⁰², დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაციის დარღვევაზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაუთვალისწინებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში¹⁰⁰³, სუროგაციასა და დონაციასთან დაკავშირებული

⁹⁹⁷ საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“, მიღების თარიღი: 07.12.1993.

⁹⁹⁸ საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანება „საქართველოში ექსტრაკორპორული განაყოფიერების (სუროგაციის) გზით დაბადებული ბავშვის საქართველოდან გასვლის წესის დამტკიცების თაობაზე“, №133-№144; მიღების თარიღი: 11.04.2016.

⁹⁹⁹ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება „ზოგიერთი სამედიცინო ჩარევის ჩატარებამდე პაციენტისაგან წერილობითი ინფორმირებული თანხმობის მიღების შესახებ“, #238/ნ, მიღების თარიღი: 05.12.2000, მუხლი 1.

¹⁰⁰⁰ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“, მიღების თარიღი: 31.01.2012, #18, მუხლი 16, მუხლი 19.

¹⁰⁰¹ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის და საქართველოს იუსტიციის მინისტრის ერთობლივი ბრძანება „დაბადებისა და გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობების რეკვიზიტების, ფორმების, მათი შევსებისა და გაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“, მიღების თარიღი: 31.01.2012, #01-56-#19, დანართი #3, მუხლი 2.12.

¹⁰⁰² საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მიღების თარიღი: 26.06.1997.

¹⁰⁰³ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მიღების თარიღი: 22.07.1999.

მშობლის იურიდიული სტატუსის დადგენასთან დაკავშირებული პროცესის მარეგულირებელი ნორმების არარსებობა უდავო წარმოების შესახებ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში¹⁰⁰⁴ და იურიდიული სტატუსის მქონე მშობლების გარეშე დარჩენილი სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის მეურვეობისა და მზრუნველობის შესახებ სპეციალური ნორმების განუსაზღვრელობა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებაში¹⁰⁰⁵.

1.2. ტერმინთა განმარტებების არარსებობა და გამოყენებული ტერმინების ხარვეზები საქართველოს კანონმდებლობაში

დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებთან შემხებლობაში მყოფ საქართველოს ნორმატიულ აქტებში არათუ არ გვხვდება ამ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ისეთი ტერმინების მითითება, რომლებიც სამედიცინო და სამართლებრივ სფეროში აღიარებულია და ფართოდ გამოიყენება (მაგ., „დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიები“, „ინ ვიტრო განაყოფიერება“, „სუროგაცია“, „გამეტა“, „დონაცია“ და ა.შ.), აქტებში გამოყენებული, სამედიცინო ხასიათის ინფორმაციის შემცველი რამოდენიმე ტერმინი განმარტების გარეშეა წარმოდგენილი. ეს სერიოზული ხარვეზია, ვინაიდან მართებული და არაორაზროვანი სამართლებრივი მონესრიგების უზრუნველსაყოფად კანონმდებლობის მიზნებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ტერმინების შინაარსის საკანონმდებლო განსაზღვრა, რომლებიც სპეციფიკურია, ეხება სამედიცინო პროცედურებს და, რომელთა შეუსაბამო გამოყენებამ ამა თუ იმ ნორმის ფორმულირებაში განსხვავებული სამართლებრივი შედეგები შეიძლება დააყენოს. სწორედ ასეთ პრობლემას ვაწყდებით ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონში, რომელიც ძირითად ნორმატიულ აქტად უნდა იქნას მიჩნეული საქართველოში დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ფუნდამენტური საკითხების რეგულაციის თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კანონის მხოლოდ სამი მუხლის მწირი

¹⁰⁰⁴ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მიღების თარიღი: 14.11.1997.

¹⁰⁰⁵ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“, მიღების თარიღი: 27.06.2007, #190/6.

ჩანაწერი¹⁰⁰⁶ ეხება ტექნოლოგიების დასაშვებობას გარკვეული პირობების დადგენით, სამივე მათგანი, ტექნოლოგიის მეთოდების აღწერის გარეშე, იყენებს სამ სხვადასხვა ტერმინს - „განაყოფიერება“¹⁰⁰⁷, „ხელოვნური განაყოფიერება“¹⁰⁰⁸ და „ექსტრაკორპორული განაყოფიერება“¹⁰⁰⁹. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ექსტრაკორპორული განაყოფიერება“ დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიის ამ სახეობის აღსანიშნავად გამოიყენება მხოლოდ რუსულენოვან ლიტერატურასა და სამედიცინო ტერმინოლოგიაში, ზოგადად კი ფართოდ მიღებულია მისი აღნიშვნა ტერმინით „ინ ვიტრო (*in vitro*) განაყოფიერება“. ამდენად, მიზანშეწონილია, საქართველოს საკანონმდებლო სივრცეშიც „ექსტრაკორპორული განაყოფიერების“ ნაცვლად დაინერგოს ტერმინი „ინ ვიტრო განაყოფიერება“. ბუნდოვანების თავიდან აცილების მიზნით და იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კანონმდებლობა მითითებას ახდენს ექსტრაკორპორულ განაყოფიერებაზე, წინამდებარე თავში საქართველოში სუროგატისა და, ზოგადად, დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი ნორმების ანალიზისას, ზოგიერთ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება ტერმინი ექსტრაკორპორული განაყოფიერება ინ ვიტრო განაყოფიერების ნაცვლად.

ერთი მხრივ, კანონის 141-ე მუხლი, რომელიც ადგენს, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი სპერმის დონაციით სამედიცინო პროცედურის წარმოება, დონორის სპერმის გამოყენების დასაშვებ პროცედურას მოიხსენიებს როგორც „განაყოფიერება“, უფრო კონკრეტულად, ადგენს შემთხვევებს, როდესაც „განაყოფიერება დონორის სპერმით ნებადართულია“¹⁰¹⁰. მეორე მხრივ, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის 144-ე მუხლი, რომელიც ორი წინადადებით ცდილობს დაარეგულიროს

¹⁰⁰⁶ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 141-ე მუხლი, 143-ე მუხლი, 144-ე მუხლი.

¹⁰⁰⁷ იქვე, 141-ე მუხლი, 143-ე მუხლი, 141-ე მუხლი.

¹⁰⁰⁸ იქვე, კანონის 141-ე მუხლი, 143-ე მუხლი, 144-ე მუხლი.

¹⁰⁰⁹ იქვე, 141-ე მუხლი, 143-ე მუხლი, 144-ე მუხლი.

¹⁰¹⁰ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 141-ე მუხლი: „განაყოფიერება დონორის სპერმით ნებადართულია: ა) უშვილობის გამო, ქმრის მხრიდან გენეტიკური დაავადების გადაცემის რისკის არსებობისას, ან მარტოხელა ქალის განაყოფიერებისათვის, თუ მიღებულია უშვილო წყვილის ან მარტოხელა ქალის წერილობითი თანხმობა. ბავშვის დაბადების შემთხვევაში უშვილო წყვილი ან მარტოხელა ქალი ითვლება მშობლებად, აქედან გამომდინარე პასუხისმგებლობით და უფლებამოსილებით. დონორს არა აქვს განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვის მამად ცნობის უფლება“.

ემბრიონებისა და „სასქესო უჯრედების“ გაყინვის - კონსერვაციის საკითხი, კონსერვირებული ამ მასალის გამოყენებას დასაშვებად მიიჩნევს „ხელოვნური განაყოფიერების მიზნით“¹⁰¹¹. მოცემულ შემთხვევაში კანონი სამედიცინო პროცედურის აღსანიშნავად იყენებს 141-ე მუხლისაგან განსხვავებულ ტერმინს - „ხელოვნური განაყოფიერება“ და 141-ე მუხლის მსგავსად არ ახდენს ამ მეთოდის აღწერასა თუ განსაზღვრას. ნებადართული პროცედურის მიმართ განსხვავებული ტერმინი - „ექსტრაკორპორული განაყოფიერება“ შემოაქვს კანონმდებელს ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის 143-ე მუხლში ამ ტერმინით განსაზღვრული მეთოდის კონკრეტიზაციის გარეშე¹⁰¹² და მისი „ნებადართულობის“ ერთ-ერთ შემთხვევად განსაზღვრავს „განაყოფიერების შედეგად მიღებული ემბრიონის სხვა ქალის („სუროგატული დედას“) საშვილოსნოში გადატანის და გამოზრდის“¹⁰¹³ გზას.

ამრიგად, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონი დასაშვებ სამედიცინო პროცედურებთან მიმართებით იყენებს სამ ტერმინს: „განაყოფიერება“, „ხელოვნური განაყოფიერება“ და „ექსტრაკორპორული განაყოფიერება“. იმის გასარკვევად, თუ დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების ან ზოგადად სამედიცინო დახმარებით რეპროდუქციის რომელი მეთოდებია ნებადართული საქართველოს კანონმდებლობით და ეს უკანასკნელი რა პირობებს ადგენს მათ განსახორციელებლად, პირველ რიგში, კანონისეული განმარტების არარსებობის პირობებში, უნდა დადგინდეს დასაშვები პროცედურების მიმართ კანონის მიერ გამოყენებული ტერმინების შინაარსი.

¹⁰¹¹ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 144-ე მუხლი: „ხელოვნური განაყოფიერების მიზნით შესაძლებელია გაყინვის მეთოდით კონსერვირებული ქალის და მამაკაცის სასქესო უჯრედების ან ემბრიონის გამოყენება. კონსერვაციის დრო განისაზღვრება წყვილის სურვილისამებრ, დადგენილი წესით“.

¹⁰¹² „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 143-ე მუხლი: „1. ექსტრაკორპორული განაყოფიერება ნებადართულია: ა) უშიშროების მკურნალობის მიზნით, აგრეთვე, ცოლის ან ქმრის მხრიდან გენეტიკური დაავადების გადაცემის რისკის არსებობისას, წყვილის ან დონორის სასქესო უჯრედების ან ემბრიონის გამოყენებით, თუ მიღებულია წყვილის წერილობითი თანხმობა; ბ) თუ ქალს არა აქვს საშვილოსნო, განაყოფიერების შედეგად მიღებული ემბრიონის სხვა ქალის („სუროგატული დედას“) საშვილოსნოში გადატანის და გამოზრდის გზით; წყვილის წერილობითი თანხმობა აუცილებელია. 2. ბავშვის დაბადების შემთხვევაში წყვილი ითვლება მშობლებად, აქედან გამომდინარე პასუხისმგებლობით და უფლებამოსილებით; დონორს ან „სუროგატულ დედას“ არა აქვს დაბადებული ბავშვის მშობლად ცნობის უფლება“.

¹⁰¹³ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 143-ე მუხლი.

„განაყოფიერება“¹⁰¹⁴ განისაზღვრება, როგორც სპერმატოზოიდის შეღწევალობა კვერცხუჯრედში და მათი გენეტიკური მასალის კომბინაცია, რაც იწვევს ზიგოტის წარმოქმნას. თავად ზიგოტა კი კვერცხუჯრედისა და სპერმატოზოიდის შერწყმის შედეგად ჩამოყალიბებული დიპლოიდური უჯრედია, რომლის შემდგომი დაყოფის შედეგადაც იქმნება ემბრიონი¹⁰¹⁵.

ზემოაღნიშნული განმარტებით, ნათელია, რომ ტერმინი „განაყოფიერება“ ფართო მნიშვნელობისაა, შეიძლება აღნიშნავდეს როგორც ბუნებრივი განაყოფიერების, ასევე, ხელოვნური განაყოფიერების პროცესს, მათ შორის ინ ვიტრო განაყოფიერებასა და საშვილოსნოსშიდა ინსემინაციასაც და ამ ტერმინის მითითება კანონის ნორმაში „განაყოფიერების“ პროცედურის კონკრეტიზაციის გარეშე არ არის მიზანშეწონილი. განაყოფიერება იმდენად ფართო ტერმინია, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროებს კონკრეტიზაციას, თუ საუბარია სამედიცინო პროცედურით განაყოფიერების წარმოებაზე. თუმცა, ვინაიდან ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის 141-ე მუხლში აღნიშნული ეს ტერმინი გამოყენებულია იმ პროცესის აღსანიშნავად, რომელიც „დონორის სპერმით“ ხორციელდება, ინტერპრეტაციის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ კანონმდებელი მოცემულ შემთხვევაში გულისხმობს განაყოფიერებას ხელოვნურად და არა სექსუალური კავშირის შედეგის პროცესს, და, შესაბამისად, უნდა მოიაზრებდეს ისეთ სამედიცინო პროცედურებს, როგორცაა საშვილოსნოსშიდა ინსემინაცია და ინ ვიტრო განაყოფიერება, რომლის შედეგადაც ან რომლითაც წარმოებს დონორის სპერმისა და უშვილო ქალის - პოტენციური დედის კუთვნილი კვერცხუჯრედის შერწყმის პროცესი. არსებობს სხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობაც, რომ კანონმდებელი ტერმინ „განაყოფიერებაში“ გულისხმობს ისეთი სახის ტექნოლოგიის გამოყენებას, რომელიც ექსტრაკორპორულად არ ხორციელდება, მაგ., საშვილოსნოსშიდა ინსემინაცია, ვინაიდან კანონი ექსტრაკორპორული განაყოფიერების შემთხვევებს ცალკე მუხლად გამოყოფს¹⁰¹⁶. ამგვარი ინტერპრეტაცია თავისთავად ნიშნავს იმას, რომ 141-ე მუხლით განსაზღვრულ მარტოხელა

¹⁰¹⁴ ინგლისურად - fertilisation; რუსულად - оплодотворение; ლათინურად. Fertilisatio. იხ. სამედიცინო ტერმინოლოგიის ქართულ-ინგლისურ-რუსულ-ლათინური განმარტებითი ლექსიკონი. <<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=13&t=2601>> [12.11.2017].

¹⁰¹⁵ იხ. Zegers-Hochschild F., Adamson G. D., Mouzon J. de., Ishihara O., Mansour R., Nygren K., Sullivan E., Vanderpoel S., The International Committee for Monitoring Assisted Reproductive Technology (ICMART) and the World Health Organization (WHO) Revised Glossary on ART Terminology, Fertility & Sterility, Vol. 92, No. 5, 2009, 1522, 1524.

¹⁰¹⁶ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 143-ე მუხლი.

ქალს ექსტრაკორპორულ განაყოფიერებაზე წვდომის უფლება არ აქვს, ვინაიდან ამგვარი განაყოფიერება 143-ე მუხლით ნებადართულია მხოლოდ წყვილისთვის. მსგავსი განმარტება არ უნდა ჩაითვალოს მიზანშეწონილად იქიდან გამომდინარე, რომ აბსულუტურად გაუგებარი ხდება მარტოხელა ქალისათვის საკუთარი კვერცხუჯრედისა და დონორის სპერმით ინ ვიტრო განაყოფიერების აკრძალვის მიზმი, როდესაც ამ გამეტებით განაყოფიერების უფლებას მას აძლევს 141-ე მუხლი¹⁰¹⁷.

ამასთან, დონორის სპერმით განაყოფიერებაზე მითითებისას, „განაყოფიერების“ ფართო მნიშვნელობისა და სპერმის დონორის განმარტების არარსებობის პირობებში, ნორმა მინიმუმ იმას მაინც უნდა განსაზღვრავდეს, რომ კანონის მიზნებისათვის „განაყოფიერება დონორის სპერმით“ სამედიცინო დაწესებულებაში განხორციელებულ განაყოფიერების პროცესს აღნიშნავს. უფრო კონკრეტულად, კანონის მიზნებისათვის უნდა გამოირიცხოს ისეთი შემთხვევა, როდესაც, მაგალითად, საშვილოსნოსშიდა ინსემინაცია, განხორციელდება სამედიცინო დაწესებულების გარეთ, ვინაიდან, ასეთ დროს მომხდარი განაყოფიერებისა და ქალის დაორსულებისას შესაძლოა წარმოიშვას ლეგიტიმური კითხვები, დაბადებული ბავშვის მამობის დადგენასთან დაკავშირებით. თუ ბავშვის გენეტიკური მამა მოითხოვს მამად ცნობას, მოთხოვნის დაკმაყოფილება არ იქნება შესაძლებელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ იგი სპერმის დონორია. სპერმის დონაციის ფაქტი კი უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი მტკიცებულებებით. სამწუხაროდ, საქართველოს კანონმდებლობა ამ საკითხებზე განმარტებებს არ იძლევა და მათ გადაწყვეტას უტოვებს სასამართლო პრაქტიკას¹⁰¹⁸.

¹⁰¹⁷ დეტალურად იხ. წინამდებარე თავის ქვეთავი 1.3.

¹⁰¹⁸ საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში, ხელმისაწვდომი ინფორმაციის შესაბამისად, არ მომხდარა ამ საკითხებთან დაკავშირებით საქმეების განხილვა და გადაწყვეტა. თუმცა, არაერთი სასამართლოს გადაწყვეტილება არსებობს იმ ქვეყნებში, სადაც დონაცია აქტიურად გამოიყენება. მაგალითად, საქმეში *McIntyre v. Crouch*, (780 P.2d 239 (1989) 98 Court of Appeals of Oregon. 462 Kevin N. McIntyre, Appellant, v. Linden CROUCH, Respondent. No. 2109-F; CA A44574. Court of Appeals of Oregon. Argued and Submitted May 18, 1988. Decided September 13, 1989) ორეგონის შტატის კანონმდებლობის საფუძველზე სასამართლომ დაადგინა, რომ სპერმის დონორს არ გააჩნდა ხელოვნური განაყოფიერების გზით დაბადებული ბავშვის მიმართ რაიმე უფლება-მოვალეობა. გამონაკლისი იქნებოდა სპერმის დონორსა და დედას შორის მამობასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობისა და უფლებების თაობაზე ხელშეკრულების არსებობა, რომელსაც სპერმის დონორი დაეყრდნობოდა მისი სპერმის დონაციისას. განსხვავებულად გადაწყვიტა საქმე კალიფორნიის სააპელაციო სასამართლომ საქმეში *Jhordan C. v. Mary K.*, (179 Cal.App.3d

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის 144-ე მუხლით კანონი აღგენს, რომ „გაყინვის მეთოდით კონსერვირებული ქალის და მამაკაცის სასქესო უჯრედების ან ემბრიონის გამოყენება“ შესაძლებელია „ხელოვნური განაყოფიერების მიზნით“¹⁰¹⁹. მოცემულ შემთხვევაში, 141-ე მუხლში გამოყენებული ტერმინი „განაყოფიერებისგან“ განსხვავებით, 144-ე მუხლი აზუსტებს „განაყოფიერებას“ და სამედიცინო პროცედურის აღსანიშნავად განსაზღვრავს ტერმინს „ხელოვნური განაყოფიერება“. განსხვავება ამ ორ ტერმინს შორის ერთადერთია - „განაყოფიერება“ მოიცავს სპერმისა და კვერცხუჯრედის შერწყმის პროცესს, რომელიც შეიძლება იყოს როგორც სექსუალური კავშირის, ასევე, დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიის განხორციელების შედეგი. „ხელოვნური განაყოფიერება“ კი გამორიცხავს სექსუალური კავშირის გზით ამ პროცესის წარმოებას და, ბუნებრივია, აღნიშნავს „განაყოფიერებას“ ხელოვნურად, ბუნებრივი პროცესის გარეშე, დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით.

როგორც აღინიშნა, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის 143-ე მუხლი უთითებს ტერმინს „ექსტრაკორპორული განაყოფიერება“ და მისი განმარტების გარეშე აღგენს განაყოფიერების ამ სახის დასაშვებობას იმავე მუხლით განსაზღვრული პირობებით. ტერმინი „ექსტრაკორპორული“¹⁰²⁰ ნიშნავს სხეულის გარეშე მომხდარ რეაქციას, აქტს, პროცესს (მაგ., ექსტრაკორპორული განაყოფიერება, დასხივება და სხვ.). ექსტრაკორპორულ განაყოფიერებაში კი იგულისხმება სინჯარაში, ინ ვიტრო განხორციელებული სპერმატოზოიდისა და კვერცხუჯრედის შერწყმა, რის შემდეგაც მიღებული ზიგოტის იმპლანტაცია ხდება საშვილოსნოში. ანუ, „ექსტრაკორპორული განაყოფიერება“ იგივეა, რაც „ინ ვიტრო განაყოფიერება“, ერთი და იგივე სამედიცინო პროცედურის ამსახველია და

386 (1986)), სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ სპერმის დონორი იყო ბავშვის მამა და მას უნდა მინიჭებოდა ბავშვის მონახულების უფლებები. სასამართლომ გადანყვეტილება დააფუძნა იმ არგუმენტაციას, რომ ბავშვის დედამ თავად მოახდინა სახლში მოსარჩელე დონორის სპერმით ინსემინაცია, კალიფორნიის კანონმდებლობის შესაბამისად კი სპერმის დონორი არ განიხილებოდა ბავშვის მამად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სპერმის დონორმა განხორციელდებოდა ხელოვნური განაყოფიერების მიზნებისათვის ლიცენზირებულ ექიმთან.

¹⁰¹⁹ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 144-ე მუხლი.

¹⁰²⁰ ინგლისურად - extracorporal, რუსულად - экстракорпоральный; ლათინურად - extracorporalis (ლათ. extra გარეშე, corpore სხეული). იხ. სამედიცინო ტერმინოლოგიის ქართულ-ინგლისურ-რუსულ-ლათინური განმარტებითი ლექსიკონი. <<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=13&t=4340>> [10.09.2017].

გულისხმობს დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიის ისეთ მეთოდს, რომლის დროსაც გამეტების განაყოფიერება წარმოებს ორგანიზმის გარეთ. თუმცა, ეს მეთოდიც ფართოა და მისი გამოყენებისას შეიძლება ჩართული იყოს როგორც სუროგატი დედა, ასევე კვერცხუჯრედის ანდა სპერმის დონორი, ვინაიდან მხოლოდ ცალკე აღებული ტერმინი „ექსტრაკორპორული განაყოფიერება“, დამატებითი პირობების განსაზღვრის გარეშე, ვერ მოახდენს კონკრეტიზაციას, თუ ვისი კუთვნილი გამეტებითაა დასაშვები განაყოფიერება და, თუ ვის ორგანიზმშია ნებადართული განაყოფიერების შედეგად მიღებული ემბრიონის გადატანა. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ტერმინი „ექსტრაკორპორული განაყოფიერება“ ზოგადი მნიშვნელობით შეიძლება მოიცავდეს ინ ვიტრო განაყოფიერებას იმ გამეტებით, რომლებიც ეკუთვნის წყვილს, კვერცხუჯრედის ანდა სპერმის დონორს ან სუროგატ დედას და, რომლის შედეგადაც მიღებული ემბრიონის გადატანა შეიძლება განხორციელდეს როგორც პოტენციური დედის, ასევე სუროგატი დედის საშვილოსნოში.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე გამონაკლისის¹⁰²¹ გარდა, სუროგაციასთან შემხებლობაში მყოფი ნორმატიული აქტის არცერთი ნორმა არ ახდენს მითითებას ტერმინ „სუროგაციაზე“, შესაბამისად, არ ახდენს მისი ფორმების - ტრადიციულისა და გესტაციური სუროგაციის დიფერენცირებას და ამ მეთოდთან მიმართებით იყენებს ზოგად ტერმინს „ექსტრაკორპორული განაყოფიერება“, რომელიც, როგორც აღინიშნა, შესაძლოა, ინ ვიტრო განაყოფიერების პროცესში მოიცავდეს ან არ მოიცავდეს სუროგატი დედის ჩართვას.

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონი, ყოველგვარი განმარტების გარეშე, ასევე, აპელირებს ისეთ სპეციფიკურ ტერმინებზე, როგორიცაა „სუროგატული დედა“, „დონორი“, „სასქესო უჯრედები“¹⁰²² და „ემბრიონი“, ხოლო სამედიცინო პროცედურებით სარგებლობის უფლების მქონე პირთა

¹⁰²¹ ექსტრაკორპორული განაყოფიერების კონკრეტიზაციას ტერმინით „სუროგაცია“ ახდენს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-10 მუხლი; „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 49¹ ; „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ საქართველოს კანონი; „საქართველოში ექსტრაკორპორული განაყოფიერების (სუროგაციის) გზით დაბადებული ბავშვის საქართველოდან გასვლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანება.

¹⁰²² „სასქესო უჯრედებზე“ მითითებისას კანონი არ იყენებს მედიცინაში დამკვიდრებულ ტერმინს „გამეტას“, რომელიც გულისხმობს ქალის კვერცხუჯრედს ან მამაკაცის სპერმას, თუმცა, ტერმინ „სასქესო უჯრედები“ ეს მოიაზრება.

განსაზღვრისას, ასევე, განმარტების გარეშე იყენებს ტერმინებს „წყვილი“, „ცოლი“ და „ქმარი“. შედეგად, სახეზეა დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების სხვადასხვა ასპექტის მარეგულირებელი, „მშრალად“ და მწირედ ფორმულირებული სამართლებრივი ნორმები და გამოყენებული სპეციფიკური ტერმინების შინაარსის განუსაზღვრელობის პირობებში, ამ ნორმების ანალიზისას იბადება კითხვები მათი შემუშავებელი კანონმდებლის განზრახვის დასადგენად, ისევე, როგორც, წარმოიშვება კანონისეული დებულებების განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობა¹⁰²³.

1.3. საქართველოს კანონმდებლობით დასაშვები დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიები

საქართველოს კანონმდებლობის ხარვეზიანი ნორმების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დადგინდეს, რომ საქართველოში ნებადართულია ინ ვიტრო განაყოფიერების წარმოება შემდეგი სახით: ინ ვიტრო განაყოფიერება წყვილის ან დონორის სასქესო უჯრედების ან ემბრიონის გამოყენებით, „განაყოფიერება დონორის სპერმით“, ინ ვიტრო განაყოფიერება სუროგატის გზით და ინ ვიტრო განაყოფიერების პროცესში გაყინული გამეტების ან ემბრიონის გამოყენება.

1.3.1. ინ ვიტრო განაყოფიერება წყვილის ან დონორის სასქესო უჯრედების ან ემბრიონის გამოყენებით

სათაურიდან გამომდინარე, ცხადია, რომ „ინ ვიტრო განაყოფიერება წყვილის ან დონორის სასქესო უჯრედების ან ემბრიონის გამოყენებით“ შეიძლება განხორციელდეს დონორის ან დონორების მონაწილეობით, ასევე, მისი ან მათი მონაწილეობის გარეშე.

ა. ინ ვიტრო განაყოფიერება წყვილის სასქესო უჯრედების ან ემბრიონის გამოყენებით

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის 143-ე მუხლის შესაბამისად „ექსტრაკორპორული განაყოფიერება ნებადართულია... წყვილის...

¹⁰²³ ნორმების ინტერპრეტაციასა და ხარვეზებთან დაკავშირებით დეტალურად იხ. წინამდებარე თავის 1.3. ქვეთავი.

სასქესო უჯრედების ან ემბრიონის გამოყენებით¹⁰²⁴. შესაბამისად, დასაშვებად მიიჩნევა ისეთი სამედიცინო პროცედურა, როდესაც ინ ვიტრო განაყოფიერება წარმოებს დონორისა და სუროგატი დედის მონაწილეობის გარეშე, წყვილის გამეტებით მიიღება ემბრიონი, რომელიც გადაიტანება გენეტიკური დედისვე საშვილოსნოში. ამ მეთოდის შედეგად ნაყოფის გესტაციას და ბავშვის შობას ახდენს პოტენციური დედა და დაბადებული ბავშვი ორივე პოტენციური მშობლის გენეტიკური შვილია.

ამ პროცედურის განხორციელების სავალდებულო წინაპირობად კანონმდებლობა მიიჩნევს წყვილის უშვილობის ან „ცოლის ან ქმრის მხრიდან გენეტიკური დაავადების გადაცემის რისკის“ არსებობის შესახებ დიაგნოზს, ისევე, როგორც ამ სამედიცინო მეთოდის განსახორციელებლად წყვილის წერილობითი თანხმობის მიღებას. ამასთან, პროცედურით სარგებლობის უფლება აქვს მხოლოდ წყვილს, როგორც პოტენციურ მშობლებს.¹⁰²⁵

ბ. ინ ვიტრო განაყოფიერება კვერცხუჯრედის ან სპერმის დონორის გამოყენებით

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის 143-ე მუხლის შესაბამისად „ექსტრაკორპორული განაყოფიერება ნებადართულია... წყვილის ან დონორის სასქესო უჯრედების ან ემბრიონის გამოყენებით“¹⁰²⁶. შესაბამისად, დასაშვებად მიიჩნევა ისეთი სამედიცინო პროცედურა, როდესაც ინ ვიტრო განაყოფიერება წარმოებს სპერმის ან კვერცხუჯრედის დონორის გამეტისა და წყვილიდან ერთ-ერთის - ქალის ან მამაკაცის გამეტის განაყოფიერებით მიღებული ემბრიონის პოტენციური დედის საშვილოსნოში გადატანის გზით. ამ მეთოდის შედეგად ნაყოფის გესტაციას და ბავშვის შობას ახდენს პოტენციური დედა, ხოლო დაბადებულ ბავშვს გენეტიკური კავშირი აქვს მხოლოდ ერთ-ერთ პოტენციურ მშობელთან.

ამ პროცედურის განხორციელების სავალდებულო წინაპირობად კანონმდებლობა მიიჩნევს წყვილის უშვილობის ან „ცოლის ან ქმრის მხრიდან გენეტიკური დაავადების გადაცემის რისკის“ არსებობის შესახებ დიაგნოზს, ისევე, როგორც ამ სამედიცინო მეთოდის განსახორციელებლად

¹⁰²⁴ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 143-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

¹⁰²⁵ იქვე.

¹⁰²⁶ იქვე.

წყვილის წერილობითი თანხმობის მიღებას. ამასთან, ამ პროცედურით სარგებლობის უფლება აქვს მხოლოდ წყვილს, როგორც პოტენციურ მშობლებს¹⁰²⁷.

გ. ინ ვიტრო განაყოფიერება კვერცხუჯრედის დონორისა და სპერმის დონორის გამოყენებით

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის 143-ე მუხლში აღნიშნული ფორმულირება „ექსტრაკორპორული განაყოფიერება ნებადართულია.. წყვილის ან დონორის სასქესო უჯრედების ან ემბრიონის გამოყენებით“ ბუნდოვანია, თუმცა, იძლევა იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ კანონი უშვებს ინ ვიტრო განაყოფიერებას, როდესაც ემბრიონი მიიღება დონორი მამაკაცისა და დონორი ქალის გამეტების განაყოფიერებით და გადაიტანება პოტენციური დედის საშვილოსნოში. ამ დროს ბავშვს არ აქვს გენეტიკური კავშირი არცერთ მშობელთან, თუმცა, დედას გააჩნია გესტაციული კავშირი ბავშვთან - დედა ორსულდება ემბრიონის გადატანის შედეგად, მუცლად ატარებს და აჩენს ბავშვს. მოცემულ შემთხვევაშიც სავალდებულოა წყვილის უშვილობის ან „ცოლის ან ქმრის მხრიდან გენეტიკური დაავადების გადაცემის რისკის“ შესახებ სამედიცინო ჩვენება, ისევე, როგორც ამ სამედიცინო მეთოდის განსახორციელებლად წყვილის წერილობითი თანხმობის მიღება. ამასთან, პროცედურით სარგებლობის უფლება აქვს მხოლოდ წყვილს, როგორც პოტენციურ მშობლებს¹⁰²⁸.

1.3.2. „განაყოფიერება დონორის სპერმით“

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის 141-ე მუხლი დასაშვებად მიიჩნევს და განცალკევებულად მიუთითებს დონორის სპერმით განაყოფიერების შესაძლებლობას როგორც წყვილის¹⁰²⁹, ასევე, მარტოხელა ქალისათვის. კანონის ერთ-ერთი ხარვეზი იმაში მდგომარეობს, რომ იგი 141-ე მუხლით ცალკე გამოყოფს დონორის სპერმით განაყოფიერების

¹⁰²⁷ იქვე.

¹⁰²⁸ იქვე.

¹⁰²⁹ საქართველოს კანონმდებლობაში ინ ვიტრო განაყოფიერებაზე მითითებისას ზოგ შემთხვევაში გამოიყენება ტერმინი „ქმარი“, „ცოლი“, ზოგ შემთხვევაში კი - „წყვილი“, რაც განსხვავებული ინტერპრეტაციების შესაძლებლობას იძლევა და, შესაბამისად, შეუძლებელია ცალსახად იმის მტკიცება, რომ კანონმდებლობა ითხოვს დონაცის ან სუროგატის შემთხვევაში პოტენციურ მშობლებთან მიმართებით მათ რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნას.

დასაშვებობას, 143-ე მუხლში კი განცალკევებულად აყალიბებს იმ შემთხვევებს, როდესაც „ექსტრაკორპორული განაყოფიერება ნებადართულია“. ამგვარი ფორმულირებები, ბუნებრივია, აჩენს კითხვას: 143-ე მუხლში ექსტრაკორპორული განაყოფიერების შემთხვევების ჩამოყალიბება ხომ არ არის ამომწურავი და 141-ე მუხლში აღნიშნული „განაყოფიერება დონორის სპერმით“ ხომ არ ეხება მხოლოდ განაყოფიერების იმ მეთოდებს, რომელიც ინ ვიტრო (ექსტრაკორპორული) გზით არ ხორციელდება?¹⁰³⁰ მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ შემთხვევაში ნორმა არ აკონკრეტებს „განაყოფიერების“ პროცედურას და ცალსახად არ ახდენს მითითებას „ექსტრაკორპორულ განაყოფიერებაზე“, ტერმინი „განაყოფიერების“ ფართო მნიშვნელობიდან გამომდინარე, იგი უნდა მოიცავდეს ექსტრაკორპორული ანუ ინ ვიტრო განაყოფიერების მეთოდსაც. თუ დავუშვებთ, რომ 141-ე მუხლში ნებადართული დონორის სპერმით განაყოფიერება ეხება მხოლოდ განაყოფიერების იმ მეთოდს, რომლითაც განაყოფიერება ექსტრაკორპორულად არ ხდება, ვინაიდან ამ უკანასკნელის განხორციელების პირობები ცალკეა დადგენილი 143-ე მუხლში, ვანყდებით შეზღუდვის დაწესების გაუმართლებელ შემთხვევას მარტოხელა ქალთან მიმართებით. კერძოდ, თუ 141-ე მუხლი დასაშვებად მიიჩნევს მარტოხელა ქალის ორსულობას დონორის სპერმის გამოყენებით განხორციელებული საშვილოსნოსშიდა ინსემინაციის გზით, რა მიზეზის გამო შეიძლება აკრძალოს მარტოხელა ქალს დონორის სპერმით ინ ვიტრო განაყოფიერების პროცედურაზე წვდომა, რომლის შედეგადაც, ასევე, მიიღება მისი ორსულობა? ამ აკრძალვის მიზეზი ვერ იქნება გამართლებული და დასაბუთებული, ვინაიდან ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიის განხორციელებას, სადაც მონაწილეობას იღებენ ერთი და იგივე სტატუსის მქონე პირები - მარტოხელა ქალი, როგორც პოტენციური დედა და სპერმის დონორი. განსხვავება მხოლოდ ტექნოლოგიის სამედიცინო მეთოდებშია, რომელთაც იდენტური შედეგები აქვთ ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით.

დონორის სპერმის გამოყენების უფლება განაყოფიერების პროცესში აქვს არამართო წყვილს, არამედ მარტოხელა ქალსაც, თუ არსებობს შემდეგი წინაპირობები: სამედიცინო ჩვენება დონაციის გამოყენებისათვის: უშვილობა

¹⁰³⁰ მაგ., საშვილოსნოსშიდა ინსემინაცია.

ან ქმრის მხრიდან გენეტიკური დაავადების გადაცემის რისკი და უშვილო წყვილის ან მარტოხელა ქალის წერილობითი თანხმობა¹⁰³¹.

საქართველოს კანონმდებლობა ღუმს ისეთი შემთხვევის გამოყენების შესაძლებლობაზე, რომლის დროსაც მარტოხელა ქალის, როგორც პოტენციური მშობლის, სასარგებლოდ ინარმოებს დონორის კვერცხუჯრედისა და დონორის სპერმით ინ ვიტრო განაყოფიერების პროცედურა, მიღებული ემბრიონის გადატანა კი მოხდება მარტოხელა ქალის საშვილოსნოში. ამ შემთხვევაში, ბავშვის გამჩენი ქალი მარტოხელა დედაა, რომელსაც გენეტიკური კავშირი ბავშვთან არ აქვს. იმის გათვალისწინებით, რომ ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონმა აირჩია იმ პროცედურების ამომწურავად ჩამოყალიბება, რომლებიც საქართველოში ნებადართულია, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ პროცედურის განხორციელების შესაძლებლობას საქართველოს კანონმდებლობა არ იძლევა. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, საკითხი დგება გაუმართლებელ შეზღუდვაზე. თუ წყვილის შემთხვევაში დასაშვებია ინ ვიტრო განაყოფიერება სპერმისა და კვერცხუჯრედის დონორების გამოყენებით იმ პირობით, რომ მიღებული ემბრიონის გესტაციას მოახდენს პოტენციური დედა, გაურკვეველია, კანონმდებლის მიერ იგივე პროცედურის წარმოების შესაძლებლობა მარტოხელა ქალის, როგორც პოტენციური დედის სასარგებლოდ.

1.3.3. ინ ვიტრო განაყოფიერება სუროგაციის გზით

ა. დასაშვები სუროგაციის ფორმა

საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს ტერმინს „სუროგაცია“. რაც შეეხება, თვით სუროგაციის აღმნიშვნელ პროცედურას, მასთან მიმართებით ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის 143-ე მუხლი საკმაოდ „სიტყვაძუნწია“ და განსაზღვრავს მხოლოდ იმას, რომ „ექსტრაკორპორული განაყოფიერება ნებადართულია... თუ ქალს არა აქვს საშვილოსნო, განაყოფიერების შედეგად მიღებული ემბრიონის სხვა ქალის

¹⁰³¹ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 141-ე მუხლი. აქვე აღსანიშნავია, რომ 2010 წლის 21 ივლისის კანონით „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე ამოღებული იქნა 141-ე მუხლის „ბ“ პუნქტი, რომლითაც დონაცია (დონორის სპერმით განაყოფიერება) შეიძლებოდა განხორციელებულიყო „მხოლოდ სათანადო ლიცენზიის მქონე დანესებულებაში“, თუ მას ატარებდა „შესაბამისი ლიცენზიის მქონე ექიმი“.

(„სუროგატული დედის“) საშვილოსნოში გადატანის და გამოზრდის გზით¹⁰³². ამ ფორმულირების შესაბამისად, სუროგაციის განსახორციელებლად კანონი სავალდებულო წინაპირობად წყვილის წერილობით თანხმობასთან ერთად განსაზღვრავს მხოლოდ „ქალის“ - პოტენციური დედის საშვილოსნოს არარსებობას, რასაც სამედიცინო თვალსაზრისით სრულიად სამართლიანად მიიჩნევენ ხარვეზიან ჩანაწერად, რადგან სამედიცინო პროცედურაში სუროგატი დედის ჩართვა შეიძლება აუცილებელი გახდეს იმ „ქალისთვისაც“, რომელსაც, მართალია, ფიზიკურად გააჩნია საშვილოსნო, თუმცა, სამედიცინო ჩვენების შესაბამისად, მისი საშვილოსნო ვერ მოახდენს ემბრიონის მიმაგრებას ან ნაყოფის გამოზრდას ან თუ ორსულობა მის ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხის რისკის ქვეშ აყენებს. მედიცინის სპეციალისტები პრაქტიკაში კანონის ამგვარი ფორმულირების მათეული განმარტებისას უთითებენ, რომ „საშვილოსნოს არქონა“ სამედიცინო თვალსაზრისით უტოლდება შემთხვევას, როდესაც ქალის საშვილოსნო სამედიცინო თვალსაზრისით არაფუნქციურია ემბრიონის მიმაგრების, ნაყოფის გამოზრდისა და შენარჩუნებისათვის ან ქალის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მისი ჯანმრთელობისათვის რისკის არსებობის გამო ორსულობა არ არის რეკომენდირებული¹⁰³³.

კანონის აღნიშნული მუხლის განმარტებიდან გამომდინარე, საკმაოდ რთულია ცალსახად საუბარი იმაზე, თუ სუროგაციის რა ფორმას მიიჩნევენ დასაშვებად კანონმდებლობა. ცალსახად შეიძლება ინტერპრეტაცია გაკეთდეს სრული და ნაწილობრივი გესტაციური სუროგაციის სასარგებლოდ. რაც შეეხება ტრადიციულ სუროგაციას, კანონი ცალსახად არ კრძალავს მას, თუმცა, 143-ე მუხლში აღნიშნული ფრაზა „სხვა ქალი“, რომელიც გამოიყენება სუროგატი დედის დეფინიციისას (თუ შეიძლება საერთოდ კანონის ამგვარ ჩანაწერს დეფინიცია ეწოდოს) შეიძლება მიუთითებდეს იმაზე, რომ სუროგატ დედას არ უნდა ჰქონდეს გენეტიკური კავშირი დაბადებულ ბავშვთან.

¹⁰³² „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 143-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

¹⁰³³ მსგავსი პირობები ასახულია სუროგაციის დამშვეები არაერთი ქვეყნის კანონმდებლობით. მაგალითად, ისრაელში სუროგაციის განხორციელების ერთ-ერთი სავალდებულო მოთხოვნა სამედიცინო ჩვენებით პოტენციური დედის ორსულობის უუნარობის დადასტურებაა (მათ შორის იგულისხმება შემთხვევა, როდესაც ორსულობა სახიფათოა მისი ჯანმრთელობისთვის). იხ. წინამდებარე ნაშრომის III თავი.

საკითხი, ასევე, ისმის იმის თაობაზე, უშვებს თუ არა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონი სუროგაციის ისეთ ფორმას, როდესაც დონორი მამაკაცისა და დონორი ქალის გამეტების განაყოფიერებით მიღებული ემბრიონი გადააქვთ სუროგატი დედის საშვილოსნოში - ანუ, შემთხვევას, როდესაც პოტენციურ მშობლებს არ აქვთ გენეტიკური კავშირი დაბადებულ ბავშვთან და გესტაციური კავშირიც არ არსებობს ბავშვსა და პოტენციურ დედას შორის. კანონის არცერთი მუხლი ასეთ პირდაპირ აკრძალვას არ ითვალისწინებს, რადგან 143-ე მუხლის სუროგაციის დასაშვებობის შესახებ ჩანაწერი აპელირებს მხოლოდ „განაყოფიერების შედეგად მიღებულ ემბრიონზე“ დამატებით იმის განსაზღვრის გარეშე, თუ ვისი გამეტებით შეიძლება იყოს ეს ემბრიონი მიღებული¹⁰³⁴. იმ დაშვებას, რომ ასეთი ფორმით სუროგაცია მიღებულია საქართველოს კანონმდებლობით, ამყარებს, ასევე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ¹⁰³⁵ (შემდგომში „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანება ან „ბრძანება“), რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, ადგენს სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის დაბადების რეგისტრაციის წესს. მართალია, „ბრძანება“ ეხება მხოლოდ დაბადების რეგისტრაციას, თუმცა, რეგისტრაციის მიზნებისათვის სავალდებულოდ წარსადგენი დოკუმენტაციის, მათ შორის, „ექსტრაკორპორულ განაყოფიერებამდე“ სანოტარო წესით გაფორმებული ხელშეკრულების, განსაზღვრისას, ასევე, აყალიბებს იმ პირთა წრეს, რომლებიც შეიძლება იყვნენ ამ ხელშეკრულების მხარეები და განსაზღვრავს იმ პირებს, ვინც მიიჩნევა ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში მშობლად ჩასაწერ პირებად¹⁰³⁶.

¹⁰³⁴ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 143-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი: „ექსტრაკორპორული განაყოფიერება ნებადართულია თუ ქალს არა აქვს საშვილოსნო, განაყოფიერების შედეგად მიღებული ემბრიონის სხვა ქალის („სუროგატული დედა“) საშვილოსნოში გადატანის და გამოზრდის გზით“.

¹⁰³⁵ „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება.

¹⁰³⁶ „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება. მე-19 მუხლი: „ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვის დაბადების რეგისტრაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ საბუთებთან და ემბრიონის იმპლანტაციისთანავე სამედიცინო დანვსებულების მიერ გაცემულ ექსტრაკორპორული განაყოფიერების დამადასტურებელ საბუთთან ერთად სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს უნდა წარედგინოს:

ბ) ექსტრაკორპორულ განაყოფიერებამდე დადებული, სანოტარო წესით დამონმებული ხელშეკრულება;

„ბრძანების“ საფუძველზე ხელშეკრულების მიმართ დადგენილი მოთხოვნების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია იმ დასკვის გაკეთება, რომ სუროგატი დედის მიერ გაჩენილი ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში მშობლებად მიეთითება: (ა) გენეტიკური მშობლები, როდესაც ადგილი აქვს სრულ გესტაციურ სუროგაციას; (ბ) პოტენციური მშობელი, რომელსაც გენეტიკური კავშირი აქვს ბავშვთან და პოტენციური მშობელი, რომელსაც არ გააჩნია გენეტიკური კავშირი ბავშვთან და, რომელმაც ისარგებლა დონორის გამეტიით ინ ვიტრო განაყოფიერებისას, ე.ი., როდესაც ადგილი აქვს ნაწილობრივ გესტაციურ სუროგაციას; და (გ) პოტენციური მშობლები, რომელთაც არ გააჩნიათ გენეტიკური კავშირი ბავშვთან და სუროგაციისას გამოყენებულია ქალი და მამაკაცი დონორების გამეტები¹⁰³⁷.

საქართველოს კანონმდებლობა არ ახდენს მითითებას კომერციული სუროგაციის აკრძალვის შესახებ, არც რაიმე აპელირებას ალტრუისტულ სუროგაციასთან მიმართებით. კანონმდებლობის ამგვარი მიდგომა თავისთავად გულისხმობს კომერციული სუროგაციის დაშვებას, რომელიც საქართველოში წლების მანძილზე არსებობს და, რომლის გამოც საქართველო იმ სახელმწიფოთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც განსაკუთრებით „მეგობრულია“ სუროგაციის მიმართ. საქართველოში აქტიურად ფუნქციონირებს სამეწარმეო იურიდიული პირის ფორმით ჩამოყალიბებული სხვადასხვა ორგანიზაციები, რომლებიც პოტენციური მშობლებისათვის საშუამავლო მომსახურებას ახორციელებენ სუროგატი დედებისა და დონორების მოძიებასა და შერჩევაში. მათი საქმიანობა სპეციალურ კონტროლსა და სახელმწიფო ზედამხედველობას არ ექვემდებარება და თავისუფლად შეუძლიათ საქმიანობის რეკლამირება საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული ზოგადი მოთხოვნების

ბ.ა) ბავშვის გამჩენ ქალსა და გენეტიკურ მშობლებს შორის; ან

ბ.ბ) ბავშვის გამჩენ ქალს, გენეტიკურ მშობელს, დაბადების აქტის ჩანაწერში ბავშვის მშობლად ჩასაწერ შირსა (რომელიც არ არის ბავშვის გენეტიკური მშობელი) და დონორს შორის; ან

ბ.გ) ბავშვის გამჩენ ქალს, წყვილსა და დონორებს შორის.

2. ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვის მშობლებად მიიჩნევიან:

ა) გენეტიკური მშობლები;

ბ) გენეტიკური მშობელი და ხელშეკრულების საფუძველზე დაბადების აქტის ჩანაწერში მშობლად ჩასაწერი პირი;

გ) წყვილი“.

¹⁰³⁷ იხ. „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანების მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტი, მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

შესაბამისად. მსგავსი რეალობა ხელს უწყობს საქართველოში სამედიცინო ტურიზმის ზრდას და განსაკუთრებით მიმზიდველია უცხოელი უშვილო წყვილებისათვის ძირითადად იმის გამო, რომ სუროგატი დედისა და დონორის მოძიება, ისევე, როგორც სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის იურიდიული მშობლების განსაზღვრის ადმინისტრაციული პროცედურა შედარებით მარტივად ხორციელდება. ამასთან, სუროგაციასთან დაკავშირებული ხარჯები, რაც მოიცავს როგორც სამედიცინო მომსახურების, ასევე სუროგატი დედისა და საშუამავლო სააგენტოებისათვის გადასახდელ თანხებს, „სუროგაციის მეგობარ“ ზოგიერთ სხვა ქვეყანაში წარმოებული სუროგაციის ხარჯებთან შედარებით ბევრად იაფია.

ბ. მოთხოვნები სუროგაციასთან დაკავშირებული პროცედურების მწარმოებელი სამედიცინო დაწესებულების მიმართ

საქართველოს კანონმდებლობა არ ადგენს სპეციალურ პირობებს იმ სამედიცინო დაწესებულების მიმართ, სადაც შესაძლებელია, ზოგადად დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების ან კონკრეტულად სუროგატი დედის ჩართულობით ინ ვიტრო განაყოფიერების განხორციელება. კანონმდებლობა რეგულაციის მიღმა ტოვებს კომპლექსური სახის დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა სამედიცინო დაწესებულების უფლებამოსილება, აწარმოოს სამედიცინო პრაქტიკა ამ ტექნოლოგიების გამოყენებით, ემბრიოლოგისა და ექიმის კვალიფიკაცია ამ პროცედურების განხორციელებაზე, ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები - ე.წ. გაიდლაინები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ემბრიოლოგებმა და სამედიცინო პერსონალმა ინ ვიტრო განაყოფიერების განხორციელების პროცესში, მათ შორის, პროცედურის ჩატარებისას დაუდევრობის ან შეცდომის მინიმინალიზაციისათვის, და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კონტროლის მექანიზმი, რომელიც გამორიცხავს თუნდაც ხარვეზიანი და მწირი რეგულაციების არსებობის პირობებში, სამედიცინო დაწესებულების არაკეთილსინდისიერ, არაეთიკურ და კანონშეუსაბამო საქმიანობას ტექნოლოგიების წარმოებისას. ამ საკითხებს არსებითი მნიშვნელობა აქვს დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების არსისა და სირთულიდან გამომდინარე, ვინაიდან ამ მეთოდების განხორციელება სამედიცინო პერსონალის მიერ განსაკუთრებულ სიფრთხილეს, დაკვირვებას, პროფესიონალიზმს და ამ სფეროში შესაბამის კვალიფიკაციას მოითხოვს.

დღესდღეობით საქართველოში ფუნქციონირებს ამ ტექნოლოგიების მწარმოებელი არაერთი სამედიცინო დანესებულება, მათ შორისაა ისეთი დანესებულებებიც, რომლებიც მაღალი ეთიკური და პროფესიული სტანდარტებით ახორციელებენ საკუთარ საქმიანობას, თუმცა, სამედიცინო საქმიანობა, რომლის დროსაც ხდება ადამიანის ბიოლოგიურ მასალასთან შეხება, ზოგადად სამედიცინო საქმიანობისათვის დადგენილ სავალდებულო პირობებთან ერთად, უნდა დაეჭვმდებაროს დამატებით რეგულაციებსა და სახელმწიფოს მიერ ერთგვარი კონტროლის სისტემას. მეორე მხრივ, ეს სისტემა არ უნდა შეიქმნას ფიქციურად, არც იმგვარად, რომ მაკონტროლებელი ორგანო არსებითად ჩაერიოს სამედიცინო დანესებულებების ფუნქციონირებაში ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. სისტემის შექმნა კომპლექსური საკითხია, რომელიც მოითხოვს არამარტო სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციას, არამედ მაკონტროლებელი ორგანოს შესაბამისი თანამდებობის პირების სპეციალურ ცოდნას დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების სფეროში.

ვინაიდან, მოქმედი კანონმდებლობა საქართველოში სუროგაციის განხორციელების ერთ-ერთ სავალდებულო პირობად განსაზღვრავს პოტენციური დედის ფიზიკურ უუნარობას, თავად მოახდინოს ორსულობა და ნაყოფის გესტაცია¹⁰³⁸ და ამ პირობის არსებობის შეფასება და დადასტურება შეუძლია მხოლოდ ექიმს, ამ უკანასკნელსა და სამედიცინო დანესებულებას მნიშვნელოვანი და პასუხსაგები ფუნქცია აკისრია - სუროგაციასთან დაკავშირებული სამედიცინო პროცედურა განახორციელოს მხოლოდ კანონით განსაზღვრული საჭიროებისას „უშვილობის“ დიაგნოზის პირობებში.

ექსტრაკორპორულ განაყოფიერებასთან მიმართებით ერთადერთი სპეციალური მოთხოვნა, რასაც კანონმდებლობა განსაზღვრავს სამედიცინო დანესებულებებისათვის, უკავშირდება ინფორმირებული თანხმობის მიღებას. კერძოდ, პაციენტის უფლებების შესახებ კანონი¹⁰³⁹ და „ზოგიერთი სამედიცინო ჩარევის ჩატარებამდე პაციენტისაგან წერილობითი ინფორმირებული თანხმობის მიღების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება¹⁰⁴⁰ მიუთითებს

¹⁰³⁸ დეტალურად იხ. წინამდებარე თავის 1.3.3. „ა“ ქვეთავი.

¹⁰³⁹ „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლი.

¹⁰⁴⁰ „ზოგიერთი სამედიცინო ჩარევის ჩატარებამდე პაციენტისაგან წერილობითი ინფორმირებული თანხმობის მიღების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების 1-ლი მუხლი.

მხოლოდ პაციენტისაგან წერილობითი ინფორმირებული თანხმობის მიღების სავალდებულობაზე ექსტრაკორპორული/ინ ვიტრო განაყოფიერების ჩატარებისათვის.

სუროგაციასთან დაკავშირებული სამედიცინო პროცესის წარმოებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამედიცინო საქმიანობის განმახორციელებელი პირის მიერ სუროგატი დედისაგან, როგორც პაციენტისაგან, ინფორმირებული თანხმობის მიღებას, რაც, მოცემულ შემთხვევაში, გულისხმობს, პაციენტის - სუროგატი დედის გათვითცნობიერებული თანხმობის გაცხადებას არამართო იმ სამედიცინო პროცედურებზე, რომლებიც სუროგაციას უკავშირდება - „საშვილოსნოს მომზადება“ ემბრიონის გადატანის მიზნით, ვაგინალური ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა, სამედიცინო კვლევების განხორციელება და ემბრიონის გადატანა, არამედ ამ პროცედურების შედეგებსა და მისი ჯანმრთელობისათვის საფრთხის არსებობის რისკებზეც, რომლებიც, მათ შორის, ეხება ორსულობას, ცხოვრების წესის ცვლილებას, ორსულობის გართულებებს, ამნიოცენტეზის¹⁰⁴¹, მრავალნაყოფიანი ორსულობისას ნაყოფის რედუქციის¹⁰⁴² ან ორსულობის შეწყვეტის საკითხებს¹⁰⁴³. შესაბამისად, სუროგატი დედის მიერ სუროგაციულ შეთანხმებაში გააზრებულად შესვლის ერთ-ერთი არსებითი ელემენტია თანხმობის გაცხადება სამედიცინო დაწესებულებაში სუროგაციის სამედიცინო ასპექტებთან დაკავშირებული ინფორმაციის ამომწურავად მიღების შემდგომ და, ამდენად, ინფორმირებული თანხმობის კონცეფცია¹⁰⁴⁴,

¹⁰⁴¹ ამნიოცენტეზი - მემკვიდრული დაავადებების პრენატალური დიაგნოსტიკის მეთოდი. ორსულობის მე-14-16 კვირიდან მე-20-22 კვირამდე იღებენ ამნიონურ სითხეს და ახდენენ მასში მყოფი უჯრედების ქრომოსომული და გენომური მუტაციების გამოვლენას ციტოგენეტიკური მეთოდით. იხ. სამედიცინო ტერმინოლოგიის ქართულ-ინგლისურ-რუსულ-ლათინური განმარტებითი ლექსიკონი. <<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=13&t=1062>> [10.11.2017].

¹⁰⁴² რედუქცია - რაიმე სტრუქტურის (ორგანოს, ქსოვილის) გამარტივება, ზომის შემცირება ან მისი სრულიად გაქრობა. იხ. სამედიცინო ტერმინოლოგიის ქართულ-ინგლისურ-რუსულ-ლათინური განმარტებითი ლექსიკონი. <<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=12&t=7290>> [10.11.2017].

¹⁰⁴³ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 25.

¹⁰⁴⁴ ინფორმირებულ თანხმობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ რეგულაციებს განამტკიცებს არაერთი საერთაშორისო და ადგილობრივი სამართლებრივი აქტი, მათ შორის „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი (IV თავი) და „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“ კონვენცია (მე-5 მუხლი). ინფორმირებულ თანხმობასთან დაკავშირებით იხ. კვანტალიანი ნ., პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის

უმნიშვნელოვანესია სუროგაციის პროცესის ინიცირებისათვის არამართო სამედიცინო, არამედ იურიდიული თვალსაზრისით.

ინფორმირებული თანხმობები სამედიცინო დაწესებულებებმა უნდა მიიღონ არამართო ინ ვიტრო განაყოფიერების, არამედ დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების ნებისმიერი მეთოდის, მაგ., საშვილოსნოსშიდა ინსემინაციის, კვერცხუჯრედის ან სპერმის ან ემბრიონის კრიოპრეზერვაციის, პრეემპლანტაციური გენეტიკური დიაგნოსტიკის, დაწყებამდე ნებისმიერი იმ პირისგან, რომელიც ამ სამედიცინო მეთოდის წარმოებაში იღებს მონაწილეობას (პოტენციური მშობელი, დონორი ანდა სუროგატი დედა).

გ. მოთხოვნები მხარეების მიმართ

ბევრი სხვა ქვეყნის, მათ შორის, „სუროგაციის მეგობარი ქვეყნების“ ადგილობრივი კანონმდებლობებისგან განსხვავებით, საქართველოს კანონმდებლობა არ აწესებს მოთხოვნას პოტენციური მშობლების ან სუროგატი დედის ასაკთან ან მოქალაქეობასთან მიმართებით, რაც ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეს აქვს უფლება იყოს პოტენციური მშობელი ან გასწიოს სუროგატული მომსახურება. ერთადერთი მოთხოვნა, რომელიც არსებობს პოტენციურ მშობლებთან მიმართებით, არის ის, რომ სუროგაციის განხორციელების უფლება ეძლევა მხოლოდ წყვილს¹⁰⁴⁵.

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონი პირდაპირ არ განსაზღვრავს, რომ მხოლოდ ჰეტეროსექსუალ წყვილს აქვს სუროგაციის განხორციელების უფლება, თუმცა, კანონში გამოყენებული ტერმინები „ქალი“ და „მამაკაცი“, „ქმარი“ და „ცოლი“ თავისთავად მოწმობს იმას, რომ ერთნაირსქესიან წყვილს ეკრძალება სუროგაციით სარგებლობა. აღნიშნული აკრძალვა გამომდინარეობს, ასევე, „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების რეგულაციებიდანაც, რადგან ბავშვის დაბადების მოწმობის მშობლების გრაფაში „მამა“ და „დედა“, ბუნებრივია, რომ ერთნაირსქესიანთა მითითება ვერ განხორციელდება.

დაცვის პერსონალის სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, თბილისი, 2014, 81-93.

¹⁰⁴⁵ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 143-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი; „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანების მე-19 მუხლი.

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის 143-ე მუხლი პოტენციურ მშობლებს შორის ქორწინების არსებობას სუროგაციის განხორციელების სავალდებულო პირობად პირდაპირ არ განსაზღვრავს. მიუხედავად ამისა, ორაზროვანია აღნიშნული მუხლის ჩანაწერი პოტენციურ მშობლებთან მიმართებით ტერმინების განსაზღვრისას. ზოგიერთ შემთხვევაში კანონი იყენებს ტერმინს „წყვილი“ ნაცვლად მეუღლეებისა, ზოგიერთ შემთხვევაში კი - ტერმინებს „ქმარი“ და „ცოლი“. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის ამ მუხლში არსებული ორაზროვნება შედარებით „გამოსწორებულია“ „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების მე-19 მუხლით, სადაც პოტენციურ მშობლებთან მიმართებით გამოყენებულია ტერმინი „წყვილი“. ამასთან, ამ ბრძანებით განსაზღვრული, ბავშვის დაბადების რეგისტრაციისათვის მოთხოვნილი დოკუმენტაციის ჩამონათვალში არ გვხვდება „წყვილის“ - იგივე პოტენციური მშობლების, რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნის დამადასტურებელი ქორწინების მონშობა. პრაქტიკაც მოწმობს იმას, რომ დღესდღეობით სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის დაბადების რეგისტრაციისას მშობლებად მიეთითება როგორც ქორწინებაში მყოფი, ასევე, ქორწინებაში არმყოფი პირები. აღნიშნულის მიუხედავად, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის ფორმულირებები ცალსახად მიუთითებს მათში არსებულ ხარვეზებზე.

დ. სუროგაციის ხელშეკრულება

სუროგაციის ხელშეკრულების შესახებ ჩანაწერი საქართველოს კანონმდებლობაში გვხვდება მხოლოდ „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების მე-19 მუხლში, რომლის მიხედვითაც სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის მშობლებად პოტენციური მშობლების რეგისტრაციისათვის სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (შემდგომში „სააგენტო“) უნდა წარედგინოს ექსტრაკორპორულ განაცხადიერებამდე სუროგაციაში მონაწილე მხარეებს შორის დადებული, სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულება.¹⁰⁴⁶ შესაბამისად, სუროგაციის ხელშეკრულებას საქართველოს კანონმდებლობა მოიხსენიებს, როგორც „ხელშეკრულებას“ მისი კონკრეტიზაციის გარეშე,¹⁰⁴⁷

¹⁰⁴⁶ „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანების მე-19 მუხლი.

¹⁰⁴⁷ საკანონმდებლო ენაზე არ არის ცნობილი ამ ხელშეკრულების სათაური და მისი დასათაურება პრაქტიკაში განსხვავებულად ხორციელდება, მაგ., „სუროგაციის

განსაზღვრავს მხოლოდ ამ ხელშეკრულების მხარეებს, ფორმას, დადების ვადას, და რეგულირების გარეშე ტოვებს მის არსებით პირობებს.

სუროგაციის ხელშეკრულების მხარეების მიმართ მოთხოვნები განისაზღვრება იმის მიხედვით, საჭიროებს თუ არა ინ ვიტრო განაყოფიერება კვერცხუჯრედის ანდა სპერმის დონორის ჩართულობას. სუროგაციის ხელშეკრულება უნდა დაიდოს, ერთი მხრივ, პოტენციურ მშობლებს - წყვილსა და, მეორე მხრივ, სუროგატ დედას შორის, თუ ინ ვიტრო განაყოფიერებისას ემბრიონის შექმნა ხდება მხოლოდ პოტენციური მშობლების გამეტებით და პოტენციური მშობლები სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის გენეტიკური მშობლები არიან. ხოლო თუ ინ ვიტრო განაყოფიერების პროცესში გამოიყენება დონორის ან დონორების გამეტები (დაბადების აქტის ჩანაწერში დედად ჩასაწერი პირის კვერცხუჯრედების დონორი ან/და დაბადების აქტის ჩანაწერში მამად ჩასაწერი პირის სპერმის დონორი), ხელშეკრულება უნდა დაიდოს, ერთი მხრივ, წყვილს (პოტენციურ მშობლებს), მეორე მხრივ, სუროგატ დედასა და, მესამე მხრივ, დონორს ან დონორებს შორის¹⁰⁴⁸.

სუროგაციის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის კანონმდებლობა არსებითად მიიჩნევს ხელშეკრულების დადების ვადასა და ფორმას. ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით და დამოწმდეს სანოტარო წესით „ექსტრაკორპორულ განაყოფიერებამდე“¹⁰⁴⁹. მოცემულ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს ექსტრაკორპორული (ინ ვიტრო) განაყოფიერების პროცესის დაწყების მომენტი, რომელიც უკავშირდება არა ემბრიონის სუროგატი დედის საშვილოსნოში გადატანას, არამედ ემბრიონის მისაღებად საჭირო შესაბამის სამედიცინო პროცედურას - კვერცხუჯრედის ასპირაციასა და მის განაყოფიერებას სპერმით¹⁰⁵⁰.

შესაბამისად, კანონმდებლობის მოთხოვნა, რომ ხელშეკრულება ნოტარიულად უნდა გაფორმდეს ექსტრაკორპორულ განაყოფიერებამდე,

ხელშეკრულება“, „სუროგატული დედობის ხელშეკრულება“, „ხელშეკრულება ემბრიონის სუროგატული დედის საშვილოსნოში გადატანისა და გამოზრდის მომსახურების შესახებ“.

¹⁰⁴⁸ „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანების მე-19 მუხლი.

¹⁰⁴⁹ იქვე.

¹⁰⁵⁰ აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში „ექსტრაკორპორულ განაყოფიერებამდე“ ხელშეკრულების ნოტარიულად გაფორმების სავალდებულო მოთხოვნის შესრულების შემთხვევისას ყურადღება ექცევა ემბრიონის გადატანის თარიღს და არა უშუალოდ განაყოფიერების პროცედურის დაწყების მომენტს.

წარმოშობს შემდეგ ობიექტურ ტექნიკურ და სამედიცინო ხასიათის პრობლემებს:

(1) შეუძლებელი ხდება პოტენციური მშობლების კუთვნილი გაყინული ემბრიონების გადატანა სუროგატი დედის საშვილოსნოში, ვინაიდან გამეტების ინ ვიტრო განაყოფიერება უკვე განხორციელებულია და განაყოფიერების შედეგად ემბრიონი უკვე მიღებულია. შესაბამისად, კანონმდებლობის მოთხოვნა ხელშეკრულების „ექსტრაკორპორულ განაყოფიერებამდე“ გაფორმების შესახებ ვერ შესრულდება, რადგან ხელშეკრულება დაიდება ექსტრაკორპორული განაყოფიერების შემდგომ ემბრიონის გადატანამდე. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონით საქართველოში ნებადართულია ქალისა და მამაკაცის გამეტების, ისევე როგორც ემბრიონის გაყინვა (კრიოპრეზერვაცია) და გაყინულ მდგომარეობაში შესაბამის ლაბორატორიულ პირობებში შენახვა ხელოვნური განაყოფიერების მიზნით შემდგომი გამოყენებისათვის¹⁰⁵¹. ამასთან, კანონი, ასევე, არ აწესებს შეზღუდვას ამ გაყინული ბიოლოგიური მასალის შენახვის ვადასთან მიმართებით. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ გაყინული ემბრიონები, რომლებიც შეიძლება მიღებული იქნას როგორც პოტენციური მშობლების, ასევე, დონორის გამეტის გამოყენებით, ხშირ შემთხვევაში, წლების განმავლობაში ინახება. თუ ინ ვიტრო განაყოფიერების დროს წყვილმა ვერ მიაღწია ორსულობას, ან ორსულობა დადგა, თუმცა, ბავშვის გაჩენის მიზნით, მათ შემდგომში გადანყვიტეს გაყინული ემბრიონების გამოყენება და ქალის - პოტენციური დედის გაუარესებული რეპროდუქციული ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მკურნალობის პროცესში სუროგატი დედა ჩაერთო, შეუძლებელი გახდება კანონმდებლობით მოთხოვნილი ხელშეკრულების დადება წყვილს, სუროგატ დედასა და დონორს ან დონორებს შორის, რადგან ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს ნოტარიულად ექსტრაკორპორულ/ინ ვიტრო განაყოფიერებამდე, ინ ვიტრო განაყოფიერების პროცესი კი წინ უსწრებს ემბრიონის გადატანის პროცესს.

(2) შესაძლებელია, ინ ვიტრო განაყოფიერების მიზნით განხორციელებული მკურნალობის პროცესში, სამედიცინო ჩვენების გამო, საჭირო გახდეს როგორც სუროგატი დედის, ასევე, გამეტების დონორის შეცვლა.

¹⁰⁵¹ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლის 144-ე: „ხელოვნური განაყოფიერების მიზნით შესაძლებელია გაყინვის მეთოდით კონსერვირებული ქალის და მამაკაცის სასქესო უჯრედების ან ემბრიონის გამოყენება. კონსერვაციის დრო განისაზღვრება წყვილის სურვილისამებრ, დადგენილი წესით“.

სუროგატი დედის შეცვლა სხვა სუროგატით, ასევე, შეიძლება სამედიცინო თვალსაზრისით აუცილებელი იყოს მას შემდეგ, როდესაც დონორის გამეტით ემბრიონი უკვე მიღებულია. ამ შემთხვევებშიც, ბუნებრივია, რომ „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების მე-19 მუხლის ჩანაწერი ექსტრაკორპორულ განაყოფიერებამდე წყვილს, სუროგატსა და დონორს ან დონორებს შორის ხელშეკრულების ნოტარიულად გაფორმების შესახებ საერთოდ არ ითვალისწინებს ინ ვიტრო განაყოფიერების სამედიცინო პროცედურის ამ შესაძლო შემთხვევებს და დონორის, როგორც ხელშეკრულების მხარის, სავალდებულო მოთხოვნის დაწესებით გაუმართლებელ და სერიოზულ პრაქტიკულ პრობლემებს ქმნის.

იმ პირობებში, როდესაც საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს სუროგაციის ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას, სრულადაა გასაზიარებელი იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ სუროგაციის ხელშეკრულება „შეიძლება მიეკუთვნოს მომსახურების ხელშეკრულებას, რომლისთვისაც შრომის შედეგის გადაცემა სავალდებულო არაა. კონტრაქტის პიროვნებას არსებითი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ხელშეკრულების დადებას შემსრულებლის ჯანმრთელობის ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა განაპირობებს“¹⁰⁵². ამასთან, სუროგაციის ხელშეკრულება მთელი რიგი ისეთი თავისებულებებით ხასიათდება ამ ხელშეკრულებით მხარეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე, რომ იგი არ შეიძლება განვიხილოთ ტიპურ კერძოსამართლებრივ გარიგებად. ხელშეკრულების საგანი არ არის მხოლოდ სუროგატი დედის მიერ სუროგაციული მომსახურების გაწევა - მის საშვილოსნოში პოტენციური მშობლების კუთვნილი ემბრიონის გადატანის შედეგად ნაყოფის გესტაცია და ამ მომსახურებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. სუროგაციის ხელშეკრულება, თავისი შედეგებით, არსებითად ცვლის იურიდიულ მშობელთა სტატუსის დასადგენ ზოგად წესს, რომლის მიხედვითაც ბავშვის დედად მისი გამჩენი ქალი მიიჩნევა. გესტაციური სუროგაციისას კი, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის „გესტაციური

¹⁰⁵² გელაშვილი ი., ჩანასახის სამოქალაქო-სამართლებრივი მდგომარეობა, თბილისი, 2012, 163. მომსახურების ხელშეკრულებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ცალკე არ არეგულირებს. მიიჩნევენ, რომ იგი ამ კოდექსით განსაზღვრული ნარდობის ხელშეკრულების ნაირსახეობაა. ნარდობის ხელშეკრულებასა და მომსახურების ხელშეკრულებას შორის განსხვავებების შესახებ იხ. ძლიერიშვილი ზ., ნარდობის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2011, 6.

მატარებელი“ და მისი „გამჩენი ქალი“ სუროგატი დედაა, მშობლად ცნობის უფლება მას არ აქვს, ვინაიდან მისი ხელოვნური გზით დაორსულება და მის მიერ ბავშვის ამქვეყნად მოვლინება ხორციელდება არა მისი მშობლად ყოფნის მიზნით, არამედ წინასწარგანზრახულად, სხვა პირებისათვის შესაძლებლობის მიცემით, გახდნენ ბავშვის მშობლები. ნათელია, რომ ამ სახის ურთიერთობას საჯაროსამართლებრივი ელემენტებიც¹⁰⁵³ ახასიათებს, ვინაიდან მის საფუძველზე იცვლება ბავშვის დაბადებისას დედობისა და მამობის დადგენის ზოგადი წესი.

ნებისმიერ შემთხვევაში სუროგაციის ხელშეკრულების მნიშვნელობიდან გამომდინარე, არამართო ამ ხელშეკრულების მხარეთა ინტერესების უკეთ დაცვისა და გათვალისწინების თვალსაზრისით, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ამ ხელშეკრულების აღსრულების შედეგად დაბადებული ბავშვის ინტერესებისათვის, საქართველოს კანონმდებლობა უნდა აყალიბებდეს ამ ხელშეკრულების არსებით პირობებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, მათ შორის, განსაზღვრავდეს მხარეთა უფლება-მოვალეობების, ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის, მხარის გარდაცვალებისა თუ პოტენციური მშობლების განქორწინების ან მათ შორის დავის სამართლებრივ შედეგებს. სუროგაციასთან დაკავშირებით არსებობს მთელი რიგი ისეთი საკითხები, რომლებიც მხარეთა ავტონომიის ფარგლებში ვერ გადაწყდება და ისინი უნდა მოწესრიგდეს კანონმდებლობით, მაგ., სუროგატი დედის უფლება კანონიერ აბორტზე, სუროგატი დედისა და პოტენციური მშობლების მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის დაუშვებლობა ემბრიონის გადატანის შემდგომ. აღნიშნულის მიუხედავად, სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში, მხარეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მათ შორის შეთანხმების შესაბამისად, განსაზღვრონ სუროგაციის შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები „კანონით დადგენილი წესრიგის ფარგლებში“¹⁰⁵⁴.

¹⁰⁵³ სუროგაციის მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის საჯაროსამართლებრივ ელემენტებზე მიუთითებს, ი. გელაშვილი. კერძოდ, ავტორის მოსაზრებით, „მიუხედავად იმისა, რომ შემკვეთ წყვილსა და სუროგატულ დედას შორის ურთიერთობა კერძოსამართლებრივი ხასიათისაა, რაც უპირველეს ყოვლისა, ნების ავტონომიითა და ურთიერთობის თანასწორუფლებიანობის მიხედვით დგინდება, იგი მოიცავს საჯაროსამართლებრივ ელემენტებსაც“. იხ. გელაშვილი ი., ჩანასახის სამოქალაქო-სამართლებრივი მდგომარეობა, თბილისი, 2012, 163.

¹⁰⁵⁴ „თავისუფლება არსებობს კანონით დადგენილი წესრიგის ფარგლებში“. იხ. ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბილისი, 2005, 286.

ე. პოტენციური მშობლების, როგორც ბავშვის იურიდიული მშობლების, სტატუსის განსაზღვრა

საქართველოში სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის იურიდიულ მშობლებად პოტენციური მშობლების განსაზღვრა ხორციელდება სასამართლო წარმოების გარეშე ადმინისტრაციული პროცედურით¹⁰⁵⁵ - დაბადების აქტის რეგისტრაციის განმახორციელებელი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ, თუ „სააგენტოში“ პოტენციური მშობლები წარადგინენ კანონმდებლობით დადგენილ სავალდებულო დოკუმენტებს: „ემბრიონის იმპლანტაციისთანავე სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემულ ექსტრაკორპორული განაყოფიერების დამადასტურებელ საბუთს“ და „ექსტრაკორპორულ განაყოფიერებამდე დადებულ“, ნოტარიულად დამოწმებულ სუროგაციის ხელშეკრულებას.¹⁰⁵⁶ ამასთან, „ბავშვის ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად დაბადების შესახებ“ უნდა მიუთითებდეს დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობა, რომელსაც ელექტრონული შეტყობინების სახით ბავშვის დაბადების ადგილის სამედიცინო სტაციონარული მომსახურების სამედიცინო დაწესებულება აგზავნის „სააგენტოში“ ბავშვის დაბადებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში¹⁰⁵⁷. ბავშვის დაბადების რეგისტრაცია ხორციელდება პოტენციური მშობლების ბავშვის იურიდიულ მშობლებად რეგისტრაციისათვის სავალდებულო დოკუმენტების წარდგენისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობის წარდგენიდან 7 კალენდარული დღის ვადაში¹⁰⁵⁸.

¹⁰⁵⁵ სასამართლოს ჩარევის გარეშე ადმინისტრაციული წესით ხდება პოტენციური მშობლების ასახვა ბავშვის დაბადების მოწმობაში რუსეთისა და უკრაინის კანონმდებლობითაც, ისევე, როგორც აშშ-ის შტატ ილინოისში. დეტალურად იხ. წინამდებარე ნაშრომის III თავი.

¹⁰⁵⁶ „სამოქალაქო აქტების“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლი: „ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად გაჩენილი ბავშვის დაბადების რეგისტრაცია ხორციელდება ამ კანონის, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად“; „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანების მე-19 მუხლი.

¹⁰⁵⁷ „დაბადებისა და გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობების რეკვიზიტების, ფორმების, მათი შევსებისა და გაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის და საქართველოს იუსტიციის მინისტრის ერთობლივი ბრძანების მე-2 მუხლი; „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანების მე-16 მუხლი.

¹⁰⁵⁸ „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანების მე-16 მუხლი.

ის, რასაც ცალსახად და არაორაზროვნად განსაზღვრავს „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონი, ისევე, როგორც „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანება არის სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის მშობლებად პოტენციური მშობლების აღიარებასთან დაკავშირებული პირდაპირი ჩანაწერი: „ბავშვის დაბადების შემთხვევაში უშვილო წყვილი ან მარტოხელა ქალი ითვლება მშობლებად, აქედან გამომდინარე პასუხისმგებლობით და უფლებამოსილებით. დონორს არა აქვს განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვის მამად ცნობის უფლება“¹⁰⁵⁹, „ბავშვის დაბადების შემთხვევაში წყვილი ითვლება მშობლებად, აქედან გამომდინარე პასუხისმგებლობით და უფლებამოსილებით; დონორს ან სუროგატულ დედას არა აქვს დაბადებული ბავშვის მშობლად ცნობის უფლება“¹⁰⁶⁰; „დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ბავშვის მშობლად დონორის ან „სუროგატული დედის“ მითითება დაუშვებელია“¹⁰⁶¹.

კანონდებლობის ზემოაღნიშნული დანაწესებიდან გამომდინარე, დონორის ან სუროგატი დედის მიერ იმ ვიტრო განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვის მშობლად ცნობასთან დაკავშირებით მოთხოვნის დაყენების შემთხვევაში, ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილება კანონიერ საფუძველს იქნება მოკლებული და პირდაპირ წინააღმდეგობაში მოვა კანონთან¹⁰⁶².

1.3.4. გაყინული გამეტების ან ემბრიონის გამოყენება იმ ვიტრო განაყოფიერების პროცესში

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის 144-ე მუხლით საქართველოში ნებადართულია როგორც ქალის ან მამაკაცის გამეტის, ასევე, ემბრიონის გაყინვა და გაყინული გამეტის ან ემბრიონის გამოყენება იმ ვიტრო განაყოფიერების პროცესში.¹⁰⁶³ კანონი არ ადგენს გაყინვის ვადას, მხოლოდ

¹⁰⁵⁹ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 141-ე მუხლი.

¹⁰⁶⁰ იქვე, 143-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁰⁶¹ „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁰⁶² წინამდებარე ნაშრომის მომზადების პერიოდში ხელმისაწვდომი ინფორმაციით მსგავს დავას საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში ადგილი არ ჰქონია.

¹⁰⁶³ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 144-ე მუხლი: „ხელოვნური განაყოფიერების მიზნით შესაძლებელია გაყინვის მეთოდით კონსერვირებული ქალის და მამაკაცის სასქესო უჯრედების ან ემბრიონის გამოყენება. კონსერვაციის დრო განისაზღვრება წყვილის სურვილისამებრ, დადგენილი წესით“.

მიუთითებს, რომ იგი განისაზღვრება წყვილის სურვილისამებრ. კანონი არ ადგენს, ასევე, იმ მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც გამეტებისა და ემბრიონების გაყინვასა და გაყინვის შემდგომ სამართლებრივ შედეგებთანაა დაკავშირებული, მაგ., წყვილის ინფორმირებული თანხმობა, გაყინულ მასალასთან დაკავშირებით წყვილს შორის დავის წარმოშობა, წყვილის გარდაცვალების შემთხვევაში გაყინული ემბრიონის ან გამეტის „სამართლებრივი ბედი“, გაყინული ემბრიონის ან გამეტის დონაციის განხორციელების წესი და ა.შ.¹⁰⁶⁴. ამ საკითხების საკანონმდებლო მოუწესრიგებლობა კანონმდებლობის ხარვეზია განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებში ემბრიონებისა და გამეტების კრიოპრეზერვაცია აქტიურად ხორციელდება¹⁰⁶⁵.

2. სუროგაციის დროს ანონიმური დონორის გამოყენების შეუძლებლობა: სუროგაციის პროცესში მონაწილე პირთა უფლებების დაცვა თუ ხელყოფა?

2.1. დონორის ანონიმურობის მნიშვნელობა სუროგაციისას

„სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ ბრძანების“ მე-19 მუხლით დადგენილი ხელშეკრულების (ექსტრაკორპორულ/ინ ვიტრო განაყოფიერებამდე სანოტარო წესით დამონმებული ხელშეკრულება წყვილს, სუროგატსა და დონორს ან დონორებს შორის) სანოტარო წესით გაფორმების შესახებ მოთხოვნა გაუმართლებელია შემდეგი გარემოებების გამო:

(1) კვერცხუჯრედის ან სპერმის დონორის გამოყენება ხშირად ხორციელდება სუროგაციის გზით ინ ვიტრო განაყოფიერების პროცესში, როდესაც წყვილიდან ერთ-ერთს - ქალს ან მამაკაცს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ესაჭიროებათ ინ ვიტრო განაყოფიერებისას დონორის გამეტების გამოყენება. უმრავლეს შემთხვევაში, დონაციის განხორციელებისას როგორც დონორის, ასევე, პოტენციური მშობლის უპირველესი განზრახვა მათ შესახებ პერსონალური ინფორმაციის

¹⁰⁶⁴ ემბრიონის გაყინვის სხვადასხვა ასპექტებთან დაკავშირებით დეტალურად იხ. გელაშვილი ი., ჩანასახის სამოქალაქო-სამართლებრივი მდგომარეობა, თბილისი, 2012.

¹⁰⁶⁵ ვინაიდან წინამდებარე ნაშრომი სუროგაციის და სუროგაციის პროცესში დონაციის სამართლებრივი პრობლემეტიკის ანალიზს ეხება, ნაშრომის ფარგლებში დეტალურად არ წარმოებს კრიოპრეზერვაციასთან დაკავშირებული საკითხების ანალიზი, რომელიც ფართო შესწავლის საგანია.

კონფიდენციალურობის დაცვაა, ანუ, ერთი მხრივ, დონორისათვის უცნობია პოტენციური მშობლების ვინაობა, ხოლო, მეორე მხრივ, პოტენციური მშობლებისთვისაც უცნობია დონორის შესახებ მონაცემები (დონორის შერჩევა წარმოებს პირის არაიდენტიფიცირებადი მონაცემების, რასა, კანის ფერი, თვალის ფერი, ეროვნება, სამედიცინო გამოკვლევები და ა.შ. საფუძველზე). სწორედ ამიტომ, ხშირ შემთხვევაში, დონორის შერჩევა პოტენციური მშობლების მიერ ხორციელდება საშუამავლო პირებისა და საშუამავლო კომპანიების, უცხოური სპერმის ბანკების მეშვეობით, რომელთაც გააჩნიათ დონორების მონაცემთა ბაზა. კონფიდენციალურობის ამ სტანდარტის არსებობა განპირობებულია არამარტო ეთიკური მოსაზრებების გამო, არამედ, პირველ რიგში, ემსახურება ბავშვის სამომავლო ინტერესებს¹⁰⁶⁶. ფაქტია, რომ სწორედ ბავშვის ინტერესებშია, დონორისათვის არ იყოს ცნობილი ინფორმაცია წყვილისა და ბავშვის თაობაზე, რომელსაც გენეტიკური კავშირი გააჩნია სწორედ დონორთან (იმ იშვიათი გამონაკლისების გარდა, როდესაც წყვილი და დონორი უშუალო ურთიერთობაში იმყოფებიან და პირდაპირ ატორმებენ ხელშეკრულებას დონაციასთან დაკავშირებით), რადგან არსებობს სერიოზული საფრთხე იმისა, რომ დონორი სამომავლოდ შეეცდება მის გენეტიკურ შვილთან ურთიერთობას. ეს კი საზიანო და სახიფათო შეიძლება აღმოჩნდეს არამარტო ბავშვის ფსიქიკისათვის და ნორმალური განვითარებისათვის, არამედ ბავშვის მშობლებისთვისაც, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც მოქმედი კანონმდებლობა სუროგაციისა და დონაციის არსებით საკითხებს ფაქტობრივად არ არეგულირებს. საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს ნორმებს დონორის მიერ კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებაზე, ისევე, როგორც არ განსაზღვრავს ამ ვალდებულების დარღვევის შედეგად მის პასუხისმგებლობას, რომელსაც შეეძლო გარკვეულწილად პრევენციული როლი ეთამაშა კონფიდენციალურობის დაცვის დარღვევის შესაკავებლად.

¹⁰⁶⁶ უმეტესი განვითარებული ქვეყნის ადგილობრივი კანონმდებლობის პოზიცია ცალსახად მიუთითებს დონორის ანონიმურობის პრინციპზე. განსხვავებული პოზიციები არსებობს მხოლოდ იმასთან დაკავშირებით, უნდა ჰქონდეს თუ არა დონაციის შედეგად დაბადებულ ბავშვს მიიღოს დონორის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ მისი სრულწლოვანების მიღწევის შემდგომ. მაგ., „შვედეთი პირველი იყო, რომელმაც 1984 წელს მიღებული კანონით აღნიშნული უფლება მიანიჭა დონაციის შედეგად დაბადებულ ბავშვებს. ამ უფლებას ითვალისწინებს, ასევე, ნორვეგიის, შვეიცარიის, დიდი ბრიტანეთისა და კანადის კანონმდებლობა“. იხ. Sauer L. Competing Interests and gamete Donation: The Case for Anonymity, Seton Hall Law Review, 92, 2009, 935. იხ. ციტირება: Frith L., Genete Donation and Anonymity: The Ethical and legal Debate, 16, 2001, 818- 819.

შედარებისათვის, შესაძლებელია შვილად აყვანასთან დაკავშირებული რეგულაციების განხილვა. შვილად აყვანის სასამართლო პროცესი დახურულია და კონფიდენციალურია ინფორმაცია შვილად აყვანასთან დაკავშირებით. სისხლის სამართლის კოდექსით¹⁰⁶⁷ განისაზღვრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნებისათვის. ანუ კანონმდებლობა შვილად აყვანასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით ითვალისწინებს და იცავს ბავშვისა და მშვილებლების ინტერესებს. ბავშვისა და მშობლების ინტერესები კი კონფიდენციალურობის დაცვის თვალსაზრისით არ არის დაცული არც დონაციასთან და არც სუროგაციასთან მიმართებით. კონფიდენციალურობის მნიშვნელობას შეეხო სწორედ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია 2015 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილებაში და აღნიშნა, რომ „მიუხედავად სპეციალური ნორმების არარსებობისა, ისევე, როგორც შვილად აყვანის საიდუმლოს გამხელისაგან ბავშვის დაცვას, ექსტრაკორპორული განაყოფიერების წესით დაბადების შესახებ ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვას და მისი გამხელისაგან ბავშვის დაცვასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. აღნიშნული კი, თავის მხრივ, ემყარება საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს - ბავშვების მიმართ განხორციელებულ ყველა მოქმედებაში უპირველესი ყურადღება დაეთმოს მისი საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას“¹⁰⁶⁸.

დონორის მონაცემების კონფიდენციალურობა და ის ფაქტი, რომ დონორის იდენტიფიცირება არ უნდა იყოს შესაძლებელი პოტენციური მშობლებისთვისაც, ასევე, ემსახურება დონორის ინტერესების დაცვასაც. დონაციის პროცესის მიზანი და არსი არის ის, რომ დონორი ახდენს მისი გამეტების დონაციას სხვა პირისათვის ისე, რომ ამ პირსა და დონორს შორის

¹⁰⁶⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 175-ე მუხლი: „შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება: 1. შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება მშვილებლის ნება-სურვილის გარეშე, - ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ექვს თვემდე. 2. იგივე ქმედება: ა) იმის მიერ, ვინც ვალდებულია დაიცვას შვილად აყვანის ფაქტი, როგორც სამსახურებრივი ან პროფესიული საიდუმლოება; ბ) რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია, - ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე“.

¹⁰⁶⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე #3/.....14, მოსამართლე ნინო ბუაჩიძე. შენიშვნა: თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილება ავტორისათვის მიწოდებული იქნა საქმის ნომრის ნაწილობრივი დაპტრიხვით.

ურთიერთობა (თუნდაც შუამავლის მეშვეობით) სრულდება დონაციის განხორციელებით და როგორც, წესი, გამოირიცხება მათი შემდგომი ურთიერთობა.

ზემოაღნიშნული არგუმენტაცია დონაციის პროცესში მონაწილე პირების შესახებ მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით აბსოლუტურად უგულვებელყოფილია „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების რეგულაციით იმასთან დაკავშირებით, რომ სანოტარო წესით უნდა დამონმდეს ხელშეკრულება დონორს, სუროგატსა და წყვილს შორის. ამ შემთხვევაში ამ პირებს შორის არამართო პირდაპირი ურთიერთობაა, არამედ მათთვის ცნობილი ხდება ერთმანეთის შესახებ პერსონალური მონაცემები.

(2) აღნიშვნის ღირსია, ასევე, ის, რომ „სააგენტოს“ მიერ სუროგატის გზით დაბადებული ბავშვის რეგისტრაციის მიზნით ინფორმაციის მიღება იმის თაობაზე, სუროგატის პროცესში გამოყენებულია თუ არა დონორი ან დონორები, საერთოდ არ ემსახურება ბავშვის დაბადების რეგისტრაციის მიზნებს. აღნიშნული ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტაცია სავალდებულოა, არსებობდეს ინ ვიტრო განაყოფიერების განმახორციელებელ სამედიცინო დაწესებულებაში და არა მარეგისტრირებელ ორგანოში. სუროგატის გარდა სხვა ნებისმიერი საშუალებით (სექსუალური კავშირი, დონორის სპერმით ინსემინაცია, ინ ვიტრო განაყოფიერება დონორის სპერმით და ა.შ.) ჩასახული ბავშვის დაბადების რეგისტრაციას „სააგენტო“ ახორციელებს ამ „საშუალების“ კვლევის გარეშე, ვინაიდან, იურიდიული მშობლების რეგისტრაციის ზოგადი წესი არ ირღვევა და ბავშვის გამჩენი ქალი მისი იურიდიული დედაა. სუროგატის შემთხვევაში, „სააგენტოს“ მიერ ბავშვის ხელოვნურად ჩასახვის შემონმების ფარგლები არ უნდა გასცდეს სუროგატს, რადგან მხოლოდ სუროგატია ინვესტს იურიდიულ დედად განსაზღვრის ზოგადი წესის ცვლილებას.

2.2. დონორთან ხელშეკრულების ნოტარიულად დამონმების მოთხოვნით გამოწვეული პრობლემატიკა

საქართველოში, როგორც წესი, უმრავლეს შემთხვევაში უშვილო წყვილები, რომელთაც ესაჭიროებათ სუროგატი დედისა და დონორის ჩართვა ინ ვიტრო განაყოფიერების წარმოებისათვის, ამ სამედიცინო პროცედურის დასაწყებად დონორისა და სუროგატის შერჩევის მიზნით

მიმართავენ სხვადასხვა საშუაშაგლო კომპანიებს, რომელთაც გააჩნიათ როგორც სუროგატი დედების, ასევე, გამეტის დონორების მონაცემთა ბაზა. ეს ორგანიზაციები არ წარმოადგენენ სამედიცინო დანესებულებებს, ისინი სთავაზობენ უშვილო პირებს დონორთან ანდა სუროგატთან საშუაშაგლო მომსახურებას, ისევე, როგორც საშუაშაგლო დახმარებას შერჩეულ სუროგატ დედასთან ანდა დონორთან შესაბამისი ხელშეკრულებების გასათორმებლად (ეს ხელშეკრულებები არ ეხება სამედიცინო ხასიათის ხელშეკრულებებსა თუ ინფორმირებულ თანხმობებს, რომლებიც განცალკევებულად ფორმდება ინ ვიტრო განაყოფიერების წარმოებისათვის შესაბამის სამედიცინო დანესებულებასთან). არსებობს, ასევე, უცხოური ე.წ. დონორთა ბანკები, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია კვერცხუჯრედის ან სპერმის დონორის მომსახურებით სარგებლობა - დონორის ბანკთან საშუაშაგლო ორგანიზაციის მეშვეობით ხორციელდება წყვილის მიერ შერჩეული დონორის სპერმის ან კვერცხუჯრედის გამოწერა. ასეთი ბანკებით სარგებლობა განსაკუთრებით მიმზიდველია უშვილი წყვილის - პოტენციური მშობლებისათვის განსაკუთრებით საქართველოში არსებული შემაშფოთებელი შემდეგი რეალობის გათვალისწინებით: (ა) პირველ რიგში, დონორისა და დონორის გამეტების (სპერმის ან კვერცხუჯრედის) მიმღები წყვილის კონფიდენციალურობა მაქსიმალურად დაცულია, დონორი არ არის იდენტიფიცირებული, რაც ემსახურება არამართო პოტენციური მშობლების, არამედ დონორის ინტერესებსაც; (ბ) საქართველოში დღესდღეობით არ არსებობს რაიმე აკრძალვა, თუ რამდენჯერ შეიძლება ერთი და იგივე პირმა გასცეს თავისი გამეტა (სპერმა ან კვერცხუჯრედი) დონაციის მიზნებისათვის; შესაბამისად არ არსებობს არც მისი საკონტროლო მექანიზმი. ეს ყველაფერი კი შედეგია იმისა, რომ, განსაკუთრებით, სპერმის დონაციის შემთხვევაში, ერთი და იგივე პირმა შეიძლება მრავალჯერადად მოახდინოს მისი სპერმის დონაცია სხვადასხვა წყვილისათვის, რაც თავის მხრივ, შემაშფოთებელი ფაქტია ინცესტის წარმოშობის თვალსაზრისით; (გ) უცხოური ბანკები ზედმინწევით ახდენენ თითოეული დონორის აღრიცხვას და გააჩნიათ შიდა საკონტროლო სისტემა, რომლის მეშვეობითაც შეზღუდულია ერთი და იგივე პირის მიერ დონაციის რამდენჯერმე განხორციელება¹⁰⁶⁹. ყოველივე ეს უფრო

¹⁰⁶⁹ გამეტების ბანკების ოპერირებასთან დაკავშირებით სპეციფიკური რეგულაციები არსებობს. მაგ., პირის დონორად ბანკში რეგისტრაციამდე, მას უტარდება შესაბამისი სამედიცინო გამოკვლევები. დონორის გამეტის გამოყენება ყოველ ექვს თვეში შესაძლებელი ხდება მხოლოდ განმეორებითი ანალიზების ჩატარების შემდეგ. ასეთი

მიმზიდველს ხდის უშვილო წყვილებისა და პოტენციური მშობლებისათვის უცხოური სპერმის ბანკებით სარგებლობას.

სუროგატი დედისა და დონორის შერჩევის შემდგომ პოტენციური მშობლები მიმართავენ შესაბამის სამედიცინო დანესებულებას, რომელიც აწარმოებს სამედიცინო მომსახურებას დონორისა და სუროგატი დედის ჩართულობით ინ ვიტრო განაყოფიერებისათვის. მოცემულ შემთხვევაში, შესაბამის სამედიცინო მომსახურებაზე ხელშეკრულებები ფორმდება სამედიცინო დანესებულებასა და წყვილს შორის, ისევე, როგორც სამედიცინო დანესებულებას და დონორს, ასევე, სამედიცინო დანესებულებასა და სუროგატ დედას შორის. თუ სამედიცინო დანესებულებას უცხოური ბანკიდან მიენოდება დონორის გაყინული სპერმა ან კვერცხუჯრედი, სამედიცინო დანესებულება უშუალოდ დონორთან ურთიერთობის გარეშე ახორციელებს გაყინული მასალის გამოყენებას ინ ვიტრო განაყოფიერების პროცესში.

რაც შეეხება „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით მოთხოვნილ სანოტარო წესით გაფორმებული ხელშეკრულებას დონორს, სუროგატ დედასა და წყვილს შორის, ეს ხელშეკრულება იდება სხვა პირთა მონაწილეობის გარეშე. საქართველოს კანონმდებლობა არ ავალდებულებს საშუამავლო კომპანიებს ან

პროფესიონალური მიდგომა ამცირებს ინფექციური და თანდაყოლილი გენეტიკური დაავადებების საფრთხეს. არსებობს ასევე გარკვეული სტატისტიკური მონაცემები, რომლის მიხედვითაც, ცნობილია, თუ რამდენი ბავშვი უნდა დაიბადოს პოპულაციაში თითოეული დონორისგან ინცესტის თავიდან აცილების მიზნით. სწორედ ამისათვის, მაგ., სპერმის ბანკები კლინიკებისგან ითხოვენ რეზულტატების ანგარიშგებას და არეგულირებენ კონკრეტული ქვეყნისათვის დონორის ნიმუშების გაყიდვის რაოდენობას. „სპერმის შერჩევა ზოგადად ხორციელდება სპერმის ბანკიდან.. მნიშვნელოვანია, რომ იყოს რეპუტაციის მქონე ბანკი, რადგან ზოგიერთი ქვეყანა არ ითხოვს ბანკების ლიცენზირებას, მაშინ, როდესაც ზოგიერთი ანებს მკაცრ სკრინინგს სხვადასხვა დაავადებებისათვის დონაციის განხორციელებამდე“. იხ. Bychkov G. S., Interstate Intercourse: How Modern Assisted Reproductive Technologies Challenge the traditional Realm of Conflicts of Law, 24 Wisconsin Journal of Law, Gender and Society 25, 2009, 33. იხ. Kenigsberg D., Hartman L., The Baby Solution: Your Essential Resource for Overcoming Infertility, New York, 2006, 306. „ზოგიერთი სპერმის დონაცია ნაკლები ფორმალურობით ხორციელდება, მაგ., როდესაც მეგობარი ნებაყოფლობით თანხმდება სპერმის ნიმუშის დონაციაზე. გაიდლაინების უმეტესობა აფრთხილებს ქალებს, საკმაოდ ფრთხილად მოეკიდნონ ასეთ დონაციას ნაწილობრივ იმიტომ, რომ შეიძლება არსებობდეს ჯანმრთელობის რისკები, რომელთა სკრინინგი არ ხორციელდება ისე, როგორც სპერმის ბანკში და ნაწილობრივ იმიტომ, რომ დონორის სარჩელი მამობის დადგენასთან დაკავშირებით შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, არის თუ არა იგი ცნობილი დონორი“. იხ. Bychkov G. S., Interstate Intercourse: How Modern Assisted Reproductive Technologies Challenge the traditional Realm of Conflicts of Law, 24 Wisconsin Journal of Law, Gender and Society 25, 2009, 33.

სამედიცინო დანესებულებებს, უზრუნველყონ ამ ხელშეკრულების გაფორმება ან მათი მხრიდან მომსახურების განხორციელების დაწყებამდე მოითხოვონ მისი წარდგენა. სამედიცინო დანესებულება ინ ვიტრო განაყოფიერების სამედიცინო მომსახურებას ახორციელებს შესაბამისი სამედიცინო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებებისა და კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმირებული თანხმობების საფუძველზე, რომელთა დამონმებაც, როგორც წესი, ნოტარიულად არ ხდება. შესაბამისად, სწორედ უშვილო წყვილმა - პოტენციურმა მშობლებმა უნდა უზრუნველყონ „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით მოთხოვნილი დონორის, სუროგატ დედასა და წყვილს შორის ხელშეკრულების ნოტარიულად გაფორმება.

მიუხედავად იმისა, რომ „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანება 2012 წელს იქნა მიღებული, ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნა, რომ ნოტარიულად დამონმებულ ხელშეკრულებაში მხარედ უნდა ასახულიყო დონორიც, თუ სუროგატისას მოხდებოდა მისი გამეტის გამოყენება, რეალურად არ მოქმედებდა და 2015 წლამდე „სააგენტო“ დოკუმენტაციის შემონმების ეტაპზე, როგორც წესი, არ იკვლევდა ინ ვიტრო განაყოფიერების პროცესში დონორის მონაწილეობის საკითხს. „სააგენტოს“ ამგვარი დამოკიდებულება გარკვეულწილად ახდენდა ზეგავლენას პოტენციური მშობლების გადაწყვეტილებაზე, ძირითადად კონფიდენციალურობის მოტივაციით, არ დაეთუქსირებინათ დონორი სუროგატ დედასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

2015 წელს, „სააგენტომ“, გადაწყვიტა სუროგატი დედის მიერ გაჩენილი ბავშვის დაბადების მონმობის საკითხის განხილვისას თითქმის ყველა შემთხვევაში ესარგებლა თავისი დისკრეციული უფლებამოსილებით და სამედიცინო დანესებულებიდან დამატებით მოეთხოვა ინფორმაცია, იყო თუ არა დონორი გამოყენებული სუროგატის პროცესში. თუ სამედიცინო დანესებულება დაადასტურებდა დონორის მონაწილეობას სუროგატის წარმოების დროს, „სააგენტო“ განმცხადებლებისაგან - სუროგატი დედის მიერ გაჩენილი ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში მშობლებად ჩასაწერი პირებისაგან - ითხოვდა „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით განსაზღვრულ დონორის, სუროგატ დედასა და წყვილს შორის ნოტარიულად დამონმებული ხელშეკრულების წარდგენას. დონორის მონაწილეობით გაფორმებული ხელშეკრულება კი, ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, პოტენციურ მშობლებს არ გააჩნდათ,

ვინაიდან ხელშეკრულება ინ ვიტრო განაყოფიერებამდე ნოტარიულად ფორმდებოდა მხოლოდ წყვილსა და სუროგატ დედას შორის. ხელშეკრულების არარსებობა უპირობო საფუძველს აძლევდა „სააგენტოს“, უარი ეთქვა მშობლებისათვის ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში მშობლებად რეგისტრაციაზე¹⁰⁷⁰.

2015-2016 წლებში დონორთან ნოტარიულად დამონმებული ხელშეკრულების არარსებობის გამო პოტენციური მშობლების მშობლებად რეგისტრაციაზე „სააგენტოს“ უართან დაკავშირებით არაერთი საქმის განხილვა განხორციელდა საქართველოს სასამართლოების მიერ. დავები ძირითადად მიმდინარეობდა მშობლად აღიარების მოთხოვნით სამოქალაქო სარჩელების საფუძველზე და, როგორც წესი, პირველივე ინსტანციაში დასრულდა პოტენციური მშობლების მშობლად აღიარებით¹⁰⁷¹. მაგ., თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით¹⁰⁷² თურქეთის მოქალაქეები, ქორწინებაში მყოფი წყვილი სასამართლომ აღიარა სუროგაციის გზით საქართველოში დაბადებული ბავშვის მშობლებად. სუროგაციისას გამოყენებული იყო თურქეთის მოქალაქე დონორის კვერცხუჯრედი, ბავშვის გესტაცია და შობა კი საქართველოში განხორციელდა საქართველოს მოქალაქე სუროგატმა დედამ. იგივენაირად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 04 დეკემბრის

¹⁰⁷⁰ ამ პრობლემის განხილვას მიეძღვნა 2015 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს უზენაეს სასამართლოში სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე. იხ. <<http://www.supremecourt.ge/news/id/964>> [15.11.2017].

¹⁰⁷¹ 2015 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს უზენაეს სასამართლოში სუროგაციის პრობლემებთან დაკავშირებით გამართული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომის ფარგლებში განხილული იქნა ამ პერიოდისათვის არსებული თბილისის საქალაქო სასამართლოს პრაქტიკა დონორებთან ნოტარიულად დამონმებული ხელშეკრულებების არარსებობის საფუძველით პოტენციური მშობლების იურიდიულ მშობლებად რეგისტრაციაზე „სააგენტოს“ უარის გამო აღძრულ სამოქალაქო დავებზე. იხ. <<http://www.supremecourt.ge/news/id/964>> [15.11.2017]. უზენაესი სასამართლოს სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილების მიერ საბჭოს სხდომაზე მონაწილე პირებისათვის მიწოდებული, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის, 2015 წელს მიღებული, ექვსივე გადაწყვეტილებით ბავშვის იურიდიულ მშობლებად აღიარებული იქნენ პოტენციური მშობლები. აღნიშნულ ყველა საქმეზე პოტენციური მშობლები უცხო ქვეყნის მოქალაქეები (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის, რუსეთის, თურქეთისა და აზერბაიჯანის მოქალაქეები) იყვნენ. ამასთან, ყოველ საქმეზე წყვილი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა. შენიშვნა: გადაწყვეტილებების საქმის ნომრები დაშტრიხულია. გადაწყვეტილებები ინახება წინამდებარე ნაშრომის ავტორთან.

¹⁰⁷² თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე #2/9619-15.

გადაწყვეტილებით¹⁰⁷³ საქართველოს მოქალაქეები, ქორწინებაში არმყოფი წყვილი სასამართლომ აღიარა სუროგაციის გზით საქართველოში დაბადებული ბავშვის მშობლებად. სუროგაციისას, უცხოური სპერმის ბანკის მეშვეობით, გამოყენებული იყო ანონიმური დონორის სპერმა. ორივე დასახელებულ საქმეში საქართველოს სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტით დასტურდებოდა პოტენციური მშობლების სასარგებლოდ ერთი პოტენციური მშობლის გამეტისა და დონორის გამეტის გამოყენებით ინ ვიტრო განაყოფიერების განხორციელებისა და ინ ვიტრო განაყოფიერების შედეგად სუროგატი დედის საშვილოსნოში გადატანის ფაქტი. ამასთან, ორივე შემთხვევაში პოტენციურ მშობლებს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში და წესით - „ექსტრაკორპორულ განაყოფიერებამდე, სანოტარო წესით“ გაფორმებული ჰქონდათ ხელშეკრულებები სუროგატ დედებთან და სუროგაციის შედეგად დაბადებულ ბავშვს გენეტიკური კავშირი ჰქონდა ერთ პოტენციურ მშობელთან.

ზოგიერთ საქმეზე პოტენციურმა მშობლებმა არჩიეს, მიემართათ ადმინისტრაციული წარმოებისთვის და ამ გზით მოეხდინათ მათი, როგორც სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის იურიდიული მშობლების, ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში რეგისტრაცია. მაგ., თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით¹⁰⁷⁴ დაკმაყოფილდა ისრაელის მოქალაქეების, ქორწინებაში მყოფი პოტენციური მშობლების სარჩელი „სააგენტოს“ მიმართ, ბათილად იქნა ცნობილი დაბადების რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ „სააგენტოს“ გადაწყვეტილებები და „სააგენტოს“ დაევალა ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტის გამოცემა „სააგენტოსათვის“ წარდგენილი ბავშვის დაბადების მონაცემების მიხედვით რეგისტრაციის (ბავშვის მშობლებად პოტენციური მშობლების დაფიქსირების) შესახებ. აღნიშნულ საქმეზე „სააგენტომ“ უარი უთხრა ისრაელის მოქალაქეებს - პოტენციურ მშობლებს, აღრიცხულიყვნენ სუროგაციის გზით საქართველოში დაბადებული ბავშვის მშობლებად. უარი განპირობებული იყო იმ საფუძველით, რომ რეგისტრაციის მიზნებისათვის „სააგენტოში“ არ მომხდარა „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის

¹⁰⁷³ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 04 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე #2/15935-15.

¹⁰⁷⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე #3/6337-15.

დამტკიცების შესახებ“ ბრძანების მე-19 მუხლით მოთხოვნილი პოტენციურ მშობლებს, სუროგატ დედასა და დონორს შორის ექსტრაკორპორულ განაყოფიერებამდე დადებული, სანოტარო წესით დამონმებული ხელშეკრულების წარდგენა. უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას „სააგენტომ“ არ გაითვალისწინა რეგისტრაციის მიზნებისათვის მისთვის წარდგენილი ექსტრაკორპორულ განაყოფიერებამდე სანოტარო წესით გათვორმებული ხელშეკრულება პოტენციურ მშობლებსა და სუროგატ დედას შორის „ემბრიონის სუროგატი დედის საშვილოსნოში გადატანისა და გამოზრდის მომსახურების შესახებ“, ექსტრაკორპორულ განაყოფიერებამდე დადებული მარტივი წერილობითი ფორმის ხელშეკრულება პოტენციურ მშობლებსა და დონორს შორის „კვერცხუჯრედის გადაცემის შესახებ“ და ბავშვის დაბადების შემდგომ სანოტარო წესით დამონმებული პოტენციური მშობლებისა და დონორის ხელმოწერების ნამდვილობა მათ შორის დადებული კვერცხუჯრედის გადაცემის შესახებ ხელშეკრულების და მათგან გამომდინარე ურთიერთობების მონონებისა და დადასტურების შესახებ შეთანხმებაზე. სასამართლომ „ნორმის ლოგიკური განმარტების მეთოდით შეფასების შედეგად“ განმარტა „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის 143-ე მუხლი, რომლითაც ნებადართულია სუროგატი დედის ჩართვით ექსტრაკორპორული განაყოფიერება, და დაასკვნა, რომ „ექსტრაკორპორული განაყოფიერების მთავარი სამართლებრივი წინაპირობა წყვილის წერილობითი თანხმობაა“¹⁰⁷⁵. შესაბამისად, სასამართლომ მართებულად დაასკვნა, რომ „თუ ბავშვის ექსტრაკორპორული განაყოფიერების საშუალებით დაბადებას საფუძვლად უდევს კანონით განსაზღვრული ისეთი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რომლებიც წყვილის წერილობით თანხმობას (ნებას) და მათ, ასეთი მეთოდით დაბადებულ ბავშვთან, ამკარა, არასაეჭვო კავშირს ადასტურებს, წყვილის დაბადებული ბავშვის მშობლებად აღიარება და აქედან გამომდინარე სარეგისტრაციო ჩანაწერებში აღნიშვნის უფლება უპირობოა“¹⁰⁷⁶. სასამართლომ, ასევე, იმსჯელა „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების მე-19 მუხლის იმ ნაწილზე, რომლის შესაბამისადაც „სააგენტოს“ უნდა წარედგინოს ექსტრაკორპორულ განაყოფიერებამდე სანოტარო წესით დამონმებული ხელშეკრულება „ბავშვის გამჩენ ქალსა და გენეტიკურ მშობლებს შორის, ან ბავშვის გამჩენ ქალსა და გენეტიკურ მშობლებს შორის, ან ბავშვის გამჩენ

¹⁰⁷⁵ იქვე.

¹⁰⁷⁶ იქვე.

ქალს, გენეტიკურ მშობელს, დაბადების აქტის ჩანაწერში ბავშვის მშობლად ჩასაწერ პირსა (რომელიც არ არის ბავშვის გენეტიკური მშობელი) და დონორს შორის, ან ბავშვის გამჩენ ქალს, წყვილსა და დონორებს შორის¹⁰⁷⁷. სასამართლომ მიიჩნია, რომ დასახელებული ნორმა „არ არის კუმულატიური იმ ნაწილში, რომელიც ექსტრაკორპორულ განაყოფიერებამდე დადებულ და სანოტარო წესით დამოწმებულ სხვადასხვა ხელშეკრულებებს ითვალისწინებს“, ვინაიდან „ჩამოთვლილ წინადადებებში კავშირის „ან“ გამოყენება მიუთითებს, რომ იგი ალტერნატიული შინაარსისაა და ჩამოთვლილთაგან რომელიმე ხელშეკრულების წარდგენა საკმარისია ბავშვის დაბადების რეგისტრაციისათვის“¹⁰⁷⁸.

დღესდღეობით დონორთან ხელშეკრულების არარსებობის გამო პოტენციური მშობლების მშობლებად რეგისტრაციაზე „სააგენტოს“ უართან დაკავშირებული საქმეები შედარებით ნაკლებია, ვინაიდან, როგორც წესი, პოტენციური მშობლები ინფორმირებულნი არიან მათი მშობლებად რეგისტრაციის შესახებ „სააგენტოს“ მიერ უარის თქმის შემთხვევებზე და სამართლებრივი პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, ხშირ შემთხვევაში, უზრუნველყოფენ კანონმდებლობით მოთხოვნილი ფორმით ხელშეკრულებების გაფორმებას ან კონფიდენციალურობის დაცვის არარსებობის გამო უარს ამბობენ დონორის მონაწილეობით სუროგაციის განხორციელებაზე.

¹⁰⁷⁷ იხ. „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება, მე-19 მუხლი: „ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვის დაბადების რეგისტრაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ საბუთებთან და ემბრიონის იმპლანტაციისთანავე სამედიცინო დანერგულების მიერ გაცემულ ექსტრაკორპორული განაყოფიერების დამადასტურებელ საბუთთან ერთად სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს უნდა წარედგინოს:

ბ) ექსტრაკორპორულ განაყოფიერებამდე დადებული, სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულება:

ბ.ა) ბავშვის გამჩენ ქალსა და გენეტიკურ მშობლებს შორის; ან

ბ.ბ) ბავშვის გამჩენ ქალს, გენეტიკურ მშობელს, დაბადების აქტის ჩანაწერში ბავშვის მშობლად ჩასაწერ პირსა (რომელიც არ არის ბავშვის გენეტიკური მშობელი) და დონორს შორის; ან

ბ.გ) ბავშვის გამჩენ ქალს, წყვილსა და დონორებს შორის.

¹⁰⁷⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე #3/6337-15.

**3. სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის იურიდიულ
მშობლებად პოტენციური მშობლების რეგისტრაციაზე
„სააგენტოს“ უარი: სამართლებრივი საშუალებები მშობლის
იურიდიული სტატუსის მოსაპოვებლად**

საქართველოს კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზად შეიძლება იქნას მიჩნეული იმ ნორმების არარსებობა, რომლებიც გარკვეულ ფარგლებში მოაწესრიგებდნენ „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით განსაზღვრული დოკუმენტების დადგენილ ვადაში წარუდგენლობის ან არასრულად წარდგენის შედეგად სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის მშობლებად პოტენციური მშობლების რეგისტრაციაზე უარის შემდგომ სამართლებრივ შედეგებს.

საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს იმ მაქსიმალურ ვადას, რომლის განმავლობაშიც პოტენციურმა მშობლებმა „სააგენტოში“ უნდა წარადგინონ კანონით განსაზღვრული დოკუმენტები და, როდესაც უნდა განხორციელდეს მათი იურიდიულ მშობლებად რეგისტრაცია, თუ ეს დოკუმენტები აკმაყოფილებს კანონმდებლობის მოთხოვნებს. კერძოდ, პოტენციურ მშობლებს ამ საბუთების წარსადგენად ეძლევათ 7 დღიანი ვადა, რომლის ათვლაც იწყება ბავშვის დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობის „სააგენტოში“ წარდგენიდან. სამედიცინო ცნობა კი გაიცემა ბავშვის დაბადებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში¹⁰⁷⁹. დანესებული ვადის დარღვევა პოტენციური მშობლების მშობლებად რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია, ხოლო ბავშვის „დაბადების რეგისტრაცია განხორციელდება საერთო წესით“¹⁰⁸⁰. საერთო წესით დაბადების რეგისტრაცია უნდა ნიშნავდეს რეგისტრაციისას იმ ნორმების გამოყენებას, რომლითაც ბავშვის დედად მიიჩნევა მისი გამჩენი ქალი, რაც სუროგაციის შემთხვევაში აბსოლუტურად გაუმართლებელია. მსგავსი ფორმულირება „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების მე-16 მუხლში ხარვეზის არსებობაზე მიუთითებს, ვინაიდან იგი წინააღმდეგობაში მოდის იერარქიულად მასზე მაღლა მდგომ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის მიერ დანესებულ პრინციპთან, რომლის შესაბამისადაც „სუროგატულ დედას არ აქვს დაბადებული ბავშვის მშობლად ცნობის უფლება“¹⁰⁸¹ და, შესაბამისად, სუროგატი დედის მითითება ბავშვის

¹⁰⁷⁹ „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანების მე-16 მუხლი.

¹⁰⁸⁰ იქვე.

¹⁰⁸¹ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 143-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

დაბადების მონუმბაში დაუშვებელია. თუმცა, მსგავს შემთხვევაში, „სააგენტო“ „დაბადების რეგისტრაციის საერთო წესს“ არ მიმართავს¹⁰⁸² და იყენებს იმავე ბრძანების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტს, რომელიც ეხება მე-19 მუხლით განსაზღვრული, ნოტარიულად დამონმებული ხელშეკრულების რეგისტრაციის მიზნებისათვის „სააგენტოში“ წარუდგენლობას და, რომელიც აღგენს, რომ, ამ შემთხვევაში, ბავშვის დაბადების მონუმბაში ბავშვის მშობლების მითითება არ ხდება. ბავშვის სახელისა და გვარის განსაზღვრა კი წარმოებს „მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს განცხადების საფუძველზე“¹⁰⁸³.

ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც „სააგენტო“ უარს ამბობს სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის მშობლებად პოტენციური მშობლების დაბადების სააქტო ჩანაწერში რეგისტრაციაზე, კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევის, თუ ამ ვადაში სავალდებულო დოკუმენტების არასრულად წარდგენის მიზეზით, პოტენციურ მშობლებს მშობლის იურიდიული სტატუსის მოპოვება შეუძლიათ მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე სამოქალაქო ან ადმინისტრაციული წარმოების გზით.

„სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების მე-19 მუხლის ფორმულირების ხარვეზიანობა, ისევე, როგორც სუროგაციისა და ინ ვიტრო განაყოფიერების ე.წ. მარეგულირებელ საქართველოს სხვა საკანონმდებლო ნორმებში არსებული ხარვეზები და სამართლებრივი ვაკუუმი ნათლად გამოიკვეთა სასამართლო პრაქტიკაში ძირითადად პოტენციურ მშობლებს, სუროგატ დედასა და დონორს შორის ნოტარიულად დამონმებული ხელშეკრულების არარსებობის საფუძველით

¹⁰⁸² მსგავსი შემთხვევები პრაქტიკაში არ არის ხშირი. აღნიშნული დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში არსებულ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულება, რომლის მიხედვითაც „სააგენტომ“ უარი განაცხადა პოტენციური მშობლების მშობლებად რეგისტრაციაზე კანონით მოთხოვნილი დოკუმენტების დადგენილ ვადაში წარუდგენლობის გამო. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე №2/29617-17.

¹⁰⁸³ „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტი: „ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად გაჩენილი ბავშვის დაბადების რეგისტრაციისას ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების წარუდგენლობის შემთხვევაში დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ბავშვის მშობლები არ მიეთითება. ამ შემთხვევაში, დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ბავშვის სახელი და გვარი მიეთითება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს განცხადების საფუძველზე“.

„სააგენტოს“ უარის გამო, მოეხდინა პოტენციური მშობლების იურიდიულ მშობლებად რეგისტრაცია.

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმეების განხილვა და გადაწყვეტა ჭიანურდება. მშობლის იურიდიული სტატუსის აღიარებასთან დაკავშირებულ საქმეებში კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქმის სწრაფად განხილვასა და გადაწყვეტას, რადგან იურიდიული მშობლების გარეშე მყოფი ბავშვები დაუცველ მდომარეობაში იმყოფებიან, მეორე მხრივ კი, პოტენციურ მშობლებს არ აქვთ შესაძლებლობა განახორციელონ მშობლების უფლება-მოვალეობები. ამგვარი საქმეების შედარებით დაჩქარებულ ვადებში განხილვისა და გადაწყვეტის შესაძლებლობას იძლევა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული უდავო წარმოება (იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის - პირთა ნათესაური კავშირის დადგენის შესახებ). თუმცა, სასამართლო პრაქტიკით დადგინდა, რომ უდავო წარმოების წესით ამ ტიპის საქმეების განხილვაზე სასამართლოები უარს ამბობენ და უთითებენ, რომ საქმე უნდა იქნას განხილული სასარჩელო წარმოების გზით. ამ გადაწყვეტილების დასაბუთებისას ძირითადად გამოიყენება შემდეგი არგუმენტები: I არგუმენტი: „პირთა ნათესაური კავშირი, ჩვეულებრივ, „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით შესრულებული სათანადო ჩანაწერით დასტურდება (მაგ., მშობლისა და შვილის ნათესაური კავშირი დასტურდება შვილის დაბადების მოწმობაში არსებული მშობლის ვინაობის მითითებით). შესაბამისად, ნათესაური კავშირი დადგენის აუცილებლობა შეიძლება მხოლოდ ორ შემთხვევაში წარმოიშვას: 1. გარკვეული პირის დაბადების სააქტო ჩანაწერში (დაბადების მოწმობაში) მშობლის ან შვილის მონაცემები შეცდომითაა მითითებული; 2. როდესაც ამა თუ იმ მიზეზის გამო არ არის დაცული (შემონახული) რომელიმე პირის დაბადების სააქტო ჩანაწერი“¹⁰⁸⁴; II არგუმენტი: „განმცხადებლებმა უნდა მოითხოვონ არა ნათესაური კავშირის დადგენა, არამედ უნდა იდავონ საერთო სასარჩელო წესით და აღიარებითი სარჩელით მიმართონ სასამართლოს მცირეწლოვანი ბავშვების აღიარების

¹⁰⁸⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 სექტემბრის განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, საქმე #2/14813-15; ასევე, იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 29 ივლისის დადგენილება უდავო წარმოების წესით განსახილველი განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ, საქმე #2/14813-15.

მოთხოვნით¹⁰⁸⁵. აღიარებითი სარჩელით სასამართლოს მიმართვის საჭიროებას სასამართლო ხსნის ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე: „ცალსახაა, რომ ბავშვის ინტერესები უპირატესია, შესაბამისად, მათი დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარე, განმცხადებლებმა სარჩელით უნდა მიმართონ სასამართლოს მშობლებად აღიარების მოთხოვნით, სადაც მცირეწლოვანი ბავშვების კანონიერ წარმომადგენლობას განახორციელებს სსიპ სოციალური მომსახურების შესაბამისი სამსახური“¹⁰⁸⁶.

ისეთ შემთხვევებში, როდესაც დასტურდება ექსტრაკორპორული განაცხადების ფაქტი, სუროგაციის არცერთი მხარე სადავოდ არ ხდის სუროგაციის ხელშეკრულების პირობებს და „სააგენტოს“ უარი განპირობებულია „ბრძანებით“ მოთხოვნილი სუროგაციის ხელშეკრულების დადგენილი სანოტარო ფორმის დაუცველობის, დონორთან ხელშეკრულების არარსებობის ან დადგენილ ვადაში დოკუმენტების „სააგენტოში“ წარუდგენლობის საფუძველით, პოტენციური მშობლების მშობლებად აღიარების მოთხოვნით აღიარებითი სარჩელის აღძვრისას დგას საკითხი მოპასუხის განსაზღვრასთან დაკავშირებით. სასარჩელო წარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა ის არის, რომ უნდა დასახელდეს მოპასუხე, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე. ასეთ საქმეებში კი არ არსებობს რეალური მოპასუხე - მოწინააღმდეგე მხარე, რომელსაც შეიძლება პოტენციური მშობლები - მოსარჩელები ედავებოდნენ შემდეგი გარემოებების გამო:

(1) „სააგენტოს“ უარი პოტენციური მშობლების მშობლებად რეგისტრაციაზე, როგორც წესი, ეფუძნება „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ ბრძანებას“, რომლითაც განისაზღვრება სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის დაბადების რეგისტრაციის წესი. „სააგენტო“ უარს ამბობს და უფლებამოსილია, უარი თქვას ბავშვის იურიდიულ მშობლებად პოტენციური მშობლების რეგისტრაციაზე მხოლოდ ამ წესის დარღვევის საფუძველით. მოცემულ შემთხვევებში, კი წმინდა ფორმალური თვალსაზრისით, წესი დარღვეულია.

(2) სამედიცინო დანესებულება, რომელმაც განახორციელა ინ ვიტრო განაცხადებისა და ემბრიონის გადატანის სამედიცინო პროცედურა, ვერ იქნება მოპასუხე, რადგან, ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, პოტენციურ მშობლებს მასთან სადავო არაფერი აქვთ და სამედიცინო დანესებულებას

¹⁰⁸⁵ იქვე.

¹⁰⁸⁶ იქვე.

კავშირი არ აქვს „სააგენტოს“ მიერ ბავშვის მშობლებად პოტენციური მშობლების რეგისტრაციაზე უართან. იგივე შეიძლება ითქვას საშუამავლო კომპანიაზეც, რომელიც ახორციელებს საშუამავლო მომსახურებას დონორის ანდა სუროგატი დედის შერჩევასთან დაკავშირებით.

(3) პასუხისმგებელი სარჩელზე ანუ იმ შედეგზე, რაც დგება - სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის დაბადების მონობაში მშობლების გრაფა შეუვსებელია, არიან მხოლოდ პოტენციური მშობლები, რომელთაც სხვადასხვა მიზეზის გამო არ უზრუნველყვეს „ბრძანებით“ განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება (ხელშეკრულების ფორმის დაცვა, დონორთან ნოტარიულად დამონმებული ხელშეკრულების არარსებობა, დადგენილ ვადაში დოკუმენტების წარუდგენლობა).

იმის გათვალისწინებით, რომ ამ ტიპის დავებზე საქმეების განხილვა სასარჩელო წარმოების გზით მიმდინარეობს, როგორც წესი, მოპასუხე ყველა შემთხვევაში „სააგენტო“, რომელიც, ნათელია, რომ „შესაძლებელ“ მოპასუხეთა წრიდან ერთადერთ რეალურ მოპასუხეს წარმოადგენს¹⁰⁸⁷. ამასთან, სასამართლო პრაქტიკამ, ასევე, აჩვენა, რომ, ზოგიერთ საქმეში, რომელიც ეხებოდა დონორთან ნოტარიულად გაფორმებული ხელშეკრულების არარსებობით გამოწვეულ „სააგენტოს“ უარს პოტენციური მშობლების ბავშვის მშობლებად რეგისტრაციაზე, „სააგენტოსთან“ ერთად მოპასუხედ დასახელებული იქნა სამედიცინო დაწესებულება ანდა საშუამავლო კომპანია¹⁰⁸⁸, ზოგიერთ საქმეში კი მოსარჩელებმა გადანყვიტეს მესამე პირად სუროგატი დედისა და დონორის ჩართვაც¹⁰⁸⁹, რაც, გამართლებულად არ უნდა ჩაითვალოს. თუ მშობლად აღიარების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის საქმის განხილვისას აუცილებელია სუროგაციის

¹⁰⁸⁷ მაგ., თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე #2/9619-15; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 04 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე #2/15935-15; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე №2/29617-17.

¹⁰⁸⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილების მიერ 2015 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს უზენაეს სასამართლოში სუროგაციის პრობლემებთან დაკავშირებით გამართული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე მონაწილე პირებისათვის მიწოდებული, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის, 2015 წელს მიღებული გადაწყვეტილებები. გადაწყვეტილებების საქმის ნომრები დაპტრიხულია. გადაწყვეტილებები ინახება წინამდებარე ნაშრომის ავტორთან.

¹⁰⁸⁹ მაგ., თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე #2/9619-15.

განხორციელების პროცესში მონაწილე პირების - დონორის, სუროგატი დედის, სამედიცინო დაწესებულების ანდა საშუამავლო კომპანიის მიერ გარკვეული გარემოებების დადასტურება, მათი მონვევა სასამართლოში უნდა განხორციელდეს მოწმის სტატუსით და არ უნდა ხდებოდეს რომელიმე ამ პირის მოპასუხედ დასახელება ან საქმეში მესამე პირად ჩართვა, ვინაიდან პოტენციური მშობლების მშობლად აღიარება გავლენას არ ახდენს არცერთი დასახელებული პირის უფლებებსა და მოვალეობებზე, არცერთი მათგანი სადავოდ არ ხდის სუროგაციის განხორციელებისა და პოტენციური მშობლების მშობლად ყოფნის ფაქტს და არ არის პასუხისმგებელი სარჩელზე¹⁰⁹⁰.

სასამართლო პრაქტიკამ ამ ტიპის საქმეებზე აჩვენა, რომ ადმინისტრაციულ წარმოებასთან შედარებით პოტენციური მშობლებისათვის უფრო მიზანშეწონილია სამოქალაქო სარჩელის აღძვრა მშობლებად აღიარების მოთხოვნით, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხედ „სააგენტო“, როგორც წესი, აყენებს საკითხს მისი არასათანადო მოპასუხედ ცნობაზე, პოტენციური მშობლების სასარგებლოდ მიღებულ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ასაჩივრებს და ეს გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში. შესაბამისად, პოტენციურ მშობლებს ეძლევათ შესაძლებლობა, დროის შედარებით ხანმოკლე ვადაში აღასრულონ კანონიერ ძალაში შესული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და ბავშვის იურიდიულ მშობლებად რეგისტრაცია. განსხვავებულია „სააგენტოს“ დამოკიდებულება იმ საქმეების მიმართ, როდესაც საჩივრდება მის მიერ მიღებული ადმინისტრაციული აქტი. „სააგენტო“ სამივე ინსტანციის გავლით ცდილობს დაიცვას აქტის კანონიერება, რაც, დროში ხანგრძლივდება და, ბუნებრივია, იურიდიული მშობლის გარეშე დარჩენილი ბავშვისა და თავად პოტენციური მშობლების ინტერესებისათვის ზიანის მომტანია.

რაც შეეხება თავად სასამართლოების მიდგომას ამ ტიპის დავებზე გადაწყვეტილებების მიღებისას, როგორც წესი, სასამართლოები იყენებენ ბავშვის საუკეთესო ინტერესებისა და მხარეთა განზრახვის არსებობის

¹⁰⁹⁰ მოცემულ შემთხვევაში, აპელირება ხდება ისეთ საქმეებზე, სადაც დასტურდება ექსტრაკორპორული განაყოფიერების ფაქტი, სუროგაციის არცერთი მხარე სადავოდ არ ხდის სუროგაციის ხელშეკრულების პირობებს და „სააგენტოს“ უარი განპირობებულია „ბრძანებით“ მოთხოვნილი სუროგაციის ხელშეკრულების დადგენილი სანოტარო ფორმის დაუცველობის, დონორთან ხელშეკრულების არარსებობის ან დადგენილ ვადაში დოკუმენტების „სააგენტოში“ წარუდგენლობის საფუძვლით.

პრინციპს და აკმაყოფილებენ სასარჩელო მოთხოვნას პოტენციური მშობლების მშობლებად აღიარების შესახებ, როდესაც დასტურდება ექსტრაკორპორული განაყოფიერების ფაქტი, სუროგაციის არცერთი მხარე სადავოდ არ ხდის სუროგაციის ხელშეკრულების პირობებს და „სააგენტოს“ უარი პოტენციური მშობლების მშობლებად რეგისტრაციაზე განპირობებულია „ბრძანებით“ მოთხოვნილი სუროგაციის ხელშეკრულების დადგენილი სანოტარო ფორმის დაუცველობის, დონორთან ხელშეკრულების არარსებობის ან დადგენილ ვადაში დოკუმენტების „სააგენტოში“ წარუდგენლობის საფუძველით. ზოგიერთ შემთხვევაში, თუ ეჭვს იწვევს ექსტრაკორპორული განაყოფიერების ჩატარებისა და სუროგაციის ნამდვილობის საკითხი, სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება, ასევე, შეიძლება დაათუქნოს ბავშვსა და პოტენციურ მშობლებს შორის გენეტიკური კავშირის არსებობის ფაქტს, თუ ამგვარი კავშირი დადასტურდება ექსპერტიზის დასკვნით. სუროგაციის გზით დაბადებულ ბავშვსა და პოტენციურ მშობლებს შორის გენეტიკური კავშირის არსებობის დადასტურების აუცილებლობა წარმოიშვა ერთ-ერთ საქმეზე, სადაც პოტენციური მშობლების გამეტების ექსტრაკორპორული განაყოფიერება და მიღებული ემბრიონის გადატანა განხორციელდა ჩრდილოეთ კვიპროსის სამედიცინო დაწესებულებაში. ვინაიდან, ეჭვს იწვევდა საერთაშორისოდ არაღიარებულ ტერიტორიაზე სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი, მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტს თან ახლდა თურქეთის რესპუბლიკის აპოსტილი, პოტენციური მშობლების მშობლებად ცნობა განხორციელდა ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, რომლითაც დადგინდა ბავშვსა და პოტენციურ მშობლებს შორის გენეტიკური კავშირი¹⁰⁹¹.

სუროგაციასთან დაკავშირებით საინტერესოა, ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილებაც, რომელიც შეეხება ერთი და იმავე პოტენციური მშობლების კუთვნილი გამეტების ორი სუროგატი დედის საშვილოსნოში გადატანის შედეგად სხვადასხვა დღეს დაბადებული ბავშვების დაბადების თარიღის განსაზღვრას. პოტენციურმა მშობლებმა ისარგებლეს ორი სუროგატი დედის მომსახურებით, შესაბამისად, ინ ვიტრო განაყოფიერების შედეგად მიღებული მათი კუთვნილი ემბრიონების გადატანა განხორციელდა ორივე სუროგატი დედის საშვილოსნოში. ამ პროცედურის

¹⁰⁹¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე №2/29617-17.

შედეგად დადგა ერთი სუროგატი დედის ერთნაყოფიანი ორსულობა, მეორე სუროგატი დედის შემთხვევაში კი - ორნაყოფიანი ორსულობა. მიუხედავად იმისა, რომ ემბრიონების გადატანისა და ნაყოფების განვითარების პროცედურების მიხედვით ორივე სუროგატ დედას ერთ კალენდარულ დღეს უნდა გაეჩინათ სამი ბავშვი (პირველ სუროგატ დედას - ერთი ბავშვი, ხოლო მეორე სუროგატ დედას - ტყუპები), ბავშვები დაიბადნენ სხვადასხვა დღეს 10 დღიანი ინტერვალით, ვინაიდან პირველ სუროგატ დედას შეექმნა ჯანმრთელობის პრობლემა და ბავშვი ნაადრევად დაიბადა. „სააგენტომ“ სხვადასხვა დღეს დაბადებული ბავშვების დაბადების აქტის ჩანაწერში დაბადების თარიღად განსაზღვრა მათი შესაბამისი დაბადების დღე და, შემდგომში, არ დააკმაყოფილა ბავშვების მშობლების მოთხოვნა, დაბადების ჩანაწერში ცვლილების განხორციელების შესახებ იმ მიზნით, რომ სამივე ბავშვის, როგორც სამტყუპის, დაბადების თარიღად ერთი დღე ყოფილიყო ფიქსირებული. სასამართლომ გაითვალისწინა ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპი, რომელიც მიიჩნია უპირატესად „სამოქალაქო აქტების შესახებ“ კანონთან შედარებით, დაეყრდნო ფსიქოლოგის დასკვნას, რომლის მიხედვითაც ტყუპების პიროვნების დამადასტურებელ დოკუმენტაციაში ერთი დღის დაფიქსირება ბავშვებს მცირე ასაკში ააცილებდა ბიო-ფსიქო-სოციალური ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველ შესაძლო რეაქციას საზოგადოების მხრიდან, ბათილად ცნო „სააგენტოს“ გადანაცვლებები და დაბადების აქტის ჩანაწერში ცვლილების განხორციელებაზე „სააგენტოს“ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაავალა¹⁰⁹².

4. შუალედური დასკვნა

დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებთან, მათ შორის სუროგაციასთან, დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის სამართლებრივი ანალიზი და მწირი სასამართლო პრაქტიკა ნათლად მიუთითებს, რომ ეს საკითხები კანონმდებლობით ფაქტობრივად დაურეგულირებელია. სამართლებრივი ნორმები კი ხარვეზების შემცველია. კანონმდებლობით ცალსახად არ ირკვევა ტექნოლოგიების ის მეთოდები,

¹⁰⁹²თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე #3/.....14, მოსამართლე ნინო ბუაჩიძე. შენიშვნა: თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილება ავტორისათვის მიწოდებული იქნა საქმის ნომრის ნაწილობრივი დამტრიალებით.

რომელთა განხორციელება დღეს საქართველოში ნებადართულია, არ განისაზღვრება პროცესში ჩართული პირების მიმართ მოთხოვნები, მათ უფლებებსა და მოვალეობებთან დაკავშირებული საკითხები, ტექნოლოგიების მწარმოებელი სამედიცინო დაწესებულებების, ექიმებისა და ემბრიოლოგებისათვის არ არსებობს სპეციალური გაიდლაინები, რომლებსაც შეეძლოთ უზრუნველყოთ ამ მეთოდების განხორციელება მათთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების გამორიცხვის ან მინიმალიზაციის მიზნით, არ არის დაცული დონაციისა და სუროგაციის პროცესში კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული საკითხები, არ არსებობს შეზღუდვები დონაციასთან მიმართებით და ეს პროცესი კონტროლის მიღმაა, სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის არ არსებობს სპეციალური რეგულაციები, რომლითაც იგი იხელმძღვანელებდა სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის ინტერესების დაცვის მიზნით და, რომელთა საფუძველზეც, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, იგი მიიღებდა გადაწყვეტილებას პოტენციური მშობლების მიერ მშობლის იურიდიული სტატუსის მოპოვებამდე ბავშვის მშობლებისთვის დროებით გადაცემაზე. საპროცესო კანონმდებლობით კი არ არის განსაზღვრული სუროგაციასთან დაკავშირებულ დავებზე სპეციალური წარმოება, რომლითაც შესაძლებელი გახდებოდა სასარჩელო წარმოების ხანგრძლივი პროცედურისათვის გვერდის ავლა და მშობლის იურიდიული სტატუსის განსაზღვრა დაჩქარებულ ვადებში. ამგვარი სამართლებრივი რეალობა კი, წარმოშობს არამართო სუროგაციისა და, ზოგადად დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების, განხორციელებაში მონაწილე პირების, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ბავშვის ინტერესებისათვის საფრთხის შემცველ და ზიანის მომტან რისკებს.

ფაქტია, რომ საქართველოში დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების აქტიური გამოყენების პირობებში, აუცილებელია ამ ტექნოლოგიების მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავება, რომლითაც განხორციელდება ტექნოლოგიების მომწესრიგებელი ცალკე კანონის მიღება და მათთან შემხებლობაში მყოფ სხვადასხვა ნორმატიულ აქტში ცვლილებები. თუმცა, სრულყოფილი საკანონმდებლო რეგულაციების შემუშავება არ არის მარტივი პროცესი და სხვადასხვა პროფესიისა (მათ შორის, ექიმების, იურისტების, ფსიქოლოგების) და შესაბამის სფეროში სათანადო გამოცდილების მქონე პირთა აქტიურ ჩართულობას მოითხოვს, რაც, ბუნებრივია, რომ განხორციელებადი არ არის მოკლევადიან

პერიოდში. აღნიშნულის გამო, საჭიროა, მოხდეს თუნდაც ხარვეზების შემცველი, მაგრამ ძალაში მყოფი სამართლებრივი ნორმების მართებული ანალიზი და სწორი სამართლებრივი გზების ძიება, პირველ რიგში, სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვების ინტერესებისა და უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად.

წინამდებარე ნაშრომის მიზანი იმ ძირითადი სარეკომენდაციო ხასიათის საკითხების განსაზღვრაა, რომლებიც შეიძლება გათვალისწინებული იქნას დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების გარკვეული ნაწილის, ძირითადად სუროგაციის, სამართლებრივი მონესრიგების დროს. ამ საკითხების ჩამოყალიბება, მიზანშეწონილია, განხორციელდეს ნაშრომის ძირითადი ნაწილის დასრულებისას, საბოლოო დასკვნაში.

1. ზოგადი ტენდენცია

იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს სუროგაციის მომწესრიგებელი, იურიდიულად სავალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო ხელშეკრულება და დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების ამ ყველაზე კომპლექსური მეთოდის მიმართ ყოველი სახელმწიფოს ადგილობრივი კანონმდებლობა, თუ დამოკიდებულება სუროგაციის ყველა ფორმის აკრძალვის, მხოლოდ ალტრუისტული სუროგაციის დამკვიდრების ან სუროგაციის ლეგალიზაციის თვალსაზრისით, რიგ შემთხვევაში, მკვეთრად განსხვავდება ამ საკითხზე სხვა სახელმწიფოს ადგილობრივი კანონმდებლობის ან/და სახელმწიფოს პოზიციისაგან ¹⁰⁹³, განსაკუთრებული სირთულეები და გაურკვევლობაც კი ახლავს თან საერთაშორისო სუროგაციის¹⁰⁹⁴ შემთხვევებს; უფრო კონკრეტულად, საერთაშორისო სუროგაციისას დაბადებული ბავშვისათვის მოქალაქეობისა და იურიდიული მშობლის სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებულ საკითხებს.

საერთაშორისო სუროგაციას ძირითადად ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ბავშვის ყოლის მსურველი უშვილო წყვილი მიემგზავრება საზღვარგარეთ, ქვეყანაში, სადაც სუროგაცია ლეგალურია ანდა მისი განხორციელება ნაკლებ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ამ შემთხვევებში პოტენციური მშობელი უმეტესწილად იმ სახელმწიფოს მოქალაქეა, რომელიც ანტი-სუროგაციული დამოკიდებულებით ხასიათდება და, სადაც სუროგაცია კანონით იკრძალება. შესაბამისად, პოტენციური მშობელი ცდილობს, საკუთარი შვილის ყოლის განზრახვის რეალიზება სუროგაციის გზით მოახდინოს იმ სახელმწიფოში, სადაც ეს ლეგალურად მიიჩნევა. ზოგიერთ შემთხვევაში, პოტენციური მშობლის არჩევანი საზღვარგარეთ სუროგაციის განსახორციელებლად განპირობებული შეიძლება იყოს ფინანსური თვალსაზრისით, კერძოდ, იმ გარემოებით, რომ სუროგატი დედის შერჩევასთან, სუროგაციის სამედიცინო მომსახურებასთან, სუროგატის კომპენსაციასთან და სუროგაციასთან დაკავშირებული სხვა

¹⁰⁹³ რადიკალური განსხვავებები არსებობს არამართო სახელმწიფოების, არამედ კონკრეტული სახელმწიფოს შიგნით შტატების, ტერიტორიების კანონმდებლობებსა თუ დამოკიდებულებებს შორისაც. ამის ნათელი მაგალითია აშშ და ავსტრალია. დეტალურად იხ. წინამდებარე ნაშრომის III თავი.

¹⁰⁹⁴ International Surrogacy. ზოგიერთ შემთხვევაში მოიხსენიებენ, როგორც „cross-border surrogacy“ - „საზღვარგარეთ განხორციელებული სუროგაცია“; „transnational surrogacy“ - „ტრანსნაციონალური სუროგაცია“.

ხარჯები გაცილებით ნაკლებია. არსებობს შემთხვევები, როდესაც კონკრეტულ სახელმწიფოზე არჩევანი კეთდება ამ სახელმწიფოში სუროგაციის მიმართ არსებული ლიბერალური სამართლებრივი მონესრიგებისა და სუროგაციის განხორციელების შედარებით მარტივი სამართლებრივი პროცედურების გამო. „სხვა მოტივები მოიცავს სწრაფ პროცედურებს, პროცედურის წარმატებით განხორციელების მაღალ განაკვეთებს, მკურნალობის მაღალ სტანდარტებს ან კონფიდენციალურობის დაცვას“¹⁰⁹⁵.

საერთაშორისო სუროგაციას უკავშირდება ტერმინი „რეპროდუქციული ტურიზმი“ - საზღვარგარეთ განხორციელებული რეპროდუქციული მკურნალობა, რაც ნიშნავს იმას, რომ დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიით სარგებლობის მსურველი პირი, რომლის ქვეყანაშიც ეს ტექნოლოგია არ არის ხელმისაწვდომი, მიემგზავრება სხვა ქვეყანაში, სადაც ამ სერვისის მიღება შეუძლია¹⁰⁹⁶. შესაბამისად, ბუნებრივია,

¹⁰⁹⁵ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 25. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სუროგაციასთან დაკავშირებით ემპირიული კვლევების ნაკლებობაა. უშვილობის სფეროში ძირითადი ევროპული პროფესიული და სამეცნიერო გაერთიანების - ადამიანის რეპროდუქციისა და ემბრიოლოგიის ასოციაციის (European Society of Human Reproduction and Embryology (ESHRE)) დაფინანსებით ევროპის ექვს ქვეყანაში წარმოებული კვლევისას გამოკითხულების მიერ დასახელდა საკუთარ ქვეყანაში სუროგაციის განხორციელებასთან შედარებით საზღვარგარეთ ამ პროცედურის ჩატარების უპირატესობის მიზეზები, მათ შორის, სუროგაციაზე შეზღუდული წვდომა ასაკის გამო, იმ ვიტრო განაყოფიერების მკურნალობის შეზღუდული რაოდენობა, მაღალი ფასები, იურიდიული ბარიერები, დონორის ანონიმურობის შესახებ პოლიტიკა და მკურნალობის ხელმისაწვდომობა მხოლოდ წყვილისათვის. მსგავსი მიზეზები დასახელდა სხვა კვლევებითაც - სუროგაციის აკრძალვა, სერვისის არარსებობა ტექნოლოგიის ან პერსონალის არარსებობის გამო, არასაკმარისი უსაფრთხოების გარანტიები, მნიშვნელოვანი რისკები, შეზღუდვები ასაკისა და ქორწინების სტატუსის გამო და ა.შ. აღნიშნავენ, რომ დაახლოებით 160 მილიონ ევროპის მოქალაქეს არ გააჩნია სრული წვდომა დონაციის პროცედურაზე თავის ქვეყანაში; მოთხოვნის თვალსაზრისით 80,000 წყვილს ესაჭიროება მკურნალობა, რომელიც აკრძალულია მათ ქვეყანაში და დაშვებულია სხვაგან. მიუხედავად იმისა, რომ ევროპისათვის ზუსტად განსაზღვრული მონაცემები არ არსებობს, აღრიცხული იქნა, რომ ყოველწლიურად შესაძლებელია ხორციელდებოდეს საზღვარგარეთ მკურნალობის დაახლოებით 24-30 ათასი ციკლი, საიდანაც 11-14 ათასი პაციენტი ევროპიდანაა. იხ. Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 26.

¹⁰⁹⁶ რეპროდუქციულ ტურიზმთან დაკავშირებით იხ. Inhorn M., and Patrizio P., Reproductive Tourism As Reproductive Exile“, Fertility and Sterility, Vol. 92, Issue 3, 2009, 904-906; Pennings G., Reproductive Tourism As Moral Pluralism In Motion, Journal of Medical Ethics, Vol. 28, Issue 6, 2002, 337-341.

რომ რეპროდუქციული ტურიზმი განსაკუთრებით აქტიურია „სუროგაციის მეგობარ ქვეყნებში“, სადაც კომერციული სუროგაცია კანონიერია და სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის დაბადების მონუმბაში პოტენციური მშობლების იურიდიულ მშობლებად ასახვა შედარებით მარტივი სამართლებრივი პროცედურებით ხორციელდება.

საერთაშორისო სუროგაციისას „ბევრია შემთხვევა, როდესაც ბავშვის ხელოვნურად ჩასახვა წარმოებს ქვეყანაში, სადაც სუროგაცია ლეგალურია ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისი, ნამდვილი სუროგაციის ხელშეკრულების საფუძველზე, თუმცა, ბავშვის პოტენციური მშობლები იმ სახელმწიფოს მოქალაქეები არიან, სადაც სუროგაცია ზოგადად ან კონკრეტულად კომერციული სუროგაცია აკრძალულია“¹⁰⁹⁷. მოცემულ შემთხვევებში „სუროგაციის მეგობარ ქვეყანაში“ ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელებული სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის დაბადების მონუმბაში პოტენციური მშობლების იურიდიულ მშობლებად აღრიცხვა ხორციელდება ამ სახელმწიფოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით სასამართლოს ორდერის საფუძველზე ან უშუალოდ დაბადების რეგისტრაციის მწარმოებელი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. თუმცა, სუროგაციის აღსრულების ადგილის კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელებული სამართლებრივი პროცედურები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ პოტენციურმა მშობლებმა შეძლონ ბავშვთან ერთად საკუთარ ქვეყანაში დაბრუნება და ამ პროცედურების შესაბამისად გაცემული დოკუმენტები ავტომატურად არ ნიშნავს ამ დოკუმენტების აღიარებას პოტენციური მშობლების მოქალაქეობის სახელმწიფოს მიერ. პოტენციური მშობლების საკუთარ ქვეყანაში დაბრუნება ბავშვთან ერთად და ამ ქვეყნის მიერ მათი იურიდიულ მშობლებად აღიარება დამოკიდებულია ბავშვის მოქალაქეობასა და საერთაშორისო სუროგაციის მიმართ პოტენციური მშობლების მოქალაქეობის ქვეყნის მიდგომაზე.

¹⁰⁹⁷ Ergas Y., Thinking Through Human Rights: The Need for a Human Rights Perspective With Respect to the Regulation of Cross-Border Reproductive Technology in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 430-431.

2. „სუროგაციის მეგობარ ქვეყანაში“ სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის მოქალაქეობის განსაზღვრა

2.1. საერთაშორისო სუროგაციისას ბავშვის მოქალაქეობის განსაზღვრასთან დაკავშირებული პრობლემატიკა

როგორც აღინიშნა, სუროგაციის განხორციელების ადგილის კანონმდებლობის შესაბამისად შესრულებული სამართლებრივი პროცედურები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ პოტენციურმა მშობლებმა შეძლონ ბავშვთან ერთად საკუთარ ქვეყანაში დაბრუნება. საჭირო ხდება ბავშვისათვის შესაბამისი სამგზავრო დოკუმენტაციის მოპოვება, ამ პროცესში კი მნიშვნელოვანია ბავშვის მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხის განსაზღვრა, რომელიც დამოკიდებულია მოქალაქეობასთან დაკავშირებით ბავშვის დაბადების ადგილის სახელმწიფოს კანონმდებლობის მიდგომაზე. თუ ბავშვის დაბადების ადგილის ქვეყნის კანონმდებლობით მოქალაქეობის მოპოვება ხდება დაბადებით *ius soli* პრინციპის საფუძველზე¹⁰⁹⁸, ბავშვი დაბადებისთანავე, ავტომატურად, ხდება ამ ქვეყნის მოქალაქე¹⁰⁹⁹ და დაბადების მოწმობასთან ერთად მისთვის შესაძლებელია გაიყეს სამგზავრო დოკუმენტი - პასპორტი, რომელიც აძლევს შესაძლებლობას პოტენციურ მშობლებს, ბავშვთან ერთად გადაკვეთონ ბავშვის დაბადების ადგილის ქვეყანა. ამის მიუხედავად, ზოგიერთ სახელმწიფოს მის ტერიტორიაზე შესვლის უფლების მისანიჭებლად დანესებული აქვს დამატებითი მოთხოვნები, რომლებიც შეიძლება გამორიცხავდეს ან ართულებდეს პოტენციური მშობლების მიერ ბავშვის ამ ქვეყანაში შეყვანას¹¹⁰⁰.

თუ ბავშვის დაბადების ადგილის ქვეყნის კანონმდებლობით ბავშვი დაბადებით არ მოიპოვებს ამ ქვეყნის მოქალაქეობას, პოტენციურ მშობლებს უწევთ თავიანთი ქვეყნის საკონსულოსთვის მიმართვა ბავშვის პასპორტის მოპოვების მიზნით. ამ შემთხვევაში, პასპორტის მიღება და, შესაბამისად, პოტენციური მშობლების მოქალაქეობის ქვეყნის მოქალაქედ ბავშვის განსაზღვრა დამოკიდებულია *paterni et materni* პრინციპზე - თუ ბავშვის ერთ-ერთი იურიდიული მშობელი ამ ქვეყნის მოქალაქეა, ბავშვი

¹⁰⁹⁸ ნიადაგის პრინციპთან დაკავშირებით იხ. ჭილაძე ნ., წიგნში: გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩხილაძე გ., ჭილაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი, 2016, 213.

¹⁰⁹⁹ მაგ., ეს პრინციპი მოქმედებს აშშ-ში, რომლის კონსტიტუციის XIV შესწორების თანახმად აშშ-ში დაბადებული ყველა პირი ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეა.

¹¹⁰⁰ მაგ., გაერთიანებულ სამეფოში ბავშვის შესაყვანად პოტენციურმა მშობლებმა უნდა მოიპოვონ შესაბამისი შესვლის ნებართვა. იხ. Inter-Country Surrogacy and the Immigration Ruls.

<https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/261435/Intercountry-surrogacy-leaflet.pdf> [12.11. 2017].

ავტომატურად ხდება ამ ქვეყნის მოქალაქე. შესაბამისად, ბავშვის მოქალაქეობის განსაზღვრა დამოკიდებულია იმაზე, მიიჩნევა თუ არა ეს სახელმწიფო პოტენციურ მშობლებს ბავშვის იურიდიულ მშობლებად. ზოგიერთი ქვეყანა ამ საკითხს შედარებით ლიბერალურად უდგება, მაგ., ისრაელის მოქალაქეობა ენიჭება საზღვარგარეთ განხორციელებული სუროგაციის შედეგად დაბადებულ ბავშვს, თუ მისი ერთ-ერთი პოტენციური მშობელი ისრაელის მოქალაქეა და ამ პირსა და ბავშვს შორის არსებობს გენეტიკური კავშირი¹¹⁰¹. ზოგიერთი, სუროგაციის მიმართ მკვეთრი უარყოფითი დამოკიდებულების სახელმწიფო კი ბავშვის იურიდიული მშობლების განსაზღვრას ახდენს მხოლოდ *mater semper certa est* პრინციპის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ბავშვის დედა მხოლოდ მისი გამჩენი ქალია და ამ პრინციპის გამოყენების გამონაკლის შემთხვევად არ მიიჩნევა ბავშვსა და პოტენციურ მშობლებს შორის თუნდაც გენეტიკური კავშირის არსებობას¹¹⁰². აღნიშნული მიდგომა, ბუნებრივია, შეუძლებელს ხდის ამ ქვეყნის მიერ ბავშვისათვის პასპორტის გაცემას და, შესაბამისად, პოტენციური მშობლების ბავშვთან ერთად დაბრუნებას თავიანთ ქვეყანაში. ასეთ შემთხვევაში, განსაკუთრებული ზიანი ადგება ბავშვის ინტერესებს, ვინაიდან ბავშვი რჩება მოქალაქეობის გარეშე და იმ პირობებში, როდესაც მის იურიდიულ მშობლებს არ აღიარებს მშობლების მოქალაქეობის სახელმწიფო. ამგვარი სიტუაციები განსაკუთრებულ სირთულეებს იწვევს და საჭირო ხდება სხვადასხვა გზის მოძიება, მათ შორის დიპლომატიური მოლაპარაკებების წარმოება, ბავშვის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით¹¹⁰³. ამის ერთ-ერთი მაგალითია “*Baby Manji*”-ის სახელით ცნობილი საქმე,¹¹⁰⁴ რომელიც ეხებოდა ინდოეთში განხორციელებულ სუროგაციას იაპონიის მოქალაქე პოტენციურ მშობლებსა და ინდოეთის

¹¹⁰¹ Trimmings K., Beaumont P., General Report on Surrogacy in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 502-503.

¹¹⁰² მაგ., გერმანია. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის კანონმდებლობით გერმანიის მოქალაქედ მიიჩნევა პირი, რომლის ერთ-ერთი იურიდიული მშობელი გერმანიის მოქალაქეა, გერმანია პოტენციურ მშობელს არ მიიჩნევა სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის იურიდიულ მშობლად და, შესაბამისად, ბავშვს არ განიხილავს გერმანიის მოქალაქედ. უფრო მეტიც, სუროგაციის შესახებ ეჭვის არსებობის შემთხვევაში გერმანიის საკონსულო უარს ამბობს ბავშვისათვის პასპორტის გაცემაზე. Gossel L. S., Germany, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 138.

¹¹⁰³ Trimmings K., Beaumont P., General Report on Surrogacy in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 507.

¹¹⁰⁴ *Baby Manji Yamada v Union of India et al*, Writ Petition No 369 of 2008, Supreme Court of India.

მოქალაქე სუროგატ დედას შორის. ინდოეთში დაბადებული ბავშვის სამგზავრო დოკუმენტების მოპოვება გართულდა, ვინაიდან ბავშვის დაბადებამდე პოტენციური მშობლები განქორწინდნენ და პოტენციურმა დედამ უარი თქვა ამ შეთანხმებაში მონაწილეობის გაგრძელებაზე. ხანგრძლივი გართულებული პროცედურების შედეგად პოტენციურმა მამამ მოახერხა ინდოეთში, გამონაკლისის სახით, ბავშვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის, სამგზავრო დოკუმენტისა და ინდოეთში იაპონიის საელჩოსგან ბავშვისათვის ერთწლიანი ვიზის მიღება “ჰუმანიტარულ საფუძველზე”¹¹⁰⁵.

არსებობს შემთხვევები, როდესაც ბავშვს უფლება მიეცა, შესულიყო პოტენციური მშობლების მოქალაქეობის ქვეყანაში ტურისტული ვიზის საფუძველზე¹¹⁰⁶, ზოგიერთ შემთხვევაში კი გამოსავალი მოიძებნა იმაში, რომ ბავშვისათვის პოტენციური მშობლების მოქალაქეობის ქვეყნის მიერ გაცემული იქნა ბინადრობის ნებართვა¹¹⁰⁷, თუმცა, ეს შემთხვევები არის ინდივიდუალური და მათი განზოგადებით არ შეიძლება საერთაშორისო სუროგაციის მიმართ იმ კონკრეტული სახელმწიფოს პოზიციის ცალსახად ჩამოყალიბება, რომლის მიერაც დასახელებულ საქმეებში შესაბამისი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული.

ცალსახაა, რომ მოქალაქეობის გარეშე დარჩენილი ბავშვის უფლებებს არსებითი ზიანი ადგება, ვინაიდან მოქალაქეობის არქონის გამო მისთვის ფუნდამენტური უფლებების განხორციელება როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ დონეზე შეუძლებელი ან შეზღუდული ხდება. ვინაიდან მოქალაქეობა ინდივიდსა და საერთაშორისო სამართალს შორის პრინციპურ კავშირს წარმოადგენს, მოქალაქეობის არმქონე პირს არ გააჩნია ის არსებითი პირობა, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო სფეროში ინდივიდის უფლებების დაცვას. ადგილობრივად კი მოქალაქეობის არმქონე პირებს შეიძლება უარი ეთქვათ განათლების, ჯანდაცვის, დასაქმებისა და პოლიტიკურ აქტივობებზე¹¹⁰⁸. შესაბამისად, როდესაც განხორციელებულ სუროგაციასთან კავშირში მყოფი სახელმწიფოები (სახელმწიფო, სადაც სუროგაციის შედეგად ბავშვი დაიბადა და სახელმწიფო, რომლის მოქალაქეებიც პოტენციური მშობლები არიან)

¹¹⁰⁵ Trimmings K., Beaumont P., General Report on Surrogacy in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 508.

¹¹⁰⁶ მაგ., ვიზა გაცემული იქნა ახალი ზელანდიის მიერ.

¹¹⁰⁷ მაგ., ბინადრობის ნებართვა გაიცა ნორვეგიაში.

¹¹⁰⁸ Lin T., Born Lost: Stateless Children in International Surrogacy Arrangements, *Cardozo Journal of International and Comparative Law*, Vol. 21, Issue 2, 2013, 559.

საკუთარი ადგილობრივი კანონებისა თუ საჯარო წესრიგის მოტივებით უარს აცხადებენ სუროგაციის გზით უკვე დაბადებული ბავშვისათვის მოქალაქეობის მინიჭებაზე, ამ სახელმწიფოებისათვის უპირველესი და პრიორიტეტული უნდა იყოს განსაკუთრებული დაცვის უფლების მქონე - ბავშვის ინტერესები მათ ადგილობრივ სამართლებრივ ნორმებსა თუ ადგილობრივ საჯარო წესრიგთან შედარებით.

2.2. საერთაშორისო სუროგაციისას ბავშვის მოქალაქეობის განსაზღვრა და ბავშვის საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის უფლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მოქმედი ზოგადი წესის მიხედვით მოქალაქეობა დაბადებით არ განისაზღვრება, საერთაშორისო სუროგაციისას ბავშვის ინტერესების დაცვას ემსახურება მოქალაქეობის შესახებ საქართველოს კანონის ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც საქართველოში სუროგაციის გზით დაბადებული პირი მოიპოვებს საქართველოს მოქალაქეობას, თუ ამ პირის არცერთი მშობლის მოქალაქეობის ქვეყანა მას საკუთარ მოქალაქედ არ მიიჩნევს¹¹⁰⁹. აღნიშნული წესი ეხება მხოლოდ საქართველოში განხორციელებულ ისეთი სუროგაციის შემთხვევებს, როდესაც იგი შესრულებულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და ამ მოთხოვნების შესაბამისად სუროგატი დედის მიერ საქართველოში გაჩენილი ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში ბავშვის იურიდიულ მშობლებად აღრიცხულია სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მქონე წყვილი - პოტენციური მშობლები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში ბავშვის იურიდიულ მშობლებად აღიარებულ უცხოელ პოტენციურ მშობლებს საქართველოს კანონმდებლობით ეძლევათ შესაძლებლობა, მოიპოვონ ბავშვის, როგორც საქართველოს მოქალაქის, სამგზავრო დოკუმენტი - პასპორტი, თუ მათი მოქალაქეობის ქვეყანა უარს აცხადებს ბავშვისათვის მოქალაქეობის მინიჭებაზე, თუმცა, ამ შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობა მხოლოდ იმას ახერხებს, რომ ბავშვს მოქალაქეობის გარეშე არ ტოვებს. საქართველოს იურისდიქცია, ბუნებრივია, არ ვრცელდება პოტენციური მშობლების მოქალაქეობის იმ ქვეყანაზე, რომელიც სუროგაციას არ ცნობს და ბავშვის მშობლებად პოტენციურ მშობლებს არ აღიარებს. შესაბამისად ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად დამატებითი სამართლებრივი პროცედურების

¹¹⁰⁹ „მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-10 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი. მიღების თარიღი 30.04.2014.

განხორციელების გარეშე რთულდება ან საერთოდ შეუძლებელი ხდება ამ ქვეყნის ტერიტორიაზე ბავშვის შესვლა ან იქ მუდმივად დარჩენა.

რაც შეეხება სუროგაციის შედეგად საქართველოში დაბადებული ბავშვის საქართველოდან გაყვანას, ამ შემთხვევაში, თუნდაც პოტენციური მშობლების მოქალაქეობის ქვეყნის მიერ ბავშვზე გაცემული სამგზავრო დოკუმენტის არსებობა არ არის საკმარისი, არამედ აუცილებელია, რომ დაბადების რეგისტრაციის განმახორციელებელი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში ორივე უცხოელი პოტენციური მშობელი ბავშვის იურიდიულ მშობლად იქნას მითითებული. აღნიშნული რეგულაცია მიღებული იქნა 2016 წლის 04 მარტს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის საფუძველზე¹¹¹⁰. ცვლილების მიღების

¹¹¹⁰ საქართველოს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, 4846-III. კანონის შესაბამისად „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონს (მიღებულია 05.03.2014 წელს; ძალაში შესვლის თარიღი: 01.09.2014 წელი) დაემატა შემდეგი შინაარსის 49¹ მუხლი: „1. საქართველოში ექსტრაკორპორული განაყოფიერების (სუროგაციის) გზით დაბადებული ბავშვის საქართველოდან გასვლა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ შესრულებულ დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ბავშვის ორივე მშობელია მითითებული. 2. საქართველოში ექსტრაკორპორული განაყოფიერების (სუროგაციის) გზით დაბადებული ბავშვის საქართველოდან გასვლის წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრების ერთობლივი ბრძანებით“. იგივე შინაარსის ნორმას ადგენს საქართველოს კანონი საქართველოს „მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“, მუხლი 8¹. „საქართველოში ექსტრაკორპორული განაყოფიერების (სუროგაციის) გზით დაბადებული ბავშვის საქართველოდან გასვლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანების (№133–№144; მიღების თარიღი: 11.04.2016) მე-5 მუხლი: 1. იმ შემთხვევაში, თუ სასაზღვრო გამტარ პუნქტზე წარმოდგენილ ბავშვს, რომელიც ტოვებს საქართველოს ტერიტორიას, არ უფიქსირდება აღნიშვნა „შემოსვლა“, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი თანამშრომელი ამოწმებს ბავშვის მონაცემებს ამ წესის მე-3 მუხლში მითითებულ სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და ახდენს მის იდენტიფიკაციას. 2. თუ ამ წესის მე-3 მუხლში მითითებულ სააგენტოს მონაცემთა ბაზაში დაცული ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ ბავშვი, რომელიც პირველად ტოვებს საქართველოს ტერიტორიას, არის საქართველოში ექსტრაკორპორული განაყოფიერების (სუროგაციის) გზით დაბადებული და მისი დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში, რომელიც გაცემულია სააგენტოს მიერ, ორივე მშობელი მითითებული არ არის, ან მის სახელზე სააგენტოს მიერ არ არის რეგისტრირებული დაბადების სამოქალაქო აქტი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი თანამშრომელი ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება

აუცილებლობის მიზეზები საქართველოს პარლამენტის მიერ მის მიღებამდე დასახელდა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტზე თანდართულ განმარტებითი ბარათში (შემდგომში „განმარტებითი ბარათი“), სადაც კანონის მიღების ძირითად მიზნად განისაზღვრა „საქართველოში ექსტრაკორპორული განაყოფიერების (სუროგაციის) გზით დაბადებული ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა, საქართველოს კანონმდებლობის გვერდის ავლით მისი ქვეყნიდან გაყვანის აკრძალვა და ამ გზით მის მიმართ სხვადასხვა სახის უკანონო ქმედების განხორციელების, მათ შორის, ტრეფიკინგის მსხვერპლად ქცევის შემთხვევათა, თავიდან აცილება“.

კანონით განსაზღვრული შეზღუდვა სრულად ვერ პასუხობს „განმარტებით ბარათში“ აღწერილ სუროგაციის გამონწვევებს, ამასთან, კანონით შეზღუდვის დაწესების კონკრეტულმა ფორმულირებამ¹¹¹¹, რომელიც სავალდებულო წესით ითხოვს ორივე მშობლის ბავშვის იურიდიულ მშობლად რეგისტრაციას, შესაძლოა, დამატებითი ხელოვნური ბარიერები შექმნას და ბავშვის ინტერესების საწინააღმდეგოდ გააჭიანუროს ბავშვის საქართველოდან გაყვანა ისეთ შემთხვევებში, რომლებსაც არავითარი კავშირი ბავშვთა ტრეფიკინგთან არ აქვთ და, როდესაც, საქართველოში სუროგაციის განხორციელების ერთადერთი მიზანი უკავშირდება უცხოელი პოტენციური მშობლების განზრახვას, ჰყავდეთ საკუთარი შვილი.

„განმარტებითი ბარათის“ მიხედვით, აკრძალვის დაწესება, რომ სუროგაციის გზით საქართველოში დაბადებული ბავშვის საქართველოდან გაყვანა არ იქნება შესაძლებელი, თუ ბავშვის დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ორივე მშობელი არ არის მითითებული, განპირობებულია იმით, რომ დათქმულია „6 კონკრეტული შემთხვევა, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე ექსტრაკორპორული განაყოფიერების (სუროგაციის) გზით დაბადებული ბავშვის საქართველოდან გაყვანა მოქმედი კანონმდებლობის გვერდის ავლით - სხვა ქვეყნის მიერ გაცემული დოკუმენტებით - მოხდა დიდ ბრიტანეთსა და ისრაელში. საქართველოდან ბავშვის ამ გზით გაყვანისას იქმნება მისი ტრეფიკინგის მსხვერპლად ქცევის რეალური

ბავშვის საქართველოდან გაყვანაზე (საზღვრის გადაკვეთაზე) უარის თქმის შესახებ. 3. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

¹¹¹¹ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 49¹ მუხლი.

საერთოხე¹¹¹². ბარათი თავადვე მიუთითებს, რომ ამის მიზეზია „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის №18 ბრძანების მე-19 მუხლით დადგენილი წესი ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად გაჩენილი ბავშვის დაბადების რეგისტრაციასთან დაკავშირებით, რომელიც განსაზღვრავს დაბადების რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალს: „(1) ექსტრაკორპორული განაყოფიერების დამადასტურებელი საბუთი, რომელიც გაცემულია სამედიცინო დაწესებულების მიერ ემბრიონის იმპლანტაციისთანავე და (2) ექსტრაკორპორულ განაყოფიერებამდე დადებული, სანოტარო წესით დამონშემული ხელშეკრულება, რომელიც დადებულია ხელშეკრულებაში მონაწილე ყველა პირს შორის“¹¹¹³. ბარათი არ ახდენს ამ მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის დეტალიზაციას, რამაც რეალურად გამოიწვია კანონის პროექტის შემუშავების პერიოდისათვის არსებული პრობლემატიკა, და, რომელსაც, კავშირი ბავშვთა ტრეფიკინგთან არ უნდა ჰქონდეს: დასახელებული ბრძანების მე-19 მუხლის შესაბამისად, თუ სუროგაციის დროს გამოყენებული იქნა დონორი ან დონორები, სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის დაბადების რეგისტრაციისათვის სავალდებულოა, წყვილს, სუროგატ დედასა და დონორს ან დონორებს შორის ინ ვიტრო განაყოფიერებამდე ნოტარიულად გაფორმებული ხელშეკრულების სააგენტოში წარდგენა. რეალური პრობლემა გამოიწვია იმან, რომ სანოტარო წესით გაფორმებული ხელშეკრულებები არსებობდა, თუმცა მხოლოდ წყვილებსა და სუროგატ დედას შორის, დონორის მონაწილეობის და იდენტიფიკაციის გარეშე, რადგან (ა) 2015 წლამდე სამოქალაქო რეესტრი ფაქტობრივად არ ითხოვდა ინ ვიტრო განაყოფიერების განმახორციელებელი სამედიცინო დაწესებულებისაგან დამატებით ინფორმაციას, იყო თუ არა დონორი ან დონორები გამოყენებული სამედიცინო პროცედურაში; (ბ) წყვილი - პოტენციური მშობლები, ისევე, როგორც დონორები, თავს არიდებდნენ პირდაპირ კომუნიკაციას ერთმანეთთან, სურდათ რა ანონიმურობის და კონფიდენციალურობის დაცვა. აღნიშნული პრობლემის - წყვილს, სუროგატ დედასა და დონორს შორის შესაბამისი ნოტარიულად დამონშემული ხელშეკრულების არარსებობის - გამო, ვინაიდან, სააგენტო უარს ეუბნებოდა წყვილებს - პოტენციურ მშობლებს, მათი, როგორც სუროგაციის გზით დაბადებული

¹¹¹² განმარტებითი ბარათი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე, 1.

¹¹¹³ იქვე, 1.

ბავშვის/ბავშვების მშობლებად რეგისტრაციაზე, წყვილებს უხდებოდათ სასამართლოსთვის მიმართვა იმისათვის, რომ მომხდარიყო მათი იურიდიულ მშობლებად აღიარება სასამართლოს წესით¹¹¹⁴.

მართალია, „განმარტებითი ბარათი“ მიუთითებს, რომ „2015 წელს დაფიქსირდა 6 შემთხვევა, როდესაც, უცხოელი წყვილები არ დაელოდნენ ქართული სასამართლოს გადანყვეტილებას, რომელსაც უნდა დაედასტურებინა ან უნდა უარეყო, რომ ისინი ნამდვილად მოცემული ბავშვების იურიდიული მშობლები იყვნენ, დაუკავშირდნენ თავიანთი მოქალაქეობის ქვეყნების შესაბამის ორგანოებს, მოკლე დროში მოიპოვეს ბავშვისათვის საბუთები და ეს ბავშვები საქართველოდან გაიყვანეს, როგორც თავიანთი ქვეყნის მოქალაქეები (4 ისრაელში, 2 დიდ ბრიტანეთში)“¹¹¹⁵, თუმცა, არ არის სწორად და დეტალურად შესწავლილი ის რეალური მიზეზები, თუ რამ გამოიწვია ამ „უცხოელი წყვილების“ მიერ „თავიანთი მოქალაქეობის ქვეყნების შესაბამისი ორგანოებისათვის“ მიმართვა და, თუ რატომ „არ დაელოდნენ“ ისინი „ქართული სასამართლოს გადანყვეტილებას“. განმარტებით ბარათებში ეს მიზეზები არ ჩანს, შეგვიძლია, ვიხილოთ მხოლოდ მშრალი დასკვნა, რომ არსებობს ბავშვთა ტრეფიკინგის საშიშროება.

„განმარტებით ბარათი“ არასწორად ასახავს იმ პროცესუალურ გზას, თუ როგორ ხორციელდება სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში მისი პოტენციური მშობლების რეგისტრაციაზე სააგენტოს უარის შემთხვევაში სასამართლოს მიერ შესაბამისი საკითხის განხილვა და გადანყვეტა. ბარათის მიხედვით „ასეთ დროს ბავშვის მშობლების იდენტიფიცირება უნდა განხორციელდეს სასამართლოსათვის მიმართვის გზით, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის (ბავშვთან ნათესაური კავშირის - დედობის ან მამობის) დადგენის მოთხოვნით. სასამართლოს შესაბამისი გადანყვეტილება საკმარისი საფუძველია სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის, სრულყოფილად განახორციელოს ბავშვის დაბადების რეგისტრაცია და წყვილი ბავშვის იურიდიულ მშობლებად დააფიქსიროს“¹¹¹⁶. მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად გამართლებულია, სასამართლომ უდავო წარმოების წესით (იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის - ბავშვთან ნათესაური კავშირის

¹¹¹⁴ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული დეტალური მსჯელობა იხ. წინამდებარე ნაშრომის IV თავის ქვეთავი 2.

¹¹¹⁵ განმარტებითი ბარათი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე, 2.

¹¹¹⁶ იქვე, 2.

დადგენის გზით) განიხილოს და გადანყვიტოს ასეთი საქმეები, პრაქტიკაში საქართველოს სასამართლო უარს ამბობს ამგვარი საქმეების უდავო წარმოების წესით განხილვაზე და უფლებას აძლევს პოტენციურ მშობლებს, სასამართლოს მიმართონ მხოლოდ სასარჩელო წარმოების გზით. სასარჩელო წარმოება კი უდავო წარმოებისაგან განსხვავებით ბევრად უფრო ხანგრძლივი და რთული პროცესია. ამას თან ერთვის ის არსებული და სამწუხარო რეალობა, რაც დღესდღეობით სახეზე გვაქვს პირველი ინსტანციის სასამართლოში - საქმეების გადატვირთულობა, რაც ვლინდება იმაში, რომ შეტანილ სარჩელზე საქმის განხილვის თარიღის დანიშვნას რამდენიმე თვე შეიძლება დასჭირდეს. აღნიშნულ პროცესს თან სდევს დასახელებული გადანყვიტების მომზადებისა და მხარეებისათვის ჩაბარების დამატებითი ვადები, პროცედურა და საფრთხე, რომ დასახელებულმა მოპასუხემ ან მოპასუხეებმა შესაძლოა გაასაჩივრონ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვიტება¹¹¹⁷.

აღნიშნულიდან გამომდინარე, როდესაც „განმარტებით ბარათში“ დასახელებული საქმეები ეხებოდა უცხოელ წყვილებს, რომელთათვისაც უცხო ქვეყანაში, მოცემულ შემთხვევაში კი - საქართველოში, ყოფნის თითოეული გაუთვალისწინებელი დღე შეიძლება საკმაოდ დიდ სირთულეებთან ყოფილიყო დაკავშირებული, არსებობს თუ არა იმის შესაძლებლობა, რომ მათ არა ტრეფიკინგის, არამედ სხვა რეალური მიზეზის გამო არ „დაელოდნენ“ საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადანყვიტებას მათი მშობლებად აღიარების შესახებ? მოცემულ შემთხვევაში არ ხდება იმაზე აპელირება, რომ არაკანონიერი ქმედება შეიძლება გამართლებული იყოს. საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ „განმარტებით ბარათში“ დასახელებული ექვსი შემთხვევის რეალური მიზეზები არ არის გამოკვლეული და კვლევის გარეშე დასკვნა გაკეთებული ბავშვთა ტრეფიკინგის საფრთხის არსებობასთან დაკავშირებით. არ არის შესწავლილი, ასევე, ის მნიშვნელოვანი გარემოება, თუ რატომ გადანყვიტა ისრაელისა და დიდი ბრიტანეთის „შესაბამისმა ორგანოებმა“, დახმარებოდნენ თავიანთ მოქალაქეებს და ბავშვებზე გაეცათ შესაბამისი სამგზავრო დოკუმენტები. იყო თუ არა ეს დახმარება, თუ ადგილი ჰქონდა რომელიმე თანამდებობის პირის მხრიდან რაიმე გადაცდომას? აღნიშნულ თემებზე საუბარი, საკითხის და თითოეული ფაქტის ყოველმხრივი გამოკვლევისა და შესწავლის გარეშე ძალზე სახიფათოა თვით

¹¹¹⁷ პრაქტიკაში, უმრავლეს შემთხვევაში, ასეთ საქმეებზე, მოპასუხედ დასახელებული სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო უარს ამბობს გადანყვიტების გასაჩივრებაზე, თუ აღძრულია სამოქალაქო სარჩელი. დეტალურად იხ. წინამდებარე ნაშრომის IV თავი.

საქართველოს სახელმწიფო ინტერესებისთვისაც. ამ საკითხთან დაკავშირებით მოკლედ რომ ითქვას, „განმარტებითი ბარათი“ ვერ ახდენს იმ ფაქტის დასაბუთებას, რომ დასახელებული ექვსი შემთხვევა, რაც, ამ ბარათის მიხედვით, ერთ-ერთი სათუძველია ბავშვის საქართველოდან გაყვანაზე შეზღუდვის დაწესებისათვის, ბავშვთა ტრეფიკინგს ან მის საფრთხეს უკავშირდება.

განმარტებით ბარათს რომც დაესაბუთებინა თუნდაც ერთი ტრეფიკინგის შემთხვევის ან საფრთხის არსებობა, დღეის მდგომარეობით კანონის ნორმად ქცეული ცვლილება არ წარმოადგენს „ეფექტურ მექანიზმს“ ბავშვთა ტრეფიკინგის საფრთხის აღსაკვეთად: რა იცვლება იმით, არის თუ არა ორივე მშობელი დათქმირებული სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში? რა შემთხვევაში შეიძლება მოხდეს ისე, რომ ამ გზით დაბადებული ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში დარეგისტრირდეს მხოლოდ ერთი მშობელი? ამ კითხვებზე პასუხი შესაძლებლობას მოგვცემს ნათლად დავინახოთ არსებული შეზღუდვის ხარვეზი. ზემოაღნიშნული „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის №18 ბრძანების შესაბამისად სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს არ აქვს უფლება, სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში მიუთითოს მხოლოდ ერთი მშობელი. ბუნებრივია, როდესაც სააგენტო უარს ამბობს მშობლების რეგისტრაციაზე, საქმე განიხილება სასამართლო წესით. თუმცა, შეგვიძლია თუ არა, დაუშვათ ისეთი შემთხვევის არსებობა, როდესაც სააგენტოს უარის შემდგომ სასამართლოს სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის მშობლად აღიარების მოთხოვნით მიმართავს მხოლოდ ერთი მშობელი, რომელიც ამ ბავშვის გენეტიკური მშობელია (მიზეზი იმისა, რომ მეორე მშობელი შეიძლება არ იღებდეს მონაწილეობას სასამართლო განხილვაში, როგორც მოსარჩელე, შეიძლება სხვადასხვა იყოს, მაგ., მას ამის ინტერესი აღარ აქვს, პოტენციური მშობლები დაშორდნენ, განქორწინდნენ, ვერ ხერხდება პოტენციური მშობლის მოძიება და ა.შ.) ან თუნდაც სასამართლოს მიმართოს ორივე პოტენციურმა მშობელმა, თუმცა, სასამართლომ ბავშვის იურიდიულ მშობლად მხოლოდ ერთი პოტენციური მშობელი აღიაროს¹¹¹⁸.

¹¹¹⁸ მსგავს შემთხვევას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაშინ, როდესაც ეჭვს იწვევს სუროგაციის სამედიცინო პროცედურა და პოტენციური მშობლების იურიდიულ მშობლებად აღიარება შესაძლებელი ხდება მხოლოდ ბავშვსა და თითოეულ მშობელს შორის გენეტიკური კავშირის დადასტურების შემთხვევაში. მაგ., თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 2017 წლის 25 დეკემბერს საქმეზე #2/29617-17 იტალიის მოქალაქეების, როგორც პოტენციური მშობლების, საქართველოში სუროგატი დედის მიერ გაჩენილი ბავშვის მშობლებად აღიარება, მოახდინა ბიოლოგიური (გენეტიკური)

მართალია, ხელმისაწვდომი ინფორმაციით, საქართველოს სასამართლოებში მსგავსი საქმის განხილვას ჯერ ადგილი არ ჰქონია, თუმცა, რეალურად ხომ შეიძლება არსებობდეს იმის შესაძლებლობა, რომ სასამართლომ მხოლოდ ერთი პოტენციური და, ამასთანავე, გენეტიკური მშობლის სასარჩელო მოთხოვნის საფუძველზე მოახდინოს მისი, როგორც სუროგატი დედის მიერ გაჩენილი ბავშვის, მშობლად აღიარება? თუ სასამართლო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის მშობლად აღიარებს მხოლოდ ერთ პოტენციურ მშობელს, სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულო წესით ექვემდებარება რეგისტრაციას სააგენტოში და ეს უკანასკნელი ვალდებულია, განახორციელოს ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში ბავშვის მშობლად მხოლოდ ერთის - დედის ან მამის ჩანერა. წარმოდგენილი ცვლილებების შესაბამისად ასეთი ბავშვი ვერ დატოვებს საქართველოს საზღვარს, თუნდაც ხანმოკლე პერიოდით, რაც, ყოვლად დაუშვებელია და, რასაც კავშირი არ აქვს ბავშვთა ტრეფიკინგთან. ასეთ შემთხვევაში პოტენციურ მშობელს მოუწევს სასამართლოს წესით ბავშვის საქართველოდან გაყვანის უფლების მოპოვება. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იქნებოდა კანონმდებელს კანონის მიღების პროცესში გაეთვალისწინებინა ეს საფრთხეები და კანონში ცვლილების ფორმულირება ჩამოეყალიბებინა იმგვარად, რომ მინიმალიზირებული ყოფილიყო, უპირველეს ყოვლისა, ბავშვის ინტერესების ხელშეწყობის რისკები.

3. მშობლის იურიდიული სტატუსის განსაზღვრა პოტენციური მშობლების მოქალაქეობის ქვეყნის მიერ

პოტენციური მშობლების მოქალაქეობის სახელმწიფო სხვა ქვეყანაში სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის იურიდიულ მშობლებად პოტენციური მშობლებს, ზოგიერთ შემთხვევაში, არ აღიარებს ან ამგვარი აღიარება განსაკუთრებულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. მაგ., კალიფორნიის შტატის, საქართველოსა და უკრაინის კანონმდებლობით

ექსპერტიზის საფუძველზე, რომლითაც დადგინდა ორივე მშობელსა და ბავშვს შორის გენეტიკური კავშირი. გენეტიკური ექსპერტიზის ჩატარების აუცილებლობა ძირითადად გამოიწვია იმ გარემოებებმა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით ვერ დასტურდებოდა სუროგაციის სამედიცინო პროცედურის ჩატარების ფაქტი, კერძოდ, სუროგაციის ხელშეკრულება პოტენციურ მშობლებსა და საქართველოს მოქალაქე სუროგატ დედას შორის არ იყო ნოტარიულად გაფორმებული, სუროგატი დედის საშვილოსნოში ემბრიონის გადატანის სამედიცინო პროცედურა კი ჩატარდა საერთაშორისო აღიარების არმქონე ჩრდილოეთ კვიპროსის ტერიტორიაზე სამედიცინო დაწესებულებაში.

პოტენციური დედა ნამდვილი გესტაციური სუროგაციის განხორციელების შედეგად დაბადებული ბავშვის იურიდიულ დედად მიიჩნევა, მაშინ, როდესაც გერმანიისა და საფრანგეთის კანონით ბავშვის იურიდიული დედა ბავშვის გამჩენი ქალია ბავშვის დაბადების ადგილის მიუხედავად. იგივე სირთულეებია მამობის განსაზღვრასთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომ, საერთაშორისო სუროგაციისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა ქვეყნის ნორმათა კოლიზიის არსებობისა და სუროგაციასთან სამართლებრივად დაკავშირებულ სახელმწიფოებს შორის ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული სამართლებრივი პოზიციების გამო, ამგვარ პირობებში წარმოებული საერთაშორისო სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის ინტერესები საფრთხის ქვეშაა, როდესაც მისი დაბადების ქვეყანაში იურიდიულ მშობლებად მიჩნეული პირების - პოტენციური დედისა და პოტენციური მამის მოქალაქეობის სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც მშობლებს მუდმივი საცხოვრებელი აქვს, არ აღიარებს მათი, როგორც ბავშვის მშობლების, იურიდიულ სტატუსს.

საერთაშორისო სუროგაციული შეთანხმებების კონტექსტში კანონი მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც გლობალური ბაზრის განვითარების, ასევე, ამ შეთანხმებებში ჩართული პირებისათვის შედეგების განსაზღვრაში¹¹¹⁹. საერთაშორისო სუროგაციის შემთხვევებში პოტენციური მშობლების იურიდიული მშობლის სტატუსის განსაზღვრის მიმართ განსხვავებული მიდგომები არსებობს საერთო სამართლის ქვეყნებსა და კონტინენტური ევროპის ქვეყნებში. კონტინენტური ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობისგან განსხვავებით, სადაც საზღვარგარეთ დაბადებული ბავშვის იურიდიული მშობლების განსაზღვრის საკითხის მიმართ ძირითადად გამოიყენება საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები უცხო ქვეყნის სასამართლოს გადანყვეტილებების, იურიდიული ფაქტების ან სასამართლოს აქტების ცნობის თაობაზე, საერთო სამართლის ქვეყნებში ამ საკითხის განსაზღვრა ძირითადად წარმოებს ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით¹¹²⁰.

კონტინენტური სამართლის ზოგიერთ ქვეყანაში, ძირითადად ბავშვსა და პოტენციურ მშობლებს შორის გენეტიკური კავშირის არსებობის დადასტურების შემთხვევაში, შესაძლებელია, ამ ქვეყანამ აღიაროს პოტენციური მშობლები ბავშვის იურიდიულ მშობლებად ბავშვის დაბადების

¹¹¹⁹ Nelson E., Global Trade and Assisted Reproductive Technologies: Regulatory Challenges in International Surrogacy, *Journal of Law, Medicine and Ethics*, Vol. 41, Issue 1, 2013, 241.

¹¹²⁰ Trimmings K., Beaumont P., General Report on Surrogacy in: *International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level*, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 510.

ადგილას გაცემული დაბადების მონმობის ან სასამართლოს გადანყვეტილების ცნობის საფუძველზე. აღიარება შეიძლება აუცილებელი იყოს ბავშვის მოქალაქეობის საკითხის განსაზღვრის ეტაპზე ან ბავშვთან ერთად პოტენციური მშობლების დაბრუნებისას მათი მოქალაქეობის ქვეყანაში. მაგ., სუროგაციის აკრძალვის მიუხედავად, კანონმდებლობა და დამოკიდებულება ესპანეთში შედარებით „მეგობრულია“ მის საზღვრებს გარეთ კანონიერად განხორციელებული სუროგაციის მიმართ, თუ ამის შედეგად საჭირო ხდება ბავშვის დაბადების რეგისტრაცია ესპანეთში. რეესტრებისა და ნოტარიუსების გენერალური დირექტორატის¹¹²¹ 2010 წლის 5 ოქტომბრის „სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვების მშობლების რეგისტრაციის რეჟიმის შესახებ“ დირექტივა უზრუნველყოფს სამოქალაქო რეესტრში იმ ბავშვების რეგისტრაციას, რომლებიც დაიბადნენ სხვა ქვეყანაში ლეგალურად განხორციელებული სუროგაციის შედეგად, თუ ბავშვის ერთ-ერთი მშობელი ესპანეთის მოქალაქეა¹¹²². თუმცა, დირექტივის არსებობის მიუხედავად, ვალენსიის უზენაესმა სასამართლომ 2011 წლის 23 ნოემბრის გადანყვეტილებით (#8621/2011) საქმე გადანყვიტა გენერალური პროკურორის გადანყვეტილების სასარგებლოდ, რომელიც ითვალისწინებდა საზღვარგარეთ განხორციელებული სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვების სამოქალაქო რეესტრში რეგისტრაციის გაუქმებას.

შესაბამისად, „სუროგაციის მეგობარ ქვეყანაში“ დაბადებული ბავშვის იურიდიულ მშობლებად პოტენციური მშობლების აღიარების საკითხი მშობლების მოქალაქეობის ქვეყნის მიერ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად რადიკალურად ანტი-სუროგაციულია ამ ქვეყნის დამოკიდებულება, ვინაიდან საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმების გამოყენების შემთხვევაშიც სახელმწიფო უფლებამოსილია, უარი თქვას სხვა სახელმწიფოს სასამართლოს გადანყვეტილებისა თუ სხვა აქტების ცნობაზე საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობის საფუძველით. მაგ., საფრანგეთის სასამართლომ უარი თქვა, ეცნო აშშ-ის შტატების მინესოტასა და კალიფორნიის სასამართლოების გადანყვეტილებები, რომლითაც აშშ-ის სასამართლოებმა აღიარეს საფრანგეთის მოქალაქეები, ქორწინებაში მყოფი წყვილები ამ შტატებში სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვების

¹¹²¹ Directorate General for Registers and Notaries (DGRN) ესპანეთში წარმოადგენს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალ რეესტრის მწარმოებელ ადმინისტრაციულ ორგანოს; Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 353.

¹¹²² იქვე, 354.

მშობლებად¹¹²³. საფრანგეთის სასამართლომ უარის თქმის მიზეზად დაასახელა საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობის საფუძველი, განსაზღვრა რა, რომ აშშ-ის გადაწყვეტილებების რეგისტრაცია დაარღვევდა საჯარო რესრიგს, რადგან „მოქმედი კანონის შესაბამისად, ეს ეწინააღმდეგება პრინციპს, რომლის მიხედვითაც პირთა სტატუსი არ შეიძლება გახდეს კერძო ხელშეკრულებების საგანი“¹¹²⁴.

მიუხედავად იმისა, რომ საერთო სამართლის ქვეყნები საზღვარგარეთ დაბადებული ბავშვის იურიდიული მშობლების განსაზღვრის საკითხს წყვეტენ საკუთარი ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, ადგილობრივი კანონმდებლობით სუროგაციის აკრძალვის ან მხოლოდ ალტერნატიული სუროგაციის დაშვების მიუხედავად, სასამართლომ პოტენციური მშობლები შეიძლება აღიაროს ბავშვის იურიდიულ მშობლებად კომერციული სუროგაციის შემთხვევაშიც მშობლებსა და ბავშვს შორის გენეტიკური კავშირის დადასტურებისას ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპის გათვალისწინებით. მაგალითად, საქმეში *Re L (a minor)*¹¹²⁵ დიდ ბრიტანეთში უმაღლესმა სასამართლომ განიხილა მშობლის ორდერის მიღების თაობაზე განცხადება, რომელიც ეხებოდა აშშ-ის შტატ ილინოისში განხორციელებულ კომერციულ სუროგაციას. „მოსამართლემ ნათლად აღნიშნა, რომ მშობლის ორდერის გაცემაზე უარის თქმა გამართლებული იქნებოდა საჯარო წესრიგის დარღვევის უფრო მეტად ექსტრემალურ შემთხვევებში“¹¹²⁶, თუ ბავშვის კეთილდღეობის შეხედულებებიდან გამომდინარე საკითხი სხვაგვარად შეიძლება გადაწყვეტილიყო. ფაქტმა, რომ სუროგაციის ხელშეკრულება ლეგალური იყო ილინოისში, ასევე, მოახდინა ზეგავლენა სასამართლოს მიერ [სუროგატი დედისათვის] გადასახადის მოწონებაზე, რომელიც ჩაითვალა, რომ განხორციელდა „კეთილსინდისიერად“¹¹²⁷. მსგავსი დასაბუთება იქნა გამოყენებული საქმეში *Re D and L (minors) (surrogacy)*, სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ „თუ მშობლის ორდერის მისაღებად განმცხადებლები მოქმედებენ კეთილსინდისიერად, სახელმწიფო ორგანოების მოტყუების ყოველგვარი მცდელობის გარეშე, და, თუ [სუროგატი დედისათვის გადახდილი] თანხები არ არის იმდენად არაპროპორციული, რომ მშობლის ორდერის გაცემა

¹¹²³ Cour de Cassation, Chambre Civile 1, 6 avril 2011, 09-66-486, Publie au bulletin; Cour de Cassation, Chambre Civile 1, 6 avril 2011, 10-19-053, Publie au bulletin.

¹¹²⁴ Cour de Cassation, Chambre Civile 1, 6 avril 2011, 09-66-486, Publie au bulletin.

¹¹²⁵ *Re L (a minor)* [2010] EWHC 3146 (Fam).

¹¹²⁶ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 62.

¹¹²⁷ იქვე.

საჯაროდ ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, ჩვეულებრივ ადეკვატური იქნება რეტროსპექტული ავტორიზაციის გაცემა ბავშვების კეთილდღეობის მნიშვნელობიდან გამომდინარე¹¹²⁸.

იმ შემთხვევებში, როდესაც პოტენციური მშობლების მოქალაქეობის ქვეყანაში შეუძლებელი ხდება მათთვის სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის იურიდიული მშობლების სტატუსის მოპოვება, პოტენციურ მშობლებს უხდებათ ხანგრძლივი და რთული პროცედურების გავლა შვილად აყვანის ან ბავშვზე სპეციალური მეურვეობის მოსაპოვებლად¹¹²⁹.

4. საერთაშორისო სუროგაციასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების ძიება წარმოებული კვლევების საფუძველზე

საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამეცნიერო ავტორთა მიერ შემუშავდა რამდენიმე პროექტი საერთაშორისო სუროგაციასთან დაკავშირებული საკითხებისა და პრობლემების კვლევის განხორციელებაზე¹¹³⁰. ამ მხრივ, აღსანიშნავია საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ ჰააგის კონფერენციის მუდმივმოქმედი ბიუროს მიერ წარმოებული პროექტი „ბავშვთა სტატუსთან, მათ შორის, საერთაშორისო სუროგაციული შეთანხმებებიდან წარმოშობილ საკითხებთან დაკავშირებული, საერთაშორისო კერძო სამართლის საკითხები“. პროექტის განხორციელების ინიციატივა წარმოიშვა 2010 წელს სპეციალური კომისიის შეხვედრაზე, რომელიც ეხებოდა ჰააგის კერძო სამართლის საერთაშორისო კონფერენციის ეგიდით მიღებული 1993 წლის 29 მაისის „ბავშვთა დაცვისა და ბავშვთა საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ კონვენციის¹¹³¹ (შემდგომში „ჰააგის კონვენცია“) შესაძლო გამოყენების საკითხს საერთაშორისო სუროგაციის შემთხვევებში და, სადაც გადაწყდა,

¹¹²⁸ იქვე.

¹¹²⁹ Trimmings K., Beaumont P., General Report on Surrogacy in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 523.

¹¹³⁰ Stoll J., Surrogacy Arrangements and Legal Parenthood: Swedish Law in a Comparative Context, Uppsala, 2013, 44.

¹¹³¹ „ბავშვთა დაცვისა და ბავშვთა საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ კონვენცია, მიღებულია ჰააგის კერძო სამართლის საერთაშორისო კონფერენციის ეგიდით 1993 წლის 29 მაისს. კონვენციის საქართველო მიუერთდა „ჰააგის კერძო სამართლის საერთაშორისო კონფერენციის ეგიდით მიღებულ 1993 წლის 29 მაისის „ბავშვთა დაცვისა და ბავშვთა საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ კონვენციასთან საქართველოს შეერთების თაობაზე“ 1999 წლის 11 მარტის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №94-ის საფუძველზე.

რომ „ჰააგის კონვენციის“ გამოყენება ამ შემთხვევების მიმართ არ იყო მიზანშეწონილი.¹¹³² შესაბამისად, გაიკა რეკომენდაცია, რომ „ჰააგის კონვენციას განეხორციელებინა შემდგომი კვლევა საერთაშორისო სუროგაციის ირგვლივ არსებულ საერთაშორისო კერძო სამართლის საკითხებზე“¹¹³³. 2010 წლიდან 2017 წლის ჩათვლით პროექტის ფარგლებში ჰააგის მუდმივმოქმედ ბიუროს წარმოდგენილი აქვს რამდენიმე ანგარიში და დოკუმენტი პროექტთან დაკავშირებულ საკითხებზე¹¹³⁴, 2014 წელს კი გამოქვეყნდა საერთაშორისო სუროგაციის საკითხებსა და მშობლის იურიდიულ სტატუსთან დაკავშირებული კვლევა¹¹³⁵.

სუროგაციის მარეგულირებელ, ძირითადად ევროპის ქვეყნების, ადგილობრივი კანონმდებლობებისა და ამ საკითხებზე სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზს გვთავაზობს ევროპარლამენტის ეგიდით წარმოებული „ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში სუროგაციის რეჟიმის შედარებითი კვლევა“¹¹³⁶. კვლევა არამარტო ახორციელებს სუროგაციის მიმართ ადგილობრივი სამართლებრივი მიდგომების ფართო შესწავლას, არამედ ახდენს არსებული ევროკავშირის სამართლისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ანალიზს იმისათვის, რომ განისაზღვროს, თუ რა ვალდებულებები და შესაძლებლობები ახლავს თან ადგილობრივ და

¹¹³² Conclusions and Recommendations Adopted by the Special Commission on the Practical Operation of the Hague Convention of 29 May 1993 on Protection of Children and Cooperation in Respect of Intercountry Adoption, 17–25 June 2010, “International Surrogacy and Intercountry Adoption“, პარაგრაფი 25. <http://www.hcch.net/upload/wop/adop2010concl_e.pdf> [12.11.2017].

¹¹³³ იქვე, პარაგრაფი 26.

¹¹³⁴ Preliminary Note on the private international law issues surrounding the status of children, 2011; Preliminary Report on International Surrogacy Arrangements, 2012; The desirability and feasibility of further work on the Parentage/Surrogacy Project (2014) and its accompanying „Study of legal parentage and the issues arising from International Surrogacy Arrangements“ (Prel. Doc. No 3 C of March 2014); 2015: „The Parentage/Surrogacy project: an updating note“ (Prel. Doc. No 3 A of February 2015); Background Note for the meeting of the Experts’ Group on the Parentage/Surrogacy Project, 2016; Report of the February 2016 meeting of the Experts’ Group on Parentage/Surrogacy, 2016; Report of the January/February 2017 meeting of the Experts’ Group on Parentage/Surrogacy, 2017. <<https://www.hcch.net/en/projects/legislative-projects/parentage-surrogacy>> [12.11.2017].

¹¹³⁵ The desirability and feasibility of further work on the Parentage/Surrogacy Project, 2014, and its accompanying „Study of legal parentage and the issues arising from International Surrogacy Arrangements“, 2014. <<https://assets.hcch.net/docs/bb90cfd2-a66a-4fe4-a05b-55f33b009cfc.pdf>> [12.11.2017].

¹¹³⁶ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens’ Rights and Constitutional Affairs, 2013.

საერთაშორისო სუროგაციას. კვლევა ასკვნის, რომ ევროკავშირის ფარგლებში კონკრეტული სამართლებრივი მიმართულების განსაზღვრა შეუძლებელია. ამავდროულად, იკვეთება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების პოზიცია მასზედ, რომ აუცილებელია, ბავშვს ჰქონდეს ნათლად განსაზღვრული სამოქალაქო სტატუსი და ჰყავდეს იურიდიული მშობლები¹¹³⁷.

საერთაშორისო და ადგილობრივი სუროგაციის დეტალური კვლევა, ასევე, განხორციელებულია 2013 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „საერთაშორისო სუროგაციული შეთანხმებები და მათი რეგულაცია საერთაშორისო დონეზე“¹¹³⁸. ნაშრომი შედგება სამი ნაწილისგან: პირველი ნაწილი მოიცავს 25 ქვეყნის ადგილობრივი და საერთაშორისო სუროგაციის ანალიზს, რომელიც შესრულებულია ამ ქვეყნებში მოღვაწე პროფესიონალთა მიერ, მეორე ნაწილში ასახულია რამდენიმე ავტორის კვლევა საერთაშორისო სუროგაციასთან დაკავშირებით, მესამე ნაწილი კი მოიცავს წიგნის რედაქტორების ზოგად ანგარიშს სუროგაციასთან დაკავშირებით და საერთაშორისო სუროგაციის მარეგულირებელი კონვენციის მიღების აუცილებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

გემოაღნიშნული სამივე პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევები მნიშვნელოვანია არამარტო სუროგაციასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების იდენტიფიცირებისთვის, არამედ წარმოადგენს ერთგვარ დამხმარე სახელმძღვანელოს პრობლემების მოგვარების გზების ძიებისა და სუროგაციასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ფორმირების პროცესში.

საერთაშორისო სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის მოქალაქეობისა და მისი იურიდიული მშობლების განსაზღვრის საკითხზე ქვეყნების განსხვავებული მიდგომები ცალსახაა, რომ, უპირველეს ყოვლისა, ბავშვის ინტერესებს აზიანებს. შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ სამეცნიერო იურიდიულ ლიტერატურაში არაერთხელ დაისვა საკითხი საერთაშორისო სუროგაციის მარეგულირებელი კონვენციის შემუშავების აუცილებლობაზე¹¹³⁹. მაგ., გამოთქმულია მოსაზრება, რომ დაუყოვნებლივი

¹¹³⁷ იქვე, ib. abstract.

¹¹³⁸ Trimmings K., Beaumont P., General Report on Surrogacy in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 531.

¹¹³⁹ ib. Trimmings K., Beaumont P., General Report on Surrogacy in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013, 531; Krim M. T., Beyond Baby M: International Perspectives on Gestational Surrogacy and the Demise of the Unitary Biological Mother, Annals of

საჭიროებაა, შეიქმნას მრავალმხრივი, სამართლებრივი ძალის მქონე საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს „საერთაშორისო სუროგაციის გლობალურ, გამჭვირვალე და ეთიკურ პრაქტიკას“¹¹⁴⁰. ამ თვალსაზრისით, მიიჩნევენ, რომ უნდა შემუშავდეს კონვენცია, რომელიც დაადგენს მინიმალურ სტანდარტებს, სუროგაციასთან დაკავშირებული საკითხების დეტალურ რეგულაციას კი მიანდობს მის წევრ სახელმწიფოებს. კერძოდ, რეკომენდირებულია, რომ კონვენციამ „(1) განავითაროს იურიდიულად სავალდებულო სტანდარტების სისტემა, რომელიც უნდა იქნას გათვალისწინებული საერთაშორისო სუროგაციულ შეთანხმებებში; (2) განავითაროს ზედამხედველობის სისტემა ამ სტანდარტების შესრულების უზრუნველსაყოფად; და (3) დაადგინოს შესაბამის იურისდიქციებს შორის კომუნიკაციის სისტემა და საკომუნიკაციო გზები“¹¹⁴¹.

ამ ეტაპზე, საერთაშორისო სუროგაციის მომწესრიგებელი სავალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო ხელშეკრულების არარსებობის პირობებში, სახელმწიფოებმა გვერდზე უნდა გადადონ მათი საჯარო ინტერესები და გადანყვეტილებების მიღებისას, როდესაც საქმე ეხება ბავშვის ინტერესებს, იხელმძღვანელონ „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის¹¹⁴² მე-3 მუხლით განსაზღვრული ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპით, რომელიც „უპირატესია ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი გადანყვეტილების მიღებისას და დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების შედეგად დაბადებულ ბავშვებს სხვა

Health Law, Vol. 5, Issue 1, 1996, 193; Fiandaca S., In Vitro Fertilization and Embryos: The Need for International Guidelines, Albany Law Journal of Science & Technology, Vol. 8, Issue 2, 1998, 337; Davis W., Dalessio J., Reproductive Surrogacy at the Millenium: Proposed Model Legislation Regulating “Non-Traditional” Gestational Surrogacy Contracts, McGeorge Law Review, Vol. 31, Issue 3, 2000, 673; Mortazavi S., It Takes a Village to Make a Child: Creating Guidelines for International Surrogacy, Georgetown Law Journal, Vol. 100, Issue 6, 2012, 2256; Baker H., A Possible Future Instrument on International Surrogacy Arrangements: Are There “Lessons” to Be Learnt from the 1993 Hague Intercountry Adoption Convention? in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxfort-Portland-Oregon, 2013, 419; Kirshner N. S., Selling a Miracle? Surrogacy Through International Borders: Exploration of Ukrainian Surrogacy, Journal of International Business and Law, Vol. 14, Issue 1, 2015, 88; Mohapatra S., Adopting an International Convention on Surrogacy – A Lesson from Intercountry Adoption, Loyola University Chicago International Law Review, Vol. 13, Issue 1, 2016, 47.

¹¹⁴⁰ Trimmings K., Beaumont P., General Report on Surrogacy in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxfort-Portland-Oregon, 2013, 531.

¹¹⁴¹ იქვე, 534.

¹¹⁴² „კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ“, მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1989 წლის 20 ნოემბერს, საქართველო მიერთებულია 1994 წლის 2 ივნისს.

ბავშვების თანაბრად უნდა ჰქონდეთ ამ პრინციპით სარგებლობის შესაძლებლობა¹¹⁴³. „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის წევრ სახელმწიფოებს, ასევე, ევალებათ ბავშვის დაცვის იმ მინიმალური სტანდარტებისა და უფლებების დაცვა, რომელსაც განსაზღვრავს კონვენციის მე-7 მუხლი:

1. ბავშვი რეგისტრირდება დაბადებისთანავე და დაბადების მომენტიდან აქვს სახელისა და მოქალაქეობის მოპოვების უფლება, აგრეთვე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უფლება, იცნობდეს თავის მშობლებს, და მათი მხრიდან ზრუნვის უფლება.

2. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ამ უფლებების განხორციელებას თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად და თავიანთი ვალდებულებების შესრულებას ამ სფეროში შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტების თანახმად, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ სხვაგვარად ბავშვს არ ექნებოდა მოქალაქეობა¹¹⁴⁴.

„კონვენციის აღნიშნულ დებულებას დიდი მნიშვნელობა აქვს სუროგაციის შემთხვევაში, რომელიც საზღვარგარეთ ხორციელდება და, როდესაც გამოსაყენებელი კანონების კონფლიქტი წარმოიშობება“¹¹⁴⁵ და ეს უნდა იყოს ქვაკუთხედი ნებისმიერი სახელმწიფოსა და სასამართლოსათვის ბავშვთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას.

5. შუალედური დასკვნა

სუროგაციასთან დაკავშირებით ქვეყნების რადიკალურად განსხვავებული მიდგომები, რომლის გამოც ერთ სახელმწიფოში კანონიერად განხორციელებული სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის ამ სახელმწიფოში იურიდიულ მშობლებად მიჩნეულ პირებს ამგვარად არ აღიარებს ამ პირთა მოქალაქეობის სახელმწიფო, თაქტია, რომ, უპირველეს ყოვლისა, აზიანებს ბავშვის ინტერესებს. ამგვარი შემთხვევების გამომწვევი ძირითადი მიზეზი, უმრავლეს შემთხვევაში უნდა იყოს ის, რომ სუროგაციის განხორციელებამდე პოტენციური მშობლები არ

¹¹⁴³ Steiner E., Rosu M. A., Medically Assisted Human Reproductive Technologies (ART) and Human Rights – The European Perspective, *Frontiers of Law in China*, Vol. 11, Issue 2, 2016, 345.

¹¹⁴⁴ „კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ“, მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1989 წლის 20 ნოემბერს, საქართველო მიერთებულია 1994 წლის 2 ივნისს, მე-7 მუხლი.

¹¹⁴⁵ Steiner E., Rosu M. A., Medically Assisted Human Reproductive Technologies (ART) and Human Rights – The European Perspective, *Frontiers of Law in China*, Vol. 11, Issue 2, 2016, 345.

იღებენ კვალიფიციურ იურიდიულ კონსულტაციას როგორც საკუთარი ქვეყნის, ასევე, იმ ქვეყნის იურისტებისგან, სადაც დაგეგმილი აქვთ სუროგაცია. მიზეზი, ასევე, შეიძლება იყოს საკუთარი ბავშვის ყოლის ძლიერი სურვილი, რომლის რეალიზებაც მათ შეუძლიათ მხოლოდ თავისი სამშობლოს ფარგლებს გარეთ სუროგაციის გზით და, რომლის განსახორციელებლად მიემგზავრებიან ქვეყანაში, სადაც ეს ლეგალურია. აღამიანის ბუნებრივ ინსტიქტზე დაფუძნებული ეს სურვილი ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება იმაზე ძლიერი აღმოჩნდეს, ვიდრე იმ სამართლებრივი სირთულეების რეალურად გათვითცნობიერება, რომელთაც პოტენციურ მშობლებს მათი მოქალაქეობის ქვეყანა უმზადებს „სურვილის ახდენის“ შემთხვევაში.

ამ ეტაპზე, როდესაც არ არსებობს საერთაშორისო სუროგაციის მომწესრიგებელი სავალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო ხელშეკრულება, ისევე, როგორც სუროგაციასთან დაკავშირებული ორმხრივი ან მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებითაც მოხერხდებოდა ამ ხელშეკრულებების წევრ ქვეყნებში განხორციელებული საერთაშორისო სუროგაციის პრობლემების მინიმალიზაცია, განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ პოტენციურ მშობლებს საზღვარგარეთ სუროგაციის განხორციელების დაწყებამდე. იმ ქვეყნებმა კი, რომელთა კანონმდებლობა კრძალავს სუროგაციას, აუცილებელია, დაბადებული ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, შეარბილონ თავიანთი დამოკიდებულება საერთაშორისო სუროგაციის შემთხვევებზე, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც არსებობს რეალური საფრთხე, რომ ბავშვი დარჩეს არამართო იურიდიული მშობლების, არამედ მოქალაქეობის გარეშე. მეორე მხრივ, თუ პოტენციური მშობლების მოქალაქეობის ქვეყანა უარს აცხადებს ბავშვისათვის მოქალაქეობის მინიჭებაზე, პასუხისმგებლობა უნდა იკისროს ბავშვის დაბადების ადგილის სახელმწიფომ, რომლის ტერიტორიაზეც სუროგაცია კანონიერად განხორციელდა და მიმართოს ზომებს ბავშვის ინტერესების დასაცავად, რაც, პირველ რიგში, უნდა განხორციელდეს მისთვის მოქალაქეობის მინიჭებით. ნებისმიერ შემთხვევაში, გადანყვეტილებების მიღებისას, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საერთაშორისო სუროგაციისას ყველაზე მნიშვნელოვანი - ბავშვის ინტერესების დაცვა და გადანყვეტილებებს საფუძვლად დაუდონ არა საკუთარი საჯარო ინტერესები, არამედ „ბავშვთა უფლებების შესახებ“ კონვენციით განსაზღვრული „ბავშვის საუკეთესო ინტერესების“ პრინციპი.

შემაჯამებელი დასკვნა

წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში რეპროდუქციული უფლების არსის, მოცულობისა და მნიშვნელობის კვლევამ ცხადჰყო, რომ რეპროდუქციული უფლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა, მიუხედავად იმისა, თუ როგორ განვსაზღვრავთ მის ადგილს ადამიანის ძირითად უფლებათა სისტემაში - როგორც დამოუკიდებლად არსებული უფლება, თუ მხოლოდ პირადი ანდა სხვა უფლებების შემცველი კატეგორია. რეპროდუქციული უფლების სხვადასხვა ელემენტი ადამიანის უფლებათა დამდგენ საერთაშორისო ხასიათის აქტებით, ისევე, როგორც საქართველოს კონსტიტუციით, გარანტირებულ სხვადასხვა უფლებებშია მიმოხილული და მისი შინაარსი შესაძლებელია, განისაზღვროს სხვადასხვა ფუნდამენტური უფლების, მათ შორის, სიცოცხლის უფლების, პირადი უფლების, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების, ოჯახის შექმნის უფლების, ჯანმრთელობის დაცვის უფლების, მეცნიერული პროგრესით სარგებლობის უფლებისა და თანაბარი და დისკრიმინაციისგან თავისუფალი მოპყრობის უფლებიდან გამომდინარე. თუმცა, რეპროდუქციული უფლების ეფექტურად დაცვის მიზნით, მიზანშეწონილია, ამ უფლების კომპონენტების გაერთიანება და ერთიანი ქუდის - რეპროდუქციული უფლების სათაურის ქვეშ მოქცევა, რომლის ძირითადი ბაზისი რეპროდუქციული ავტონომიის - რეპროდუქციული არჩევანის თავისუფლების უფლება იქნება. აღნიშნულის შესაძლებლობას იძლევა საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლი და საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული ძირითადი პრინციპები, როგორც რეპროდუქციული უფლების ნორმატიული საფუძვლები ძირითად კანონში.

ცხადია, რომ რეპროდუქციული უფლების არსებობის საწყისი ბუნებითი და ბიოლოგიური პროცესებია. ეს უფლება თავისთავად გამომდინარეობს ბუნებითი და ფიზიოლოგიური მოვლენიდან - ადამიანის რეპროდუქციული უნარიდან და უკავშირდება ადამიანის ცხოვრების ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორცაა სექსუალური ცხოვრება, ოჯახის შექმნა და შთამომავლობის გაგრძელება. აღნიშნულის მიუხედავად, რეპროდუქციული უფლება არ არის მხოლოდ ტერმინ „რეპროდუქცია“ პირდაპირ მნიშვნელობასთან - ადამიანის გამრავლების ბიოლოგიურ პროცესებთან დაკავშირებული უფლების ამსახველი და არ შემოიფარგლება მხოლოდ ადამიანის უფლებით „ბუნებრივ“ გამრავლებაზე. რეპროდუქციული უფლება იმაზე უფრო ფართო კატეგორიაა, ვიდრე თავად უფლება „ბუნებრივ გამრავლებაზე - რეპროდუქციაზე“, ვინაიდან მისი ძირითადი არსი მშობლად

გახდომის ან მშობლად გახდომაზე უარის თქმის უფლებაა. მშობლად ყოფნა კი თანამედროვე სამედიცინო და სამართლებრივი განვითარების პირობებში თავისთავად არ ითხოვს გენეტიკური ან თუნდაც გესტაციური კავშირების არსებობის აუცილებლობას მშობელსა და შვილს შორის. რეპროდუქციული უფლება ბაზირებულია რეპროდუქციული არჩევანის უფლებაზე, რაც გულისხმობს ყველა ინდივიდის უფლებას, დისკრიმინაციის, ძალდატანების და ძალადობის გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება რეპროდუქციასთან დაკავშირებით - თავისუფლად და პასუხისმგებლობით განსაზღვროს შვილების რაოდენობა, მათი დაბადების დრო და ინტერვალი, სხვაგვარად რომ ითქვას - გახდეს ან არ გახდეს მშობელი. რეპროდუქციული უფლება, ასევე, მოიცავს რეპროდუქციული არჩევანის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმისაწვდომობას შესაბამის ინფორმაციაზე, საშუალებებზე, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უმაღლეს სტანდარტებზე, ანუ, ინფორმაციის, განათლების მიღებისა და იმ საშუალებებით სარგებლობის შესაძლებლობას, რომლებიც უზრუნველყოფენ რეპროდუქციული არჩევანის შესახებ გადაწყვეტილების რეალიზაციას.

არავინ უარყოფს იმას, რომ ადამიანს უფლება აქვს, ბუნებრივი გზით გამრავლდეს ან ამ გზით გამრავლებაზე თქვას უარი და ამისათვის მიიღოს შესაბამისი სამედიცინო მომსახურება, რაც ხელს შეუწყობს მას, აღასრულოს საკუთარი რეპროდუქციული ავტონომიის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილება, მაგ., სამედიცინო მკურნალობა, რომელიც, ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, აუცილებელია გამრავლების ბუნებრივი პროცესის ხელშესაწყობად ან ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები, მათ შორის ექიმის მიერ დანიშნული კონტრაცეფციული მკურნალობა, რომლებიც, ასევე, აუცილებელია გამრავლების ბუნებრივი პროცესის ხელშესაშლელად. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში ეს საშუალებები არ არის საკმარისი ინდივიდისათვის მისი რეპროდუქციული არჩევანის სისრულეში მოსაყვანად, მაგ., ორსული ქალის გადაწყვეტილება, არ გახდეს მშობელი, ან ქალის ან მამაკაცის გადაწყვეტილება, სამუდამოდ თქვას უარი გამრავლების ბიოლოგიურ შესაძლებლობაზე. ორივე შემთხვევაში ინდივიდების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები რეპროდუქციული თავისუფლების ფარგლებში აღსრულებადია კონტრარეპროდუქციული საშუალებების - აბორტისა და სტერილიზაციის გზით, თუმცა, ეს პროცედურები ქირურგიულ ჩარევას

მოითხოვს და კანონით წესდება მათი განხორციელებისათვის აუცილებელი პირობები და შეზღუდვები. იგივენაირად, ინდივიდის გადანაცვტილება, გახდეს მშობელი, რაც, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, შეუძლებელია, განხორციელდეს ბუნებრივი გზით, თუნდაც შესაბამისი სამედიცინო მკურნალობის ხელშეწყობით, აღსრულებადი შეიძლება იყოს მხოლოდ დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების სხვადასხვა მეთოდის, მათ შორის კოლაბორაციული რეპროდუქციის - გამეტების დონაციის ანდა სუროგაციის გამოყენებით. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ კოლაბორაციული რეპროდუქციის განხორციელება მოითხოვს სხვა პირთა - სპერმის ან კვერცხუჯრედის დონორის ანდა სუროგატი დედის ჩართვას და ამ პირების მიერ მათი ბიოლოგიური მასალის ანდა გესტაციური მომსახურების კონტრიბუციას პროცესში, კოლაბორაციულ რეპროდუქციაში მონაწილე ყველა პირის უფლებების, უპირველეს ყოვლისა, კი ამგვარი რეპროდუქციის შედეგად დაბადებული ბავშვის ინტერესების, უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარე, კანონით განისაზღვროს მისი წარმოების გარკვეული შეზღუდვები.

შესაბამისად, რეპროდუქციული უფლების რეალიზაციის უზრუნველყოფა, გარკვეული შეზღუდვების არსებობის ფარგლებში, უნდა განხორციელდეს ისეთ სამედიცინო ტექნოლოგიებთან წვდომითაც, რომლებიც შესაძლებლობას აძლევენ ადამიანს, აღასრულოს მისი რეპროდუქციული არჩევანი - გახდეს ან არ გახდეს მშობელი როგორც ბიოლოგიური, ასევე, იურიდიული თვალსაზრისით.

ზოგადად, დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებთან, კონკრეტულად კი, წინამდებარე ნაშრომის ძირითად საკვლევ საკითხთან - სუროგაციასთან, დაკავშირებული თემატიკის ანალიზით ცალსახად იკვეთება ამ ტექნოლოგიების არსებობის და, გამოყენების ძირითადი საფუძველი და მიზანი - ადამიანების მიერ რეპროდუქციული უფლების რეალიზაცია, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს რეპროდუქციასთან - მშობლად გახდომასთან დაკავშირებული მათი გადანაცვტილების აღსრულების ხელშეწყობას მაშინ, როდესაც მედიცინის სხვა მეთოდები ამ გადანაცვტილების რეალიზაციის შესაძლებლობას გამორიცხავენ. უნაყოფობის „მკურნალობის“ ეს უნიკალური მეთოდები უშვილობისათვის განწირული ადამიანისათვის, ხშირ შემთხვევაში, წარმოადგენს უმნიშვნელოვანესი ცხოვრებისეული ღირებულების - მისი შთამომავლობის

გაგრძელების შესაძლებლობის მიცემას, საკუთარი შვილის ყოლა კი უზრუნველყოფს ადამიანისათვის პიროვნული დანიშნულებისა და სოციალური თვითმყოფადობის რეალიზაციას. სწორედ ამ ღირებულებებს უკავშირდება რეპროდუქციული უფლების განსაკუთრებული მნიშვნელობაც. ამ უფლების რეალიზაცია წარმოადგენს ადამიანის ცხოვრებისეულ არჩევანს, ცხოვრებისეულ ღირებულებას და, ცხოვრებისეული არჩევანის მიხედვით, უმრავლეს შემთხვევაში, პირდაპირ კავშირშია ისეთ ფასეულობებთან, როგორცაა მშობლად ყოფნა, შთამომავლობის გაგრძელება, ბავშვის აღზრდა და ბავშვზე ზრუნვა. ფაქტობრივად, რეპროდუქციული უფლების განხორციელება ადამიანის ფიზიოლოგიური და ფსიქო-სოციალური მდგომარეობის შედეგია. შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ რეპროდუქციული უფლების აღიარება თავისთავად ნიშნავს ღირსებადაცული და თავისუფალი ადამიანის - მისი თავისუფალი არჩევანის აღიარებას, რომელიც დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს არსებობის განმსაზღვრელია.

ამასთანავე, დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიები, როგორც ადამიანის ფუნდამენტური და დამოუკიდებელი რეპროდუქციული უფლების რეალიზაციის ერთ-ერთი საშუალება, ემსახურება არამარტო უმაღლესი ღირებულების - თავისუფალი ადამიანის გარანტირებულობას კონსტიტუციურ დონეზე, არამედ სახელმწიფოსა და მოსახლეობის ინტერესების დაცვასაც სახელმწიფოში არსებული დემოგრაფიული პრობლემების გათვალისწინებით.

კვლევის ფარგლებში განხილული ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ ევროპულ კონვენციაში რეპროდუქციული უფლების დამოუკიდებელ უფლებად არარსებობის პირობებში, ადამიანის რეპროდუქციული არჩევანის უფლებას, გახდეს ან არ გახდეს მშობელი, ისევე, როგორც ამ გადაწყვეტილების რეალიზაციას დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების გამოყენებით, ევროპული სასამართლო მიიჩნევს კონვენციის მე-8 მუხლით განსაზღვრული პირადი და ოჯახური ცხოვრების გამოხატვას, თუმცა, ასეთი ტექნოლოგიების, მათ შორის სუროგაციის, დაშვების, აკრძალვისა თუ შეზღუდვის განსაზღვრასთან მიმართებით ხელშემკვრელ სახელმწიფოებს თავისუფალი შეფასების ფართო ფარგლებს ანიჭებს. ამ უკანასკნელის მიუხედავად, ევროპული სასამართლოს დამოკიდებულება სახელმწიფოების მიერ მე-8 მუხლის შესაძლო დარღვევაზე გადაწყვეტილების მიღებისას განსხვავდება დამხმარე

რეპროდუქციული ტექნოლოგიის მეთოდების მიხედვით. დარღვევის არსებობის თაობაზე გადანყვეტილების მიღებისას სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს, უპირველეს ყოვლისა, ბავშვის საუკეთესო ინტერესებსა და ამ ტექნოლოგიის შედეგად დაბადებულ ბავშვსა და მშობლებს შორის გენეტიკური კავშირის არსებობას. თუმცა, არც ეს უკანასკნელია გადამწყვეტი ფაქტორი გადანყვეტილების დასაბუთების დროს. დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების სხვადასხვა მეთოდთან, მათ შორის დონაცისა და სუროგაციასთან დაკავშირებით, სახელმწიფოებისათვის განსაზღვრული ფართო შეფასების ფარგლების მინიჭება გულისხმობს სახელმწიფოების თავისუფლებას, თავად განსაზღვრონ ადგილობრივი წესები ტექნოლოგიების ამა თუ იმ მეთოდის დაშვების, შეზღუდვის ან აკრძალვის თაობაზე იმ პირობით, თუ დაცულია ბალანსი კონკურენტულ საჯარო და კერძო ინტერესებს შორის. სწორედ, ძირითადად ამ ბალანსის არსებობის შემონახვის ფარგლებში ახდენს ევროპული სასამართლო გადანყვეტილების მიღებას საქმეებზე, რომლებიც დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების ამა თუ იმ მეთოდის გამოყენებას უკავშირდება.

იგივენაირად, ადამიანის უფლებათა შიდაამერიკული სასამართლო რეპროდუქციული არჩევანის უფლებას განიხილავს პირადი უფლებისა და ოჯახის შექმნის უფლების შემადგენელ კომპონენტად და მიიჩნევს, რომ ეს უფლება მოიცავს რეპროდუქციულ ავტონომიას - ინდივიდის გადანყვეტილებას, გახდეს ან არ გახდეს დედა ან მამა გენეტიკური ან ბიოლოგიური თვალსაზრისით. უფლების განხორციელებას სასამართლო უკავშირებს სამედიცინო ტექნოლოგიებთან წვდომის უფლებასაც, ამ თვალსაზრისით აპელირებს მეცნიერული პროგრესით სარგებლობის უფლებაზე და გაუმართლებლად მიიჩნევს რეპროდუქციული უფლების არათანაზომიერ შეზღუდვებს.

შესაბამისად, როდესაც საუბარია დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებთან წვდომის უზრუნველყოფაზე, როგორც უშვილო ადამიანებისათვის რეპროდუქციული უფლების რეალიზაციის ხელშეწყობის ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტზე, ეს თავისთავად არ გულისხმობს ამ ტექნოლოგიებთან უპირობო და შეზღუდვების გარეშე წვდომის უზრუნველყოფას. რეპროდუქციული უფლების შეზღუდვა შესაძლებელია, განხორციელდეს საკანონმდებლო დონეზე სპეციალური სამართლებრივი აქტების მეშვეობით თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარე,

უპირველეს ყოვლისა, კი რეპროდუქციული უფლების რეალიზაციის შედეგის - უმაღლესი სიკეთის - ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოვლინდა არამართო დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების მნიშვნელობა, არამედ ის საფრთხეები და გამოწვევებიც, რომლებიც მათ გამოყენებას ახლავს თან და, რომელთა საფუძველზეც სახელმწიფოთა გარკვეული ნაწილი კრძალავს ან მნიშვნელოვნად ზღუდავს ტექნოლოგიების იმ კომპლექსურ და ეთიკური თვალსაზრისით სადავო მეთოდებთან წვდომის უფლებას, რომლებიც მეტადაა დაკავშირებული რისკებთან და, რომელთა განხორციელების შედეგად, ზოგიერთ შემთხვევაში, დაბადებულ ბავშვზე უფლებებს შეიძლება რამდენიმე პირიც კი აცხადებდეს. მხედველობაშია დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების ისეთი მეთოდები, როგორცაა ინ ვიტრო განაყოფიერება და მასთან დაკავშირებული პროცედურები: სუროგაცია და დონაცია, ისევე, როგორც სპერმის, კვერცხუჯრედისა და ინ ვიტრო განაყოფიერების დროს შექმნილი ემბრიონების კრიოპრეზერვაცია.

ნაშრომის ძირითადი საკვლევი საკითხის - სუროგაციის სამართლებრივი რეგულაციების ანალიზის მიზნით „ანტისუროგაციული ქვეყნების“ ჯგუფში განხილული ამ სახელმწიფოების კანონმდებლობების, სახელმწიფოებრივი პოლიტიკისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზით, იკვეთება, რომ განსაკუთრებული ანტი-სუროგაციული დამოკიდებულებით გამოირჩევა გერმანია და იტალია, საფრანგეთში გარკვეული ნიშნებია კანონმდებლობის შერბილების მცდელობის თვალსაზრისით. შედარებით „მეგობრული“ დამოკიდებულება აქვს ესპანეთს საზღვარგარეთ ლეგალურად განხორციელებული სუროგაციის მიმართ, თუ ბავშვის დაბადების რეგისტრაცია ესპანეთში ხორციელდება. ჩინეთსა და აშშ-ის შტატ ნიუ იორკში სუროგაციის მიმართ დამოკიდებულება შედარებით „მსუბუქია“ როგორც კანონმდებლობის, ასევე სასამართლო პრეცედენტის კუთხითაც. მიჩიგანი კი სუროგაციის კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დანესების თვალსაზრისით ყველაზე მკაცრი სანქციებით გამოირჩევა.

სუროგაციის მიმართ შედარებით ნეიტრალური დამოკიდებულების მქონე ქვეყანათა ჯგუფში განხილული, საბერძნეთსა და სამხრეთ აფრიკაში არსებული ძირეულად მსგავსი მოდელი, რომლითაც რეგულირდება ალტრუისტული სუროგაციის დაშვებისა და სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის მშობლის სტატუსის განსაზღვრასთან დაკავშირებული

საკითხები, გარკვეულწილად ხელს უწყობს სუროგაციის განხორციელებას. საჯაროსამართლებრივი კონტროლი სუროგაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე წარმოებს მხოლოდ სუროგაციის ფაქტობრივად განხორციელებამდე სასამართლოს მიერ და შემდგომი ადმინისტრაციული ზედამხედველობა ხელშეკრულების აღსრულებაზე აღარ ხორციელდება, ისევე, როგორც აღარ არის საჭირო დამატებითი თანხმობა პოტენციური მშობლების მიერ მშობლის სტატუსის მოსაპოვებლად, რაც უფრო მეტად აადვილებს სუროგაციის მხარეთა ნების რეალურად შესრულებას. ამასთან, სასამართლოს *ex ante* კონტროლი სამხრეთ აფრიკაში, საბერძნეთისაგან განსხვავებით, მაღალი ხარისხით ხასიათდება, ვინაიდან წარმოებს არსებული გარემოებების კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, რაც, ბუნებრივია, მეტად უწყობს ხელს კანონის დარღვევის შემთხვევების გამოვლენას და კანონშესაბამისი სუროგაციის განხორციელებას. თუმცა, გაერთიანებულ სამეფოსა და ავსტრალიის მსგავსად, სადაც, ასევე იკრძალება კომერციული სუროგაცია, შესწავლილ ლიტერატურაში სხვადასხვა ავტორთა მიერ განხორციელებული საბერძნეთისა და სამხრეთ აფრიკის კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სუროგაციის მხოლოდ ალტრუისტული მიზნებით განხორციელების მოთხოვნა, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ ფიქციაა.

რაც შეეხება გაერთიანებულ სამეფოსა და ავსტრალიას, სადაც ალტრუისტული სუროგაციის განსახორციელებლად სასამართლოს წინასწარი ავტორიზაცია არ მოითხოვება, ამ ორი ქვეყნის საკანონმდებლო ანალიზით იკვეთება, რომ შვილად აყვანის გართულებული პროცედურის გვერდის ავლით, შესაძლებელია, პოტენციური მშობლების მიერ სუროგაციის შედეგად დაბადებულ ბავშვზე იურიდიული მშობლის სტატუსის მოპოვება, თუმცა, არც ეს პროცესია მარტივი, ვინაიდან სტატუსის მიღებისათვის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები გარკვეულწილად უახლოვდება შვილად აყვანისათვის არსებული მოთხოვნების გარკვეულ ნაწილს. სუროგაციის შემდგომ დაშვების მიუხედავად, ორივე ამ ქვეყანაში მოქმედებს პრინციპი, რომლის მიხედვითაც ბავშვის დედად მიიჩნევა ქალი, რომელმაც ბავშვი შვა. ერთეული, კანონით პირდაპირ განსაზღვრული გამონაკლისების გარდა, მშობლის ამ სტატუსის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს მიერ სუროგატი დედის თანხმობის შემთხვევაში ბავშვის დაბადების შემდგომ (თუ სუროგატი დედას ჰყავს მეუღლე, მშობლის სტატუსის გადასაცემად აუცილებელია, ასევე, მისი

თანხმობის გაცხადებაც). თუმცა, ამ პირობების არსებობა თავისთავად არ არის საკმარისი მშობლის სტატუსის ცვლილებისათვის, ვინაიდან პოტენციურ მშობლებს მოუწევთ სასამართლოს წინაშე ამტკიცონ კანონის დამატებითი ფორმალური მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ის სახელმწიფოები და აშშ-ის შტატები, სადაც კომერციული სუროგაცია არ არის რეგულირებული, ხასიათდება იმით, რომ უმეტესწილად სამართლებრივი გაურკვევლობაა სუროგაციული შეთანხმებების აღსრულების თვალსაზრისით. ძირითადად სუროგაცია სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს და პოტენციურ მშობლებს უწევთ შვილად აყვანის პროცედურების წარმოება ამ გზით დაბადებული ბავშვების იურიდიული მშობლების სტატუსის მოსაპოვებლად. აშშ-ის ზოგიერთ შტატში კი სუროგაციის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმების არარსებობის მიუხედავად, გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულებები შეიძლება აღსრულდეს სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე.

კვლევამ აჩვენა, რომ სუროგაციის მონაწილემდევე ქვეყნებისა და სუროგაციის მიმართ შედარებით ნეიტრალური დამოკიდებულების მქონე ქვეყნების სამართლებრივი დამოკიდებულება სუროგაციის მიმართ ძირითადად ეფუძნება მის საწინააღმდეგო ეთიკურ არგუმენტებსა და სამართლებრივ რისკებს, რომლებიც კოლაბორაციული რეპროდუქციის ამ ყველაზე კომპლექსურ მეთოდს ახლავს თან. თუმცა, კვლევამ, ასევე გამოავლინა, რომ ეს არგუმენტები, მათ შორის, ადამიანის ღირსების შელახვის, ქალთა ექსპლუატაციის, ადამიანებით ვაჭრობისა და კომოდიფიკაციის შესახებ, ვერ ახდენენ სრულყოფილ დასაბუთებას სუროგაციის სრულად აკრძალვისათვის და იმ საბოლოო მიზნის გადართმევას, რომლის გამოც ხორციელდება გესტაციური სუროგაცია - უშვილო ქალის უკანასკნელი შანსი, იყოლიოს საკუთარი ან მისი პარტნიორი მამაკაცის გენეტიკური შვილი. იგივე მიზანს ემსახურება კვერცხუჯრედის ან სპერმის დონორის ჩართულობა დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიის პროცედურაში, რომელიც შეიძლება განხორციელდეს როგორც საშვილოსნოსშიდა ინსემინაციის, ასევე, ინ ვიტრო განაყოფიერებისა და სუროგაციის დროსაც კი. ემბრიონების კრიოპრეზერვაცია კი გაყინული ემბრიონების გაღობის შედეგად ამ ემბრიონების საშვილოსნოში გადატანას შესაძლებელს ხდის კრიოპრეზერვაციიდან წლების შემდგომაც.

ნებისმიერ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, თუ როგორ ჩამოვაცალიებთ ადამიანის ღირსების ზუსტ კონცეფციას, ფაქტია, რომ ბიოეთიკაში დამკვიდრებული და „ოვიდოს კონვენციით“ განმტკიცებული პრინციპი, რომ ადამიანის სხეული ან მისი ნაწილი არ შეიძლება თვით ამ ადამიანის ან მესამე პირის მხრიდან იქცეს ფინანსური მოგების წყაროდ, ემსახურება ზოგადად ადამიანისა და ადამიანის სხეულის ნაწილების ვაჭრობად ქცევისა და ამ საქმიანობით ბიზნესის წარმოების საზიანო პრაქტიკების პრევენციას და იმსახურებს გათვალისწინებას ნებისმიერი სახელმწიფოს მიერ ამ რისკების შემცველი ამა თუ იმ სამართლებრივი ნორმების ჩამოყალიბებისას, მათ შორის სუროგაციის მონესრიგების პროცესშიც. თუმცა, რისკების გათვალისწინება თავისთავად არ ნიშნავს რისკების შემცველი პრაქტიკის აკრძალვას, ვინაიდან სუროგაციის აღქმა არ უნდა განხორციელდეს ცალმხრივად, მხოლოდ ქალების ექსპლუატაციის, ქალებისა და ბავშვების ვაჭრობის საფრთხის შემცველ პროცესად. ბუნებრივია, ეს რისკები არსებობს არა მხოლოდ სუროგაციის, არამედ დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების სხვა მეთოდების განხორციელების, შვილად აყვანისა და სხვა სახის ურთიერთობებშიც, თუმცა, თუ ამ რისკის შემცველი პროცესი, კონკრეტულ შემთხვევაში, სუროგაცია, თავისი მნიშვნელობით უშვილო ადამიანებისათვის იძლევა „მათი ღირსების შესაბამისი ცხოვრებით ცხოვრების შესაძლებლობას“ და, ამ მხრივ, მისი ღირებულება უდავოა, რადიკალური მიდგომა სუროგაციასთან მიმართებით გაუმართლებლად უნდა იქნას მიჩნეული. მეორე მხრივ, კომოდიფიკაციისა და ექსპლუატაციის რისკების თავიდან აცილების სწორად გაანალიზებული მექანიზმების შემუშავებაა საჭირო, მათ შორის, სუროგატი დედისათვის კომპენსაციის გადახდის თვალსაზრისით. თუ დაშვებულად მიიჩნევა სუროგაციის პროცესთან დაკავშირებული მატერიალური ხარჯების ანაზღაურება, რაც შეიძლება მოიცავდეს სამედიცინო და იურიდიული მომსახურების, მგზავრობის, ორსულობისა და მშობიარობის ხარჯებს, ასევე, დასაშვები უნდა იყოს სუროგატი დედისათვის კომპენსაცია, რომელიც უკავშირდება მის სულიერ განცდებს, დისკომფორტსა და მორალურ ხარჯს ორსულობისა და მშობიარობისას, ისევე, როგორც ამ პერიოდში მის მიერ მიუღებელ შემოსავალს, რომელიც თავისთავად არ გულისხმობს ადამიანის სხეულის გამოყენებას ფინანსური მოგების წყაროდ და, საბოლოო ჯამში, არ ემნის ადამიანის ვაჭრობად ქცევის საფუძველს. საუკეთესო გამოსავალი, გარკვეული ბალანსის დაცვაა კერძო ავტონომიურ ინტერესებსა და საჯარო ინტერესებს შორის, რომ, ერთი მხრივ, შესაძლებელი იყოს სუროგატი

დედისათვის კომპენსაციის გადახდა, მეორე მხრივ, კი კომპენსაციის ფარგლები გარკვეული შეზღუდვების დაწესებით განისაზღვროს. მოცემულ შემთხვევაში ხომ ამოსავალი წერტილი სუროგაციის მიზანი და შედეგია - უშვილო ადამიანებისათვის მათი, ხშირ შემთხვევაში, ცხოვრებისეული ღირებულების - მშობლად გახდომის მიზანი, რომლის მიღწევა მხოლოდ სუროგატი დედის დახმარებით და, შესაბამისად, სუროგაციის პროცესის განხორციელებითაა შესაძლებელი.

ამასთან, კოლაბორაციული რეპროდუქციის ფართოდ გავრცელების პირობებში პრაქტიკამ აჩვენა, რომ რადიკალური აკრძალვები და მხოლოდ ალტერნატივის მოტივაციით გამეტების დონაციისა და სუროგაციის დაშვება ამ სფეროში ინვესტს ჩრდილოვანი ბაზრის ჩამოყალიბებას, რომლის კონტროლი უფრო მეტ სირთულეებთანაა დაკავშირებული. სუროგაციის პრაქტიკა, ასევე, ადასტურებს, რომ იგი მაინც არსებობს აკრძალვებისა და ზოგიერთ ქვეყანაში მის მიმართ ნეგატიური განწყობების მიუხედავად. აკრძალვამ, რომელიც არ შეესაბამება თანამედროვე რეალობას, მედიცინისა და საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარებას, და ზღუდავს ადამიანის რეპროდუქციულ უფლებას, შესაძლოა, წარმოშვას აკრძალული პროცესის გადასვლა არასამართლებრივ განზომილებაში და ამ პროცესის არალეგალური მანიპულაციების ობიექტად ქცევა. შესაბამისად, მაღალია ალბათობა იმისა, რომ გესტაციური სუროგაციის აკრძალვით, უფრო მეტად გააქტიურდეს აკრძალვის მოტივაციით განპირობებული რისკები, ვინაიდან სუროგაციის შემზღუდველი სახელმწიფოს შვილოსნობის უნარშემზღუდულ მოქალაქეს შეუძლია გაემგზავროს საზღვარგარეთ და ისარგებლოს სუროგატი დედის ანდა გამეტების დონორის მომსახურებით იმ ქვეყანაში, სადაც ეს ლეგალურია. ამ თვალსაზრისით, საერთაშორისო სუროგაციის კვლევამ დაადასტურა, რომ ძირითადად კომერციული სუროგაციის პრაქტიკის აკრძალვის შედეგად განსაკუთრებით გაფართოვდა რეპროდუქციული ტურიზმი. აღნიშნულის მიზეზი, ძირითადად უშვილო ადამიანების საკუთარი ბავშვის ყოლის ძლიერი სურვილია - ადამიანის ბუნებრივ ინსტიქტზე დაფუძნებული ეს სურვილი კი, ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება იმაზე ძლიერი აღმოჩნდეს, ვიდრე იმ სამართლებრივი სირთულეების რეალურად გათვითცნობიერება, რომელთაც პოტენციურ მშობლებს მათი მოქალაქეობის ქვეყანა უმზადებს „სურვილის ახდენის“ შემთხვევაში. სუროგაციასთან დაკავშირებით ქვეყნების რადიკალურად განსხვავებული მიდგომები, რომლის გამოც ერთ სახელმწიფოში

კანონიერად განხორციელებული სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის ამ სახელმწიფოში იურიდიულ მშობლებად მიჩნეულ პირებს ამგვარად არ აღიარებს ამ პირთა მოქალაქეობის სახელმწიფო, ფაქტია, რომ, უპირველეს ყოვლისა, აზიანებს ბავშვის ინტერესებს.

ამ ეტაპზე, როდესაც არ არსებობს საერთაშორისო სუროგაციის მომწესრიგებელი სავალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო ხელშეკრულება, ისევე, როგორც სუროგაციასთან დაკავშირებული ორმხრივი ან მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებითაც მოხერხდებოდა ამ ხელშეკრულებების წევრ ქვეყნებში განხორციელებული საერთაშორისო სუროგაციის პრობლემების მინიმალიზაცია, განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ პოტენციურ მშობლებს საზღვარგარეთ სუროგაციის განხორციელების დაწყებამდე. იმ ქვეყნებმა კი, რომელთა კანონმდებლობა კრძალავს სუროგაციას, აუცილებელია, დაბადებული ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, შეარბილონ თავიანთი დამოკიდებულება საერთაშორისო სუროგაციის შემთხვევებზე, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც არსებობს რეალური საფრთხე, რომ ბავშვი დარჩეს არამართო იურიდიული მშობლების, არამედ მოქალაქეობის გარეშე. მეორე მხრივ, თუ პოტენციური მშობლების მოქალაქეობის ქვეყანა უარს აცხადებს ბავშვისათვის მოქალაქეობის მინიჭებაზე, პასუხისმგებლობა უნდა იკისროს ბავშვის დაბადების ადგილის სახელმწიფომ, რომლის ტერიტორიაზეც სუროგაცია კანონიერად განხორციელდა და მიმართოს ზომებს ბავშვის ინტერესების დასაცავად, რაც, პირველ რიგში, უნდა განხორციელდეს მისთვის მოქალაქეობის მინიჭებით. ნებისმიერ შემთხვევაში, გადანაცვლებების მიღებისას, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საერთაშორისო სუროგაციისას ყველაზე მნიშვნელოვანი - ბავშვის ინტერესების დაცვა და გადანაცვლებებს საფუძვლად დაუდონ არა საკუთარი საჯარო ინტერესები, არამედ „ბავშვთა უფლებების შესახებ“ კონვენციით განსაზღვრული „ბავშვის საუკეთესო ინტერესების“ პრინციპი.

დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების მიმართ ეთიკური და მორალური შეხედულებების რადიკალური განსხვავებების მიუხედავად, „სახელმწიფო და კანონი უნდა დარჩეს ნეიტრალური კონკურენტული მორალური სტანდარტების მიმართ“¹¹⁴⁶ იმ პრინციპზე დაყრდნობით, რომ

¹¹⁴⁶ Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for

კანონით მხოლოდ საზიანო პრაქტიკები უნდა აიკრძალოს. სუროგაციასთან მიმართებით „სამართლებრივმა რეგულაციებმა უნდა გაართვას თავი, ერთი მხრივ, განსხვავებულ მორალურ შეხედულებებს და, მეორე მხრივ, იმ ეთიკურ საკითხებს, რომლებსაც მოიცავს სუროგაციის იდეა და პროცედურები, რომლებიც თავის მხრივ, ასევე ეხება ოჯახის ტრექტურას, ბავშვების კეთილდღეობას, დედობის ბუნებას და პოლიტიკოსების, ფემინისტებისა და სიცოცხლის მომხრე აქტივისტების საზიანო დეგო შეხედულებებს“¹¹⁴⁷.

ნებისმიერ შემთხვევაში, დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინებით, ადეკვატური პასუხი უნდა იყოს კანონმდებლის მხრიდან მართებული სამართლებრივი რეგულირების ბაზის შემუშავება, რომელიც შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად უზრუნველყოფს დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებში მონაწილე ყველა პირის უფლებებისა და ინტერესების დაცვას, მათი სამართლებრივი სტატუსისა და მოვალეობების მკაფიოდ განსაზღვრას. ასეთი რეგულაციები, ასევე, საფუძველს ჩაუყარს წარმოშობილ სამართლებრივ დავებზე ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებთან, მათ შორის სუროგაციასთან, დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის სამართლებრივი ანალიზი და მწირი სასამართლო პრაქტიკა ნათლად მიუთითებს, რომ ეს საკითხები კანონმდებლობით ფაქტობრივად დაურეგულირებელია. სამართლებრივი ნორმები კი ხარვეზების შემცველია. კანონმდებლობით ცალსახად არ ირკვევა ტექნოლოგიების ის მეთოდები, რომელთა განხორციელება დღეს საქართველოში ნებადართულია, არ განისაზღვრება პროცესში ჩართული პირების მიმართ მოთხოვნები, მათ უფლებებსა და მოვალეობებთან დაკავშირებული საკითხები, ტექნოლოგიების მწარმოებელი სამედიცინო დაწესებულებების, ექიმებისა და ემბრიოლოგებისათვის არ არსებობს სპეციალური გაიდლაინები, რომლებსაც შეეძლოთ უზრუნველყონ ამ მეთოდების განხორციელება მათთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების გამორიცხვის ან მინიმალიზაციის მიზნით, არ არის დაცული დონაციისა და სუროგაციის პროცესში კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული საკითხები, არ არსებობს შეზღუდვები დონაციასთან მიმართებით და ეს პროცესი

Internal Policies, Policy Department C: Citizens' Rights and Constitutional Affairs, 2013, 23.

¹¹⁴⁷ იქვე.

კონტროლის მიღმა, საპროცესო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს სუროგაციასთან დაკავშირებულ დავებზე სპეციალურ წარმოებას, რომლითაც შესაძლებელი გახდებოდა სასარჩელო წარმოების ხანგრძლივი პროცედურისათვის გვერდის ავლა და მშობლის იურიდიული სტატუსის განსაზღვრა დაჩქარებულ ვადებში. ამგვარი სამართლებრივი რეალობა კი, წარმოშობს არამართო სუროგაციისა და, ზოგადად დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების, განხორციელებაში მონაწილე პირების, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ბავშვის ინტერესებისათვის საფრთხის შემცველ და ზიანის მომტან რისკებს.

ფაქტია, რომ საქართველოში დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების აქტიური გამოყენების პირობებში, აუცილებელია ამ ტექნოლოგიების მომწესრიგებელი ცალკე კანონის მიღება და ტექნოლოგიების წარმოებასთან შემხებლობაში მყოფ სხვადასხვა ნორმატიულ აქტში ცვლილებები. შეძლებისდაგვარად სრულყოფილი კანონმდებლობის შემუშავება არ არის მარტივი პროცესი თავად დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების, განსაკუთრებით კი კოლაბორაციული რეპროდუქციის, კომპლექსურობის გათვალისწინებით. ტექნოლოგიების მარეგულირებელი სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო რეგულაციების ანალიზი აუცილებელია, თუმცა, რომელიმე რეგულაციური მოდელის ავტომატური, პირდაპირი „გადმოტანა“ საქართველოს ადგილობრივ საკანონმდებლო სივრცეში არ არის მიზანშეწონილი. სხვადასხვა მოდელიდან შესაძლებელია, გამოყენებული იქნას ესა თუ ის ასპექტი, რომელიც საქართველოსათვის ყველაზე მეტად იქნება ხელსაყრელი და, რომელთა ბაზაზეც შემუშავდება დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების წარმოებაში, მათ შორის, სუროგაციაში, ჩართული პირების ძირითადი უფლებების, ვალდებულებებისა და ტექნოლოგიების განხორციელების ძირითადი პრინციპების განმსაზღვრელი სამართლებრივი ნორმები. სწორედ ამ მიზნით განხორციელდა წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში იმ ქვეყნების სუროგაციის მომწესრიგებელი კანონმდებლობის ანალიზი, სადაც გესტაციური სუროგაცია შედარებით მკაცრი შეზღუდვების გარეშე ხორციელდება.

ისრაელი იმ მცირეოდენ სახელმწიფოთა რიცხვს მიეკუთვნება, სადაც სუროგაცია კანონმდებლობით პირდაპირ დაიშვება, თუმცა, იგი უნიკალურად უნდა მივიჩნიოთ რელიგიური შეხედულებების საფუძველზე ჩამოყალიბებული რიგი სამართლებრივი მოთხოვნებისა და სახელმწიფო

კონტროლის მექანიზმების არსებობის გამო, რომლითაც ზედამხედველობა ხორციელდება როგორც სუროგაციის დანყებად, ასევე მისი განხორციელების პერიოდში და ბავშვის დაბადების შემდგომაც. უდავოა, რომ სუროგაციის პროცესის ადმინისტრაციული კონტროლით ისრაელის სახელმწიფო სუროგაციის პროცესის ბოროტად გამოყენების შემთხვევების მინიმალიზაციას ახდენს, თუმცა, სხვა საკითხია, რამდენად არის ბალანსი დაცული ამ შემთხვევებსა და სუროგაციის მონაწილე მხარეთა ინტერესებს შორის სახელმწიფოს ამგვარი მძლავრი სახელმწიფო ზედამხედველობის არსებობის პირობებში მხარეთა კერძო ინტერესების, ავტონომიისა და კონფიდენციალურობის პრინციპებიდან გამომდინარე.

აშშ-ის „სუროგაციის მეგობარ“ შტატებს შორის განხილული კალიფორნიის სამართლებრივი რეგულაციებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ კალიფორნიას კომერციული სუროგაციის განხორციელების თვალსაზრისით გააჩნია ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი იურისდიქცია, ვინაიდან სუროგაციის ხელშეკრულების აღსასრულებლად კანონით დადგენილი მოთხოვნები მინიმალურია. კანონმდებლობა არ განსაზღვრავს შეზღუდვებს სუროგატ დედასთან ან პოტენციურ მშობლებთან მიმართებით მათი ასაკის, საცხოვრებელი ადგილის, სამედიცინო ან ფსიქოლოგიური შემოწმების ვალდებულების ან სუროგაციის განსახორციელებლად აუცილებელი სამედიცინო დასკვნის არსებობის თვალსაზრისით. სუროგაციაზე წვდომის უფლება აქვს როგორც ჰეტეროსექსუალ, ასევე, ერთნაირსქესიან წყვილს, როგორც პოტენციურ მშობლებს, მათ შორის რეგისტრირებული ქორწინების არსებობის მიუხედავად. პოტენციური მშობელი შეიძლება იყოს მარტოხელა პირიც. დასაშვებია სუროგატი დედისათვის კომპენსაციის გადახდა, ისევე, როგორც სუროგაციის ან დონაციის საშუაშელო სააგენტოების საქმიანობა სარგებლის მიღების მიზნით, მათ შორის, მათ მიერ თავიანთი საქმიანობის რეკლამირება. სუროგაცია შეიძლება განხორციელდეს როგორც სპერმისა და კვერცხუჯრედის, ასევე, ემბრიონის დონაციის საფუძველზე და არ მოითხოვება გენეტიკური კავშირის არსებობა ბავშვსა და პოტენციურ მშობელს ან მშობლებს შორის.

კალიფორნიის მსგავსად, სუროგაციის მარეგულირებელი 2017 წლის აშშ-ის შტატ კოლუმბიის ოლქის კანონმდებლობა ძირითადად ბაზირებულია კანონის დაცვით გაფორმებული სუროგაციის ხელშეკრულებაში ასახული მხარეთა განზრახვის არსებობაზე. ეს კი წარმოადგენს პოტენციური

მშობლებისათვის მშობლის იურიდიული სტატუსის განსაზღვრის საფუძველს და ამ სტატუსის დადგენისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება გესტაციასა და გენეტიკას, მათ შორის ტრადიციული სუროგაციის შემთხვევაშიც, თუმცა, ტრადიციული სუროგაციისას კანონმდებლობა სასამართლოს ორდერის გაცემის განსხვავებულ წესს ითვალისწინებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ რეგულაციები მიმართულია სუროგაციის ხელშესაწყობად და მხარეებისათვის ამარტივებს ამ პროცესის განხორციელებას, რის გამოც კოლუმბიის ოლქი ეწერება აშშ-ის იმ შტატებისა და მსოფლიოს იმ ქვეყანათა ჯგუფში, რომელიც „სუროგაციის მეგობარ“ იურისდიქციებად განიხილებიან.

აშშ-ის ტეხასისა და იუტას შტატების სუროგაციის მარეგულირებელი კანონმდებლობა აღიარებს რა მხოლოდ გესტაციურ სუროგაციას, „სუროგაციის მეგობარი“ სხვა ზოგიერთი შტატის, მაგ., კალიფორნიის, ილინოისისა და კოლუმბიის ოლქის, კანონმდებლობასთან შედარებით უფრო მკაცრი რეგულაციებით გამოირჩევა, რითაც ხელშეკრულების გაფორმებაში დონორების მონაწილეობის სავალდებულობის, სუროგაციის ფორმების შეზღუდვის, პოტენციური მშობლებისა და გესტაციური სუროგატის მიმართ დამატებითი მოთხოვნების დაწესებით გარკვეულწილად ზღუდავს სუროგაციაზე წვდომის შესაძლებლობას. ამასთან, ორივე შტატში კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნა, რომ დამხმარე რეპროდუქციის პროცესში დონორის გამეტის გამოყენებისას სუროგაციის ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს პოტენციურ მშობლებს, სუროგატ დედასა და დონორს შორის, ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის სუროგაციისას ანონიმური დონორის ჩართვის შესაძლებლობას, რაც არ არის გამართლებული, მიუხედავად იმისა, რომ ტეხასსა და იუტაშიც სუროგაციის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია კონფიდენციალურად მიიჩნევა და უთანაბრდება შვილად აყვანის საქმეებზე არსებული კონფიდენციალურობის დაცვის სტანდარტს.

თუ შევადარებთ „ილინოისის კანონს“ „სუროგაციის მეგობარი“ სხვა იმ შტატების კანონებთან, სადაც პოტენციური მშობლების მშობლის იურიდიული სტატუსი, უმრავლეს შემთხვევაში, დგინდება სასამართლოს მიერ გაცემული ორდერით, ცხადი ხდება, რომ ილინოისის კანონისეული ნორმები გვთავაზობენ სუროგაციის მოწესრიგების განსხვავებულ მოდელს, ვინაიდან, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს ფუნქციას, დაადასტუროს სუროგაციის ხელშეკრულების ნამდვილობა, ილინოისში „ითავსებენ“ ადვოკატები. ცხადია, რომ, ამ თვალსაზრისით, ილინოისის სუროგაციის

კანონმდებლობა აშშ-ის სამართლებრივ სივრცეში უნიკალურად უნდა მივიჩნიოთ. ამასთან, ამგვარი მექანიზმი, რომლითაც სუროგაციის განხორციელებისას სახელმწიფო ჩარევა ფაქტობრივად მინიმალურია, სუროგაციის პროცესს ერთგვარად ამარტივებს, თუმცა, ამასთანავე, აწესებს არაერთ მოთხოვნას სუროგაციის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის.

ილინოისის მსგავსად, გამარტივებულია სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის მშობლებად პოტენციური მშობლების აღიარების პროცედურა „სუროგაციის მეგობარ ქვეყნებში“ - უკრაინასა და რუსეთშიც, იმ თვალსაზრისით, რომ ამგვარი აღიარებისათვის სასამართლოს ორდერი ან გადაწყვეტილება არ მოითხოვება. თუმცა, უკრაინისა და რუსეთის კანონმდებლობის შედარებითი ანალიზით, ნათელია, რომ სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის იურიდიულ მშობლებად პოტენციური მშობლების რეგისტრაციის დადგენილი წესი განსხვავდება ამ ორ ქვეყანაში ძირეულად იმით, რომ უკრაინაში ბავშვის მშობლებად აღიარებისათვის კანონი უპირატესობას პოტენციურ მშობლებს ანიჭებს, მაშინ, როდესაც რუსეთში პოტენციური მშობლების ბავშვის იურიდიულ მშობლებად რეგისტრაციისათვის გადამწყვეტია ბავშვის გამჩენი ქალის - სუროგატი დედის ნება. სწორედ ამიტომ, ბუნებრივია, რომ სუროგაციის განხორციელების მსურველი პოტენციური მშობლებისათვის უკრაინა უფრო მიმზიდველი რეგულაციების მქონე ქვეყნად მიიჩნევა.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში შესწავლილი, სუროგაციისა და დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების სხვადასხვა ასპექტის მომწესრიგებელი საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საქართველოს ადგილობრივი კანონმდებლობებისა და სასამართლოების პრაქტიკის ანალიზის შედეგად, შესაძლებელია იმ ძირითადი ასპექტების ზოგადად ჩამოყალიბება, რომლებიც, მიზანშეწონილია, გამოყენებული იქნას საქართველოს ახალი კანონმდებლობის ფორმირების პროცესში.

➤ **დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების მარეგულირებელი სპეციალური კანონი - ძირითადი სტრუქტურა და ტერმინთა განმარტებები:** საქართველოს კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს ისეთი სისტემის ფორმირება, რომელიც, დაიცავს ბალანსს მხარეთა კერძოსამართლებრივ ინტერესებსა და სახელმწიფოს საჯარო ინტერესებს შორის და, უპირველეს ყოვლისა, გაითვალისწინებს დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების განხორციელების შედეგად დაბადებული ბავშვის ინტერესებს. უნდა შეიქმნას სპეციალური კანონი,

რომელიც დაარეგულირებს არა მარტო სუროგაციის, არამედ ზოგადად დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების, წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებს და, რომელიც შეიძლება დასათაურდეს როგორც „კანონი დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების შესახებ“ (შემდგომში „კანონი“). „კანონმა“ ცალკე თავებად უნდა გამოყოს ტექნოლოგიების თითოეული იმ მეთოდის მომწესრიგებელი ნორმები, რომლებიც, მათი კომპლექსურობისა და შედეგების თვალსაზრისით, საჭიროებს სპეციალური რეგულაციების ჩამოყალიბებას. მაგ., კოლაბორაციული რეპროდუქცია, რაც მოიცავს გამეტების დონაციით განაყოფიერებას და სუროგაციას, გამეტებისა და ემბრიონების კრიოპრეზერვაცია, სამედიცინო დაწესებულების მიერ დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების წარმოების ზოგადი წესები, რომლებიც უნდა დაკონკრეტდეს საქართველოში სამედიცინო დაწესებულებებისა და საექიმო საქმიანობის მარეგულირებელ სპეციალურ აქტებში. „კანონმა“ უნდა გამოიყენოს და, შეძლებისდაგვარად სრულყოფილად, განსხვავებული ინტერპრეტაციების შესაძლებლობის მაქსიმალურად გამორიცხვით, კანონის მიზნებისათვის განმარტოს საზოგადოდ დამკვიდრებული ტერმინები, რომლებიც არსებითია დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების სამართლებრივი რეგულაციის დროს, მაგ., უნდა დაამკვიდროს ტერმინი „ინ ვიტრო განაყოფიერება“ „ექსტრაკორპორული განაყოფიერების“ ნაცვლად, საქართველოს საკანონმდებლო დონეზე შემოიტანოს ისეთი ტერმინები, როგორცაა, მათ შორის, „დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიები“, „კოლაბორაციული რეპროდუქცია“, „გესტაციური სუროგაცია“, „სრული გესტაციური სუროგაცია“, „ნაწილობრივი გესტაციური სუროგაცია“, „ტრადიციული სუროგაცია“, „ინსემინაცია“, „განაყოფიერება“, „ზიგოტა“, „გამეტა“, „ემბრიონი“, „ნაყოფი“, „დონორი“, „პოტენციური მშობელი“, „სუროგატი დედა“, „სუროგაციის ხელშეკრულება“, „გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულება“.

➤ **ძირითადი მოთხოვნები მხარეების მიმართ: მინიმალური და მაქსიმალური ასაკი; საცხოვრებელი ადგილი:** მიზანშეწონილია, დადგინდეს როგორც პოტენციური მშობლების, ასევე სუროგატი დედის მინიმალური და მაქსიმალური ასაკი და გამოყენებული იქნას სუროგაციის მარეგულირებელი სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნა, რომ სუროგაციის ხელშეკრულების მხარეების - პოტენციური მშობლებისა და სუროგატი დედის მინიმალური ასაკი განისაზღვროს არა

სრულწლოვანებით, არამედ 21 წლით. მინიმალური ასაკის სპეციალურად დადგენა განპირობებულია იმ სამედიცინო და იურიდიული ხაიათის ინფორმაციების მიღებისა და გათვითცნობიერების უნარის მაღალი ხარისხით, რომელიც სუროგაციის ხელშეკრულების მხარეებს მოეთხოვებათ სუროგაციის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას და, რომელზეც მათ უნდა განაცხადონ ინფორმირებული თანხმობები.

რაც შეეხება მაქსიმალურ ასაკს, მისი განსაზღვრაც მიზანშეწონილია როგორც პოტენციური მშობლების ან ერთ-ერთი პოტენციური მშობლის, ასევე, სუროგატი დედისთვისაც, თუმცა, განსაზღვრის კრიტერიუმები განსხვავდება. პოტენციური მშობლისათვის მაქსიმალური ასაკის დადგენა ემსახურება ბავშვის ინტერესებს, ვინაიდან მშობლის ასაკის გათვალისწინებით, მას უნდა გააჩნდეს ფიზიკური უნარი, განახორციელოს მშობლის უფლებები და მოვალეობები ბავშვის მიმართ და აღზარდოს იგი. ამ თვალსაზრისით შესაძლებელია, გამოყენებული იქნას, მაგ., საბერძნეთის კანონმდებლობის მოთხოვნა, რომლის შესაბამისადაც პოტენციური დედის მაქსიმალური ასაკი 50 წელია ან დადგინდეს შედარებით მაღალი ზღვარი. სუროგატი დედის მაქსიმალური ასაკი კი უნდა განისაზღვროს სამედიცინო კრიტერიუმების შესაბამისად. კრიტერიუმი უნდა იყოს ასაკის ის მაქსიმალური ზღვარი, რომლის ზევით ორსულობის მიღებისა და გართულებების რისკი მკვეთრად მაღალია და, შესაბამისად, ამ ასაკობრივი ჯგუფის თარგლებში სუროგაციის განხორციელება სუროგატი დედის ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ზიანის წარმოქმნის მაღალი ალბათობით ხასიათდება. „კანონმა“ შეიძლება დააწესოს გამონაკლისი შემთხვევებიც და სუროგაციული მომსახურების განხორციელების უფლება მისცეს იმ სუროგატ დედასაც, რომლის ასაკიც აღემატება „კანონით“ განსაზღვრულ მაქსიმალურ ასაკს, თუ სუროგატი დედა პოტენციური მშობლის ოჯახის წევრია (დედა ან და) და სამედიცინო ჩვენებით დადგენილია მისი ზოგადად დამაკმაყოფილებელი ჯანმრთელობის მდგომარეობა ორსულობის შენარჩუნებისა და მშობიარობის (საკეისრო კვეთის) თვალსაზრისით (იგულისხმება ისეთი დაავადებების არარსებობა, რომელთა დროსაც ორსულობა საფრთხეს შეუქმნის სუროგატი დედის სიცოცხლეს ანდა მნიშვნელოვნად დააზიანებს მის ჯანმრთელობას). თუმცა, ამ კრიტერიუმების სწორად განსაზღვრა მოითხოვს სპეციალურ სამედიცინო ცოდნას და ისინი შესაბამის სპეციალისტებთან კონსულტაციის შედეგად უნდა ჩამოყალიბდეს.

რაც შეეხება მოთხოვნას პოტენციური მშობლების საცხოვრებელ ადგილთან ან რეზიდენტობასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი, მათ შორის კომერციული სუროგაციის დამშვები სახელმწიფო, სუროგაციის განხორციელების უფლებას ანიჭებს მხოლოდ ამ სახელმწიფოს მოქალაქეებს ან ამ სახელმწიფოში გარკვეული პერიოდის განმავლობაში მუდმივად მცხოვრებ პირებს, რაც, ძირითადად რეპროდუქციული ტურიზმის შემლუდვის მიზნითაა განპირობებული, საქართველოსათვის, მიზანშეწონილია, შენარჩუნდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დამოკიდებულება ამგვარი აკრძალვების არარსებობაზე. თავად რეპროდუქციული ტურიზმი არ უნდა იქნას აღქმული შესაძლო ნეგატიური ასპექტებით. ეს შესაძლებლობაა იმ უშვილო უცხოელი მოქალაქეებისათვის, ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა მათი უშვილობის გადაჭრის სამედიცინო მეთოდებზე, რომლებიც მათთვის შემლუდულია საკუთარ სახელმწიფოში. მეორე მხრივ, აუცილებელია, ინფორმაციის მიწოდების ხარისხის გაზრდა სუროგაციის განხორციელების შედეგებზე, რომლებიც უცხოელმა პოტენციურმა მშობლებმა უნდა გაითვალისწინონ სუროგაციის გზით საქართველოში დაბადებული მათი შვილის მოქალაქეობის მოპოვებისა და საქართველოდან ბავშვის საკუთარ სახელმწიფოში შესაყვანად. იგივენაირად, შემლუდვები არ უნდა არსებობდეს სუროგატი დედის მიმართ მისი მოქალაქეობის შესახებ, არსებითია სუროგატი დედის მიერ ყველა იმ ინფორმაციის რეალურად აღქმა და გააზრება, რომელიც საქართველოში განსახორციელებელ სუროგაციას უკავშირდება. სუროგაციის განხორციელების სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით, ძირითადი მოთხოვნა, რაც „კანონით“ უნდა დადგინდეს, ბუნებრივია, უკავშირდება იმას, რომ ბავშვი უნდა დაიბადოს საქართველოში.

➤ **დამატებითი მოთხოვნები პოტენციური მშობლების მიმართ:** მიზანშეწონილია, საქართველომ გარკვეულწილად შეინარჩუნოს მოქმედი კანონმდებლობით არსებული მიდგომა და სუროგაციის განხორციელების უფლება ჰქონდეს ჰეტეროსექსუალ, როგორც ქორწინებაში მყოფ, ასევე, ქორწინებაში არმყოფ წყვილს. საქართველოს საკანონმდებლო რეგულაციებისა და საქართველოში არსებული რეალობის გათვალისწინებით რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნის შესახებ მოთხოვნის დაწესება პოტენციური მშობლების მიმართ არ არის მიზანშეწონილი. არამართო ევროკავშირის ქვეყნების, აშშ-ისა და ბევრი სხვა სახელმწიფოს, არამედ საქართველოს სახელმწიფოებრივი

დამოკიდებულება ლიბერალურია წყვილის გადაწყვეტილების მიმართ, თავად აირჩიოს თანაცხოვრების მისთვის მისაღები ფორმა, იქნება ეს რეგისტრირებული ქორწინება, არარეგისტრირებული, ე.წ. სამოქალაქო ქორწინება, თუ რელიგიური ქორწინება. ამასვე ეხმიანება ევროპული სასამართლო, როდესაც განმარტავს „ევროპული კონვენციის“ მე-8 მუხლით განსაზღვრულ „ოჯახის“ ცნებას და აცხადებს, რომ იგი „გულისხმობს ქორწინებაზე დაფუძნებულ ურთიერთობებს, ისევე როგორც დე ფაქტო „ოჯახურ კავშირებს“, სადაც მხარეები ქორწინების გარეშე ცხოვრობენ ერთად ან სადაც სხვა ფაქტორები ახდენენ იმის დემონსტრირებას, რომ ურთიერთობას გააჩნია საკმარისი სიმტკიცე“. ამდენად, რეგისტრირებული ქორწინება წარმოშობს მეუღლეთა ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს და იგი, არცერთ შემთხვევაში, გავლენას არ ახდენს მშობლების ვალდებულებებზე შვილების მიმართ, რომლებიც არსებობს იმ ფაქტისაგან დამოუკიდებლად, არიან თუ არა ბავშვის მშობლები რეგისტრირებულ ქორწინებაში ან იყვნენ თუ არა ისინი რეგისტრირებულ ქორწინებაში ბავშვის დაბადებისას. წყვილის რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნის ფაქტი - „ქორწინების მონაწილეობა“ თავისთავად არ წარმოადგენს ბავშვის „ოჯახურ გარემოში“ აღზრდის გარანტიას და არც მეუღლეთა შორის მტკიცე ოჯახური კავშირის არსებობაზე ახდენს ხაზგასმას ყოველ შემთხვევაში. ბავშვის ჯანსაღ გარემოში აღზრდის აუცილებელი წინაპირობა მშობლის პასუხისმგებლობა და მისი დამოკიდებულებაა ბავშვის მიმართ.

სუროგაციის განხორციელების უფლება, ასევე, უნდა ჰქონდეს, მარტოხელა ქალს, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა საჭიროებს დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიის ამ მეთოდის გამოყენებას. ამ თვალსაზრისით, გაუგებრობას იწვევს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის აკრძალვა მარტოხელა ქალის მიერ სუროგაციით სარგებლობის აკრძალვაზე. თუ სახელმწიფო უფლებას აძლევს მარტოხელა ქალს, დაორსულდეს მაგ., დონორის სპერმით ინსემინაციის მეშვეობით ან იშვილოს ბავშვი, რატომ არ უნდა მიეცეს მას უფლება, შესაბამისი სამედიცინო ჩვენების საფუძველზე, სუროგატი დედის დახმარებითა და დონორის სპერმის გამოყენებით იყოლიოს საკუთარი შვილი? მოქმედი რეგულაციები ქმნიან არათანაბარ მდგომარეობას, ერთი მხრივ, დაორსულებისა და ნაყოფის გესტაციისათვის შესაბამისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე ჯანმრთელ ქალსა და, მეორე მხრივ, ამ მდგომარეობის არმქონე ქალს შორის, როდესაც ორივე მათგანის

განზრახვა საკუთარი შვილის ყოლა და აღზრდაა. ამ აკრძალვით კანონმდებლობა მშობლად ყოფნის მსურველ მარტოხელა ქალებს უბიძგებს გაურიგდნენ მამაკაცებს და შექმნან „ფორმალური წყვილის ურთიერთობა“ იმისათვის, რომ დააკმაყოფილონ კანონმდებლობის მოთხოვნები. ეს რისკები და რეალობა კი, უპირველეს ყოვლისა, ბავშვისთვის არის საზიანო.

მხოლოდ მარტოხელა ქალისათვის, როგორც პოტენციური მშობლისათვის, სუროგაციის განხორციელების უფლების მინიჭებამ შეიძლება დასვას საკითხი ამგვარი რეგულაციის გამო კანონის მიერ მარტოხელა მამაკაცის დისკრიმინირებულ მდგომარეობაში ჩაყენებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ამ მდგომარეობის ნიშნები ზედაპირულად შეიძლება არსებობდეს, მხოლოდ მარტოხელა ქალისათვის სუროგაციის განხორციელების უფლების მინიჭება გამართლებულად უნდა ჩაითვალოს არამარტო სუროგაციის არსის გათვალისწინებით, არამედ საქართველოს საზოგადოების გარკვეული ნაწილის დამოკიდებულებიდან გამომდინარეც, იმ შესაძლო შედეგების მიმართ, რომლებიც შეიძლება დადგეს მარტოხელა მამაკაცისათვის ამ უფლების მინიჭებით (სხვა სიტყვებით რომ ითქვას, საქართველოს საზოგადოებისათვის ამგვარი რეგულაცია არ იქნება მისაღები). თუმცა, თუ გავითვალისწინებთ სუროგაციის არსს, ამ პროცესის შედეგად, ნებისმიერ შემთხვევაში, ბავშვის გამჩენ ქალს - სუროგატ დედას იურიდიული თვალსაზრისით „ანაცვლებს“ პოტენციური დედა, ვინაიდან სწორედ პოტენციური დედა რეგისტრირდება, როგორც ბავშვის იურიდიული მშობელი და, შესაბამისად, სამართლებრივად აღიქმება, როგორც მისი „გამჩენი ქალი“. მარტოხელა მამაკაცის, როგორც პოტენციური მშობლის, შემთხვევაში კი სუროგატი დედა უნდა „ჩაანაცვლოს“ კვერცხუჯრედის დონორმა. ამგვარი „ჩაანაცვლება“ კი განუხორციელებადია იმ პრინციპებიდან გამომდინარე, რომლებიც საფუძვლად უდევს, ერთი მხრივ, დონაციის განხორციელებას, რომ დონორი არ შეიძლება ცნობილი იქნას, როგორც ბავშვის მშობელი და მას ბავშვის მიმართ არავითარი უფლება-მოვალეობა არ გააჩნია, ხოლო, მეორე მხრივ, ბავშვის დაბადების რეგისტრაციის ზოგად წესს, რომლის მიხედვითაც „ბავშვის დედა ყოველთვის ცნობილია“.

➤ **დამატებითი მოთხოვნები სუროგატი დედის მიმართ:** სუროგატ დედასთან მიმართებით მოთხოვნების განსაზღვრისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, უნდა ჰყავდეს თუ არა სუროგატ დედას მის მიერ

ცოცხლად გაჩენილი საკუთარი შვილი იმისათვის, რომ მიეცეს უფლება, იყოს სუროგატი დედა. ამგვარი მოთხოვნის არსებობის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ იგი უზრუნველყოფს სუროგატი დედის მიერ სუროგაციული მომსახურების დიდწილად გააზრებას და იმ სირთულეების გათვითცნობიერების მაღალ ხარისხს, რაც თან ახლავს ორსულობასა და მშობიარობას, გასათვალისწინებელია კანონმდებლობის ფორმირების პროცესში.

➤ **სუროგაციის დასაშვები სახეობა - გესტაციური სუროგაცია:** უმრავლესი იმ ქვეყნების მსგავსად, სადაც სუროგაცია რეგულირებულია, საქართველომ უნდა შეინარჩუნოს საკუთარი მოქმედი კანონმდებლობის მიდგომა, რომელიც კრძალავს ტრადიციულ სუროგაციას და დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ გესტაციური სუროგაციის განხორციელებას. აღნიშნული აკრძალვა განპირობებულია იმ კავშირების ერთობლიობით, რომლებიც არსებობს ბავშვსა და სუროგატ დედას შორის - ტრადიციული სუროგატი დედა გვევლინება არამართო ბავშვის გესტაციურ მატარებლად და მის „გამჩენ ქალად“, არამედ ბავშვთან გენეტიკური კავშირიც აქვს. შესაბამისად, ამ კავშირების გათვალისწინებით, ტრადიციული სუროგაციის დაშვების უმნიშვნელოვანესი პირობა იქნებოდა მაგ., გაერთიანებული სამეფოსა და ავსტრალიის კანონმდებლობების მიდგომები, რომელთა მიხედვითაც სუროგატ დედას ეძლევა შესაძლებლობა და უფლება, „გადაიფიქროს“ სუროგაციის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება, „სამართლებრივად და ფიზიკურად გადასცეს ბავშვი“ პოტენციურ მშობლებს და თავად იქნას აღიარებული ბავშვის დედად. მსგავსი მექანიზმი მიუღებლად უნდა ჩაითვალოს პოტენციური მშობლების ინტერესებისა და თავად სუროგაციის მიზნიდან გამომდინარე. მეორე მხრივ, თუ კანონისმიერი აკრძალვის მიუხედავად, ტრადიციული სუროგაციის განხორციელებას მაინც ექნება ადგილი ან თუ ამგვარ სუროგაციას „კანონი“ დასაშვებად ცნობს, არ არის მიზანშეწონილი მაგ., აშშ-ის კოლუმბიის ოლქის კანონმდებლობით განსაზღვრული მიდგომის გამოყენება, რომელიც პოტენციურ მშობლებს ცალსახა უპირატეს მდგომარეობაში აყენებს ბავშვის იურიდიულ მშობლებად განსაზღვრის თვალსაზრისით და, რომლის მიხედვითაც ტრადიციული სუროგატი დედა არ შეიძლება იქნას ცნობილი როგორც ბავშვის მშობელი და არ წარმოეშვება არავითარი უფლება ან მოვალეობა სუროგაციის შედეგად მის მიერ გაჩენილი ბავშვის მიმართ. ამგვარი ცალსახა დამოკიდებულება არ გაითვალისწინებს ტრადიციული სუროგატი დედის იმ

ფსიქო-ემოციურ ფაქტორებს, რომელთა წარმოშობის მაღალ ალბათობას შეიცავს მისი გენების მატარებელ ბავშვზე „უარის თქმა“ და, ამდენად, არ არის გამართლებული.

ამდენად, ტრადიციული სუროგაციის აკრძალვა ემსახურება როგორც პოტენციური მშობლების, ასევე, სუროგატი დედის ინტერესებს და წარმოადგენს ერთგვარ დამცავ ზომას იმ გაუმართლებელი რისკების თავიდან ასაცილებლად, რომლებიც ამ ტიპის სუროგაციამ შეიძლება დააყენოს. თუმცა, ტრადიციული სუროგაციის აკრძალვის მიუხედავად, „კანონმა“ უნდა გაითვალისწინოს ამგვარი სუროგაციის განხორციელების შემთხვევის შედეგებიც და დაადგინოს ზოგადი წესი, რომლის მიხედვითაც ტრადიციული სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის იურიდიული მშობლების განსაზღვრის საკითხს გადაწყვეტს სასამართლო. დავის გადაწყვეტისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს, უპირველეს ყოვლისა, ბავშვის ინტერესებს და მხარეთა მიერ სუროგაციის ხელშეკრულების გაფორმებისას გამოვლენილ ნებას (მხარეთა განზრახვებს), ასევე, გარემოებას, გააჩნია თუ არა პოტენციურ მამას გენეტიკური კავშირი ბავშვთან.

„კანონის“ მიერ გესტაციური სუროგაციის დაშვება თავისთავად ითხოვს სუროგაციის ამ ფორმის ან ფორმების - სრული გესტაციური სუროგაციისა და ნაწილობრივი გესტაციური სუროგაციის დიფერენცირებას და კანონიერად მიჩნეული ფორმის განსაზღვრას, რაც მნიშვნელოვანია სუროგაციის შედეგად დაბადებულ ბავშვთან პოტენციური მშობლების გენეტიკური კავშირების არსებობის დასადგენად. დასაშვები უნდა იყოს:

(1) გესტაციური სუროგაციის ორივე ფორმა იმ პირობით, რომ იმ ვიტრო განაყოფიერების პროცესში გამოყენებულია მინიმუმ ერთი პოტენციური მშობლის გამეტა, რაც უზრუნველყოფს გენეტიკური კავშირის არსებობას სუროგატი დედის მიერ გაჩენილ ბავშვსა და ერთ პოტენციურ მშობელს შორის მაინც; და

(2) გესტაციური სუროგაციის ისეთი ფორმა, რომლის დროსაც: (ა) წყვილის შემთხვევაში, სამედიცინო ჩვენებით დადგენილია არამართო პოტენციური დედის სამედიცინო საჭიროება სუროგაციაზე, არამედ პოტენციური დედისა და პოტენციური მამის უშვილობის დიაგნოზი, რაც აუცილებელს ხდის მათი გამეტების „ჩანაცვლებას“ ქალი და მამაკაცი დონორების გამეტებით. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში, ბავშვის გამჩენ ქალს - სუროგატ დედას, იურიდიული თვალსაზრისით, „ჩანაცვლებს“ პოტენციური დედა, ვინაიდან სწორედ პოტენციური დედა

დარეგისტრირდება, როგორც ბავშვის იურიდიული მშობელი და, შესაბამისად, სამართლებრივად აღიქმება, როგორც მისი გამჩენი ქალი; ან (ბ) იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური მშობელი არის მარტოხელა ქალი, რომელსაც სამედიცინო ჩვენების შესაბამისად, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ესაჭიროება სუროგატი დედისა და კვერცხუჯრედის დონორის ჩართვა სუროგაციის სამედიცინო პროცედურაში; ამ შემთხვევაშიც პოტენციური დედა „ანაცვლებს“ სუროგატ დედას და იურიდიული თვალსაზრისით მიიჩნევა მის მშობლად. ამგვარი მექანიზმი უზრუნველყოფს უშვილო პირებისათვის შესაძლებლობის მიცემას, შეილად აყვანის გართულებული და ხანგრძლივი პროცედურების გვერდის ავლით, იყოლიონ შვილი და გარკვეულწილად შენარჩუნდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიდგომა, რომლითაც, მაგ., საბერძნეთის მსგავსად, დასაშვებია სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის მშობლების სტატუსის განსაზღვრა ე.წ. „სოციალური თვალსაზრისით“.

ნებისმიერ შემთხვევაში, გესტაციური სუროგაციის განხორციელება დასაშვები უნდა იყოს, თუ სამედიცინო დანერგებულების მიერ სათანადო წესით გაცემული დოკუმენტით დადასტურდება პოტენციური დედის უუნარობა, შეინარჩუნოს ორსულობა და გააჩინოს ბავშვი, ან თუ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, არსებობს მისი ან ბავშვის ფიზიკური ან მენტალური ჯანმრთელობის დაზიანების გონივრული რისკი.

➤ **სუროგაციის ხელშეკრულება:** სუროგაციაში მონაწილე მხარეების უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრის თვალსაზრისით, უმთავრესია, „კანონის“ მიერ სუროგაციის ხელშეკრულების მხარეების, დადების ვადის, ფორმისა და არსებითი პირობების დადგენა. სუროგაციის ხელშეკრულება, ერთი მხრივ, პოტენციურ მშობლებს ან პოტენციურ მშობელსა და, მეორე მხრივ, სუროგატ დედას შორის უნდა გაფორმდეს სანოტარო წესით სუროგატი დედის საშვილოსნოში ემბრიონის გადატანამდე. აუცილებელია, საქართველოს მოქმედმა კანონმდებლობამ გააუქმოს მოთხოვნა დონორის სუროგაციის ხელშეკრულების მხარედ განსაზღვრის შესახებ და ახალი „კანონით“ დადგინდეს რეგულაციები გამეტების დონაციასთან დაკავშირებით, რომლებითაც, სხვა საკითხებს შორის, მოწესრიგდება პოტენციური მშობლების ან პოტენციური მშობლის მიერ უშუალოდ დონორთან გაფორმებული ხელშეკრულების ან დონორის გამეტით სარგებლობის თაობაზე საშუამავლო პირებთან დადებული ხელშეკრულების არსებითი პირობები და ამ ხელშეკრულებების

გაფორმების წესი. შესაძლებელია, გამოყენებული იქნას აშშ-ის შტატ კალიფორნიის კანონის ჩანაწერი, რომლითაც სუროგაციისას დონორის გამეტების გამოყენების შემთხვევაში დონორის იდენტიფიკაცია ხელშეკრულებაში არ მოითხოვება, აუცილებელია მხოლოდ იმაზე მითითება, თუ კონკრეტულად რისი დონაცია განხორციელდა - კვერცხუჯრედის, სპერმის თუ ემბრიონის. ამ თვალსაზრისით „კანონი“, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს დონაციის შესახებ კონფიდენციალურობის დაცვას, ხოლო, მეორე მხრივ, გარკვეულწილად გამჭვირვალეს გახდის სუროგაციის წარმოების სამედიცინო ასპექტს. ამასთან, მიზანშეწონილია, აშშ-ის შტატების - ტეხასისა და იუტას კანონებით განსაზღვრული მოთხოვნების გაზიარებაც, რომელთა მიხედვითაც სუროგაციის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია კონფიდენციალურად მიიჩნევა და უთანაბრდება შვილად აყვანის საქმეებზე არსებული კონფიდენციალურობის დაცვის სტანდარტს. ამგვარი „გათანაბრების“ თვალსაზრისით, აუცილებელია, სისხლის სამართლის კოდექსში შესაბამისი ცვლილების განხორციელებაც, რომელმაც, შესაძლებელია, გარკვეული პრევენციული როლი შეასრულოს დარღვევის შესაკავებლად.

სუროგაციის ხელშეკრულების ფორმალური თვალსაზრისით გაფორმება არ უნდა იყოს საკმარისი. ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს „კანონით“ განსაზღვრულ მის არსებით პირობებს, რომლებიც უკავშირდება, ერთი მხრივ, მხარეების მიერ ინფორმირებული თანხმობების გაცხადებას სუროგაციის სამედიცინო და სამართლებრივ ასპექტებზე, მეორე მხრივ, კი განსაზღვრავს მათ უფლებებსა და მოვალეობებს. ამ თვალსაზრისით, შესაძლებელია, განხორციელდეს სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის ისრაელისა და აშშ-ის შტატების - კოლუმბიის ოლქის, კალიფორნიის, ილინოისისა და იუტას სუროგაციის მომწესრიგებელი კანონების ზოგიერთი ნორმის გარკვეული სინთეზი და ჩამოყალიბდეს ისეთი მოთხოვნები სუროგაციის ხელშეკრულებაში სავალდებულო წესით განსასაზღვრ არსებით პირობებზე, რომლებიც, შეძლებისდაგვარად, მაქსიმალურად დაბალანსებულად დაიცავს მხარეების უფლებებსა და ინტერესებს. ამასთან, ამ პირობების დადგენა უზრუნველყოფს ე.წ. „ინფორმირებული თანხმობის“ კონცეფციის აღსრულებას, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს სუროგაციის პროცესის ინიცირებამდე მისი განხორციელებისათვის. სუროგაციის ხელშეკრულების მხარეები უნდა აცნობიერებდნენ სუროგაციის შედეგებსა და მათ უფლება-მოვალეობებს და მხოლოდ ამგვარი „შეცნობის“

შედეგად აცხადებდნენ გააზრებულ, ინფორმირებულ თანხმობას, რომ მზად არიან სუროგაციის ხელშეკრულების შესასრულებლად.

ვინაიდან, სუროგაციაზე გააზრებული თანხმობის გაცხადება მხარეების მიერ მოითხოვს როგორც სამედიცინო, ასევე სამართლებრივი ხასიათის ინფორმაციის მიღებას, სუროგაციის ხელშეკრულება სავალდებულო წესით უნდა ითვალისწინებდეს მხარეების დადასტურებას ამ ინფორმაციის მიღების შესახებ. კერძოდ, ხელშეკრულებაში თითოეულმა მხარემ უნდა დაადასტუროს, რომ სუროგაციის განხორციელებისა და შედეგების შესახებ მეორე მხარისაგან დამოუკიდებლად მიიღო დეტალური სამართლებრივი კონსულტაცია, საკუთარი არჩევანის შესაბამისად, საქართველოში საადვოკატო საქმიანობის უფლების მქონე ადვოკატის ან ამ სფეროში გამოცდილებისა და შესაბამისი ცოდნის მქონე იურისტისგან. მხარეთა ინტერესების დაბალანსების მიზნით, მიზანშეწონილია, ხელშეკრულების მომზადების პროცესში მონაწილეობა მიიღოს ორივე მხარის ადვოკატებმა ან შესაბამისი გამოცდილების მქონე იურისტებმა იმ პირობით, რომ სუროგატი დედის საადვოკატო/იურიდიული მომსახურების გონივრული ხარჯები, წინასწარ შეთანხმებული პოტენციურ მშობლებთან, სრულად ანაზღაურდება პოტენციური მშობლების მიერ. ამასთან, ერთი და იგივე საადვოკატო ბიუროს ან იურიდიული ფირმის ადვოკატები არ უნდა წარმოადგენდნენ ხელშეკრულების სხვადასხვა მხარეს.

ხელშეკრულება, ასევე, უნდა შეიცავდეს თითოეული მხარის დადასტურებას, რომ მან საქართველოს სამედიცინო დანესებულებაში სუროგაციასთან დაკავშირებული სამედიცინო პროცედურების განმახორციელებელი ექიმისგან მიიღო დეტალური ინფორმაცია სუროგაციის განხორციელების სამედიცინო პროცედურების, შესაძლო შედეგების, რისკების, მათ შორის, რამდენიმე ემბრიონის გადატანის პოტენციური რისკების, ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებული გართულებებისა და სამედიცინო მომსახურების ხარჯების შესახებ. ამ ინფორმაციის მიღების დადასტურებას მნიშვნელობა აქვს როგორც სუროგატი დედის, ასევე პოტენციური მშობლების მხრიდან ინფორმირებული თანხმობის არსებობის დადასტურების თვალსაზრისით. სუროგაციის ხელშეკრულებაზე ხელმოწერამდე სუროგატი დედა უნდა იყოს გათვითცნობიერებული არამართო იმ სამედიცინო პროცედურებზე, რომლებიც სუროგაციას უკავშირდება - „საშვილოსნოს მომზადება“ ემბრიონის გადატანის მიზნით, ვაგინალური ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა,

სამედიცინო კვლევების განხორციელება და ემბრიონის გადატანა, არამედ ამ პროცედურების შედეგებსა და მისი ჯანმრთელობისათვის საფრთხის არსებობის რისკებზეც, რომლებიც, მათ შორის, ეხება ორსულობას, ცხოვრების წესის ცვლილებას, ორსულობის გართულებებს, ამნიოცენტეზის, მრავალნაყოფიანი ორსულობისას ნაყოფის რედუქციის ან ორსულობის შეწყვეტის საკითხებს. იგივენაირად, პოტენციური მშობლები ამომწურავად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი სუროგაციის სამედიცინო ასპექტებსა და შედეგებზე და სამედიცინო მომსახურების ხარჯებზეც, რომელთა გაღებაც მათ მოუწევთ როგორც სუროგაციის განხორციელებისას, ასევე, სუროგატი დედის ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაშიც.

სუროგაციის განხორციელებაზე ინფორმირებული თანხმობების გაცხადების დადასტურების გარდა, მიზანშეწონილია, „კანონმა“ განსაზღვროს ის არსებითი პირობები, რომელთაც, ასევე, უნდა შეიცავდეს ხელშეკრულება: სამედიცინო ხასიათის საკითხებზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში ამ საკითხების გადამწყვეტი საქართველოს სამედიცინო დაწესებულების ექიმის განსაზღვრა; ემბრიონის გადატანის მაქსიმალური რაოდენობა და მათ შორის ინტერვალი; ემბრიონების ოდენობა, რომელთა ტარებაზეც სუროგატი დედა თანახმაა და სამედიცინო პროცედურა, რომელიც ჩატარდება, იმ შემთხვევაში, თუ ორსულობა გადააჭარბებს ამ ოდენობას; სუროგაციასთან დაკავშირებული ხარჯებისა და სუროგატი დედისათვის გადასახდელი კომპენსაციის განსაზღვრის ოდენობა და გადახდის წესი; მხარეთა შორის ინფორმაციის ურთიერთგაცვლის ვალდებულება; სუროგატი დედის სამედიცინო გამოკვლევებისა და ორსულობის კონტროლი, ორსულობის შეწყვეტის შეზღუდვა მხოლოდ სამედიცინო ჩვენებით; საკითხების განსაზღვრა სუროგატი დედის ორსულობისას ერთი ან ორივე პოტენციური მშობლის გარდაცვალების ან მათი განქორწინების შემთხვევაში. თუმცა, ამ საკითხებზე სუროგაციის ხელშეკრულებაში ასახული მხარეთა შეთანხმება უნდა შეესაბამებოდეს თითოეულ ამ საკითხზე „კანონით“ განსაზღვრულ ძირითად რეგულაციებს.

➤ **სუროგაციასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება და სუროგატი დედისათვის გადასახდელი კომპენსაცია:** სუროგაციის ხელშეკრულებაში სუროგაციასთან დაკავშირებული ხარჯების პოტენციური მშობლების მიერ ანაზღაურებისა და სუროგატი დედისათვის გადასახდელ თანხებთან დაკავშირებით, შესაძლებელია, გამოყენებული იქნას აშშ-ის კოლუმბიის ოლქის კანონის რეგულაციები მცირეოდენი ცვლილებებით.

კანონმა უნდა განსაზღვროს პოტენციური მშობლის ან მშობლების ვალდებულება მხარეებს შორის შეთანხმებული ყველა გონივრული სამედიცინო ხარჯებისა და იურიდიული ხარჯების გადახდაზე. სამედიცინო ხარჯებს უნდა შეადგენდეს ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია სუროგაციის სამედიცინო მომსახურებასთან, მათ შორისაა, ორსულობასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯები და ორსულობის გართულების ან ორსულობიდან გამომდინარე სხვა სამედიცინო ხარჯები. იურიდიული ხარჯები უნდა მოიცავდეს სამართლებრივი კონსულტაციისა და ხელშეკრულების მომზადებისათვის საადვოკატო/იურიდიული მომსახურების ხარჯებს.

სუროგატ დედას უნდა მიეცეს კომპენსაცია მიუღებელი ხელფასის, რისკისა და უხერხული მდგომარეობის (ან სხვაგვარად რომ ითქვას „ტანჯვისა და ტკივილისათვის“, თუ გამოვიყენებთ ისრაელის მოდელს), ჩვეულებრივი საქმიანობებისგან თავშეკავების ან ამ საქმიანობის განხორციელების შეზღუდვისათვის. ამგვარი კომპენსაცია უკავშირდება სუროგატი დედის სულიერ განცდებს, დისკომფორტსა და მორალურ ხარჯს ორსულობისა და მშობიარობისას, ისევე, როგორც ამ პერიოდში მის მიერ მიუღებელ შემოსავალს, რომელიც თავისთავად არ გულისხმობს ადამიანის სხეულის გამოყენებას ფინანსური მოგების წყაროდ და, საბოლოო ჯამში, არ ქმნის ადამიანის ვაჭრობად ქცევის საფუძველს. ამ თვალსაზრისით მისი „კანონით“ განსაზღვრა არ იქნება წინააღმდეგობაში „ოვიდოს კონვენციის“ 21-ე მუხლით დადგენილ ფინანსური სარგებლის აკრძალვასთან და უზრუნველყოფს სუროგაციის დროს სუროგატი დედისათვის თანხების გადახდის პროცესის გამჭვირვალეობას. ამასთან, ამ თვალსაზრისით, აუცილებელია, სახელმწიფომ შექმნას ერთგვარი კონტროლის სისტემა საქართველოში მოქმედი ე.წ. საშუამავლო სააგენტოების/კომპანიებისათვის, რომელთა საქმიანობა ძირითადად მოიცავს საშუამავლო მომსახურების განხორციელებას პოტენციურ მშობლებსა და გამეტის დონორებს ანდა სუროგატ დედებს შორის. მათი საქმიანობა უნდა იყოს გამჭვირვალე იმ მიზნით, რომ გამოირიცხოს სუროგატი დედების ექსპლუატაციისა და სუროგაციის განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა საფრთხეები. შესაძლებელია, დაწესდეს ამგვარი ორგანიზაციების საქმიანობის დამოუკიდებლად რეგისტრაციის ვალდებულებაც იურიდიული პირების რეგისტრაციის განმახორციელებელ ორგანოში.

მიზანშეწონილია, კანონმა არ შეზღუდოს სუროგაციის ხელშეკრულების სათუქველზე ხარჯების გადახდისა და კომპენსაციის გადახდის ფორმა და იგი გადანყდეს მხარეთა შეთანხმებით.

➤ **ინფორმაციის ურთიერთგაცვლა; სუროგატი დედის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციაზე წვდომა:** მიზანშეწონილია, გამოყენებული იქნას სუროგაციის ხელშეკრულების შინაარსთან დაკავშირებული აშშ-ის შტატ იუტას კანონმდებლობის მოთხოვნა, ხელშეკრულებაში სუროგატი დედისა და პოტენციური მშობლების შეთანხმების ასახვაზე სუროგატი დედისა და პოტენციური მშობლების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის ურთიერთგაცვლის ვალდებულების შესახებ ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში. ამასთან, სუროგატი დედის ორსულობის მთელი პერიოდის განმავლობაში მისი მშობიარობის ჩათვლით პოტენციურ მშობლებს უნდა მიეცეთ უფლება, მიიღონ ინფორმაცია სამედიცინო დანერგულებისაგან სუროგატი დედის, ნაყოფისა და ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ამგვარი უფლების არსებობა უზრუნველყოფს პოტენციური მშობლების ინტერესების დაცვას, ვინაიდან მათ უნდა ჰქონდეთ იმ ინფორმაციასთან წვდომის შესაძლებლობა, რომელიც ეხება მათ შვილს, რომელსაც ნაყოფის სახით მუცლად ატარებს სუროგატი დედა.

➤ **სუროგატი დედის სამედიცინო გამოკვლევებისა და ორსულობის კონტროლი:** „კანონმა“ უნდა შეიმუშაოს ისეთი რეგულაციები, რომლებიც გაითვალისწინებს, ერთი მხრივ, სუროგატი დედის პიროვნულ დამოუკიდებლობას, რაც უკავშირდება საკუთარ სხეულზე კონტროლისა და გადანყვეტილების მიღების უფლებამოსილებას, ხოლო, მეორე მხრივ, პოტენციური მშობლების ინტერესებს, მათი ჩანასახისა და ნაყოფის ჯანმრთელობის დასაცავად, მიიღონ მონაწილეობა სუროგატი დედის ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებული გადანყვეტილებების მიღებაში. ამ თვალსაზრისით, შესაძლებელია აშშ-ის შტატ ილინოისის კანონმდებლობის რეგულაციების ნაწილობრივ გამოყენება. სუროგაციის ხელშეკრულებით მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ იმ ექიმზე, რომელიც განახორციელებს ორსულობის მეთვალყურეობას. დასაშვებად უნდა იქნას მიჩნეული ხელშეკრულებაში ისეთი პირობის გათვალისწინება, რომლითაც სუროგატი დედა იკისრებს ვალდებულებას, ჩაიტაროს ორსულობასთან დაკავშირებული, ექიმის მიერ

დანიშნული ყველა სამედიცინო გამოკვლევა, მკურნალობა და ნაყოფის მონიტორინგის პროცედურა, ისევე, როგორც, არ განახორციელოს ისეთი ქმედებები, რომლებიც, პოტენციური მშობლების ანდა ექიმის გონივრული აზრით, საზიანოა ორსულობისა და ბავშვის სამომავლო ჯანმრთელობისათვის, მაგ., მონევა, ალკოჰოლის ან ექიმის მიერ დაუნიშნავი მედიკამენტის მიღება ანდა სხვა საზიანო ქმედებები. ამასთან, სუროგატის ხელშეკრულება ვერ შეზღუდავს სუროგატი დედის უფლებას კანონიერ აბორტზე, როდესაც საფრთხე ექმნება მის ჯანმრთელობას. ორსულობის შეწყვეტის შეზღუდვა დასაშვებია შეიძლება იყოს მხოლოდ სამედიცინო ჩვენებით.

➤ **მხარეების განსაკუთრებული ვალდებულებები; ბავშვის ინტერესების დაცვა:** მიზანშეწონილია, „კანონმა“ გამოიყენოს აშშ-ის კოლუმბიის ოლქის კანონმდებლობის ჩანაწერი იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულება სავალდებულო წესით უნდა განსაზღვრავდეს სუროგატი დედის თანხმობას მასზედ, რომ იგი არ არის და არ შეიძლება იქნას აღიარებული როგორც ბავშვის მშობელი, ისევე, როგორც მის მიერ გაცხადებულ დადასტურებას, რომ ბავშვზე მეურვეობა გადაეცემა პოტენციურ მშობლებს ან მშობელს უმაღვე ბავშვის დაბადებისთანავე და, რომ ითანამშობლებს ნებისმიერ სამართლებრივ პროცესში პოტენციური მშობლის ან მშობლებისათვის ბავშვზე მშობლის იურიდიული სტატუსის აღიარების მიზნით. აღნიშნული ვალდებულების დანესებით „კანონი“ დაიცავს პოტენციურ მშობელს ან მშობლებს სუროგატი დედის მიერ ბავშვის გადაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში და უზრუნველყოფს პოტენციური მშობლების მშობლის სტატუსის აღიარების ხელშეშლას.

ამასთანავე, სუროგატის შედეგად დაბადებული ბავშვის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით უნდა განისაზღვროს „კანონის“ მოთხოვნა სუროგატის ხელშეკრულებაში პოტენციური მშობლის ან მშობლების ვალდებულების (გაცხადებული დადასტურების სახით) განსაზღვრის თაობაზე, რომ ბავშვის დაბადებისთანავე იკისრებს/იკისრებენ ხელშეკრულების შესრულების შედეგად დაბადებულ ბავშვზე/ბავშვებზე სრულ მეურვეობასა და მშობლის ვალდებულებებს ბავშვის/ბავშვების სქესის, მენტალური ან ფიზიკური მდგომარეობის მიუხედავად, ასევე, მის/მათ მიმართ სრულ მატერიალურ პასუხისმგებლობას, რაც, მათ შორის, მოიცავს მკვდრადშობადობის, ნაადრევი მშობიარობის ან ბავშვის სიკვდილის

გამომწვევი სხვა შემთხვევისას დასაფლავების ხარჯების სრულად დაფარვას.

უპირველეს ყოვლისა, ბავშვის ინტერესების დაცვის მიზნით, აუცილებელია, ხელშეკრულება განსაზღვრავდეს სუროგატი დედის ვალდებულებას, დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალურობა როგორც პოტენციური მშობლების, ასევე, სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის ვინაობის შესახებ. იგივენაირად, მხარეთა შეთანხმებით, ასევე შეიძლება გათვალისწინებული იქნას პოტენციური მშობლების მიერ კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ ვალდებულება სუროგატი დედის ვინაობის შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული ვალდებულებები არ იზღუდებოდეს დროში და მოქმედებდეს სუროგაციის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომაც უვადოდ.

➤ **სუროგაციის ხელშეკრულების შეწყვეტა:** პოტენციურმა მშობლებმა უნდა ისარგებლონ სუროგაციის ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებით მხოლოდ ამ ხელშეკრულების საფუძველზე სუროგატი დედის საშვილოსნოში ემბრიონის გადატანამდე, რისთვისაც მათ უნდა დაეკისროთ სუროგატი დედისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ წინასწარი შეტყობინებისა და შეწყვეტის თარიღამდე ხელშეკრულების საფუძველზე მათ მიერ ნაკისრი ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება. რაც შეეხება სუროგატი დედის უფლებას ხელშეკრულების შეწყვეტაზე, ამ თვალსაზრისით, შეიძლება გამოყენებული იქნას მაგ., საბერძნეთის საკანონმდებლო რეგულაცია, რომლის მიხედვითაც სუროგატ დედას უფლება აქვს, უარი თქვას სუროგაციის განხორციელებაზე მხოლოდ მის ორსულობამდე. ორსულობის შემდგომ სუროგატი დედა ვალდებულია, განახორციელოს სუროგაციის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები და დაბადების შემდგომ ბავშვი გადასცეს პოტენციურ მშობლებს. ამასთან, მას არ აქვს ბავშვის მშობლად ცნობის უფლება. შესაბამისად, „კანონმა“ სუროგატ დედას არ უნდა მისცეს უფლება, „გადაიფიქროს“, შეწყვიტოს სუროგაციის ხელშეკრულება და მოითხოვოს ბავშვის მშობლად ცნობა. გამონაკლისი შეიძლება დადგინდეს, თუ დამტკიცდება, რომ ადგილი ჰქონდა ტრადიციული სუროგაციის განხორციელებას, რომელიც „კანონით“ არ უნდა იქნას დაშვებული. ამ შემთხვევაში, როგორც პოტენციურ დედას, ასევე, სუროგატ დედას, ექნება უფლება მიმართოს სასამართლოს ბავშვის დაბადებიდან ექვსი თვის

განმავლობაში ბავშვის მშობლის დადგენილი სტატუსის „გასაჩივრების“ თვალსაზრისით მშობლად აღიარების მოთხოვნით.

➤ **ბავშვის მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხების განსაზღვრა სუროგატი დედის ორსულობისას ერთი ან ორივე პოტენციური მშობლის გარდაცვალების ან მათი განქორწინების შემთხვევაში:** სუროგატი დედის საშვილოსნოში ემბრიონის გადატანის შედეგად სუროგატი დედის ორსულობის განმავლობაში ერთი ან ორივე პოტენციური მშობლის გარდაცვალების, მათი განქორწინების ან მათ შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, გარდაცვალების ან განქორწინების ფაქტმა არ უნდა შეცვალოს დაბადებული ბავშვის იურიდიულ მშობლებად პოტენციური მშობლების განსაზღვრის წესი. ამ თვალსაზრისით შესაძლებელია, საჭირო გახდეს დამატებითი მექანიზმების შემუშავება, რომელთა მიხედვითაც დაბადების რეგისტრაციის განმხორციელებელი ორგანო ინფორმირებული იქნება კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელებული სუროგაციის ფაქტისა და მასში მონაწილე პირების შესახებ. ამასთან, ასევე, შესაძლებელია, „კანონმა“ განსაზღვროს პირის უფლება, გამოხატოს წერილობითი დადასტურება მასზე, რომ აცხადებს თანხმობას, იყოს ნებისმიერი იმ ბავშვის მშობელი, რომელიც დაიბადება მისი გარდაცვალების შემდგომ მისი კუთვნილი გამეტის სამედიცინო პროცედურაში გამოყენების შედეგად. ამ უფლების განმსაზღვრელი ილინოისის კანონის მოდელი ითვალისწინებს დამატებით პირობებს და განსაზღვრავს, რომ ამგვარი დადასტურების შემთხვევაში, თუ პირი გარდაიცვლება მისი გამეტის ან ემბრიონის გადატანამდე და ამ პროცედურის შედეგად ბავშვი დაიბადება მისი გარდაცვალებიდან 36 თვის ვადაში, გარდაცვლილი პირი ბავშვის იურიდიულ მშობლად მიიჩნევა.

➤ **პოტენციური მშობლების მიერ მშობლის იურიდიული სტატუსის მოპოვება:** მიზანშეწონილია, რომ პოტენციური მშობლების მიერ მშობლის იურიდიული სტატუსის მოსაპოვებლად საჭირო პირველ ეტაპად მიჩნეულ იქნას „კანონით“ განსაზღვრული პირობების შესაბამისად სუროგაციის ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმება (მოქმედი კანონმდებლობის იდენტურად). თუმცა, მოქმედი კანონმდებლობისგან განსხვავებით, მიზანშეწონილია, შემუშავდეს ისეთი მექანიზმი, რომელიც სუროგატი დედის საშვილოსნოში ემბრიონის გადატანის სამედიცინო პროცედურის ჩატარებას შესაძლებელს გახდის მხოლოდ მხარეებს შორის სუროგაციის ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმების შემდგომ. მსგავსი

მოთხოვნა სუროგაციის ხელშეკრულებას იმ მნიშვნელობას მიანიჭებს, რომლისთვისაც ის რეალურად არსებობს მოქმედი სამართლებრივი რეგულაციების პირობებში, არსებული რეალობისგან განსხვავებით, როდესაც სუროგაციის ხელშეკრულების გაფორმება, როგორც წესი, მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს. ამ მიზნით, შესაძლებელია, განისაზღვროს ნოტარიუსის მიერ გასაცემი დოკუმენტი სამედიცინო დაწესებულებაში წარდგენის მიზნით, რომელშიც აისახება დადასტურება სუროგაციის ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმების თარიღისა და მისი მხარეების შესახებ. ამგვარი დოკუმენტის არსებობა გამართლებულია იმ თვალსაზრისით, რომ სუროგაციის ხელშეკრულების შინაარსის კონფიდენციალურობა იქნას დაცული და მისი წარდგენის აუცილებლობა სამედიცინო დაწესებულებაში არ დადგეს.

„კანონის“ მიხედვით გაფორმებული სუროგაციის ხელშეკრულება ნამდვილი და აღსრულებადი იქნება, თუ იგი შეესაბამება მის მიერ დადგენილი ხელშეკრულების ფორმის, შინაარსისა და ხელშეკრულების მხარეთა მიმართ განსაზღვრულ მოთხოვნებს. ბავშვის დაბადების შემთხვევაში, პოტენციური მშობლების, როგორც ბავშვის იურიდიული მშობლების, სტატუსის განსაზღვრის თვალსაზრისით, მიზანშეწონილია, გარკვეულწილად შენარჩუნდეს მოქმედი სამართლებრივი რეგულაციის პირობებში არსებული სისტემა, რომლის მიხედვითაც სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის რეგისტრაცია და ბავშვის მშობლებად პოტენციური მშობლების მითითება განხორციელდება დაბადების რეგისტრაციის განმახორციელებელი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში კანონის შესაბამისად შესრულებული სუროგაციის ხელშეკრულებისა და სამედიცინო დაწესებულების მიერ ემბრიონის გადატანის შესახებ გაცემული ცნობის საფუძველზე.

ამასთან, სუროგაციის ხელშეკრულების მხარეების, განსაკუთრებით კი ბავშვის ინტერესების, დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, დადგინდეს, რომ კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტების დადგენილი ვადის დარღვევით „სააგენტოში“ წარდგენა არ წარმოადგენს დოკუმენტების შესაბამისად ბავშვის დაბადების რეგისტრაციის ან განხორციელებულ რეგისტრაციაში ცვლილებების შეტანის საფუძველს, თუ დოკუმენტები აკმაყოფილებს კანონმდებლობის მოთხოვნებს და „სააგენტოში“ წარდგენილია ემბრიონის გადატანის პროცედურიდან არაუგვიანეს 300 დღის ვადაში. აღნიშნულ ხანდაზმულობის ვადისა და მის აღდგენასთან

დაკავშირებულ პირობებს სასამართლოსათვის შეტყობინების სავალდებულო წესით განხორციელებასთან დაკავშირებით ითვალისწინებს აშშ-ის შტატ ტეხასის კანონმდებლობა. ამ რეგულაციის გარკვეული სახეცვლილებით გაზიარება ხელს შეუწყობს ბავშვისა და პოტენციური მშობლების ინტერესების დაცვას და მისცემს შესაძლებლობას პოტენციურ მშობლებს, სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე „აღადგინონ“ მათ მიერ დარღვეული ვადა.

იმ შემთხვევაში, თუ „სააგენტო“ თავისი გადანყვეტილებით, კანონით განსაზღვრული ფორმალური მოთხოვნების დაუცველობის გამო, უარს ეტყვის პოტენციურ მშობლებს სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის მშობლებად რეგისტრაციაზე, ბავშვის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით, მიზანშეწონილია, კანონმდებლობით განისაზღვროს რეგულაციები, რომელთა შესაბამისადაც სოციალური მუშაკის თანხმობით, პოტენციური მშობლების საცხოვრებელი პირობებისა და ბავშვის ინტერესებისათვის აუცილებელი გარემოს შესწავლის შედეგად, ბავშვის გადაცემა პოტენციური მშობლებისათვის დასაშვები იქნება, ამასთან, პოტენციური მშობლები განხორციელებენ მშობლის ვალდებულებებს ბავშვის მიმართ. ეს თავისთავად არ ნიშნავს ბავშვზე მშობლის იურიდიული სტატუსის გადაცემას, რომელიც, ასეთ შემთხვევაში, უნდა განსაზღვროს მხოლოდ სასამართლომ.

სასამართლოში სუროგაციის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით დავის გადანყვეტისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს, უპირველეს ყოვლისა, ბავშვის ინტერესებს და მხარეთა მიერ სუროგაციის ხელშეკრულების გაფორმებისას გამოვლენილ ნებას (მხარეთა განზრახვებს), ასევე, გარემოებას, გააჩნია თუ არა პოტენციურ მამას გენეტიკური კავშირი ბავშვთან. ამ თვალსაზრისით, საინტერესო ჩანანერს გვთავაზობს აშშ-ის შტატ ილინოისის კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც თუ გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულება არ აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს და, ამდენად, არ არის აღსრულებადი, მშობლის იურიდიული სტატუსის დადგენა განხორციელდება სასამართლოს მიერ „მხარეთა განზრახვების მტკიცებულებაზე დაყრდნობით“.

მიზანშეწონილია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის უდავო წარმოების თავით განისაზღვროს ისეთი საქმეების სასამართლოს მიერ უდავო წარმოების წესით განხილვა და გადანყვეტა, რომლებიც უკავშირდება „სააგენტოს“ უარს პოტენციური მშობლების ბავშვის იურიდიულ მშობლებად რეგისტრაციაზე იმ პირობით, თუ დასტურდება გესტაციური

სუროგაციის ფაქტი და, შესაბამისად, ადგილი არ ჰქონია ტრადიციული სუროგაციის განხორციელებას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, თუ დავა წარმოიშვება ტრადიციულ სუროგატ დედასა და პოტენციურ მშობლებს შორის, დავის გადაწყვეტა უნდა განხორციელდეს სასარჩელო წარმოების გზით, თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, ბავშვის ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, სასამართლომ უნდა განსაზღვროს ბავშვზე მეურვეობის საკითხი სოციალური სამსახურის ჩართულობით. ამგვარი რეგულაციების შემუშავება ხელს შეუწყობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების დაჩქარებულ ვადაში მიღებას და პოტენციურ მშობლებს ააცილებს სასამართლოს სამივე ინსტანციის გავლის გაჭიანურებულ და ხანგრძლივ პროცესს.

➤ **დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების წარმოების წესები სამედიცინო დაწესებულებებისათვის:** წინამდებარე კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ ადგენს სპეციალურ პირობებს იმ სამედიცინო დაწესებულების მიმართ, სადაც შესაძლებელია, ზოგადად დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების ან კონკრეტულად სუროგატი დედის ჩართულობით ინ ვიტრო განაყოფიერების განხორციელება. კანონმდებლობა რეგულაციის მიღმა ტოვებს კომპლექსური სახის დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა სამედიცინო დაწესებულების უფლებამოსილება, აწარმოოს სამედიცინო პრაქტიკა ამ ტექნოლოგიების გამოყენებით, ემბრიოლოგისა და ექიმის კვალიფიკაცია ამ პროცედურების განხორციელებაზე, ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები - ე.წ. გაიდლაინები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ემბრიოლოგებმა და სამედიცინო პერსონალმა ინ ვიტრო განაყოფიერების განხორციელების პროცესში, მათ შორის, პროცედურის ჩატარებისას დაუდევრობის ან შეცდომის მინიმინალიზაციისათვის, და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კონტროლის მექანიზმი, რომელიც გამორიცხავს თუნდაც ხარვეზიანი და მწირი რეგულაციების არსებობის პირობებში, სამედიცინო დაწესებულების არაკეთილსინდისიერ, არაეთიკურ და კანონშეუსაბამო საქმიანობას ტექნოლოგიების წარმოებისას. ამ საკითხებს არსებითი მნიშვნელობა აქვს დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების არსისა და სირთულიდან გამომდინარე, ვინაიდან ამ მეთოდების განხორციელება სამედიცინო პერსონალის მიერ განსაკუთრებულ სიფრთხილეს, დაკვირვებას,

პროფესიონალიზმს და ამ სფეროში შესაბამის კვალიფიკაციას მოითხოვს. დღესდღეობით საქართველოში ფუნქციონირებს ამ ტექნოლოგიების მწარმოებელი არაერთი სამედიცინო დაწესებულება, მათ შორისაა ისეთი დაწესებულებებიც, რომლებიც მაღალი ეთიკური და პროფესიული სტანდარტებით ახორციელებენ საკუთარ საქმიანობას, თუმცა, სამედიცინო საქმიანობა, რომლის დროსაც ხდება ადამიანის ბიოლოგიურ მასალასთან შეხება, ზოგადად სამედიცინო საქმიანობისათვის დადგენილ სავალდებულო პირობებთან ერთად, უნდა დაექვემდებაროს დამატებით რეგულაციებსა და სახელმწიფოს მიერ ერთგვარი კონტროლის სისტემას. მეორე მხრივ, ეს სისტემა არ უნდა შეიქმნას ფიქციურად, არც იმგვარად, რომ მაკონტროლებელი ორგანო არსებითად ჩაერიოს სამედიცინო დაწესებულებების ფუნქციონირებაში ყოველგვარი დასაბუთების გარეშე. სისტემის შექმნა კომპლექსური საკითხია, რომელიც მოითხოვს არამარტო სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციას, არამედ მაკონტროლებელი ორგანოს შესაბამისი თანამდებობის პირების სპეციალურ ცოდნას დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების სფეროში. მიზანშეწონილია, ასევე, შემუშავდეს სპეციალური რეგულაციები დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების განმახორციელებელი სამედიცინო დაწესებულებების კონფიდენციალური საანგარიშგებო სისტემის შესახებ (შტატ ტეხასის მოდელი), რომლის მიხედვითაც დაწესებულებები ყოველწლიურად მიაწვდიან ინფორმაციას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მათ მიერ წლის განმავლობაში განხორციელებული გესტაციური სუროგაციის პროცედურათა ოდენობისა და იმ ემბრიონების ოდენობისა და სტატუსის შესახებ, რომელთა გადატანა განხორციელებულ პროცედურებში არ მომხდარა.

ცხადია, რომ დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების სირთულიდან გამომდინარე, მათ განმახორციელებელ სამედიცინო პერსონალს უნდა ჰქონდეს არამარტო შესაბამისი პროფესიული განათლება, არამედ საკმარისი კვალიფიკაცია და მაღალი ეთიკური სტანდარტები, უნდა არსებობდეს სათანადო რეგულაციები, რომლებიც გამორიცხავენ პროცედურების ჩატარებისას დაუდევრობას ან შეცდომას. ამ თვალსაზრისით შეიძლება გამოყენებული იქნას წინამდებარე ნაშრომში განხილული სხვადასხვა ორგანიზაციების, მათ შორის, ადამიანის რეპროდუქციისა და ემბრიოლოგიის ევროპული საზოგადოების (ESHRE – European Society of Human Reproduction and Embryology) დეტალური

სახელმძღვანელო პრინციპები ინ ვიტრო განაყოფიერების ლაბორატორიის ფუნქციონირებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფს ინ ვიტრო განაყოფიერების პროცესში მონაწილე პერსონალის პასუხისმგებლობების განსაზღვრას, მათ კვალიფიკაციასა და კომპეტენციას, ბიოლოგიური მასალის ზუსტად აღრიცხვას, შენახვასა და გამოყენების პირობებს. მსგავსი სახელმძღვანელო წესების დაცვა ახდენს იმ რისკების მინიმალიზაციას, რაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს მარტივ შეცდომას სამედიცინო პროცედურების განხორციელებისას და, რამაც, საბოლოო ჯამში, შეიძლება მნიშვნელოვანი პრობლემა წარმოშვას ამ პროცედურების შედეგად დაბადებული ბავშვების გენეტიკური წარმომავლობის თვალსაზრისით. თუმცა, „კანონმა“ ცალსახად უნდა განსაზღვროს, რომ ლაბორატორიული შეცდომა გავლენას ვერ მოახდენს დონაციის ან/და სუროგაციის შემთხვევაში დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების შედეგად დაბადებული ბავშვის მიმართ პოტენციური მშობლის ვალდებულებებსა და მის იურიდიული მშობლის სტატუსზე. ეს ის რისკია, რომელიც უნდა იკისროს პოტენციურმა მშობელმა დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიის ამა თუ იმ მეთოდის გამოყენების შესახებ გადანყვეტილების მიღებისას.

მიზანშეწონილია, კანონმდებლობამ უფრო დეტალურად მოაწესრიგოს ინფორმირებულ თანხმობებთან დაკავშირებული რეგულაციები, კერძოდ, წერილობითი ინფორმირებული თანხმობები სამედიცინო დანესებულებებმა უნდა მიიღონ არამარტო ინ ვიტრო განაყოფიერების, არამედ დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების ნებისმიერი მეთოდის, მათ შორის, საშვილოსნოსშიდა ინსემინაციის, კვერცხუჯრედის ან სპერმის ან ემბრიონის კრიოპრეზერვაციის, პრეემპლანტაციური გენეტიკური დიაგნოსტიკის, წარმოების დანყებამდე ნებისმიერი იმ პირისგან, რომელიც ამ სამედიცინო მეთოდის წარმოებაში იღებს მონაწილეობას (პოტენციური მშობელი, დონორი ანდა სუროგატი დედა).

მიზანშეწონილია, ასევე, განისაზღვროს სპეციალური წესები სამშობიარო დანესებულებისათვის, რომლებითაც იხელმძღვანელებს დანესებულება სუროგატი დედის მათ დანესებულებაში მშობიარობისას (საკეისრო კვეთის ჩატარებისას) და ბავშვის დაბადების შემდგომ სუროგატ დედასა და პოტენციურ მშობლებთან ურთიერთობისა და ბავშვის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით.

წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში მომზადებული რეკომენდაციები ზოგადი ხასიათისაა და კანონმდებლობის შემუშავების პროცესში საჭიროებს

კონკრეტიზაციას. ამასთან, რეკომენდაციები ეხება მხოლოდ სუროგაციასა და სუროგაციის პროცესში დონაციას. დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიები კი ბევრად ფართოა და მოითხოვს სხვა მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის გამეტებისა და ემბრიონების კრიოპრეზერვაციისა და ემბრიონების დონაციის, სამართლებრივ მონესრიგებას, რაც, ამ თემების ფართო და კომპლექსური ხასიათიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ვერ განხორციელდებოდა ერთი სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში.

„კანონთან“ ერთად უნდა მომზადდეს ერთიანი პაკეტი სხვადასხვა საკანონმდებლო, თუ კანონქვემდებარე აქტში განსახორციელებელ ცვლილებებზე, რომლებიც არამართო დაამკვიდრებს მოქმედი კანონმდებლობისათვის უცხო, ახალ სამართლებრივ და სამედიცინო ტერმინებს (მაგ., „დედად ცნობა“, „ინ ვიტრო განაყოფიერება“ და ა.შ.), არამედ მოაწესრიგებს დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების განხორციელებასა და მათ შედეგებს, მაგ., ცვლილებები უნდა შევიდეს სამოქალაქო კოდექსის საოჯახო სამართლის თავში, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონმდებლობაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, ნოტარიატის შესახებ კანონში, სისხლის სამართლის კოდექსსა და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის განმსაზღვრელ კანონმდებლობაში. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობის ცვლილების ერთიანი პაკეტის ამოქმედება განხორციელდეს ერთდროულად.

თუმცა, სრულყოფილი საკანონმდებლო რეგულაციების შემუშავება არ არის მარტივი პროცესი და, დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების კომპლექსური ხასიათიდან გამომდინარე, სხვადასხვა პროფესიისა (მათ შორის, ექიმების, იურისტების, ფსიქოლოგების) და შესაბამის სფეროში სათანადო გამოცდილების მქონე პირთა აქტიურ ჩართულობას მოითხოვს. ამდენად, შემუშავებული რეკომენდაციების გარკვეული ნაწილი შეიძლება შეიცვალოს ან დაზუსტდეს. მთავარია, შენარჩუნდეს ის ძირითადი პრინციპები, რომლის დადგენასაც ემსახურება წინამდებარე ნაშრომის ძირითადი მიზანი.

ახალი კანონმდებლობის შემუშავების პროცესი, ბუნებრივია, არ არის განხორციელებადი მოკლევადიან პერიოდში. შესაბამისად, საჭიროა, მოხდეს, თუნდაც ხარვეზების შემცველი, მაგრამ ძალაში მყოფი სამართლებრივი ნორმების მართებული ანალიზი და სწორი სამართლებრივი გზების ძიება, პირველ რიგში, სუროგაციის გზით

დაბადებული ბავშვების ინტერესებისა და უფლებების დაცვის
უზრუნველსაყოფად.

ბიბლიოგრაფია

1. სამეცნიერო ლიტერატურა

ა. ქართულენოვანი ლიტერატურა

ბლანკენაგელი ა. სამართლებრივი სახელმწიფოს ცნებისათვის, ჟურნალი „სამართალი“, #2, 1991.

გეგენავა დ., წიგნში: საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მეორე გამოცემა, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2014.

გეგენავა დ., ჯავახიშვილი პ., საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლი: იტყუებით გადაადგილებული ნორმა თავშესაფრის მოლოდინში და შეუცნობლისადმი შიშის ფენომენი ქართულ კონსტიტუციონალიზმში, სამეცნიერო ჟურნალი „აკადემიური მაცნე“, სპეციალური გამოშვება, 2017.

გელაშვილი ი., ჩანასახის სამოქალაქო-სამართლებრივი მდგომარეობა, თბილისი, 2012.

ერემაძე ქ., ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, თბილისი, 2013.

ერემაძე ქ., წიგნში: გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩხილაძე გ., ჭილაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი, 2016.

ერემაძე ქ., წიგნში: გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩხილაძე გ., ჭილაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი, 2017.

ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბილისი, 2005.

ზოიძე ბ., სამართლებრივი წესრიგისა და სამართლებრივი უსაფრთხოების შესახებ, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, #3, 2006.

ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, თბილისი, 2007.

ზოიძე ბ., სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა, უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში, ესეები, თბილისი, 2013.

ზოიძე ბ., პოზიტიური სამართლის მოქმედების ფარგლების ანუ მონესრიგებული ადამიანისა და მიმტევებელი სახელმწიფოს შესახებ,

წიგნში: ზოიძე ბ., სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა, უპირატესად ადამიანის უფლებათა ჭრილში, ესეები, თბილისი, 2013.

თუმანიშვილი გ., პოტენციური მამის თანხმობის საკითხი ექსტრაკორპორალური განაყოფიერებით შექმნილ ემბრიონის ტრანსფერზე ან მის განადგურებაზე, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციის ჟურნალი, #2, 2016.

კვანტალიანი ნ., პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, თბილისი, 2014.

კობახიძე ი., დედათა ძირითადი უფლებების დაცვის პრობლემა საქართველოს შრომის სამართალში, წიგნში: ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო, სტატიათა კრებული, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2011.

ლენონი ბ., თავისუფლება და კანონი, თ. ბითაძის თარგმანი, თბილისი, 2015.

მეტრეველი ვ., დავითაშვილი გ., პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, მეორე გამოცემა, თბილისი, 2015.

მონტესკიე შ.-ლ., კანონთა გონი, დ. ლაბუჩიძის თარგმანი, ნ. ნათაძისა და ო. ჯიოევის რედაქტორობით, თბილისი, 1994.

ნანიშვილი გ., იურიდიული სუბიექტი, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, #VIII, ტფილისი, 1928.

ნემსწვრიძე თ., ღირებულებებით დეტერმინირებული სამართალი, წიგნში: თედო ნინიძე 65, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2016.

ნემსწვრიძე თ., საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულის იურიდიული ბუნება, ცაგერი-თბილისი, 2017.

ნოდუშანი მ. ე., დემოკრატია აღმოსავლეთში, თ. შურლაიას თარგმანი, წიგნში: რა არის თავისუფლება?, კრებული მეოთხე, შემდგენლები კ. ჯამბურია და თ. ჯოლოგუა, თბილისი, 2016.

პეპანაშვილი ნ., სამედიცინო დანესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თსუ, თბილისი, 2016.

რუხაძე ზ., საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ბათუმი 1999.

სავანელი ბ., მართლმსაჯულების პრობლემები საქართველოს კონსტიტუციის შუქზე იურიდიული ფაქტები და მათი სამართლებრივი კვალიფიკაცია, ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, #2, 2015.

ტულუში თ., ბურჯანაძე გ., მშენიერაძე გ., გოცირიძე გ., მენაბდე ვ., ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, მ. კოპალეიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2013.

ცანავა ლ., საკონსტიტუციო კონტროლი და კონსტიტუციის განმარტება, წიგნში: თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი, წიგნი I, სტატიათა კრებული, გ. კვერენჩილაძისა და დ. გვეგნავას რედაქტორობით, თბილისი, 2012.

ძამაშვილი ბ., სოციოეკონომიკური უფლებები: ძირითადი უფლებები თუ სახელმწიფოს პოლიტიკის მიმართულება?, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი, #1, 2015, 400.

ძლიერიშვილი ზ., ნარდობის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2011.

წერეთელი თ., ევთანაზია როგორც ზნეობრივი და სამართლებრივი პრობლემა, წიგნში: ქართული სამართლის კლასიკა, წიგნი I, ზ. კორძაძისა და თ. ნემსწვერიძის რედაქტორობით, თბილისი, 2017.

წულეისკირი ნ., ჯობავა მ., რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკანონმდებლო მიმოხილვა, ასოციაცია „ჰერა XXI“, თბილისი, 2014.

ჭილაძე ნ., წიგნში: გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩილაძე გ., ჭილაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბილისი, 2016.

ხეცურიანი ჯ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, თბილისი, 2016.

ხუბუა გ., წიგნში: იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005.

ბ. უცხოეთში მშობლობის უზრუნველყოფის საკითხები

ბ.ა. მშობლობის უზრუნველყოფის საკითხები

Alcantara D. M., Japan, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013.

Andrews B. L., Surrogate Motherhood: The Challenge for Feminists, Law, Medicine & Health Care, Vol. 16, Issue 1-2, 1988.

Baker H., A Possible Future Instrument on International Surrogacy Arrangements: Are There “Lessons” to Be Learnt from the 1993 Hague Intercountry Adoption Convention? in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013.

Behm L. L., Legal, Moral & International Perspectives on Surrogate Motherhood: The Call for a Uniform Regulatory Scheme in the United States, DePaul Journal of Health Care Law, Vol. 2, Issue 3, 1999.

Birenbaum-Carmeli D., The Politics of the ‘Natural Family’ in Israel: State Policy and Kinship Ideologies, Social Science and Medicine, Vol. 69, Issue 7, 2009.

Brill L. A., When Will the Law Catch Up with Technology? Jaycee B v Superior Court of Orange County: An Urgent Cry for Legislation on Gestational Surrogacy, Catholic Lawyer, Vol. 39, Issue 2-3, 1999-2000.

Brinsden R. P., Clinical Aspects of IVF Surrogacy in Britain, in Surrogate Motherhood: International Perspectives, Edited by R. Cook, Sh. Day Sclater and F. Kaganas, Oxford-Portland-Oregon, 2003.

Brugger k., International Law in the Gestational Surrogacy Debate, Fordham International Law Journal, Vol. 35, Issue 3, 2012.

Brunet L., Carruthers J., Davaki K., King D., Marzo C., Mccandless J., A Comparative Study on the Regime of Surrogacy in EU Member States, European Parliament, Directorate-General for Internal Policies, Policy Department C: Citizens’ Rights and Constitutional Affairs, 2013.

Bryant J. J., A Baby Step: The Status of Surrogacy Law in Wisconsin following Rosecky v. Schissel, Marquette Law Review, Vol. 98, Issue 4, 2015.

Buzas P., The Convention on Human Rights and Biomedicine: European Consensus or Lowest Common Denominator?, Law Review of Kyiv university of Law, Vol. 2015, Issue 1, 2015.

Bychkov Green S., Interstate Intercourse: How Modern Assisted Reproductive Technologies Challenge the traditional Realm of Conflicts of Law, Wisconsin Journal of Law, Gender and Society, Vol. 24, Issue 1, 2009.

- Cascao, R., *The Challenges of International Commercial Surrogacy: From Paternalism Towards Realism?*, *Medicine and Law*, Vol. 35, 2016.
- Chapman, A. R., *Human Dignity, Bioethics and Human Rights*, *Amsterdam Law Forum*, Vol. 3, Issue 1, 2011.
- Ciccarelli J.C., Beckman L. J., *Navigating Rough Waters: An Overview of Psychological Aspects of Surrogacy Contracts*, *Journal of Social Issues*, Vol. 61, Issue 1, 2005.
- Coleman C. H., *Assisted Reproductive Technologies and the Constitution*, *Fordham Urban Law Journal*, Vol. 30, Issue 1, 2002.
- Cook R. J., *Women's Health and Human Rights*, WHO, Geneva, 1994.
- Curry-Sumner I., Vonk M., *The Netherlands*, in: *International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level*, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013.
- Damelio J. and Sorensen K., *Enhancing Autonomy in Paid Surrogacy*, *Bioethics*, Vol. 22, Issue 5, 2010.
- Davis W., Dalessio J., *Reproductive Surrogacy at the Millenium: Proposed Model Legislation Regulating "Non-Traditional" Gestational Surrogacy Contracts*, *McGeorge Law Review*, Vol. 31, Issue 3, 2000.
- Druzenko G., *Ukraine*, in: *International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level*, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013.
- Ekberg E. M., *Ethical, legal and Social Issues to Consider When Designing a Surrogacy Law*, *Journal of law and Medicine*, Vol. 21, Number 3, 2014.
- Ergas Y., *Thinking Through Human Rights: The Need for a Human Rights Perspective With Respect to the Regulation of Cross-Border Reproductive Technology* in: *International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level*, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013.
- Ergas Y., *Babies Without Borders: Human Rights, Human Dignity, and the Regulation of International Commercial Surrogacy*, *Emory International Law Review*, Vol. 27, Issue 1, 2013.
- Everingham S., *Use of Surrogacy by Australians: Implications for Policy and Law Reform* in: *Family, Policy and the Law, Selected Essays on Contemporary Issues for Australia*, edited by A. Hayes and D. Higgins, Australia, 2014.
- Fiandaca S., *In Vitro Fertilization and Embryos: The Need for International Guidelines*, *Albany Law Journal of Science & Technology*, Vol. 8, Issue 2, 1998.

Field M., *Reproductive Technologies and Surrogacy: Legal Issues*, *Creighton Law Review*, Vol. 25, Issue 5, 1992.

Field A. M., *Compensated Surrogacy*, *Washington Law Review*, Vol. 89, Issue 4, 2014.

Formet M., *Should Women Be Paid to Provide Eggs for Research or Reproduction?*, *Legal Issues Journal*, Vol. 4, Issue 2, 2016.

Gilbar R., *Between Unconditional Acceptance and Responsibility: Should Family Ethics Limit the Scope of Reproductive Autonomy?*, *Child and Family Law Quarterly*, Vol. 21, Issue 3, 2009.

Gitlin H. J., *New Law Makes Illinois Friendly for Surrogacy*, *Southern Illinois University Law Journal*, Vol. 30, Issue 1, 2005.

Gordon E. A., *The Aftermath of Johnson v. Calvert: Surrogacy law Reflects a more Liberal View of Reproductive Technology*, *ST. Thomas Law Review*, Vol. 6, Issue 1, 1993.

Gossel S. L., *Germany*, in: *International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level*, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013.

Graymond J., *Women as Wombs: Reproductive Technologies and the Battle over Women's Freedom*, San Francisco, 1993.

Green S. J. D., *Is Equality of Opportunity a False Ideal for Society?*, *The British Journal of Sociology*, volume 39, No. 1, 1988.

Guzman R. V., *A Comparison of Surrogacy Laws of the US to other Countries: Should There Be a Uniform Federal Law Permitting Commercial Surrogacy*, *Houston Journal of International Law*, Vol. 38, Issue 2, 2016.

Hand J., *Surrogacy in Israel: A Model of Comprehensive Regulation of New Technologies*, *Santa Clara Journal of International Law*, Vol. 4, Issue 2, 2006.

Harutyunyan G., *Constitutional Culture: The Lessons of History and the Challenges of Time*, Yerevan, 2017.

Hofman L. D., *Mama's Baby, Daddy's Maybe: A State-by-State Survey of Surrogacy Laws and Their Disparate Gender Impact*, *William Mitchell Law Review*, Vol. 35, Issue 2, 2009.

Holland E. M., *Forbidding Gestational Surrogacy: Impeding the Fundamental Right to Procreate*, *UC Davis Journal of Juvenile Law and Policy*, Vol. 17, Issue 2, 2013.

Huo Z., China, in: *International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level*, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013.

Inhorn M., and Patrizio P., *Reproductive Tourism As Reproductive Exile*, *Fertility and Sterility*, Vol. 92, Issue 3, 2009.

Jeremy J. Richey, *A Troublesome Good Idea: An Analysis of the Illinois Gestational Surrogacy Act*, *Southern Illinois University Law Journal*, Vol. 30, Issue 1, 2005.

Johnson H. M., *Surrogacy and the Human Fertilization and Embryology Act*, in *Surrogate Motherhood: International Perspectives*, Edited by R. Cook, Sh. Day Sclater and F. Kaganas, Oxford-Portland-Oregon, 2003.

Kenigsberg D., Hartman L., *The Baby Solution: Your Essential Resource for Overcoming Infertility*, New York, 2006.

Keyes M., Australia, in: *International Surrogacy Arrangements Legal Regulation at the International Level*, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013.

Khazova O., Russia, in: *International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level*, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013.

Kimbrell A., *The Case Against the Commercialization of Childbearing*, *Willamette Law Review*, Vol. 24, Issue 4, 1988.

Kindregan C. P. Jr. and McBrien M., *Embryo Donation: Unresolved Legal Issues in the Transfer of Surplus Cryopreserved Embryos*, *Villanova Law Review*, Vol. 49, Issue 1, 2004.

Kirshner S. N., *Selling a Miracle? Surrogacy Through International Borders: Exploration of Ukrainian Surrogacy*, *Journal of International Business and Law*, Vol. 14, Issue 4, 2015.

Knaplund S. K., *Children of Assisted Reproduction*, *University of Michigan Journal of Law Reform*, Vol. 45, Issue 4, 2012.

Kokiasmenos M., Mihalich L., *Assisted Reproductive Technology*, *The Georgetown Journal of Gender and the Law*, Vol. V, Number 1, 2004.

Kounougeri-Manoledaki E., *Surrogate Motherhood in Greece (according to the new law on assisted reproduction)* in: *The International Survey of Family Law*, Edited by A. Bainham, Athens-Thessaloniki, 2005.

- Krim M. T., *Beyond Baby M: International Perspectives on Gestational Surrogacy and the Demise of the Unitary Biological Mother*, *Annals of Health Law*, Vol. 5, Issue 1, 1996.
- Kruk-Larosz M., *La Constitution europeenne et le constitutionnalisme contemporain*, VII-e Congres international de droit constitutionnel, Athenes, 2007.
- Lambert J. L., *Developing a Legal Framework for resolving Disputes Between “Adoptive Parents” of frozen Embryos: A Comparison to Resolutions of Divorce Disputes Between Progenitors*, *Boston College Law Review*, Vol 49, Issue 2, 2008.
- Lamm E., *Mexico*, in: *International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level*, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013.
- Lin T., *Born Lost: Stateless Children in International Surrogacy Arrangements*, *Cardozo Journal of International and Comparative Law*, Vol. 21, Issue 2, 2013.
- Llewellyn Sh., *Surrogacy Law Reform in South Australia: Are Surrogacy Registers a New Way Forward Australia?* *University of Tasmania Law Review*, Vol. 34, Issue 2, 2015.
- Lloyd T. D. A., *Competitive Equality of Opportunity*, *Mind*, New Series, Vol. 86, No. 343, 1977.
- Lojkova J., *The Issue of Surrogacy in Czech Law*, *Medicine and Law*, Vol. 31, Issue 1, 2012.
- Mazer D. S., *Born Breach: The Challenge of Remedies in Surrogacy Contracts*, *Yale Journal of Law and Feminism*, Vol. 28, Issue 1, 2016.
- McCandless J., Sheldon S., *No father required? The Welfare Assessment in the Human Fertilisation and Embryology Act 2008*, *Feminist Legal Studies*, Vol. 18, Issue 3, 2010.
- McLauchlan H. V., Swales J.K., *Commercial Surrogate Motherhood and the Alleged Commodification of Children: A Defence of Legally Enforceable Contracts*, *Law and Contemporary Problems*, Vol. 72, Issue 3, 2009.
- Meinke S. A., *Surrogate Motherhood: Ethical and Legal Issues*, *Scope Note 6*, *Bioethics Research Library*, Georgetown University, 1988.
- Menon M., *Regulating Reproduction-Evaluating the Canadian Law on Surrogacy and Surrogate Motherhood*, a thesis submitted for the degree of Master of Laws, University of Toronto, 2009.

- Millbank J., The New Surrogacy Parentage Laws in Australia: Cautious Regulation or 25 Brick walls?, *Melbourne University Law Review*, Vol. 35, Issue 1, 2011.
- Mohapatra S., Adopting An International Convention on Surrogacy – A Lesson from Intercountry Adoption, *Loyola University Chicago International Law Review*, Volume 13, Issue 1, 2016.
- Mortazavi S., It Takes a Village to Make a Child: Creating Guidelines for International Surrogacy, *Georgetown Law Journal*, Vol. 100, Issue 6, 2012.
- Nelson E., Global Trade and Assisted Reproductive Technologies: Regulatory Challenges in International Surrogacy, *Journal of Law, Medicine & Ethics*, Vol. 41, Issue 1, 2013.
- Nicolas P., Straddling the Columbia: A Constitutional Law Professor's Musings on Circumventing Washington State's Criminal Prohibition on Compensated Surrogacy, *Washington Law Review*, Vol. 89, Issue 4, 2014.
- Omblet W., Robays V. J., Artificial Insemination History: Hurdles and Milestones, Facts, Views & Vision in obGyn, Vol. 7, Issue 2, 2015.
- Orejudo Prieto de Los Mozos P., Spain, in: *International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level*, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013.
- Packer C., Defining and Delineating the Rights of Reproductive Choice: *Nordic Journal of International Law*, Volume 67, Issue 1, 1998.
- Pauknerova M., Czech Republic, in: *International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level*, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013.
- Pennings G., Reproductive Tourism As Moral Pluralism In Motion, *Journal of Medical Ethics*, Vol. 28, Issue 6, 2002.
- Perreau-Saussine L. and Sauvage N., France, in: *International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level*, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013.
- Petchesky R. P., Weiner J. A., *Global Feminist Perspectives on Reproductive Rights and Reproductive Health*, Hunter College, Women's Studies Program, City University New York, 1990.
- Probert R., *Family Law in England and Wales*, Kluwer Law International, Netherlands, 2011.

Reproductive Rights Are Human Rights, Center for Reproductive Rights, a Handbook for National Human Rights Institutions, The Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, 2014.

Rokas K. A., Greece, The Greek Legal Framework for Surrogacy, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013.

Rosato L. J., The Children of ART (Assisted Reproductive Technology): Should the Law Protect Them from Harm?, UTAH Law Review, Vol. 2004, Issue 1, 2004.

Ruth Z., More than One Mother: Determining Maternity for the Biological Child of a female same-sex Couple – the Israeli View, Georgetown Journal of Gender and the Law, Vol. 9, Issue 1, 2008.

Sabatello M., Are the Kids All Right?: A Child-Centered Approach to Assisted Reproductive Technologies, Netherlands Quarterly of Human Rights, Vol. 31, Issue 1, 2013.

Sauer L. Competing Interests and gamete Donation: The Case for Anonymity, Seton Hall Law Review, 92, 2009.

Schuz R., The Right to Parenthood: Surrogacy and Frozen Embryos, International Survey of Family Law, Vol. 1996.

Sedillo L. A., Test Tube Babies, Surrogate Mothers, Frozen Embryos: Searching for Solutions, New Mexico Law Review, Vol. 20, Issue 3, 1990.

Shakargy Sh., Israel, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013.

Shalev C., Halakha and Patriarchal Motherhood – an Anatomy of the New Israeli Surrogacy Law, Israel Law Review Vol. 32, 1998.

Shapo H., Frozen Pre-embryos and The Rights To Change One's Mind, Duke Journal Of Comparative & International Law, Vol. 12, 2002.

Shavel C., Birth Power, The Case for Surrogacy, Yale University Press, New Haven & London, 1989.

Sheldon J. C., Test Tube Babies Meet Stone Age Statutes, Maine Bar Journal, Vol. 27, Issue 3, 2012.

Schenker G. J., Legal Aspects of ART Practice in Israel, Journal of Assisted Reproduction and Genetics, Vol. 12, Issue 2, 2003.

Schenker J., Legitimising Surrogacy in Israel: Religious Perspectives, in Surrogate Motherhood: International Perspectives, Edited by R. Cook, Sh. Day Sclater and F. Kaganas, Oxford-Portland-Oregon, 2003.

- Schuz R., The Right to Parenthood: Surrogacy and Frozen Embryos, in: *International Survey of Family Law*, Edited by A. Bainham, 1996.
- Schuz Rh., Surrogacy in Israel: An Analysis of the Law in Practice, in *Surrogate Motherhood: International Perspectives*, Edited by R. Cook, Sh. Day Sclater and F. Kaganas, Oxford-Portland-Oregon, 2003.
- Slabbert M., Roodt C., South Africa, in: *International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level*, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013.
- Smerdon R. U., Crossing Bodies, Crossing Borders: International Surrogacy between the United States and India, *Cumberland Law Review*, Vol. 39, Issue 1, 2008.
- Smerdon R. U., India, in: *International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level*, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013.
- Snyder H. S., United States of America, in: *International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level*, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013.
- Sperling D., Commanding the “Be Fruitful and Multiply” Directive: Reproductive Ethics, Law, and Policy in Israel, *Cambridge Quarterly of Healthcare Ethics*, Vol. 19, Issue 3, 2010.
- Spivack C., The Law of Surrogate Motherhood in the United States, *American Journal of Comparative Law*, Vol. 58, Issue – Supplement, 2010.
- Steeves Sh. M., Artificial Human Reproduction: Legal Problems Presented by the Test Tube Baby, *Emory Law Journal*, Vol. 28, Issue 4, 1979.
- Steiner E., Rosu. A. M., Medically Assisted Human Reproductive Technologies (ART) and Human Rights – The European Perspective, *Frontiers of Law in China*, Vol. 11, No. 2, 2016.
- Stoll J., *Surrogacy Arrangements and Legal Parenthood: Swedish Law in a Comparative Context*, Uppsala, 2013.
- Storrow F. R., Surrogacy American Style, in: *Surrogacy, Law and Human Rights*, Edited by P. Gerber and L. O’Byrne, UK, 2015.
- Teman E., the Medicalization of “Nature” in the “Artificial Body” Surrogate Motherhood in Israel, *Medical Anthropology Quarterly*, Vol. 17, issue 1, 2003.
- Teman E., Knowing the Surrogate Body in Israel, in *Surrogate Motherhood: International Perspectives*, Edited by R. Cook, Sh. Day Sclater and F. Kaganas, Oxford-Portland-Oregon, 2003.

Teman E., The Birth of a Mother: Mythologies of Surrogate Motherhood in Israel, PhD Paper, Hebrew University of Jerusalem, 2006.

Trimming K., Beaumont P., General Report on Surrogacy in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013.

Trowse P., Surrogacy: Is it Harder to Relinquish Genes?, Journal of Law and Medicine, Vol. 18, Issue 3, 2011.

Verschelden G., Verhellen J., Belgium, in: International Surrogacy Arrangements, Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013.

Weisberg K. D., The Birth of Surrogacy in Israel, University Press of Florida, 2005.

Wells-Greco M., United Kingdom, in: International Surrogacy Arrangements Legal Regulation at the International Level, Edited by K. Trimmings and P. Beaumont, Oxford-Portland-Oregon, 2013.

Winslade W. J., Surrogate Mothers: Private Right or Public Wrong?, Journal of Medical Ethics, Vol. 7, Issue 3, 1981.

Wolf Trisha A., Why Japan Should Legalize Surrogacy, Pacific Rim Law and Policy Journal, Vol. 23, Issue 2, 2014.

Zegers-Hochschild F., Adamson G. D., Mouzon J. de., Ishihara O., Mansour R., Nygren K., Sullivan E., Vanderpoel S., The International Committee for Monitoring Assisted Reproductive Technology (ICMART) and the World Health Organization (WHO) Revised Glossary on ART Terminology, Fertility & Sterility, Vol. 92, No. 5, 2009.

ბ.ბ. რუსულებოვასი ლიბერატორა

Перевозчикова Е. В., Конституционное право на жизнь и репродуктивные права человека, диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Казань, 2006.

Пестрикова А. А., Обязательства Суррогатного Материнства, Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Самара, 2007.

Рахиджанова Д. К., Проблемы правового регулирования отношений при производстве медицинского вмешательства в репродуктивные процессы человека, диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Махачкала, 2005.

Самаилова В. В., Семейно-Правовые Аспекты Реализации Репродуктивных Прав При Применении Вспомогательных Репродуктивных Технологий, Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук, Москва, 2011.

Цыбулевская О. И., Значение общеправовых принципов для отраслевого законодательства, Вопросы теории государства и права: Межвузовский сборник научных трудов, Вып. 2, Под ред. М. И. Байтина, Саратов, 2000.

2. სასამართლო პრაქტიკა

ა. საქართველოს სასამართლოების გადაწყვეტილებები

ა.ა. საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები

ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე #2/1852-14.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე #2/9619-15.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 04 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე #2/15935-15.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე №2/29617-17.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 სექტემბრის განჩინება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, საქმე #2/14813-15.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 29 ივლისის დადგენილება უდავო წარმოების წესით განსახილველი განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ, საქმე #2/14813-15.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე #3/6337-15.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე #3/.....14, მოსამართლე ნინო ბუაჩიძე. შენიშვნა: თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილება ავტორისათვის მიწოდებული იქნა საქმის ნომრის ნაწილობრივი დაშტრიხვით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილების მიერ 2015 წლის 30

ოქტომბერს საქართველოს უზენაეს სასამართლოში სუროგაციის პრობლემებთან დაკავშირებით გამართული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე მონაწილე პირებისათვის მიწოდებული, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის, 2015 წელს მიღებული გადაწყვეტილებები. გადაწყვეტილებების საქმის ნომრები დაშტრიხულია. გადაწყვეტილებები ინახება ნაშრომის ავტორთან. <<http://www.supremecourt.ge/news/id/964>>

ა.ბ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის #1/1/126,129,158 გადაწყვეტილება საქმეზე - „საქართველოს მოქალაქეები - (1) ბაჭუა გაჩეჩილაძე, სიმონ თურვანდიშვილი, შოთა ბუაძე, სოლომონ ნადირაძე და ლევან ქეცბაია, (2) ვლადიმერ დობორჯგინიძე, ნინელი ანდრიაძე, გურამ დემეტრაშვილი და შოთა შაპიაშვილი, (3) გივი დონაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბრის #1/3/136 გადაწყვეტილება საქმეზე - „საქართველოს მოქალაქე შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 03 ივლისის #2/6/205-232 გადაწყვეტილება საქმეზე - „1. მოქალაქე ავთანდილ რიყამაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; 2. მოქალაქე ნელი მუმლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 16 თებერვლის #1/2/213-243 გადაწყვეტილება საქმეზე - „საქართველოს მოქალაქეები - უტა ლიპარტია, გიორგი ხმელიძე, ელისო ჯანაშია და გოჩა ლაღუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება #1/3/407 საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება #1/4/592 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ბ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს
გადაწყვეტილებები

Dickson v. the United Kingdom, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება, განაცხადი #44362/04.

G.B. and R.B. v. the Republic of Moldova, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება, განაცხადი #16761/09.

Evans v. United Kingdom, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება, განაცხადი #36339/05.

Foulon and Bouvet v. France, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება, განაცხადი #9063/14.

Labassee v. France, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება, განაცხადი #65941/11.

Mennesson and Others v. France, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება, განაცხადი #65192/11.

Paradiso and Campanelli v. Italy, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება, განაცხადი #25358/12.

P. and S. v. Poland, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება, განაცხადი # 57375/08.

Parrillo v. Italy, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება, განაცხადი #4670/11.

S.H. and others v. Austria, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება, განაცხადი #57813/00.

Tysiac v. Poland, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება, განაცხადი #5410/03.

ბ. საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლოების
გადაწყვეტილებები

Alexandria S. v. Pac. Fertility Med. Ctr.Inc., 64 Cal. Rptr. 2d 23 (Cal. Ct. App. 1997).

Andrews v Keltz, 2007 NY Slip Op 27139 [15 Misc 3d 940] March 7, 2007, Supreme Court, New York County Published by New York State Law Reporting Bureau pursuant to Judiciary Law § 431. As corrected through Wednesday, June 27, 2007.

Arredondo v Nodelman, 622 NYS 2d 181, 1994.

Artavia Murillo et. Al. ("In Vitro Fertilization") v. Costa Rica, Inter-American Court of Human Rights, November 28, 2012, Series C No. 326.

A.Z. v. B.Z., 725 N.E.2d 1051 (Mass. 2000).

“*Baby M*”-ის სახელით ცნობილი აშშ-ის ნიუ ჯერსის შტატის სასამართლოს 1988 წლის გადაწყვეტილება [109 NJ 396, 537 A2d 1227 (NJ 1988)].

Baby Manji Yamada v Union of india et al, Writ Petition No 369 of 2008, Supreme Court of India.

Belsito v Clark, 644 2d 760 (1994).

Buzzanca v. Buzzanca, 61 Cal.App.4th 1410, 72 Cal.Rptr.2d 280 (Ct. App. 1998).

Cour de Cassation, Chambre Cevile 1, 6 avril 2011, 09-66-486, Publie au bulletin;
Cour de Cassation, Chambre Cevile 1, 6 avril 2011, 10-19-053, Publie au bulletin.

Cour de Cassation, Chambre Cevile 1, 6 avril 2011, 09-66-486, Publie au bulletin.

Culliton v Beth Israel Deaconess Medical Center, 435 Mass 285 (2001).

Davis v. Davis, 842 S.W.2d 585, 589 (Tenn. 1992).

Doolan v. IVF America, 12 Mass.L.Rptr. 482 (Mass.Super. 2000).

Harnicher v. Univ. of Utah Med. Ctr., 962 P. 2d 67, 68 (Utah 1998) Supreme Court of Utah.

Hodas v Morin, 442 Mass 544 (2004).

James v. Jacobson, 6 F.3d 233 (4th Cir. 1993).

J.F. v. D.B., 116 Ohio St.3d 363, 2007-Ohio-6750.

Jhordan C. v. Mary K., (179 Cal.App.3d 386 (1986)).

Johnson v. Calvert (851 P.2d 776 (Cal. 1993)).

Kass v. Kass (696 N.E.2d 174, 175 (N.Y. 1998)).

Kitchen v. Herbert, 961 F. Supp.2d 1181 1181 (D. Utah 2013).

Lainaritata v. Lucas, 823 So. 2d 316, 319 (Fla. Dist. Ct. App. 2002).

McIntyre v. Crouch (780 P.2d 239 (1989) 98 Or.App. 462 Kevin N. McIntyre, Appellant, v. Linden CROUCH, Respondent. No. 2109-F; CA A44574. Court of Appeals of Oregon. Argued and Submitted May 18, 1988. Decided September 13, 1989).

Nachmani v. Nachmani, 50(4) P.D. 661 (Isr.); *A.Z. v. B.Z.*, 725 N.E.2d 1051 (Mass. 2000).

North Coast Women's Care Medical Group, Inc. v. San Diego County Superior Court, 44 Cal. 4th 1145, 189 P.3d 959, 81 Cal. Rptr. 3d 708.

Obergefell v. Hodges, 135 S. Ct. 2584 (2015).

People v. Sorenson, 437 P.2d 495, 499 (Cal.1968).

Paretta v Medical Offices for human Reproduction, 195 Misc.2d 568 (2003) 760 N.Y.S.2d 639 JOSEPHINE PARETTA et al., Plaintiffs, v. MEDICAL OFFICES FOR HUMAN REPRODUCTION et al., Defendants. Supreme Court, New York County, March 31, 2003.

Raftopol v Ramey, 12A.3d783 (2011).

Re D and L (minors) (surrogacy) [2012] EWHC 2631.

Re G (Foreign domicile) [2007] EWHC 2814 (Fam).

Re L (a minor) [2010] EWHC 3146 (Fam).Case No: FD10P01027, High Court of Justice Family Division, 08.12.2010.

ROBERT B., Plaintiff and Respondent, Denise B., Plaintiff and Appellant, v. SUSAN B., Defendant and Appellant. No. H024926, Court of Appeal, Sixth District, California. Decided: June 13, 2003.

Soos v. Superior Court ex rel Cnty. of Maricopa, 897 P.2d 1356 (Ariz. Ct. App. 1994).

St. Paul Fire & Marine Ins. Co. v. Jacobson, 826 F. Supp. 155, 157 (E.D. Va. 1993), *aff'd*, 48 F.3d 778 (4th Cir. 1995).

U.S. v. Windsor, 133 S. CT.2675 (2013).

3. ნორმატიული მასალა

ა. ნორმატიული მასალა ქართულ ენაზე

საქართველოს კონსტიტუცია, ძალაშია 24.08.1995 წლიდან.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მიღებულია 1950 წლის 4 ნოემბერს, საქართველოსათვის ძალაშია 20.05.1999 წლიდან.

კონვენცია „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“, მიღებულია 1997 წლის 4 აპრილს, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2000 წლის 27 სექტემბერს, საქართველოსათვის ძალაშია 01.03.2001 წლიდან.

„ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“ კონვენციის დამატებითი ოქმი „ადამიანის ორგანოებისა და ქსოვილების გადანერგვის შესახებ“, მიღებულია 2002 წლის 24 იანვარს, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2002 წლის 27 სექტემბერს, საქართველოსათვის ძალაშია 01.05.2006 წლიდან.

„ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“ კონვენციის დამატებითი ოქმი „ბიოსამედიცინო კვლევის შესახებ“, მიღებულია 2004 წლის 30 ივნისს, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2009 წლის 20 ოქტომბერს, საქართველოსათვის ძალაშია 01.08.2010 წლიდან.

„კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ“, მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1989 წლის 20 ნოემბერს, საქართველო მიერთებულია 02.06.1994 წელს.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მიღებულია გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 1966 წლის 16 დეკემბერს; ძალაშია 1976 წლის 3 იანვრიდან; საქართველოსათვის ძალაშია 03.08.1994 წლიდან.

ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია, მიღებულია 1979 წლის 18 დეკემბერს; ძალაში შესვლის თარიღი: 1981 წლის 3 სექტემბერი; საქართველოსათვის ძალაშია 22.09.1994 წლიდან.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მიღებულია გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 1966 წლის 16 დეკემბერს, ძალაშია 1976 წლის 23 მარტიდან, საქართველოსათვის ძალაშია 03.08.1994 წლიდან.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენცია, მომზადებულია 2006 წლის ოქტომბერში; ძალაში შესვლის თარიღი: 2008 წლის 3 მაისი; საქართველოსათვის ძალაშია 12.04.2014 წლიდან.

„ბავშვთა დაცვისა და ბავშვთა საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ კონვენცია, მიღებულია ჰაავის კერძო სამართლის საერთაშორისო კონფერენციის ეგიდით 1993 წლის 29 მაისს.

კონვენციას საქართველო მიუერთდა „ჰააგის კერძო სამართლის საერთაშორისო კონვენციის ეგიდით მიღებულ 1993 წლის 29 მაისის „ბავშვთა დაცვისა და ბავშვთა საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ კონვენციასთან საქართველოს შეერთების თაობაზე“ 1999 წლის 11 მარტის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №94-ის საფუძველზე.

საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ, მიღების თარიღი: 30.04.2014.

საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, მიღების თარიღი: 10.12.1997.

საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, მიღების თარიღი: 05.05.2000.

საქართველოს კანონი „სამოქალაქო აქტების შესახებ“, მიღების თარიღი: 20.12.2011.

საქართველოს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, მიღების თარიღი: 05.03.2014; ძალაში შესვლის თარიღი: 01.09.2014.

საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“, მიღების თარიღი: 07.12.1993.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მიღების თარიღი: 26.06.1997.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მიღების თარიღი: 14.11.1997.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მიღების თარიღი: 22.07.1999.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს დემოკრატიული უსაფრთხოების კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ, მიღებულია 24.06.2016 წელს.

საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანება „საქართველოში ექსტრაკორპორული განაყოფიერების (სუროგაციის) გზით დაბადებული ბავშვის საქართველოდან გასვლის წესის დამტკიცების თაობაზე“, №133–№144; მიღების თარიღი: 11.04.2016.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“, მიღების თარიღი: 31.01.2012, #18.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება „ზოგიერთი სამედიცინო ჩარევის ჩატარებამდე პაციენტისაგან წერილობითი ინფორმირებული თანხმობის მიღების შესახებ“, #238/ნ, მიღების თარიღი: 05.12.2000.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“, მიღების თარიღი: 27.06.2007, #190/ნ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის და საქართველოს იუსტიციის მინისტრის ერთობლივი ბრძანება „დაბადებისა და გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობების რეკვიზიტების, ფორმების, მათი შევსებისა და გაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“, მიღების თარიღი: 31.01.2012, #01-56-#19.

ბ. ნორმატიული მასალა უცხოურ ენაზე

ბ.ა. ნორმატიული მასალა ინგლისურ ენაზე

American Convention on Human Rights (Pact of San Jose, Costa Rica), Adopted at the Inter-American Specialized Conference on Human Rights, San José, Costa Rica, 22 November 1969.

Arizona Revised Statutes § 25-218 (A), 2007.

Bürgerliches Gesetzbuch – BGB.

California Assembly Bill 1217, Approved by Governor September 23, 2012. Filed with Secretary of State , September 23, 2012.

California Family Code §§ 7960-7962 (2013).

Code of Alabama §26-17-801 (1984).

Code of Virginia §§ 20-156–20-165 (1991).

Colorado Revised Statutes § 19-4-106 (1987).

Connecticut General Statutes §7-48a(2012).

Constitution of the Republic of South Africa, No 108 of 1996.

Constitution of the United States, 17 September, 1787.

D.C. Law 21-255. Collaborative Reproduction Amendment Act of 2016.

Delaware Code 13 § 8-807 (2013).

Directive 2004/23/EC of the European Parliament and of the Council of 31 March 2004 on setting standards of quality and safety for the donation, procurement,

testing, processing, preservation, storage and distribution of human tissues and cells.

Federal Constitution of the Swiss Confederation of 18 April, 1999.

Florida Statutes §§ 63.213 (2003); 742.15 (2015);

Gesetz zum Schutz von Embryonen (Embryonenschutzgesetz).

Gesetz über die Vermittlung der Annahme als Kind und über das Verbot der Vermittlung von Ersatzmüttern – Adoptionsvermittlungsgesetz.

Health Care Benefits Expansion Act, 1992.

Illinois Compiled Statutes § 750-47 (2005). Gestational Surrogacy Act, 750 ILCS-47/1-75.

Indiana Code § 31-20-1-1, 2008.

Maine Revised Statutes 19-A §1931, 1932 (effective July 2016).

Michigan Compiled Laws: §722.851-861.

National Guidelines for Accreditation, Supervision and Regulation of ART Clinics in India, adopted by the Ministry of Health and Family Welfare Government of India, Indian Council of Medical Research, National Academy of medical Sciences (India), 2005.

Nevada Revised Statutes §§ 126.500-126.810 (2013).

New Hampshire Revised Statutes §168-B (2014).

North Dakota Century Code §14-18-05; §14-18-08; §14-18-09 (2009).

NY CLS Dom Rel §121-124 (2015).

Ohio Revised Code §3111.89-98.

Parentage Act 2004, s 24(b), Australian Capital Territory.

Revised Code of Washington §§ 26.26.210–26.26.260 (1989).

Sobre técnicas de reproducción humana asistada, BOE no 126, 27 May 2006.

Texas Code §160 (2001).

Uniform Parentage Act (UPA), 1975, amended 2002.

United Kingdom, Human Fertilization and Embryology Act, 2009.

Utah Code §§ 78B-15-801, 78B-15-809 (2008).

ბ.ბ. ნორმატიული მასალა რუსულ ენაზე

Закон Республики Армения о Репродуктивном Здоровье и Репродуктивных Правах Человека, 26.12.2002, ЗР-474.

Закон Республики Беларусь о Вспомогательных Репродуктивных Технологиях, 07.01.2012, No 341-З.

Закон Украины «О государственной регистрации актов гражданского состояния» №2398/VI от 01.07.2010г.

Инструкция о порядке применения вспомогательных репродуктивных технологий”, утвержденная приказом Министерства здравоохранения Украины №771 от 22.12.2008г.

Приказ Министерства здравоохранения РФ 30.08.2012 № 107н “о порядке использования вспомогательных репродуктивных технологий, противопоказаниях и ограничениях к их применению”.

Семейный кодекс Российской Федерации, 29.12.1995 N 223-ФЗ.

Семейный Кодекс Украины, 01.01.2004.

Федеральный закон “об актах гражданского состояния” 15.11.1997; N 143-ФЗ.

Федеральный Закон “Об Основах Охраны Здоровья Граждан в Российской Федерации”, 21.11.2011, N 323-ФЗ.

4. სხვადასხვა

American Bar Association Model Act Governing Assisted Reproductive Technology, Prefaratory Note, February 2008.

A Study of legal Parentage and the Issues Arising from International Surrogacy Arrangements, General Affairs and Policy, Preliminary Document No 3C, March 2014 for the attention of the Council of April 2014 on General Affairs and Policy of the Hague Conference on Private International Law, Prel. Doc. No 3C (The Study), March 2014, 8.

Background Note for the Meeting of the Experts’ Group on the Parentage/Surrogacy Project, Document for the attention of the Experts’ Group (meeting of 15-18 February 2016), Hague Conference on Private International Law.

Beijing Declaration and Platform of Action, adopted at the 16th Plenary Meeting on 15 September 1995.

Conclusions and Recommendations Adopted by the Special Commission on the Practical Operation of the Hague Convention of 29 May 1993 on Protection of Children and Cooperation in Respect of Intercountry Adoption, 17–25 June 2010, “International Surrogacy and Intercountry Adoption“, პარაგრაფი 25. <http://www.hcch.net/upload/wop/adop2010concl_e.pdf> [12.11.2017].

Council of Europe, Steering Committee on Bioethics (CDBI), The Protection of the Human Embryo *in vitro*, Report by the Working Party on the Protection of the Human Embryo and Fetus (CDBI-CO-GT3), Strasbourg, 19 June 2003.

Council of Europe, Explanatory Report to the Convention for the Protection of Human Rights and Dignity of the human Being with regard to the Application of Biology and Medicine: Convention on Human Rights and Biomedicine, 1996.

Final Act of the International Conference on Human Rights, Teheran, 22 April to 13 May 1968.

Declaration of Mexico on the Equality of Women and Their Contribution to Development and Peace, Adopted at the World Conference of the International Women's Year, Mexico City, Mexico. 19 June-2 July 1975.

Department of Health and Social Security (1984) Report of the Committee of Inquiry into Human Fertilization and Embryology (London: HMSO, Cmnd. 9314).

General Comment No. 14 (2000), The right to the highest attainable standard of health (article 12 of the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights), Substantive Issues arising in the implementation of the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights, Committee on Economic, Social and Cultural Rights, Twenty-second session, Geneva, 11 August, 2000 (contained in Document E/C. 12/2000/4).

Practice Committee of the American Society for Reproductive Medicine, Practice Committee of the Society for Assisted Reproductive Technology and Practice Committee of the Society of Reproductive Biology and Technology, Revised Minimum Standards for Practices Offering Assisted Reproductive Technologies: A Committee Opinion, Journal of Fertility and Sterility, Vol. 102, No. 3, 2014.

Preliminary Note on the Private International Law Issues Surrounding the Status of Children, including issues arising from International Surrogacy Arrangements, Preliminary Document No 11 of March 2011 for the attention of the Council of April 2011 on General Affairs and Policy of the Hague Conference on Private International Law.

Preliminary Report on International Surrogacy Arrangements, Preliminary Document No 10 of March 2012 for the attention of the Council of April 2012 on General Affairs and Policy of the Hague Conference on Private International Law.

Programme of Action, adopted at the International Conference on Population and Development Cairo, 5-13 September, 1994.

Report of the February 2016 Meeting of the Experts' Group on Parentage/Surrogacy, Preliminary Document No 3 of February 2016 for the attention of the Council of March 2016 on General Affairs and Policy of the Hague Conference on Private International Law.

Report of the January/February 2017 Meeting of the Experts' Group on Parentage/Surrogacy, February 2017, Hague Conference on Private International Law.

Report on Human Artificial Procreation Principles-Set out in the Report of the Ad Hoc Committee of Experts on Progress in The Biomedical Sciences, 1989.

Report of the Special Commission Studying In Vitro Fecundation and Artificial Insemination: [approved by Congress of Deputies in Plenary session on the 10th of April 1986]. General Courts. Congress. Special Commission Studying In Vitro Fecundation and Artificial Insemination, Marcelo Palacios. Congress of Deputies, General Secretary 1987.

Study of Legal parentage and the Issues Arising from International Surrogacy Arrangements", Preliminary Document No 3 C of March 2014 for the attention of the Council of April 2014 on General Affairs and Policy of the Hague Conference on Private International Law.

The Desirability and Feasibility of Further Work on the Parentage/Surrogacy Project, Preliminary Document No 3 B of March 2014 for the attention of the Council of April 2014 on General Affairs and Policy of the Hague Conference on Private International Law.

The Parentage/Surrogacy Project: an Updating Note, Preliminary Document No 3 A of February 2015 for the attention of the Council of March 2015 on General Affairs and Policy of the Hague Conference on Private International Law.

Vienna Declaration and Programme of Action, Adopted by the World Conference on Human Rights in Vienna on 25 June 1993.

ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს რეკომენდაცია ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად მიღებული ემბრიონის სხვა ქალის („სუროგატული დედის“) საშვილოსნოში გადატანისა და გამოზრდის საკანონმდებლო რეგულაციის შესახებ, 10 თებერვალი, 2014 წელი.

კაპანაძე ნ., კვაჭაძე მ., ლათინურ-ქართული სამართლებრივი ლექსიკონი, თბილისი, 2008.

5. ინტერნეტ რესურსები

ლოლაძე ბ., რამდენიმე მოსაზრება საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მეორე თავში შენარჩუნების მნიშვნელობაზე. <www.Emc.org.ge/2017/05/02/emc-264>

სამედიცინო ტერმინოლოგიის ქართულ-ინგლისურ-რუსულ-ლათინური განმარტებითი ლექსიკონი. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=13&t=11279>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომა, 30 ოქტომბერი, 2015 წელი. <<http://www.supremecourt.ge/news/id/964>>

უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შემდგენელი ჭაბაშვილი მ., მე-3 შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 1989. <<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=38922>>

Assisted Reproductive Technologies Review Committee Science Council of Japan, Report Issues Related to the Assisted Reproductive Technologies Centered on Surrogate Pregnancy Toward a Social Consensus, 2008. <<http://www.scj.go.jp/ja/info/kohyo/pdf/kohyo-20-t56-1e.pdf>>

Comparative Analysis of Medically Assisted Reproduction in the EU: Regulation and Technologies (SANCO/2008/C6/051), Final Report. <http://ec.europa.eu/health/blood_tissues_organ/docs/study_eshre_en.pdf>

ESHRE Guideline Group on Good Practice in IVF Labs, Revised Guidelines for Good Practice in IVF Laboratories, December 2015. <[https://www.eshre.eu/Guidelines-and-Legal/Guidelines/Revised-guidelines-for-good-practice-in-IVF-laboratories-\(2015\).aspx](https://www.eshre.eu/Guidelines-and-Legal/Guidelines/Revised-guidelines-for-good-practice-in-IVF-laboratories-(2015).aspx)>

Finkelstein A., Dougall M. S., Kintominas A., Olsen A., Surrogacy Law and Policy in the US: A National Conversation Informed by Global Lawmaking, Report of the Columbia Law School Sexuality & Gender Law Clinic, 2016, 9. <http://www.law.columbia.edu/sites/default/files/microsites/gender-sexuality/files/columbia_sexuality_and_gender_law_clinic_-_surrogacy_law_and_policy_report_-_june_2016.pdf>

Gebhard J., Trimino D., Reproductive Rights, International Regulation, Max Plank Institute for Comparative Public Law and International Law, 2012, 1. <<http://www.corteidh.or.cr/tablas/r16912.pdf>>

Gestational Surrogacy Law Across the United States, State-by-State Interactive Map for Commercial Surrogacy, Creative Family Connections LLC, <<https://www.creativefamilyconnections.com/us-surrogacy-law-map/>>

Hatzis N. A., The Regulation of Surrogate Motherhood in Greece, 2010, 4. <<http://ssrn.com/abstract=1689774>>

Inter-Country Surrogacy and the Immigration Ruls. <https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/261435/Inter-country-surrogacy-leaflet.pdf>

Levush R., Reproduction and Abortion: Law and Policy, Law Library of Congress, Israel, 2012-007460, <http://www.loc.gov/law/help/israel_2012-007460_IL_FINAL.pdf>

Lipkin N. and Samama E., Surrogacy in Israel: Status Report 2010 and proposals for legislative Amendment, edited by R. Daphna, 2010, 6. <http://isha.org.il/wp-content/uploads/2014/08/surrogacy_Eng001.pdf>

Mosby's Medical Dictionary, 9th Edition, 2012. <<https://medical-dictionary.thefreedictionary.com/Gametes>>